

საისტორიო
ქრებული

I

ვინ იყო ტაოს პირველი ეპისკოპოსი

ზაზა ალექსიძე

ტაო, საუკუნეების მანძილზე, საქართველოსა და სომხეთს შორის სასაზღვრო რეგიონი იყო. სხვადასხვა პერიოდში ამ მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის ხელიდან ხელშიც გადადიოდა, სანამ საბოლოოდ არ გაირკვა მისი სახელმწიფოებრივი და საეკლესიო სტატუსი. ამიტომ, ცხადია, ტაოს ისტორიის ყველა ნიუანსი კავკასიის მცოდნეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ამიტომ იყო, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე – „ტაო-კლარჯეთი“ – პ. მურადიანის მიერ წაკითხულმა მოხსენებამ („ტაოს იეროკრატიული წყობილების აღმოცენების გამოძახილი ადრეფეოდალურ წყაროებში“)¹ მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩემი აზრით, მოხსენება სტრუქტურული და მეთოდური თვალსაზრისით საინტერესოდ და სწორად იყო აგებული. ვინაიდან მოხსენებების შემდეგ კამათისათვის საკმარისი დრო არ იყო, მეც მხოლოდ ორიოდე საპოლემიკო კითხვის დასმა შევძელი. ცოტა მოგვიანებით ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ტაოს საეპისკოპოსოს შესახებ ვრცელი ზეპირი მოხსენებით მაინც გამოვედი. ნაშრომი, რომელსაც მკითხველი ახლა ეცნობა, სწორედ ამ მოხსენების ერთი ნაწილის ბეჭდურ რეალიზაციას წარმოადგენს.

თავისი მოხსენების ყველა მნიშვნელოვანი დებულება, საჭირო არგუმენტაციით, პ. მურადიანმა ოსტატურად ჩაატია საკმაოდ ვრცელი მოცულობის, მაგრამ მაინც რეზიუმეში.² ამ შემთხვევაში მე მაინტერესებს მის მიერ წამოჭრილი

¹ პარჟირ მურადიანი, „ტაოს იეროკრატიული წყობილების აღმოცენების გამოძახილი ადრეფეოდალურ წყაროებში“, ტაო-კლარჯეთი: საერთაშორისო კონფერენცია, მოხსენებათა თეზისები (თბილისი, 2010), 61-64.

² კრებულში, რომელშიც მოხსენებების სრული ვარიანტები უნდა დაიბეჭდოს, პ. მურადიანის თხოვნით დასახელებული ვრცელი თეზისები გამოქვეყნდება, ამიტომ მათში ცვლილებების შეტანა მოსალოდნელი არ არის.

წერილი უკვე გადაცემული იყო გამომცემლობაში, როდესაც მოვიდა სამწუხარო ცნობა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ პ. მურადიანის გარდაცვალების შესახებ. როგორც ჩანს, სწორედ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო მან თეზისების ვრცელ ნაშრომად ქცევა. ჩემი

საკითხი ტაოს პირველი ეპისკოპოსის ვინაობის შესახებ და შესაბამისი არგუმენტაციის კორექტულობა, ტაოს საეპისკოპოსოს ისტორიის სხვა საკითხებს კი სხვა წერილებში განვიხილავ.

ტაოს პირველი ეპისკოპოსის ვინაობის შესახებ პ. მურადიანი წერს:

„ტაოს სამწყოსა და საეპისკოპოსო კათედრის დაარსების შესახებ უძველესი ცნობა შემონახულია ფავსტოსის „ბუზანდარან პატმუთივექში“. აქ გრიგოლ განმანათლებლის მიერ სომხეთში საეპისკოპოსო ცენტრების დაარსებასა და ეპისკოპოსების კურთხევაზე ლაპარაკისას (ხაზი ჩემია – ზ. ა.) ისტორიკოსი წერს: „და ტაოს ეპისკოპოსი იგი იყო კირაკოს, რომელიც შაჰაპ სახელად იწოდებოდა, კაცი ჭეშმარიტად ღვთისმორწმუნე, თანახმად ნებისა ღვთისასა, და თავის ცხოვრების ყოველ დღეთა შინა უშუალო ჭეშმარიტებით წინამძღვრობდა სამწყოსა თჳსსა და განაგებდა საეპისკოპოსოსა თანახმად ღვთისნებისა“ (ნაწილი VI, თავი 11).

იბადება კითხვა – მეხუთე საუკუნის ისტორიკოსის თხზულებაში საიდან აღმოჩნდა ეს ცნობა წინა საუკუნის პირველი მეოთხედის ტაოს ეპისკოპოსის შესახებ, მით უმეტეს, სახელისა და დახასიათების დართვით?! ფავსტოსის წყარო უეჭველად გრიგოლ პართეველის ცხოვრების ან არსებული სომხური რედაქციაა, რომლის სომხურიდან მომდინარე ბერძნული თარგმანი გამოცემულია ჟ. გარიტის³, ხოლო არაბული – ნ. მარის⁴ მიერ. *ორივეში ტაოს პირველი ეპისკოპოსის სახელი „კურაკოსია“* (ხაზი ჩემია – ზ. ა.)⁵

სავსებით მართალია პ. მურადიანი. ფავსტოსი (ან ფსევდო ფავსტოსი) მართლაც წერს, რომ „ტაოს ეპისკოპოსი იყო კირაკოსი, რომელსაც სახელად შაჰაპს⁶ უწოდებდნენ, კაცი ჭეშმარიტად ღმრთის მსახური, ნებითა ღმრთისაითა, მართალი ჭეშმარიტებით წინამძღვრობდა თავის ხალხს, და მთელი სიცოცხლის მანძილზე თავის საეპისკოპოსოს მართავდა ღმრთის ნებით“.⁷

ყველაფერი ეს მართალია, მაგრამ როდის ხდება აღწერილი ამბავი ფავსტოს ბუზანდის აზრით? თავისი თხზულების მეშვიდე ნაკვეთს ფავსტოსი იწყებს შემდეგი სიტყვებით:

„სომეხთა ქვეყნის ორად გაყოფის შესახებ. ბერძენთა მეფის ბრძანებით არ-

აზრით, პ. მურადიანის გარდაცვალება კავკასიისმცოდნეობისათვის დიდი დანაკლისია.

³ Gérard Garitte, *Documents pour l'étude du livre d'Agathange* (Città del Vaticano, 1946), §172.

⁴ Н. Я. Марр, “Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием (арабская версия)”, *Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества*, т. 16 (1905), 139.

⁵ მურადიანი, „ტაოს იეროკრატიული წყობილების აღმოცენების გამოძახილი“, 61-62.

⁶ ზოგი სპეციალისტი თვლის, რომ „შაჰაპი“ „კირაკოს“//„კვირიაკოსის“ თარგმანია. სიტყვის ეტიმოლოგიისა და ვარაუდების შესახებ იხ. С.-А. Ст. Костанян, “Термин **шаһап** в средневековых армянских источниках”, *Кавказ и Византия*, 1 (Ереван, 1979), 120-131.

⁷ *Փառապետի Բուզանդայոյ Պատմութիւն Հայոց* [ფავსტოს ბუზანდაცის სომხეთის ისტორია] [Թիֆլիս, 1913], 403.

შაკის გამეფება [სომხეთის ერთ ნახევარზე], ხოლო სპარსთა მეფის ბრძანებით ხოსროს გამეფება [მეორე] ნახევარზე“.⁸

შემდეგ ფავსტოსი ჩამოთვლის იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც ე.წ. სპარსულ ნაწილში ხოსრო მეფეს ემორჩილებოდნენ.⁹ აი, ამ ჩამონათვალშია დასახელებული კირაკოს ტაოს ეპისკოპოსიც, ანუ 387 და მის მომდევნო წლებში.

ფავსტოსის მიერ ჩამოთვლილი ეპისკოპოსები (მათ შორის კირაკოსიც) დაახლოებით 80 წლით არიან დაშორებული აგათანგელოსის მიხედვით გრიგოლ განმანათლებლის მიერ განწესებულ პირველ ეპისკოპოსებს. მაგრამ იქნებ ემსლება ფავსტოსს და პირველ ეპისკოპოსებს ურევს IV ს-ის ბოლოს მოღვაწე ეპისკოპოსებში? ასეთი დაშვებაც სრულიად გამორიცხულია, ვინაიდან:

1. ფავსტოსი გრიგოლ განმანათლებლისა და მისი შვილების არისტაკესისა და ვრთანესის დროს არცერთ ეპისკოპოსს არ ასახელებს. თვითონ გრიგოლს ბოლომდე (გარდაცვალებამდე) იგი მოიხსენიებს როგორც დიდ მღვდელმთავარს (მნծ քահանայապետ) ან ეპისკოპოსს (եպիսკոպოს), ხოლო მის ვაჟიშვილს არისტაკეს – თანაეპისკოპოსად (եպիսკოპოსի).¹⁰ სომხეთში მოქცევის პირველი დღეებიდანვე საეპისკოპოსოების დაარსების შესახებ იგი არაფერს ამბობს, რაც ისტორიული თვალსაზრისით უფრო სწორიც უნდა იყოს. ეს ფაქტი შეიძლება იმაზეც მიუთითებს, რომ ფავსტოსი აგათანგელოსის არცერთ ვერსიას (მათ შორის სომხურსაც)¹¹ არ იცნობს იმ სახით, რა სახითაც მათ ჩვენამდე მოაღწიეს, ამიტომ ვერც კირაკოსის შესახებ ცნობას ამოიღებდა მისთვის უცნობი ვერსიებიდან;

2. ფავსტოსი სომხეთის ბიზანტიასა და სპარსეთს შორის გაყოფის შემდეგ (387 წლის ახლოს და შემდეგ) ასახელებს 14 ეპისკოპოსს, რომელთაგან ზოგს უწოდებს, ძველი ქართულით რომ ვთქვათ, „თავი ეპისკოპოსთა“ (գլխի եպիսკոպოსաց). ამ 14 ეპისკოპოსიდან მეათეა ტაოს ეპისკოპოსი კირაკოს, რომელსაც შაჰაპსაც უწოდებდნენ. ჩამოთვლილ ეპისკოპოსთა სახელებიდან (ზავენ, შაჰაკ, ასპურაკ, ფავსტოს, ზორთ, აროსტომ, არათ, იოან, ზორთუაზ, კირაკოს, ტირკან, მოსეს, აჰარონ, ასპურაკ) აგათანგელოსთან მოხსენიებულ 12 ეპისკოპოსს (1. ალბიანოს, 2. ევთალიოს, 3. ბასოს, 4. მოსეს, 5. ევსებიოს, 6. იოან, 7. ალაპეს, 8. არტიტეს, 9. არსუკეს, 10. ანტიოქეს, 11. ტირიკეს, 12. კირაკოს)¹²

⁸ იქვე, 391.

⁹ იქვე, 394-407.

¹⁰ იქვე, 10.

¹¹ სტ. მალხასიანცი თვლიდა, რომ აგათანგელოსის მრავალენოვანი ვერსიებიდან ფავსტოსი მხოლოდ სომხურ ვერსიას იცნობდა. Փափստոս Բուզանդ, *Հայոց պատմություն*. Թարգմանություն, ներածություն եւ ծանոթություններ Ստ. Մախապասնցի [ფავსტოს ბუზანდ, სომხეთის ისტორია, შესავალი და კომენტარები სტ. მალხასიანცისა] (Երևան, 1947), 45. ჩემი ვარაუდით, ეს ვერსიაც სხვა რედაქციისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე მას დღეს ვიცნობთ.

¹² Ագաթանգեղայ Պատմութիւն Հայոց, աշխատութեամբ Գ. Տէր-Սկրտչեան եւ Ստ. Կանանյանց [აგათანგელოსის სომხეთის ისტორია, გ. ტერ-მკრტიჩიანისა და სტ. კანანიანცის გამოცემა] (Տիփլիս 1909), 443-444.

შორის, მეთორმეტე – კირაკოსის გარდა, მეორდება მხოლოდ ორი, ყველაზე უფრო გავრცელებული სახელი – იოან და მოსეს;

3. ფავსტოსმა კარგად იცის, რომ თავისი სიის (რომელშიც დასახელებულია ტაოს ეპისკოპოსი კირაკოსი) მთავარეპისკოპოსები („თავი ეპისკოპოსთაჲ“) ზავენ და ასპურაკ მანაზკერტელები სომხეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ხანას ძლიერ არიან დაშორებული. იგი მათ ეპისკოპოს ალბიანეს¹³ ჩამომავლად (დასასკ Ἀλβιανου ἑπισκοπου) აცხადებს.¹⁴ გარდა ამისა, ფავსტოსი მიუთითებს, რომ იოანე ეპისკოპოსი სომეხთა კათალიკოსის ფარენ ამტიმატელის (ტრადიციულად ათარილებენ 348-352 წწ)¹⁵ ძეა.

ყველაფერი, რაც ზემოთ იყო მოთხრობილი, სრულიად უეჭველად უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ პ. მურადიანთან ერთად განვაცხადოთ: „აქ გრიგოლ განმანათლებლის მიერ სომხეთში საეპისკოპოსო ცენტრების დაარსებაზე და კურთხევაზე ლაპარაკისას ისტორიკოსი (ფავსტოსი – ზ.ა.) წერს...“, ან დავსვით კითხვა: „მეხუთე საუკუნის ისტორიკოსის თხზულებაში საიდან აღმოჩნდა ეს ცნობა წინა საუკუნის პირველი მეოთხედის ტაოს ეპისკოპოსის შესახებ, მითუმეტეს, სახელისა და დახასიათების დართვით?!“.

ვფიქრობ, ცხადია, რომ „მეხუთე საუკუნის ისტორიკოსის თხზულებაში“ „წინა საუკუნის პირველი მეოთხედის ტაოს ეპისკოპოსის შესახებ ცნობა“ არ აღმოჩენილა. როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, ფავსტოს ბუზანდი ტაოს ეპისკოპოს კირაკოსს „იმავე საუკუნის“ ბოლო მეოთხედში ათავსებს და ძალიან კარგად უნდა იცოდეს, რომ „აგათანგელოსის მიერ საეპისკოპოსო ცენტრების დაარსებასთან“ მას არავითარი კავშირი არა აქვს.

საინტერესოა, აგათანგელოსისა და ფავსტოსის კირაკოსების გაიგივების ცდა არმენოლოგიაში სიახლეა, თუ ასეთი ცდები მანამდეც იყო.

პრ. აჭარიანი, თავის „სომხურ საკუთარ სახელთა ლექსიკონში“ ამ ორ კირაკოსს არ აიგივებს: პირველი მისთვის არის აგათანგელოსის მიერ დასმული ეპისკოპოსი სამწყსოს მითითების გარეშე, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ აგათანგელოსის ისტორიის არაბული ვერსიის მიხედვით გრიგოლმა იგი ეპისკოპოსად არშამუნიქში განაწესაო. მეორის შესახებ კი წერს: კირაკოს შაჰაპი ტაოს ეპისკოპოსი იყო ხოსრო მესამის დროსო (384-415 წწ).¹⁶

ერთადერთი ავტორი, რომელიც შეიძლება პ. მურადიანისთვის წყაროდ თუ

¹³ აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიის“ სომხური ვერსიის მიხედვით, ალბიანოსი გრიგოლ განმანათლებლის მიერ ევფრატის მხარეში (ბერძნული და არაბული ვერსიებით – ბაგრევანდში) იქნა დანიშნული. აქ უკვე გამოჩნდა, რომ ფავსტოსს აქვს რაღაც ცნობა, შესაძლოა ზეპირი, გრიგოლ განმანათლებლის დროს გრიგოლისა და არისტაკესის გარდა ერთი ეპისკოპოსის არსებობის შესახებ მაინც.

¹⁴ Ագաթանգեղայ Պատմութիւն Հայոց, 223-224.

¹⁵ იქვე, 222.

¹⁶ Հ. Աճառյան, Հայոց անձնանունների բառարան, Բ [პ. აჭარიანი, სომხური საკუთარი სახელების ლექსიკონი], (Երևան, 1944), 620.

არა, ბიძგის მიმცემად მაინც მივიჩნით, არის ნ. გარსოიანი, რომელიც ფავსტოსთან მოხსენიებული კირაკოსის შესახებ გაკვრით წერს: „სხვაგან იგი დადასტურებული არ არის, თუ კი მას ვინმე არ გააიგივებს გრიგოლ განმანათლებლის მეთორმეტე მონაფესთან“.¹⁷

ცხადია, სანამ აგათანგელოსის „ან არარსებული სომხური რედაქციის“ გამოყენებას დავინყებდეთ, საჭიროა თვითონ ფავსტოსის (ან როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, ანონიმური ავტორის) „ისტორიის“ ცნობების სანდოობის შესახებ საუბარი.

„ბუზანდარან ისტორიის“ შესახებ უახლესი და დიდი მოცულობის წიგნის ავტორი ნ. გარსოიანი ამ თხზულებას „ეპიკურ ისტორიებს“ უწოდებს, რადგან სხვა მრავალ ცნობილ არმენოლოგთან ერთად მას ზეპირსიტყვიერ თხრობად მიიჩნევს: „ანონიმური ავტორი ეპიკური ისტორიებისა არცერთი თვალსაზრისით არ არის განათლებული ადამიანი. თავის ნაშრომში იგი არცერთ საკითხზე კონკრეტულ წყაროს არ მიუთითებს და არც რაიმე წერილობით ტექსტს ასახელებს, გარდა თავისი ნაშრომის ფრიად საეჭვო პირველი თავისა. როგორც ვნახავთ, მისი ინფორმაციის დიდი ნაწილი უეჭველად მიღებულია ზეპირსიტყვიერებიდან და ციტატების უმრავლესობაც კი უნდა მოდიოდეს ზეპირი გადმოცემებიდან, იმის მაგიერ, რომ ეყრდნობოდეს სანდო წერილობით ავტორიტეტებს“.¹⁸

რაც შეეხება აგათანგელოსის ციკლის ბერძნული ვერსიებისა და ფავსტოსისათვის მიწერილი¹⁹ თხზულების ერთმანეთთან მიმართებას, ნ. გარსოიანისა და სომხური წყაროთმცოდნეობის ბევრი გამოჩენილი წარმომადგენლის პოზიცია სრულიად ნათელია: „კიდევ უფრო კარგად არის ცნობილი პარალელები ეპიკურ ისტორიებსა და აგათანგელოსის ციკლს შორის. ყველაფერი ეს შეკრიბა მალხასიანცმა, რომელმაც ეფექტურად უარყო ჰიპოთეზა, თითქოს ეპიკური ისტორიების ინფორმაცია შეიძლება მომდინარეობდეს რომელიმე ადრინდელი ბერძნული ვერსიიდან“.²⁰

მიუხედავად ასეთი არაორაზროვანი წყაროთმცოდნეობითი წანამძღვრებისა, მაინც ბოლომდე გავყვეთ ნამოჭრილ საკითხს და ჩავიხედოთ აგათანგელოსის ციკლის სომხურ, ბერძნულ და არაბულ ვერსიებში.²¹

¹⁷ *The Epic Histories Attributed to Pawstos Buzanda (Buzandaran Patmutiwnk)*, translation and commentary by Nina G. Garsoian (Cambridge, 1989), 383.

¹⁸ იქვე, 22.

¹⁹ მიუხედავად ამისა, მკითხველისათვის უფრო ადვილად გასაგები რომ იყოს, მე ტრადიციულ სახელწოდებას გამოვიყენებ. ბიბლიოგრაფიისა და ავტორისა და თხზულების სახელწოდების გამო უახლესი შეხედულებების შესახებ იხ. *The Epic Histories Attributed to Pawstos Buzanda*, 11-16.

²⁰ იქვე, 25-26. იხ. ზემოთ მითითებული სტ. მალხასიანცის გამოკვლევა, წამდღვარებული ფავსტოს ბუზანდის თხზულების ახალ სომხურ ენაზე თარგმანისათვის. Փալստոս Բուզանդ, Հայոց պատմություն [ფავსტოს ბუზანდ, სომხეთის ისტორია], 41-42.

²¹ აგათანგელოსის ძირითადი ვერსიების შედარებითი შესწავლისათვის იხ. *The Lives of Saint Gregory: The Armenian, Greek, Arabic, and Syriac Versions of the History Attributed to*

აგათანგელოსის სომხურ ვერსიაში (Aa) ჩამოთვლილია შემდეგი ეპისკოპოსები და საეპისკოპოსოები:

1. ალბიანოს – სამეფო სახლში, 2. ევთალიოს – ბასენში, 3. ბასოს (აქედან მოყოლებული, სომხური ვერსია საეპისკოპოსოებს აღარ ასახელებს), 4. მოვსეს, 5. ევსებიოს, 6. იოვანეს, 7. აგაპეს, 8. არტიტეს, 9. არსუკეს, 10. ანტიოქეს, 11. ტირიკეს, 12. კურიაკოს.²²

როგორც ვხედავთ, სომხურ აგათანგელოსში ტაოს ხსენება არ არის და ეს, რა თქმა უნდა, კარგად იცის პ. მურადიანმა. კურიაკოსი (კირაკოსი) ტაოს ეპისკოპოსად მან ფავსტოსის თხოვლებიდან გადმოიტანა, თუმცა, როგორც ვნახეთ, ქრონოლოგია ამას სრულიად გამორიცხავს.

აგათანგელოსის ბერძნული ვერსია (Vg):²³

1. ირენარქე – სებასტიაში, 2. სოფრონიუს – ლაზეთში, 3. თომას – ალბანეთში, 4. ალბიანოს – ბაგრავანდში, 5. ევთალიუს – ბასიანში, 6. ბასიოს – კოტაიქში, 7. მოვსეს – ეკელეაცა და დარჯანში, 8. ეუსებიოს – დარანალიქში, 9. იოან – კარანიტისში, 10. აგაპიოს – სპერში, 11. ალბიოს – ასპარაპეტაკანში, აგრეთვე, ტარონსა და ტაოში, 12. არტიტეს – მალხაზის საუფლოში, 13. არსუკას – შირაკში, 14. ანტიოქოს – კორდუქში, 15. ტირიკოს – ვანანდში, აბელიანსა და გაბელიანში, 16. კურიაკოს – არშამუნიქში.

აგათანგელოსის არაბული ვერსია (Va):²⁴

1. ერთი ქართველი სებასტიიდან, სახელად ირენარქე დააყენა მიტროპოლიტად და გაგზავნა საქართველოში ეპისკოპოსთა დასასმელად, 2. სოფრონიუს – აფხაზეთში, 3. თომას – ალბანეთში, 4. ალბიანოს – ბაგრევანდში, 5. ევთალიუს – ბასიანში, 6. ბასუს – ?, 7. მოსეს – ეკელეცენსა და დერზენში, 8. ეუსებიუს – დარანალიქში, 9. იოან – კარანიტისში, 10. ჰაბიბ – სისპერიტში, 11. ალბიოს – ასპირაპეტაკანსა და მამიკონიანთა სახლში, მას ექვემდებარებოდა ტარონი და ბასეანი, 12. არტიტეს – მალხაზში, 13. არსუკას – შირაკში, 14. ანტიოქუს – კორდუქში, 15. ტირიკოს – ატრპატაკანში, 16. კხორიაკოს – არშამუნიქში.

ვინაიდან ეპისკოპოსების სიებში მნიშვნელოვანი განსხვავებებია, დავალაგოთ ისინი აგათანგელოსის ბერძნული ვერსიის მიხედვით არსებითი განსხვავებების უკეთ დასაფიქსირებლად:

1. ბერძნული (Vg): ირენარქე გრიგოლმა დანიშნა ეპისკოპოსად სებასტიაში; არაბული (Va): ირენარქე (ნ. მარის წაკითხვით იბირზხუა) გრიგოლმა დანიშნა მიტროპოლიტად საქართველოში; სომხური (Aa): საერთოდ არ არის ასეთი პიროვნება დასახელებული;

Agathangelos, translated with introduction and commentary by R.W. Thomson (Michigan, 2010). ეპისკოპოსთა სიებისათვის იხ. გვ. 449-459.

²² Ագաթանգեղոսի Պատմութիւն Հայոց [აგათანგელოსის სომხეთის ისტორია], 443-44.

²³ Garitte, *Documents pour l'étude du livre d'Agathange*, 101-104.

²⁴ Mapp, “Крещение”, 137-139.

2. ბერძნული (Vg): სოფრონიუსი დაინიშნა ლაზეთის ეპისკოპოსად; არაბული (Va): სოფრონიუსი დაინიშნა აფხაზეთის ეპისკოპოსად (როგორც ჩანს, არაბული ვერსია იმ ხანისაა, როდესაც „აფხაზეთი“ მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს.²⁵ სომხური (Aa): საერთოდ არ იცნობს ასეთ პიროვნებას;

3. ბერძნული (Vg): ჰ. თომას – ალბანეთში; არაბული (Va): თომას – ალბანეთში; სომხური (Aa): საერთოდ არ არის დასახელებული არც თომასი და არც ალბანეთი;

4. ბერძნული (Vg): ალბიანოს – ბაგრაევანდში; არაბული (Va) ალბიანოს – ბაგრევანდში; სომხური (Aa): ალბიანოს – სამეფო სახლში;

5. ბერძნული (Vg): ევთალიუს – ბასიანში; არაბული (Va): ევთალიუს – ბასიანში; სომხური (Aa): ევთალიოსი – ბასენში;

6. ბერძნული (Vg): ბასიოს – კოტაიქში; არაბული (Va): ბასუს – საეპისკოპოსო ადგილი არ იკითხება. სომხური (Aa): ბასოსი – სამწყსო არ არის მითითებული;

7. ბერძნული (Vg): მოვსეს – ეკელეაცსა და დარჯანში; არაბული (Va): მოსეს – ეკელეცენსა და დერზენში; სომხური (Aa): მოვსეს – სამწყსო არ არის მითითებული;

8. ბერძნული (Vg): ეუსებიუს – დარანალიქში; არაბული (Va): ეუსებიუს – დარანალიქში; სომხური (Aa): ევსებიოს – სამწყსო მითითებული არ არის;

9. ბერძნული (Vg): იოან – კარანიტისში; არაბული (Va): იოან – კარანიტისში; სომხური (Aa): იოვანეს – სამწყსო მითითებული არ არის;

10. ბერძნული (Vg): აგაპიოს – სპერში, არაბული (Va): ჰაბიბ²⁶ – სისპერიტში; სომხური (Aa): აგაპეს – სამწყსო დასახელებული არ არის;

11. ბერძნული (Vg): ალბიოს – ასპარაპეტაკანში, აგრეთვე, ტარონსა და ტაოში; არაბული (Va): ალბიოს – ასპირაპეტაკანსა და მამიკონიანთა სახლში, მას ექვემდებარებოდა ტარონი და ბასიანი; სომხურში ასეთი პიროვნება დასახელებული არ არის;

12. ბერძნული (Vg): არტიტეს – მალხაზის საუფლოში; არაბული (Va): არტიტეს – მალხაზში; სომხური (Aa): არტიტეს – სამწყსო მითითებული არ არის;

13. ბერძნული (Vg): არსუკას – შირაკში; არაბული (Va): არსუკას – შირაკში; სომხური (Aa): არსუკეს – სამწყსო მითითებული არ არის;

14. ბერძნული (Vg): ანტიოქოსი – კორდუქში; არაბული (Va): ანტიოქუსი – კორდუქში; სომხური (Aa): ანტიოქესი – სამწყსო მითითებული არ არის;

15. ბერძნული (Vg): ტირიკოს – ვანანდში, აბელიანსა და გაბელიანში; არაბული (Va): ტირიკოს – ატრპატაკანში; სომხური (Aa): ტირიკეს – სამწყსო დასახელებული არ არის;

16. ბერძნული (Vg): კკრიაკოს – არშამუნიქში; არაბული (Va): კკრიაკოს –

²⁵ იქვე, 165-166.

²⁶ ბერძნული აგაპიოსის არაბული თარგმანი.

არშამუნიქში; სომხური (Aa): კურიაკოს – სამწყსო დასახელებული არ არის.

თუმცა, ჟ. გარიტის შეხედულებით, რაც გაზიარებულია მეცნიერებაში, ბერძნული ვერსია მოდის დაკარგული სომხური ტექსტიდან, რომელიც საფუძვლად დაედო არაბულსა და დღეს არსებულ სომხურ ვარიანტებს. ვგონებ, ამ საკითხს კიდევ ბევრი და კონკრეტული კვლევა სჭირდება.

მაგალითისათვის კვლავ საქართველოსთან დაკავშირებულ ცნობებს მოვიტან:

1. აგათანგელოსის ბერძნული ვერსია გვაუწყებს, რომ გრიგოლ განმანათლებელმა თავისი პირველი მონაფე ირენარქე ეპისკოპოსად დანიშნა სებასტიანში. არაბული ვერსია კი (რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს) წერს, რომ იგივე ირენარქე, რომელიც სებასტიელი ქართველი იყო, გრიგოლმა მიტროპოლიტად გამოაგზავნა ქართლში. სომხურ ვერსიაში კი ასეთი პიროვნება საერთოდ არ არის დასახელებული. ყურადღება მივაქციოთ, რომ არაბული ვერსია მიტროპოლიტად და, აგრეთვე, ქართველად მანაც ქართლში გამოგზავნილ ირენარქე//იბირზზხუას იხსენიებს. ეს ვერსია, ჩანს, ერთგვარ ანგარიშს უწევს ქართლის სამეფოს;

2. ბერძნული ვერსიის მიხედვით გრიგოლმა კაპადოკიელი სოფრონიუსი გააგზავნა ლაზეთში, ხოლო არაბული ვერსიის ცნობით იგივე სოფრონიუსი მან აფხაზეთში დანიშნა ეპისკოპოსად, სომხური ვერსია კი საერთოდ არ იხსენიებს ასეთ პიროვნებას და ასეთ სამწყსოებს;²⁷

3. ბერძნული და არაბული ვერსიებით გრიგოლ განმანათლებელმა ალბანეთში გააგზავნა თომასი. სომხურ ვერსიაში ასეთი ცნობა არა გვაქვს.

მკითხველი ადვილად შენიშნავდა სხვადასხვა ვერსიაში გრიგოლ განმანათლებლის მიერ ხელდასმულ ეპისკოპოსთა საერთო რიცხვებში განსხვავებას: ბერძნული – 16, არაბული – 16, სომხური – 12. ბერძნულსა და არაბულს ოთხი ეპისკოპოსით მეტი აქვთ დასახელებული, ვიდრე სომხურს. ეს მეტი ოთხი ეპისკოპოსი სწორედ ის ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ეპისკოპოსია, რომლებიც ქართლს, ლაზეთს/აფხაზეთსა, ალბანეთსა და ტაოს უკავშირდებიან. მთელი ჩემი გამოცდილება სომხურ წყაროებსა და ტექსტებზე მუშაობისა მიჩვენებს, რომ გვიან დამატება უფრო მოსალოდნელია, ვიდრე პირიქით. აგათანგელოსის სომხური ვერსიის ციფრი 12 საკრალური რიცხვია, მოციქულების რაოდენობაზე მითითებით, და ეჭვი არ უნდს იყოს, რომ აგათანგელოსის პროტოვერსიაში სწორედ ამდენი ეპისკოპოსი იქნებოდა დასახელებული.²⁸

²⁷ Март, “Крещение”, 165-166.

²⁸ გვიან გრიგოლ განმანათლებლის მიერ განწესებულ სამწყსოთა რიცხვი რომ იზრდებოდა, ამას კარგად მონიშნავს უხტანესის „სომხეთის ისტორია“, რომელშიც 30 საეპისკოპოსოა (ეპისკოპოსთა სახელების გარეშე) დასახელებული (*Ուխտասնէ կախկոպոս, Պատմութիւն Հայոց* [უხტანეს ეპისკოპოსი, სომხეთის ისტორია] (Վաղարշապատ, 1871), 100), ხოლო სტეფანოს ორბელიანთან – 36. *Պատմութիւն Միասկան, արարեալ Ստեփաննոսի արքեպիսկոպոսի Միւնեաց* [სისაკანის ისტორია, შექმნილი სტეფანოს სივნიეთის ეპისკოპოსის მიერ] (Թիֆլիս,

აგათანგელოსის ქართული ვერსია კიდევ დამატებით კითხვებს აჩენს. იგი უეჭველად ბერძნული დედნიდან მომდინარეობს,²⁹ მაგრამ კავშირი არა აქვს ფ. გარიტის მიერ გამოქვეყნებულ ბერძნულ ვერსიასთან. როგორც პ. მურადიანი უჩვენებს, იგი პირდაპირ მიმართებაშია ლაგარდის მიერ გამოცემულ ვრცელ ბერძნულ ტექსტთან.³⁰

ქართული ვერსია აცხადებს, რომ გრიგოლის მიერ ხელდასხმული ეპისკოპოსების საერთო რიცხვი იყო 10 („ესრეთ იგი რიცხუ ათად აღესრულებოდა“). იგი პირველ სამ ეპისკოპოსს სახელდებითაც იხსენიებს: „ერთი იგი კიდეთა ევფრატისათა განაჩინა, რომელსა აღვინოს ენოდებოდა, ხოლო მეორე, რომელსა ერქუა ევთალიოს, სოფელსა ზედა ბასიანელთასა; და მესამე მათი იყო ვასოს“.³¹

ბერძნულ ვერსიაში ასპერაპატაკანის, ტარონისა და ტაოს ეპისკოპოსად დასახელებულია ალბიოსი. ალბიოსი დასახელებულია არაბულ ვერსიაშიც, მაგრამ მასში ტაოს ხსენება არ არის და ალბიოსი ასპერაპეტაკანთან და მამკონთან ერთად გამოცხადებულია ტარონისა და ბასეანის ეპისკოპოსად. სომხურ ვერსიაში კი არც ალბიოსის სახელია მოხსენიებული და არც ტაოა სადმე დასახელებული.

ნ. ადონცი თვლიდა, რომ ალბიანოსი და ალბიოსი ერთი და იგივე პიროვნებაა და მათი ორი სხვადასხვა სამწყსოს ეპისკოპოსად გამოცხადება რედაქტორის შეცდომაა, რომელიც სხვადასხვა წყაროს ეყრდნობა.³² მე მგონია, აგათანგელოსის ქართული ვერსია მხარს უჭერს ამ ვარაუდს, სახელის ფორმა აშკარად გარდამავალია ალბიანოსიდან ალბიოსზე: ალბიანოს > ალვინოს (ბიზანტიური ნაკითხვით) > ალბიოს.

ბერძნული და არაბული ვერსიების მიხედვით ალბიანოსის სამწყსოა ბაგრევანდი, ხოლო სომხური ვერსიის თანახმად – სამეფო სახლი. თეორიულად ეს ორი ცნობა ერთმანეთს არ გამორიცხავს და სამეფო სახლის ეპისკოპოსი შეიძლება ითავსებდეს ბაგრევანდის ეპისკოპოსობას, რადგან ეს გავარი შედარებით ახლოს არის არტაშატთან.

1911), 23. ოთხასი საეპისკოპოსოს შესახებ აღარაფერს ვამბობ, რადგან ამ ციფრს სეროიზულად არც ერთი მეცნიერი არ განიხილავს. ნ. ადონცი დარწმუნებულია, რომ მესამე საუკუნის დასაწყისში, გრიგოლ განმანათლებლის დროს საეპისკოპოსოთა რიცხვი გაცილებით უფრო მცირე იქნებოდა, ვიდრე ის რიცხვი (14), რაც დასახელებულია იმავე საუკუნის 80-იან წლებში ფავსტოსთან. Н. Адонц, *Армения в эпоху Юстиниана* (Ереван, 1971), 345.

²⁹ Л. Меликсет-Бекоев, “Грузинская версия Агафангела и ее значение для грузинской историографии”, *Христианский Восток*, том IV (Петроград, 1915), 161-163.

³⁰ Պ. Մ. Մուրադյան, *Ագաթանգեղոսի հին վրացերեն խմբագրությունները* [პ. მ. მურადიანი, აგათანგელოსის ძველი ქართული რედაქციები] (Երևան, 1982), 128-129.

³¹ ტექსტი რამდენჯერმეა გამოცემული, ვუთითებ უკანასკნელს: „ცხორებაჲ გრიგოლ პართელისაჲ“, *ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები)*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ (თბილისი, 1986), 496.

³² Адонц, *Армения в эпоху Юстиниана*, 348.

ბერძნული ვერსიით ალბიოსი არის ასპერაპეტაკანის (მხედართმთავრის სახლის) ეპისკოპოსი და ითავსებს ტარონისა და ტაოს ეპისკოპოსობას. ამავე დროს, მას დავალებული აქვს განუყრელად თან ახლდეს მეფეს და ქადაგებდეს სეფე-ქვეყანაში. ცხადია, ალბიოსის ფუნქციები ძალიან ახლოს არის სომხური ვერსიის ალბიანოსის ფუნქციებთან. ამასთანავე, წარმოდგენელია ტარონისა და ტაოს ერთ საეპისკოპოსოში გაერთიანება, იმდენად არიან ისინი ერთმანეთს დაშორებულები. სწორედ ამ გაუგებრობას ასწორებს არაბული ვერსია, რომლის მიხედვითაც ალბიოსი (ნ. მარის წაკითხვით ალვიოსი) დანიშნულია ასპირაპეტაკანსა და მამიკონიანთა სახლში, მას ექვემდებარებოდა ტარონი და ბასიანი. ტარონი და ბასიანი ერთმანეთთან ახლოს არიან და მხედართმთავრის (მამიკონიანთა) სახლის ეპისკოპოსი ადვილად გააერთიანებს მათ თავის სამწყსოში. სომხურ ვერსიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალბიოსი არ არსებობს და მის ფუნქციებს ფარავს ალბიანოსი. ასეთ შემთხვევაშიც კი ალბიანოსს (ალვინოსს) // ალბიოსს (ალვისს) არ შეიძლება კავშირი ჰქონდეს ტაოსთან: ფავსტოსისა და აგათანგელოსის ქართული ვერსიის მიხედვით იგი ეპისკოპოსად გაგზავნილია ევფრატის მხარეში („კიდეთა ევფრატისათა“), ტაოსგან უკიდურესად შორს.

მოვიდეთ „პირველსავე სიტყვასა ზედა“.

სხვადასხვა ვერსიის სიების შედარებით ვხედავთ, რომ კურიაკოსი (კირაკოსი) მართლაც არის ბერძნულ და არაბულ ვერსიებში მოხსენიებული, მაგრამ არცერთ მათგანში არ არის იგი ტაოს ეპისკოპოსად დასახელებული. უფრო მეტიც, აგათანგელოსის ბერძნულსა და არაბულ ვერსიებში იგი მოხსენიებულია, როგორც არშამუნიქის (ტურუბერანის გავარში) ეპისკოპოსი. ამიტომ დებულება, რომ „ორივეში (ბერძნულ და არაბულ ვერსიებში – ზ.ა.) ტაოს პირველი ეპისკოპოსის სახელი „კურაკოსია“, სრულ შეუსაბამობაშია წყაროების ჩვენებასთან და ამკარად ეწინააღმდეგება კიდევ მათ.

ამრიგად, ტაოს პირველი ეპისკოპოსის სახელი ჩვენ არ ვიცით. არც ის ვიცით, უნდა ვეძებოთ თუ არა მისი სახელი გრიგოლ განმანათლებლის მიერ ხელდასხმულ ეპისკოპოსებს შორის, უფრო მეტიც, ნამდვილად არც კი ვიცით, რამდენი ეპისკოპოსი უნდა ხელდასხმულიყო ან საერთოდ თუ იყვნენ ეპისკოპოსები სომხეთის ქრისტიანობაზე მოქცევის პირველსავე წლებში. ვფიქრობ, გრიგოლ განმანათლებლის მიერ განწესებული პირველი ეპისკოპოსების ავთენტური სიის (თუკი ასეთი საერთოდ არსებობდა) დასადგენად ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა წინ. ამის ნათელი დადასტურებაა რადიკალური განსხვავებები აგათანგელოსის სხვადასხვა ვერსიებს და, აგრეთვე, მოგვიანო ხანის წყაროთა სიებს შორის.

ბიბლიოგრაფია

მურადიანი პ. ტაოს იეროკრატიული წყობილების აღმოცენების გამოძახილი ადრეფეოდალურ წყაროებში. ტაო-კლარჯეთი: საერთაშორისო კონფერენცია. მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 2010

ცხორებად გრიგოლ პართელისაჲ. ძველი მეტაფრასული კრებულები (სექტემბრის საკითხავები). ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ. თბილისი, 1986

Адонц Н. Армения в эпоху Юстиниана. Ереван, 1971

Костаян С.-А. Ст. Термин **shahan** в средневековых армянских источниках. Кавказ и Византия, 1. Ереван, 1979

Март Н. Я. Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием (арабская версия). Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического общества, т. 16, 1905

Меликсет-Бекоев Л. Грузинская версия Агаѳангела и ея значение для грузинской историографии. Христианский Восток, том IV. Петроград, 1915

The Epic Histories Attributed to Pawstos Buzanda (Buzandaran Patmutiwnk). Translation and Commentary by Nina G. Garsoian. Cambridge, 1989

Garitte, Gérard. Documents pour l'étude du livre d'Agathange. Città del Vaticano, 1946

The Lives of Saint Gregory: The Armenian, Greek, Arabic, and Syriac Versions of the History Attributed to Agathangelos. Translated with Introduction and Commentary by Robert W. Thomson. Michigan, 2010

Ագաթանգեղայ Պատմութիւն Հայոց, աշխատութեամբ Գ. Տէր-Մկրտչեան եւ Ստ. Կանանյանց [აგათანგელოსის სომხეთის ისტორია, გ. ტერ-მკრტიჩიანისა და სტ. კანანიანცის გამოცემა], Տիֆլիս, 1909

Հ. Աճարյան, Հայոց անձնանունների բառարան, Բ[3]. აჭარიანი, სომხურ სახელთა ლექსიკონი, 2], ერეւան, 1944

Մուրադյան, Պ. Մ. Ագաթանգեղոսի հին վրացերեն խմբագրությունները [პარუირ მურადიანი, აგათანგელოსის ძველი ქართული რედაქციები], ერეւან, 1982

Ուխտանէս եպիսկոպոս, Պատմութիւն Հայոց [უხტანეს ეპისკოპოსი, სომხეთის ისტორია], Վաղարշապատ, 1871

Պատմութիւն Սիսական, արարեալ Ստեփաննոսի արքեպիսկոպսի Սինեսաց [სისაკანის ისტორია, შექმნილი სტეფანოს სივნიეთის ეპისკოპოსის მიერ], Թիֆլիս, 1911

Փավստոս Բուզանդ, Հայոց պատմություն. Թարգմանություն, ներածություն եւ ծանոթություններ Ստ. Մալխասյանցի [ფავსტოს ბუზანდ, სომხეთის ისტორია, შესავალი და კომენტარები სტ. მალხასიანცისა], ერეւან, 1947

Փավստոսի Բուզანդացու Պատմութիւն Հայոց [ფავსტოს ბუზანდაცის სომხეთის ისტორია], Թიֆლի, 1913

II

როდის ეწვია უხტანესი თბილისს?

დავით მუსხელიშვილი

სომეხ ისტორიკოსს უხტანესს, ქართველთა და სომეხთა ეკლესიური განხეთქილების შესახებ დაწერილი თხზულების ავტორს, რომელიც სათანადო მასალების შეგროვების მიზნით საქართველოში, კერძოდ, თბილისში ჩამოვიდა და ცურტავიც არაერთხელ მოინახულა, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობები აქვს შემონახული. ასე მაგალითად, თავისი ნაშრომის მე-18 თავში, რომელსაც ეწოდება – „ცურტავის, იქ მყოფი პიტიახშისა და ქართველთა შესახებ“ – წერს: „ცურტავს ეს სახელი... მაშინ (პიტიახშის იქ ყოფნის დროს, დ. მ.) ერქვა, ხოლო ეხლა ეწოდება გაჩიანი... ახლა შემცირებული და ზომიერი დაბა-ქალაქია მდინარის პირზე, რომელსაც ეწოდება მდინარე გაჩენი, მხარეში, რომელსაც ქართველთა ველი („ვრაც დაშტ“) ჰქვია, რომელიც შუა საზღვარია სომეხთა და ქართველთა ქვეყანას შორის, გასცქერის პირდაპირ კავკასის მთას, რომელიც ესაზღვრება საკვირველნაშენ და საოცარ, სახელოვან და გამოჩენილ დიდ დედაქალაქს თბილისს. ცურტავი სამკვიდრებელი იყო გუგარელთა დიდი პიტიახშის, ჩრდილოეთის მხარეთმცრობელისა...

ის პიტიახში ყოფილა ჩამომავალი მირდატ დარეჰის მთავრის, როგორც გვაუწყებს ჭეშმარიტების მთხრობელი მოსე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა მოიყვანა და მთავრად დატოვაო ტყვე იბერიელთა ტომებზე, რომლებიც მოიყვანა ნაბუქოდონოსორმა... მათი ნაწილი პონტოს ზღვის მარჯვენა ნაპირს წაასხა და დაასახლაო, ამბობს ისტორიკოსი (მოვსეს ხორენაცი, დ. მ.)... ხოლო პონტოს ნაპირზე რომ დასახლდა, ის ტომი აღორძინდა, გამრავლდა ზღვის პირას ამიერ და იმიერ, მოედო იმ მხარეს და გავრცელდა სომეხთა და ალბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება. ურიცხვია სახელი თვითეული ხევისა... რომლებიც თბილისის გარშემოა, რომელთაც ეწოდებათ: წანარეთი, ჯავახეთი, თრიალეთი. ითესლეს და გამრავლდნენ და გახდა ხალხი, რომელსაც... ივერიელები (ქართველები) ეწოდებათ“.¹

¹ ზაზა ალექსიძე, „ჯავახეთი და გუგარეთი ძველ სომეხ ისტორიკოსთა პოლიტიკურ ცნობიერებაში“, *მრავალთავი*, 21 (2005), 270.

სომეხი ისტორიკოსის ეს ცნობა, შუა საუკუნეების ჯავახეთისა და მისი მოსახლეობის პოლიტიკური და ეთნიკური ატრიბუციის თვალსაზრისით, დ. ბერძენიშვილმა გამოიყენა.² უხტანესის იგივე ჩვენება უფრო ფართო ასპექტით გააანალიზა ზ. ალექსიძემ და სავსებით სწორი დასკვნა გამოიტანა, რომ ამ ისტორიკოსის მიხედვით, ქვემო ქართლში (გუგარეთში), კახეთში (ნანარეთში), თრიალეთში, ჯავახეთში და არა მხოლოდ ამ „ხევეზში“, არამედ, ფაქტობრივად, საერთოდ მთელს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში – „ამიერ და იმიერ“ – ნაბუქოდონოსორის დროიდან, ე. ი. მაინცდამაინც, ძვ. წ. VI ს-დან ქართველები ცხოვრობენ.³

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ უხტანესი ტერმინს – „ქართველები“ („ვრაციქ“) – ხმარობს არა ტომობრივი, არამედ კულტურულ-პოლიტიკური შინაარსით. ჩვენ ვიცით, რომ ეს ტერმინი ასეთ ზოგადეროვნულ მნიშვნელობას IX-X სს-დან მაინც იძენს.⁴ რადგან ნაბუქოდონოსორის მიერ მოყვანილი ქართველები „გავრცელდნენ სომეხთა და აღბანთა საზღვრამდე, შეიქმნა ფრიად მრავალი ხალხი და იმ ქვეყანას აფხაზეთი ეწოდება“, ცხადი უნდა იყოს, რომ უხტანესს არა მხოლოდ მეგრულ-სვანები, არამედ აფხაზეთიც იბერიელებად („ვრაციქ“) მიაჩნია. არა აქვს მნიშვნელობა, ამას შეცნობილად აკეთებს თუ ინფორმატორის ცნობის მექანიკური გამეორების შედეგად. ფაქტია, რომ სომეხი ისტორიკოსის დროინდელი ინტელექტუალური საზოგადოება თვლიდა, რომ მთელს საქართველოს ტერიტორიაზე კახეთიდან ჯიქეთამდე ქართველები სახლობენ! ეს კი მონიშნავს, რომ უხტანესის დროს ქართველი ერი, როგორც კულტურულ-პოლიტიკური ერთობა, უკვე არსებობს.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანას, სადაც ქართველები ცხოვრობენ, „აფხაზეთი“ ეწოდება, სწორია ზ. ალექსიძის მეორე დასკვნაც: „არავითარი ეჭვი არ არის, რომ აქ უხტანესი ლაპარაკობს ერთიანი საქართველოს შესახებ, რომელსაც, იმის გამო, რომ ქართველ მეფეთა ტიტულატურას აფხაზეთი იწყებს („მეფე აფხაზეთა, ქართველთა...“), უცხოელები ხშირად აფხაზეთს უწოდებდნენ, ხოლო მისი დედაქალაქია თბილისი“.⁵

ეს ასეა, მაგრამ აქ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა გასათვალისწინებელი:

რამდენადაც უხტანესი X ს-ის ისტორიკოსად ითვლება, რომელიც თავის თხზულებას ამ საუკუნის 80-იან წლებში წერს,⁶ ხოლო ამ დროს არც ერთიანი სა-

² დევი ბერძენიშვილი, „ისტორიის შეცნობილი გზები“, ანალები, 1 (2004), 68.

³ ალექსიძე, „ჯავახეთი და გუგარეთი“, 271.

⁴ დავით მუსხელიშვილი, „ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის“, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, რედ. გ. პაიჭაძე (თბილისი, 1993), 369.

⁵ ალექსიძე, „ჯავახეთი და გუგარეთი“, 271.

⁶ უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი

ქართველო არსებობს და არც თბილისია მისი დედაქალაქი, გაუგებარია, როგორ უნდა აიხსნას სომეხი ისტორიკოსის ეს უდავოდ ავთენტიკური ინფორმაცია?

საქმე ის არის, რომ უხტანესმა, როგორც ჩანს, გარკვეულწილად იცოდა „ქართველთა წიგნი და ენა“⁷ და ამდენად თბილისში ან ცურტავში ყოფნის დროს, მისთვის საინტერესო პრობლემისათვის მასალების მოძიებისას, შეიძლება გასცნობოდა ჯუანშერის თხზულებას ვახტანგ გორგასლის შესახებ (რომელიც, ჩემი აზრით, VIII ს-ის შუახანშია დაწერილი)⁸ და იქ ამოეკითხა, ანდა ზეპირი ინფორმაცია მოესმინა „შუშანიკის დროინდელი“, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს მომცველი ერთიანი ქართლის სამეფოს არსებობის შესახებ დედაქალაქით თბილისში.⁹ ასეთ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველთა ოდინდელი სახელმწიფოებრივი ერთიანობის ტრადიცია ცოცხლად იყო შემონახული უხტანესის დროს. სხვაგვარად მე ვერ ავხსნი X ს-ის მიწურულისათვის ფიქსირებულ ამ ფაქტს.

მაგრამ არის კი უხტანესი X ს-ის მეორე ნახევრის მოღვაწე?

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში ცნობილი ბელგიელი ქართველოლოგი პ. პეტერსი აღნიშნავდა, რომ უხტანესის პიროვნების, მოღვაწეობის, ცხოვრების დროისა და ვითარების შესახებ სრულიად არაფერია ცნობილი, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებიც თხზულების შესავალშია მის მიერვე გადმოცემული. „შესავალი“ X ს-ის ცნობილი სომეხი საეკლესიო მოღვაწის ანანია ნარეკელისადმი მიმართული წერილის სახითაა დაცული, რომელშიც აღნიშნულია, რომ უხტანესმა თავისი პოლემიკური თხზულება, ქართველთა საწინააღმდეგოდ, სწორედ ანანია ნარეკელის არაერთგზისი თხოვნის შედეგად დაწერა. ეს ავტობიოგრაფიული ნაწილი ისეთი ჩახლართული მრავალსიტყვაობითაა შეთხზული, რომ მ. ბროსემ უხტანესის თხზულების მისეულ ფრანგულ თარგმანში არც კი შეიტანა.¹⁰

საბოლოო ჯამში, პ. პეტერსმა უხტანესის თხზულების ეს „შესავალი“, ფაქტობრივად, ნაყალბევად გამოაცხადა. მისი აზრით, უნდობლობა კიდევ უფრო იზრდება საკუთრივ თხზულების განხილვისას, რომლის პირველი ნაწილი კაცობრიობის ისტორიის რეტროსპექტული მიმოხილვაა, დაწყებული ადამიდან, სომეხი ეთნარქებისა და მეფეების ჩათვლით, ვიდრე თრდატ III-მდე და რომელიც, რა თქმა უნდა, თავიდან ბოლომდე კომპილაციას წარმო-

ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ (თბილისი, 1975), 227, 234.

⁷ უხტანესი, *ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან*, 37, 236, 237.

⁸ დავით მუსხელიშვილი, „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის შედგენილობა და ჯუანშერის თარიღი“, *საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში*, რედ. დ. მუსხელიშვილი (თბილისი, 1999), 84-87.

⁹ დავით მუსხელიშვილი, *საქართველო IV-VIII საუკუნეებში* (თბილისი, 2003), 161, 169.

¹⁰ Paul Peeters, „Sainte Sousanic martyre en Arméno-Géorgie,“ *Analecta Bollandiana*, T. LIII, Fasc. III et IV (Bruxelles, 1935), 248.

ადგენს.¹¹ პ. პეეტერსის აზრით, ამ „ისტორიული ხარახურის“ დანიშნულება ის არის, რომ თხზულების პოლემიკურ ნაწილს ნათელი ერუდიციის ატმოსფერო შესძინოს, სხვა გამართლება მას არა აქვს. რაც შეეხება ძირითად (მეორე) ნაწილს, მიუღებელია იმ აზრის გაზიარება, რომ იგი ანანია ნარეკელის ინიციატივით არის შექმნილი, რადგან ნარეკის მონასტერი, სადაც ანანია X ს-ის მეორე ნახევარში მოღვაწეობდა, ბერძნული კულტურის ინტელექტუალურ კერას წარმოადგენდა და დიოფიზიტური ქართული ეკლესიის გამტყუნება ამ მონასტერში გაბატონებული სულისკვეთების საწინააღმდეგო იყო. ამიტომ პ. პეეტერსის აზრით, უხტანესის ეს ანტიდიოფიზიტური პოლემიკური თხზულება გაცილებით უფრო გვიან, კერძოდ, XII ს-ში უნდა შექმნილიყო, როდესაც დავით აღმაშენებლის, გიორგი III და თამარ მეფის დროს საქართველოს ბრწყინვალე აყვავების პერიოდი დაუდგა და ქართულმა ეკლესიამაც, დამცრობილ სომხურ ეკლესიასთან შედარებით, პოლიტიკური სიტუაციის შესატყვისი პრესტიჟი შეიძინა. ბუნებრივია, ქართული რენესანსის პირობებში, სომეხ ქალკედონელთა ამბიციებიც გაიზრდებოდა. საფიქრებელია, რომ უხტანესის წიგნი სწორედ ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ შეიქმნა. ამგვარად, იგი ეკუთვნის გვიანდელ პოლემისტს, რომელმაც თავისი პასკვილი ძველი ავტორის სახელით გამოაქვეყნა.¹²

ასეთია, არსებითად, პ. პეეტერსის შეხედულება ამ თხზულებასთან და მის ავტორთან დაკავშირებით, რომელსაც იგი ფსევდოუხტანესს უწოდებს.

ეს კრიტიკა ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ფაქტობრივად, არ არის გაზიარებული,¹³ თუმცა არც ხელაღებითაა უარყოფილი¹⁴.

ზემოთ უკვე მივუთითე, რომ ზოგიერთი ისტორიული რეალია პ. პეეტერსის კონცეფციას მხარს უნდა უჭერდეს, კერძოდ ის, რომ X ს-ის 80-იანი წლებისათვის არც ერთიანი საქართველო არსებობს და თბილისიც არა საქართველოს, არამედ არაბთა საამიროს დედაქალაქია.

გარდა ამისა:

1. უხტანესი X ს-ის ბოლოს რომ ყოფილიყო თბილისში, თანაც ხანგრძლივი დროით,¹⁵ ძნელი წარმოსადგენია მას ცალი სიტყვიტაც კი არ აღენიშნა, რომ ქართველთა ეს „საკვირველნაშენი და საოცარი, სახელოვანი და გამოჩენილი დიდი დედაქალაქი“ არაბი ამირების რეზიდენციას წარმოადგენს, რომელთაც აქ, რა თქმა უნდა, თავიანთი სასახლეც და შესაფერისი სამხედრო-ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურაც გააჩნდათ. ამ დროისათვის ცნობილია ჯაფარიანთა

¹¹ M. Brosset, *Deux historiens arméniens; Kirakos de Gantzac XIII^e s., Histoire d'Arménie; Oukhtanés d'Ourha, X^e s., Histoire en trois parties*, 1^{re} Livraison (St. Petersburg, 1870), 206-276.

¹² Peeters, "Sainte Sausanic," 248-260.

¹³ უხტანესი, *ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან*, 228-234.

¹⁴ იქვე, 235.

¹⁵ იქვე, 237.

დინასტიის ორი წარმომადგენელი: ჯაფარ იბნ მანსური და ალი იბნ ჯაფარი.¹⁶

2. ასევე შეუძლებელია X ს-ის ბოლოსთვის უხტანესს კახეთისთვის, რომელიც ამ დროს ცალკე დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა და რომლის დასავლეთის საზღვარი შიდა ქართლთან მდ. ქსანზე გადიოდა, „აფხ-აზეთის“ (საქართველოს) ერთ-ერთი „გავარი“ („ხევი“) ეწოდებინა.

3. X ს-ის 80-იან წლებში (მხითარ აირივანეცის მიხედვით 981 წელს)¹⁷ წარმოიქმნა სომეხ კვირიკიანთა ე.წ. „ტაშირ-ძორაგეტის სამეფო“ ცენტრით სამშვილდეში, რომლის ფარგლებში შედიოდა „ვრაც დაშტი“ („ქართველთა ველი“) და ე.ი. დაბა-ქალაქი ცურტავიც, სადაც უხტანესი საგანგებო მისიით – შუშანიკის წამების შესახებ ცნობების „ნიგნით და ზეპირი“¹⁸ გადმოცემებით შესაგროვებლად – „მრავალჯერ მისულა და მთხვეულა წმიდა ადგილს“¹⁹ მისი სამარტვილისას. ეჭვი არ არის, ამ დროს „ტაშირ-ძორაგეტის სამეფოში“ სომხური ეკლესია სომხური ენით უნდა ყოფილიყო გაბატონებული, რისი შედეგიც იყო ნაწილობრივ ის, რომ ჯერ კიდევ XVIII ს-ის დასაწყისში „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“.²⁰ უხტანესის მისიაც სწორედ ის იყო, დაემტკიცებინა, რომ ამ მხარეში ძველთაგანვე სომხური ლიტურგია იყო გავრცელებული და, საფიქრებელია, ის რომ X ს-ის მიწურულის მოღვაწე ყოფილიყო, თავისი ამოცანის სასარგებლო არგუმენტაციისათვის ამ ფრიად ხელსაყრელ ვითარებას აღუნიშნავს არ დასტოვებდა.

ამგვარად, სწორი უნდა იყოს პ. პეტერსი, როდესაც უხტანესს XII ს-ის ისტორიკოსად მიიჩნევს. საქართველო ამ დროს, მართლაც, გაერთიანებულია და ამ ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქი თბილისია.

მაგრამ თითქოს შესაძლებელია იმის დაზუსტებაც, თუ როდის უნდა ყოფილიყო უხტანესი თბილისში.

დავით აღმაშენებელმა 1122 წლის იანვარში თბილისი აიღო. ცხადია, ეს უნდა იყოს *terminus ante quem non*. 1124 წლის აგვისტოში კი სომხეთის დედაქალაქის, ანისის თავკაცთა მოციქულნი მოვიდნენ დავითთან და „მოაჴსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა... წარემართა (დავით) და ვითარცა მიიწია, მესამესა დღესა აიღო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი უჭირველად და სოფელნი და ქუეყანანი მიმდგომნი ანისისანი“.²¹ ეს ნიშნავდა სომხეთის

¹⁶ მარიამ ლორთქიფანიძე, „თბილისის საამიროს ისტორიიდან“, *მიმომხილველი*, II (1951), 197.

¹⁷ M. Brosset, *Histoire chronologique par Mkhitar d' Airivank*, XIII^e s., (St. Petersburg, 1869), 88; მ. აირივანეცი, *ქრონოგრაფიული ისტორია*, სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე-ტატიშვილმა (თბილისი, 1990), 74.

¹⁸ უხტანესი, *ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან*, 199.

¹⁹ იქვე, 69.

²⁰ ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* (თბილისი, 1941), 37.

²¹ *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 344-345.

დიდი ნაწილის შემოერთებას, რომელიც ამიერიდან, ფაქტობრივად, საქართველოსგან განუყოფელი გახდა მთელი XII-XIV საუკუნეების განმავლობაში და, ვფიქრობ, უხტანესის დროსაც რომ ასე ყოფილიყო, იგი არც ამ მნიშვნელოვან ფაქტს დატოვებდა ყურადღების გარეშე. ამიტომ სომხეთის ინკორპორაცია უნდა იყოს *terminus post quem non* ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის.

სავარაუდოა, რომ უხტანესი თბილისში 1122 წლის იანვარსა და 1124 წლის აგვისტოს შორის იმყოფებოდა და როგორც აქ, ისე ცურტავში მისთვის საინტერესო მასალებს აგროვებდა.

ბიბლიოგრაფია

ალექსიძე ზაზა. ჯავახეთი და გუგარეთი ძველ სომეხ ისტორიკოსთა პოლიტიკურ ცნობიერებაში. მრავალთავი, 21, 2005

ბერძენიშვილი დევი. ისტორიის შეცნობილი გზები. ანალები, 1, 2004

ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბილისი, 1941

ლორთქიფანიძე მარიამ. თბილისის საამიროს ისტორიიდან. მიმომხილველი, II, 1951

მუსხელიშვილი დავით. ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. კრებ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“. თბილისი, 1993

მუსხელიშვილი დავით. „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნაწილის შედგენილობა და ჯუანშერის თარიღი. კრებ. „საქართველო ვახტანგ გორგასლის ეპოქაში“. თბილისი, 1999

მუსხელიშვილი დავით. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბილისი, 2003

უხტანესი. ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბილისი, 1975

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955

Brosset M. Histoire chronologique par Mkhitar d' Airivank. XIII^e s. St. Petersbourg, 1869

Brosset M. Deux historiens arméniens. Kirakos de Gantzac XIII^e s., Histoire d' Arménie; Oukhtanés d' Ourha. X^e s., Histoire en trois parties. 1^{re} Livraison. St. Petersbourg, 1870

Peeters, Paul. Sainte Sousanic martyre en Arméno-Géorgie. Analecta Bollandiana. T. LIII. Fasc. III et IV. Bruxelles, 1935

III

მანასკერტის ბრძოლა და საქართველო-სელჩუკების ურთიერთობების ზოგიერთი ასპექტი XI ს. 60-იან წლებსა და 70-იანი წლების დამდეგს

ზურაბ პაპასკირი

თურქ-სელჩუკებმა და ზოგადად სელჩუკურმა სამყარომ, გარკვეულ ეტაპზე, მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ოღუზ-სელჩუკთა მომთაბარე ტომებმა, მას მერე, რაც დატოვეს თავიანთი პირველსაცხოვრისი ცენტრალურ აზიაში და თანდათანობით დასავლეთის მიმართულებით გადაადგილდნენ, უკვე XI ს. შუახანებისათვის უძლიერესი სახელმწიფო – დიდ სელჩუკთა სასულთნო შექმნეს,¹ რომელიც ფაქტობრივად მთელ მახლობელ აღმოსავლეთზე გაბატონდა და რეგიონში მთავარ პოლიტიკურ მოთამაშედ იქცა. საქართველო სელჩუკთა სამხედრო-პოლიტიკური ინტერესების არეალში იმ დროიდან მოექცა,² როდესაც მათ კავკასიის სამხრეთ საზღვრებს მიაღწიეს.³ XI ს. 60-იანი წლებიდან კი, სელჩუკები

¹ სელჩუკთა სახელმწიფოს ფორმირების შესახებ იხ. А.Ю. Якубовский, “Сельджукское движение и туркмены в XI в.”, *Известия АН СССР, Отделение общественных наук*, 4 (Москва-Ленинград, 1937), 921-946; Б. Н. Заходер, “Хорасан и образование государства Сельджуков”, *Вопросы истории*, 5-6 (1945), 119-141; С.Г. Агаджанов, *Очерки истории огузов и туркмен Средней Азии IX-XIII вв.* (Ашхабад, 1969), 211-220; Т. Ходжаниязов, *Денежное обращение в государстве Великих Сельджуков* (Ашхабад, 1977), 11-18; Т.Т. Райс, *Сельджуки. Кочевники – завоеватели Малой Азии*, пер. с англ. О. И. Миловой (Москва, 2004), 17-35; ნოდარ შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში* (თბილისი, 1968), 266-302.

² ერთ-ერთი ქართული წყაროს მონაცემებით, ბაგრატ IV ჯერ კიდევ 1029 წლის ახლო ხანებში დასხმია თავს სელჩუკთა რაზმებს (*ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გადმოცემული თედო ჟორდანიას მიერ*, I (ტფილისი, 1892), 169), რაც მკვლევრებს რამდენადმე საეჭვოდ მიაჩნიათ. ვარაუდობენ, რომ პირველ შეტაკებას სელჩუკებსა და ქართველებს შორის ადგილი უნდა ჰქონოდა არაუადრეს 1032-1034 წლებსა. შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 172-173.

³ ზოგიერთი სომხური წყაროს (მათეოს ურჰაეცი, ვარდან არველცი) თანახმად, სელჩუკები თითქოს პირველად შემოიჭრნენ კავკასიის სამხრეთ რეგიონებში ჯერ კიდევ 1016 წელს, მაგრამ, როგორც გაარკვიეს მკვლევრებმა, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. რეალურად სელჩუკები კავკასიაში უნდა გამოჩენილიყვნენ 1032-1034 წლებში. იხ. С. Г. Агаджанов,

კავკასიის სიღრმეში თანმიმდევრულად მიიწვედნენ და აქ არსებულ პოლიტიკურ ერთეულებზე, მათ შორის საქართველოზეც, სულ უფრო აძლიერებდნენ ზენოლას.

ისტორიოგრაფიაში მიიჩნევა, რომ საქართველო-სელჩუკების ურთიერთობა – მხოლოდ და მხოლოდ განუწყვეტელი სამხედრო დაპირისპირებაა. მაგრამ, როგორც ირკვევა, ამგვარი შეფასება მთლად მართებული არაა და თვით პერმანენტული სამხედრო შეტაკებების პერიოდშიც კი ადგილი ჰქონდა ერთგვარ შერბილებას საქართველო-სელჩუკების ურთიერთობებში. უფრო მეტიც, იყო შემთხვევები, როდესაც ქართველი და სელჩუკი ლიდერები საერთო ენას პოულობდნენ და შეთანხმებულად გამოდიოდნენ საერთაშორისო არენაზე. ამგვარი თანამშრომლობის ერთ-ერთ მაგალითად მიგვაჩნია *მატიანე ქართლისაჲდ წოდებულ XI ს. ქართულ ქრონიკაში* დაფიქსირებული ფაქტი, რომლის მიხედვითაც იკვეთება სამოკავშირეო ურთიერთობები საქართველოს მეფესა და სელჩუკთა სულთან ალფ-არსლანს შორის მანასკერტის ომის წინ.

აქვე საგანგებოდ უნდა განვმარტოთ, რომ ვარაუდი ბაგრატ IV-სა და ალფ-არსლანს შორის ალიანსის შესაძლო დამყარების შესახებ, ჩვენ მიერ ჯერ კიდევ 1991 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში იყო გამოთქმული,⁴ რომელიც ჩვენი სადოქტორო დისერტაციის⁵ III თავს წარმოადგენდა. მოგვიანებით, ეს თვალსაზრისი რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაშიც დაფიქსირდა.⁶ მიუხედავად ამისა, აღნიშნული ჰიპოთეზა, სამწუხაროდ, პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა.⁷ ამ გარემოებამ გვიბიძგა, სპეციალური მოხსენებით (მასში ადრე გამოქვეყნებული მასალა მნიშვნელოვნადაა გადამუშავებული და შევსებული) გამოვსულიყავით სელჩუკთა პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც ქ. კაისერში (თურქეთის რესპუბლიკა) 2010 წლის სექტემბერში ჩატარდა.⁸

К.Н. Юзбашьян, “К истории тюркских набегов на Армению в XIв.”, *Палестинский сборник*, 13(76) (1965), 145-158; შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 165-170.

⁴ ზურაბ შაპასკირი, *შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში* (თბილისი, 1991), 20-24.

⁵ З. В. Папаскири, “Международное положение средневековой Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.)”, *Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук в форме научно-го доклада* (Тбилиси, 1991).

⁶ З. В. Папаскири, *От Давида до Давида. Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв.* (Тбилиси, 2001), 92-95. ელექტრონული ვერსია: [http:// sites.google.com/site/zpaspakiri /publications-georgian](http://sites.google.com/site/zpaspakiri/publications-georgian). იხ. აგრეთვე, მარიამ ლორთქიფანიძე, ზურაბ შაპასკირი, „საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში“, *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, I (თბილისი, 1998), 251.

⁷ მაგალითად, იხ. გიული ალასანია, „თურქ-სელჩუკებთან ქართველების ურთიერთობების ადრეული გამოცდილება“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XII (თბილისი, 2010), 33-40.

⁸ З. В. Папаскири, “Манцикертское сражение и некоторые аспекты грузино-сельджукских

წარმოდგენილი სტატია სწორედ ამ სიმპოზიუმზე (რუსულ ენაზე) ნაკითხული მოხსენების (ზოგიერთი ჩამატებით) ქართული ვარიანტია.

მანასკერტის ბრძოლა სავსებით სამართლიანად ითვლება მნიშვნელოვან გარდატეხის ეტაპად „არა მარტო მახლობელი აღმოსავლეთის, არამედ, რამდენადმე, თვით მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისითაც... ამ დროს საბოლოოდ გაირკვა მახლობელ აღმოსავლეთში ძირითადი დომინირებული ძალის საკითხი: ასეთ ძალას, ამ დროიდან მოყოლებული ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თურქ-სელჩუკები წარმოადგენდნენ“.⁹ გამოჩენილი რუსი ბიზანტინოლოგის ა. ვასილიევის დასკვნით, “с этих пор Византия перестаёт быть мировой державой средневековья”.¹⁰ რუსული ბიზანტინისტიკის მეორე დიდი წარმომადგენლის, აკად. თ. უსპენსკის აზრით, მანასკერტთან განცდილი სამხედრო კატასტროფა “имело важное значение не для одной Византии, но и для всего христианского мира”.¹¹ ცნობილი ფრანგი ბიზანტინოლოგის პ. ვიიშარის შეხედულებითაც, ბიზანტიის იმპერიამ ამ მარცხით საბოლოოდ დაკარგა “и имя, и престиж, и авторитет в вопросе ведения дел христианства и уж совсем была не способна вести войну против мусульман”.¹² მართალია, მსოფლიო ბიზანტინისტიკის ზემოთ დასახელებული კლასიკოსებისაგან განსხვავებით, ცალკეული მეცნიერები (კ. კაენი, ჟ. შენე, ა. მოხოვი) სულაც არ თვლიან მანასკერტთან განცდილ მარცხს ბიზანტიის იმპერიის სამხედრო ძღვევამოსილების საბოლოო კრახად,¹³ მაგრამ ეს თვალსაზრისი ნაკლებად დამაჯერებლად გვეჩვენება. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია, ამიერიდან ბიზანტიის იმპერია უკვე ვერ აჩერებდა სელჩუკთა წინსვლას დასავლეთის მიმართულებით და მათაც, სულ ცოტა ხანში, ხმელთაშუა და მარმარილოს ზღვების სანაპიროებსაც მიაღწიეს.¹⁴ ამავე ხანებში სომხური ტე-

взаимоотношений в начале 70-х годов XI века”, *Uluslar Arası Büyük Selçuklu Sempozyumu*, 26-30 Eylül 2010, Erciyes Üniversitesi (Kayseri, 2010), მოხსენებათა თეზისები რუსულ ენაზე; Z. Papaskiri, “Malazgirt Muharebesi 11. Yüzyılın 70’li yıllarında Selçuklu-Gürcü İlişkileri,” *Uluslar Arası Büyük Selçuklu Sempozyumu*. 26-30 Eylül 2010, Erciyes Üniversitesi (Kayseri, 2010), მოხსენებათა თეზისები (თურქულ ენაზე).

⁹ შოთა მესხია, „ძღვევა საკვირველი“, *საისტორიო ძიებანი*, III (თბილისი, 1986), 50.

¹⁰ А.А. Васильев, *Лекции по истории Византийской империи*, I (Петроград, 1914), 348; С.Б. Дашков, *Императоры Византии* (Москва, 1996), ელექტრ. ვერსია: <http://www.sedmitza.ru/text/434532.html>.

¹¹ Ф. И. Успенский, *История Крестовых походов* (Санкт-Петербург, 1900-1901), ელექტრ. ვერსია: http://enoth.narod.ru/Crusades/Crusade_Usp01.htm.

¹² П. Виймар, *Крестовые походы: миф и реальность священной войны*, пер. Д. А. Журавлевой (Санкт-Петербург, 2003), ელექტრ. ვერსია: <http://krotov.info/history/12/misho/vijmar.html#4>.

¹³ Clod Cahen, “La campagne de Mantzikert d’après les sources musulmanes,” *Byzantion*, 9 (1934), 64-67; Jean-Claude Cheynet, “Mantzikert: un desastre militaire?” *Byzantion*, 50 (1980), 432-434. მითითებულია: А. С. Мохов, “Византийская армия в правление Романа IV Диогена (1068-1071 гг.)”, *Античная древность и средние века*, 34 (Екатеринбург, 2003), 292-293.

¹⁴ შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 269.

რიტორიების დაპყრობაც დასრულდა, რის შედეგადაც საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან უშუალოდ სელჩუკთა დიდი სასულთნო დაუმეზობლდა. პარალელურად, სელჩუკებმა დაამყარეს რა კონტროლი შირვან-დარუბანდზე, მნიშვნელოვნად განიმტკიცეს პოზიციები მთელს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში.¹⁵

მოვლენების ამგვარი განვითარება, ბუნებრივია, ნეგატიურად აისახებოდა საქართველოს სამეფოს – უძლიერესი მაჰმადიანური იმპერიის პირისპირ მდგარი რეგიონში ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფოს – საერთაშორისო მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, საქართველოს სამეფო კარი ბიზანტიის იმპერიას მაქსიმალურად მხარში უნდა ამოსდგომოდა და არ დაეშვა სელჩუკების შემდგომი გაძლიერება. მაგრამ, როგორც ირკვევა, მანასკერტის ბრძოლის წინ სულთან ალფ-არსლანსა და ბაგრატ IV-ს შორის საკმაოდ მეგობრული ურთიერთობები დამყარებულა. *მატიანე ქართლისაჲს* ცნობით, „მოგზავნა სულტანმან სარანგი ალხაზი, და მისითა შუა-მდგომლობითა და სიტყვითა სულტანისათა დაეზავა ბაგრატ და განუტევა ფადლონ, და გაგზავნა საჯელმწიფოსა თუსსა განძას. და წარჰყვა სარანგი თანა. და მოართუნეს გაგით კლიტენი, და აღილო აფხაზთა მეფემან გაგი“.¹⁶ ანუ სელჩუკთა სულთანმა არა თუ არ წამოიწყო დამსჯელი ექსპედიცია ბაგრატ IV-ის წინაამდგემ, რომელმაც შეიპყრო სულთნის მთავარი მოკავშირე და ვასალი – განძის ამირა ფადლონ II,¹⁷ არამედ რატომღაც თვალი დახუჭა საქართველოს მეფის ამ აშკარად გამომწვევ ქმედებაზე და, უწყალობა რა ბაგრატ მეფეს გაგის ციხე-ქალაქი, ფაქტობრივად, მასთან ერთგვარ გარიგებაზე წავიდა.

რითი უნდა აიხსნას სელჩუკთა ძლევამოსილი სულთნის ამგვარი ლოიალური რეაქცია საქართველოს მეფის მიერ სელჩუკთა ერთგული მსახურის დატყვევებაზე? წყაროებში არ მოგვეპოვება არავითარი მინიშნება სულთნის მხრიდან „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის მიმართ გამოჩენილი დიდსულოვნების მოტივებზე. ბოლო დრომდე არც ისტორიოგრაფიაში ყოფილა ალფ-არსლანის ამ ერთგვარი დიპლომატიური რევერანსის მიზეზების გარკვევის მცდელობა. ერთადერთი ახსნა, რომელიც შეიძლება მოეძებნოს სელჩუკთა დიდი სულთნის ნაბიჯს, ჩვენი აზრით, უნდა ვეძიოთ მანასკერტის ომის – ორ იმპერიას შორის გადამწყვეტი შეტაკების – წინ ბიზანტია-სელჩუკების ფრონტზე შექმნილ ვითარებაში. მაგრამ სანამ ამ საკითხს უშუალოდ შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ საკუთ-

¹⁵ იქვე, 302; პ. თოფურია, *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში* (თბილისი, 1975), 132.

¹⁶ *მატიანე ქართლისაჲს*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I (თბილისი, 1955), 313-314.

¹⁷ ფადლ II აბუ-ლ-ასვარ შაბურ I (1067-1073).

რივ საქართველო-სელჩუკების სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების პერიპეტეიები XI ს. 60-იან წლებსა და 70-იანი წლების დამდეგს.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, დიდ პოლიტიკაში სელჩუკების გამოჩენამ მნიშვნელოვანწილად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მახლობელ აღმოსავლეთში. სელჩუკთა სასულთნოს სახით, რომელიც ძირითადად გაფორმდა ყოფილი სასანური ირანისა და სამხრეთ-ამიერკავკასიის ტერიტორიებზე XI ს. 40-50 წლებში, შეიქმნა უძლიერესი ზესახელმწიფო, რომელიც, ერთი ხანობა, საერთაშორისო ურთიერთობებში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე სელჩუკების გავლენა შესამჩნევი ჯერ კიდევ XI ს. 30-იანი წლებიდან გახდა. თავდაპირველად ეს მკაფიოდ 1037-1038 წლებში დაფიქსირდა, როდესაც არაბი ავტორის იბნ ალ-ასირის ცნობით, სწორედ თურქ-ოღუზთა შემოსევის საფრთხემ ბაგრატ IV აიძულა მოეხსნა თბილისის ალყა.¹⁸

XI ს. 40-იანი წლებიდან, მას მერე, რაც მომთაბარეთა თავდასხმებმა სომხეთზე და აზერბაიჯანზე სისტემატური ხასიათი მიიღო, სელჩუკებისაგან მომდინარე საფრთხე კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა. საქართველოს სამეფო კარი, ბუნებრივია, ვერ დარჩებოდა გულგრილი ამ მოვლენების მიმართ და, შესაძლებლობისამებრ, ცდილობდა გადაედგა კონკრეტული ნაბიჯები სელჩუკთა შემდგომი ექსპანსიის შესაჩერებლად. 1040 წელს ბაგრატ IV-მ 4000-იანი ლაშქარი გაუგზავნა ტაშირ-ძორაგეტის მეფეს დავით „უმინაწყლოს“ და მას დვინის ემირის აბულ-ასვარის¹⁹ მოგერიებაში დაეხმარა.²⁰ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ცნობილია, აქტიურად იყო ჩართული ლიპარიტ ბაღვაში, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის ხატოვანი გამოთქმით, „ყოველს დიდს ლაშქრობაში, რომელიც კი ბერძნებს აღმოსავლეთით შემთხვევით, ბიზანტიელების მოკავშირედ ... იყო“.²¹ ბიზანტიელთა მხარეს ერთ-ერთ ლაშქრობაში (1048-1049წწ.) მონაწილეობა თვით ბაგრატ IV-მაც მიიღო.²²

¹⁸ П.К. Жузе, *Материалы по истории Азербайджана из Тари-аль-Камиль (полного свода истории) Ибн-Аль-Асира* (Баку, 1940), 115; შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 174.

¹⁹ განჯა-არანის მმართველი აბულ-ასვარ შაბურ ბ. ფადლი (1049-1067).

²⁰ Р.М. Бартикян, „Хронография“ Матфея Эдесского о Грузии и грузинах”, *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები*, ეძღვნება აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს (თბილისი, 1978), 143; შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 176.

²¹ ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, თხზულებანი თორმეტ ტომად, II (თბილისი, 1983), 146. ამის შესახებ დანვრილებით იხ. შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 179-195.

²² *მატიანე ქართლისა*, 313-314. ამის შესახებ იხ. აგრეთვე, ვასილ კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში* (თბილისი, 1969), 254; თოფურია, *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები*, 195; მარიამ ლორთქიფანიძე, *„საქართველოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე“*, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, III (თბილისი,

XI ს. 40-50-იანი წლების მიჯნაზე გახშირდა სელჩუკთა თავდასხმები უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებთან, კერძოდ, მათ არაერთხელ მოარბიეს „იბერიის“ თემი – თავის დროზე (1001წ.) იმპერატორ ბასილი II-ის მიერ მიტაცებული დავით III დიდი კურაპალატის სამფლობელოს (იმიერ-ტაო) ბაზაზე შექმნილი ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეული.²³ უფრო მეტიც, ამ პერიოდში, ზოგიერთი წყაროს მონაცემების საფუძველზე ვარაუდობენ სელჩუკთა ცალკეული რაზმების შემოჭრას უშუალოდ საქართველოს სამეფოს ფარგლებში, სამცხის ტერიტორიაზე და მანგლისის სანახებში.²⁴ მიუხედავად ამისა, სელჩუკები საქართველოსთვის სერიოზულ საფრთხეს ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში (XI ს. 50-იან წლებში) სელჩუკების ფაქტორი, რამდენადმე, ხელს უწყობდა კი-

1979), 145; ზურაბ პაპასქირი, *ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი* (თბილისი, 1990), 202.

²³ ისტორიოგრაფიაში, ამ მოვლენების გაშუქებისას, არცთუ იშვიათად, არასწორადაა გაგებული ბიზანტიური წყაროების (მიხეილ ატალიატე, გიორგი კედრენე და ა.შ.) „იბერია“, რომელიც ზოგჯერ გაიგივებულია მთლიანად საქართველოსთან. თუ ეს არაა ძნელი ასახსნელი არაქართველი მეცნიერების მხრიდან – ისინი ვერ არიან ჯეროვნად ჩახედული საქართველოს ისტორიაში (მათ შორის ისეთი აღიარებული მკვლევარიც კი, როგორიცაა აკად. თ. უსპენსკი, უშვებდა უხეშ შეცდომას, როდესაც სკილიცე-კედრენეს ერთ-ერთი ცნობის კომენტარებისას, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ დაშალა ბიზანტიის იმპერატორმა „იბერიული ჯარი დაახლოებით ორმოცდაათი ათასი კაცისაგან შემდგარი“ [გიორგი კედრენე, „ქრონოგრაფია“, *გეორგია, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, V (თბილისი, 1963), 82], დაუფიქრებლად წერდა, რომ **“Грузия содержала прежде 50 тысяч войска с целью защиты против азиатских хищников”** (Ф.И. Успенский, *История Византийской империи*, 4, т. III, ელექტრ. ვერსია: <http://rikonti-khalsivar.narod.ru/Usp4.3.htm>, ხაზგასმა აქაც და შემდგომშიც ჩვენია – ზ. პ.), ვერაფრით გავამართლებთ ამგვარ მიდგომას ქართველი მეცნიერების მხრიდან. ამ შემთხვევაში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ნ. შენგელიას უაღრესად ფასეული, კაპიტალური გამოკვლევა, რომელშიც მკვლევარი ზემოთ დასახელებულ ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს სელჩუკთა მიერ იბერიის ანიოკების შესახებ აზოგადებს საქართველოზე (შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 199-201), რაც, ჩვენი აზრით, მიუღებელია. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გიორგი კედრენესა და მიხეილ ატალიატეს იმ ცნობებში, რომელიც მოჰყავს ნ. შენგელიას საქართველოს მიმართ სელჩუკთა გააქტიურების საჩვენებლად, ტერმინ „იბერიის“ ქვეშ იგულისხმება ბიზანტიის ადმინისტრაციული ერთეული „იბერიის“ თემი და არა საკუთრივ საქართველო. ამდენად, იქ მიმდინარე მოვლენები ვერ გამოდგება საქართველოს სახელმწიფოში „შექმნილი ვითარების“ დასახასიათებლად, თუმცა სავსებით ვეთანხმებით პატივცემულ მეცნიერს, რომ ზოგადად „სელჩუკთა ასეთი გრანდიოზული ექსპედიციები საქართველოს მეზობელ ქვეყნებში არ შეიძლებოდა უარყოფითად არ ასახულიყო ქართულ სინამდვილეში“. შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 206. ამის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. პაპასქირი, *შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე*, 6-7.

²⁴ Ф.Д. Жордания, *К материалам по истории Грузии XI-XII вв.* (Москва, 1895), 7; შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 200, 206-207.

დეც ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაციას, კერძოდ, ბიზანტიის იმპერიასთან ურთიერთობების მოწესრიგებას.²⁵

ვითარება მნიშვნელოვანწილად შეიცვალა XI ს. 60-იანი წლების დამდეგიდან, როდესაც ბაგრატ IV-მ, ფეოდალურ ოპოზიციაზე გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვების შემდეგ, განაახლა აქტიური მოქმედებები აღმოსავლეთ საქართველოში და თბილისისა და კახეთ-ჰერეთის შემომტკიცებაზე დაიწყო ზრუნვა. ამ მიმართულებით გადადგმული მისი ნებისმიერი ნაბიჯი სელჩუკების უკიდურეს გაღიზიანებას იწვევდა. პირველად ეს ნათლად გამოვლინდა 1062 წელს, როდესაც საქართველოს მეფეს ჰქონდა მორიგი მცდელობა დაუფლებოდა თბილისს.²⁶ საქართველოს მეფის თბილისზე კონტროლის დამყარებას უმაღლეს გამოცდილებას მხოლოდ მაჰმადიანური გაერთიანებების ლიდერები, რომლებიც, ზოგიერთი არაბული წყაროს ცნობით, განსაკუთრებით დააფიქრა მთებში გზების გაფართოების შესახებ ბაგრატ IV-ის გადაწყვეტილებამ. მათი აზრით, საქართველოს მეფე ამას აკეთებდა იმისათვის, რომ „გაადვილებოდათ ურწმუნოებს (ანუ ქრისტიან-ქართველებს, ზ. პ.) იქიდან გადასვლა ისლამის ქვეყნებში“.²⁷ ე. ი. აღნიშნული ფაქტი სელჩუკთა სასულთნოს მესვეურების თვალში სავსებით სამართლიანად განიხილებოდა, როგორც საქართველოს მეფის მხრიდან სელჩუკთა წინააღმდეგ მიმართული ახალი სამხედრო აქციებისათვის სამზადისი. ვფიქრობთ, სწორედ ამ დროიდან იქცა საქართველო სელჩუკების მთავარ მოწინააღმდეგედ ამიერკავკასიის დაპყრობის გზაზე.

1064 წ. სულთანმა ალფ-არსლანმა პირველად ილაშქრა საქართველოში, რომლის დროსაც მან სამხრეთ საქართველოს ცალკეული რეგიონები მოაოხრა და ახალქალაქი აიღო.²⁸ მეტის მიღწევა სელჩუკებმა ამ ეტაპზე ვერ შეძლეს. როგორც ჩანს, სელჩუკთა უძლეველი მმართველი ქართველების ასეთ მედგარ წინააღმდეგობას არ ელოდა და მან საქართველოს მეფესთან დაზავება არჩია. მართალია, ზოგიერთი არაბული წყარო (მაგ., სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინი) მიუთითებს ბაგრატ IV-ის მიერ სულთნის უზენაესობის აღიარებაზე და მისი მხრიდან ჯიზიის გადახდის ვალდებულების აღებაზე,²⁹ მაგრამ მოვლენების

²⁵ ამის შესახებ დანვრილებით, იხ. კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, 261-266; პაპასქირი, *ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა*, 203, 209.

²⁶ რევაზ კიკნაძე, „XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან“, *ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. V, ნაკვ. I (1960), 114; შოთა მესხია, „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, *საისტორიო ძიებანი*, I (1982), 240.

²⁷ კიკნაძე, „XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან“, 113-114.

²⁸ *მატიანე ქართლისა*, გვ. 306. ამის შესახებ დანვრილ. იხ.: შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 200, 219-225.

²⁹ Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-даулат ас-сельджукийя*, издание текста, перевод, введение, примечания и приложения Зия Мусаевича Буниятова (Москва, 1980), 50, ელექტრ. ვერსია: <http://www.vostlit.info/Texts/rus/Selguk/frames2.htm>); Жузе, *Материалы по истории Азербайджана из Тарих-аль-Камиль*, 121. სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის ცნობით, ეს მომხდარა

შემდგომი განვითარება არა თუ არ ადასტურებს ამას, არამედ ფაქტობრივად გამორიცხავს საქართველოს მეფის რაიმე ვალდებულებებს სულთნის სასარგებლოდ.

რაც შეეხება ბაგრატ IV-ისა და ალფ-არსლანის შეთანხმებას საქართველოს მეფის დისწულის (და არა ქალიშვილის, როგორც წერს არაბი ავტორი ალ-ბუნდარი³⁰) სულთნისათვის მითხოვების თაობაზე,³¹ ეს ფაქტი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დათმობა ბაგრატ მეფის მხრიდან. უფრო მეტიც, ეს ქორწინება საქართველოს ლიდერის ერთგვარ დიპლომატიურ წარმატებადაც კი უნდა მივიჩნიოთ, რამდენადაც მან ხელი შეუწყო ამიერკავკასიაში „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის პოზიციების შემდგომ განმტკიცებას. ამგვარი დასკვნის საფუძველს ჩვენ გვაძლევს იმ მოვლენების ანალიზი, რომლის ფონზეც განახორციელა სულთნისათვის მიცემული პირობა საქართველოს ხელმწიფემ.

როგორც *მატიანე ქართლისაჲს* ცნობიდან ირკვევა, ბაგრატ IV-ის დისშვილის სულთნისათვის მითხოვების წინააღმდეგ მისი მეორე ბიძა (მამის ძმა), ტაშირ-ძორაკეთის მეფე კვირიკე გამოსულა.³² საქართველოს მეფემ, გამოიყენა რა საბაზად კვირიკეს ეს ობსტრუქციული ქმედება, დაძრა ჯარები ტაშირ-ძორაკეთისკენ, დაიკავა სამშვილდე, „იურვა სახლად თვისად“ და იქ სრული კონტროლი დაამყარა („და ეგრეთ-ვე მონებდეს სომეხნი“).³³ მიჩნეულია, რომ ეს იყო კიდევ ერთი ნაბიჯი მიმართული ისტორიულად ქართული ხუნანი-სამშვილდის ტერიტორიების საქართველოს სახელმწიფოსთვის შემომტკიცების

სელჩუკთა სულთნის არ-რუმში გალაშქრების დროს – 1064 წ. თებერვლის მესამე დეკადაში. Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-დაулат ас-сельджукийа*, 48. მაგრამ, ცალკეულ პუბლიკაციებში, რატომღაც 1067 წელს უთითებენ. იხ. Р. Гусейн-заде, *Кавказ и сельджуки* (Баку, 2010), 166.

³⁰ მითითებულია ზ. ბუნიატოვის მიერ სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის თხზულების რუსული თარგმანისათვის დართული შენიშვნის მიხედვით: Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-დაулат ас-сельджукийа*, 51; შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 226.

³¹ მატიანე ქართლისა, 307-308. ის, რომ სულთანმა საქართველოს მეფეს ნამდვილად დისშვილის (და არა ქალიშვილის) ხელი სთხოვა, დასტურდება მეორე არაბი ავტორის სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობითაც. მითითებულია ზ. ბუნიატოვის მიერ სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის თხზულების რუსული თარგმანისათვის დართული შენიშვნის მიხედვით: Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-დაулат ас-сельджукийа*, 51. კიდევ ერთი არაბი ავტორის ბარ ჰებრეუსის მონაცემებითაც, სულთანმა შეირთო „საქართველოს ხელმწიფის“ დისშვილი. შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 226.

³² სომეხი ისტორიკოსის მათეოს ურჰაეცის ცნობით, პრინცესა, რომელიც მიათხოვეს სულთანს, იყო ტაშირ-ძორაკეთის მეფის ასული და არა ძმისწული. ამასთან, სომეხი მემატანე რატომღაც დუმს ამ პროცესში საქართველოს მეფის მონაწილეობაზე. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, II, 152-153; შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 226.

³³ *მატიანე ქართლისა*, 307-308.

გზაზე.³⁴ გარდა იმისა, რომ სამშვილდის დაკავებით ბაგრატ IV-მ განიმტკიცა პოზიციები აღნიშნულ რეგიონში, საქართველოს მეფის ეს აქცია, ზოგადად, ქართული სახელმწიფოს ძლიერების ერთგვარი დემონსტრაციაც იყო, რაც არ შეიძლებოდა მოსწონებოდა სელჩუკთა ძლევამოსილ სულთანს, რომელმაც, როგორც ჩანს, დაუყოვნებლივ გადადგა ნაბიჯები ბაგრატ IV-ის ამბიციების მოსათოკად. სავარაუდოა, რომ თბილისში ჯაფარიანი ამირას ხელისუფლების აღდგენა, რომელიც, როგორც ფიქრობენ, სელჩუკთა სულთნის ინიციატივითა და ხელშეწყობით განხორციელდა,³⁵ სწორედ პასუხი იყო ტაშირ-ძორაკეთში საქართველოს მეფის გამომწვევ ქმედებებზე. „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობის აღკვეთას ისახავდა მიზნად განძის ამირა აბულ ასვარის საქართველოში მოულოდნელი შემოჭრაც.³⁶ იმ აბულ ასვარისა, რომელსაც სულთანმა ალფ-არსლანმა ფაქტობრივად ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულების კურირება დაავალა.³⁷ ბაგრატ IV-ს უპასუხოდ არ დაუტოვებია განძის ამირას ეს გამოხდომა. არაბი ავტორის სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის ცნობით, 1067-1068 წწ. „царь Абхаза по имени Бакрат совершил набег на ал-Барда'а ... один из городов в стране мусульман“.³⁸ ამან კი წონასწორობიდან გამოიყვანა მრისხანე სულთანი და ის სასწრაფოდ დაიძრა საქართველოსაკენ.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, 1064-1068 წწ. – საქართველოში სელჩუკთა პირველ და მეორე ლაშქრობებს შორის პერიოდში – ბაგრატ IV სულაც არ ყოფილა სულთნის მორჩილი ვასალი და ალფ-არსლანთან ურთიერთობებში რაიმე კომპრომისებზე არ მიდიოდა, როგორც ამას ასკვნის ნ. შენგელია.³⁹ პირიქით, საქართველოს მეფე ამ დროს საკმაოდ დამოუკიდებელ, აქტიურ საგარეო პოლიტიკას ატარებდა და თანმიმდევრულად ამტკიცებდა თავის გავლენას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. შემთხვევითი არ არის, რომ სელჩუკთა მეორე შემოსევის წინ იგი კახეთ-ჰერეთის შემომტკიცებით იყო დაკავებული.⁴⁰ მხოლოდ თურქთა შემოსვლამ აიძულა ის „აეკრა გუდა-ნაბადი“ და უკან მობრუნებულიყო. არაა გამორიცხული, რომ სელჩუკთა ასე ოპერატიული გამო-

³⁴ თენგიზ პაპუაშვილი, *რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს.)* (თბილისი, 1982), 247.

³⁵ მესხია, „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, 242.

³⁶ კიკნაძე, „XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან“, 115.

³⁷ შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 237.

³⁸ Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-დაулат ас-სельджукийя*, 55. ამის შესახებ იხ. აგრეთვე, ნოდარ შენგელია, „სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ“, *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან*, ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავს (თბილისი, 1976), 192; შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 238.

³⁹ შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 390.

⁴⁰ მათიანე ქართლისა, 308-309.

ჩენა სულაც კახეთის მეფის აღსართანის ინიციატივით მოხდა. ამაზე უნდა მიუთითებდეს *მატიანე ქართლისაჲს* ცნობა, რომლის თანახმადაც „აღსართან მიერთო სულტანსა მიუძღუნა ძღუენი დიდი, დაუტევა სჯული, დაიცუთა წინა, აღუთქუა ხარაჯა“.⁴¹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს მეფის წინააღმდეგ დაძრული სელჩუკთა სულთნის ბანაკში აღსართან კახთა მეფის გარდა, იმყოფებოდნენ ტაშირ-ძორაკეთის მეფე კვირიკე და თბილისის ამირა,⁴² რაც იმაზე მიუთითებს, რომ იმჟამად ერთადერთ რეალურ ძალას, რომელიც ღიად გამოდიოდა სელჩუკების წინააღმდეგ ამიერკავკასიაში, ერთიანი ქართული სახელმწიფო წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ მართებულად არ მიგვაჩნია ზოგიერთი მკვლევრის მცდელობა უკრიტიკოდ აღიქვას ცალკეულ არაბ ავტორთა (სადრ ად-დინ ალ-ჰუსეინის, იბნ ალ-ასირის) ცნობა ბაგრატ IV-ის მიერ ალფ არსლანის უზენაესობის აღიარებისა და ჯიზიის გადახდის ვალდებულების აღების თაობაზე და ხელაღებით ამტკიცოს ვასალურ-სიუზერენული ურთიერთობის დამყარება საქართველოს მეფესა და სელჩუკთა სულთანს შორის. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავს ცნობილი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი, სელჩუკთა ისტორიის აღიარებული მკვლევარი რ. ჰუსეინ-ზადე, რომელიც ახლახან გამოცემულ წიგნში სრულიად უაპელაციოდ აცხადებს, რომ “Великий султан Алп-Арслан принял ... вассальную присягу грузинского царя Баграта IV”.⁴³

არათუ პირველი შემოსვლის დროს, არამედ მეორე, გაცილებით უფრო დამანგრეველი ლაშქრობის შედეგადაც, როდესაც სულთანმა არა მარტო აღმოსავლეთ საქართველო მოაოხრა, არამედ ლიხს იქითაც, არგვეთში გადავიდა და იქაურობა „ვიდრე სუერის-ციხემდე“ დაარბია,⁴⁴ სელჩუკთა სულთანმა ვერ მოახერხა საქართველოს მეფის დამორჩილება. მართალია, ბაგრატ IV-მ „მიგზავნა მოციქულად ივანე, ძე ლიპარიტისი ... ძიებად მშუდობისა. ხოლო სულტანმან შეაქცია იგი აფხაზეთად ბაგრატიისა, სთხოვა ხარაჯა და უქადა მშუდობა“,⁴⁵ მაგრამ საქართველოს მეფემ ისარგებლა იმით, რომ სულთანმა „სიფიცხლისაგან ზამთრისა ვერ-ლა-რა მოილოდინა და წარვიდა ქართლით“,⁴⁶ თავიდან აიცილა ხარაჯის გადახდა. მაქსიმუმი, რასაც ამ ეტაპზე ალფ-არსლანმა პოლიტიკური თვალსაზრისით მიაღწია, იყო ის, რომ მან „ჩამავალმან წარულო ტფილისი და რუსთავი, და მისცა ფადლონს, განძისა პატრონსა“.⁴⁷

მკვლევართა სავსებით დამაჯერებელი დასკვნით განძის ამირა ფადლო-

⁴¹ იქვე, 308-309.

⁴² იქვე, 310.

⁴³ Гусейн-заде, *Кавказ и сельджуки*, 72, 167, 229.

⁴⁴ *მატიანე ქართლისა*, 309.

⁴⁵ იქვე, 309-310.

⁴⁶ იქვე, 309-310.

⁴⁷ იქვე, 309-310.

ნისათვის თბილისისა და რუსთავის გადაცემა განპირობებული იყო არა იმით, რომ სულთანი ბოლომდე არ ენდობოდა ამ ქალაქების მფლობელებს – ისინი ერთგულად ემსახურებოდნენ მას,⁴⁸ არამედ იმით, რომ სწორედ განძის ამირა მიაჩნდა ალფ-არსლანს ყველაზე ძლიერ და საიმედო მმართველად, რომელსაც ხელენიფებოდა დაპყრობილი ქართული ტერიტორიების კონტროლი.⁴⁹ ბაგრატ IV, რასაკვირველია, ვერ შეეგუებოდა ამგვარ მარცხს, მით უფრო „ამპარტავანებასა და ურჯუებასა“ ფადლონისა და მან უმალ შეუტია თბილისში მდგარ განძის ამირას. ფადლონმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფეს და იძულებული შეიქნა თბილისს გასცლოდა, მაგრამ გზად ის შეიპყრეს და აღსართან კახთა მეფეს მიჰგვარეს თელავში. ამ უკანასკნელმა კი, „რამეთუ აფხაზთა მეფისაგან ეშინოდა უკანა ჩამოდგომისა“, გადანყვიტა ბოჭორმისა და უჯარმის სანაცვლოდ დაეთმო მისთვის შეპყრობილი განძის ამირა.⁵⁰ არაა გამორიცხული, რომ აღსართანის ეს გადანყვიტა

⁴⁸ მესხია, „საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში“, 242.

⁴⁹ შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 244.

⁵⁰ მათიანე ქართლისა, 312-313. ამ მოვლენებზე მსჯელობისას არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ზოგიერთ გადაცდომებს, რომელსაც ადგილი აქვს ცალკეულ პუბლიკაციებში. კერძოდ, არასწორადაა გაგებული XI-XIII საუკუნეების ისტორიის ამსახველ არაბულ-სპარსულ წყაროებში დაფიქსირებული ტერმინები: „აფხაზეთი“ და „აფხაზი“. ამ თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიქცია რუსი მეცნიერის კ. რიჟოვის შადადიდების დინასტიისადმი მიძღვნილმა განმაზოგადებელმა სტატიამ, რომელშიც ავტორი, ფადლონის საქართველოში ყოფნისა და მისი დატყვევების ფაქტის გადმოცემისას, ყოველგვარი კომენტარების გარეშე, წერს, რომ „В 1068 г. по требованию султана Фадл предпринял неудачный поход в Абхазию, был разбит и попал в плен. Абхазцы передали пленника грузинскому царю Баграту IV, который заставил Фадла отказаться от Тбилиси, Рустави и других принадлежавших ему грузинских городов“. იხ. К.В. Рыжов, „Шаддадиды“, *Все монархи мира. Мусульманский Восток. VII-XV вв.*, Справочник (Москва, 2004), ელექტრ. ვერსია: <http://interpretive.ru/dictionary/453/word/%D8%C0%C4%C0%C4%C8%C4%DB>. ე. ი. გამოდის, რომ (ყოველი შემთხვევისათვის ეს ასე მოეჩვენება გაუთვითცნობიერებელ მკითხველს) „აფხაზეთი“, სადაც შეიჭრა განძა-არანის მმართველი და „აფხაზები“, რომლებმაც შეიპყრეს ფადლონი, ეს ერთი ქვეყანა და ერთი ხალხია, ხოლო „საქართველოს მეფე“ („*грузинский царь*“) ბაგრატ IV წარმოადგენს სხვა ქვეყანას და სხვა ხალხს. სინამდვილეში კი ბაგრატ IV სწორედ „აფხაზთა“ მეფეა (სხვას, რომ თავი დავანებოთ, ამას აფიქსირებს თვით სადრად-დინ ალ-ჰუსეინი, რომელიც პირდაპირ განმარტავს „*царь Абхаза по имени Баграт*“. Садр ал-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-დაулат ас-сельджукии*, 55. XI-XIII სს. აღმოსავლურ წყაროებში ტერმინების „აფხაზეთისა“ და „აფხაზის“ მნიშვნელობის სწორი გაგებისათვის, იხ. გოჩა ჯაფარიძე, „ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები“, *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია* (თბილისი, 1993), 132-134. აღსანიშნავია, რომ კ. რიჟოვი არასწორად გადმოსცემს მთელ ამ ისტორიას. ფადლონი „აფხაზებს“ არ გადაუციათ „საქართველოს მეფისათვის“ (როგორც ამას შეცდომით წერს რუსი მკვლევარი). ის ხელში ჩაუვარდა „ისაკ ტოლობელის ძესა, აზნაურსა **მესხსა**“, რომელმაც თურმე „არა იკსენა მკედრობა აფხაზთა მეფისა, რომელ-მცა აფხაზთა მეფისაგან გაქცეული ფადლონი შეიპყრა, და შეგუარა ბოჭორმას ბაგრატისთვის. არამედ მსწრაფლ წარიყვანა და მიჰგუარა აღსართანს თელავს“. როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ აღსართანმა გადასცა ფადლონი ბაგრატს. *მატიანე ქართლისა*, 312-313.

ნაკარნახევი იყო იმითაც, რომ მას არანაკლებ აშინებდა თვით ფადლონი, რომელიც, როგორც *მატიანე ქართლისაჲს* ცნობიდან ირკვევა, კახთა მეფის კუთვნილ ზოგიერთ ტერიტორიას (ხორნაბუჯისა და არადეთის სანაპირო ოლქებს) დაპატრონებოდა.⁵¹ ყოველივე ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ განძის ამირასთან ტრადიციულმა კონფრონტაციამ, რომელიც ერთმანეთთან აახლოებდა ქართველ და სომეხ ლიდერებს (ამასთან დაკავშირებით, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ ამ მოვლენებში არ ფიგურირებს ტაშირ-ძორაკეთის მეფე კვირიკე, რომელიც, როგორც ჩანს, ბაგრატ IV-ისათვის სასურველ ნეიტრალიტეტს იცავდა), ამჯერადაც შეარიგა კახეთის მმართველი „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფესთან.

ფადლონის დატყვევების შემდეგ, ბაგრატ IV-მ უმაღლვე დაიკავა თბილისი, თუმცა ვერ მოახერხა ქალაქის „თავისად დაჭერა“ და იძულებული გახდა გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. მან „დმანისს დატევებული სითლარაბი ძებნა, შემოიყვანა ტფილისად, და მისცა მას ტფილისი“.⁵² გარდა ამისა, საქართველოს მეფემ „თავისად აღიხუნა ციხენი რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრიგოლ-წმიდანი, ქავაზინი, და ორმოცდაოთხი ათასი დრაჰკანი, და მძევალნი ძმის-წული მისი, ძე მანუჩასი, და სამთა თავადთა განძისათა“.⁵³ როგორც ფიქრობენ, მემატიანის მიერ ჩამოთვლილი ციხე-ქალაქები ძირითადად ქვემო ქართლში – სომხეთში – მდებარეობდნენ⁵⁴ და თბილისის იმ „სასაზღვრო რაიონს“ შეადგენდნენ, რომლებიც ალფ-არსლანმა ფადლონს გადასცა.⁵⁵ საქართველოს მეფის ამ თამამმა სამხედრო-პოლიტიკურმა აქციებმა სრულიად ნათელი გახადა, რომ ბაგრატ IV-მ კვლავ ხელთ იგდო ინიციატივა და თანმიმდევრულად შეუდგა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პოზიციების განმტკიცებას.

ფადლონის დატყვევება და თბილისზე საქართველოს მეფის კონტროლის აღდგენა სერიოზული დარტყმა იყო ალფ-არსლანის ავტორიტეტისათვის. აქედან გამომდინარე, მას, თითქოს, ჭკუა უნდა ესწავლებინა გათავხედებული ბაგრატ IV-ისათვის. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, მრისხანე სელჩუკთა სულთანმა „აფხაზთა“ და „ქართველთა“ მეფის წინააღმდეგ სადამსჯელო ექსპედიციის მოწყობის ნაცვლად, სრულიად მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა – გამოგზავნა საგანგებო რწმუნებით აღჭურვილი სარანგი ალხაზი, მისი პირით დაუზავდა ბაგრატს და ფადლონის განთავისუფლების სანაცვლოდ საქართვე-

⁵¹ *მატიანე ქართლისა*, 311-312.

⁵² იქვე, 312.

⁵³ იქვე, 312.

⁵⁴ ამ ციხეების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. ნიკო ბერძენიშვილი, „ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან, აგარანი“, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, I (თბილისი, 1964), 308; დევი ბერძენიშვილი, „ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები“, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები*, II (1964), 42.

⁵⁵ თოფურია, *აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები*, 199.

ლოს მეფეს გაგის ციხე-ქალაქი გადასცა.⁵⁶ ე.ი. სულთანმა ბაგრატ კი არ დასაჯა, არამედ მასთან ერთგვარი გარიგება დადო და გაგის ციხის გადაცემით სომხეთის მიმართულებით მისი გავლენა კიდევ უფრო განავრცო. და მაინც, რა მოხდა, რით იყო განპირობებული სულთნის ასეთი გულუხვობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია გავანალიზოთ მანასკერტის ომის წინ ბიზანტია-სელჩუკების ფრონტზე შექმნილი სიტუაცია, რომელიც, ჩვენი აზრით, ნათელს მოჰფენს ამ საიდულოს.

XI ს. 60-იანი წლების შუა ხანებიდან, თურქ-სელჩუკებმა, როგორც ცნობილია, გააძლიერეს შეტევა ბიზანტიის სამფლობელოების მიმართულებით. განსაკუთრებით აქტიურად წინ ისინი ანატოლიისკენ მიინვედნენ. სწორედ ამ დროიდან იწყებენ სელჩუკები დაფუძნებას ამ მხარეში.⁵⁷ ამან აიძულა ბიზანტიის ხელისუფლება, მთელი ყურადღება აღმოსავლეთის ფრონტისკენ გადაეტანა. რომანოზ IV დიოგენემ, რომელმაც 1067 წელს ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, მოახერხა ძალების სრული მობილიზება, არმიაში მკაცრი დისციპლინის დამყარება და რამდენიმე წარმატებული სამხედრო ოპერაციის ჩატარების შემდეგ სელჩუკთა ევფრატის მარჯვენა სანაპიროებიდან განდევნა.⁵⁸ იგრძნო რა ანატოლიაში პოზიციების დაკარგვის საფრთხე, ალფ-არსლანი ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი დიდი სამხედრო კამპანიის სამზადისს შეუდგა. ეს გადანყვეტილება აგრეთვე ეგვიპტეში ამტყდარმა შიდა არეულობამაც დააჩქარა, რომლის დროსაც ხელისუფლებისათვის მებრძოლმა ერთმა დაჯგუფებამ სელჩუკთა სულთანი ნილოსის ნაპირებისკენ მიინვია.⁵⁹ 1070 წელს სელჩუკთა დიდი ლაშქარი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან დასავლეთისაკენ დაიძრა და მანასკერტი ერთ დღეში დაიკავა. ასე დაიწყო გრანდიოზული კამპანია, რომელიც 1071 წ. 24 აგვისტოს სელჩუკთა სრული ტრიუმფით დამთავრდა.⁶⁰

ამრიგად, როგორც ვხედავთ, XI ს. 60-იანი წლების მიწურულს, როდესაც ბაგრატ IV აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში თავის შეტევით ოპერაციებს ახორციელებდა, ალფ-არსლანი უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებით – ბიზანტიის წინააღმდეგ გენერალური შეტევის მომზადებით – იყო დაკავებული. როგორც ჩანს, სელჩუკთა სულთანი სწორედ ამ გარემოებამ აიძულა, გამოეჩინა გარკვეული სიფრთხილე გაძლიერებული საქართველოს ლიდერის მიმართ. გარდა იმისა, რომ ბაგრატ მეფის დასჯა არც ისე ადვილი იყო (რაშიც ის, ალბათ, დაარწმუნა ქართველების შეუპოვარმა წინააღმდეგობამ

⁵⁶ მათიანე ქართლისა, 312-313.

⁵⁷ Г. Г. Литаврин, “Внутриполитический кризис в конце XI в. и внешнеполитический разгром”, *История Византии*, II (Москва, 1967), 283-284; შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 248.

⁵⁸ შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 250.

⁵⁹ Райс, *Сельджуки*, 31-32; შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 250.

⁶⁰ დანვრილებით იხ. შენგელია, *სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში*, 253-265.

საქართველოში პირველი და მეორე ლაშქრობის დროს), ალფ-არსლანს არ შეიძლება არ გაეთვალისწინებინა საქართველოს მეფის შესაძლო გამოსვლა იმპერიის მხარეზე ბიზანტიასთან კარს მომდგარ ომში. ცხადია, ასეთ ვითარებაში კონფრონტაცია ბაგრატ IV-სთან ნამდვილად სერიოზული დიპლომატიური შეცდომა იქნებოდა.

მართლაც, ერთი შეხედვით, საქართველო-ბიზანტიის ერთობლივი გამოსვლა სელჩუკების წინააღმდეგ სავსებით რეალური მოჩანდა. ჯერ კიდევ XI ს. 50-იანი წლების მიწურულიდან კონსტანტინოპოლთან საქართველოს სახელმწიფოს, ფაქტობრივად, თანასწორუფლებიანი, პარტნიორული ურთიერთობა ჰქონდა, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, მნიშვნელოვანწილად, პირველ რიგში, სწორედ სელჩუკებისაგან მომდინარე საფრთხემ განაპირობა. 60-იანი წლების შუახანებიდან კი ეს ურთიერთობა კიდევ უფრო დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა – იმპერატორ კონსტანტინე X დუკას ვაჟის, მიხეილ დუკას ბაგრატ IV-ის ასულ მარიამზე დაქორწინებით.⁶¹ მართალია, წყაროები არ იძლევიან კონკრეტულ ცნობებს საქართველო-ბიზანტიის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ XI ს. 60-იანი წლების მიწურულს, მაგრამ, ამის გამო, საერთო მტრის წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედებების მთლიანად გამორიცხვა (როგორც ამას უშვებს ვ. კოპალიანი)⁶² მთლად გამართლებულად არ გვეჩვენება.

რასაკვირველია, სავსებით შესაძლებელია, რომ რომანოზ IV დიოგენემ ბაგრატ IV-სა და კონსტანტინე დუკას შორის არსებულ ურთიერთობებში გარკვეული კორექტივები შეიტანა – ახალი იმპერატორი უბრალოდ ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა მიხეილ დუკასა და ბაგრატ სებასტოსის⁶³ ნათესაური ურთიერთობა და ის საფრთხე, რომელიც შეიძლებოდა შექმნოდა დაქვერვებული დედოფლის – ევდოკიას მეორე ქმარს ხელისუფლების შენარჩუნების საქმეში. კერძოდ, მოსალოდნელი იყო, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში საქართველოს მეფე ყოველნაირად ეცდებოდა თავისი გვირგვინოსანი სიძის – მიხეილ დუკას დახმარებას. მიუხედავად ამგვარი ქვედინებებისა, სელჩუკთა მზარდი საფრთხის პირობებში, რომანოზ IV, ალბათ, გამოიჩინდა გარკვეულ

⁶¹ ამის შესახებ დანვრილ. იხ. И.М. Нодия, “Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Мариам”, *ბიზანტინოლოგიური ეტიუდები, ეძღვნება აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს* (თბილისი, 1978), 146-155.

⁶² კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა*, 279.

⁶³ იმის გათვალისწინებით, რომ დიდი ხნის მანძილზე (ვიდრე ალექსი I კომნენოსამდე) სებასტოსად მხოლოდ იმპერატორები იწოდებოდნენ (ლერი თავაძე, „სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში“, *ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, II (2011), 165), ამ უმაღლესი ტიტულის მინიჭება საქართველოს მეფისათვის უდავოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამით, ჩვენი აზრით, ოფიციალურმა კონსტანტინოპოლმა ფაქტობრივად აღიარა საქართველოს სახელმწიფოს თანასწორობა ორმხრივ ურთიერთობებში.

სიფრთხილეს და მოერიდებოდა ურთიერთობების გართულებას საქართველოს სამეფოსთან, მით უფრო, რომ ობიექტურად საქართველო სელჩუკებთან დიდ დაპირისპირებაში, ასე თუ ისე, პოტენციურ მოკავშირედ მაინც განიხილებოდა.

თავის მხრივ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს სამეფო კარიც კონსტანტინოპოლში მოვლენების განვითარებას ყურადღებით აკვირდებოდა. კერძოდ, დაპირისპირებას ახალ იმპერატორსა და მის გვირგვინოსან⁶⁴ გერს – მიხეილ დუკას შორის. ის, რომ რომანოზ IV-ს, დუკების საგვარეულოს სახით, ნამდვილად ჰყავდა ძლიერი ოპოზიცია, არავითარ ეჭვს არ იწვევს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ რომანოზ დიოგენეს გაიმპერატორების შემდეგ დუკებისა და მათი ლიდერის, კონსტანტინე X-ის უმცროსი ძმის – იოანე კესაროსის პოზიციები მნიშვნელოვნად შესუსტდა და ისინი თანდათანობით გაირიყნენ სამოქალაქო ადმინისტრაციიდან, მაგრამ მათი გავლენა მთლიანობაში ბოლომდე არ იყო შერყეული.⁶⁵ უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, საიმპერატორო კარზე რომანოზ IV-ს სხვა არაკეთილმოსურნენიც ჰყოლია, რომლებიც დროთა განმავლობაში **“объединились с приближенными кесаря Иоанна и сформировали партию, поставившую перед собой цель лишить Диогена престола”**.⁶⁶

მკვლევრებში ეჭვს არ იწვევს, რომ ცალკეული მხედართმთავრების (პირველ რიგში, ანდრონიკე დუკასა და ნიკიფორე ვრიენოსის, რომლებმაც “В самый критический момент, во время боя... вывели свои отряды из сражения”) ლაღატი მანასკერტის ბრძოლის გადამწყვეტ სტადიაში, რომანოზ IV დიოგენეს ტახტიდან ჩამოგდების წინასწარ დაგეგმილი შეთქმულების შემადგენელი რგოლი იყო.⁶⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ რომანოზ IV-ის დამხობით საქართველოშიც იქნებოდნენ დაინტერესებულნი – სასწორზე ხომ

⁶⁴ ისტორიოგრაფიაში სავსებით საფუძვლიანადაა მითითებული, რომ კონსტანტინე X დუკას გარდაცვალების შემდეგ ქვრივმა დედოფალმა ევდოკიამ მოახერხა “сохранить за своим старшим сыном Михаилом права на престол, а для младших сыновей – достоинство соправителей... Диоген был признан лишь одним из императоров, его преимущество перед малолетними детьми Константина X юридически закреплено не было.” Мохов, “Византийская армия в правление Романа IV Диогена”, 277. ანუ მიხეილ დუკა მამის – კონსტანტინე X დუკას გარდაცვალებისთანავე ითვლებოდა იმპერატორად, ხოლო დედამისის ახალი თანამეცხედრე – რომანოზ IV დიოგენე, ფაქტობრივად, მხოლოდ მისი თანამმართველი იყო. მიჩნეულია, რომ (Jean-Claude Cheynet, “Des traces de dictature a l'epoque meso-byzantin,” *Actes de la Table Ronde reunie*, (Paris, 1988), 110, მითითებულია: Мохов, “Византийская армия в правление Романа IV Диогена”, 277) რომანოზ დიოგენეს იმპერატორად გამოცხადება იყო ერთგვარი გაგრძელება “давней византийской традиции, когда для борьбы с внешними врагами в соправители малолетнему наследнику престола назначался опытный и влиятельный военачальник” და ამ თვალსაზრისით ავლებენ პარალელს ნიკიფორე ფოკასა (963-969) და იოანე ციმისხის (969-975) მმართველობასთან. Мохов, “Византийская армия в правление Романа IV Диогена”, 277.

⁶⁵ Мохов, “Византийская армия в правление Романа IV Диогена”, 277.

⁶⁶ იქვე, 278.

⁶⁷ იქვე, 293.

საქართველოს მეფის სიძის პოლიტიკური მომავალი იდო.⁶⁸ ამ გარემოებას ბაგრატ IV-ისა და რომანოზ IV დიოგენეს ურთიერთობებში ნამდვილად შეეძლო ერთგვარი დისონანსი შეეტანა,⁶⁹ რაც უთუოდ ხელს აძლევდა იმპერიის წინააღმდეგ დიდი ომის სამზადისში მყოფ სელჩუკთა სულთანს, რომელიც, თავის მხრივ, ყოველნაირად იქნებოდა დაინტერესებული, ბიზანტიასთან გადაწყვეტი შეტაკების წინ არ დაეშვა საქართველო-ბიზანტიის ანტისელჩუკური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნა. როგორც ჩანს, სწორედ ამის გათვალისწინებით, მიიღო ალფ-არსლანმა ერთი შეხედვით მეტად უცნაური გადაწყვეტილება და ძირეულად შეცვალა დამოკიდებულება საქართველოს ლიდერთან – თავის გუშინდელ დაუძინებელ მტერთან.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ალფ-არსლანის დიპლომატიური რევერანსი ბაგრატ IV-ის მიმართ მიზნად ისახავდა საქართველოს სახელმწიფოს გამოთიშვას ბიზანტია-სელჩუკების დიდი დაპირისპირებიდან, და სულ ცოცხა, მისი ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას ბიზანტიის იმპერიასთან მომავალ ომში, ანუ ალფ-არსლანის პასიურობა (მეტი რომ არა ვთქვათ) ბაგრატ-IV-ი-

⁶⁸ როგორც ცნობილია, საქართველოს პოლიტიკური წრეები არაერთხელ ჩარეულან ბიზანტიის შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებებში და მხარი დაუჭერიან ამა თუ იმ კანდიდატისათვის საიმპერატორო ტახტზე. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც დავით III დიდი კუროპალატის მიერ სამხედრო ძალის ორჯერ (979 და 989 წლებში) გაგზავნა ბიზანტიაში (ამის შესახებ დანვრილებით იხ. პაპასქირი, *ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა*, 27-37, იქვე, შესაბამისი ლიტერატურა), აგრეთვე გიორგი I-ის მონაწილეობა ბასილი II-ის წინააღმდეგ მიმართულ აქციებში (პაპასქირი, *ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა*, 117-118, 121-123).

⁶⁹ ჩვენს ამ დასკვნას არ ეწინააღმდეგება ზოგიერთ წყაროში დაფიქსირებული ფაქტი ქართველთა მონაწილეობისა მანასკერტის ბრძოლაში. ჯერ ერთი, ბიზანტიური წყაროებიდან (არადა სწორედ მათ უნდა მიენიჭოს უპირატესობა მანასკერტის ომის მონაწილე ბიზანტიური შენაერთების ეთნიკური შემადგენლობის დადგენისას) მხოლოდ მიხეილ ატალიატე ახსენებს „იბერიელ სტრატეგოტა ლაშქარს“ (ამის შესახებ იხ. Мохов, „Византийская армия в правление Романа IV Диогена“, 294), რომელთაც ვერაფრით ვერ ჩავთვლით საქართველოს მეფის ნაწილებად – ისინი უდავოდ ბიზანტიური ადმინისტრაციული ერთეულის „იბერიის“ თემიდან უნდა ყოფილიყვნენ გამოსულნი. რაც შეეხება არაბი ავტორის ალ-ბუნდარის ცნობას ბიზანტიის იმპერატორის მიერ ხაზარებთან, რუსებთან, ყივჩაყებთან, ქართველებთან ერთად „აფხაზების“ (ესენი კი ნამდვილად ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის ქვეშევრდომებად უნდა მოვიხაროთ) მოწვევის შესახებ (იხ. Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-დაулат ас-სельджукийя*, თავი 18, შენ. 16), ის აშკარად ამოვარდნილია საერთო კონიუნქტურიდან და წინააღმდეგობაში მოდის სხვა არაბი ავტორების მონაცემებთან. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, გაცილებით უფრო ზუსტად უნდა მივიჩნიოთ სხვა არაბ ავტორთა ცნობები. კერძოდ, სადრ ად-დინ ალ ჰუსეინის, რომლის მიხედვითაც ბიზანტიური ჯარი შედგებოდა „из ... армян, персов, печенегов, гузов и франков“ (Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-დაулат ас-სельджукийя*, 58) და სიბტ იბ ალ-ჯაუზის, რომელიც აფიქსირებს აშკარად იბერიის თემის მკვიდრ – „100 тысяч грузин /джурджин“ (Садр ад-Дин Али ал-Хусайни, *Ахбар ад-დაუлат ас-სельджукийя*, თავი 18, შენ. 16). როგორც ვხედავთ, არც ერთ ამ წყაროში „აფხაზები“ ნახსენები არ არიან.

სა და განძის ამირა ფადლონს შორის არსებულ მწვავე კონფლიქტში, განპირობებული იყო მახლობელ აღმოსავლეთში არსებული საერთო-პოლიტიკური ვითარებით, პირველ რიგში კი, ბიზანტია-სელჩუკების ფრონტზე სიტუაციის უკიდურესი გამწვავებით.

სელჩუკთა სულთნის ამგვარმა პოზიციამ ხელ-ფეხი გაუხსნა საქართველოს მეფეს და მანაც განაახლა შეტევითი ოპერაციები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. თავისი მეფობის ბოლო წლებში ის კვლავ გამოვიდა განძის ამირა ფადლონის წინააღმდეგ, რომელმაც „გატეხნა ფიცნი და შუა-მდგომელობანი დიდისა სულტანისანი, და მოიპარა ქავაზინი... და აგარანი“.⁷⁰ საქართველოს მეფემ უმაღლვე დაიბრუნა აგარანი, ხოლო მოგვიანებით „გამოიყვანა დორლოლელი, ოვსთა მეფე, ორმოცი ათასითა კაცითა ოვსითა, და ნარუძღუნა ძე მისი გიორგი კურაპალატი და მოაოკრა განძა, და აღილო ტყუე და ნატყუენავი ურიცხვ, და გაგზავნა თავის სამეფოდ“.⁷¹

ამ ძლევამოსილი სამხედრო ოპერაციის შედეგად, რომელსაც ასევე არ გამოეხმაურა სულთანი ალფ-არსლანი,⁷² საქართველოს მეფის ავტორიტეტმა ერთი-ორად აიწია. ოვსთა მეფე დორლოლელის განძის ამირას წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში აქტიური მონაწილეობა, მიუთითებს იმაზე, რომ ოვსეთის სამეფო – ყველაზე ძლიერი გაერთიანება ჩრდილოეთ კავკასიაში – უშუალოდ იყო ჩართული საქართველოს სახელმწიფოს მნიშვნელოვანი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების რეალიზაციაში. ამასთან, ამ ფაქტმა ნათლად გამოავლინა, რომ სწორედ საქართველოს სამეფო იყო ანტისელჩუკური ფრონტის მთავარი ორგანიზატორი კავკასიაში. ყოველივე ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფო, მიუხედავად სელჩუკთა დამანგრეველი შემოსევებისა, კვლავ რჩებოდა წამყვან პოლიტიკურ ძალად, რომელიც აცხადებდა პრეტენზიას ჰეგემონობაზე საერთო-კავკასიური მასშტაბით.

⁷⁰ მათიანე ქართლისა, 314.

⁷¹ იქვე, 315.

⁷² ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ “утвердившись в Закавказье и не нуждаясь больше в военной поддержке Шаддадидов, сельджуки стали с подозрением относиться к их могуществу” და რომ საქართველოს მეფის მიერ ფადლონისათვის მიყენებული დარტყმები ასუსტებდნენ “государство арраншахов, что, очевидно, было на руку сельджукам”. Рыжов, “Шаддадиды”. ელექტრ. ვერსია: <http://interpretive.ru/dictionary/453/word/%D8%C0%C4%C0%C4%C8%C4%DB>. მაგრამ ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ უფრო რეალურია სელჩუკთა სულთნის „პასიურობა“ ალფ-არსლანის ბიზანტიურ პოლიტიკას დავუკავშიროთ.

ბიბლიოგრაფია

ალასანია გიული. თურქ-სელჩუკებთან ქართველების ურთიერთობების ადრეული გამოცდილება. ქართული წყაროთმცოდნეობა, XII, 2010

ბერძენიშვილი დევი. ბოლნისის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, II, 1964

ბერძენიშვილი ნიკო. ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან. აგარანი. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. თბილისი, 1964

თავაძე ლერი. სევასტოსის ტიტული შუა საუკუნეების ქართულ პოლიტიკურ რეალობაში. ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 2011

თოფურია პავლე. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI-XII საუკუნეებში. თბილისი, 1975

კედრენე გიორგი. ქრონოგრაფია. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანიურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. V. თბილისი, 1963

კიკნაძე რევაზ. XI-XIII სს. თბილისის ისტორიიდან. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკვ. I, 1960

კოპალიანი ვასილ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბილისი, 1969

ლორთქიფანიძე მარიამ, პაპასქირი ზურაბ. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XI საუკუნეში. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I. თბილისი, 1998

ლორთქიფანიძე მარიამ. საქართველოს შინაპოლიტიკური და საგარეო ვითარება X ს. 80-იანი წლებიდან XI ს. 80-იან წლებამდე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 1979

მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. I. თბილისი, 1955

მესხია შოთა. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. საისტორიო ძიებანი. I. თბილისი, 1982

მესხია შოთა. ძღვევა საკვირველი. საისტორიო ძიებანი. III. თბილისი, 1986;

პაპასქირი ზურაბ. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1990

პაპასქირი ზურაბ. შუა საუკუნეების საქართველო საერთაშორისო არენაზე. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა XI ს. 60-80-იან წლებში. თბილისი, 1991

პაპუაშვილი თენგიზ. რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს). თბილისი, 1982

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გადმოცემული თედო ჟორდანიას მიერ. ტ. I. ტფილისი, 1892

შენგელია ნოდარ. სადრ ად-დინ ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ. ძიებანი საქართველოსა და კავკა-

სიის ისტორიიდან. ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ნიკო ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავს. თბილისი, 1976

შენგელია ნოდარ. სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბილისი, 1968
ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია. II. თხზულებანი თორმეტ ტომად. II. თბილისი, 1983

ჯაფარიძე გოჩა. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბილისი, 1993

Агаджанов С.Г. Очерки истории огузов и туркмен Средней Азии IX-XIII вв. Ашхабад, 1969

Агаджанов С.Г. Юзбашьян Карен Никитич. К истории тюркских набегов на Армению в XI в. Палестинский сборник, 13(76), 1965

Ал-Хусайни Садр ад-Дин Али. Ахбар ад-даулат ас-сельджукийа. Издание текста, перевод, введение, примечания и приложения Зия Мусаевича Бунятова. Москва, 1980. [eleqtr. versia: http://www.vostlit.info/Texts/rus/Selguk/frames2.html](http://www.vostlit.info/Texts/rus/Selguk/frames2.html)

Бартиякян Р.М. “Хронография” Матфея Эдесского о Грузии и Грузинах. ბიზანტიოლოგიური ეტიუდები. ეძღვნება აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს. თბილისი, 1978

Васильев А.А. Лекции по истории Византийской империи. I. Петроград, 1914

Виймар Пьер. Крестовые походы: миф и реальность священной войны. Пер. Д. А. Журавлевой. СПб. 2003. [eleqtr. versia: http://krotov.me/history/12/misho/vijmar.html](http://krotov.me/history/12/misho/vijmar.html)

Гусейн-заде Р. Кавказ и сельджуки. Баку, 2010

Дашков С.Б. Императоры Византии. Москва, 1996, ელექტრ. ვერსია: <http://www.sedmitza.ru/text/434532.html>

Жордания Ф.Д. К материалам по истории Грузии XI-XII вв. Москва, 1895

Жузе П.К. Материалы по истории Азербайджана из Тари-аль-Камиль (полного свода истории) Ибн-Аль-Асира. Баку, 1940

Заходер Б.Н. Хорасан и образование государства Сельджуков. Вопросы истории, 5-6, 1945

Литаврин Г.Г. Внутривизантийский кризис в конце XI в. и внешнеполитический разгром. История Византии, II. М. 1967

Мохов А.С. Византийская армия в правление Романа IV Диогена (1068-1071 гг.). Античная древность и средние века, 34. Екатеринбург, 2003

Нодия И.М. Грузинские материалы о византийской императрице Марфе-Мариам. ბიზანტიოლოგიური ეტიუდები. ეძღვნება აკად. სიმონ ყაუხჩიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს. თბილისი, 1978

Папаскири З.В. Международное положение средневековой Грузии (70-е годы X – 80-е годы XI вв.). Диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук в форме научного доклада. Тбилиси, 1991

Папаскири З.В. От Давида до Давида. Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв. Тбилиси, 2001. ელექტრ. ვერსია: <http://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-georgian>

Папаскири З. Манцикертское сражение и некоторые аспекты грузино-сельджукских

взаимоотношений в начале 70-х годов XI века. – Uluslar Arası Büyük Selçuklu Sempozyumu, 26-30 Eylül 2010, Erciyes Üniversitesi. Kayseri, 2010, moxsenebaTa Tezisebi rusul enaze;

Райс Т.Т. Сельджуки. Кочевники – завоеватели Малой Азии. Пер. с англ. О. И. Миловой. Москва, 2004

Рыжов К.В. Шаддадиды. Все монархи мира. Мусульманский Восток. VII-XV вв. Справочник. М. 2004, ელექტრ. ვერსია: <http://interpretive.ru/dictionary/453/word/%D8%C0%C4%C4%C0%C4%C8%C4%DB>

Успенский Ф.И. История Византийской империи, 4, гл. III, ელექტრ. ვერსია: <http://rikonti-khalsivar.narod.ru/Usp4.3.htm>

Успенский Ф.И. История Крестовых походов. СПб. 1900-1901, ელექტრ. ვერსია: http://enoth.narod.ru/Crusades/Crusade_Usp01.htm;

Ходжаниязов Т. Денежное обращение в государстве Великих Сельджуков. Ашхабад, 1977

Якубовский А.Ю. Сельджукское движение и туркмены в XI в. Известия АН СССР, Отделение общественных наук, 4. Москва-Ленинград, 1937

Cahen, Clod. La campagne de Mantzikert d'après les sources musulmanes. Byzantion, 9, 1934

Cheyne, Jean-Claude. Des traces de dictature a l'époque meso-byzantin. Actes de la Table Ronde reunie. Paris, 1988

Cheyne, Jean-Claude. Mantzikert: un desastre militaire? Byzantion, 50,1980

Papaskiri, Zurab. Malazgirt Muharebesi 11. Yüzyılın 70'li yıllarında Selçuklu-Gürcü İlişkileri. Uluslar Arası Büyük Selçuklu Sempozyumu. 26-30 Eylül 2010, Erciyes Üniversitesi. Kayseri, 2010, მოხსენებათა თეზისები (თურქულ ენაზე).

IV

ერთიანი ქართული სამეფოს ორად გაყოფის შესახებ XIII საუკუნის შუახანებში

მიხეილ ბახტაძე

XIII საუკუნის შუახანებში ერთიანი ქართული მონარქია ორად გაიყო. ქუთაისში დავით ნარინი გამეფდა, თბილისში კი დავით ულუ განაგრძობდა მეფობას. ქართულ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი იმის შესახებ, თუ როდის გაიყო სამეფო ორ ნაწილად. მეცნიერთა ერთი ნაწილი ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს იზიარებს, რომ დავით VI ქუთაისში 1259 წელს გადავიდა.¹ სხვათა აზრით, დავით რუსუდანის ძე დასავლეთ საქართველოში 1249 წელს გადადის.² ამჯერად ჩვენთვის შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანია, თუ როდის გაიყო ერთიანი სამეფო ორ ნაწილად. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ვიტყვით, რომ სამეფოს ორად გაყოფა მონღოლთა მიერ საქართველოს აღწერამდე, ანუ 1254 წლამდე, უნდა მომხდარიყო და ეს უამთააღმწერლის თხზულებიდან ნათლად ჩანს.

ჩვენ ერთი კონკრეტული საკითხი გვანტერესებს – რა ცვლილებები განიცადა სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურმა აპარატმა? ანუ მოხდა თუ არა მისი ორად გაყოფაც, გაჩნდა თუ არა ორი ამირსპასალარის, ორი მანდატურთუხუცესის, ორი ამირეჯიბის და ა.შ. თანამდებობები. ლოგიკის მიხედვით, ერთიანი სამეფოს ცენტრალური აპარატი „მემკვიდრეობით“ თბილისში უნდა დარჩენილიყო. დავით ნარინს ქუთაისში ხელახლა უნდა დაეწყო მმართველობის ცენტრალური აპარატის შექმნა.

უამთააღმწერელი ამ მხრივ არანაირ ინფორმაციას არ იძლევა. იგი ზოგადად წერს, რომ „დაამტკიცეს რათა განუყონ სამეფო და საჭურჭლე ორად და აჩინნეს თავადნი სამეფოსანი და განყვეს ორად, ტფილისი ორად, ქუთათისი ორად და თავადნი და ერისთავნი ურთიერთ შეასწორეს, ნიკოფსით დარუბანდამდე და განყვეს სამეფო და საჭურჭლენი“. რეალურად სამეფო ტერიტორიული პრინციპით გაიყო. დასავლეთ საქართველო დავით რუსუდანის

¹ ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი III, თხზულებანი, ტ. III (თბილისი, 1983), 69.

² ნოდარ ასათიანი, *საქართველოს ისტორია* (თბილისი 1999), 124 .

ძეს დარჩა, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო კი – დავით გიორგის ძეს.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული XIII საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტებში.

დავით ნარინის მეუღლის, თამარ ამანელიძის 1260-1267 წლების დაწერილში ვკითხულობთ: „კითხვითა და ბრძანებითა ღმრთისა სწორისა მეფეთმეფისა დავითისითა და **მათთა ვაზირთა** კითხვითა და მოწმებითა, ვიყიდე სოფელი კვახჭირი **მათისა ამირეჯიბისა** ქობულისძისა ბელესაგან“.³ სავარაუდოა, რომ „მათთა ვაზირთა“ ქვეშ დავით VI-ის ვაზირები იგულისხმებიან. დაწერილში აღნიშნულია – „**ზარდახანისა მწიგნობრისა** დაბნედილისა ხელითა დამინერია“.

ჩვენი აზრით, დოკუმენტში მოხსენიებული ვაზირები, ამირეჯიბი და ზარდახანის მწიგნობარი დავით ნარინის სამეფოს ცენტრალური მმართველობის აპარატის მოხელეები არიან.

დავით ნარინის 1261-1262 წლების სიგელში ხეფინისხეველთა და ნაქველთადმი აღნიშნულია, რომ „დაინერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ოცდამეათორმეტესა, ხელითა **ზარდახანისა ჩუენისა მწიგნობრისა** მიქაელ ეზეკიელის ძისათა“.⁴

დავით მეფისავე 1271-1272 წლების სიგელში ვკითხულობთ: „დაინერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ორმოცდა მეორესა, ხელითა **სანოლისა და საჭურჭლისა მწიგნობრისა** ნიკოლაოზისათა“.⁵

დავით VI-ისა და ვახტანგ II-ის 1287-1288 წლების სიგელში წერია: „მოვიდა ჩუენს წინამე **ზარდახანის უხუცესი ჩუენი** ვახტანგ თულაისძე ... დაინერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ორმოცდაათექვსმეტესა და ძისა ჩუენისა ვახტანგ მეფისასა მეთესა, ხელითა **ზარდახანისა მწიგნობრისა ჩუენისა** გიორგი სოფრომისძისათა“.⁶

როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს, დავით ნარინს თავისი ამირეჯიბი, ზარდახანის უხუცესი, ზარდახანის მწიგნობარი, სანოლისა და საჭურჭლის მწიგნობარი ჰყავს. ბუნებრივია, რომ იარსებებდნენ ცენტრალური აპარატის საშუალო და დაბალი რგოლის სხვა თანამდებობის პირებიც.

ყველაზე საინტერესოა ვაზირების, ანუ ე.წ. „უხუცესების“ საკითხი.

სავარაუდოდ, დავით VI-ს საკუთარი ვაზირებიც ჰყავდა. ეს ჩანს თამარ დედოფლის დაწერილში არსებული ფრაზიდან – „კითხვითა და ბრძანებითა ღმრთისა სწორისა მეფეთმეფისა დავითისითა და **მათთა ვაზირთა** კითხვითა და მოწმებითა“. გარდა ამისა, სამეფოს მართვა თავისთავად, ავტომატურად

³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, რედ. ნ. შოშიაშვილი, I (თბილისი, 1984), 161.

⁴ იქვე, 168.

⁵ იქვე, 176.

⁶ იქვე, 182.

მოითხოვდა ცენტრალური მმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირების არსებობას.

ჩვენს ხელთ არსებულ წყაროებში არ მოიპოვება პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნის პირველ მესამედში, როდესაც დასავლეთ საქართველო ცალკე სამეფოს წარმოადგენდა, არსებობდა ორ-ორი ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მსახურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი. თუმცა, გარკვეული არაპირდაპირი მონაცემები მსგავსი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა.

ათაბაგის თანამდებობა, რომელიც მმართველობის ცენტრალური აპარატისათვის აბსოლუტურად ზედმეტი იყო, არაა აუცილებელი დასავლეთ საქართველოშიც არსებულიყო და ალბათ არც არსებობდა.

დასავლეთ საქართველოში ვერ იარსებებდა ვერც მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თანამდებობა იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ორი პიროვნება ერთდროულად ჭყონდიდის ეპისკოპოსი ვერ იქნებოდა, თუმცა შესაძლოა არსებობდა მხოლოდ მნიგნობართუხუცესის თანამდებობა.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ დავით ნარინის ვაზირები დასავლეთ საქართველოს დიდი, ძლიერი და გავლენიანი ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. XIII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოში ჩვენთვის ცნობილია შემდეგი დიდი ფეოდალური საგვარეულოები: დადიანები, ვარდანისძეები, კახაბერისძეები, შარვაშისძეები, ამანელისძეები, ქუაბულისძეები (ქობულიძეები), ფარაჯანიანები.

დადიანთა საგვარეულოს ორი წარმომადგენელი: ბედან II და ცოტნე II მანდატურთუხუცესის თანამდებობას ფლობდნენ. ბედან II დადიანი რამდენიმე ხატის წარწერაში მოიხსენიება მანდატურთუხუცესად: ხობის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – „მეოხ და მფარველ ეყავ გულისმოდგინედ მამკობსა ... ხატისა შენისს ერისთავთ-ერისთავსა, **მანდატურთუხუცესსა** ბედანსა დადიანსა და დიოფალ დიოფალსა ხუვაშაქსა“.⁷ ხობის მაცხოვრის ხატის წარწერაში – „და მასვე პირველ შემამკობელსა ხატისა ამის შენისასა, ნათელს თანა მარჯვენით შენსა მდგომად დაანესე იგი და ძე მათი ვარდან დადიანი, **მანდატურთუხუცესი** ბედანი დადიანი და ცოლი მათი, ბეგაისა ქართლის ერისთავის ასული, ხუაშაქი და ძენი მათნი ერამაჰრი, გიორგი და ივანე“.⁸ მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერაში – „ახლად მამკობი კნინთა მიერ, უღირსი **მანდატურთუხუცესი** ბედანი დადიანი და მეუღლე, ვითხოვთ, მე უღირსი ხუაშაქი, ქართლისა ერისთავისა ასული ძითურთ გიორგით და ივანეთი გვიოხენ“.⁹ ბედან II ჟამთააღმწერელის თხზულებაში პირველად 1242 წლის

⁷ ექვთიმე თაყაიშვილი, *არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები*, ნ. II (ტფილისი, 1914), 141.

⁸ იქვე, 139.

⁹ იქვე, 49.

ამბების თხრობისას ჩნდება: „მეფემან რუსუდან თანა წარიტანა ყოველნი მთავარნი ლიხთ იმერელნი დადიანი ცოტნე, კაცი პატივოსანი და სათნოებიანი და ბრძოლათა შინა სახელოვანი, ბედანი, რაჭის ერისთავი, გურიელი და ყოველნი წარჩინებულნი“.¹⁰ უკანასკნელად კი XIII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში იხსენიება.¹¹ აქედან გამომდინარე, ბედან დადიანი პირობითად შეიძლება XIII საუკუნის 40-60-იანი წლების მოღვაწედ მივიჩნიოთ.

მანდატურთუხუცესად მოიხსენიება ცოტნე II შერგილის ძე დადიანიც. ამას ადასტურებს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპი – „**მანდატურთუხუცესისა** და ერისთავთ-ერისთავისა ცოტნე დადიანისა“.¹² შესაძლოა გვევარაუდა, რომ შერგილიც ფლობდა მანდატურთუხუცესობას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ იგი ამ ტიტულით არც ერთ წყაროში არ მოიხსენიება. სამწუხაროდ, წყაროებში არ არის დაცული ცნობები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა შერგილისა და ცოტნე II-ის მოღვაწეობის შესახებ უფრო დაწვრილებით გვესაუბრა და მათი მოღვაწეობის ზუსტი თარიღები დაგვედგინა. ზოგადად, ისინი XIII საუკუნის მინურულისა და XIV საუკუნის დასაწყისის მოღვაწეებად უნდა მივიჩნიოთ.

აუცილებლად გასათვალისწინებელია სხვა წყაროების მონაცემები, რომელთა მიხედვითაც მანდატურთუხუცესობა მხარგრძელთა და ჯაყელთა ხელშია.

XIII საუკუნის დასაწყისში მანდატურთუხუცესი ზაქარია მხარგრძელია, რომელიც ამავე დროს ამირსპასალარის „კელსაც“ ითავსებდა.¹³ 1212 წელს ზაქარია გარდაიცვალა და მანდატურთუხუცესობა, მართალია, მემკვიდრეობით მის ძეს შანშეს (შაჰანშას) უნდა გადასცემოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი იმ მომენტში მცირეწლოვანი იყო და რეალურად ვერ შეძლებდა მანდატურთუხუცესის მოვალეობების შესრულებას. ამიტომ მანდატურთუხუცესი ზაქარიას ძმა ივანე გახდა, თუმცა იმავე პერიოდში მანდატურთუხუცესად შანშეც მოიხსენიება.¹⁴ ივანეს გარდაცვალების შემდეგ მანდატურთუხუცესი (რეალურიც და ფორმალურიც) შანშე ზაქარიას ძე გახდა. ამ თანამდებობით მოიხსენიება ის ჟამთააღმწერელთანაც¹⁵ და ისტორიულ საბუთებშიც. მიქელ კათოლიკო-

¹⁰ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 195.

¹¹ იქვე, 243.

¹² ელენე მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (თბილისი 1962), 101.

¹³ შოთა მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში (თბილისი 1979), 301.

¹⁴ ეს ფაქტი სრულიად მართებულად ახსნა შ. მესხიამ. ივანე რეალურად ასრულებდა მანდატურთუხუცესის მოვალეობებს, შანშე კი ამ თანამდებობის „კანონიერ“ მემკვიდრედ ითვლებოდა. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება, 309-311.

¹⁵ ქართლის ცხოვრება, II, 169, 182, 187, 190, 212.

სის 1241 წლის დანერვილში – „ამა ღმრთისა სწორთაგან დამტკიცებულისა სი-გლისა მე შაჰანშა მანდატურთუხუცესიცა დამამტკიცებელი ვარ“¹⁶ და არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის 1241-1242 წლების დანერვილი: „მე შაჰან-შა მანდატურთუხუცესსა დამიმტკიცებია ესე დანერვილი“.¹⁷ შანშე 1262 წელს გარდაიცვალა. ამის შემდეგ ჟამთააღმწერელი მანდატურთუხუცესად მის ძეს ივანეს მოიხსენიებს.¹⁸ შ. მესხიას აზრით, ივანემდე მანდატურთუხუცესი მისი უფროსი ძმა, ავაგ-სარგისი იყო.¹⁹

ანალოგიური თვალსაზრისი გააჩნია ი. ბერიძეს. ის თვლის, რომ ავაგ-სარ-გისი მანდატურთუხუცესი იყო 1270 წლამდე, ხოლო შემდეგ, 1289 წლამდე, ამ თანამდებობას მისი ძმა ივანე ფლობდა.²⁰

ჩვენთვის, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაკლებად მნიშვნელოვანია, იყო თუ არა ავაგ-სარგისი მანდატურთუხუცესი. მთავარია, რომ მანდატურთ-უხუცესობა XIII საუკუნის დასაწყისიდან მხარგრძელთა ხელშია. მხარგრძელ-თა შემდეგ მანდატურთუხუცესობა ბექა ჯაყელის ხელში გადადის. შ. მესხიას აზრით, ეს 1302 წლის შემდეგ უნდა მომხდარიყო.²¹

ჩვენი აზრით, ბექამ მანდატურთუხუცესობა XIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში მიიღო, მას შემდეგ, რაც მამამისი სარგის ათაბაგი ბერად აღიკვე-ცა და ათაბაგობა ტარსაიჭ ორბელს გადაეცა, სარგისის მემკვიდრე ბექას კი მანდატურთუხუცესობა ებოძა.²² ამ დროისათვის ივანე მხარგრძელი, სავა-რაუდოდ, გარდაცვლილი იყო.

ამრიგად, XIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან 1308 წლამდე მან-დატურთუხუცესია ბექა ჯაყელი. ეს დასტურდება როგორც მისივე დანერვილი-დან კახა თორელისადმი – „მე ბექამან მანდატურთუხუცესმან, ჩემმან ცოლ-მან შვილთა ჩემთა: სამცხის სპასალარმან სარგის, ყუარყუარე და შალვა“,²³ ასევე ჟამთააღმწერელთან დაცული ცნობებითაც.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენთვის მთავარია, რომ XIII საუკუნესა და XIV საუკუნის დასაწყისში მანდატურთუხუცესობა ჯერ მხარ-გრძელთა, ხოლო შემდეგ ჯაყელთა ხელშია.

მაშინ როდისღა ფლობდნენ მანდატურთუხუცესის თანამდებობას ბედან II და ცოტნე II? ჩვენ არ ვიცით არც მათი და არც შანშე, ავაგ-სარგის და ივა-

¹⁶ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 116.

¹⁷ იქვე, 120.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, II, 259, 269.

¹⁹ მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება, 316.

²⁰ ირმა ბერიძე, „მხარგრძელთა საჯელოები XII-XIII საუკუნეების საქართველოში“, სტუ-დენტური ძიებანი, 1 (თბილისი, 2001), 28-29.

²¹ მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება, 317.

²² მიხეილ ბახტაძე, ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში (თბილისი, 2009), 33.

²³ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 193.

ნე მხარგრძელთა მოღვაწეობის ზუსტი ქრონოლოგია. აქედან გამომდინარე თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XIII საუკუნეში, რაღაც მომენტში, მცირე ხნით მაინც, დადიანთა წარმომადგენლები ფლობდნენ მანდატურთუხუცესობას, რომელსაც შემდეგ ისევ მხარგრძელები იბრუნებდნენ, ანუ, თითქოს ისე გამოდის, რომ მანდატურთუხუცესობა რიგრიგობით იყო მხარგრძელთა და დადიანთა ხელში. ამგვარი რამ ჩვენ მხოლოდ თეორიულად მიგვაჩნია დასაშვებად. რეალურად მსგავსი რამის წარმოდგენა გვიჭირს. ასეთ შემთხვევაში რჩება ერთადერთი გამოსავალი – ბედან II და ცოტენ II დადიანები მანდატურთუხუცესები იყვნენ დასავლეთ საქართველოში დავით ნარინის კარზე.

ჩვენი აზრით, ანალოგიური მდგომარეობაა მსახურთუხუცესობასთან დაკავშირებითაც.

ამ მხრივ საინტერესოა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპი „სუანთ ერისთავისა ვარდანისძისა მსახურთუხუცესისა არიშიანისა“.²⁴ ალაპის შინაარსიდან ჩანს, რომ არიშიან ვარდანისძემ მონასტერს ათას ხუთასი თეთრი შესწირა. ელ. მეტრეველის აზრით, ალაპი 1273-1301 წლებში უნდა იყოს გაჩენილი. სავარაუდოდ, არიშიანი XIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწედ უნდა მივიჩნიოთ.

არაერთი წყაროს მიხედვით, XIII საუკუნის II ნახევარში მსახურთუხუცესებად მოიხსენიებიან სურამელთა საგვარეულოს წარმომადგენლები: გრიგოლი – კახა თორელის 1260 წლის დაწერილში: „მეჭურჭლეთუხუცესისა კახოსაგან დაწერილსა მე გრიგოლ მსახურთუხუცესი სურამელი მამტიციბელი და მონამე ვარ“;²⁵ ბეგა – „მსახურთუხუცესმან ბეგამან, ძემან გრიგოლ სულკურთხეულისამან“;²⁶ ამადა – 1297-1298 წლების დავით VIII-ის სიგელში – „ღმრთისა სწორთა ბრძანებისა მონამე ვარ მიწაი მსახურთუხუცესი და ქართლისა ერისთავი ამადა სურამელი“.²⁷

გრიგოლი, ბეგა და ამადა – ბაბუა, შვილი და შვილიშვილი არიან. შეიძლება დავუშვათ, რომ რაღაც ეტაპზე სურამელებმა მსახურთუხუცესობა დაკარგეს და მცირე ხნით ეს თანამდებობა ვარდანისძეებმა მიიღეს. ეს ნაკლებ სავარაუდოდ მიგვაჩნია. უფრო სარწმუნო გვგონია მოსაზრება, რომ არიშიან ვარდანისძე მსახურთუხუცესია დასავლეთ საქართველოში, სურამელები კი – აღმოსავლეთ საქართველოში (თუმცა თეორიულად იმის დაშვებაც შეიძლება, რომ არიშიანი ვარდანისძეთა მსახურთუხუცესია).

ჩვენი აზრით, ქუთაისში გადასული დავით VI XIII საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში თავისი სამეფოს ცენტრალური მმართველობის აპარატის ჩამოყა-

²⁴ მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 92.

²⁵ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, 154.

²⁶ იქვე, 165.

²⁷ იქვე, 195.

ლიბებას იწყებს. ალბათ იქმნება ამირსპასალარის, მანდატურთუხუცესის, მსახურთუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესისა და სხვა უფრო დაბალი რანგის (ამირეჯიბი, ამირახორი, ზარდახანის უხუცესი, სანოლის და ზარდახანის მნიგნობრები და სხვ.) მოხელეთა თანამდებობები. სავარაუდოდ უნდა არსებულიყო მნიგნობართუხუცესის „კელიც“. სამაგიეროდ, ვფიქრობთ, რომ არ იყო ათაბაგის თანამდებობა. სავარაუდოდ მანდატურთუხუცესობა დადიანთა საგვარეულოს ხელში გახლდათ, მსახურთუხუცესობა – ვარდანისძეთა, ამირეჯიბობა – ქობულისძეთა (ქუაბულისძეთა).

ამრიგად, XIII საუკუნის II ნახევარსა და XIV საუკუნის პირველ მესამედში თბილისის სამეფო კარს თავისი ცენტრალური მმართველობის აპარატი ჰქონდა და ქუთაისის სამეფო კარს – თავისი (ძნელი სათქმელია, რამდენად სრულყოფილად იყო ჩამოყალიბებული ცენტრალური მმართველობის აპარატი ქუთაისის სამეფო კარზე). ასეთი მდგომარეობა 1329 წლამდე უნდა შენარჩუნებულიყო, ვიდრე გიორგი ბრწყინვალემ თავის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოზე არ გაავრცელა.

აქვე გვინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხოთ: ხომ არ არის დასავლეთ საქართველოში მმართველობის ცენტრალური აპარატის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული, „ხელმწიფის კარის გარიგების“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტის შექმნის საკითხიც? ჩვენ სრულიად ვიზიარებთ შ. მესხიას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ დღემდე მოღწეული ტექსტი XIII საუკუნის მეორე ნახევარშია დაწერილი დასავლეთ საქართველოში (ეს მოსაზრება შემდგომში ილია ანთელავამაც გაიზიარა).²⁸ როგორც ცნობილია, „ხელმწიფის კარის გარიგების“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი არ წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს. ჩვენი აზრით, ის კონკრეტული პირისათვის არის შექმნილი გარკვეული პრაქტიკული საჭიროების გამო და შესაძლოა ეს „გარკვეული პრაქტიკული საჭიროება“ სწორედ დასავლეთ საქართველოს სამეფოს მმართველობის სისტემის, მათ შორის, ცხადია, ცენტრალური აპარატის, ჩამოყალიბება იყო. სავარაუდოდ, ვილაცას, ვინც დასავლეთ საქართველოს სამეფოს მმართველობის სისტემის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდა, სჭირდებოდა ინფორმაცია ერთიანი ქართული მონარქიის მმართველობის სისტემის შესახებ, რათა ანალოგიური ინსტიტუციონალური სისტემა შეექმნა.

²⁸ მესხია, *საშინაო პოლიტიკური ვითარება*, 71.

ბიბლიოგრაფია

- ასათიანი ნოდარ. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1999
- ბახტაძე მიხეილ. ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში. თბილისი, 2009
- ბერიძე ირმა. მხარგრძელთა საკელოები XII-XIII საუკუნეების საქართველოში. სტუდენტური ძიებანი, 1, 2001
- თაყაიშვილი ექვთიმე. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. ნ. II. ტფილისი, 1914
- მესხია შოთა. საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბილისი, 1979
- მეტრეველი ელენე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბილისი, 1962
- ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959
- ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. რედ. ნ. შოშიაშვილი. ტ. I. თბილისი, 1984
- ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია. წიგნი III. თბილისი, 1983

V

თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების შესახებ (რელიგიური ასპექტი)

გიორგი ოთხმეზური

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი დამპყრობლის თემურ-ლენგის ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველთვის იყო მეცნიერთა დიდი ინტერესის საგანი. თემურ-ლენგის თანამედროვე და მომდევნო ხანის მემატრიანეთა ცნობებზე დაყრდნობით, ქართულ ისტორიოგრაფიაში დაწვრილებით არის გაშუქებული მისი საქართველოში რვაგზის შემოსევა.¹

ერთსულოვანია ყველა მკვლევრის შეფასება, რომ საერთოდ თემურ-ლენგის ლაშქრობებისათვის დამახასიათებელი სისასტიკე საქართველოში კიდევ უფრო განსაკუთრებული იყო რელიგიური ფაქტორის გამო.

მიუხედავად ამისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისით, საქართველოს ასეთი უმოწყალო აოხრება თემურ-ლენგისაგან, ბაგრატ V-ისა (1360-1393 წწ.) და განსაკუთრებით, გიორგი VII-ის (1393-1407 წწ.) გაუფრთხილებელი, შეიძლება ითქვას, უგუნური მოქმედებების შედეგი იყო.

სომეხი და ქართველი მემატრიანეების (თომა მენოფელი,² ბერი ეგნატაშვილი,³ ახალი ქართლის ცხოვრება, II ტექსტი;⁴ ვახუშტი ბაგრატიონი⁵)

¹ თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობების მიმდინარეობა და ისტორიოგრაფია იხ. კარლო ტაბატაძე, „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, რედ. ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა, III (თბილისი, 1979), 670-719.

² თომა მენოფელი, *ლანგ-თემურის ისტორია*, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ლ. მელიქსეთ-ბეგმა (თბილისი, 1937), 20.

³ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 329.

⁴ „ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 455.

⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება,

ცნობით, ყარაბახში ტყვედ მყოფმა ბაგრატ V-მ მოჩვენებით მიიღო ისლამი და შემდეგ, შურისძიების მიზნით, „მოიკვლოვნა განზრახვა ესევეთარი“, „გააბრიყვა“ და დაარწმუნა თემურ-ლენგი თავის გულწრფელობაში და დაითანხმა გაეყოლებინა მისთვის ჯარი სრულიად საქართველოს გასამაჰმადიანებლად.

1400 წ. (VI ლაშქრობა) საქართველოს საზღვრებთან მომდგარმა თემურ-ლენგმა მოციქული გაუგზავნა გიორგი VII-ს, მოსთხოვა მორჩილება და აღინჯის ციხიდან წამოყვანილი თაჰერ ჯალაირიანის გადაცემა. საქართველოს მეფემ ღირსებით სავსე გაბედული პასუხი გაუგზავნა დამპყრობელს:

„დაღაცათუ სარკინოზ ხარ და ბარბაროს სჯულითა, და არა უწყი წინასწარმეტყუელთა მიერ თქმული, თუ ვითარ იტყვს: „უფალი ამპარტავანთა შემუსრავს, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი“, ესე უწყოდე, რამეთუ მე მეფობისა შენისა არა უმცირეს ვარ, არცა უადრეს. არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დავით წინასწარმეტყუელისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განეგების მეფობა ჩუენ ბაგრატიონთა და ტომნი ვართ დავით მეფისა და წინასწარმეტყუელისა? რომლისათეს ბრძანა ღმერთმან, ვითარმედ: „ერთგზის ვეფუცე წმიდასა ჩემსა დავითს, და მე არა ვეცრუო მას, ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსუა საყდართა შენთაო“ (ფსალმ. 131, 11). და ესე დავით იგი არს, რომელმან ერთითა შურდულითა მოკლა გოლიათი და შემუსრა ქედმაღლობა მისი. ამისთვისცა განგებითა მრავალმონყალისა ღმრთისათა მეფედ დამკვდრებულ ვართ სრულიად საქართველოსა ზედა, და ესრეთ განთავისუფლებულ ვართ, და სხუა მეფე არა უფლებულ არს ჩუენ ზედა, გარნა მეუფე იგი ზეცათა უფალი ჩუენი იესო ქრისტე. ხოლო მეფობა შენი აქაცა მსწრაფლ წარმავალ არს და უმკვდრო, და მუნ საუკუნოდ გეგულების ცეცხლი უშრეტი, რომელი განმზადებულ არს ეშმაკათაჲს და შენებრ მსახურთა ყოველთათესვე. და მზაკუარებითა მაგით და კვლოვნებითა ბელზებულთათა დაგიპყრიეს სრულიად აღმოსავლეთი და გყავს სიმრავლე ბანაკთა და სპანი ურიცხვნი. და ესე სამგზის მოსრულ ხარ და იავარ გიყოფიეს სამკვდრებელი ესე სამეფო ჩემი, და წილხდომილი ესე სამწყსო წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა, და ესე არათუ ძალისა შენისა მოქმედება არს, არამედ ცოდვათა ჩუენთა განმრავლებისათეს სამართლად გუნუართნა ჩუენ ღმერთმან... მოვედ თუმცა არა ხარ სეფექალ და დიაც, და თუ შენ არ მოხვალ, მე მოვალ ძალითა ღმრთისათა რჩეულითა სპითა ჩემითა... დაღაცათუ სიმრავლითა ძალისა შენისათა მრავალი ბოროტი გიყოფიეს ჩუენდა მომართ, არამედ უვნებლად არცა ჩუენ მიერ წარსულ ხარ“.⁶

ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი, 1973), 266.

⁶ „ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 460-461.

ასევე უარი შეუთვალა თაჰერ ჯალაირიანის გადაცემაზე: „არ არის ჩვენი ნათესავთ ნესიო, რომ შემოხვენილი კაცი ვინმე მივსცეთო“.⁷

ივ. ჯავახიშვილის შეფასებით: „საქართველოში საქმეთა მაშინდელ მიმდინარეობის დაკვირვებით განხილვის შემდგომ, შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს ის მრავალგზისი აოხრება, რომელიც ქვეყანას თავს დაატყდა, მარტო თემურ-ლენგის ბრალი არ იყო. დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ბრძოლა სრულებით კანონიერიცა და ბუნებრივიც იყო საქართველოსთვის, მაგრამ გიორგი მეფეს გათვალისწინებული არ ჰქონდა, რა პირობებში იყო აქტიური პოლიტიკის წარმოება შესაძლებელი და რა პირობებში უკვე ასეთი მოქმედება მიზანშეწონილ ნაბიჯად არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო... თემურ-ლენგის საქართველოსადმი პირველი შემოსევის დროს შედარებით „ლმობიერი“ მოქმედება ცხადყოფს, რომ საქართველოს მთავრობას რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება აესრულებინა, ის საქართველოს თავისი შემოსევებით აღარ შეანუხებდა. ამავე დროს გამომწვევი აქტიური წარმოებით გიორგი მეფემ ეს მრისხანე მტარვალ გაალიზიანა და თავისი ქვეყანა დაუნდობელი ბრძოლის ასპარეზად აქცევინა. ...თემურ-ლენგის სიკვდილმა კი – ცხადყო, რომ ფრთხილი პოლიტიკის საშუალებით საქართველოს შეეძლო ის საშინელი უბედურებაც თავიდან აეცილებინა, რომელიც მას თემურ-ლენგის მრავალგზისი შემოსევების დროს თავს დაატყდა, და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენაც გაცილებით უფრო ადვილად და სწრაფად მოხერხდებოდა.

ამრიგად, ისევე, როგორც ბაგრატ V, გიორგი მეფეც გულადი მებრძოლი იყო, მაგრამ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა და მიზანშეწონილი საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის უნარი გიორგი მეფეს აკლდა“.⁸

დაახლოებით ასეთივე თვალსაზრისია გატარებული 2008 წელს გამოქვეყნებული საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში: თემურ-ლენგის მიერ ყველა მონინააღმდეგის დამარცხების შემდეგ, გიორგი VII-საგან „აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება შესაძლოა შეცდომაც კი იყო... ავადმყოფურად პატივმოყვარე თემურ-ლენგისათვის გამოწვევა იყო. 1399 წლისა და მომდევნო ლაშქრობანი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა და, თითქოს, შურისძიებით იყო ნაკარნახევი“.⁹

მართალია, საქართველოს ისტორიის ნარკვევების III ტომში ეს მძიმე ბრალდება საქართველოს მეფეებისადმი პირდაპირ წაყენებული არ არის, მაგრამ არც მისი უარყოფა ან ახსნის მცდელობაა მოცემული.¹⁰

ბუნებრივია, ისმის კითხვა, რამ განაპირობა ბაგრატ V-სა და გიორგი VII-ის

⁷ ფარსადან გორგიჯანიძე, *საქართველოს ისტორია*, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, II (თბილისი, 1925), 302.

⁸ ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, III (თბილისი, 1966), 422-423.

⁹ გივი ჯამბურია, „თემურ-ლენგის შემოსევები“, *საქართველოს ისტორია*, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რედ. ნ. ასათიანი, გ. ჯამბურია, II (თბილისი, 2008), 96-97.

¹⁰ ტაბატაძე, „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ“, 670-719.

ასეთი გამომწვევი მოქმედება და ამავსი პასუხი თემურ-ლენგის შემოთავაზებულ მორიგებაზე. ნუთუ ემოციებმა, შურისძიების გრძნობამ და პატივმოყვარეობამ ისე დააბრმავა ქართველი მეფეები, რომ მათ ვერც მტრისა და საკუთარი ძალების შეფასება შესძლეს, ვერც ქვეყნისათვის მოსალოდნელი საშიშროება დაინახეს და უაზრო გაბედულებით, ყოვლად გაუმართლებელი ჟინიანობით, მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე დააყენეს ქვეყანაც და საკუთარი თავიც. ვფიქრობ, ასეთი ვარაუდის დაშვება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჩავთვლით, რომ ბაგრატ V-სა და გიორგი VII-ს მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ თემურ-ლენგის ლაშქრის მრავალრიცხოვნებასა და სიძლიერეზე, არ იცნობდნენ მის ხასიათსა და ბრძოლის მეთოდებს. მაგრამ წყაროთა მონაცემების ანალიზი სწორედაც რომ სანინალმდეგოს გვიმტკიცებს. მომხდურის შესახებ რომ რეალური ინფორმაცია ჰქონდა (ამისათვის არსებობდა საქართველოში მენაპირეთა ინსტიტუტი), ამიტომაც აარიდა ბაგრატ V-მ გაშლილ ველზე ბრძოლას თავი და თბილისში შეიკეტა – იქნებ მტკიცე ზღუდე შემოვლებულ და კარგად გამაგრებულ ქალაქში მოეხერხებინა თავის დაცვა. მას შემდეგ, რაც ბაგრატ V-მ თავის თავზე გამოსცადა თემურ-ლენგის ძალა (ტყვეობაში ყოფნისასაც დარწმუნდებოდა ამასი), ვფიქრობ, გამორიცხულია „შურისძიების“ მიზნით მას თვითონ შეეთავაზებინა თემურ-ლენგისათვის მთელი საქართველოს გამაჰმადიანება და მოეთხოვა ჯარი. როგორც სამართლიანად არის შენიშნული და დასაბუთებული ივ. ჯავახიშვილის მიერ, „არაფერი ამის მსგავსი არც შეიძლება მომხდარიყო და არც მომხდარა. თემურ-ლენგი ისეთი ცბიერი და ეჭვიანი კაცი იყო, რომ მისი ასე სულელურად მოტყუება არავის შეეძლო. სრულებით დაუფერებელია, მით უმეტეს, რომ ბაგრატ V-ისათვის, ამ გუშინდელი მოწინააღმდეგისათვის, თავისი მრავალრიცხოვანი ლაშქარი მიეცა და სარდლობაც მისთვისვე ჩაებარებინა. ამას გარდა, თემურ-ლენგს თავის ბანაკში, როგორც მისი სამხედრო მოქმედებებიდანაც ცხადად ჩანს, საქართველოს გზების კარგი მცოდნენი საკმაოდ ჰყოლია და თავის ლაშქარს რომელსამე მათგანს, რა თქმა უნდა, მაინც გააყოლებდა. ასეთ პირობებში, ცხადია, ბაგრატ V-ეს მონღოლთა მბრძანებლის ლაშქრის მისი ნებით ვინროებასა და გაუვალ ადგილებში შემწყვედვის არც უფლებას და არც საშუალებას არავინ მისცემდა“.¹¹ ამასთანავე, რა თქმა უნდა, არავითარი გარანტია, რომ მტრის 12-ათასიან მხედრობას უვნებელი გადაურჩებოდა, არ არსებობდა.

ამრიგად, გიორგი VII-ის ჩასაფრება „ხუნანის“¹² პირისპირ, აღმოსავლით

¹¹ ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 291-292. ივ. ჯავახიშვილის ერთ-ერთი არგუმენტია ისიც, რომ თემურ-ლენგს საპასუხო ლაშქრობა არ მოუწყვია ბაგრატ V-ის წინააღმდეგ. მართალია, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება არ არის გაზიარებული (როგორც ცნობილია, სწორედ ბაგრატ V-ის მოქმედების საპასუხოდ, 1387 წელს, მოეწყო თემურ-ლენგის მეორე ლაშქრობა), მაგრამ ეს სრულებითაც არ აკნინებს მის მიერ მოყვანილი არგუმენტების საბუთიანობას.

¹² ხუნანი – ისტორიული ციხე-ქალაქი ქვემო ქართლში.

კიდესა ბერდუჯისასა“,¹³ სადაც საქართველოს მეფეებმა „მოსრეს და ამოსნ-ყუტეს თათარნი“,¹⁴ აუცილებლობით იყო გამონწვეული და არა შურისძიების სურვილითა თუ პოლიტიკური ვითარების შეუფასებლობით. ბაგრატ V-ს არჩევანის საშუალება არ ჰქონდა. მას ან ცეცხლითა და მახვილით უნდა გადაერჯულეზინა საქართველო, ან საკუთარი და თავისი ოჯახის (დედოფალი ანა და უფლისწული დავითი ტყვეობაში იმყოფებოდნენ მასთან ერთად) სიცოცხლის რისკის ფასად შეეჩერებინა მტერი. ბუნებრივია, რომ საქართველოს მეფემ ეს უკანასკნელი გზა აირჩია.

ასევე ზუსტად იყო ინფორმირებული გიორგი VII, რომ 1400 წ. თემურ-ლენგმა თავისი უზარმაზარი იმპერიის მთელი სამხედრო პოტენციალი მიმართა საქართველოს წინააღმდეგ. ამას ადასტურებს გრიგოლ ბანდაისძის მიერ ლარგვისის XIV ს-ის პარაკლიტონზე შესრულებული მინაწერი და ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატთან „ძეგლი ერისთავთა“-ში დაცული ამის იდენტიური ცნობა; 1. პარაკლიტონის მინაწერი: „მოქცევასა იდ. ქკს: პე (=1400 წ.), მაისს ზ., მოვიდა თემურ-ბეგ სულტანი სამარყანელი და გამოიტანა ყაანნი სინიჩარისაი, ჩინეთისაი, ქომანეთისაი, ხვარაზმისაი, ქაშანისაი, ნაჰროეთისაი, სიყალბისაი, ჩალანისაი, ალაბისაი, სინდეეთისაი, ხატავეთისაი, ერაცისაი, თურქისტანისაი და სიმრავლისა მათისა არა იყო რიცხუ“;¹⁵ 2. ძეგლი ერისთავთა: „მოვიდა თემურ სამანგლელი ყოვლითა სპითა ჩალანელ-ქაშანელ-სიყალბელ-ნაჰრომელ-ინდუსტანელითა და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლეთის ლაშქრითა“.¹⁶ ეს ორივე მინაწერი მოვლენათა თანამედროვეს „ძეგლი ერისთავთა“-ს ერთ-ერთ ავტორს, გრიგოლ ბანდაისძეს ეკუთვნის.¹⁷

ამავე დროს გიორგი VII-მ ძალიან კარგად იცოდა ისიც, რომ მარტო იყო დარჩენილი თემურ-ლენგის პირისპირ (დარბეული და დამორჩილებული ჩრდ. კავკასიის მოსახლეობა, დანებებული „ოქროს ურდო“, თემურ-ლენგის მხა-

¹³ ბერდუჯი – მტკვრის მარჯვენა შენაკადი. დღეს მდ. ძეგამ-ჩაი (აზერბაიჯანი) იყო საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარი ალბანეთ-ირანთან.

¹⁴ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი“, 330.

¹⁵ ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, 298-299.

¹⁶ შოთა მესხია, „ძეგლი ერისთავთა“, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკ. 30, რედ. ვ. გაბაშვილი (თბილისი, 1954), 358.

¹⁷ „ძეგლი ერისთავთა“ ავტორის ვინაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ორი მოსაზრება არსებობს: ზოგი მას ავგაროზ ბანდაისძედ მიიჩნევს, ზოგი კი – ავგაროზის შვილ გრიგოლ ბანდაისძედ. ვფიქრობ, გრიგოლ ბანდაისძე „ძეგლი ერისთავთა“-ს დასკვნითი ნაწილის ავტორი და მთლიანად თხზულების გადამწერ-რედაქტორი უნდა იყოს (ავგაროზ ბანდაისძე 1298 წლისათვის გარდაცვლილია). ძეგლში იმდენად თანმიმდევრულად და დეტალურად არის აღწერილი XIV-ს-ის მოვლენები, რომ შეუძლებელია გრიგოლ ბანდაისძეს არ ესარგებლა წინამორბედთა ჩანაწერებით, რაც სწორედ მამამისის, ავგაროზის ხელიდან უნდა ყოფილიყო გამოსული. იხ. გიორგი ოთხმეზური, „ძეგლი ერისთავთა“-ს ზოგი ადგილის გაგებისათვის“, *სამეცნიერო პარადიგმები, კრებული ეძღვნება პროფ. ნათელა ვაჩნაძეს*, რედ. გიორგი ჭეიშვილი (თბილისი, 2009), 555-562.

რეს გადასული გიორგი VII-ის ერთადერთი მოკავშირე შაქისელი სიიდი აღის შვილი სიიდი აჰმედი) და ისიც, თუ როგორ უსწორდებოდა თემურ-ლენგი ურჩებს (1388 წ. აჯანყების გამო ხორეზმის მოსპობილი სახელმწიფოებრიობა, მიწასთან გასწორებული მისი დედაქალაქი ურგენჩი, გაჟღეტილი, აყრილი და სამარყანდში გადასახლებული მოსახლეობა).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ისმის კითხვა, რამ განაპირობა ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის ასეთი უკომპრომისო დამოკიდებულება და შეურიგებელი ბრძოლა თემურ-ლენგის წინააღმდეგ, რა იყო დამპყრობლის მოთხოვნაში ისეთი, რაც კატეგორიულად მიუღებელი უნდა ყოფილიყო საქართველოს სამეფო კარისათვის.

ჩემი აზრით, ეს იყო მთელი ქვეყნის (და არა მარტო მეფის ან სამეფო ოჯახის) გამუსლიმების მოთხოვნა.

მთელი ჩვენი ისტორია, შეიძლება ითქვას, გარეშე მტრებთან ბრძოლის ისტორიაა. ბრძოლა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის წითელ ზოლად გასდევს ჩვენს მრავალსაუკუნოვან წარსულს. საქართველო ხშირად მდგარა ფიზიკური განადგურებისა თუ მორალური გადაგვარების საფრთხის წინაშე, მაგრამ მაღალი ეროვნული თვითშეგნება და მართლმადიდებლური ქრისტიანობა იყო ყოველთვის ის ძალა, რომელიც განსაცდელის ჟამს გვიფარავდა. შემთხვევითი არაა, რომ ქართულ ენაში ეროვნებასა და რელიგიას ერთი სახელი აქვს – რჯული. მართლმადიდებლური ქრისტიანობა, როგორც დროშა, წინ მიგვიძღოდა, გვაერთიანებდა და გვიცავდა უცხოტომელთა მომძლავრებისაგან. ეს მომხდურსაც კარგად ესმოდა. ამიტომაც იყო, რომ ყველა დამპყრობელი, პირველ რიგში, შეურიგებელ ბრძოლას უცხადებდა ჩვენს ეროვნულ მრწამსს. საქართველოს რიგით ირანულ პროვინციად გადაქცევა, სწორედ ქრისტიანობის აღმოფხვრის გზით ესახებოდათ სასანიან შაჰებსა თუ ყიზილბაშ ყაენებს. ოსმალეთის ისლამური იმპერიისათვის თუ მინიმალურად მაინც დასაშვები იყო კათოლიკური სალოცავებისა და სომხური ტიპიკონის ფუნქციონირება სამცხე-ჯავახეთში, კატეგორიულად მიუღებელი იყო მართლმადიდებლური ეკლესიების არსებობა. მართლმადიდებლური მეფის რუსეთიც კი, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით (1811-1814 წწ.), ეკლესია-მონასტერთა რაოდენობის მკვეთრი შემცირებითა და ქართულ ენაზე ღვთისმსახურების აკრძალვით, ცდილობდა იმპერიული ასიმილაციური ექსპანსიის განხორციელებას.

ეს კარგად ჰქონდა გააზრებული თემურ-ლენგსაც. პოლიტიკა და რელიგია მის დამპყრობლურ გეგმებში მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული. ქრისტიანობის მოსპობა იყო ის აუცილებელი პირობა, რაც ქართული მინისმფლობელობის წესის მაჰმადიანურით შეცვლას, მისი ბატონობის უზრუნველყოფას და, საბოლოო ჯამში, შედეგად „ქართველობის“ განადგურებას მოიტანდა.¹⁸

¹⁸ ტაბატაძე, „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ“, 681.

თემურ-ლენგი რომ მარტო გიორგი VII-ის გამუსლიმებით არ დაკმაყოფილდებოდა და მის მიზანს მთელი საქართველოს (და კავკასიის) გამაჰმადიანება შეადგენდა, ამას სპარსელი ისტორიკოსებიც ადასტურებენ. თემურ-ლენგის ლაშქრობების მოწმე და თვითმხილველი მოინ ად-დინ ნათანზის ცნობით, „საქართველოს მეფეს (გიორგი VII) დანებებისა და მორჩილების სრული მისწრაფება ჰქონდა, მაგრამ გამუსულმანების შიშით შეუპოვარ წინააღმდეგობას ეწეოდა და ამ სიჯიუტეს, ათეულ ათასობით ქართველის სიცოცხლე შეენირა“; ხოლო აბდ არ-რაზაყ სამარყანდი საქართველოში ლაშქრობების მიზეზებს აქ ისლამის გავრცელების საჭიროებით ხსნის.¹⁹ ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს, რომ თემურ-ლენგი „გარნა კუალად არა დასცხრა გულის-წყრომად, ვინაითგან ენება მოოკრება და მაჰმადიანობა საქართველოსი“.²⁰

თემურ-ლენგი რომ საერთოდ ქრისტიანობის აღმოფხვრასა და ისლამის გავრცელებას თავის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მიიჩნევდა, ეს ჩრდილოეთ კავკასიის მაგალითზეც ნათლად გამოჩნდა, სადაც 1395 წელს (თოხთამიშის დამარცხების შემდეგ) ქრისტიანული სალოცავები დაანგრია, მოსახლეობას ძალით მიაღებინა ისლამი და ჩამოაცილა საქართველოს. „დაიმორჩილა დაღისტანი უმეტეს პირველისა. იტყვან რომელ პირველ ჟამითგან იქმნა მუნ მაჰმადიანობა დასხმულითა მისგან ხელითა, რამეთუ პირველ იყვნენ შერეულნი ქრისტიანენი, ვითარცა სხუანი კავკასიელნი... წარავლინა სპანი ოვსეთად. განვლეს სპათა მათ დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოვსეთს, მოსწყდნეს, ტყუე-ყვნეს... ესე ჰყო თემურ რამეთუ უწყოდა, მეფე ძალს იცემს მუნიდამ. ხოლო კუალად იტყვან, მიერთგან იწოდა ჩერქეზი და იქმნა მაჰმადიანობა მათ შორის“.²¹

მრწამსის საკითხი რომ წინა პლანზე იყო წამოწეული თემურ-ლენგისა და გიორგი VII-ს დაპირისპირებაში, ამას საქართველოს მეფის „პასუხიც“ (1400 წ.) და შამქორის ზავის (1401 წ.) პირობებიც მიგვანიშნებს. ბიბლიურ მცნებებსა და ქრისტიანულ მორალზე დაფუძნებით შედგენილ „პასუხში“ სწორედ ქრისტიანობისა და ბაგრატიონთა გვარის უპირატესობაა ხაზგასმული ისლამსა და თემურ-ლენგის წარმომავლობასთან შედარებით. შამქორის ზავის ხუთი პუნქტიდანაც ორი რელიგიის სფეროს განეკუთვნება: 1. ქართველებს თავიანთ ქვეყანაში არ უნდა შეევიწროებინათ მუსლიმები; 2. ქართველებს ეკრძალებოდათ ქრისტიანული რელიგიის ადათ-წესების აშკარად შესრულება მუსლიმურ ქვეყნებში.

სპარსელი ისტორიკოსების (ნეზამ ად-დინ შამი, შარაფ ად-დინ ალი იეზიდ) ცნობით, თემურ-ლენგის „მძვინვარების ალი კიდევ უფრო აბრიალდა ურწმუნო გიორგის უგუნური გულადობის გამო“ და თავის ლაშქარს უბრძანა „საღვთო ომად მკლავი აღემართათ ბოროტსა და ცთომილ ხალხზე“.²²

¹⁹ იქვე, 681-682.

²⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, 273.

²¹ იქვე, 268, 272.

²² ტაბატაძე, „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ“, 693-694.

წყაროების მონაცემთა ანალიზი და მოვლენათა ქრონოლოგია, ვფიქრობ, იმის მაუწყებელია, რომ გიორგი VII-ის „პასუხამდე“ ჰქონდა თემურ-ლენგს გამოცხადებული საქართველოსთვის „სალვთო ომი“. 1399 წლამდე, სხვადასხვა მიზეზების გამო (ხორეზმის აჯანყება, ოქროს ურდოსთან ბრძოლა, ინდოეთში ლაშქრობა), მან „სათანადოდ“ ვერ მოიცალა საქართველოსთვის. ამ წელს კი (გიორგი VII-ის „პასუხამდე“), მისი V ლაშქრობა სწორედაც რომ „სალვთო ომის“ ხასიათს ატარებდა. უნდა აღგვილიყო პირისაგან მიწისა კახეთ-ჰერეთი. მოსახლეობის გაჟლეტა, ეკლესია-მონასტრების და საცხოვრებელი სახლების დანგრევა, სამეურნეო კულტურების განადგურება – ასეთი იყო თემურ-ლენგის ბრძანება. ქართული ჯარის შეუპოვარმა წინააღმდეგობამ ამირახორ ხიმშია აბაზასძის მეთაურობით და დიდთოვლობამ აიძულა დამპყრობელი ერთი თვის თავზე შეენწყვიტა საომარი მოქმედებები და გასცლოდა კახეთ-ჰერეთს. ამ ლაშქრობის დროს უნდა იყოს დანგრეული კახეთის უპირველესი სალოცავი, ალავერდის წმ. გიორგის კათედრალური ტაძარი. ტაძრის დასავლეთ კარიბჭის საფეხურის ორ ქვაზე ამოკვეთილი 8 სტრიქონიანი მხედრული წარწერა ალექსანდრე I კახთა მეფის (1476-1511 წწ.) მიერ ჩატარებულ აღდგენით სამუშაოებს გვამცნობს:

„...კაცთა მიერ თაყვანისცემა თნავს ამა ტაძარსა წმიდის სავანე ახოვანის მონამის წმიდის გიორგის... მოყუარეთა მეფეთაგან აღშენებული იყო და ვითარქ[ის]საგან დაქცეულნი[შენებულე]ბანი გუმბადისანი ვიდრე სამკრემდე აღაშენა წარჩინებულმან და სანატრელმან მეფემან[ან ალექსანდრე]“²³ (კუთხურ კავებში მოცემული ტექსტი ჩემ მიერ არის აღდგენილი).

თემურ-ლენგის შეურიგებელი დამოკიდებულება ქრისტიანობისადმი, ქრისტიანული სალოცავების მასობრივ განადგურებაში და ღვთის მსახურთა საზარელ, ბარბაროსულ ჟლეტაშიც აისახა: „ხოლო არა თუ ყოველთა კაცთა სრვა კმა ეყოთ,

²³ თემურაზ ბარნაველი, *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები* (თბილისი, 1961), 14. მართალია, წარწერაში ალექსანდრე მეფის სახელი არ იკითხება, მაგრამ წარწერის ტექსტში ზუსტად იმავე საამშენებლო სამუშაოებზეა საუბარი, რაც მოთხრობილია „ანასეული ქართლის ცხოვრების“ ანდერძში: „აღიდენ ღმერთმან და დაამყარენ ორთავე ცხოვრებათა შინა პატრონნი: დედოფალთა დედოფალი ნესტან-დარეჯან და ძე მათი მეფე ალექსანდრე და დედოფალი ანა. ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნენი, მაშენებლნი ეკლესიათანი. რამეთუ ალავერდი წარტყუნულ იყო წარმართთაგან, რომელ სხუათა მეფეთა ვერ კელ-ეყო განწმენდად და აღშენებად, ამათ აღაშენეს ... ცაი და გუმბათი და სამხრონი“. იხ. ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებანი 12 ტომად*, ტ. VIII, რედ. მ. ლორთქიფანიძე (თბილისი, 1977), 303-305. აქედან გამომდინარე, წარწერის ტექსტში დაზიანებულ ადგილას უნდა აღდგეს ალექსანდრე I კახთა მეფის სახელი და „ანასეული ქართლის ცხოვრების“ ანალოგიურად დათარიღდეს – 1476-1495 წწ. წარწერა დალუპულია. ალექსანდრე I კახთა მეფის შემდგომ ალავერდის ტაძარი კიდევ რამდენჯერმე იქნა დაზიანებული და რესტავირებული. წარწერიანი ქვები, რომლებიც თავის დროზე, რა თქმა უნდა, ეკლესიის კედელში იქნებოდა ჩასმული, საამშენებლო მასალად იქნა გამოყენებული (საფეხურებზე წარწერებს არ კვეთდნენ), რამაც გამოიწვია კიდევ წარწერის დალუპვა.

არამედ ნმიდანი ეკლესიანიცა და მას შინა მყოფნი სამღვდელონი კრებულნი ცეცხლითა დამწვარ იქმნეს მათ მიერ“.²⁴ ამ მხრივ, ისევე როგორც საბრძოლო მოქმედებებით, განსაკუთრებით მასშტაბური იყო VI ლაშქრობა (1400 წ.). გოგჩის ტბასთან, ლორეს, თბილისის, გორის, ძამის, სავანეთის და სხვ. ციხეებთან გამართულ ბრძოლებში, თემურ-ლენგმა მხოლოდ უდიდესი ძალისხმევითა და მსხვერპლის ფასად მიაღწია გამარჯვებას, თუმცა მეფე გიორგის, რომელიც „დაჭრილი ვეფხვივით იბრძოდა ტყეებსა და ვინროებში“, ვერც შეპყრობა და ვერც დამორჩილება ვერ შესძლო. გაბოროტებული დამპყრობელი გზადაგზა სპობდა ყველაფერს.

ყველა ქართველი ისტორიკოსი ხაზგასმით და რამდენიმეგზის აღნიშნავს თემურ-ლენგის მიერ ეკლესია-მონასტრების „საფუძვლითურთ“ დანგრევას, რასაც, სხვათა შორის, სპარსელი ისტორიკოსებიც ადასტურებენ. მაგალითად, ნეზამ ად-დინ შამი სპეციალურად უთითებს, რომ თემურ-ლენგის ჯარებმა „ურჯულთა შენობები დაწვეს, ყანები და ეკლესია მონასტრები დაანგრისო“.²⁵ ქართულ ისტორიულ საბუთებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებშიც მრავალი ასეთი ფაქტია დაფიქსირებული.

ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ იერუსალიმში დატრიალებულ უბედურებას გადაამეტა თემურ-ლენგის ბოროტებამ სვეტიცხოველთან მიმართებაში:

„მაშინ მივიდეს უსჯულონი იგი წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა მცხეთას, უფროსლა და უმეტეს სავსენი შურითა მისითა... რამეთუ ესრედ სახედ ყოველივე ჰყო მძლავრმან უწყალომან ლანგ-თემურ საქართველოსა შინა, ვითარცა მეფემან ბაბილოვნისამან ნაბუქოდონოსორ მოანია იერუსალიმსა ზედა, ამან უფროსლა გარდამატა მას. რამეთუ მან არა იკადრა დარღუევა ტაძრისა მის სოლომონისა, თუნიერ წარღებისა მრავალფასსა მის პატიოსანთა ჭურჭელთა ტაძრისათა, არამედ ამან ლანგ-თემურ ესეოდენი ბოროტი ქმნა, რომელ წარილო სრულიად პატიოსანი სამკაული და შემკობილნი ჭურჭელნი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისანი, და იგი არა ჯერ უჩნდა კმაყოფად, არამედ თუთცა შეჰკადრა და ბილნითა ჴელითა წარმდებად ჴელ-ჰყო დარღუევადა და მოოჭრებად სუეტისა ცხოველისა შინაგან, და გარეთ ზღუდენი და პალატნი და ყოველნივე შენობანი სრულიად იავარ ჰყვეს სპათა ლანგ-თემურისათა“.²⁶

მას შემდეგ, რაც „შემუსრეს და დაარღვეს წმიდა კათოლიკე ეკლესია მცხეთისა“, დამპყრობლებმა „მიიწინეს მუნით ქუაბთა-ჴევს“,²⁷ და შეიპყრეს მუნ მყოფნი კაცნი, მამანი და დედანი, მღვდელნი და დიაკონნი და მონაზონნი, და შეამწყუდეს ტაძარსა წმიდისა ქუაბთა-ჴევისა ღთისმშობლისასა, და შეუგზნეს ცეცხლი შიგან ეკლესიისა და დაწვეს, რომელიც იყოფოდეს ეკლესიასა მას შინა“.²⁸

²⁴ „ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი“, 451.

²⁵ ტაბატაძე, „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ“, 697.

²⁶ „ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი“, 452.

²⁷ დღეს ქვათახევი, მდ. კავთურის სათავეში, კასპის რაიონი.

²⁸ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, 328-329.

ასეთ მძიმე ვითარებაშიც კი გიორგი VII ცდილობდა ყურადღება არ მოეკლო საქართველოს ეკლესიისათვის. 1399-1401 წწ-ში მის მიერ გაცემული სიგელებით, მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარს განუახლდა და დაუმტკიცდა ძველად შენირული და მკვიდრი მამულები.²⁹

თემურ-ლენგის საქართველოდან წასვლისთანავე, ქვეყნის საშინაო საქმეების მოგვარების პარალელურად, გიორგი VII-მ „უბრძანა მოოჯრებულთა შენებად ეკლესიათა“.³⁰

გიორგის შემდეგ გამეფებულმა კონსტანტინე I-მაც (1407-1411 წწ.) „ინყო... აღშენებად ეკლესიათა“.³¹

განსაკუთრებით ფართე აღმშენებლობა გაიშალა ალექსანდრე I დიდის (1412-1442 წწ.) დროს, როგორც ცნობილია, მან „უსჯულო თემურის“ მიერ „საფუძველითგან დაქცეული“ ციხეებისა და ეკლესია-მონასტრების აღსადგენად სპეციალური გადასახადი დაანესა.³²

ქართულ ნარატიულ წყაროებსა³³ და ისტორიულ დოკუმენტებში³⁴ დაცული ცნობები გვაუწყებენ ალექსანდრე I-ის მიერ ბებიაშისის, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის ქუცნა ამირეჯიბის მეუღლის, რუსას (+1413 წ.) დაწყებული სვეტიცხოვლის რესტავრაციის დასრულებას.

თემურ-ლენგის ურდოების მიერ „ძირითურთ აღმოფხვრილი“ და „ვიდრე საფუძველითურთ დაარღვეული“³⁵ რუისის ღვთაების ტაძრის ხელახლა აშენებას გვამცნობს ტაძრის დას. შესასვლელის თავზე ამოკვეთილი ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა:

„† ზე ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლისა მიერ კვალად აღეშენა საყდარი ესე. ადიდენ ღმერთმან და სული მათი კურთხეულ ყოს“.³⁶

იგივე ბედი ეწია ულუმბის ღვთისმშობელს: „მას ჟამსა ოდეს უღმრთოსა დემურს სრულიად აღეოჯრა და უმკვდრო ექმნა საქართველო, და წარუტყუნნეს ყოველნი მონასტერნი და უმეტესად ყოველთასა უდაბნო ესე თქუს-

²⁹ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, ელენე ცაგარეიშვილმა, გურამ ჯანდიერმა, I (თბილისი, 1991), 243.

³⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 275.

³¹ იქვე, 177.

³² „მაღის ამოკვეთის სიგელი ალექსანდრე მეფისა, 1440 წ.“, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. II (თბილისი, 1965), 126.

³³ „ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი“, 474.

³⁴ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, I, 215.

³⁵ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, 329; „ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი“, 453.

³⁶ გიორგი ჩუბინაშვილი, „რუისის ტაძრის ისტორიისათვის“, ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI (1940), 462.


ნი, რომელ საძირკველიცა არა დაშთომილ-იყო“ – აღნიშნულია ქუცნა ამირეჯიბის შეწირულების წიგნში ულუმბის ღვთისმშობლისადმი.³⁷

„მეფეთგან დიდად შეწყალებულმან ამირეჯიბმან ქუცნამან“ იმავე ადგილას ახალი ტაძარი აღმართა („ახლად საძირკულის საფუძვლის შთაგდებისა“) და აღაპები დაანესა თავისთვის და თავისი ოჯახის წევრებისთვის, მათ შორის ალექსანდრე I-სთვის (შვილიშვილი), კონსტანტინე I-სთვის (სიძე) და გიორგი VII-სთვის (სიძის ძმა).³⁸

ქუცნა ამირეჯიბის აგებულია ნაბახტევის ეკლესიაც. ტაძრის მოხატულობაში ქუცნა ამირეჯიბი წარმოდგენილი იყო ეკლესიის მოდელით ხელში (რაც მის ქტიტორობას მიუთითებს), თავისი ოჯახით – მეუღლე რუსა, ალექსანდრე I დიდი და დედოფალი (ამჟამად ფრესკები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).³⁹ ადვილი შესაძლებელია, რომ ულუმბის მსგავსად, ნაბახტევის ეკლესიაც თემურ-ლენგის მიერ დანგრეული საყდრის ადგილზე აშენებინა ქუცნა ამირეჯიბს.⁴⁰

რკონის სამონასტრო კომპლექსის ნათლისმცემლის ეკლესიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფასადებზე თემურ-ლენგის დარბევის მაუწყებელი ორი ასომთავრული წარწერაა ამოკვეთილი:

1) „ჩაქა მოვიდა ლანგდემურ და დააქცივნა ეკლესიანი და რკონიცა დააქცია. ქორონიკონი იყო ჰპ (=1400 წ.)



³⁷ გიორგი ოთხმეზური, ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან – ამირეჯიბი (თბილისი, 2009), 48.

³⁸ ქუცნა ამირეჯიბის მიერ აღმართული ტაძარი შემდგომში ისევ დაინგრა. დღეს მის ადგილზე დგას 1871 წ. აგებული დარბაზული ეკლესია, რომლის კედლებშიც ჩატანებულია ძველი ეკლესიის ფრაგმენტები, მათ შორის 1015-1016 წწ-ის წარწერიანი ქვა – გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მოსახსენებელი. იქვე, 12.

³⁹ ინგა ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა (თბილისი, 1973).

⁴⁰ როგორც ჩანს, სწორედ ძველი სალოცავის ადგილზე ახლის აგება, ან ძველი ეკლესიის საფუძვლიანი გადაკეთება, საქართველოში დამკვიდრებული წესი თუ ტრადიცია იყო. ამას მონაწილე სვეტიცხოვლის, ულუმბის, ატენის სიონის, რკონის და სხვა ეკლესიათა არქიტექტურული და ისტორიული მონაცემები. აგრეთვე არემის სტელისა და ერედვის ეკლესიის წარწერები, რომლებშიც კუმურდოსა და ალავერდის ტაძრების მოხსენიება არსებულ საყდართა აღმართვის დროს რამდენიმე ათეული წლით უსწრებს. იხ. ქართული წარწერების კორპუსი, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა, ტ. I (თბილისი, 1980), 39, 76, 145.

2) „აქაჲ ამოსწყდა რკონი, თვესა მერვესა“.

ქაქაძის
წიგნი
ქართული

ორივე წარწერა, თემურ-ლენგის VI ლაშქრობის ერთ ეპიზოდს, რკონის მონასტრისა და მიმდებარე ეკლესიების დაქცევას გადმოგვცემს.

„ამოსწყდა რკონი“ რკონის მონასტრის მღვდელმსახურთა გაჟლეტას უნდა გულისხმობდეს (ისევე როგორც ქვათახევეში). თემურ-ლენგის ეს ლაშქრობა ხანგრძლივობითაც იყო გამორჩეული, მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა. თედმის ხეობის დარბევა ამ ლაშქრობის ერთ-ერთი ბოლო ეტაპია და, როგორც ჩანს, აგვისტოში („თვესა მერვესა“) ჰქონდა ადგილი.⁴¹

1400 წლის საომარი კამპანიის დროს თემურ-ლენგმა ქსნის საერისთავოსაც შეუსია „მარბეველი ლაშქარი“, აქაც „შემუსრა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი“. ლარგვისის მონასტერს, როგორც უმთავრესი სალოცავისა და ერისთავების საძვალის „დაქცევას“ კი მემატთანე სპეციალურად აღნიშნავს: „მაშინ დააქცივეს ეკლესიაი ესე აღშენებული ერისთავისა იოვანესაგან“.⁴²

მომხდურის მიზანი გიორგი VII-ის ერთგული ქვეშევრდომის, ვირშელ ქსნის ერისთავის დასჯა იყო, რომელიც საქართველოში გამართულ ბრძოლებშიც და 1398 წელს ალინჯის ციხის აღებისასაც მხარში ედგა მეფეს. ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერის თანახმად, „მეფობასა შინა მეფედ მეფისა გიორგი ბაგრატიის ძისასა, და ერისთავობასა შინა ერისთავთ-ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდეს“.⁴³

თემურ-ლენგის მარბიელი ჯარის მოგერიებისა და მოლაღატეთა დასჯის შემდეგ, იმავე წელს, დანგრეული ტაძრის სიახლოვეს ვირშელ ერისთავმა „ინყო შენებად ეკლესიისა, სახელსა ზედა მონამისასა (იგულისხმება წმ. გიორგი), საზღვარსა ლარგვისისა, ადგილსა შუენიერსა ყოვლით კერძო“.⁴⁴

⁴¹ გიორგი ოთხმეზური, „რკონის წარწერები“, *არტანუჯი*, VI (1997), 9-19.

⁴² მესხია, „ძეგლი ერისთავთა“, 359-360.

⁴³ ოთხმეზური, „ძეგლი ერისთავთა“ ზოგიერთი ადგილის გაგებისათვის“, 557-558.

⁴⁴ იქვე, 560. როგორც ცნობილია, ვერც ვირშელ III-ის მიერ აგებულმა ტაძარმა მოაღწია ჩვენამდე. მის ადგილზე დავით ერისთავის (1753-1774) მიერ გუმბათიანი ეკლესია იქნა აგებული, რასაც გვამცნობს 1762 წ. მოჭედული ხატის წარწერა. იხ. Е. Такашвили, *Археологические экскурсии, разыскания и заметки*, V (Тфл., 1915), 95-96.

როგორც ვხედავთ, თემურ-ლენგის ლაშქრობების შედეგად მიყენებული უდიდესი ეკონომიკური ზარალის მიუხედავად, საქართველოს მეფეები და ქართველი ფეოდალები თავის ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად ეკლესია-მონასტრების აღდგენას მიიჩნევდნენ.

ვფიქრობ, ზემოთ მოყვანილი ფაქტები ცხადყოფენ, რომ თემურ-ლენგისთვის საქართველოში პოლიტიკური გაბატონების საფუძველი აქ ქრისტიანობის ამოძირკვა იყო – ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელი საქართველოს სამეფო კარისთვის და მასთან ერთად მთელი ქართველი ერისთვისაც. რელიგიური შეუწყნარებლობა დამპყრობლის მხრიდან იყო ის მთავარი საკითხი, რაც ქართველ მეფეებს დიპლომატიური მოქმედების საშუალებას უსპობდა და აიძულებდა მთელ ერს, მაქსიმუმი ძალისხმევა გაეღო ეროვნული სახის შენარჩუნებისათვის.

ამიტომაც არის გადაუჭარბებელი შეფასება, რომ „ეს იყო ქართველი ხალხის უდიდესი გამარჯვება ამ ჭეშმარიტად დიდი სამამულო ომის დროს მოპოვებული უზარმაზარი მატერიალური ზარალისა და აურაცხელი მსხვერპლის ფასად“.⁴⁵

ბიბლიოგრაფია

ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ბარნაველი თეიმურაზ. კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბილისი, 1961

ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი, 1973

თომა მენოფელი. ლანგ-თემურის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ლ. მელიქსეთ-ბეგმა. თბილისი, 1937

ლორთქიფანიძე ინგა. ნაბახტევის მხატვრობა. თბილისი, 1973

მალის ამოკვეთის სიგელი ალექსანდრე მეფისა, 1440 წ. ქართული სამართ-

⁴⁵ ტაბატაძე, „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ“, 711.

ლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. ტ. II. თბილისი, 1965

მესხია შოთა. ძეგლი ერისთავთა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკ. 30. რედ. ვ. გაბაშვილი. თბილისი, 1954

ოთხმეზური გიორგი. ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან – ამირეჯიბი. თბილისი, 2009

ოთხმეზური გიორგი. რკონის წარწერები. არტანუჯი, VI, 1997

ოთხმეზური გიორგი. „ძეგლი ერისთავთა“-ს ზოგი ადგილის გაგებისათვის. სამეცნიერო პარადიგმები. კრებული ეძღვნება პროფ. ნათელა ვაჩნაძეს. რედ. გიორგი ჭეიშვილი. თბილისი, 2009

პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII სს-ის ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს: დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, ელენე ცაგარეიშვილმა, გურამ ჯანდიერმა. ტ. I. თბილისი, 1991

ტაბატაძე კარლო. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. რედ. ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა. თბილისი, 1979

ფარსადან გორგიჯანიძე. საქართველოს ისტორია. ს. კაკაბაძის გამოც. საისტორიო მოამბე. II. თბილისი, 1925

ქართული წარწერების კორპუსი. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა. ტ. I. თბილისი, 1980

ჩუბინაშვილი გიორგი. რუისის ტაძრის ისტორიისათვის. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, 1940

ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია. III. თბილისი, 1966

ჯავახიშვილი ივანე. თხზულებანი 12 ტომად. ტ. VIII, რედ. მ. ლორთქიფანიძე. თბილისი, 1977

ჯამბურია გივი. თემურ-ლენგის შემოსევები. საქართველოს ისტორია. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. რედ. ნ. ასათიანი. გ. ჯამბურია. II. თბილისი, 2008

Такаишвили Е. Археологические экскурсии, разыскания и заметки. V. Тфл. 1915

VI

უზუნ ჰასანის მეოთხე ლაშქრობა საქართველოში

მირიან მახარაძე

თეთრბატკნიანებისა და საქართველოს ურთიერთობა ჯერ კიდევ XIV საუკუნეში იღებს სათავეს, როდესაც თეთრბატკნიანთა მბრძანებელი ქუთლუ ტრაპიზონის იმპერატორის ალექსი III-ის მოწვევით შემოდის საქართველოში, კერძოდ სამცხეში.¹ საქართველოში შემდგომ შემოსევებს თეთრბატკნიანები ახორციელებენ თემურ-ლენგის დროის ქვეშ.² XV საუკუნის I ნახევარში ქართველებისა და თეთრბატკნიანთა ურთიერთობის შესახებ წყაროები არ მოგვეპოვება. ფაქტია, რომ ამ პერიოდში ქართველებს ურთიერთობა უფრო შავბატკნიანთა კონფედერაციულ სახელმწიფოსთან ჰქონდათ, რისი ნათელი დადასტურება შავბატკნიანთა შემოსევებია.³ მდგომარეობა კარდინალურად შეიცვალა XV საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც თეთრბატკნიანთა სათავეში უზუნ ჰასანი მოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ თეთრბატკნიანთა მბრძანებელი თავდაპირველად საქართველოს სამეფოსთან ერთად გამოდის ანტიოსმალურ კოალიციაში,⁴ უკვე 1458 წელს იგი პირველად შემოიჭრება საქართველოს ტერიტორიაზე და რამდენიმე ციხეს არბევს.⁵ მეორე შემოსევა უზუნ ჰასანმა მოაწყო 1462-63 წლებში, როდესაც ყუარყუარეს დაეხმარა საქართველოში.

¹ მირიან მახარაძე, „შემოესია თუ არა თეთრბატკნიანთა მბრძანებელი ქუთლუ საქართველოს“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XI (2006), 149-154.

² Nizammuddin Şamî, *Zafernâme*, Farsçadan çeviren Necati Lugal (Ankara, 1987), 222, 245.

³ Fakur Sümer, *Kara Koyunlular* (Başlangıçtan Cihan-Şah'a Kadar), c. I (Ankara, 1992), 55, 56, 118.

⁴ მირიან მახარაძე, *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში* (თბილისი, 2005), 84-93; მისივე, „აღმოსავლეთის ქვეყნების ჯართა რაოდენობა კონსტანტინოპოლის გადასარჩენად“, *დავით კაციტაძე 80* (თბილისი, 2009), 222-231.

⁵ მირიან მახარაძე, „უზუნ ჰასანის პირველი შემოსევა საქართველოში“, *ვალერიან გაბაშვილი 90* (თბილისი, 2003), 391-399; „აჰსან ათ-თავარიხის ცნობები საქართველოს შესახებ“, ტექსტი სპარსულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო კარლო კუციამ, *საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები*, ტ. II (თბილისი, 1979), 80; Walter Hinz, *Uzun hasan ve Şeyh Cüneyd*, çeviren Tevfik Bıyıklıoğlu (Ankara, 1992), 40; John E. Woods, *The Aqqayunlu: Clan, Confederation, Empire* (Salt Lake City, 1998), 253-254.

ველოს მეფის, გიორგი VIII-ს წინააღმდეგ,⁶ ხოლო 1466-67 წლებში უზუნ ჰასანი მესამეჯერ ლაშქრობს საქართველოში.⁷ ამჯერად მისი სამიზნე ყუარყუარეს სამფლობელო – ახალციხე იყო.

უზუნ ჰასანმა მეოთხე ლაშქრობა საქართველოში თერჯანის ბრძოლის წინ განახორციელა. ამ შემოსევას ჰასან რუმლუ 1470 წლით ათარიღებს და გადმოგვცემს, რომ „თავრიზში ერთი თვის ყოფნის შემდეგ (უზუნ ჰასანმა – კ.კ.) რამდენიმე დიდი ამირა, ისეთები როგორც არიან მოჰამედ ბეგი, სულეიმან ფანდუკი და ბაინდურ-ბეგი, ორი ათასი მხედრით თბილისისა და სომხეთის ქვეყნებისაკენ გაგზავნა, რათა ის ვილაიეთები დაპყრობისა და დამორჩილების სფეროში მოექციათ“;⁸ თუმცაღა, ჰასან რუმლუს გამომცემელი კარლო კუცია, სხვა ფაქტების არქონის გამო, უარყოფს ამ შემოსევას.⁹ საქართველოზე გამოლაშქრებას, ოღონდ 1472 წლით, გადმოგვცემს მუნეჯიმ ბაშიც:

„876 წელს უვეის ბეგი¹⁰ ჰაჯის ძმა ემირი გახდა თავრიზში. იქ ძალიან ბევრმა მეცნიერმა და დიდებულმა დაიწყო მოსვლა. მათ კარგად ეპყრობოდნენ. [ისინი] საპატიო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. შემდეგ ყარამანელი ფირ აჰმედ ბეგი¹¹ თავისთან შეიფარა. მან რუმის სასულტნოზე შესჩივლა და მისგან დახმარება ითხოვა. ყარამანიანები, რომ მამაპაპისეულ ქვეყანაში უვნებლად დაბრუნებულიყვნენ, რუმის დასაპყრობად სამზადისის გამართვა გახდა საჭირო. თავრიზიდან ალყათის გზით გაემართნენ. ჰაჯზე წასული მევლანა ალ ქუშჯუ აქ მათ ემსახურებოდა. აღმატებულად რომ გამოიყურებოდა და კეთილ გზას ადგა, რომელ გზასაც ირჩევდა, იმ გზით მიდიოდა. ჰასან ბეგი კი შემდეგ 877 (1472) წელს საქართველოსკენ გამოემართა, ამ ქვეყანას თავს დაესხა და გაანადგურა. უამრავი ციხე დაიმორჩილა. ბოლოს მეფე ბაგრატი დათანხმდა, რომ ხარკი გადაეხადა. ალექსანდრეს და ყუარყუარეს მსგავსმა სხვა მბრძანებლებმაც მას მორჩილება გამოუცხადეს. მეფე ბაგრატმა აჯანყება როგორც კი წამოიწყო, ჰასან ბეგმა მის ხელთ არსებული ყველა ციხე ყუარყუარეს და ალექსანდრეს გადასცა. მისი ჯარი საქართველოს ქვეყანას მოედო და დაინაწილა. მათ ძალიან ბევრი ადამიანი დაატყვევეს და წამოიყვანეს. ის თავის სასულტნოს ცენტრში – თავრიზში – გამარჯვებული დაბრუნდა. თბილისი ემირ აზამს სუფი ჰალილ ბეგს იქტას სახით გადასცა. მისი მოსაზღვრე რაიონის გამგებლობაც მას უბოძა.

⁶ მირიან მახარაძე, „უზუნ ჰასანის მეორე ლაშქრობა საქართველოში“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, V (2008), 124-127; ნანა ნინიძე, „საქართველოში უზუნ ჰასანის შემოსევების საკითხისათვის“, *თსუ შრომები*, ტ. 309 (1992), 132.

⁷ Аракел Даврижеци, *Книга Историй*, перевод и комментарии Л.А.Ханпарян (Москва, 1973), 484; „აჰსან ათ-თავარიხის ცნობები საქართველოს შესახებ“, 80.

⁸ იქვე, 81.

⁹ იქვე, 85.

¹⁰ უზუნ ჰასანის ძმა.

¹¹ ყარამანიის ბეილიქის უკანასკნელი გამგებელი.

გადმოცემის მიხედვით, როდესაც (უზუნ ჰასანი) საქართველოს ტოვებდა, მასთან ბაგრატ მეფის ელჩი მოვიდა. ელჩს ხელთ 19 მისყალი¹² ბადახში და 12 მისყალი ლალის ქვეები ჰქონდა. ბაგრატს მათი ჩუქება და ამის გამო მეფობის უკან დაბრუნება უნდოდა. ჰასან ბეგი ამას არ დათანხმდა და ორივე ქვა მას უკან დაუბრუნა. როდესაც საქართველოდან გადიოდა, მას თან ჰქონდა ქონება, ძვირფასეულობა, პირუტყვი და გარდა ამისა, სამი ათასი ტყვე ჰყავდა.

როდესაც ჰასან ბეგი საქართველოში იბრძოდა, მისი ნათესავი იუსუფჩა მირზა¹³ ყარამანების დასახმარებლად ანატოლიაში გაგზავნა. იუსუფჩამ თოყათსა და სივასს შეუტია და იქაურობა დაიპყრო. მასთან ერთად ფირ აჰმედ ყარამანიც იყო. აქ, სულტან მეჰმედის¹⁴ მიერ ყარამანში დანიშნული ვალი, მუსტაფაც¹⁵ იყო. ორივე შეებრძოლა ერთმანეთს 877 (1472) წელს. [ამ] ბრძოლაში იუსუფჩა მირზა დაიღუპა. ამის გამო ჰასან ბეგი შურისძიების მიზნით მამინვე ანატოლიისკენ გაემართა და ერზიჯანის ახლოს რუმის ჯარს დაუპირისპირდა. ეს ჯარი გაანადგურა და რუმის ჯარის მეთაური ჰასან მურად ბეგი მოკლა. ამგვარ გამარჯვებაში მყოფ ჰასან ბეგს რუმის სულტანთან გამბედაობა შემატა და მეორე წელს 878 (1473) ბაიბურთის ახლოს მძლავრი შებრძოლება გამართა, სადაც მისი შვილი ზეინალ მირზა¹⁶ დაიღუპა და ჰასან ბეგი დიდ უბედურებაში ჩავარდა. ჰასან ბეგი ერჯიზანში ბრძოლის ველიდან გაიქცა. სულტანი მას არ გაედევნა და ჯარმაც მისი დადევნებისაგან თავი შეიკავა“.¹⁷

აღსანიშნავია, რომ თურქულ ტექსტში *ყვარყვარეს* მაგივრად კონს-

¹² მისყალი, იგივე მისკალი, ძვირფასი ქვების საზომი ერთეული – 4.8 გრამი. აღსანიშნავია, რომ ქართველებმა ლალის თვლები შესთავაზეს თეთრბატკნიანთა მბრძანებელს საქართველოში 1476/77 წლების ლაშქრობის დროსაც. მათ შუამდგომლობა იტალიელ მისიონერს ბარბაროს შესთავაზეს და სთხოვეს დაერწმუნებინა უზუნ ჰასანი, მოთხოვნილი 16 დუკატის ნაცვლად 4 ბალაში აეღო (XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე.მამისთვალისვილმა (თბილისი, 1981), 62). ბალაშისა და ბადახშის, იგივე ლალის თვლის იგივეობის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, „საქართველო XV საუკუნის II ნახევარში“, *საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი* (თბილისი, 1995), 109-126.

¹³ თეთრბატკნიანთა დიდგვაროვანი. შესაძლებელია ურჯულო ისაკი, იხ. მირიან მახარაძე, „ზოგიერთი მოსაზრება „ურჯულო ისაკის“ ვინაობის შესახებ“, *ნოდარ შენგელია*, 75 (თბილისი, 2008), 198-202.

¹⁴ მეჰმედ II ფათიჰი (დამპყრობელი) ოსმალეთის სულტანი (1451-1481).

¹⁵ მეჰმედ II-ს შვილი.

¹⁶ უზუნ ჰასანის შვილი.

¹⁷ *აბუ ბეჟრ თიჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, სპარსული ტექსტი ქართულად თარგმნა და ტექსტს კრიტიკული ანალიზი დაურთო თეა ჯანაშიამ, ისტორიული ხასიათის შენიშვნები და დამატებანი დაურთო მირიან მახარაძემ (თბილისი, 2010), 72-73; Ebu Bekr-i Tihranî, *Kitab-ı Diyarbekriyye*, neşr. Necati Lugat ve Fakur Sümer, c. II (Ankara, 1993), 565; Ebu Bekr-i Tihranî, *Kitab-ı Diyarbekriyye*, çeviren Mürsel Öztürk (Ankara, 2001), 242.

ტანტინეა ნახსენები.¹⁸ ასე რომ, ტექსტში „აღექსანდრეს და ყუარყუარეს მსგავსმა სხვა მბრძანებლებმაც მას მორჩილება გამოუცხადეს. მეფე ბაგრატმა აჯანყება, როგორც კი წამოიწყო, ჰასან ბეგმა მის ხელთ არსებული ყველა ციხე ყუარყუარეს და აღექსანდრეს გადასცა“, ნაცვლად წერია „აღექსანდრეს და კონსტანტინეს მსგავსმა სხვა მბრძანებლებმაც მას მორჩილება გამოუცხადეს. მეფე ბაგრატმა აჯანყება, როგორც კი წამოიწყო, ჰასან ბეგმა მის ხელთ არსებული ყველა ციხე კონსტანტინეს და აღექსანდრეს გადასცა“. მოვლენათა განვითარებამ ნათლად დაგვანახა, რომ ამ შემთხვევაში კონსტანტინე II-ზეა ლაპარაკი და არა ყუარყუარე II-ზე.¹⁹

მუნეჯიმ ბაშისა და ჰასან რუმელუს ცნობების შედარებისას, უპირატესობა უფრო მუნეჯიმ ბაშის ცნობას ენიჭება, რადგანაც მასში მოვლენათა თანმიმდევრობა კარგად არის დაცული. ცნობის დასაწყისში გადმოცემულია ყარა-მანიის ბეილიქის ანექსია ოსმალეთის იმპერიის მიერ, რომელიც 1471 წელს განხორციელდა²⁰ და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა საქართველოში ლაშქრობა. ყოველივე ამის გამო 1470 წელს შემოსვლა თავისთავად გამორიცხებულია.

უზუნ ჰასანის მეოთხე ლაშქრობა გამონვეული იყო ქართლში ბაგრატის გადმოსვლით, ქრონიკებში 1472 წლით დათარიღებული წარწერა გვამცნობს: „ქკს: რქ: აქა.../ლი.../ ბაგ.../გარდ.../“ ეს დაზიანებული წარწერა თ. ჟორდანიამ შემდეგნაირად აღადგინა: „აქა ქართლი დაიჭირა ბაგრატ მეფემან და კონსტანტინე გარდაადო“.²¹ გიორგი VIII-ის დატყვევების შემდეგ კონსტანტინემ თავი მის სამართალმემკვიდრედ გამოაცხადა,²² რამაც ბაგრატთან დაპირისპირება გამოიწვია. თუმცაღა ტყვეობიდან საქართველოს მეფის განთავისუფლების შემდეგ ბაგრატსა და კონსტანტინეს შორის უკვე ზავი ჩამოვარდა,²³ მაგრამ მათ შორის მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. გიორგი VIII-ს მიერ ერთიან სამეფო ხელისუფლებაზე ხელის აღებამ და კახეთის სამეფოს შექმნამ კვლავ დაპირისპირება გამოიწვია კონსტანტინესა და ბაგრატს შორის, რაც გამონვეული იყო ამ უკანასკნელის სურვილით, ერთიან სამეფოს ჩასდგომოდა სათავეში.²⁴ კონსტანტინემ და აღექსანდრემ დახმარებისთვის უზუნ ჰასანს

¹⁸ იხ. წინა სქოლიო.

¹⁹ მირიან მახარაძე, „ვის გადასცა უზუნ ჰასანმა საქართველოში დაპყრობილი ციხეები კონსტანტინეს თუ ყუარყუარეს“, *კავკასია და აღმოსავლეთი*, 7, იბეჭდება.

²⁰ İsmail Hakkı Uzunçarşılı, *Osmanlı Tarihi*, c. II (Ankara, 1998), 95; İsmail Hakkı Uzunçarşılı, *Anadolu Beylikleri ve Akkoyunlu, Karakoyunlu Devletleri* (Ankara, 1988), 84; Joseph Hammer, *Büyük Osmanlı Tarihi*, c. III, *Büyük Osmanlı Tarihi 2* (İstanbul, 1998), 127.

²¹ *ქრონიკები და სხვა მასალები*, მოამზადა თ. ჟორდანიამ, ტ. II (ტფილისი, 1897), 290.

²² მირიან მახარაძე, „კონსტანტინე II გამეფების წლები“, *თსუ შრომები, აღმოსავლეთ-მცოდნეობა*, ტ. 341 (2002), 448-453.

²³ ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, ტ. IV (თბილისი, 1967), 450, 451; მირიან მახარაძე, „კონსტანტინე II-ს დიპლომატიური მოღვაწეობა“, *ქართული დიპლომატია*, 14 (2010), 56.

²⁴ მირიან მახარაძე, „მუნეჯიმ ბაშის ერთი ცნობის შესახებ“, *ივანე ჯავახიშვილის*

მიმართეს.²⁵ როგორც ალექსანდრე, ასევე კონსტანტინე უზუნ ჰასანის მოკავშირეები იყვნენ. ამას მოწმობს როგორც უზუნ ჰასანისა და ალექსანდრეს ელჩების ერთად ჩასვლა ვენეციაში,²⁶ ისე კონსტანტინეს ელჩობაც, სადაც იგი თავის მოკავშირედ უზუნ ჰასანს ასახელებს.²⁷ საქართველოს ორივე მბრძანებელი მონაწილეობს თერჯანის ბრძოლაში უზუნ-ჰასანის მხარდამხარ.²⁸

საინტერესოა ევროპაში გაგზავნილი წერილების დათარიღებაც. პირველი წერილი, რომელიც უნგრეთის ელჩმა ვენეციაში გააგზავნა, 1471 წლის 12 აპრილითაა დათარიღებული: „სინიორიაში მოვიდნენ ელჩები საქართველოს მეფესი კონსტანტინესი, რომელიც უზუნ ჰასანის მოკავშირე და ნათესავია. [იგი] ამ გაზაფხულზე ოსმალების წინააღმდეგ საომრად გამოვა 30000 მხედრით. ამას გარდა, ხსენებული უზუნი მათ დაეხმარება უზარმაზარი ჯარით. თუ მან წარმატებას მიაღწია დიდი საქმე გაკეთდება“.²⁹ მეორე წერილი, რომელიც რომის პაპისადმი იყო განკუთვნილი, 1471 წლის 10 სექტემბრითაა დათარიღებული და სავარაუდოდ ვენეციიდან გაიგზავნა: „თქვენი უწმინდესობის მინაწერიდან შევიტყვეთ იბერიის დიდად სახელოვანი და უბრწყინვალესი მეფის ალექსანდრეს უზუნ-ჰასანთან მოლაპარაკების შესახებ. ცნობა მოგვანოდა კეთილშობილმა ჩვენმა მორჩილმა ძმამ პრიორმა ბერტუჩო კონტარინიმ და სხვა. ასეთი ცნობისთვის საუკუნო მადლობას მოგიძღვნით თქვენ უნეტარესობას, თქვენ, რომელმაც ელჩი გაგზავნეთ წინადადებით იმ მეფესთან. ჩვენ გვგონია, რომ ეს ძალიან ჭკვიანური და მეტად სასარგებლო საკითხია ქრისტიანთათვის. დიდ საქმეს გააკეთებდით მეფეებისადმი მოწოდებით, იმედისა და დაპირებების გაზრდით და ურჯულო სულთნის წინააღმდეგ დიდად გამამხნეველებელი სიტყვებით. თუმცა ისინი ძლიერნი არიან და იბრძვიან თურქული ცბიერებით, მაგრამ შინაგანი სიძულვილი დიდ საქმეს გააკეთებს თურქეთის იმპერიის მრისხანე და ცბიერი ნიჭის მიმართ. ეჭვი არაა, რომ იმ მხრიდან მათ რაც შეუძლიათ, ჰყოფენ და აცალკევებენ, როგორც ეს ბარბაროსების მრისხანე ხალხს შეუძლია. ისე რომ, დიდად შემწყნარებელი ქრისტიანთათვის მტერზე ერთობლივად შესასევად და მის დასამორჩილებლად გაადვილებულია სა-

დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები 2006 (თბილისი, 2010), 78.

²⁵ მირიან მახარაძე, „ქართველი მეფე მთავრების დიპლომატიური ურთიერთობები უზუნ ჰასანთან“, *ქართული დიპლომატია*, 13 (2007), 51-64.

²⁶ ელდარ მამისთვალიშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით)* (თბილისი, 1981), 21.

²⁷ ლაიოშ ტარდი, „ვენეციის როლი უნგრეთთან, საქართველოსთან და სპარსეთთან ურთიერთობაში“, *ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები*, ტ. II (თბილისი, 1978), 198.

²⁸ მირიან მახარაძე, „თერჯანის ბრძოლა“, *თსუ ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული* (თბილისი, 2005), 152-158.

²⁹ ელდარ მამისთვალიშვილი, „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის 70-იან წლებში“, *მაცნე, ისტორიის სერია*, 3 (1971), 78.

ერთო ლაშქრობა“.³⁰ ნათელი ხდება, რომ როგორც კონსტანტინე II-ს, ასევე ალექსანდრე I-ს (კახთა მეფეს) უზუნ ჰასანთან დიპლომატიური ურთიერთობა დაუმყარებიათ მანამდე, სანამ თეთრბატკნიანთა მბრძანებელი საქართველოში შემოვიდოდა.

ყოველივე აქედან ნათელი ხდება უზუნ ჰასანის საქართველოში მეოთხე ლაშქრობის მიზეზები. ბაგრატ VI-ის ქართლში გადმოსვლამ საფრთხე შეუქმნა როგორც კონსტანტინეს, ასევე ალექსანდრეს სამფლობელოებს. მათ დახმარებისათვის უზუნ ჰასანს მიმართეს. თეთრბატკნიანთა მბრძანებელი საქართველოში შემოდიხ. ბაგრატი მას შეებრძოლება, მაგრამ მარცხდება. დაპყრობილ ტერიტორიებს უზუნ ჰასანი თავის მოკავშირეებს, ალექსანდრეს და კონსტანტინეს უნაწილებს, ხოლო თბილისში თავის წარმომადგენელს ნიშნავს. ხელმოცარული ბაგრატი იძულებულია ზავი შესთავაზოს დამპყრობელს და ბადახშისა და ლალის თვლებს უგზავნის, თუმცაღა თეთრბატკნიანთა მბრძანებელი მის ხარკს არ თანხმდება. ამ დახმარების სანაცვლოდ, კონსტანტინესა და ალექსანდრეს საჯარისო ფორმირებები ოსმალთა წინააღმდეგ თერჯანის ბრძოლაში მონაწილეობენ.

ბიბლიოგრაფია

XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა. თბილისი, 1981

აბუ ბეკრ თიჰრანის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართულად თარგმნა და ტექსტს კრიტიკული ანალიზი დაურთო თეა ჯანაშიამ. ისტორიული ხასიათის შენიშვნები და დამატებანი დაურთო მირიან მახარაძემ. თბილისი, 2010

აჰსან ათ-თავარიხის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი სპარსულიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო კარლო კუციამ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები. ტ. II. თბილისი, 1979

კიკნაძე რევაზ. საქართველო XV საუკუნის II ნახევარში. საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბილისი, 1995.

მამისთვალიშვილი ელდარ. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნეში (ევროპული წყაროების მიხედვით). თბილისი, 1981

მამისთვალიშვილი ელდარ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან XV საუკუნის 70-იან წლებში. მაცნე, ისტორიის სერია, 3, 1971

მახარაძე მირიან. აღმოსავლეთის ქვეყნების ჯართა რაოდენობა კონსტანტინოპოლის გადასარჩენად. დავით კაციტაძე 80. თბილისი, 2009

³⁰ მამისთვალიშვილი, „საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან“, 80.

მახარაძე მირიან. ვის გადასცა უზუნ ჰასანმა საქართველოში დაპყრობილი ციხე-ეზო კონსტანტინეს თუ ყუარყუარეს. კავკასია და აღმოსავლეთი, 7. იბეჭდება.

მახარაძე მირიან. ზოგიერთი მოსაზრება „ურჯულო ისაკის“ ვინაობის შესახებ. ნოდარ შენგელია 75. თბილისი, 2008.

მახარაძე მირიან. თერჯანის ბრძოლა. თსუ ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბილისი, 2005

მახარაძე მირიან. კონსტანტინე II გამეფების წლები. თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობა, ტ. 341, 2002

მახარაძე მირიან. კონსტანტინე II-ს დიპლომატიური მოღვაწეობა. ქართული დიპლომატია, 14, 2010

მახარაძე მირიან. მუნეჯიმ ბაშის ერთი ცნობის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები 2006. თბილისი, 2010

მახარაძე მირიან. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში. თბილისი, 2005

მახარაძე მირიან. უზუნ ჰასანის მეორე ლაშქრობა საქართველოში. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, V, 2008

მახარაძე მირიან. უზუნ ჰასანის პირველი შემოსვლა საქართველოში. ვალერიან გაბაშვილი 90. თბილისი, 2003

მახარაძე მირიან. შემოესია თუ არა თეთრბატკნიანთა მბრძანებელი ქუთლუ საქართველოს. ქართული წყაროთმცოდნეობა, XI, 2006

მახარაძე მირიან. ქართველი მეფე მთავრების დიპლომატიური ურთიერთობები უზუნ ჰასანთან. ქართული დიპლომატია, 13, 2007

ნინიძე ნანა. საქართველოში უზუნ ჰასანის შემოსევების საკითხისათვის. თსუ შრომები, ტ. 309, 1992

ტარდი ლაიომ. ვენეციის როლი უნგრეთთან, საქართველოსთან და სპარსეთთან ურთიერთობაში. ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები. ტ. II. თბილისი, 1978

ქრონიკები და სხვა მასალები. მოამზადა თ. ჟორდანიამ. ტ. II. ტფილისი, 1897

ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. თბილისი, 1967

Даврижеци Аракел. Книга Историй. перевод и комментарии Л.А.Ханпарян. Москва, 1973

Ebu Bekr-i Tihranî. Kitab-ı Diyarbekriyye. çeviren Mürsel Öztürk. Ankara, 2001

Ebu Bekr-i Tihranî. Kitab-ı Diyarbekriyye. neşr. Necati Lugat ve Fakur Sümer. c. II. Ankara, 1993

Hammer Joseph. Büyük Osmanlı Tarihi. c. III. Büyük Osmanlı Tarihi 2. İstanbul. 1998

Hinz Walter. Uzun hasan ve Şeyh Cüneyd. çeviren Tevfik Bıyıklıoğlu. Ankara, 1992

Nizammuddin Şâmî, Zafernâme. Farsçadan çeviren Necati Lugat. Ankara, 1987

Sümer, Fakur. Kara Koyunlular (Başlangıçtan Cihan-Şah'a Kadar). c. I. Ankara, 1992

Uzunçarşılı İsmail Hakkı. Anadolu Beylikleri ve Akkoyunlu, Karakoyunlu Devletleri. Ankara, 1988

Uzunçarşılı İsmail Hakkı. Osmanlı Tarihi. c. II. Ankara, 1998

Woods, John E. The Aqquyunlu: Clan, Confederation, Empire. Salt Lake City, 1998

VII

აფშართა დინასტიის წარმომადგენლებზე ქართველთა ქორწინებების ისტორიიდან

ნიკო ჯავახიშვილი

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის (XV საუკუნის მეორე ნახევარი) შემდეგ, ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოქმნილ ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებში დედოფლებად ძირითადად ქართული წარჩინებული საგვარეულოების წარმომადგენლებს არჩევდნენ. მათ შორის იყვნენ როგორც ბაგრატიონთა ცალკეული შტოების წარმომადგენლები, ასევე ქართველ მთავართა (სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიის, სამცხე-საათაბაგოს) და თავადთა ასულები.

ამასთანავე, ბაგრატიონები რამდენჯერმე დაუნათესავდნენ სპარსეთის მმართველ დინასტიებს, რასაც იმხანად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. შაჰინშაჰთა მოთხოვნით, ბაგრატიონთა ქართლისა და კახეთის შტოების წარმომადგენლები საკმაოდ ხშირად ხდებოდნენ სპარსეთის სამეფო სახლის რძლები და სიძეები. აქვე დავსძენთ, რომ აღნიშნულ მოთხოვნაზე უარს, ზოგჯერ, აღმოსავლეთ საქართველოსათვის გამანადგურებელი შედეგები მოსდევდა.

სპარსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელთა ქორწინებანი ქართველებზე განსაკუთრებით ხშირი იყო სეფიანთა დინასტიის მმართველობის ხანაში (1501-1732), რომელიც ორ საუკუნეზე მეტი გრძელდებოდა.

ირანელი ისტორიკოსი ნასროლა ფალსაფი თავის ნაშრომში „შაჰ-აბას I-ის ცხოვრება“ მოგვითხრობს, რომ შაჰინშაჰ აბას I-ს (1587-1629) „ქართველი და ჩერქეზი ქალები მათი სილამაზის გამო განსაკუთრებით უყვარდა. შაჰის ჰარამხანაში ირანელი ქალები ძალიან ცოტანი იყვნენ და მისი ცოლები უმეტესად ქართველი, ჩერქეზი და რუსი დიდგვაროვანი ქალები ან მხევლები იყვნენ... ჰარამხანა 400-500 ქალს ითვლიდა... ამათგან სამი-ოთხი მეფური ჩამომავლობის ქალი მისი კანონიერი ცოლი იყო, სხვები კი დროებითი ცოლებისა და მხევლების სახით იმყოფებოდნენ მის ჰარამხანაში“.¹

¹ ნასროლა ფალსაფი, *შერჩევითი თარგმანი (ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ)*, სპარსულიდან თარგმნა ლილი ჟორჯოლიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ჯემალ სტეფნაძემ (თბილისი, 2003), 27-28.

წინამდებარე სტატიაში შესწავლილი გვაქვს სპარსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელთა ქორწინებები ქართველებზე აფშართა დინასტიის მმართველობის ხანაში.

აფშართა დინასტიას სათავე 1736 წელს დაედო. მას საფუძველი ჩაუყარა ერთ-ერთი ყიზილბაშური (თურქმენული) აფშართა ტომის ყირხლუს კლანის უბრალო ოჯახის წარმომადგენელმა, იმამ ყულის ვაჟმა – ნადირმა (იგივე – ნადრ), რომელიც ცნობილია ნადირ-შაჰის (1688-1747) სახელით.

ვინაიდან ნადირ-შაჰი წარმომადგენდა ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას XVIII საუკუნის 30-40-იანი წლების სპარსეთისა და მისი მეზობელი ქვეყნების მონარქთა შორის, მის ბიოგრაფიას მოკლედ მოგიტხრობთ.

18 წლის ნადირი დედასთან ერთად მონად წაიყვანეს ხვარაზმელმა უზბეკებმა. ნადირმა მოახერხა გაქცევა და დაბრუნდა ხორასანში, სადაც ადგილობრივ ფეოდალთა სამხედრო სამსახურში ჩადგა. მან თავი ისახელა, როგორც უშიშარმა და ნიჭიერმა სარდალმა. 1726 წელს ნადირ ყული ბეგი ჩადგა სპარსეთის შაჰინშაჰ თაჰმასპ II-ის (1722-1732) სამსახურში. შაჰინშაჰმა მას ქვეყნის რამდენიმე პროვინციის (ხორასანი, ქერმანი, სისტანი და მაზანდარანი) მმართველობა ჩააბარა. ნადირ ყული ბეგი უნარიანად ხელმძღვანელობდა სპარსელების ბრძოლას ავღანელთა და ოსმალთა წინააღმდეგ, რამაც ხელი შეუწყო მისი ავტორიტეტის ამაღლებას და გავლენის გაძლიერებას.²

1732 წელს ნადირის ინიციატივით მოწვეულ ყურულთაიზე თაჰმასპ II გადააყენეს და შაჰინშაჰად გამოაცხადეს მისი რვა თვის ვაჟი – აბას III.

1736 წელს ოსმალეთთან დადებული ზავით სპარსეთმა 1722 წლამდე კუთვნილი ყველა ტერიტორია დაიბრუნა, რაც დიდ მიღწევას წარმოადგენდა.

იმავე წლის 8 მარტს მულანის ველზე მოწვეულ ყურულთაიზე შაჰინშაჰად გამოაცხადეს ნადირი, ხოლო ოთხი წლის აბას III ხორასანში მყოფ მამასთან გაგზავნეს. 1739 წელს, ნადირ-შაჰის ბრძანებით, სპარსეთის ყოფილი გვირგვინოსანი მამა-შვილი დახოცეს.³

საგულისხმოა, რომ ნადირ-შაჰი ტახტზე ასვლისთანავე დაქორწინდა ქართველი თავადის – გივი ამილახვრის ასულზე. ამ ფაქტს წინ შემდეგი ისტორიული მოვლენები უძღოდა.

გივი ანდუყაფარის ძე ამილახვარი (1689-1754) ქართლის ფეოდალთა შორის განსაკუთრებული გავლენითა და ავტორიტეტით გამოირჩეოდა. იგი თავის მხარეში კახეთის ბაგრატიონთა გაბატონებას ეწინააღმდეგებოდა.

ამილახვარმა გაამაგრა სურამი და ქსნის ხეობა, დაუკავშირდა დაღესტ-

² გოჩა ჯაფარიძე, „ნადირ შაჰ აფშარი“, *ილამი. ენციკლოპედიური ცნობარი*, შემდგენლები კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე, გოჩა ჯაფარიძე, შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა გოჩა ჯაფარიძისა, გრიგოლ ბერაძის რედაქციით (თბილისი, 1999), 151-152.

³ Н. Сычев, *Книга Династий* (Москва, 2006), 598.

ნელებს და ახალციხის ფაშას, რომელმაც მას 5 ათასი მეომარი გაუგზავნა. ამ ლაშქარს გადაეღობა იმხანად ცხინვალში ჩასული უფლისწული ერეკლე თეიმურაზის ძე (მომავალი მეფე ერეკლე II), რომელმაც გამარჯვება მოიპოვა.

გივი ამილახვარი მარცხს ვერ შეურიგდა. მის მიერ ხელახლა მოწვეულმა დაღესტნელებმა, ბელად მალაჩის მეთაურობით, ქართლი ააოხრეს. მათ დაარბიეს სოფლები ახალდაბა, ტირძნისი და შინდისი, ხოლო თვით ამილახვარმა ახალგორი აიღო.⁴

გივი ამილახვრის ოჯახს დაუახლოვდა ბაგრატიონთა ქართლის შტოს წარმომადგენელი – თეიმურაზ ბატონიშვილი (1720-1788). მისი მამა იყო ვახტანგ VI-ის ძმა – იესე, ხოლო დედა – ელენე-ბეგუმი (1687-1750),⁵ ასული მეფე ერეკლე I-ისა (ნაზარ-ალი-ხანისა).⁶

აქვე დავსძენთ, რომ იესე ორჯერ მეფობდა ქართლში, პირველად – 1714-1716 წლებში, როგორც შიიტი მუსლიმი ალი-ყული-ხანი, ხოლო მეორედ – 1724-1727 წლებში, როგორც სუნიტი მუსლიმი მუსტაფა-ფაშა.

ამდენად, თეიმურაზ ბატონიშვილი, როგორც საქართველოში დარჩენილი ქართლის ბაგრატიონი, თანაც მეფის ძე, იმ დროისათვის სამეფო ტახტის ლეგიტიმურ პრეტენდენტად ითვლებოდა.

არსებობს ცნობა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილმა დანიშნა გივი ამილახვრის ასული. ამ ქორწინებას თეიმურაზისათვის ქართლის მეფის გვირგვინი უნდა მოეტანა, ვინაიდან გავლენიანი სიმამრი ამისათვის არაფერს დაზოგავდა. მაგრამ, ეს გეგმა იმხანად მომხდარმა ერთმა ფაქტმა ჩაშალა, რამაც ახალგაზრდა ბატონიშვილი მორალურად გატეხა.

1736 წელს ნოვრუზის დღესასწაულზე ნადირ-შაჰთან მიწვეულ საპატიო სტუმართა შორის იყვნენ კახეთის მეფე თეიმურაზ II და მისი მეუღლე, დედოფალი თამარი (ვახტანგ VI-ის ასული). აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული ბატონიშვილი თეიმურაზ იესეს ძე თამარ დედოფლის ბიძაშვილი იყო.

კახეთის მეფე-დედოფალს, რომელთაც ქართლის შეერთება სურდათ, ბუნებრივია, ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში ხელს უშლიდა გივი ამილახვრისა და თეიმურაზ ბატონიშვილის შესაძლო დანათესავება. თუ ეს დამოყვრება ჩაიშლებოდა, მაშინ თეიმურაზ ბატონიშვილის ქართლში გამეფების საფრთხე აღარ იარსებებდა. ამიტომ მათ სპარსეთის მბრძანებელს მოახსენეს: „ამილახვარს მეტად ლამაზი ქალი ჰყავს, ღირსი შაჰის ცოლობისა და გამოითხოვეო“.

ნადირ-შაჰმაც აღარ დააყოვნა და გივი ამილახვარს ასულის ხელი სთხოვა. ამ მოთხოვნაზე ამილახვარმა უარი ვერ გაბედა. არსებობს ცნობა,

⁴ კონსტანტინე გაჩეჩილაძე, „ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან“, *ქართული დიპლომატია*, 11 (2004), 508-510.

⁵ *Дворянские роды Российской империи*, т. III, Князья, под редакцией С. Думина (Москва, 1996), 44.

⁶ *ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა*, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული ილუსტრაციებითა და გენეალოგიური ნუსხებითურთ (თბილისი, 2003), ნუსხა 4.

რომ მან თავისი ქალიშვილი თვითონვე ჩაუყვანა შაჰინშაჰს სპარსეთში.⁷

აღნიშნული ფაქტის შესახებ გერონტი ქიქოძე თავის ნაშრომში „ერეკლე მეორე“ მოგვითხრობს, რომ ნადირ-შაჰი თავად ამილახვარს „უპატიოდ მოეპყრა, დაიჭირა და აიძულა მისთვის თავისი ასული მიეთხოვებინა. გივი ამილახვრის ქალი ვახტანგ VI-ის ძმისწულ თეიმურაზზე იყო დანიშნული. როგორც ერთი იმდროინდელი, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანი ცნობიდან ჩანს, ახალგაზრდა დანიშნულნი ნარდს თამაშობდნენ სოფელ ჭალაში, ამილახვრების სასახლეში, როცა მათთან ნადირის მიერ გაგზავნილი ჩაფრები მივიდნენ და ახალგაზრდა ქალი ჰარამხანაში წაიყვანეს. ადვილი წარმოსადგენია, რა შემზარავ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ძალმომრეობა შეყვარებულ ქალ-ვაჟზე“.⁸

აქვე დავსძენთ, რომ მოგვიანებით ნადირ-შაჰმა თავისი ქართველი სიმამრი ყულარალასად, ანუ პირადი გვარდიის მეთაურად დანიშნა.⁹

ზემოსხენებულმა ამბავმა ძალიან მძიმედ იმოქმედა თეიმურაზ ბატონიშვილზე. ის გადასახლდა იმერეთში, სადაც ქუთათელი მიტროპოლიტის რჩევით, ანტონის სახელით ბერად შედგა.

რუსეთში მყოფმა ელენე ერეკლეს ასულმა თავის შვილს შემდეგი შინაარსის წერილი მოსწერა:

„რად, შვილო ჩემო, მახვილი ეც გულსა ჩემსა, მწუხარესა უცხოებითა?...“

ძმა შენ არა გყავს და რად დაჰკარგე სამეფო და იმედი მეფობისა, რომელსაცა გამოიხსნის ღმერთი რუსთა ძალითა, რომელნიც მეცადინეობენ შენვინასა განსადევნელად თურქთა“.¹⁰

1740 წელს ანტონი ხელდასხმულ იქნა ქუთათელ მიტროპოლიტად.

1743 წელს ანტონი დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში და მოღვაწეობას შეუდგა დავით გარეჯის უდაბნოში.

მომდევნო წელს, თეიმურაზ II-ისა და მისი მეუღლის უშუალო ჩარევით, ანტონი კათოლიკოს-პატრიარქი გახდა.

არსებობს ცნობა, რომ თამარ დედოფალს ამით „სურდა ანტონის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ოდნავ შერბილება მაინც... ანტონ კათალიკოსი, თავის მხრივ, ცდილობს ქართლის მეფის ავტორიტეტის ამაღლებას. 1745 წლის 1 ოქტომბერს, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში თეიმურაზ II-ს ქართული საეკლესიო წესით მეფედ აკურთხებს“.¹¹

კათოლიკოსად არჩევასა ანტონი 24 წლისა იყო, თუმცა ამ თანამდებობის დაკავების უფლება, იმხანად არსებული წესის თანახმად, მხოლოდ 30 წლისას ჰქონდა.¹²

⁷ გაჩეჩილაძე, „ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან“, 510-511.

⁸ გერონტი ქიქოძე, *ერეკლე მეორე*, მეოთხე გამოცემა (თბილისი 1983), 31.

⁹ С. Думин, П. Гребельский, *Дворянские роды Российской империи: Князья Царства Грузинского*, под редакцией С. Думина и Ю. Чиковани, т. IV (Москва, 1998), 108.

¹⁰ გაჩეჩილაძე, „ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან“, 511-512.

¹¹ იქვე, 512-513.

¹² სერგი ავალიანი, *ანტონ პირველი (ბაგრატიონი)* (თბილისი, 1987), 15.

საგულისხმოა, რომ ნადირ-შაჰი თვით თეიმურაზ II-საც დაუნათესავდა.

ომან ხერხეულიძე წერს, რომ მეფე ერეკლე II-ის და – ქეთევანი „ნადირშას ძმისწულს – ადილშას ჰყოლია ცოლად“.¹³

სპარსეთის მბრძანებელმა მასთან ჩასულ მეფე თეიმურაზს მოსთხოვა, რომ ასული – ქეთევანი მიეთხოვებინა თავისი ძმისწულის ალი ყული-მირზასათვის. იმავდროულად ნადირ-შაჰმა თეიმურაზს უბრძანა, რომ სპარსეთში გამოეძახა თავისი ვაჟიც – ერეკლე ბატონიშვილი (მომავალი მეფე ერეკლე II).

რეალურად ტყვეობაში მყოფი თეიმურაზ II იძულებული გახდა, რომ ამ მოთხოვნებზე დათანხმებულიყო. იგი თავის ძეს და სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწულს ერეკლეს სპარსეთიდან წერდა: „სასურველო ძეო ჩემო! სადაცა ბოროტი შეგვემთხვის, იქ სიკეთეცა მოგველის. მეცა იძულებითა მოგინერესრეთ, რომე შაჰსა ჰსურს განთავისუფლება ჩემი ტყვეობისაგან, გარნა მხოლოდ ითხოვს მოსვლასა შენსა და რათა თანა წარმოიყვანო ასულიცა ჩემი და და შენი ქეთევან. მხოლოდ მოსვლა შენი აქა, სპარსეთად მომანიჭებს მე განთავისუფლებასა ტყვეობისაგან. ესრეთია ნება შაჰისა. მეფე თეიმურაზ“.¹⁴

ამ მოთხოვნათა შესრულების შემდეგ, კმაყოფილმა ნადირ-შაჰმა გაათავისუფლა მეფე თეიმურაზი და იგი თავის სამშობლოში გამოისტუმრა.

მალე, თეიმურაზ II 2500-კაციანი ამალით ჩავიდა ქ. მემჰედში, სადაც მის ასულს – ქეთევანს და ალი ყული-მირზას ბრწყინვალე ქორწილი გადაუხადეს.¹⁵

ასულის ამ ნაძალადევე ქორწინებასთან და ვაჟის სპარსეთში გამოძახებასთან (საიდანაც იგი ნადირ-შაჰმა ინდოეთში სალაშქროდ წაიყვანა) დაკავშირებით მეფე-პოეტი თავის ლექსში „თავგადასავალი“ გულისტკივილით წერდა:

„თვით ყენმან უსამართლო საქმე მიყო მეტად ძნელი:
გამომართვა ქალი პირმზე, ვისგან ნათობს ლამე ბნელი,
ძმისწულს მისცა შესართავად, კვლა ბოძებას აღარ ველი,
მე მისისა მოშორებით დამინყლულდა გული მრთელი.
იგი ძმისწული მაშათს ჰყვა, ქალი მას მისცა მთვარია,
სახელად ერქვა ქეთევან, არს მზისა შესადარია,
ვაჟსა უწოდდი ერეკლეს, არვინ მყავს მისი დარია,
იგ თვით იახლა, მე დავრჩი – სიცოცხლე დასაზარია!“¹⁶

აღნიშნული შეუღლების შედეგად, სპარსეთის მმართველ აფშართა დინასტიას დაუნათესავდა თეიმურაზ II, რაც ამ უკანასკნელისათვის პოლიტიკური თვალსაზრისით ფრიად ხელსაყრელი იყო.

¹³ ომან ხერხეულიძე, *მეფობა ირაკლი მეორისა*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა (თბილისი, 1989), 90.

¹⁴ დოდო ლომიძე, *ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში* (თბილისი, 2007), 94-95.

¹⁵ კახაბერ დემეტრაშვილი, „ირანი და ქართლ-კახეთის სამეფოები XVIII საუკუნის 40-იანი წლების მიწურულში“, კრ. *ვალერიან გაბაშვილი – 90* (თბილისი, 2003), 268-269.

¹⁶ *ქართველ მეფეთა პოეზია*, შემდგენელი დარეჯან მენაბდე (თბილისი, 2004), 313.

თეიმურაზ II-ის სიძე ნადირ-შაჰის ძმის იბრაჰიმის უფროსი ძე იყო. თავად იბრაჰიმი დალესტნის მმართველად იყო დანიშნული და 1738 წელს ჭარში მომხდარ ბრძოლაში დაიღუპა.¹⁷

ალი ყული-მირზა სპარსეთში სახელგანთქმულ სარდლად ითვლებოდა. მისი სამხედრო ნიჭი ნათლად გამოვლინდა იეზიდების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, როდესაც მან 12 ათასი მეომრით სძლია რიცხვმრავალ მტერს, ხოლო უკან 30 ათასი ტყვეთა და უხვი ნადავლით დაბრუნდა.¹⁸

ყოველივე ზემოთქმულის გამო, როდესაც სპარსეთში სახალხო მღელვარებანი დაიწყო, ნადირ-შაჰმა მათი ჩახშობა სწორედ თავის ძმისწულს დაავალა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნადირ-შაჰის საგადასახადო პოლიტიკამ, საგარეო დაპყრობით ომებში განცდილმა მარცხმა, როგორც ოკუპირებულ ქვეყნებში, ასევე თვით სპარსეთშიც აჯანყებათა მთელი რიგი გამოიწვია. ეს აჯანყებანი შაჰინშაჰმა დიდი სისასტიკით ჩაახშო. მოსახლეობა მშობლიურ მხარეს მასობრივად ტოვებდა და უცხო ქვეყნებში გარბოდა, რამაც სპარსეთის ისედაც სუსტი ეკონომიკა კიდევ უფრო მოშალა.

ნადირ-შაჰისათვის საბედისწერო 1747 წელს სისტანში მომხდარი აჯანყება აღმოჩნდა, რომლის ჩასახშობადაც ალი ყული-ხანი მიავლინა.

სისტანში ჩასული ალი ყული-ხანი დარწმუნდა, რომ ამ გრანდიოზული აჯანყების ჩახშობა შეუძლებელი იყო. ამიტომ მან გადაწყვიტა, რომ გვირგვინოსანი ბიძა გაენირა. იგი გადავიდა აჯანყებულთა მხარეს და თავი შაჰად გამოაცხადა.

საყვარელი ძმისწულის ლალატმა ნადირ-შაჰს წონასწორობა დააკარგვინა. მან გადაწყვიტა, რომ მოლაღატე სანიმუშოდ დაესაჯა, თუმცა 19 ივნისს იგი მეშვედში მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი გახდა.¹⁹

1747 წლის 6 ივლისს ქ. მეშვედში 25 წლის ალი ყული-ხანი სპარსეთის შაჰად აკურთხეს. იგი ტახტზე ადილ-შაჰის (ანუ „სამართლიანი შაჰის“) სახელით ავიდა. მან იმ დროს სპარსეთში მყოფი თავისი სიმამრი თეიმურაზ II დიდებულად მილო და გულუხვად დაასაჩუქრა.²⁰

1748 წელს მეფე ერეკლე II-ს მიართვეს თავისი სიძის – ადილ-შაჰის მიერ სპარსეთიდან გამოგზავნილი ძვირფასი ხალათი და რაყამი დიდი წყალობისა.²¹

¹⁷ ქიქოძე, *ერეკლე მეორე*, 31.

¹⁸ დემეტრაშვილი, „ირანი და ქართლ-კახეთის სამეფოები XVIII საუკუნის 40-იანი წლების მიწურულში“, 268.

¹⁹ დარეჯან მეგრელაძე, დავით კაციტაძე, „XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტი ირან-საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან“, *ქართული დიპლომატია*, 11 (2004), 529.

²⁰ დემეტრაშვილი, „ირანი და ქართლ-კახეთის სამეფოები XVIII საუკუნის 40-იანი წლების მიწურულში“, 268-270.

²¹ *საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს.*, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა (თბილისი, 1980), 87.

ამგვარად, სპარსეთის მმართველ აფშართა დინასტიასთან დანათესავება მომგებიან ადმოჩნდა როგორც თეიმურაზ II-ის, ასევე ერეკლე II-ისათვის.

ადილ-შაჰის მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მისმა მმართველობამ სულ 11 თვეს გასტანა. იგი თავისი მომდევნო ძმის, ერაყის მმართველად დანიშნული იბრაჰიმის (იბრეიმ-მირზას) მიერ მოწყობილი შეთქმულების მსხვერპლი გახდა. იბრაჰიმმა თავისი გვირგვინოსანი ძმა ტახტიდან ჩამოაგდო და დააბრმავა, ხოლო თავი შაჰინშაჰად გამოაცხადა. აქვე უნდა ითქვას, რომ იბრაჰიმმა თავის ძმაზე ნაკლებ ხანს, სულ ორიოდე თვეს იმეფა.²²

გამეფებიდან რამდენიმე თვეში იბრაჰიმ შაჰი ტახტიდან ჩამოაგდო ნადირ-შაჰის შვილიშვილმა შაჰროხმა.

1749 წელს აფშართა დინასტიის წარმომადგენლები, ძმები ადილ-შაჰი და იბრაჰიმი სიკვდილით დასაჯეს.²³

აღსანიშნავია, რომ იმავე წელს შაჰროხი თავადაც შეთქმულების მსხვერპლი გახდა. იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და დააბრმავეს, თუმცა ცოცხალი დატოვეს.²⁴ ამის შემდეგ მისი ძალაუფლება სპარსეთის მხოლოდ ერთ რეგიონში – ხორასანში ვრცელდებოდა.

სულ ორიოდე წლის განმავლობაში ზედიზედ სამი შაჰინშაჰის მკვლელობის შემდეგ, სპარსეთის სახელმწიფოში დიდმა არეულობამ დაისადგურა.

სპარსეთში შექმნილი მდგომარეობით კარგად ისარგებლეს მეფეებმა თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ, რომლებმაც თბილისი სპარსული გარნიზონისაგან გაათავისუფლეს.²⁵

აღსანიშნავია, რომ მეფე ერეკლე II-ის ინიციატივით, 1748 წელს თბილისში გამართული საეკლესიო კრების დადგენილებით, მართლმადიდებელთა დაქორწინება სხვა სარწმუნოებრივი აღმსარებლობის ადამიანებზე ოფიციალურად აკრძალა.²⁶

ამრიგად, აფშართა დინასტიის ორმა წარმომადგენელმა, ნადირ-შაჰმა და მისმა ძმისწულმა – ადილ-შაჰმა ქართველ ასულებზე იქორწინეს. პირველმა ცოლად შეირთო თავად გივი ამილახვრის ასული, ხოლო მეორემ – თეიმურაზ II-ის ასული ქეთევანი.

²² დავით კაციტაძე, *ირანის ისტორია (III-XVIII საუკუნეები)*, (თბილისი, 2001), 504.

²³ მეგრელაძე, „XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტი“, 530.

²⁴ ზურაბ შარაშენიძე, *ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში* (თბილისი, 1970), 16.

²⁵ დემეტრაშვილი, „ირანი და ქართლ-კახეთის სამეფოები XVIII საუკუნის 40-იანი წლების მიწურულში“, 274.

²⁶ *ქართული სამართლის ძეგლები*, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ, ტომი III (თბილისი, 1970), 802.

ბიბლიოგრაფია

- ავალიანი სერგი. ანტონ პირველი (ბაგრატიონი). თბილისი, 1987
- ბაგრატიონები. სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა. ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული ილუსტრაციებითა და გენეალოგიური ნუსხებითურთ. თბილისი, 2003
- გაჩეჩილაძე კონსტანტინე. ერთი ფურცელი სასულიერო ფეოდალიზმის ისტორიიდან. ქართული დიპლომატია, 11, 2004
- დემეტრაშვილი კახაბერ. ირანი და ქართლ-კახეთის სამეფოები XVIII საუკუნის 40-იანი წლების მიწურულში. კრებ. ვალერიან გაბაშვილი – 90. თბილისი, 2003
- კაციტაძე დავით. ირანის ისტორია (III-XVIII საუკუნეები). თბილისი, 2001
- ლომიძე დოდო. ყიზილბაშობა 1735-1749 წლების აღმოსავლეთ საქართველოში. თბილისი, 2007
- მეგრელაძე დარეჯან, კაციტაძე დავით. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დოკუმენტი ირან-საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან. ქართული დიპლომატია, 11, 2004
- ნასროლა ფალსაფი. შერჩევითი თარგმანი (ფრაგმენტები საქართველოსა და ქართველების შესახებ). სპარსულიდან თარგმნა ლილი ჟორჯოლიანმა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ჯემალ სტეფანაძემ. თბილისი, 2003
- საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა. თბილისი, 1980
- ქართველ მეფეთა პოეზია. შემდგენელი დარეჯან მენაბდე. თბილისი, 2004
- ქართული სამართლის ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. ტომი III. თბილისი, 1970
- ქიქოძე გერონტი. ერეკლე მეორე. მეოთხე გამოცემა. თბილისი, 1983
- შარაშენიძე ზურაბ. ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისი, 1970
- ხერხეულიძე ომან. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა. თბილისი, 1989
- ჯაფარიძე გოჩა. ნადირ შაჰ აფშარი. ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი. შემდგენლები კარლო კუცია, მეგი მეტრეველი, გიორგი სანიკიძე, მიხეილ სვანიძე, გოჩა ჯაფარიძე. შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა გოჩა ჯაფარიძისა. გრიგოლ ბერაძის რედაქციით. თბილისი, 1999
- Дворянские роды Российской империи. Т. III. Князья, под редакцией С. Думина. Москва. 1996
- Думин С., Гребельский П. Дворянские роды Российской империи. Т. IV. Князья Царства Грузинского. Под редакцией С. Думина и Ю. Чиковани. Москва. 1998
- Сычев Н. Книга Династий. Москва. 2006

VIII

ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მინაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის)

გონა ჯაფარიძე

იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ხელნაწერების მინაწერებში ყურადღებას იპყრობს კახეთის მეფის ავგიორგის (1511-1513) ყოფილი სახლთუხუცესის, იერუსალიმში ჯვრის მამად მივლინებული ბენა ჩოლოყაშვილის საქმიანობა.

ბენა, როგორც თავად იუწყება ერთ-ერთი ხელნაწერის მინაწერში, იერუსალიმს ჩასულა 1512 წელს.¹ იერუსალიმის სხვა ხელნაწერების მინაწერებში ის აღნიშნავს:

„აქა, მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმინდისა საყდარზედა, და დიდი ქირი და სარჯელი გარდამხდა ცოდვილსა ბენასა ძმანო. ნებითა ღთისათა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე და კანდელი და რაცა მათი იყო, მე ცოდვილმა ბენე“.

„ქ. ამა წიგნისა მეორედ შემკაზმავსა, ჩოლაყას შვილსა ბენასა შეუნდნეს ღწ. ქქსა სბ (1514 წ.) შეიკაზმა და ამა კუირასა, დღესა სამშაბათსა, მეორესა ჟამსა ღამისასა, შევაბი აღდგომის კარნი, ნებითა ღთისათა. შენდობა ყავთ მადლსა ღთისსა, ძმანო“.²

პირველი მინაწერიდან ჩანს, რომ ბენა ჩოლოყაშვილს, ერთდროულად, დავა ჰქონდა სომეხებთან – იერუსალიმის სომეხურ საპატრიარქოსთან და „ფრანგებთან“ ანუ ფრანცისკელებთან, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმოადგენდნენ კათოლიკურ ევროპას წმინდა მინაზე. დავა ქრისტიანულ თემებს შორის, იერუსალიმის წმინდა ადგილების მფლობელობაზე, არ იყო იშვიათი. ქართველები თავიანთ უფლება-მოვალეობებს იცავდნენ არა მარტო ადგილობრივი მუსლიმი

¹ „ქ...აცხოვნე პატრონი მეფე მეფეთა გიორგი, და მაცხოვნე მე ცი იერუბა(ქ)ხის ჩოლაყას შვილი ბენა, – აქა იერუსლმს მოვიწიე ქქს ს“ (1512 წ.). А. Цагарели, “Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае”, *Православный палестинский сборник*, т. IV, Выпуск первый (СПб, 1888), 167-68, N1.

² ნ. მარი, *იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავის ხელნაწერების მოკლე აღწერილობა*, დასაბუქდად მოამზადა ე. მეტრეველმა (თბილისი, 1955), 36-37.

გამგებლებისა და მუსლიმი კლერიკალების ძალმომრეობისგან, არამედ – სხვა ქრისტიანული თემებისგანაც.

ქრ. შარაშიძე, ზემომოტიანილი მინანერების მიხედვით, ასკვნიდა, რომ ბენა ჩოლოყაშვილი „ენერგიულ, ძლიერ, მთლიან პიროვნებად გვეხატება“. მასთან „დასარჩლება“, ან პირისპირ შეტაკება სახიფათო საქმედ ჩანს. მან არ იცის მერყეობა-ყოყმანი. ფრანგებისგან მიტაცებულ გოლგოთას ის კვლავ ქართველთა სავანედ ხდის და ამ საქმის სისრულეში მოყვანის დროს ფრანგების ნამდვილ დარბევასაც არ ერიდება („მათი ყუელა გარეთ გამოუყარე“). მისი გააფთრების მსხვერპლი, ამ შემთხვევაში, ფრანგების საეკლესიო ინვენტარიც გამხდარა („კანდელი და რაც მათი იყო“), რასაც თვითონ „ცოდვილი ბენა“ აღნიშნავს მინანერში ოდნავი სინანულით... ბენას მჩქეფარე ენერგია ყველაფერს სწვდება: იგი ართმევს მიმტაცებლებს ქართველთა მონასტრებს, ატარებს ქართული ხელნაწერების შეკაზმვარესტავრაციას; ამ საქმიანობაში მისთვის დღე და ღამე გაერთიანებულია. „აღდგომის“ ეკლესიის განახლებული კარის შებმის პროცედურას ბენა ნაშუაღამევის მეორე საათზე ამთავრებს... ცხადია... დაცემისა და დაქსაქსულობის პერიოდში მხოლოდ მსგავს ენერგიულ ადამიანებს შეეძლოთ საქართველოს ძლიერების და პრესტიჟის შენარჩუნება შორეულ პალესტინაში“.³

ქართველების ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად შორეულ პალესტინაში მართლაც დიდ ენერგიასა და შემართებას მოითხოვდა, მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო საკმარისი. წარმატებას ხშირად განაპირობებდა ქართული სამეფო-სამთავროების ინტენსიური მეგობრული და საქმიანი ურთიერთობები ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოსთან, რომლის შემადგენლობაშიც იმ დროს შედიოდა პალესტინა, მათი ორმხრივი ინტერესები და საერთაშორისო ვითარება – ის ფაქტორი, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია წმინდა ადგილებში ქართველთა მოღვაწეობის შესწავლის დროს.

ე. მამისთვალიშვილი წერს, რომ „ქართლის სამეფო-ეგვიპტის ურთიერთობის ფონზე უნდა განვიხილოთ ბენა ჩოლოყაშვილის მიერ გოლგოთადან ფრანცისკანელების გაძევება XVI საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში (უფრო ზუსტად დათარიღება ჭირს)“.⁴ ზოგადად ასეა და შეიძლება დავეთანხმოთ მკვლევარს, თუმცა ის ამ ფონს არ აჩვენებს და, ამასთან, ბენა ჩოლოყაშვილი წარმოადგენდა კახეთის და არა ქართლის სამეფოს. ე. მამისთვალიშვილი აღნიშნავს აგრეთვე, რომ

³ ქრისტინე შარაშიძე, „საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVIII სს“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30 (თბილისი, 1954), 241-42. ეს შეფასება მეტ-ნაკლებად გამეორებულია სხვა მკვლევართა შრომებშიც. იხ. მაგალითად, ელენე მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (თბილისი, 1962), 123; ლევან მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II (თბილისი, 1980), 113.

⁴ ელდარ მამისთვალიშვილი, „ქართველების ბრძოლა გოლგოთისათვის XV-XVI საუკუნეებში“, ქართული დიპლომატია, 5 (1998), 87; მისივე, ქართველები და ბიბლიური სამყარო (გორი, 1998), 104; მისივე, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.), I (თბილისი, 2009), 123.

„ფრანცისკანელთა წინააღმდეგ ქართველთა, კერძოდ, ბენა ჩოლოყაშვილის მოქმედება... მაშინ ეგვიპტესა და პალესტინაში შექმნილი ანტიფრანგული განწყობილებების კონტექსტში ჯდება“.⁵ სინამდვილეში იყო არა უბრალოდ „ანტიფრანგული“ განწყობილებები, არამედ ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული ეგვიპტის უაღრესად მწვავე დაპირისპირება კათოლიკურ ევროპასთან. ეს დაპირისპირება მტკივნეულად შეეხო ფრანცისკელებს იერუსალიმში. რაც მთავარია, ამის შედეგად დაიკეტა ქრისტიანთა მთავარი ტაძარი იერუსალიმში – აღდგომის ეკლესია და შეწყდა პილიგრიმოზა.

იერუსალიმში ჯვრის მამად წარგზავნილი ბენა ჩოლოყაშვილი, რომელიც, როგორც ქვემოთ ირკვევა, იმავდროულად კახეთის მეფის ელჩიც იყო ეგვიპტის სულთნის კარზე, XVI საუკუნის მეორე ათწლეულის დამდეგს შეეცადა ქართული სამონასტრო თემის სასარგებლოდ გამოეყენებინა ეგვიპტისა და კათოლიკური ევროპის დაპირისპირება. ქართული ისტორიოგრაფიისთვის უცნობი არაბული დოკუმენტური და ეპიგრაფიკული წყაროები,⁶ ასევე უცნობი, ან არასრულად შესწავლილი არაბული,⁷

⁵ მამისთვალისშვილი, *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია*, 124.

⁶ მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, იერუსალიმის წიგნთსაცავებში, კერძოდ, იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოსა და იერუსალიმის ფრანცისკელთა არქივში დაცული მრავალრიცხოვანი არაბული დოკუმენტი, რომლებიც ძვირფასი წყაროა წმინდა მინაზე ქართული სამონასტრო თემის მოღვაწეობის შესასწავლად. საპატრიარქოს ბიბლიოთეკის დოკუმენტების კატალოგი ბერძნულად გამოსცა აგამემნონ ცელიკამ. *Αγαμέμνωνος Τσελικα, Καταγραφή του ἀρχείου του πατριαρχείου Ιεροσολύμων. Δελτίο του ιστορικού καί παλαιογραφικού ἀρχείου, Ε'* [აგამემნონის ცელიკა, *იერუსალიმის საპატრიარქოს არქივის აღწერილობა*] (Αθήνα, 1992); ფრანცისკელთა არქივის კი – ე. კასტელანიმ. E. Castellani, *Catalogo dei Firmani ed altri documenti legali emanate in lingua araba e turca concernati I Santuari le proprieta I diritti della Custodia di Terra Santa conservati nell' Archivio della stessa Custodia in Gerusalemme* (Gerusalemme, 1922). ამ დოკუმენტების მოპოვებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ იხ. გოჩა ჯაფარიძე, გოჩა ბუაჩიძე, „წმინდა მინაზე ქართული ეკლესიის ისტორიის არაბული დოკუმენტური წყაროები სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის წიგნთსაცავებში“, *ისტორიანი, სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი* (თბილისი, 2009), 540-44, 544-47; ეპიგრაფიკული წყაროებიდან დავასახელებ მარტინ ვან ბერშემის მიერ 1922 წელს გამოცემულ სულთან კანსავჯ ალ-ლავრის 1513 წლის 17 მარტის ბრძანებულებას. Max Van Berchem, *Matériaux pour un Corpus Inscriptionum Arabicarum, Deuxième partie, Syrie du Nord, Tome premier, Jérusalem "ville"* (Le Caire, 1922), 378-79 (არაბული ტექსტი), 380-84 (ფრანგული თარგმანი).

⁷ არაბული წყაროებიდან უმნიშვნელოვანესია მამლუქთა ბატონობის დაცემისა და ოსმალთა ბატონობის პირველი წლების ეგვიპტელი ისტორიკოსის იბნ იასის (გარდ. დაახლ. 930/1524წ.) მრავალტომიანი თხზულება „ბადა'ი'აზ-ზუჰურფივაკა'ი'ად-დუჰურ“/„*იშვიათი ყვავილები ეპოქათა ამბებში*“, რომლის IV ტომი მოხმობილია წინამდებარე ნაშრომში: *Die Chronik des Ibn Iyas, Dritte Auflage bearbeitet und mit Einleitung und Indices versehen von Mohamed Mostafa, vierter Teil, A.H.906-921/A.D. 1501-1515* (Cairo, 1984). იხ. აგრეთვე მისი ფრანგული თარგმანი: *Journal d'un bourgeois du Caire. Chronique d'Ibn Iyas, Tome II, Traduit et annoté par Gaston Wiet* (Paris, 1955). 1512 წელს კაიროში ქართველთა ელჩობის შესახებ იბნ იასის ცნობა იხ. დიტო გოჩოლეიშვილი, „საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან

ფრანგული⁸ და იტალიური⁹ ნარატიული წყაროები საშუალებას იძლევა, რომ საკმაოდ დაწვრილებით აღდგეს ბენა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობის არაერთი მხარე ეგვიპტესა და წმინდა მინაზე – იერუსალიმში.

XVI საუკუნის პირველ ათწლეულში მამლუქთა ეგვიპტის პოზიციებს მენამულ და ხმელთაშუა ზღვებზე მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნეს, ერთი მხრივ, პორტუგალიელებმა, რომლებიც დაემუქრნენ ეგვიპტის მონოპოლიურ ვაჭრობას ინდოეთთან და, მეორე მხრივ, ქრისტიანმა მეკობრეებმა, რომლებიც დაუსჯელად დათარეშობდნენ ხმელთაშუა ზღვაში და არბევდნენ ეგვიპტის დელტასა და მამლუქთა სახელმწიფოს სირიის სანაპიროს.

ინდოეთთან მონოპოლიური ვაჭრობა მამლუქთა შემოსავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა. ინდურ სანელებლებზე დასავლეთ ევროპაში დიდი მოთხოვნა იყო. იაფად შექენილი ინდური საქონელი მუსლიმ ვაჭრებს გემებით შეჰქონდათ, ერთი მხრივ, ადენისა და ჯიდას პორტების გავლით, ეგვიპტეში – სუეცისა და ალექსანდრიის პორტებში, ხოლო მეორე მხრივ, ჰორმუზიდან – ბასრაში და აქედან სახმელეთო გზით – ჰალაბში (სირია). სანელებლები, რომელთაც დიდი ბაჟი ედებოდათ,¹⁰ ეგვიპტისა და

XVI ს. I მეოთხედში“, *ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი, აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, შრომების კრებული* (ქუთაისი, 2003), 50-58. იხ. ქვემოთ, შენ. 50.

⁸ ქართული პალესტინოლოგიისთვის დღემდე უცნობი დარჩა 1512 წელს კაიროში საფრანგეთისა და ვენეციის ელჩების ანდრე ლე როისა და დომენიკო ტრევიზანის ელჩობები, რომელთა ერთ-ერთ მიზანს იერუსალიმის აღდგომის ეკლესიაში პოლიგრამობის აღდგენა წარმოადგენდა. იხ. *Le Voyage d'Outremer (Égypte, Mont Sinay, Palestine) de Jean Thenaud, Gardien du couvent de Cordeliers d'Angoulême suivi de la Relation de l'Ambassade de Domenico Trevisan auprès du Soudan d'Égypte, 1512, Publié et annoté par Ch. Schefer* (Paris, 1884).

⁹ ე. მამისთვალისვილიმა, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში შემოიტანა ვენეციელი ფრანცისკელის, 1512-1514 წლებში წმინდა მიწის მეურვის, ფრანჩესკო სურიანოს ტრაქტატი „წმინდა მიწის შესახებ“ იტალიურ ენაზე, გამოცემული ჯ. გოლუბოვიჩის მიერ: *Il Trattato di Terra Santa e dell'Oriente di Frate Francesco Suriano* (Milano, 1900). იხ. მამისთვალისვილი, *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 195, 175; მისივე, *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.)* (თბილისი, 2008), 32, 238; მაგრამ ინფორმაცია ამ თხზულებიდან, რომელშიც ფრანცისკელთა პოზიციებიდან არის განხილული ქართველთა ბრძოლა გოლგოთისათვის, არასრულია. წინამდებარე ნაშრომში დამონმებულია ამ თხზულების ინგლისური თარგმანი: Francesco Suriano, *Treatise of the Holy Land*, translated from the Italian by Fr. Theophilus Bellorini O.F.M. and Fr. Eugene Hoade O.F.M. with a Preface and Notes by Fr. Bellarmino Bagatti O.F.M. (Jerusalem, 1947).

¹⁰ ასე, მაგალითად, 1 კინტარი, ანუ 45 კგ წინაკის ფასი, რომელიც ადგილზე, ინდოეთში 2,5-3 დუკატი (მის შესახებ იხ. შენ. 133) იყო, ალექსანდრიის ბაზრებზე, მიწოდებისა და მოთხოვნის მიხედვით, 80-120 დუკატამდე იზრდებოდა. В. Хинц, *Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему*, перевод с немецкого Ю. Э. Брегеля (Москва, 1972), 22; აჰმად დარაჯ, *ალ-მამალიქვა ლ-ფარანჯ ფი ლ-კარნ ათ-თასი 'ლი ლ-ჰიჯრი ალ-ხამის 'აშარა ალ-მილადი* [მამლუქები და ფრანკები ჰიჯრის IX/ქრ.წ. XV საუკუნეში] (ალ-კაჰირა,

სირიის ქალაქებიდან ვენეციელებს გაჰქონდათ დასავლეთ ევროპაში.

ევროპის საზღვაო სახელმწიფოები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ დიდი ბაჟები და პირდაპირი კავშირი დაემყარებინათ ინდოეთთან. ამ მხრივ წარმატებას მიაღწიეს პორტუგალიელებმა. 1498 წელს ვასკო და გამამ შემოუარა აფრიკას და გაკვალა გზა ინდოეთისკენ. პორტუგალიელები პირველად გადასხდნენ დასავლეთი ინდოეთის სანაპიროებზე, სადაც 1500 წელს დააარსეს პირველი სავაჭრო კოლონია და დაიწყეს აფრიკის გარშემოვლით, კეთილი იმედის კონცხის გზით, ინდური სანელებლების გატანა ლისაბონში.

ინდოეთის წყლებში ერთმანეთს დაუპირისპირდა პორტუგალიისა და ეგვიპტის სავაჭრო ინტერესები, რაც მალე შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაიზარდა.¹¹ პორტუგალიელები აკავებდნენ და ძირავდნენ ინდოეთიდან მომავალ სავაჭრო საქონლით დატვირთულ ეგვიპტელთა გემებს, მათ შორის, სულთან კანსავკ ალ-ლავრის ხომალდებს; შეეცადნენ მოეხდინათ მენამული ზღვის ბლოკირება და დაეკავებინათ ის სავაჭრო გემები, რომლებიც მიემართებოდნენ ჯიდაში, ხოლო აქედან – სუეცსა და ალექსანდრიაში. ამის შედეგად, XVI საუკუნის პირველ ათწლეულში, ეგვიპტის პორტებში შემცირდა ინდოეთიდან შემოსული სანელებლების რაოდენობა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა სულთნის ხაზინას. დანაკლისის ასანაზღაურებლად ეგვიპტის ხელისუფლება ბაჟების გაზრდით აძვირებდა სანელებლებს, რაც, თავის მხრივ, საშუამავლო ვაჭრობაში ეგვიპტის მთავარ პარტნიორს – ვენეციას უძნელებდა ამ საქონლის შექენასა და გატანას ევროპაში, სადაც უკვე ლისაბონი გახდა იაფი ბაზარი.

ეგვიპტის სულთანი კანსავკ ალ-ლავრი (1501–1516) შეეცადა უომრად მოეგვარებინა კონფლიქტი პორტუგალიასთან. 1504 წელს მან გაგზავნა ელჩი რომის პაპთან, იულიუს II-სთან (1503–1514). სულთანი იმუქრებოდა, თუ პორტუგალიის მეფე მანუილ I (1495–1521) არ შეწყვეტდა მუსლიმი ვაჭრების შევიწროებას ინდოეთში და თავდასხმებს ეგვიპტის გემებზე, მაშინ დაანგრევდა ქრისტიანთა წმინდა ადგილებს იერუსალიმში.

1961), 133 (არაბულ ენაზე). ი. ჰორიი იძლევა განსხვავებულ მონაცემებს. Yutaka Horii, “The Mamluk Sultan Qansuh al-Ghawri (1501-16) and the Venetians in Alexandria,” *Orient*, vol. XXXVIII (2003), 185-86, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, მოგება იყო უზარმაზარი.

¹¹ ეგვიპტე-პორტუგალიის დაპირისპირების შესახებ იხ. დარრაჯ, *ალ-მამალიქ ვა ლ-ფარანჯ*, 132, 135-138; E. Denison Ross, “The Portuguese in India and Arabia between 1507 and 1517,” *Journal of the Royal Asiatic Society and Ireland*, 4 (Oct., 1921), 545-62; M. Sobernheim, “Kansuh, al-Malik al-Ashraf Saif al-Din min Baiberdi al-Ghuri,” *E.J.Brill's First Encyclopaedia of Islam*, 1913-1936, vol. IV (Leiden, 1987), 720-21; Peter M. Holt, “Kansawh al-Ghawri,” *The Encyclopaedia of Islam*, New Edition, vol. IV (1978), 512; M. M. Ziada, “The Mamluk Sultans, 1291-1517,” *A History of the Crusades*, ed. Kenneth M. Setton, vol. III (The University of Wisconsin Press, 1975), 510-11; Palmira Brummett, *Ottoman Seapower and Levantine Diplomacy in the Age of Discovery* (State University of New York Press, Albany, 1994), 35, 112-16; Nazeer Ahmed, “The Portuguese Devastations in the Indian Ocean,” in *Islam in Global History: From the Death of Prophet Muhammad to the First World War*, vol. 2 (Ridgmont, 2000), 85-94, 89-92.

კანსავკ ალ-ლავრის ელჩმა მიზანს ვერ მიაღწია. მეფე მანუილმა დაარწმუნა პაპი, რომ სულთანი მუქარას არ შეასრულებდა, ვინაიდან ის დაინტერესებული იყო ევროპელ პილიგრიმთაგან მიღებული დიდი შემოსავლით. მაშინ კანსავკ ალ-ლავრიმ გადაწყვიტა საკუთარი ძალებით ალექვეთა პორტუგალიელთა აგრესია. 1505 წლის ნოემბერში მან გაგზავნა ფლოტი ამირა ჰუსაინ მუშრიფ ალ-ქურდის მეთაურობით, რომელსაც დაევალა ჯიდას გამაგრება და, გუჯარეთის მუსლიმ გამგებელთან ერთად, პორტუგალიელთა წინააღმდეგ ბრძოლა.

მოკავშირეებმა 1508 წლის იანვარში ინდოეთის პორტ ჩაულთან დაამარცხეს პორტუგალიელები, რომლებსაც პორტუგალიის ვიცე-მეფის ლორენცოს ვაჟი სარდლობდა და დაწვეს საადმირალო ხომალდი. სამაგიეროდ, 1509 წლის თებერვალში, დიუს ყურეში, ბომბეის მახლობლად, ლორენცომ რევანში აიღო და გაანადგურა ეგვიპტის ფლოტი. პორტუგალიელთა გამარჯვებას მოჰყვა მენამული ზღვისკენ მიმავალი საზღვაო გზის სასტიკი ბლოკადა, რის შედეგადაც, ფაქტობრივად, განყდა კავშირი ჯიდასა და ინდოეთის პორტებს შორის.

ეგვიპტეს დიდ ზარალს აყენებდნენ კუნძულ როდოსზე გამაგრებული ჰოსპიტალიერთა ორდენის რაინდებიც, რომლებიც ხმელთაშუა ზღვაზე მეკობრეობდნენ.¹² 1506 წელს კოსის მახლობლად მათ ხელთ იგდეს ეგვიპტის სამხედრო ხომალდები, რომლებიც მიემართებოდნენ როდოსის დასარბევად, ხოლო 1507 წელს კრეტასთან – დიდი სავაჭრო ხომალდი, რომელსაც, ჩვეულებრივ, გადაჰქონდა სავაჭრო საქონელი ალექსანდრიიდან თუნისში და ამარაგებდა მთელ მალრიბს. ჰოსპიტალიერებს ხელთ ჩაუვარდათ ძვირფასი საქონელი: სანელებლები, ქსოვილები და ხალიჩები, აგრეთვე მუსლიმი მოგზაურები, რომელთა გამოსხნაც კანსავკ ალ-ლავრის დიდი ფული დაუჯდა.

დიუსთან მარცხის შემდეგ ეგვიპტის სულთანი იძულებული გახდა აეგო ახალი ფლოტი, მაგრამ ეგვიპტეს არ გააჩნდა საჭირო ხე-ტყე. მის შესაძენად ვენეციასთან მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა. მაშინ კანსავკ ალ-ლავრიმ დახმარება სთხოვა ოსმალეთის სულთანს – ბაიაზეთ II-ს და მიიღო ის. კანსავკმა მორების გადასატვირთად გემები გაგზავნა ალექსანდრეტაში, რომელიც ოსმალებს ეჭირათ. როდოსის ჰოსპიტალიერთა ორდენის დიდმა მაგისტრმა, კარგი დაზვერვის ნყალობით, ეს შეიტყო. მისმა სამხედრო ფლოტმა – 18 ხომალდმა 1510 წლის 12 აგვისტოს აიასის ყურეში (ალექსანდრეტა) გაანადგურა ეგვიპტის ფლოტი, რომელიც 25 გემისგან შედგებოდა და ხელთ იგდო დიდი ნადავლი. საზღვაო ბრძოლაში დაიღუპა სულთნის ძმისშვილი მუჰამედ ბეგი,¹³ ხოლო

¹² ეგვიპტე-როდოსის ჰოსპიტალიერების ამ ურთიერთობების შესახებ იხ. დარრაჯ, *ალ-მამალიქ ვა ლ-ფარანჯ*, 141-42; Ettore Rossi, "The Hospitallers at Rhodes, 1421-1523," in *A History of the Crusades*, ed. by Kenneth M. Setton, vol. III (Madison, 1975), 331-32; Brummett, *Ottoman Seapower and Levantine Diplomacy*, 24-25, 52, 40-44, 78, 116, 168-69.

¹³ *Die Chronik des Ibn Ijas*, 191-192; Kenneth M. Setton, *The Papacy and the Levant, 1204-1571*, vol. III (Philadelphia, 1984), 24.

ეგვიპტის ახალი ფლოტის ასაგებად განკუთვნილმა ხე-ტყემ როდოსზე გადაინაცვლა.

ახალი მარცხი, რის შესახებაც კანსავჰ ალ-ღავრიმ შეიტყო 916 წლის 10 ჯუმადა II-ს/1510 წლის 14 სექტემბერს,¹⁴ მიძიმე დარტყმა აღმოჩნდა მისთვის. სულთანი ორი დღე საჭმელს არ გაჰკარებია,¹⁵ მისი მოთმინების ფიალა აივსო და 916 წლის 13 ჯუმადა II-ს/1510 წლის 17 სექტემბერს ბრძანა, დაეპატიმრებინათ ფრანკი ვაჭრები ალექსანდრიაში, დამიეტასა და საზღვაო სანაპიროზე.¹⁶ რეპრესიები შეეხო ფრანცისკელთა თემსაც იერუსალიმში. სულთნის ბრძანებით, 916 წლის რაჯაბის თვეში, ე.ი. 1510 წლის 4 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე, კაიროში ჩაიყვანეს სიონის მონასტრისა და აღდგომის ეკლესიის ოცამდე ფრანცისკელი ბერი.¹⁷ მათ მოსთხოვეს, მიენერათ ევროპის მეფეებისთვის, რომ მათ, თავის მხრივ, აეძულებინათ ჰოსპიტალიერები, დაებრუნებინათ ეგვიპტის ხომალდები და დატაცებული საქონელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულთანი იმუქრებოდა, რომ დაანგრევდა აღდგომის ეკლესიას და ჩამოახრჩობდა მის ბერებს.¹⁸ იმავე თვეში კანსავჰ ალ-ღავრიმ ამირ-ახური აკაბაი ატ-ტავილი წარგზავნა იერუსალიმს აღდგომის ეკლესიაში ევროპელთა ქონების კონფისკაციის მიზნით.¹⁹ სიონის მონასტრის წინამძღვარი იძულებული გახდა გადაეხადა მისთვის 4 ათასი დუკატი ნაღდი ფული და 5 ათასი დუკატის ღირებულების ძვირფასეულობა.²⁰ 916 წლის 7 შავვალს/1511 წლის 7 იანვარს აკაბაი ატ-ტავილი, რომელმაც ეს ბრძანება შეასრულა, უკვე კაიროში იყო.²¹ ამ დროისთვის აღდგომის ეკლესია ფაქტობრივად დაიკეტა პილიგრიმთათვის.

გარდა დუისთან და აიასთან მარცხისა, სულთანს სხვა მიზეზიც ჰქონდა, რომ ევროპელების უკმაყოფილო ყოფილიყო. მას ადრე, 916 წლის ჯუმადა I-ის თვეში/ 1510 წლის აგვისტო-სექტემბერში, ხელთ ჩაუვარდა ირანის შაჰის ისმაილ I-ის (1501–1524) საიდუმლო წერილი, რომელშიც სთხოვდა ევროპელ კონსულებს ეგვიპტისა და სირიის მთავარ ქალაქებში, მიენერათ თავ-თავიანთი მეფეებისთვის, ზღვით დაელაშქრათ ეგვიპტე.²² თავად შაჰი მამლუქთა და ოსმალთა წინააღმდეგ ხმელეთით გალაშქრებას კისრულობდა. 916 წლის 23 ზულკადას/1511 წლის 21 თებერვალს სულთანმა კაიროში ჩამოაყვანინა ევროპელი კონსულები ეგვიპტიდან და სირიიდან, მათ შორის თომასო კონტარინი – ალექსანდრიიდან და პიეტრო ზენო – დამასკოდან,²³ დაადანაშაულა ისინი სეფიანებთან

¹⁴ *Die Chronik des Ibn Ijas*, 191; Yutaka Horii, *The Mamluk Sultan Qansuh al-Ghawri*, 189.

¹⁵ *Die Chronik des Ibn Ijas*, 192.

¹⁶ იქვე, 192.

¹⁷ იქვე, 192, 195.

¹⁸ იქვე, 195.

¹⁹ იქვე, 196.

²⁰ Schefer, "L'introduction au Le Voyage d'Outremer," *Le Voyage d'Outremer* (Paris, 1884), LVII.

²¹ *Die Chronik des Ibn Ijas*, 199.

²² Horii, *The Mamluk Sultan Qansuh al-Ghawri*, 189.

²³ თომასო კონტარინი ვენეციის წარჩინებულ საგვარეულოს ეკუთვნოდა, საიდანაც

კავშირში, დაემუქრა ჩამოხრჩობით და დააკავა საქმის შემდგომ გამოძიებამდე.²⁴

ამრიგად, 1510-1511 წლებში ეგვიპტის ურთიერთობა კათოლიკურ ევროპასთან უალრესად გამწვავდა და ასე გაგრძელდა 1512 წელსაც. კანსავე ალ-ღავრის რისხვა წმინდა მიწაზე დაემუქრა ქრისტიანული სამყაროს მთავარ სალოცავს – ალდგომის ეკლესიას, რომლის კომპლექსშიც შედიოდა ქრისტეს საფლავის სამლოცველო და გოლგოთა. ის დაიკეტა ქრისტიანი პილიგრიმებისთვის. დაარბიეს და დააპატიმრეს ფრანცისკელი ბერები, რომლებიც იერუსალიმში წარმოადგენდნენ კათოლიკურ ევროპას.

ასეთ ვითარებაში, 917 წლის 19 ჯუმადა I-ს/1511 წლის 14 აგვისტოს, ხუთშაბათს, მამლუქთა სატახტო ქალაქს ეწვია ქართველთა ელჩი. XVI საუკუნის ეგვიპტელი ისტორიკოსი იბნ იასი მოკლედ მოგვითხრობს, რომ ის კარგად მიიღო კანსავე ალ-ღავრიმ, პატივი მიაგო მას და წაიკითხა მის მიერ გადაცემული წერილი,²⁵ მაგრამ არ იუწყება, თუ რამდენი ხანი დაჰყო მან კაიროში და რა დავალება ჰქონდა მას. არც ის ჩანს, თუ რომელი ქართველი მეფისგან იყო იგი წარმოგზავნილი. სამწუხაროდ, ამის თაობაზე ქართული წყაროებიც დუმს.

ა. დარაჯი დაუსაბუთებლად წერს, რომ ელჩი კაიროში დარჩა ერთი წელი; რომ ქართველთა მეფემ ის სულთანთან გამოგზავნა თხოვნით, გაეუქმებინა 1493 წლის იერუსალიმის სასამართლოს დადგენილება, რომელიც უფლებას აძლევდა ფრანცისკელებს მხოლოდ ისინი ყოფილიყვნენ გოლგოთაზე.²⁶ მაგრამ თხოვნა, რომ მხოლოდ ქართველი ბერები ყოფილიყვნენ იქ, უშედეგო აღმოჩნდა, რადგან უფრო წარმატებული აღმოჩნდა ვენეციის ელჩი. შემდეგ, ამის თაობაზე, არაბი მკვლევარი იხსენიებს სასამართლოს 918 წლის რაბი' I-ში/1512 წლის ივნისში,²⁷ რომელიც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, აგვისტოში ჩატარდა და ის უკვე სხვა ქართველი ელჩის დროს მოხდა.

არაერთი დოჟი გამოვიდა. ამ საგვარეულოდან იყო ამბროზიო კონტარინი, ვენეციის ელჩი უზუნ ჰასანთან, რომელმაც იმოგზაურა საქართველოშიც და დაგვიტოვა ცნობები მის შესახებ: „იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში“, *მოამბე*, XI (1892), 45-61; პიეტრო ზენის, იმავე ზენოს (ან ძენოს), მამა იყო ცნობილი მოგზაური და დიპლომატი კატერინო ძენო. იხ. Setton, *The Papacy and the Levant*, 26, n. 147; ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში: XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა (თბილისი, 1981), 17-49; ლაიომ ტარდი, „უზუნ ჰასანის (1453-1478) ელჩი კატერინო ზენო საქართველოს გავლით უნგრეთის მეფე მატიაშთან (1458-1490)“, *ქართული დიპლომატია*, 11 (2004), 89-102.

²⁴ Hassanein Rabie, “Political Relations Between the Safavids of Persia and the Mamluks of Egypt and Syria in the Early Sixteenth century,” *Journal of the American Research Center in Egypt*, vol. XV (1978), 77.

²⁵ *Die Chronik des Ibn Ijas*, 234; დარაჯი, *ალ-მამალიქ ვა ლ-ფარანჯი*, 153.

²⁶ დარაჯი, *ალ-მამალიქ ვა ლ-ფარანჯი*, 153. აქვე დარაჯი გოლგოთას ურევს „ჯაბალ ას-სუ'უდში“, რაც ნიშნავს „ამაღლების მთას“ – ელეონს.

²⁷ იქვე, 154.

ფიქრობ, ქართველი ელჩი კაიროში მცირე ხნით დარჩა. ეს მცირე დროც კი საკმარისი იქნებოდა იმისთვის, რომ შეეტყო ეგვიპტის მამლუქთა და კათოლიკური ევროპის გამწვავებული ურთიერთობის ამბავი და, რა თქმა უნდა, წმინდა მიწაზე შექმნილი ვითარებაც. შეიტყობდა ფრანცისკელთა ორდენის ბერების – იმ დროს წმინდა მიწაზე ქართველთა მთავარი მეტოქეების – დარბევა-დაპატიმრებისა და, რაც მთავარია, აღდგომის ეკლესიის დახურვის ამბავსაც, რაც საშუალებას აღარ აძლევდა ქართველ პილიგრიმებს, იქ მოელოცათ. აღდგომის ტაძრის დახურვა მტკივნეული იყო იმიტომაც, რომ იქ მდებარეობდა ქრისტიანთა უმთავრესი სინამდვილე – გოლგოთა, რომელზედაც ქართველებს ჰქონდათ პრეტენზია. საქართველოში ამ შემაშფოთებელ ინფორმაციას სწორედ ეს ელჩი ჩაიტანდა და გაავრცელებდა.

10 თვის შემდეგ, 1512 წლის ივნისში, კაიროს კვლავ ეწვია ქართველთა მეფის ელჩი, რომლის მიღებაც სულთნის კარზე, უეჭველად მიუთითებს იმაზე, რომ ის სულ სხვა პიროვნება იყო. ამჯერად ქართველი ელჩის მიზანს წარმოადგენდა შექმნილ ვითარებაში ქართული სამონასტრო თემის პოზიციების გაძლიერება-განმტკიცება წმინდა ადგილებში. მაგრამ, მანამდე, წმინდა ადგილების დასახსნელად სრული ძალით ამოქმედდა ევროპული დიპლომატია.

კატალანის და საფრანგეთის კონსულმა ალექსანდრიაში ფილიპ დე პერეტზმა (Philippe de Peretz), რომელმაც კარგად იცოდა არაბული და თურქული და თარჯიმნის გარეშე პირისპირ ხვდებოდა ხოლმე კანსავე ალ-ლაფრის, დაარწმუნა სულთანი, რომ ერთადერთი მონარქი ევროპაში, რომელსაც შეეძლო დახმარება აღმოეჩინა მისთვის, იყო საფრანგეთის მეფე ლუი XII (1498-1515).²⁸ კანსავე ალ-ლაფრიმ ელჩი გაგზავნა საფრანგეთის მეფესთან, რათა მას ეშუამავლა როდოსის ჰოსპიტალიერებთან და სანაცვლოდ შესთავაზა ეგვიპტისა და სირიის პორტებში თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება საფრანგეთის ვაჭრებისთვის, აღდგომის ეკლესიის გახსნა და წმინდა მიწის მონახულების ნებართვა დასავლეთის პილიგრიმთათვის.²⁹

ლუი XII-მ ეგვიპტის სულთნის წინადადებაში დაინახა იმის შესაძლებლობა, რომ დაებრუნებინა უწინდელი რელიგიური როლი, რომელსაც საფრანგეთი თამაშობდა ჯვაროსნული ომების დროს წმინდა მიწაზე და ჩამოერთმია ვენეციისა და გენუისათვის დასავლეთის ქრისტიანთა დაცვის უფლება.³⁰ სულთნის წინა-

²⁸ ამას, საფრანგეთის სიძლიერის გარდა, განაპირობებდა ის მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ საფრანგეთის კარდინალი, მინისტრი და პირველი მრჩეველი ჟორჟ დ'ამბუაზი (გარდ. 25.V.1510) იყო ჰოსპიტალიერთა ორდენის დიდი მაგისტრის – ემერი დ'ამბუაზის (1503-1512) ძმა. მეფეს შეეძლო გავლენა მოეხდინა ჰოსპიტალიერებზე, რათა მათ დაებრუნებინათ აიასის ყურეში დაკავებული ეგვიპტური გემები და შეეწყვიტათ მეკობრეობა ზღვაზე მამლუქთა წინააღმდეგ. დარრაჯ, *ალ-მამალიქ ვა ლ-ფარანჯ*, 149.

²⁹ დარრაჯ, *ალ-მამალიქ ვა ლ-ფარანჯ*, 150.

³⁰ იქვე, 150.

დადებების განსახილველად ლუი XII-მ კანსავკ ალ-ღავრისთან ელჩად გაგზავნა თავისი ყოფილი მდივანი ანდრე ლე როი (André le Roy), რომელსაც თან ახლდა ჟან თენო (Jean Thenaud) – ანგულემის (დასავლეთი საფრანგეთი) ფრანცისკელთა მონასტრის მცველი, ანგულემის ჰერცოგის – შარლ დე ვალუას მეუღლის, ლუიზა სავოიელისა და მისი ვაჟის, ჰერცოგ ფრანსუა ანგულემელის, შემდეგში საფრანგეთის მეფის – ფრანსუა I-ის (1515-1547) პროტეჟე. სწორედ თენომ დაგვიტოვა ნაშრომი ეგვიპტეში, სინასა და პალესტინაში მოგზაურობის შესახებ, რომელიც გამოიცა პარიზში 1525-1530 წლებში. მისი მეცნიერული გამოცემა განახორციელა ჩ. შეფერმა 1884 წელს.³¹

ჟ. თენოს თანახმად, 29 თებერვალს ანდრე ლე როი ალექსანდრიაში იყო, 25 მარტს – კაიროში 50 მხლებელთან ერთად, ხოლო 28 მარტს, ორშაბათს³² იგი პირველად მიიღო სულთანმა. კანსავკ ალ-ღავრიმ ანდრე ლე როის დაავალა როდოსზე გამგზავრება ეგვიპტელთა გემებისა და ტყვეების დასაბრუნებლად, მაგრამ ელჩი უკან უშედეგოდ დაბრუნდა.³³ ამის გამო სულთანს იმედები გაუცრუვდა ლუი XII-ის მიმართ. მიუხედავად ამისა, სულთანი მაინც კარგად ეპყრობოდა საფრანგეთის ელჩს, რომელმაც კონსულ ფილიპ დე პერეტზის დახმარებით შეძლო განეახლებინა ზოგიერთი სავაჭრო და საეკლესიო გარანტიები და პრივილეგიები, რომლებიც კანსავკ ალ-ღავრიმ უბოძა ფრანგებსა და კატალონელებს 1507 წლის 23 აგვისტოს.³⁴ ლუი XII-ს სურდა ესარგებლა ანდრე ლე როის კაიროში ყოფნით და თენო იერუსალიმში გაეგზავნა წმინდა ადგილების მოსანახულებლად. მართლაც, ივლისის მინურულს თენო გაემგზავრა იერუსალიმს და შევიდა წმინდა ქალაქში აგვისტოს მესამე დეკადის დამდეგს.³⁵ ანგულემის ჰერცოგს, თავის მხრივ, უნდოდა, რომ თენო წასულიყო სპარსეთში, რათა შეეგროვებინა ზუსტი ინფორმაცია სეფიანთა შესახებ. საერთოდ, სპარსელთა დაპყრობითი ომები ქრისტიანი მონარქების ყურადღებას იქცევდა და ისინი სპარსელებში ხედავდნენ ოსმალთა მეტოქეს. თენოს სპარსეთიდან ინდოეთში გამგზავრებაც ევალებოდა,³⁶ მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს ვედარ მოახერხა.

როდესაც ცნობილი გახდა ვენეციელი კონსულებისა და ვაჭრების დაპატიმრების ამბავი, ვენეციის დოჟმა და სენატმა 1511 წლის 20 ივნისს პროტესტის წერილი გაუგზავნეს ეგვიპტის სულთანს, ხოლო 17 ნოემბერს ეგვიპტეში გასაგზავნად შეარჩიეს ელჩი დომენიკო ტრევიზანი (Domenico Trevisan),³⁷ სე-

³¹ “Le voyage et itineraire de Frere Jehan Thenaud,” *Le Voyage d’Outremer* (Paris, 1884), 1-145.

³² იქვე, 43. სინამდვილეში ორშაბათი იყო 29 მარტი და ამ თარიღს ასახელებს იბნ იასი. *Die Chronik des Ibn Ijas*, 255; *Journal d’un bourgeois du Caire. Chronique d’Ibn Iyas*, 237-38.

³³ დარრაჯ, *ალ-მამალიქ ვა ლ-ფარანჯ*, 150-51.

³⁴ Setton, *The Papacy and the Levant*, 28.

³⁵ “Le voyage et itineraire de Frere Jehan Thenaud,” 83, 93.

³⁶ Schefer, “L’introduction au Le Voyage d’Outremer,” LXIX.

³⁷ Setton, *The Papacy and the Levant*, 27.

ნატორი, რომელმაც თავი გამოიჩინა პოლიტიკური მოქნილობით და ვენეციის რესპუბლიკის მიერ ადრე დაკისრებული დავალებების წარმატებით შესრულებით. ამასთან, ვენეციელებმა თავიანთი აგენტების მეშვეობით შეიტყვეს ეგვიპტე-საფრანგეთის კონტაქტების შესახებ. გაჩნდა საფრთხე, რომ ისინი დაკარგავდნენ თავიანთ უფლებებს და პრივილეგიებს მამლუქთა სასულთნოსთან ვაჭრობაში და ამიტომ დააჩქარეს დომენიკო ტრევიზანის გამგზავრება ეგვიპტეში 1512 წლის 22 იანვარს. ზაკარია პაგანიმ ბელუნოდან, ტრევიზანის დელეგაციის წევრმა, აღწერა ტრევიზანის მოგზაურობა,³⁸ რომლის ფრანგული თარგმანი, თენოს ნაშრომთან ერთად, ასევე ჩ. შეფერმა გამოსცა.³⁹

დომენიკო ტრევიზანმა ალექსანდრიას მიაღწია 17 აპრილს, 7 მაისს შევიდა კაიროში ვენეციელ ვაჭართა და საკუთარი ამაღის – 50 მხედრის თანხლებით და დაბინავდა საუკეთესო უბანში, კაიროს ციტადელის (სადაც იყო სულთნის რეზიდენცია) მახლობლად. პირველ შეხვედრამდე, რომელიც ორშაბათს, 10 მაისს მოხდა, სულთანმა ტრევიზანს გაუგზავნა საკვები პროდუქტები და თავადაც მიიღო მისგან ძვირფასი ძღვენი.⁴⁰

იზნ იასის თანახმად, ხმა გავრცელდა, რომ ტრევიზანი კანსავჰ ალ-ღავრისთან მივიდა თხოვნით, რათა სულთანს გაეხსნა იერუსალიმის აღდგომის ეკლესია (კუმამა),⁴¹ რომელიც მან დააკეტებინა და რომლის მონახულებაც აუკრძალა ფრანკებს.⁴² მაგრამ ვენეციის ელჩის მისია მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. მას ევალებოდა, აღედგინა ვენეცია-ეგვიპტის გაციებული ურთიერთობები, დაედო სავაჭრო ხელშეკრულება, გაებათილებინა ბრალდება შაჰ ისმაილთან ვენეციის კავშირის თაობაზე და ეთხოვა სულთნისთვის, დაებრუნებინა ფრანცისკელი ბერები თავიანთ მონასტერში.

ტრევიზანს საიდუმლო დავალებაც ჰქონდა, მას სულთანთან უნდა განეხილა ვენეციის სურვილი, აღეკვეთა პორტუგალიელთა ნაოსნობა ინდოეთისკენ, რაც ზიანს აყენებდა ორივე მხარის საერთო ინტერესებს; იმ შემთხვევაში, თუ მამლუქთა სულთანი მოითხოვდა არტილერიის ხელოსნებს, ხომალდებს, ნიჩბებსა და სხვ., ვენეცია განიხილავდა ამ თხოვნას. მას უნდა დაერწმუნებინა ალ-ღავრი, მიეღო ოსმალთაგან დახმარება: არტილერია, ხე-ტყე, გემები და ყველაფერი, რაც აუცილებელი იყო პორტუგალიელთა წინააღმდეგ საბრძოლ-

³⁸ *Viaggio di Domenico Trevisan, ambasciatore veneto al gran Sultano del Cairo nell'anno 1512, descritto da Zaccaria Pagani di Belluno*, ed. N. Barozzi (Venice, 1875).

³⁹ “Le Voyage du magnifique et tres illustre chevalier et provurateur de Saint Marc Domenico Trevisan,” *Le Voyage d'Outremer* (Paris, 1884), 147-226.

⁴⁰ *Die Chronik des Ibn Ijas*, 266; *Journal d'un bourgeois du Caire. Chronique d'Ibn Iyas*, 249; Setton, *The Papacy and the Levant*, 30-31.

⁴¹ აღდგომა არაბულად არის კიამა. მაგრამ არაბები და, სერთოდ, მუსლიმები, აღდგომის ეკლესიას დამამცირებელ სახელს – კუმამას („ნაგავი“) უწოდებდნენ.

⁴² *Die Chronik des Ibn Ijas*, 259.

ველად და აეხსნა სულთნისთვის, რომ ვენეცია მხარს არ უჭერდა როდოსელთა მეკობრეობას.⁴³

ტრევიზანმა, რომელიც შვიდჯერ შეხვდა სულთანს, წარმატებით შეასრულა დაკისრებული მოვალეობები. მან დაარწმუნა სულთანი, რომ ვენეციას არ ჰქონდა კავშირი შაჰ-ისმაილთან⁴⁴ და რომ შეუძლებელი იყო დაებრუნებინა გემები და ტყვეები ჰოსპიტალიერთაგან. კანსავჰ ალ-ლავრიმ მიიღო ეს რეალობა და დაკმაყოფილდა ვენეციელი ვაჭრების დაბრუნებით ეგვიპტის ბაზრებზე. სავაჭრო ურთიერთობები ვენეციასთან აღდგა, რითაც სულთანი, რომელსაც ესაჭიროებოდა ფული, კმაყოფილი დარჩა. დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც, ვენეციამ შეინარჩუნა ყველა თავისი ადრინდელი პრივილეგია ეგვიპტესთან ვაჭრობაში და იკისრა, გამოეყო რამდენიმე გემი, რათა მეკობრეთაგან გაენმინდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნყლები.

ტრევიზანმა ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კანსავჰ ალ-ლავრიზე, რომელთანაც გამოსამშვიდობებელი შეხვედრა საოცრად თბილი იყო. სულთანმა მას ხელი გაუწოდა, რაც, საერთოდ, უჩვეულო იყო და გადასცა ვენეციის დაპატიმრებული კონსული დამასკოდან პიეტრო ზენო. ტრევიზანის ემოცია იყო იმდენად დიდი, რომ ის მუხლებში ჩაუვარდა სულთანს და ემთხვია მის ხალათს.⁴⁵

ტრევიზანის ელჩობის შედეგებში მნიშვნელოვანია წმინდა ადგილების საკითხი. სულთანმა ნება მისცა იერუსალიმის ფრანცისკელ ბერებს, დაბრუნებულიყვენ თავიანთ მონასტრებში, რაც მათ სწრაფად შეასრულეს. ვენეციელთა პილიგრიმების გაღერებს ახლა უკვე შეეძლოთ განეახლებინათ თავიანთი მოგზაურობა წმინდა მინაზე, და ხელახლა უნდა გახსნილიყო წმინდა საფლავის (აღდგომის) ეკლესია, რაზედაც სულთანმა საფრანგეთის ელჩს ადრე უარი უთხრა.⁴⁶

დომენიკო ტრევიზანმა 2 აგვისტოს დატოვა ეგვიპტე და, დამიეტას გავლით, 4 სექტემბერს მიაღწია კანდიას. ფრანცისკელებმა, ჩანს, იერუსალიმში დაბრუნების ნებართვა მიიღეს, არა უადრეს, ივლისის მიწურულისა და, არა უგვიანეს, აგვისტოს დამდეგისა. 15 აგვისტოს ფრანცისკელთა თემი უკვე მონაწილეობდა შარიათის სასამართლოს იმ დავაში, რომელიც ქართველებთან გოლგოთის გამო გაიმართა.

•

1512 წლის ივნისის თვეში, იმ დროს, როდესაც კაიროში იმყოფებოდნენ საფრანგეთისა და ვენეციის ელჩები, სულთანს აცნობეს, რომ მის კარზე მოდიოდნენ სეფიანთა და ქართველთა მეფის (*მალიქ*) ელჩები.⁴⁷

⁴³ Brummett, *Ottoman Seapower and Levantine Diplomacy*, 42-43.

⁴⁴ აჰმად დარრაჯ, *ალ-მამალიქ ვა ლ-ფარანჯ*, 152-53.

⁴⁵ Setton, *The Papacy and the Levant*, 33.

⁴⁶ Schefer, "L'introduction au Le Voyage d'Outremer," LXXXIII; Setton, *The Papacy and the Levant*, 32.

⁴⁷ *Die Chronik des Ibn Ijas*, 265.

სეფიანთა ელჩობას წინ უსწრებდა მწვავე უთანხმოება მამლუქებსა და სეფიანებს შორის.⁴⁸ მან კულმინაციას მიაღწია 1512 წლის ივნისის დამდეგს. 3 ივნისს სისის მამლუქმა გამგებელმა ეგვიპტის სულთანს გაუგზავნა 10 ნითელ-დოლბანდიანი სეფიანი მეომრის თავი, რომლებიც აოხრებდნენ მის სამფლობელოს. კანსავე ალ-ლავრიმ ბრძანა, რომ თავები შუბებზე ჩამოეცვათ და გამოეფინათ კაიროს ქუჩებში, შემდეგ კი ისინი ჩამოკიდა კაიროს კარიბჭეებზე: ბაბ ალ-ფუთუჰზე და ბაბ ან-ნასრზე. ეს ამბავი არასასიამოვნო იყო შაჰ ისმაილისთვის. მან ეგვიპტეში გაგზავნა 100-კაციანი დელეგაცია, რომელსაც გააყოლა თავრიზში ორი წლის მანძილზე დაკავებული კანსავე ალ-ლავრის ელჩი, მამლუქი ამირა თამურ-ბეი.⁴⁹

სეფიანთა და ქართველთა მეფის ელჩები, ჩანს, გზად შეხვდნენ ერთმანეთს და ერთდროულად შევიდნენ კაიროში.⁵⁰ მათი შეხვედრა, დაბინავება და თანხლება კანსავე ალ-ლავრიმ დაავალა მუჰთასიბ ზაინ ად-დინ ბარაქათ ბ. მუსასა.

ზ. პაგანი, რომელიც დომენიკო ტრევიზანს ახლდა კაიროში, მოგვითხრობს, რომ 25 ივნისს კაიროში შევიდა Georgian-ად წოდებული⁵¹ ქრისტიანი ხალხის მეფის ელჩი 20-მდე მხედრის თანხლებით. ელჩს ეცვა მოოქროვილი ფარჩის ტანსაცმელი და ეხურა პატარა ქუდი, რომელიც გარეშემო სიასამურის ბენვით იყო განწყობილი.⁵²

⁴⁸ Rabie, "Political Relations," 75-81, 76-79; W.W. Clifford, "Some Observation on the Course of Mamluk-Safavi Relations (1502-1516/908-922)," *Der Islam*, 70 (1983), 246-47, 256-65.

⁴⁹ *Die Chronik des Ibn Ijas*, 262; Rabie, "Political Relations," 79.

⁵⁰ "Le Voyage du magnifique et tres illustre chevalier et provurateur de Saint Marc Domenico Trevisan," 199-200; დ. გოჩოლეიშვილი, „საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს. I მეთხედში“, 50-58. მკვლევარი წერს: „სათანადო კონტექსტიდან ჩანს, რომ „საქართველოს მეფის“ ელჩი მივლინებული იყო სეფიანთა ირანის შაჰთან, იქიდან კი, შაჰის ელჩთან ერთად, მამლუქ სულტანს წარუდგა“. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ „სამწუხაროდ, იბნ იასის ცნობაში არ არის მითითებული, თუ რა კონკრეტული დავალებით იყო წარგზავნილი ეს ელჩი ეგვიპტეში, თუმცა ზოგადად ცხადია, რომ მისი იქ ყოფნა მახლობელი აღმოსავლეთის არსებული იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით იყო განპირობებული. ამასთანავე ნათელია, რომ ამ ცნობით კონკრეტულად ფიქსირდება და დასტურდება გარკვეული კავშირი საქართველოს, სეფიანთა ირანსა და მამლუქთა ეგვიპტეს შორის“. ეს მაშინ, როცა არაბი მემატინის თხზულება არ იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ ამ ორ ელჩობას შორის რაიმე კავშირი არსებობდა. და ბოლოს, მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართველთა მალიქში იგულისხმება სამცხე-საათაბაგოს ათაბაგი მზეჭაბუკი (გვ. 56), რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. არაბული ტექსტის თარგმანში არის სხვა, არაერთი უზუსტობაც, რომლებზეც ყურადღებას აღარ გავამახვილებ.“

⁵¹ "Le Voyage du magnifique et tres illustre chevalier et provurateur de Saint Marc Domenico Trevisan," 200.

⁵² ზ. პაგანის საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოზე. ის წერს, რომ „ქართველთა მეფის ელჩი და მისი მსლებლები მოვიდნენ შორეული ქვეყნიდან, რომელიც მდებარეობს სუფიების (სეფიანთა – გ.ჯ.) სახელმწიფოს გადაღმა, ინდოეთის მხარეს, სამოცი დღის სავალზე“. "Le Voyage du magnifique et tres illustre chevalier et provurateur de Saint Marc Domenico Trevisan," 200.

918 წლის 14 რაბი' II-ს/1512 წლის 29 ივნისს კანსაეჰ ალ-ღავრიმ ჯერ მიიღო სპარსეთის მეფის ელჩი, რომელმაც სულთანს გადასცა შაჰის შეურაცხმყოფელი და უხეში წერილი, რამაც ის გააცოფა. ჰ. რაბის თანახმად, შაჰი კიცხავდა სულთანს სეფიანი მეომრების თავების კაიროს ქუჩებში გამოფენის გამო და დასცინოდა კიდევ იმის გამო, რომ არ შეეძლო შებრძოლებოდა მას.⁵³ სეფიანთა ელჩობა კაიროში ერთ თვეზე ნაკლებ ხანს გაჩერდა და უკან დაბრუნდა კანსაეჰ ალ-ღავრის ასევე შეურაცხმყოფელი პასუხით.⁵⁴

როგორც იბნ იასი, ისე ზ. პაგანი აღნიშნავენ, რომ 29 ივნისს, სწორედ იმავე დღეს, როცა სულთანი შეხვდა სპარსეთის ელჩს, მან მიიღო ქართველთა მეფის ელჩიც.⁵⁵ იბნ იასი წერს, რომ ელჩმა სულთანს მიართვა

„დიდძალი საჩუქარი, მათ შორის სიასამურის, ფოცხვერისა და ციყვის ბენვები, შალის ქსოვილი და ამის გარდა, სხვა დიდძალი რამ“.⁵⁶

მამლუქებს განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდათ ბენვეულისკენ. ზამთრის თვეებში ისინი იცვამდნენ სიასამურის, ყარყუმის, კვერნის, თახვისა და ნაცრისფერი ციყვის ბენვებით განწყობილ ტანსაცმელს. ბენვეთ იყო დაფარული ის საპატიო ხალათები, რომლებითაც განსაკუთრებულ შემთხვევებში ასაჩუქრებდნენ ხოლმე სხვადასხვა პირს; ციყვისა და თახვის ბენვებით განწყობილ მოსასხამებს ატარებდნენ მამლუქთა სასულთნოს თეოლოგებიც.⁵⁷

ჩანს, ქართველმა ელჩმა კარგად იცოდა მამლუქთა სულთნის კარზე ბენვეულზე დიდი მოთხოვნილება. ძვირფასი საჩუქარი სულთნის კეთილგანწყობის მოპოვების ხერხი იყო, თუმცა, მის მიერ მირთმეული ძღვენი ვერ შეედრებოდა ფინანსურად შეუდარებლად ძლიერი საფრანგეთისა და ვენეციის ელჩების ანდრე ლე როისა და, განსაკუთრებით, დომენიკო ტრევიზანის საჩუქრებს.⁵⁸ ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ იბნ იასის ცნობა უნიკალურია იმ

⁵³ Rabie, “Political Relations,” 79.

⁵⁴ *Die Chronik des Ibn Iyas*, 262, 265, 271; Rabie, “Political Relations,” 79.

⁵⁵ *Die Chronik des Ibn Iyas*, 266;

⁵⁶ იქვე, 266; *Journal d'un bourgeois du Caire. Chronique d'Ibn Iyas*, 249.

⁵⁷ ე. აშტორი წერს, რომ მამლუქი გამგებლები, რომლებიც დიდად იყვნენ დაინტერესებული ბენვეულით, დაბალი ბაჭების დაწესებით ხელს უწყობდნენ მის იმპორტს. ის აღნიშნავს, რომ მამლუქები, თვით სულთანიც კი, ხშირად ძალით, უფულოდ ართმევდნენ იტალიელ ვაჭრებს ბენვეულს. Eliyahu Ashtor, *Levant Trade in the Later Middle Ages* (Princeton, 1983), 163-164.

⁵⁸ ანდრე ლე რომი სულთანს მიართვა ხელმწიფის შესაფერისი დიდძალი (ჰაფილა) საჩუქარი: მოოქროვილი მთის ბროლის ჭურჭელი, მაუდისა და ხავერდის ქსოვილი, ოქროქსოვილი აბრეშუმი, ოქროს მონეტები და სხვ. დომენიკო ტრევიზანის დიდძალი ძვირფასი საჩუქარი, რომელიც მიჰქონდა 100-მდე მტვირთავს, იყო: მთის ბროლის ჭურჭელი, 8 ოქროქსოვილის, 14 ხავერდისა და 26 ატლასის სამოსი, ორი დამასკური, აგრეთვე სხვა მრავალი აბრეშუმის ოქროქსოვილი, ალისფერი და მენამული ქსოვილები, აგრეთვე სიასამურის, ყარყუმის და მრავალი ციყვის ბენვი და 50 თავი პიაჩენცას ყველიც (მილანიდან 67 კმ-ზე მდებარე პიაჩენცაში დამზადებული ყველი დღესაც არის ამ ქალაქის სამზარეულოს ღირსშესანიშნაობა. იხ. “Culinary routes and Wine Trails in Piacenza.” <http://www.visitporiver.it/1/ENG/Emilia-Romagna/Piacenza/page/119/8/119/Romagna/Piacenza>

თვალსაზრისით, რომ გვიჩვენებს, თუ როგორი ხელდამშვენებულები მიდიოდნენ ქართველი ელჩები ეგვიპტის სულთნების კარზე.

იბნ იასი მოგვითხრობს, რომ 26 რაბი' I-ს/11 ივლისს სულთანმა საპატიო ხალათი უბოძა საფრანგეთის მეფის ელჩს და გამგზავრების ნება დართო. იმავე დღეს მან წვეულება გამართა ქართველთა მეფის ელჩის პატივსაცემად, ციტადელის ძირში იპოდრომის წყალსაცავთან,⁵⁹ მასაც უბოძა საპატიო ხალათი და ასევე ნება დართო გამგზავრებისა.⁶⁰ მაგრამ სულთნის მასპინძლობა კაიროში ამით არ დასრულებულა. ის კიდევ ერთ თვეზე მეტხანს გაგრძელდა.

არაბი მემატინის თანახმად, რაბი' II-ის თვის (16 ივნისი – 14 ივლისი) საოცარი ამბავი იყო ის, რომ კანსავჰ ალ-ღავრისთან შეიკრიბნენ 14-მდე ქვეყნის – მათ შორის ქართველთა – მეფის ელჩები და თითოეულს პირისპირ ჰქონდა შეხვედრა სულთანთან.⁶¹ 29 რაბი' II-ს/14 ივლისს, სამშაბათს, ელჩების პატივსაცემად, სულთანმა იპოდრომზე გამართა ცხენბურთი, რომელსაც ესწრებოდა ყველა ელჩი.⁶² მისი დასრულების შემდეგ სულთანი ავიდა სასახლის ეზოში და დაესწრო ხარებისა და ყორების შერკინებას. მერე მან გამართა დიდებული ნადიმი, რომელსაც ესწრებოდნენ ხელმძღვანელი ამირები და ელჩები. შუადღის ლოცვის შემდეგ კი საღამომდე მამლუქებმა მოაწყვეს შეჯიბრი შუბებით ვარჯიშში (რაც შედიოდა *ფურუსიას* – სამხედრო და ფიზიკური მომზადების კომპლექსში),⁶³ რითაც გაოცდნენ ელჩები.⁶⁴

Romagna/Piacenza/page/119/8/119/Itinerari-enogastronomici-e-Strade-del-Vino-a-Piacenza.html). ძვენი სულთანმა სათითაოდ დაათვალიერა და გამოხატა თავისი სიამოვნება და კმაყოფილება სენიორის (ვენეციის მთავრობის უმაღლესი ორგანოს) საჩუქრით. *Die Chronik des Ibn Iyas*, 257, 259; *Journal d'un bourgeois du Caire. Chronique d'Ibn Iyas*, 240, 242; Setton, *The Papacy and the Levant*, 31.

⁵⁹ ჩერქეზული წარმოშობის მამლუქი სულთნებიდან კანსავჰ ალ-ღავრი იყო პირველი, ვინც ააგო იპოდრომი ციტადელის ძირში. ის გარშემორტყმული იყო მაღალი კედლით. მის მარცხენა მხარეზე იყო დიდებული სასახლე, ტერასა (*მანზარა*) და წყალსაცავი (*ბაჰრა*). David Ayalon, "Notes on the Fursiyya Exercises and Games in the Mamluk Sultanate," *The Mamluk Military Society*, Collected Studies, Variorum Reprints (London, 1979), II, 43-44.

⁶⁰ *Die Chronik des Ibn Iyas*, 268; *Journal d'un bourgeois du Caire. Chronique d'Ibn Iyas*, 251.

⁶¹ *Die Chronik des Ibn Iyas*, 268.

⁶² იქვე, 269. ჯერ კიდევ სულთანმა ან-ნასირ მუჰამედმა (1294-1295, 1299-1309, 1309-1340) დაამკვიდრა მამლუქთა კარის სავალდებულო რიტუალად ცხენბურთი, რომელიც ეწყობოდა კვირაში ორჯერ, სამშაბათს და შაბათს. Karl Stowasser, "Manners and Customs at the Mamluk Court," *Muqarnas*, vol. 2 (1984), 19; მაგრამ კანსავჰ ალ-ღავრის დროს, ეს წესი ირღვეოდა და ცხენბურთი ეწყობოდა კვირაობითაც. *Die Chronik des Ibn Iyas*, 268.

⁶³ Ayalon, "Notes on the Fursiyya Exercises," 47-53.

⁶⁴ იბნ იასის ცნობები უაღრესად საინტერესოა მამლუქთა ეპოქის დიპლომატიური ეტიკეტის შესასწავლად. როგორც ვნახეთ, ეტიკეტი ითვალისწინებდა ელჩების მიღება-დაბინავებას, რასაც სულთნის ბრძანებით, მის მიერ დანიშნული მოხელე უზრუნველყოფდა. ასეთი მოხელე დაინიშნა სპარსეთის და კახეთის ელჩების მიღების დროს. მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ რომელ სახელმწიფოს წარმოადგენდა ელჩი. დომენიკო ტრევიზანი და მისი ამაღლა განათავსეს საუკეთესო უბანში, ციტადელის (სადაც იყო სულთნის რეზიდენცია) ახლოს, ხოლო ანდრე ლე როი – მისგან 2 მილზე – ბევრად უარეს სახლში, საიდანაც გამოსვლა ერიდებოდა და ბევრი მისი თანხლები დაბრუნდა ალექსანდრიაში. 1511 წელს სეფიანთა ელჩი

არაბი მემატიანე წერს, რომ „სასახლის ეზოში ეს იყო ღირსშესანიშნავი დღე“.⁶⁵ იბნ იასი, რომელიც აღწერს ქართველთა მეფის ელჩის მიღების დეტალებს, არაფერს ამბობს მის მიზნებზე. სამაგიეროდ, ზ. პაგანიმ დააფიქსირა კაიროში გავრცელებული ხმები:

„ამტკიცებენ, რომ ისინი (ქართველები) მოვიდნენ, რათა ეთხოვათ გახსნა ნმინდა საფლავის ეკლესიისა, რომელიც ორი წელი დახურული იყო და რომლის დროსაც მასში შესვლა არ შეეძლო არცერთ ქრისტიანს“.⁶⁶

თუ კაიროში გავრცელებული ხმები მართალი იყო, ქართველთა მეფის ელჩს, დომინიკო ტრევიზანის მსგავსად, საკმაოდ მნიშვნელოვანი დავალება ჰქონდა. ზემოთ აღინიშნა, რომ იბნ იასის ცნობით, აღდგომის ეკლესია დაიკეტა მხოლოდ ფრანკებისთვის, ზ. პაგანის თანახმად კი – ყველა ქრისტიანისთვის. ამ ქრისტიანთა შორის ქართველებიც იყვნენ და ქვემოთ ვნახავთ, რომ ქართველების, ისევე როგორც აღმოსავლეთის ქრისტიანების პილიგრიმოზა აღდგომის ეკლესიაში, სულთნის ბრძანებით, 8 თვის შემდეგ აღდგა.

ზ. პაგანის ინფორმაცია ძვირფასია, მაგრამ – არასრული. ქართველ ელჩს კიდევ სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი სათხოვარი ჰქონდა სულთანთან. ამას იუწყება ჰიჯრის 918 წლის 1 ჯუმადა I-ს/1512 წლის 15 ივლისს გაცემული სულთნის ბრძანებულება,⁶⁷ რომელიც ქართველი ელჩის შესახებ მოგვითხრობს.

კაიროში, ფაქტობრივად, იზოლირებული იყო ადგილობრივი მოსახლეობისგან. სად დააბინავეს ბენა ჩოლოყაშვილი, უცნობია. სულთნის სამსახური უზრუნველყოფდა ელჩებს საკვები პროდუქტებით. სულთანი ღებულობდა ელჩებს ციტადელში, ზოგჯერ სასახლის ეზოში, სადაც შეხვდა ქართველთა ელჩს 1511 წელს. ელჩი სულთანს გადასცემდა თავისი ხელმწიფის წერილს და ზეპირ ინფორმაციას, როგორც წესი, მიართმევდა სულთანს საჩუქრებს და სულთანიც მას, იშვიათად, მის ზოგიერთ მხლებელსაც, ასაჩუქრებდა ძვირფასი საპატიო ხალათით. ხალათი ორჯერ მიიღო ბენა ჩოლოყაშვილმა. ეტიკეტში შედიოდა, შესაძლოა, არა ყოველთვის, სულთნის ხალათის, ანდა მის წინაშე მიწის ან იატაკის კოცნა. ასე მოიქცნენ ანდრე ლე როი და მისი მხლებლები კანსავჰ ალ-ღავრისთან პირველ შეხვედრაზე და დომენიკო ტრევიზანი – კანსავჰ ალ-ღავრისთან ბოლო შეხვედრის დროს. სეფიანთა ელჩმა, რომელმაც 1512 წლის ივნისში სულთანს გადასცა შაჰის ცუდ ტონში დანერილი წერილი, ამავე დროს მიართვა მას დიდძალი საჩუქარი და აკოცა მიწას მის წინაშე. ელჩების (მათ შორის ბენა ჩოლოყაშვილის) პატივსაცემად იმართებოდა ნადიმი, ცხენბურთი და მამლუქთა სხვადასხვა სახის შეჯიბრი-ვარჯიში, რაც ფურუსიას შემადგენელ ნაწილი იყო. სულთანი უფლებას აძლევდა ელჩებს, გამგზავრებულიყვნენ სამშობლოში, ხოლო ქრისტიანებს, სურვილის შემთხვევაში, მოენახულებინათ თავიანთი სიმშინდეები სინას მთაზე და იერუსალიმში. *Die Chronik des Ibn Ijas*, 234, 255, 265, 268; Rabie, “Political Relations,” 78; Setton, *The Papacy and the Levant*, 28, 30-31, 33; *Die Chronik des Ibn Ijas*, 268; *Journal d'un bourgeois du Caire. Chronique d'Ibn Iyas*, 251.

⁶⁵ *Die Chronik des Ibn Ijas*, 268; *Journal d'un bourgeois du Caire. Chronique d'Ibn Iyas*, 252; Andre Raymond, *Cairo: City of History* (Cairo, 2000), 181-82.

⁶⁶ “Le Voyage du magnifique et tres illustre chevalier et provurateur de Saint Marc Domenico Trevisan,” 201.

⁶⁷ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, № VII.B.1.5.

ა. ცელიკა მას ათარილებს 710/1310 წლით,⁶⁸ რაც გამორიცხულია, ვინაიდან მასში მოხსენიებულია სულთან კაით-ბეის (1468-1496) ბრძანებულებები და, რაც მთავარია, ელჩის სახელი – ბინა ბიქ (ბეგი) (სტრ. 19). 1512-1514 წლების სხვა არაბულ დოკუმენტებში, რომლებიც ქვემოთაა მოტანილი, ქართველი ელჩის სახელი უფრო სრულადაა: ბინა ბიქ და ბინა ბიქ იბნ შულუკა, ან შულაკა ბიქ.⁶⁹ სახელი ბინა იგივე ბენაა, ხოლო იბნ შულუკა/შულაკა შეესაბამება ჩოლაყას-შვილს (ასე ასახელებს ბენა თავის გვარს). ამრიგად, ქართველთა მეფის ელჩია ბენა ჩოლოყაშვილი, კახეთის მეფის ავგიორგის სახლთუხუცესი, რომელიც ჯვრის მამად გაიგზავნა იერუსალიმში⁷⁰ და რომლის შესახებაც ზემოთ უკვე გვექონდა საუბარი.

1512 წლის 15 ივლისის ბრძანებულება არასრულია (სულ 53 სტრიქონი), აკლია სანყისი სტრიქონები. ნაკლები შესავალი ნაწილიდან მოულოდნელად ირკვევა, რომ ეგვიპტის სულთანს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ქართველთა მეფესთან, რომლის ვინაობა არ იხსენიება და იგულისხმება კახეთის მეფე ავგიორგი. მეფეს სულთნისთვის თავისი ელჩის ბენა ჩოლოყაშვილის (ბინა ბიქ) ხელით გაუგზავნია წერილი, რომელშიც ახსენებდა მას, რომ

– თანახმად წინამორბედი მამლუქი სულთნებისგან მიღებული სამეფო ბრძანებულებებისა, არ ყოფილა წესად, ვინმეს შეენუხებინა ქართველთა მონასტერი (რომელშიც, უეჭველია, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი იგულისხმება), მისი კუთვნილი ეკლესიები, მათი მიწები და ბალები (სტრ. 2-3).

– ხსენებული მონასტრის გამო, მეფის ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმებს არავინ ანუხებდა მეჩეთებში, სადაც ისინი ლოცულობდნენ და თავყვანს სცემდნენ ღმერთს (სტრ. 7), ხოლო მუსლიმთათვის დაინერა ბრძანებულება, რომ არვის აელო მათგან რაიმე უკანონოდ, არ შეენუხებინათ ისინი და მთლიანად გაეთავისუფლებინათ გამოსაღებებისგან (სტრ. 8-10).

მიუხედავად ამისა, ატყობინებდა მეფე სულთანს, მაცნობეს, რომ წმინდა იერუსალიმში ამ მონასტრისა და მისი კუთვნილი ეკლესიების მცხოვრებთა ანუხებენო. ამის გამო ის სთხოვდა სულთანს, გამოეცა ბრძანება, რომ

– ეზრუნათ მათზე, ვინც ცხოვრობდა მონასტერსა და მის კუთვნილ ეკლესიებში.

– არავის შეენუხებინა ისინი მათი მიწების, ბალებისა და სამონასტრო ქო-

⁶⁸ Τσελικა, *Καταγραφή*, 396.

⁶⁹ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, №VII.B. 2.59, სტრ. 5, 13 და იერუსალიმის ფრანცისკელთა არქივი, Castellani, *Catalogo dei Firmani*, №78, სტრ. 29. ვინაიდან არაბულ ტექსტში დიაკრიტიული ნიშნები არ არის, შესაძლებელია ორივე წაკითხვა. ქართულ „ჩინ“-ს, რომელიც არაბულში არ არის, ცვლის „შინ“.

⁷⁰ ბენა ჩოლოყაშვილი თავად წერს (იხ. შენ. 1), თუ როდის მიაღწია იერუსალიმს. ეს მოხდა 1512 წელს, სადაც ჩავიდა კაიროდან. ამდენად, წმინდა მიწაზე მისი მოღვაწეობა დაიწყო 1512 და არა 1511 წელს, როგორც ეს ზოგჯერ გვხვდება ქართველ მკვლევართა შრომებში.

ნების (ავკაფ)⁷¹ გამო – შესაბამისად სულთნის ძველი ბრძანებულებისა, რომელიც მეფემ გამოატანა თავის ელჩს (სტრ. 14-17).

მეფეს იმედი ჰქონდა და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ მის თხოვნას შეისმენდნენ და დააკმაყოფილებდნენ.

მართლაც, კანსავჰ ალ-ლავრიმ ბრძანა, რომ იერუსალიმის მოსამართლეებისა და ისლამის საქმეთა გამგეთათვის გაეგზავნათ სულთნის ბრძანებულება (ალ-მარსუმ აშ-შარიფ), რათა მათ

– ეზრუნათ ხსენებულ მონასტერზე და ქართველთა რელიგიური თემის კუთვნილ ეკლესიებზე, იქ მათ წარმომადგენლებზე და მათ სამონასტრო ქონებაზე (ავკაფ). პატივი ეცათ მათთვის და გაენიათ მფარველობა (სტრ. 23-25);

– ბადრაგებს (ალ-ხუფარა¹) და უდაბნოთა მეთვალყურეებს (არბაბ ალ-იდრაქ) არ შეენუხებინათ ქართველთა რელიგიური ჯგუფები და წმინდა მიწაზე მოსული პილიგრიმები გზებზე, არ მიეყენებინათ მათთვის ვნება და ზიანი, არ შეექმნათ სიძნელეები და ძველი წესის თანახმად, არ დაეკისრებინათ მათთვის ერთი ზედმეტი დირჰამიც კი (სტრ. 27-30);

– მოპყრობოდნენ მათ პატივისცემით და გაენიათ მფარველობა, რომ არავის, მოსამართლეებსა და დანარჩენ ხალხს (ალ-ჯუნუს), არ შეენუხებინა ქართველთა კუთვნილი ადგილები, მათი მონასტრები (სტრ. 31-32);

– მოჰქცეოდნენ ყველაფერში, რაც უკავშირდებოდა მათ, იქნებოდა ეს წყალი და სხვა რამ, შესაბამისად არსებული წესისა, როგორც ეს იყო სულთან აშრაფ კაითბაის და წინამორბედ მეფეთა დროიდან – უკანასკნელ დღეებამდე (სტრ. 33-34).

ელჩს ებრძანა თავის მეფესთან დაბრუნება. სულთანი გამოთქვამდა სურვილს, რომ ქართველთა მეფეს გაეგრძელებინა მასთან სიყვარული და გულწრფელი მეგობრობა, ეცნობებინა თავისი ამბები, სიახლეები და მიზნები. წერილობითი პასუხი მეფესთან მან გაატანა ელჩს (სტრ. 43-45), რომელსაც აგრეთვე ნება დაერთო, იერუსალიმს მოსალოცად გამგზავრებულიყო. სულთანი ბრძანებდა, რომ ქართველთა ელჩს, რომელიც დახასიათებულია როგორც უალრე-

⁷¹ არაბ. ვაკფ, მრ. ავკაფ, მუსლიმური სამართლით, არის ქონება, რომელზედაც სახელმწიფო, ან კერძო პირი ამბობს უარს და გასცემს რელიგიური ანდა საქველმოქმედო მიზნებისთვის. ვაკფის გასხვისება არ შეიძლება. აქ და ქვემოთ ამ სიტყვას მე ვთარგმნი სამონასტრო ქონებად. შეწირულობები ეკლესია-მონასტრებისადმი იყო ის ტრადიცია, რომელიც დამკვიდრდა იერუსალიმში ბიზანტიელთა ბატონობის დროიდან. ქართველთა ეკლესია-მონასტრებისთვის ასეთი ქონება შეიძლებოდა ყოფილიყო ქართული სახელმწიფოს და კერძო პირების შემწირულობებიც. ვაკფის ერთი ადრეული მთავარი მუსლიმური სახელმძღვანელო დასაშვებად მიიჩნევს ქრისტიანის მიერ თავისი სახლის ან მიწის ვაკფად შეწირვას, თუ შემოსავალი მისგან გამოიყენებოდა იერუსალიმში რემონტისთვის, ლამპრებისთვის ზეთის საყიდლად და სხვ. Moshe Gil, "Dhimmi Donations and Foundations for Jerusalem (638-1099)," *Journal of the Economic and Social History of the Orient*, vol. XXVII, part II (1984), 156-57. ვაკფებიდან მიღებულ შემოსავალს ქართული სამონასტრო თემის ხელმძღვანელობა იყენებდა ქართული სავანეების, ბერ-მონაზვნებისა და პილიგრიმების საჭიროებებისათვის.

სად მორიდებული და ღირსეული ადამიანი (სტრ. 39), მოპყრობოდნენ შესაფერისი პატივისცემით (სტრ. 21).

მიუხედავად იმისა, რომ ბენა ჩოლოყაშვილმა გამგზავრების ნებართვა მიიღო, ის ერთხანს კიდევ დარჩა კაიროში. 10 ჯუმადა I-ს, შაბათს/24 ივლისს სულთანმა მას კვლავ უბოძა საპატიო ხალათი და ხელახლა დართო ნება თავის ქვეყანაში გამგზავრებისა.⁷² მაგრამ სამშობლომდე წინ ჯერ იერუსალიმი იყო. ბენა ჩოლოყაშვილმა თავისი დავალების ნაწილი წარმატებით გადაჭრა, მაგრამ ავგიორგის წერილი შეიცავდა სხვა თხოვნებსაც, რომლებიც ზემოგანხილულ ნაკლებ ბრძანებულებაში არ აისახა. იერუსალიმში მოსაგვარებელი იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა. ამას სხვა არაბული დოკუმენტი იუნყება.

11 ჯუმადა I-ს/1512 წლის 25 ივლისს სულთანმა გამოსცა ახალი ბრძანებულება, რომელიც გაეგზავნა იერუსალიმში მის ნა'იბს (ნაცვალს), ორი წმინდა ადგილის (კლდის გუმბათის, ანუ ას-სახრას და ალ-აკსას მქრეთების) ზედამხედველს, ხებრონისა (არაბ. ალ-ხალილ) და ქრაქის გამგებელს – ამირა საიფ ად-დინ იუსუფ ალ-აშრაფის. შინაარსი ამ ბრძანებულებისა, რომელიც ცალკე ვერ მოვიპოვე, შეტანილია იერუსალიმის ფრანცისკელთა არქივში დაცულ 918 წლის 2 ჯუმადა II-ის/ ე.ი 1512 წლის 15 აგვისტოს დოკუმენტში (სულ 66 სტრიქონი).⁷³ მასში შედის პრეამბულა (2-24) და სულთნის ბრძანებით ჩატარებული მოკვლევის საფუძველზე დაწერილი შარიათის სასამართლოს ოქმი (სტრ. 25-66).

მოკვლევა შედგა მას შემდეგ, რაც ბენა ჩოლოყაშვილი იერუსალიმში ჩავიდა. დოკუმენტის პრეამბულაში წერია, რომ სულთნის კარზე მოვიდა „მისი უმაღლესობა, პატივცემული, საპატიო, პატივსაცემი, თავმდაბალი“ ქართველთა მეფის ელჩი. მან სულთანს გადასცა მეფის წერილი, რომელშიც იყო რამდენიმე თხოვნა, დასახელებული წინა დოკუმენტში – 1512 წლის 15 ივლისის ბრძანებულებაში. ფრანცისკელთა დოკუმენტში უკვე პირდაპირ აღნიშნულია, რომ ქართველთა ელჩის მიერ გადაცემულ წერილში იყო თხოვნა, რომ სულთანს გამოეცა „სამეფო ბრძანებულება ჯვრის მონასტერზე და მასში მცხოვრებ ჯამაათსა და მათ ეკლესიებზე ზრუნვის თაობაზე“ (სტრ. 7). დამატებით არის თხოვნა, რომ ქართველებს შეეკეთებინათ და აღედგინათ დანგრეული ეკლესია (სტრ. 8), რომლის სახელი არ იხსენიება.

სულთანი უბრძანებდა თავის ნა'იბს (ნაცვალს), რომ

– გამოეჩინა „სრული ზრუნვა ქართველთა ელჩზე“, მის ჯამაათზე და ამაღაზე, პატივი ეცა და მფარველობა გაეწია მათთვის, აღმოეფხვრა ის მიზეზები, რომელთაც მოჰქონდათ ვნება და ზიანი მათთვის, მათი მონასტრის,

⁷² *Die Chronik des Ibn Ijas*, 273.

⁷³ Castellani, *Catalogo dei Firmani*, №83. აქ დოკუმენტის თარიღი არასწორადაა განსაზღვრული: არის 919 წლის 15 ჯუმადა II/1513 წლის 18 აგვისტო, 918 წლის 2 ჯუმადა II-ის/1512 წლის 15 აგვისტოს ნაცვლად.

მისი ვაკუფების (სამონასტრო ქონების), მისი პილიგრიმებისა და ზვრების-თვის (სტრ. 19-20);

– არავის ჰქონდა უფლება, შეენუხებინა ისინი და მათ უნდა მოჰქცეოდნენ არსებული წესის თანახმად; ეკრძალებოდა ნებისმიერს მათი შენუხება, მათთვის ვნების ან ზიანის მიყენება და სიძნელეების შექმნა, რაიმე სიახლის შემოტანა და შევიწროების განახლება (სტრ. 20-21).

სულთანი თავის ნა'იბს ახსენებდა, რომ

– ჭეშმარიტად, ჩვენს სამეფო სადგომსა და ხსენებულ ქართველთა მეფეს შორის არის სიყვარული და მიმონერა, ხოლო მის ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმები სარგებლობენ უაღრესი პატივისცემით (სტრ. 21-22);

– ამის გამო ჩვენც პატივს მივაგებთ ქართველებს. ისე, რომ ხსენებული მონასტერი, მისი სამონასტრო ქონება, ზვრები და რაც მას ეკუთვნის, უაღრესად დაცულია და იმყოფება ჩემი მფარველობის ქვეშ (სტრ. 22-23);

– ჯამაათი, რომელიც მონასტერში ცხოვრობს, იქ მომსვლელები და მისი პილიგრიმები, ასევე არიან პატივგებულნი, მფარველობის ქვეშ; „მათ ექცევიან სრული კეთილგანწყობით. ისინი არიან ჩვენი სამეფო უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ“ (სტრ. 23).

უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ეგვიპტის სულთანი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მუსლიმთა კარგ მდგომარეობას ქართველი მეფის სამფლობელოში, რაც შემთხვევითი არ იყო. მიუხედავად ისლამურ აღმოსავლეთთან უწყვეტი სავაჭრო ურთიერთობებისა, იმდროინდელ კათოლიკურ ევროპაში ისლამისა და მუსლიმთა მიმართ მტრული განწყობა სუფევდა. ესპანეთში მუსლიმთა უკანასკნელი საყრდენის – გრენადას დაცემის (1492 წ.) შემდეგ, რელიგიური რჯულშემწყნარებლობა მალე შეცვალა მუსლიმთა დევნა-შევიწროებამ. 1502 წელს გრენადის მუსლიმებს შესთავაზეს მონათვლა ან გასახლება.⁷⁴ მუსლიმთა განსხვავებული მდგომარეობა კახეთის სამეფოში იყო იმის საფუძველი, რომ მსგავსი პატივი მიეგოთ ქართველებს-თვის პალესტინაში. ნაცვალგების პრინციპი უბიძგებდა სულთანს, შეესრულებინა ქართველი მეფის თხოვნა, რომლის განხორციელებაც სავალდებულო იყო სულთნის ქვეშევრდომთათვის: დაეცვა ქართველთა მონასტრები, მათი ქონება, მრევლი და პილიგრიმები.

ბუტრუს აბუ მანე, ხაიფელი (ისრაელი) მკვლევარი, წერდა:

„ეგვიპტის სულთანი, ისევე როგორც მისი წინამორბედები, პრეტენზიას აცხადებდნენ განსაკუთრებულ სტატუსზე მუსლიმ გამგებელთა შორის იმის გამო, რომ ისინი კონტროლს უწევდნენ მუსლიმთა ყველაზე წმინდა ადგილებს – მექასა და მედინას, პრაქტიკულად გამოდიოდნენ ყველა მუსლიმის მფარველად და ამდენად, დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ ქრისტიანულ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა ბედითაც. ქართვე-

⁷⁴ У. М. Уотт, П. Какиа, *Мусульманская Испания* (Москва, 1976), 145-46.

ლებმა, რომლებსაც კარგად ესმოდათ ეს და რომლებიც, თავის მხრივ, ატარებდნენ მუსლიმთა მიმართ რჯულშემწყნარებლურ პოლიტიკას თავიანთ ქვეყანაში, გადანყვიტეს ესარგებლათ ამით, რათა დაეცვათ საკუთარი თემი იერუსალიმსა და პალესტინაში და გაეფართოებინათ მათი იმუნიტეტი“.⁷⁵

რჯულშემწყნარებლური პოლიტიკა მუსლიმთა მიმართ, რომელიც დაამკვიდრა დავით IV აღმაშენებელმა 1122 წელს, მოქმედებდა მეფის მემკვიდრეების დროსაც.⁷⁶ მისი შენარჩუნება, ჩანს, წარმოადგენდა აუცილებელ პირობას საქართველოს ყველა ქართველი მეფე-მთავრისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ქართული სინმინდებების მოვლა-პატრონობით წმინდა მიწაზე. საამისო მაგალითები საკმარისად გვაქვს.

იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის მუსლიმთა ტყვეობიდან დახსნის ერთ-ერთი პირობა, რომელიც ეგვიპტის სულთანმა ან-ნასირ მუჰამედმა წაუყენა კონსტანტინე დავითის ძეს 1310 წელს, იყო ის, რომ

„ეზრუნა მისი სამეფოს მიწებზე მცხოვრებ მუსლიმებზე, მფარველობა გაენია მათთვის, დაეცვა ისინი ზიანისგან და დახმარებოდა მათ, შეესრულებინათ თავიანთი რელიგიური მოვალეობები“.⁷⁷

სულთანი ჯაკმაკი ქართველი მეფისადმი 844 წლის 1 რაბი' II-ს/1440 წლის 30 აგვისტოს გაგზავნილ წერილში კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „მუსლიმებს მის ქვეყანაში ჩვენი სამეფო მართლმსაჯულების [პატივისცემისა] და მისი [მეფის] ზრუნვის გამო, კარგად ეპყრობიან. მან აღმართა მინარეთები ისლამისა მათ საკრებულო მეჩეთებში, მეჩეთებსა და სამლოცველოებში“ (სტრ. 15-17).

ბ. აბუ მანეს თანახმად, ეს მეფე, შესაძლოა, არის ალექსანდრე (1412-1443) და მეც ასე ვფიქრობდი,⁷⁸ მაგრამ მოგვიანებით, ჯაკმაკის წერილის არაბული ტექსტის გაცნობამ მიჩვენა, რომ ადრესატი, „ქურჯთა მეფე“, არის სამცხის ათაბაგი ივანე (სტრ. 4).⁷⁹ კიდევ ერთ დოკუმენტში – ბრძანებულებაში, რომელიც სულთანმა ჯაკმაკმა 846 წლის 7 რაბი' I-ს/1442 წლის 16 ივლისს გაუგზავნა ახალ-

⁷⁵ Butrus Abu Manneh, “The Georgians in Jerusalem in the Mamluk Period,” in *Egypt and Palestine. A Millennium of Association (868-1948)*, ed. by A. Cohen and G. Baer (New York, 1984), 102-112, 108, 109; გოჩა ჯაფარიძე, „დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით“, *ქართული დიპლომატია*, 1 (1994), 210-11.

⁷⁶ გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), 234-56.

⁷⁷ გოჩა ჯაფარიძე, „როდის დაუბრუნეს ქართველებს მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტერი?“, *შოთა მესხია 90, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი* (თბილისი, 2006), 289-306, 294, 296.

⁷⁸ Abu Manneh, “The Georgians in Jerusalem,” 110; ჯაფარიძე, „დიპლომატიური კონტაქტები“, 212, შენ. 3.

⁷⁹ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, №VII.B.1.7.

ციხის ყველა მუსლიმს,⁸⁰ ნათქვამია, რომ ახალციხის გამგებელი ივანე „დიდი პატივისცემით ეპყრობა მუსლიმებს, პატივს სცემს მათ მეჩეთებს და დიდ ყურადღებას აქცევს მათი რელიგიური წესების შესრულებას“ (სტრ. 12-13).

მუსლიმთა მიმართ რჯულშემნარებლური პოლიტიკა, ზემომოტანილი დოკუმენტებით, კახეთშიც დასტურდება.

1512 წლის 15 აგვისტოს დოკუმენტში მოხსენიებულ ბრძანებულებაში უაღრესად მნიშვნელოვანია სხვა საკითხებიც. მასში აღნიშნულია, რომ სომხებმა დაისაკუთრეს წმინდა იაკობის მონასტერი, რომელიც ძველი დროიდან ქართველებს ეკუთვნოდა (სტრ. 9-10); გარდა ამისა, ფრანკებმა (ფრანცისკელებმა) კუმამაში (აღდგომის ეკლესია), გოლგოთაზე, ქართველთა სამლოცველოში, განაახლეს საკურთხეველი, სადაც ასრულებენ ღვთისმსახურებას. ნათქვამია, რომ ქართველთა მეფე ითხოვდა, ერთი მხრივ, სომხებს ხელი აეღოთ ხსენებულ წმ. იაკობის მონასტერზე და ის, ძველი წესისამებრ, დაბრუნებოდა ქართველებს, ხოლო, მეორე მხრივ, მოშლილიყო ფრანკების მიერ განაახლებული საკურთხეველი ქართველთა სამლოცველოში, გოლგოთაზე (სტრ. 10-12).

სულთანი ბრძანებდა, რომ პირადად მის ნა'იბს, იერუსალიმის ყადიების (მოსამართლეების), შეიხების, წარჩინებულებისა და უზუცესების თანდასწრებით, გამოეკვლია ეს საკითხები ანგარების გარეშე და ქართველთა პრეტენზიები, თუ ისინი მართებული იყო, დაეკმაყოფილებინა (სტრ. 12-15). მოკვლევის საფუძველზე უნდა დაენერათ შარიათის ოქმი – ნა'იბის, ყადიებისა და სასამართლოს სხდომის დამსწრეთა ხელმოწერით და გაეგზავნათ სულთანთან, ხოლო ქართველთა ელჩისთვის ნება უნდა დაერთოთ, აღედგინა ის, რაც დაინგრა მათი მონასტრიდან, რაიმე სიახლის შეტანის გარეშე (სტრ. 15-17).

სულთანი ატყობინებდა თავის ნა'იბს, რომ ელჩი გაემგზავრა იერუსალიმს ამ მიზნით და მოსალოცად მას შემდეგ, რაც შემოსეს ძვირფასი ხალათით და კიდევ ერთხელ ბრძანებდა, გამოეჩინათ ზრუნვა ელჩის, მისი ამაღლისა და მისი თემის მიმართ; მოითხოვდა, რომ აღმოეფხვრათ მიზეზები, რომელთაც ვნება და ზიანი მოჰქონდათ ქართველთა მონასტრის, სამონასტრო ქონების, პილიგრიმებისა და ზვრებისთვის; ქართველების შენუხება-შევიწროება ყველას ეკრძალებოდა (სტრ. 17-20).

სულთნის ბრძანებულება, უეჭველია, იმედს უნერგავდა ბენა ჩოლოყაშვილს, რომ წარმატებით გადაჭრიდა თავის პრობლემებს. მაგრამ საამისოდ ის უნდა დაპირისპირებოდა სომხურ საპატრიარქოს,⁸¹ რომელმაც მანამდე, სულთნის დადგენილებით, ქართველებს დაუბრუნა გოლგოთა (იხ. ქვემოთ) და ფრანცისკელებს, რომლებიც სიონის მთიდან მეთოდურად იმაგრებდნენ თავიანთ

⁸⁰ იქვე, №VII.B.2.30.

⁸¹ იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს ისტორიის საკითხები განხილულია ა. სანჯიანის შრომებში, რომლებიც დასახელებულია წინამდებარე სტატიაში.

პოზიციებს იერუსალიმსა (აღდგომის ეკლესიაში) და პალესტინის სხვა წმინდა ადგილებში. იმ დროისთვის ისინი უკვე ფლობდნენ გოლგოთის ნაწილსაც. ძნელი სათქმელია, იცოდა თუ არა ბენა ჩოლოყაშვილმა ის, რომ ბრძანებულების გაცემის დროს – 25 ივლისს, დომენიკო ტრევიზანის მოლაპარაკებები სულთანთან წარმატებით მიმდინარეობდა და ასევე წარმატებით დასრულდა. როგორც ზემოთ ითქვა, დაკავებულ ფრანცისკელთა საკითხიც მათთვის სასარგებლოდ გადაიჭრა და ისინი გაათავისუფლეს არაუადრეს ივლისის მიწურულისა, ანდა არაუგვიანეს აგვისტოს დამდეგისა.

ფრანცისკელთა არქივის ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სულთნის ბრძანებულება მისმა ნაცვალმა ამირების მეფემ (*მალქ ალ-უმარა*) საიფ აღდინმა მიიღო „სმენით და მორჩილებით“, აკოცა მას და შეუდგა მის განხორციელებას. მან შეკრიბა ის პირები, იერუსალიმის ყადიები და შეიხები, რომლებსაც ხელი უნდა მოეწერათ ოქმისთვის, მოვიდა დიდებულთა კრებული და მდაბიოთა ჯგუფიც. ისინი გაემართნენ სომეხთა წმ. იაკობის ეკლესიისკენ, სადაც შეიყარა სომეხ და ქართველ ქრისტიანთა კრებული, ქართველთა მეფის ელჩის – ბენა ჩოლოყაშვილის თანდასწრებით (სტრ. 25-26) და დაიწყო მოკვლევა.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ სომეხთა მონასტრად ცნობილი წმ. იაკობის მონასტერი მდებარეობდა იერუსალიმის გარეთ (*ზაჰირ ალ-კუდს*) (სტრ. 26-27). მე მიმაჩნია, რომ საქმე ეხება იერუსალიმის ცენტრიდან (აღდგომის ეკლესიიდან) მოშორებით მდებარე წმ. იაკობ ზებედეშ ძის მონასტერს, დღეს სომხურ საკათედრო ტაძარს, შუა საუკუნეების სიონის მთის, ამჟამად სომხეთის საპატრიარქოს ქუჩაზე, დაახლოებით შუა გზაზე ციტადელიდან – ქალაქის სამხრეთი კედლისაკენ.⁸² ეს არ არის მთლად იერუსალიმის, ანუ მისი გალავნის გარეთ, მაგრამ ნამდვილად არ იგულისხმება მონასტერი აღდგომის ეკლესიის ეზოში.⁸³

ლიტერატურაში, მათ შორის, სომეხი ავტორების (ა. კ. სანჯიანი, ვ. აზარია) შრომებშიც, ხშირად შევხვდებით მითითებას, რომ წმ. იაკობის ეს მონასტერი, თავდაპირველად, ეკუთვნოდათ ქართველებს.⁸⁴ წმ. იოანე ოქროპირის „მარ-

⁸² Denys Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem, A Corpus*, vol. III, *The City of Jerusalem* (Cambridge, 2007), 172.

⁸³ ლელა ჯეჯელავა, „წმინდა იაკობის ქართული მონასტერი იერუსალიმში“, კრ. *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები* (თბილისი, 1991), 266-282; ვლადიმერ კეკელია, „სომხური წყაროები იერუსალიმში მათი სამონასტრო მშენებლობის შესახებ“, *შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები*, VI (2002), 143-152, 150; მისივე, „იაკობის მონასტრის საკითხი და ჯვაროსანთა ურთიერთობა ქართულ-სომხურ კოლონიებთან იერუსალიმის წმინდა მიწაზე XII საუკუნეში“, *ქართული დიპლომატია*, 11 (თბილისი, 2001), 62-88; ელდარ მამისტვალიშვილი, *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.)* (თბილისი, 2008), 163-66, შენ. 1.

⁸⁴ Avedis K. Sanjian, *The Armenian Communities in Syria under Ottoman Dominion* (Cambridge, 1965), 12; Victor Azarya, *The Armenian Quarter of Jerusalem: Urban Life Behind Monastery Walls* (Berkeley, 1984), 59; Adrian J. Boas, *Jerusalem in the Time of the Crusades: Society, Landscape and Art in the Holy City*

გალიტის“ XI-XII საუკუნეების ხელნაწერის არაბულ მინაწერში აღნიშნულია, თუ როგორ გააკეთებინა ქართველმა მეფემ (ალ-მალიქ ალ-ჯურჯ) ქართული ოთხთავის ორი ნუსხა, ერთი თავისთვის და მეორე იერუსალიმის წმ. იაკობის მონასტრისთვის შესანიშნავად. ეს წარწერა, რომელიც პირველად წაიკითხა აკად. დორნმა,⁸⁵ ხელახლა მოამზადა გამოსაცემად ს. ფრანცუზოვმა.⁸⁶ სომხების ხელთ ის გადავიდა ამავე პერიოდში, XI ან XII ს-ში.⁸⁷ დ. პრინგლი აღნიშნავს, რომ თავდაპირველი ეკლესიიდან აღარაფერია შემორჩენილი, მაგრამ მისი მიძღვნა წმ. იაკობისადმი, შემოინახა წმ. მინას სამლოცველოს სახით, რომელიც, ჩანს, ააშენეს ქართველებმა 1072-1082 წლებში და ეკერის წმ. იაკობის XII საუკუნის ეკლესიის ჩრდილოეთ მხარეს.⁸⁸

სომეხი მკვლევრები მიიჩნევენ, რომ ქართველებისა და სომხების დავა წმ. იაკობ ზებედეც ძის მონასტრის გამო XIV საუკუნის მეორე ათწლეულიდან დაიწყო. ჩვეულებრივ იმონებენ ა. ტერ-ჰოვანესიანცის ნაშრომს იერუსალიმის ქრონოლოგიური ისტორიის შესახებ,⁸⁹ სადაც აღნიშნულია, რომ სომხური საპატრიარქოს კოლექციაში ინახება ამ დავის ამსახველი საბუთები. მაგრამ ტერ-ჰოვანესიანცის მიერ შესრულებულ აღნიშნული საბუთების სომხურ თარგმნებში უხეში შეცდომები და ქრონოლოგიური უზუსტობებია, რის გამოც, მათი გამოყენების დროს, განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ამასთან, ჩანს,

under Frankish Rule (New York, 2001), 126; Rene Janin, “Les Géorgiens à Jerusalem,” *Échos d'Orient*, 16 (1913), 33; რენე ჟანენი, „ქართველები იერუსალიმში“, *რელიგია*, 10 (1992), 8 და სხვ.

⁸⁵ M. Brosset, “Notice sur les manuscrits géorgiens récemment acquis par l’Académie” (Beilage Nr. 135), წიგნში: B. Dorn *Das Asiatische Museum der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften zu St. Petersburg*. (St. Petersburg, 1846), 631-632; Цагарели, “Памятники грузинской старины”, 117-18, 191-92, №147.

⁸⁶ Serge A. Frantsouzoff, “Three Arabic notes in a Georgian manuscript kept in St. Petersburg,” in *Georgians in the Holy Land*, ed. by Tamila Mgaloblishvili (In the Press). სტატია დაბეჭდვამდე გავაცნო ქალბატონმა თამილა მგალობლიშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებ.

⁸⁷ Sanjian, *The Armenian Communities in Syria*, 12, 170; Azarya, *The Armenian Quarter of Jerusalem*, 59; Boas, *Jerusalem in the Time of the Crusades*, 126.

⁸⁸ Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem*, 169. დამონებულია: Vincent L.-H. and F F. Abel, *Jérusalem: Recherches de topographie d’archéologie et d’histoire*, vol. II: Jérusalem nouvelle (Paris, 1914), 522.

⁸⁹ ა. ტერ-ჰოვანესიანც, *ჟამანაკაგრაკან პატმუთიუნ ს. ერუსალემი*, II [წმინდა იერუსალიმის ქრონოლოგიური ისტორია, II] (იერუსალიმი, 1890). ქართულ-სომხური დავის ეპიზოდები ამ ნაშრომიდან, ჩემი თხოვნით, სომხურიდან არაბულად მითარგმნა ფრანცისკელთა სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელმა კაიროში აბუ მანსურ მისტრიხმა. გარდა ამისა, ისინი მოკლედ ციტირებულია ა. სანჯიანისა და სერჯიო ლა პორტას შრომებში: Sanjian, *The Armenian Communities in Syria*, 172; Sanjian, “The Armenians and the Holy Places in Jerusalem,” *The Third International Conference on Bilad al-Sham: Palestine, 19-24 April, 1980*, vol. I (Jerusalem, 1983), 135-36; Sergio La Porta, “The Armenian Episcopacy in Mamluk Jerusalem in the Aftermath of the Council of Sis (1307),” *Journal of the Royal Asiatic Society*, series 3, vol.17, issue 2 (2007), 111.

ასეთი საბუთები არსებობს⁹⁰ და მათ მოპოვებას, სწორ წაკითხვას და სათანადო ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს წმ. იაკობის მონასტრისთვის იერუსალიმის ორი ქრისტიანული თემის ბრძოლის ეტაპების დასადგენად. ამ საკითხს საგანგებოდ სხვაგან შევეხები, ახლა კი დავუბრუნდები მოკვლევის დოკუმენტს.

მუსლიმთა მხარემ თავდაპირველად გამოჰკითხა სომეხთა თემი წმინდა იაკობის მონასტერზე ქართველთა უფლების შესახებ. სომხებმა უპასუხეს, რომ ხსენებული მონასტერი სომეხთა რელიგიურ თემს ძველი დროიდან ეკუთვნოდა და მათ გარდა სხვა მფლობელი უცნობი იყო. საამისოდ წარმოადგინეს წინამორბედ მეფეთა ბრძანებულებები და შარიათის დოკუმენტები მონასტრის მფლობელობაზე, რომელთა თარიღი ას წელს აღემატებოდა (სტრ. 28-31). ეს დოკუმენტები ადასტურებდა, რომ წმ. იაკობის მონასტერი ეკუთვნოდა სომეხთა რელიგიურ თემს.

ქართულმამხარემ, რომელიც ამკარად მოუმზადებელი იყო, ასეთი დოკუმენტები – სათანადო მტკიცებულებანი იმის თაობაზე, რომ ადრე წმ. იაკობის მონასტერი მას ეკუთვნოდა, ვერ წარმოადგინა (სტრ. 31-32). ვფიქრობ, საამისო საბუთები უნდა განადგურებულიყო ჯვრის მონასტრის ძნელბედობის ყამს (დარბევა ხვარაზმელთა მიერ 1244 წელს, ჯვრის მონასტრის გადაკეთება მეჩეთად XIII საუკუნის 70-იანი წლებიდან – 1310 წლამდე). მტკიცებულების უქონლობა გახდა იმის მიზეზი, რომ ბენა ჩოლოყაშვილის „დასარჩლება“ სომხებთან, რის შედეგსაც თავის ლაკონურ ცნობაში ის არ იუწყება, მიუხედავად სულთნის კეთილგანწყობისა, წარუმატებლად დასრულდა.

მომდევნო ხანებში, ჩვენ ხელთ არსებული ცნობებით, ქართველებს სომხებთან წმ. იაკობის მონასტრის მფლობელობის გამო აღარ უდავიათ. სამაგიეროდ, ოსმალთა გაბატონების (1517 წ.) შემდეგ, წმ. იაკობის „ქართველთა მონასტერზე“ (ჩვეულებრივ, ასე ეწოდება მას ოსმალთა სულთნების ფირმანებში) პრეტენზია ჰქონდა ბერძნულ მართლმადიდებლურ საპატრიარქოს. დავა მონასტრის გარშემო დიდხანს გაგრძელდა და საბოლოოდ სომხების სასარგებლოდ დასრულდა. ის დღეს სომხური საპატრიარქოს საკათედრო ეკლესია-მონასტერია.

როცა წმ. იაკობის მონასტრის გარშემო მოკვლევა დასრულდა, სულთნის ნა'იზი და მისი თანმხლები პირები გაემართნენ გოლგოთისკენ – აღდგომის ეკლესიაში.

გოლგოთა (კალვარი), ლათინთა ბატონობის დროს ჩატარებული რეკონსტრუქციის შემდეგ, ორდონიანი ნაგებობა იყო სამი თალიანი სამლოცველოთი. ქვედა დონე ეკავა ადამის სამლოცველოს, სადაც, გადმოცემით, დაკრძალეს ადამიანთა მოდგმის მამამთავარი ადამი, ხოლო ზედა დონე – ორ სამლოცველოს.⁹¹ ერთია ქრისტეს განმსჭვალვისა – მის სამხრეთ (მარჯვენა) ნაწილში, სადაც ჯვარზე მიამსჭვალეს ქრისტე, ხოლო მეორე – ჯვრის აღმართვისა – მის ჩრდილოეთ (მარცხენა) ნაწილში.

ცნობილია, რომ სულთან ნასირ ად-დინ მუჰამედის 1308 წლის 5 აპრილის

⁹⁰ იერუსალიმის სომხური საპატრიარქოს ხელნაწერებისა და დოკუმენტების კოლექციის შესახებ იხ. ჯაფარიძე, ბუაჩიძე, „წმინდა მინაზე ქართული ეკლესიის ისტორიის არაბული დოკუმენტური წყაროები“, 547-550.

⁹¹ ამ ორი დონის შესახებ იხ. Oded Peri, *Christianity under Islam in Jerusalem* (Leiden, 2001), 3.

ბრძანებულებით, გოლგოთა, ყველა ქრისტიანისთვის უწმინდესი ადგილი, გადაეცა ქართველებს.⁹² ისინი იყვნენ პირველი ქრისტიანები, რომლებსაც, იერუსალიმიდან ლათინთა საბოლოო განდევნის (1244 წ.) შემდეგ, მფლობელობაში მიეცათ გოლგოთა. უეჭველია, ქართული სამონასტრო თემი თვლიდა, რომ მას ჰქონდა უპირატესი უფლება ამ წმინდა ადგილზე, სხვა ქრისტიანულ თემებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, გოლგოთის დასაკუთრებას ცდილობდნენ და არცთუ წარუმატებლად, ფრანცისკელები⁹³ და სომხები (იხ. ქვემოთ). ფრანცისკელთა ზურგს უკან იდგა ნეაპოლის სამეფო, რომელიც 1332-33 წლებში წმინდა ადგილების დასაბრუნებლად მოლაპარაკებებს აწარმოებდა სულთან ნასირ ად-დინ მუჰამედთან.⁹⁴ საბინო დე სანდოლის თანახმად, ამის შედეგად ფრანცისკელებმა მიიღეს გოლგოთის სამხრეთი ნაწილი,⁹⁵ მაგრამ შეთანხმება მოგვიანებით შედგა.

პირველი დაპირისპირება გოლგოთაზე ქართველებსა და ფრანცისკელებს შორის აღნიშნულია სულთან ბარკუკის 798 წლის 27 ზუღ-კა'დას/1396 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულებაში. სულთანმა ფრანცისკელების მხარე დაიჭირა და აკრძალა მათი შევიწროება.⁹⁶ ამის შემდეგ, ჩემ ხელთ არსებული მასალებით, გოლგოთა 1512 წლამდე ორჯერ გახდა დავის საგანი ქართველებსა და ფრანცისკელებს შორის. ამ საკითხს, სათანადო დოკუმენტების საფუძველზე, ვრცლად სხვაგან გავარჩევ. ახლა კი მოკლედ აღვნიშნავ, რომ პირველად ეს იყო 896 წლის 17 ზუღ-კა'დას/1491 წლის 21 სექტემბერს⁹⁷ და

⁹² გოჩა ჯაფარიძე, „სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანცისკელთა სამეურვეოს არქივიდან“, *ქართული დიპლომატია*, 9 (2002), 677-78.

⁹³ ფრანცისკელთა, ანუ „მინორიტ ძმათა ორდენი“ (აბრევიატურა – OFM) 1209 წელს დააარსა ფრანცისკ ასიზელმა (1182-1226). წმინდა მიწაზე ფრანცისკელთა სამეურვეოს ისტორიის შესახებ იხ. Leonhard Lemmens, „Die Franziskaner im HL. Lande,“ I, Teil, *Die Franziskaner auf dem Sion (1336-1551)* (Münster in Westfalen, 1916); Giuseppe Nazario, *The Franciscan Presence in the Holy Land*, translated and edited by Peter F. Vasko, John Boettcher (Jerusalem, 1995); Sabino De Sandoli, *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century* (Cairo, 1990), 77-94.

⁹⁴ Sabino De Sandoli, *The Peaceful Liberation of the Holy Places*, 43; ვლადიმერ კეკელია, „ქრისტიანი ერები უფლის საფლავის ტაძარში XIV საუკუნეში“, *აღმოსავლეთი და კავკასია*, 5 (2007), 69.

⁹⁵ Sabino De Sandoli, *The Peaceful Liberation of the Holy Places*, 47. სამწუხაროდ, ავტორი ხშირად არ ასახელებს სათანადო წყაროებს და კათოლიკეების პოზიციიდან განიხილავს ფრანცისკელთა მოღვაწეობას წმინდა მიწაზე.

⁹⁶ ჯაფარიძე, „სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება“, 674-75.

⁹⁷ ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, №IV.B. 2.97.3. ამ დავის შესახებ, ჩვეულებრივ, იმონებენ რ. ჟანენს, რომელსაც თარიღში ერთწლიანი შეცდომა აქვს, 1492 წელი, ნაცვლად 1491 წლისა. Janin, „Les Géorgiens a Jérusalem,“ 35; ჟანენი, „ქართველები იერუსალიმში“, 10. გადამონმებამ გვიჩვენა, რომ შეცდომის წყაროა მის მიერ დამონმებული Φ. Αριστοκλεους-ის ნაშრომი: Α. Κωνσταντίνου, Πατριάρχου Κωνσταντινουπόλεως Πιογρᾶφία και συγγραφαί αι ἐλάσσοισενεζ [თეოდოროს არისტოკლეუს, კონსტანტინოპოლის პატრიარქის კონსტანტინე I-ის ბიოგრაფია, საეკლესიო და ფილოლოგიური ხასიათის ნარკვევები და ეპისტოლეები] (Κωνσταντινουπόλεως, 1866), 284, სადაც 896 წლის 17 ზუღ-კა'დას შესაბამისად შეცდომით დასახელებულია 1492 წელი (2002 წელს ამ ნაშრომის

მეორედ – ორი წლის შემდეგ, 899 წლის 2 მუჰარამს/1493 წლის 13 ოქტომბერს.⁹⁸

თავდაპირველად, 1491 წელს, ქართველები მოითხოვდნენ მთლიანად გოლგოთას, მაგრამ არსებული ვითარება უცვლელი დარჩა. სასამართლომ მათ დაუტოვა ადამის სამლოცველო და გოლგოთის ზემო დონის ჩრდილოეთი მხარე – ჯვრის აღმართვის სამლოცველო,⁹⁹ ხოლო ფრანცისკელებს – სამხრეთი მხარე, ქრისტეს განმსჭვალვის სამლოცველო.¹⁰⁰ სულ რაღაც ორი წლის შემდეგ, 1493 წელს ქართველებმა ვერ წარმოადგინეს სათანადო მტკიცებულებები და გოლგოთა მთლიანად გადაეცა ფრანკებს, ე.ი. ფრანცისკელებს. მიუხედავად ამისა, 1512 წლის მოკვლევის დროს, ქართველები ინარჩუნებდნენ თავიანთ პოზიციებს გოლგოთაზე. მაგრამ დაპირისპირება ფრანცისკელებთან საკმაოდ მწვავე იყო. არ იყო იმის გარანტია, რომ ისინი არ მოინდომებდნენ 1493 წლის სასამართლოს დადგენილების რეალიზებას და გოლგოთის ზემო დონის მთელი ჩრდილოეთი ნაწილის დაუფლებასაც. ეს საშიშროება უბიძგებდა ბენა ჩოლოყაშვილს, ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებში და სულთნის კეთილგანწყობის საფუძველზე, მთელი გოლგოთის საკითხი ქართველების სასარგებლოდ, ერთხელ და სამუდამოდ გადაეჭრა.

1512 წლის 15 აგვისტოს დოკუმენტის მოკვლევის ტექსტში ნათქვამია, რომ გოლგოთა (არაბ. *ჯალჯალა*) შეიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ თალს, გადაჭიმულს აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ. მათ შორის არ არის ზღუდე, მაგრამ არის სივრცე თალებს შორის – სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ. თითოეულ ნაწილში საკურთხეველია. თალი, რომელიც ეკვრის სამხრეთის მხარეს, ფრანკების თემისაა, ხოლო რომელიც ეკვრის ჩრდილოეთის მხარეს – ქართველთა ხელთაა. მათ გამო ორ მხარეს დავა ჰქონდა (სტრ. 33-36).

მოკვლევის დროს ქართველებმა მთელი გოლგოთის მფლობელობის დამადასტურებლად წარმოადგინეს 3 დოკუმენტი:

1. სულთან ალ-მალქ ალ-აშრაფ ბარსბეის (1422-1438) წერილი ქართველთა მეფისადმი. ის იუწყებოდა, რომ სულთანმა მიიღო მეფის წერილი, რომელიც ითხოვდა მისგან „სამეფო წყალობებს, რათა წმინდა იერუსალიმში მცხოვრებ ქართველთა თემს მფლობელობაში მიეღო კუმამას (აღდგომის ტაძრის) საკურთხეველი; სომხებს და ქრისტიანთა [სხვა] თე-

სათანადო გვერდები გვითარგმნა გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბერძნული ლიტერატურისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა თამარ მესხმა, რომელსაც მადლობას მოვასხენებ). რ. ჟანენი აგრეთვე აღნიშნავს, რომ 1475 წელს დასავლეთის სამღვდელოებას გოლგოთის სრულად დასაკუთრება სურდა, მაგრამ არ დაასახელა თავისი წყარო.

⁹⁸ ფრანცისკელთა არქივი, Castellani, *Catalogo dei Firmani*, №63.

⁹⁹ აქედან კიბით შეიძლება ჩასვლა ადამის სამლოცველოში. თინა ცერაძე, გიორგი გაგოშიძე, *იერუსალიმი. სააღდგომო მეგ ზური* (თბილისი, 2007), 27.

¹⁰⁰ იქ ასვლა შეიძლება ეკლესიის კარიბჭის ხელმარჯვნივ მდებარე კიბით.

მებს ხელი აეღოთ ხსენებულ საკურთხეველზე და სულთანს ეზრუნა ქართველებზე“ (სტრ. 36-40). კონტექსტიდან გამომდინარე, კუმამას საკურთხეველში გოლგოთის საკურთხეველი იგულისხმება.

ფრანცისკელთა არქივის 1512 წლის 15 აგვისტოს დოკუმენტში ნათქვამია, რომ სულთანმა ბარსბეიმ დააკმაყოფილა ქართველთა მეფის თხოვნა, „გადასცა ქართველთა რელიგიურ თემს ეს საკურთხეველი და ალაგმა სომეხთა და სხვა ქრისტიანთა ხელები მისგან“ (სტრ. 40-41). ამ გადაწყვეტილების თაობაზე, სულთანმა მისწერა თავის ნა'იზს იერუსალიმში 836 წლის 13 შავვალს/1433 წლის 3 ივნისს (სტრ. 41-42).

სამწუხაროდ, ქართველთა მეფის წერილი ბარსბეისადმი და ამ სულთანის ხსენებული ბრძანებულება, თუ ცელიკას მიერ შედგენილი კატალოგით ვიმსჯელებთ, იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში არ ჩანს. კასტელანის კატალოგით, ის არ არის ფრანცისკელთა არქივშიც, მაგრამ იმ ამბავს, რომ ბარსბეის დროს გოლგოთა ქართველებს გადაეცა სამცხის ათაბეგის ივანეს (1391-1444) ძალისხმევით, იუნყება სომხური ჰიშტაკარანი.¹⁰¹ ზუსტი თარიღი დასახელებული არ არის, მაგრამ იგულისხმება XV საუკუნის 30-იანი წლები.¹⁰² მკვლევრები სავარაუდო თარიღად მიიჩნევენ 1422 და 1430 წლებს (ტ. სავალანიანცი,¹⁰³ ა. აბდალაძე,¹⁰⁴ მ. სტეფნაძე¹⁰⁵), ან 1426 წელს (კ. ჰინტლიანი¹⁰⁶). 1512 წლის 15 აგვისტოს დოკუმენტში დასახელებული ბარსბეის საბუთით შეიძლება ითქვას, რომ მან გოლგოთა ქართველებს გადასცა, დაახლოებით, 1433 წლის ივნისში.

2. სულთან ჯაკმაკის 843 წ. 18 მუჰარრამის/1439 წლის 1 ივლისის სამეფო ცირკულარული ბრძანებულება იერუსალიმისა და ღაზას ყველა მოსა-

¹⁰¹ სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშტაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ (თბილისი, 1978), 57-58.

¹⁰² იქვე, 57-58; Sanjian, *The Armenian Communities in Syria*, 172-73.

¹⁰³ ტ. სავალანიანცი თავის „იერუსალიმის ისტორიაში“ ასახელებს როგორც 1422, ისე 1430 წელსაც. დამოწმებულია: სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშტაკარანების) ცნობები, 157.

¹⁰⁴ ა. აბდალაძე, ჰიშტაკარანის ქრონოლოგიის გათვალისწინებით, თვლის, რომ მეორე თარიღი – 1430 წელი უფრო მისაღები ჩანს. *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშტაკარანების) ცნობები*, 157.

¹⁰⁵ მაია სტეფნაძე, „ქართველთა მდგომარეობა იერუსალიმის წმინდა მიწაზე VII-XVII საუკუნეთა საერთაშორისო აქტების მიხედვით“, *ქართული დიპლომატია*, 5 (1998), 447-48.

¹⁰⁶ კ. ჰინტლიანის თანახმად, გოლგოთა სომეხთა ხელთ იყო სალადინის დროიდან მოყოლებული 1426 წლამდე, როცა ქართველებმა, რომელთაც ოჯახური კავშირები ჰქონდათ მამლუქებთან, ქრთამებით მოახერხეს კონტროლის დაწესება მასზე. K. Hintlian, *History of the Armenians in the Holy Land* (Jerusalem, 1989), 42. ჰინტლიანი, რომლის პუბლიკაციებიც ხშირად გვხვდება წმინდა მიწის შესახებ კრებულებში, თითქოსდა სერიოზული მკვლევარია. მით უმეტეს გასაოცარია, რომ ის მსჯელობს მამლუქებთან ქართველების არარსებულ, ყოველ შემთხვევაში, სამეცნიერო ლიტერატურაში შეუსწავლელ, რაღაც ოჯახურ კავშირებზე.

მართლისადმი, რომელიც ქართველთა მეფის ბერებს აძლევდა არა მარტო უფლებას გოლგოთის ეკლესიაზე – იერუსალიმის აღდგომის ტაძარში, არამედ უფლებასაც, გაეხსნათ იქ სამხრეთის კარები. ბრძანებულება უკრძალავდა სომეხთა რელიგიურ თემსა და ფრანკებს (ე.ი. ფრანცისკელებს) შეენუხებინათ ისინი ამასთან დაკავშირებით (სტრ. 47-50).

დოკუმენტი დაცული უნდა იყოს იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, მაგრამ მისი მიკვლევა ა. ცელიკას კატალოგის მიხედვით, არ მოხერხდა. საბუთი საკმაოდ მნიშვნელოვანია. ის ადასტურებს სომხური ჰიშტაკარანის ცნობას, რომ გოლგოთა სულთან ჯაკმაკის დროს საბოლოოდ ჩამოართვეს სომეხებს და გადასცეს ქართველებს.¹⁰⁷

ჰიშტაკარანში აღნიშნულია, რომ სომეხმა არქიეპისკოპოსმა მარტიროსმა ქართველებთან დაპირისპირების დროს რამდენჯერმე დაიბრუნა და დაკარგა გოლგოთა. ჩანს, ბოლოს ეს მოხდა სულთან ჯაკმაკის ბრძანებით, სწორედ 1439 წლის ივლისში.¹⁰⁸ ქართველების შენუხება გოლგოთის გამო აეკრძალათ არა მარტო სომეხებს, არამედ ფრანცისკელებსაც.

3. სულთან ჯაკმაკის 844 წლის 1 რაბი' II-ს/1440 წლის 30 აგვისტოს წერილი ქართველთა მეფისადმი. ის იუწყებოდა, რომ სულთანმა მიიღო ქართველთა მეფის წერილი, რომელიც ითხოვდა მისგან, ებრუნა ისლამის ქვეყნებში მცხოვრებ ქრისტიანთა თემზე, ქართველებსა და მათ ბერებზე. ამ წერილში ნათქვამი იყო, რომ გოლგოთის ეკლესიას/სამლოცველოს ჰქონდა „მინის ნაკვეთი, რომელსაც ქართველი ბერები გამუდმებით ამუშავებდნენ“ (სტრ. 42-46). სულთანმა გამოსცა ბრძანებულებები, რათა პატივი მიეგოთ მეფის ელჩებისადმი სამეფო კარზე მათი ყოფნის მანძილზე, ხოლო ქრისტიანებს, ქართველებს და მათ ბერებს მოქცეოდნენ ისე, როგორც შეეფერებოდა სამეფო (ე. ი. სულთნის) მართლმსაჯულებას და გაგრძელებულიყო მათზე სამეფო წყალობები (სტრ. 45).

მოკვლევის თანახმად, ჯაკმაკის ეს დოკუმენტი, რომელიც დაცულია იე-

¹⁰⁷ სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშტაკარანების) ცნობები, 58-59, 156.

¹⁰⁸ ამავე წელს სომეხებმა, რომლებმაც იმედი დაკარგეს დაებრუნებინათ გოლგოთა, სულთნის ნებართვით, „უფლის წმ. საფლავისა და წმ. გოლგოთის პირდაპირ“ ცარიელ ადგილზე ააშენეს ეკლესია, რომელსაც მეორე გოლგოთა უწოდეს. იხ. *სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშტაკარანების) ცნობები*, 59-60; Sanjian, *The Armenian Communities in Syria*, 173. 1439 წელს გოლგოთის დაკარგვით დამწუხრებული ა. სანჯიანი, ცდილობს დაამციროს ქართველთა წარმატება: „ქართველების გამარჯვება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც მალე, 1440 წელს მათი სამეფოს დაცემის შემდეგ, მათი მონასტრები და სინმინდეები წმინდა ქალაქში, გოლგოთის ჩათვლით, მათი ერთმორწმუნე ბერძნების კონტროლის ქვეშ გადავიდა“. 1440 წელს ქართველთა სამეფო არ დაცემულა და შეუძლებელია, სანჯიანმა არ იცოდეს ისიც, რომ სინამდვილეში, ქართველები იერუსალიმში თავიანთ ეკლესია-მონასტრებს და სხვა სინმინდეებს, მათ შორის გოლგოთას, კიდევ ორ საუკუნეზე მეტხანს ინარჩუნებდნენ. უბრალოდ, მას ობიექტურობა ღალატობს.

რუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში (№VII.B.1.7), პირდაპირ არ უჩვენებს, რომ გოლგოთას ქართველები ფლობდნენ. მაგრამ ის გარემოება, რომ ქართველები ამუშავებდნენ მიწის ნაკვეთს, რომელიც გოლგოთის სამლოცველოს ეკუთვნოდა, ჩანს, აძლევდა მათ უფლებას, ემტკიცებინათ, რომ თავად გოლგოთის სამლოცველოც მათი იყო. მაგრამ, როგორც ქვევით ირკვევა, გოლგოთის გარშემო შარიათის სასამართლოს დადგენილებები და სულთნის ბრძანებულებებიც, არცთუ იშვიათად, ურთიერთსაწინააღმდეგო იყო და ამიტომ ფრანცისკელებსაც ჰქონდათ თავიანთი საბუთები და მტკიცებულებები.

ქართველებისგან განსხვავებით, ფრანცისკელთა რელიგიური თემი ამტკიცებდა, რომ გოლგოთის სამხრეთის საკურთხეველი და იქვე სარკმელიც (რავზანა) (იგულისხმება ქრისტეს ტანჯვის გზის მე-11 სადგური),¹⁰⁹ ძველი დროიდან ეკუთვნოდა სიონის მთაზე მცხოვრებ ფრანკებს, რომლებიც ამ ადგილებზე ასრულებდნენ ღვთისმსახურებას „თაობიდან – თაობამდე“. ამის დასადასტურებლად მათ წარმოადგინეს 886 წლის 11 ზუ ლ-ჰიჯჯას/1482 წლის 31 დეკემბრის შარიათის ოქმი, რეგისტრირებული მთავარი ყადის, იერუსალიმის მოსამართლის – შამს ად-დინ ‘აბდ ალლაჰ იბნ მუჰამმად ად-დაირი ალ-ჰანაფისა და დამონმებული – მუსლიმთა ჯგუფის მიერ (სტრ. 59-60).¹¹⁰

მიუხედავად იმისა, რომ ფრანცისკელებს, მათივე განცხადებით, ჰქონდათ სხვა დამადასტურებელი დოკუმენტებიც ამ საკურთხეველის მფლობელობაზე, ძველი დროიდან – ამ (ე. ი. მოკვლევის) თარიღამდე, ვერ წარმოადგინეს ისინი, რადგანაც იმჟამად მათზე ხელი არ მიუწვდებოდათ „გადატანილი გაჭირვების გამო“. იგულისხმებოდა ის რეპრესიები, რომლებიც კანსავჰ ალ-ღავრიმ ჩაატარა ფრანცისკელთა წინააღმდეგ. მათი განცხადება არ იყო უსაფუძვლო, რადგანაც ვერ წარმოადგინეს 899 წლის 2 მუჰარამის/1493 წლის 13 ოქტომბრის შარიათის სასამართლოს ოქმი, რომელიც მათ სასარგებლოდ მეტყველებდა.

მოკვლევა, სავარაუდოა, აგვისტოს პირველ დეკადაში ჩატარდა. მის საფუძველზე 918 წლის ჯუმადა II-ის 2-ში/1512 წლის 15 აგვისტოს დაინერა შარიათის ოქმი და გაიგზავნა კანსავჰ ალ-ღავრისთან, როგორც განმარტება, მის მოთხოვნაზე, სულთნის მიერ შემდგომი დადგენილების გამოსატანად.¹¹¹ მაგრამ, დადგენილების მიღებამდე, ბენა ჩოლოყაშვილმა იმარჯვა და დაამსხვრევინა ფრანცისკელთა საკურთხეველი ქრისტეს განმსჭვალვის სამლოცველოში. ეს ჩანს ჟან თენოს ინფორმაციიდან.

თენომ, როგორც ზემოთ ითქვა, 1512 წლის ივლისის ბოლო დღეს დატოვა კაირო და იერუსალიმს მიაღწია აგვისტოს მესამე დეკადის პირველ რიცხვებში,

¹⁰⁹ H. T. F. Duckworth, *The Church of the Holy Sepulchre* (London, 1922), 219.

¹¹⁰ კასტელანის მიერ შედგენილი კატალოგის მიხედვით ფრანცისკელთა არქივში ეს დოკუმენტი არ ჩანს.

¹¹¹ არსებობს ამ დოკუმენტის სომხური თარგმანიც: ა. ტერ-ჰოვანესიანც, *ჟამანაკაგრა-კან პატმუთიუნ ს. ერუსალემი (წმინდა იერუსალიმის ქრონოლოგიური ისტორია)*, II, 241 (სომხურ ენაზე).

იმ დროს, როცა გოლგოთის გარშემო საქმის გარჩევა, იერუსალიმში სულთნის ნაცვლის ხელმძღვანელობით, დასრულებული იყო.

როდესაც უფლის საფლავის (აღდგომის) ეკლესიას აღწერს, თენო აღნიშნავს, რომ კალვარის მთაზე (ანუ გოლგოთაზე) სამი სამლოცველოდან ერთს ფლობენ ლათინები. ქართველებს სურდათ დაემტვრიათ ის და შეცდომაში შეიყვანეს სულთანი, თითქოსდა, უკანასკნელი სამლოცველო მათ ეკუთვნოდათ. უფრო მეტიც, საფრანგეთის ელჩი წერს, რომ იერუსალიმიდან ცოტა მოშორებით, წმინდა ჯვრის მონასტერში, შეხვდა ქართველთა ელჩს (ე.ი. ბენა ჩოლოყაშვილს), რომელსაც სურდა წაერთმია სომხებისათვის წმ. იაკობის ეკლესია და რომელმაც ბრძანა, დაემტვრიათ ლათინთა საკურთხეველი კალვარის (გოლგოთის) მთაზე.

საფიქრებელია, რომ ფრანცისკელთა საკურთხეველი ბენა ჩოლოყაშვილმა იერუსალიმში თენოს ჩასვლამდე, აგვისტოს შუა რიცხვებშივე დაამტვრევინა.

ფრანცისკელთა საკურთხეველის დამტვრევის ამბავი, ზუსტი თარიღის დაუსახელებლად, მოთხრობილი აქვს აგრეთვე ვენეციელ ფრანჩესკო სურიანოს, რომელიც ფრანცისკელებმა 1481-1484 წლებში პირველად აირჩიეს იერუსალიმში წმინდა მიწის მეურვედ. 1510 წლის ოქტომბერში სურიანო სხვა ფრანცისკელებთან ერთად, კანსავჰ ალ-ღავრის ბრძანებით, კაიროში ჩაიყვანეს და დააპატიმრეს. 1512 წელს, არაუადრეს ივლისის მიწურულისა, ტრევიზანის დიპლომატიის წყალობით, სულთანმა ის გაათავისუფლა, რის შემდეგაც სურიანო იერუსალიმში დაბრუნდა.

ფრანცისკელთა არქივის ზემოგანხილულ დოკუმენტში ფრანჩესკო სურიანო არ იხსენიება ქართველებისა და ფრანცისკელების დავის მონაწილედ, მაგრამ მალე, 1512-1514 წლებში ის ხელახლა აირჩიეს წმინდა მიწის მეურვედ¹¹² და აქტიურად ჩაება გოლგოთისათვის ქართველებთან დაპირისპირებაში. თავის „ტრაქტატში წმინდა მიწის შესახებ“¹¹³ სურიანო აღწერს აღდგომის ეკლესიას და გოლგოთასთან დაკავშირებით ეხება ქართველებთან სადავო სამლოცველოსაც: „ქართველებმა, რომლებიც არიან კათოლიკეთა მთავარი მტრები, 1510 წელს, როცა ჩემი წინამორბედი, ძმა ბერნარდინო სიენელი,¹¹⁴ იყო წმ. სიონის მთის მეურვე, ძალმომრეობით წაგვართვეს ის, ჩვენთვის დიდად სასირ-

¹¹² P. Girolamo Golubovich, *Serie Chronologica dei reverendissimi Superiori di Terra Santa* (Gerusalemme, 1898), 72.

¹¹³ ამ ტრაქტატის შედგენა სურიანომ 1484 წელს დაიწყო და შემდეგ არაერთხელ შეავსო ის. ტრაქტატის 1514 წლის ნუსხა 1900 წელს გამოსცა ჯ. გოლუბოვიჩმა: *Il Trattato di Terra Santa* (იბ. ზემოთ, შენ. 9). მან გაითვალისწინა ტრაქტატის ის საბოლოო ვარიანტიც, რომელიც 1524 წ. გამოსაცემად მოამზადა და დაბეჭდა ფრანჩესკო ბინდონიმ. თ. ბელლორინის და ე. ჰოუდის მიერ მომზადებული ტრაქტატის ინგლისური თარგმანი *Treatise of the Holy Land* (იბ. ზემოთ, შენ. 9) ემყარება გოლუბოვიჩის გამოცემას. მის სქოლიოებში მოტანილია ის განსხვავებები და დამატებები, რომლებიც გვხვდება ფ. ბინდონის გამოცემაში.

¹¹⁴ იგივე Bernardino del Vecchio, სიენადან, წმინდა მიწის მეურვე 1507-1510 წლებში. Golubovich, *Serie Chronologica dei reverendissimi Superiori di Terra Santa*, 42.

ცხვილოდ, საზიანოდ და სათაკილოდ. მათ დაამსხვრიეს საკურთხეველი და კანდელები, ხოლო [ფრანცისკელ] ძმებს უფლება წაართვეს, ევლოთ იქ¹¹⁵.

ფრანჩესკო სურიანო ამ ამბავს 1510 წლით ათარილებს, რაც შეცდომაა. უნდა იყოს 1512 წელი. შეცდომა ალბათ განაპირობა იმან, რომ სურიანომ ეს ამბავი მოგვიანებით შეიტანა თავისი ტრაქტატის 1514 წლის ნუსხაში, როცა მომზადდა მისი გამოცემა ფ. ბინდონის მიერ 1524 წელს.¹¹⁶

ბენა ჩოლოყაშვილმა **გოლგოთაზე სამხრეთი საკურთხეველის თაობაზე დავის პირველი რაუნდი მოიგო**. ირკვევა, რომ ფრანცისკელებს არა მარტო საკურთხეველი დაუმსხვრია გოლგოთის სამხრეთ ნაწილში და კანდელები გამოუყარა გარეთ, არამედ იქ სიარულიც კი აუკრძალა.

ძლიერი საფრანგეთის წარმომადგენლისთვის – ჟან თენოსთვის ქართველების ქმედება საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა. ის გაოცებული იყო ქართველებისადმი სულთნის მხარდაჭერით:

„სულთანი ეხმარება მათ [ქართველებს] უფრო მეტად, ვიდრე სხვა ხალხს. ისინი შედიან წმინდა საფლავის ეკლესიაში გადასახადის გადახდის გარეშე“.¹¹⁷

თენოს ვერ გაეგო, რით დაიმსახურეს ქართველებმა და მათი სამონასტრო თემის მეთაურმა ასეთი პატივი. მისთვის უცნობი დარჩა ის ფაქტი, რომ სულთანი მადლიერი იყო მუსლიმებისადმი ქართველების ტოლერანტული პოლიტიკით და ქართველებისადმი მისი განსაკუთრებული კეთილგანწყობის გასამართლებლად სრულიად ფანტასტიკური მიზეზი მონახა:

„მიზეზი მათდამი დახმარებისა არის ის, რომ ამ ქვეყანაში ისინი შვეიცარიელების (Souices) მსგავსნი არიან და მიუძღვნიან გამარჯვებას იმათ, ვინც მოეწონებათ. შეუძლიათ დაამარცხონ ყველა, ვინც უნდათ“.¹¹⁸

შვეიცარიელი მოქირავნეების სამხედრო პოტენციალი ცნობილი იყო ევროპაში. მაგრამ გაუგებარია მათი შედარება ქართველებთან, რომლებიც იმ დროს არ წარმოადგენდნენ რაიმე სერიოზულ სამხედრო ძალას (მამლუქთა სახით) ეგვიპტეში. საერთოდ, ევროპელ პილიგრიმთა მიერ ქართველთა სამხედრო ძალის მაღალი შეფასება უცხო არ იყო. ამ შემთხვევაში ეს შეფასება, ცხადია, აღარ შეეფერებოდა სინამდვილეს. მაგრამ გაცილებით საინტერესოა თენოს სხვა ცნობა, სულთნის კეთილგანწყობის ასახსნელად: ქართველებს

„ძალუძთ ნებისმიერ დროს დაბრკოლება შეუქმნან სპარსელებისა და თურქების შეჭრას სულთნის მიწებში და ასევე შეუძლიათ აცნობონ მას მისი მტრების განზრახვის შესახებ“.¹¹⁹

იმის წარმოდგენა, რომ ქართველთა რომელიმე მეფეს, მათ შორის ავგიორგის,

¹¹⁵ Suriano, *Treatise of the Holy Land*, 51.

¹¹⁶ იხ. ზემოთ, შენ. 112.

¹¹⁷ ამის შესახებ იხ. ქვემოთ, 127.

¹¹⁸ “Le voyage et itineraire de Frere Jehan Thenaud,” 103.

¹¹⁹ იქვე, 103.

შეძლო ხელი შეემალა ოსმალებისთვის, ანდა სეფიანებისთვის, ელაშქრათ მამლუქებზე, არარეალურია. მაგრამ სავსებით რეალურია ის, რომ მიენოდებინა ეგვიპტის სულთნისთვის დაზვერვითი ხასიათის ინფორმაცია, თუნდაც სეფიანთა სამხედრო პოტენციალის შესახებ, რაც მნიშვნელოვანი იქნებოდა, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ურთიერთობა მამლუქებსა და სეფიანთა სახელმწიფოს შორის უაღრესად გამწვავდა და დაიძაბა. სხვა ფაქტორებთან (რჯულშემწყნარებლური პოლიტიკა მუსლიმი ქვეშევრდომების მიმართ) ერთად, ეს გარემოებაც განაპირობებდა ქართველებისადმი მამლუქი სულთნების იმ კეთილგანწყობას, რომლის ახსნასაც, გაუმართლებლად, ზოგჯერ, ამ პერიოდის მამლუქთა არმიის რიგებში ქართველთა ყოფნით და მამლუქთა ქართული წარმომავლობით ცდილობენ.¹²⁰

გოლგოთის სრულ დაკარგვას კათოლიკეები ვერ შეურიგდებოდნენ. ჟან თენოს ისლა დარჩენოდა, რომ კონტრზომები განეხორციელებინა ბენა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ. მან იერუსალიმი დატოვა სექტემბრის მესამე დეკადაში და კაიროში ჩავიდა. თენომ ლათინთა საკურთხეველის დამსხვრევის ამბავი შეატყობინა საფრანგეთის ელჩს – ანდრე ლე როის (რომელიც ჯერ კიდევ რჩებოდა ეგვიპტეში), საფრანგეთის კონსულს და თარჯიმანს, რათა დაუსჯელად არ დაეტოვებინათ ის შეურაცხყოფა, რაც ქართველებმა მიაყენეს ფრანცისკელებს იერუსალიმში.¹²¹ თენო წერს, რომ ბოლოს, მათ მიაღწიეს სულთნისგან იმას, რომ მათი საკურთხეველი – დანგრეული ქართველების მიერ – კვლავ იქნებოდა აღდგენილი.¹²² ის, რომ ანდრე ლე როიმ ეს შეძლო, იუნყება ფრანცისკელთა არქივში დაცული კანსავჰ ალ-დაერის 918 წლის 1 შა'ბანის/1512 წ. 12 ოქტომბრის ბრძანებულება (სულ 31 სტრიქონი)¹²³ გაგზავნილი იერუსალიმში თავისი ნაცვლისადმი – ზემოხსენებულ საიფ ად-დინისადმი.

სულთანმა შეახსენა საიფ ად-დინს ადრე გაგზავნილი თავისი ბრძანებულება, რომელიც ეხებოდა მის კარზე ქართველთა ელჩის მოსვლას გოლგოთასთან დაკავშირებით. ახლა კი, სულთანი ბრძანებულების პრეამბულაში იუნყებოდა, რომ მას ეახლა „საპატიო, დიდებული, ლომი მეფის, საფრანგეთის მფლობელის, პატივცემული და პატივსაცემი ელჩი ანდრე ლე როი“ (სტრ. 10-11), რომელმაც უჩივლა ბენა ჩოლოყაშვილს იმის გამო, რომ მან ჩაიდინა უსამართლობა, ფრანკებს დაუმტვრია მათი სათაყვანებელი ადგილი (საკურთხეველი), რომელიც „არ ყოფილა არც ახალი და არც განახლებული“ (სტრ. 21). საფრანგეთის ელჩი არწმუნებდა სულთანს, რომ გოლგოთა საზიაროა ქართველებსა და მათ შორის და „ეს წესადაა, ძველი დროიდან აქამდე“, რაც ხსენებულმა ქართველთა ელჩმა არ იცოდა. გარდა ამისა, მას სურდა ჩაეკეტა გოლგოთაში შემავალი ძველი კარები,

¹²⁰ Sabino De Sandoli, *The Peaceful Liberation of the Holy Places*, 36.

¹²¹ “Le Voyage et itineraire de Frere Jehan Thenaud,” 119.

¹²² იქვე, 119. თენო დაჟინებით სთხოვდა ანდრე ლე როის, გამგზავრებულიყო იერუსალიმში და აღედგინა ზემოხსენებული საკურთხეველი. *Le Voyage d'Outremer*, 120. გაემგზავრა თუ არა ანდრე ლე როი იერუსალიმს, უცნობია.

¹²³ Castellani, *Catalogo dei Firmani*, №76.

გაეხსნა ახალი კარები, რითაც სხვებს იქ შესვლას აუკრძალავდა (სტრ. 12-18) და ამ გზით დაისაკუთრებდა გოლგოთას. ანდრე ლე როის თანახმად, „ეს არ ყოფილა წესად. ხსენებული ადგილი არ ეკუთვნის ცალკე ვინმეს და პილიგრიმები იღებენ კურთხევას ხსენებულ ადგილზე. ეს შეწყდება ძველი კარების გაუქმებით და ახალი კარების გაკეთებით“ (სტრ. 19-21).

რომელ შესასვლელს უკეთებდა ახალ კარებს ბენა ჩოლოყაშვილი? შეიძლება გვეფიქრა, რომ საქმე ეხებოდა შესასვლელს სამხრეთიდან, რომლის შესახებ საუბარია ჯერ კიდევ სულთან ჯაკმაკის 843 წ. 18 მუჰარრამის/1439 წლის 1 ივლისის სამეფო ცირკულარულ ბრძანებულებაში (იხ. ზემოთ). ის მიემართებოდა საკურთხეველთან, რომელიც ბენამ დაამტკიცებინა. ბენა ადვილად დააბრკოლებდა ფრანცისკელთა ასვლას ჩრდილოეთის კარიდან (აღამის სამლოცველოდან) და აღარ შეუშვებდა მათ სამხრეთის კარიდანაც. მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საქმე ეხებოდა შესასვლელს ჩრდილოეთიდან, ადამის სამლოცველოდან, იქ, სადაც იყო ლათინი მეფეების საფლავები.

საფრანგეთის ელჩის ჩივილის საფუძველზე სულთანმა უბრძანა თავის ნა'იბს იერუსალიმში, შეესწავლა ეს საკითხი, შეენარჩუნებინა გოლგოთის ხსენებული ძველი კარები, თანახმად არსებული წესისა, რომელიც მოქმედებდა სულთან ალ-აშრაფ კაითბეის უკანასკნელ დღეებამდე, რაიმე სიახლის შემოტანის გარეშე, აღედგინა „ფრანკების სათაყვანებელი ადგილი, რომელიც დაანგრია ელჩმა ისე, როგორც იყო ძველი დროიდან – ამ თარიღამდე“ და გაეგრძელებინა ყველა საქმე, ორივე მხარის უფლების და პატივისცემის დაცვით, „რომელიმე მხარისთვის ვნების მიყენებისა და სიძნელის შექმნის გარეშე“ (სტრ. 24-29).

ვენეციელები და ფრანგები ეგვიპტეში კონკურენტები იყვნენ. მაგრამ გოლგოთაზე ფრანცისკელთა საკურთხეველთან დაკავშირებით მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. სულთნის ბრძანებულება თავისი ნაცვლისადმი, ერთი მხრივ, აკმაყოფილებდა საფრანგეთის ელჩის თხოვნას და, მეორე მხრივ, ადეკვატურად ასახავდა ვენეციასთან გაუმჯობესებულ ურთიერთობას. იერუსალიმში სულთნის ნაცვალის ვალდებული იყო სულთნის ბრძანება შეესრულებინა. ეჭვი არ არის, რომ სულთნის ბრძანებულების შედეგად ფრანცისკელთა საკურთხეველი აღდგებოდა, ხოლო გოლგოთაზე ასასვლელად ახალი კარების გახსნა ბენა ჩოლოყაშვილს აეკრძალებოდა. **გოლგოთისთვის ბრძოლის მეორე რაუნდი ბენა ჩოლოყაშვილმა წააგო.** ქვემოთ ვნახავთ, რომ გოლგოთის ზედა ნაწილზე ადამის სამლოცველოდან შესვლის საკითხმაც ახალი, ფრანცისკელებისთვის სასარგებლო, გაგრძელება ჰპოვა. ჟან თენომ, რომელმაც 14 ოქტომბერს დატოვა კაირო და სამშობლოში გაემგზავრა,¹²⁴ თავის მიზანს მიაღწია.

¹²⁴ “Le Voyage et itineraire de Frere Jehan Thenaud,” 103. აღსანიშნავია, რომ ჟან თენომ, რომელსაც დავალებული ჰქონდა სპარსეთსა და ინდოეთში წასულიყო, ეს ვერ შეძლო. ის წერს, რომ მის გამგზავრებას ქართველი ელჩის (ე. ი. ბენა ჩოლოყაშვილის) „ბოროტი ზრახვების შედეგად დაბრკოლება შეექმნა“. რაში გამოიხატებოდა, კონკრეტულად, ქართველი ელჩის დანაშაული, თენო არაფერს ამბობს. იქვე, 103.

მიუხედავად წარუმატებლობისა, ბენა ჩოლოყაშვილი ბედს არ შეეგუა. ახლა მან პრეტენზია განაცხადა მთელ სივრცეზე გოლგოთის სამლოცველოს სამხრეთისა და ჩრდილოეთის თაღების სვეტების საფუძვლებს შორის. ეს საკითხი ქართველების სასარგებლოდ გადაწყდა ფრანცისკელებთან პირველი დავის დროს 896 წლის 17 ზუ ლ-კა'დას/1491 წლის 21 სექტემბერს, მაგრამ მომდევნო სასამართლო პროცესის დროს, 899 წლის 2 მუჰარამს/1493 წლის 13 ოქტომბერს, დავაში საერთოდ ფრანცისკელებმა გაიმარჯვეს. ამ საკითხზე ბენა ჩოლოყაშვილმა, საფიქრებელია, თხოვნით მიმართა სულთანს ჯერ კიდევ კაიროში ყოფნის დროს და ხელახლა მიანვდინა მას ხმა იერუსალიმიდან. ასე ჩანს კანსავკ ალ-ლავრის მორიგ ბრძანებულებაში (სულ 25 სტრიქონი), რომელიც მან 918 წ. 15 რამადანს/1512 წ. 24 ნოემბერს გაუგზავნა იერუსალიმში ზემოხსენებულ ამირა საიფ ად-დინს.¹²⁵

სულთანს ახსენებს ამირას, რომ მან უკვე ბრძანა, გამოეკვლიათ სადავო საკურთხევლის საკითხი, რის თაობაზეც ჩიოდა ქართველთა მეფის ელჩი ბინა ბეგი; გარდა ამისა, წერს სულთანს, ელჩმა ითხოვა თაღების სვეტებს შორის სივრცეც, რათა ის ყოფილიყო მხოლოდ ქართველების საკურთხევა, ფრანკების გარეშე, იმისთვის, რომ ყოფილიყვნენ განცალკევებით, აეკრძალათ ფრანკებისა და სხვებისთვის ამ სივრცის გამო მათთან შედავება.

შედეგა თუ არა სასამართლო სულთნის მითითების თანახმად, ამის თაობაზე რაიმე პირდაპირი დოკუმენტი არ ჩანს. უფრო მოსალოდნელია, რომ შარიათის სასამართლო არ შედეგა. მაგრამ ფრანცისკელებმა სხვა გზით შეძლეს დაერწმუნებინათ კანსავკ ალ-ლავრი თავიანთ „სიმართლეში“. ამის საფუძველს გვაძლევს 919 წლის 25 ჯუმადა I-ის/1513 წლის 29 ივლისის სასამართლო ოქმი,¹²⁶ რომელიც დაინერა სულთნის ახალი ბრძანებულების საფუძველზე.

დოკუმენტის (Recto: ძირითადი ტექსტი, მონმეთა დამონმებების გარეშე, სულ 67 სტრიქონი) პრეამბულიდან ირკვევა, რომ ბენა ჩოლოყაშვილმა სულთანთან წარგზავნა თავისი მოციქული ჯვრის მონასტრის მეჭურჭლე აბრაამ ილიასის ძე (სტრ. 29-30). მან აცნობა სულთანს, რომ ფრანკმა ბერებმა იერუსალიმში მოიტანეს სულთნის ბრძანებულება, რომლის ძალითაც წარიღეს გოლგოთაზე ქართველთა საკურთხეველი (მასტაბა), და აგრეთვე წარიღეს როგორც ქვედა თალი (ალ-კაბე ათ-თაჰთანი), ისე ზედა (ალ-‘ილვ) თალი და გოლგოთაზე მათ ხელთ აღმოჩნდა იმაზე მეტი, ვიდრე ადრე ეკუთვნოდათ (სტრ. 5-6). გოლგოთის ქვედა თალი ადამის სამლოცველოს მოიცავდა. ზედა თალი ვრცელდებოდა სამხრეთის (ფრანცისკელთა) და ჩრდილოეთის (ქართველთა) საკურთხევლებს შორის ეს მოხდა (დაახლოებით 1513 წლის პირველ ნახევარში) იმის

¹²⁵ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, №VII.B.2.59.

¹²⁶ იერუსალიმის ფრანცისკელთა არქივი, Castellani, *Catalogo dei Firmani*, №78. კასტელანის კატალოგში ამ დოკუმენტის თარიღი არასწორადაა დასახელებული: 915 წლის 15 ჯუმადა I/1509 წლის 31 აგვისტო.

საფუძველზე, რომ ფრანცისკელებმა მიანოდეს სულთანს „შარიათის ოქმი“ (სტრ. 7-8), ჩემი აზრით, 1493 წლის სასამართლოს ოქმი, რომელიც ფრანცისკელებს აკუთვნებდა მთელ გოლგოთას. მისი შესაბამისი იყო სულთნის ბრძანებულება, რომლის ძალითაც ფრანცისკელებმა ან მთლიანად მიიღეს გოლგოთის ზედა ნაწილი, ან უფრო მოსალოდნელია, დაიბრუნეს სამხრეთის სამლოცველო, ის ნაწილი, რომელზედაც პრეტენზია ჰქონდათ ქართველებს. ცხადია, ბენამ ვერ მიიღო გოლგოთის ზედა ნაწილში თაღების სვეტებს შორის სივრცეც. ყოველივე ეს, აღნიშნული დოკუმენტის პრეამბულის თანახმად, ბენა ჩოლოყაშვილმა თავის მოციქულის მეშვეობით აცნობა კანსავკ ალ-ღავრის.

1513 წლის 29 ივლისის სასამართლო ოქმის მიხედვით, ბენა ჩოლოყაშვილის მოციქულის ინფორმაციის პასუხად, 919 წლის 4 ჯუმადა I-ს/1513 წლის 8 ივლისს, კანსავკ ალ-ღავრიმ, თავისი მოხელის – ზაინ ად-დინ კასიმ ატ-ტაშდარის ხელით, იერუსალიმს გაგზავნა ახალი ბრძანებულება (სტრ.19). პრეამბულაში ის წერდა თავის ნა'იბს – საიფ ად-დინ იუსუფ ალ-აშრაფის: საიდუმლოება არ არის, რომ თითოეულ მოდავე მხარეს აქვს წინამორბედ მეფეთა ბრძანებულებებიც და შარიათის დოკუმენტებიც მფლობელობაზე. ამ თარიღის წინ ფრანკები მოვიდნენ შარიათის ოქმით და მის საფუძველზე დაინერა სამეფო ბრძანებულება. ახლა ქართველებმა მოგვახსენეს, რომ ოქმი უსაფუძვლოდ დაინერა და ამის გამო გავოცდით. ველარ გავიგე, ვის მხარეზეა სიმართლე. ფრანკები წარმოადგენენ ხოლმე მათ ხელთ არსებულ დოკუმენტებს მფლობელობაზე, ჩვენს ბრძანებულებებს და მათ საფუძველზე იღებენ ჩვენს სამეფო ბრძანებულებას. შემდეგ ქართველებს მოაქვთ მათ ხელთ არსებული სამეფო ბრძანებულებები, რომელთა საფუძველზე მათთვის იწერება ახალი ბრძანებულება. ყველას, ვინც მოვიდა, ხელთ ჰქონდა დოკუმენტები მფლობელობაზე და ოქმი, რომელთა საფუძველზე იწერება სამეფო ბრძანებულებები. ახლა, როცა მოიტანს ვინმე ოქმს, აღარ ვიცი, დაწერილია ის მიკერძოებით თუ სამართლიანად (სტრ. 6-12).

სულთნისთვის არ იყო იოლი გადაწყვეტილების მიღება იმ პირობებში, როცა გოლგოთის მფლობელობაზე ორივე მხარეს ჰქონდა სათანადო დოკუმენტები. ფრანჩესკო სურიახო წერს, რომ ქართველებთან

„ამ ვერაგ ხალხთან, ჩვენ (ფრანცისკელებს – გ.ჯ.) გვქონდა თავის დროზე დიდი სიძნელები და საკითხები კალვარის (გოლგოთის) მთის გამო. ჩვენ წარვეუდგინეთ ბევრი საჩივარი სულთანს, მაგრამ სულთანმა უარი თქვა გადაეჭრა უთანხმოებები, რათა არ მიეყენებინა წყენა არც მათთვის და არც ჩვენთვის“.¹²⁷

კანსავკ ალ-ღავრიმ უბრძანა თავის ნა'იბს იერუსალიმში, რომ სუნიტური ისლამის ოთხი მაზჰაბის, ე.ი. საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის: ჰანაფიტების, შაფიიტების, ჰანბალიტებისა და მალიქიტების ყადიების (მოსამართლეების), ორი მხარის უხუცესებისა და მოწმეთა თანდასწრებით გასცნო-

¹²⁷ Suriano, *Treatise of the Holy Land*, 87.

ბოდა თითოეული მხარის (ქართველებისა და ფრანცისკელების) ინფორმაციას, განეხილა მათ ხელთ არსებული დოკუმენტები მფლობელობაზე და შარიათის ოქმები. ვისი სიმართლეც დადასტურდებოდა, ის დაიმსახურებდა მფლობელობას და სადავო ადგილი კანონიერი გზით, მიუკერძოებლად დაუმტკიცდებოდა. სხვას კი ჩამოერთმეოდა და კანონიერი მფლობელების წინააღმდეგ ძალადობა აეკრძალებოდა. ხოლო, როცა მომზადდებოდა ოქმი, არ უნდა ყოფილიყო აცილება და უარყოფა იმისა, რაც დაინერა და ექნებოდა თითოეულ მხარეს ის, რისი უფლებაც ჰქონდა (სტრ. 12-19).

ამრიგად, ალ-ღავრიმ საკითხის საბოლოოდ გადაჭრა იერუსალიმში ისევ თავის ნაცვალს – იუსუფ ალ-აშრაფის მიანდო და როგორც ქვემოთ ჩანს, საქმეში ჩაერია ფრანცისკელთა ფული.

იუსუფ ალ-აშრაფიმ, როგორც ეს წესი იყო, ბრძანებულება ისევ „მიიღო სმენით და მორჩილებით“, შეხვდა იერუსალიმსა და მის ოლქში შარიათის განაჩენთა ზედამხედველს, მუსლიმთა მუფთის – აბუ აბდ ალლაჰ მუჰამმად ატულკი ალ-მალიქის და ‘ალიმების, მონმეების, ღვთისმოსავეების და სხვათა თანხლებით გაემართა გოლგოთისკენ. აქ მათ შეუერთდნენ ქართველები: ბენა ჩოლოყაშვილი, ჯვრის მონასტრის მეჭურჭლე, ბენა ჩოლოყაშვილის მოციქული სულთანთან – აბრაამ ილიასის ძე, ბერი საბა იოსების ძე, ქართველთა ქრისტიანული თემის თარჯიმანი იერუსალიმში ნიკოლოზ გიორგის ძე, დაქუჯას(?) ვაჟი.¹²⁸ ფრანცისკელთა ქრისტიანულ თემს წარმოადგენდნენ: სიონის მონასტრის წინამძღვარი ფრანსის იაკობის ძე, გარდიანი (წმინდა მიწის მეურვე) – იგივე ფრანჩესკო სურიანო, მონასტრის ვიკარი – ბერი ჯოვანი, ფრანცისკელთა თარჯიმანი – ჯირჯის კუზმას ძე და სხვ. (სტრ. 20-33).

საქმის გარჩევა საკმაოდ რთული აღმოჩნდა. დაიწყო დავა, როცა მხარეები თავგამოდებით იცავდნენ თავიანთ სიმართლეს იმ სამეფო ბრძანებულებების მიხედვით, რომლებიც დაინერა თითოეული რელიგიური თემის ინფორმაციის საფუძველზე. იმის გამო, რომ ერთი რომელიმე მხარის უპირატესობის გამოვლენა გაძნელდა, სულთნის ნა’იბი და ოთხი მაზჰაბის ყადიები იძულებული იყვნენ ჩარეულიყვნენ დავაში და მოუწოდებდნენ მოდავეებს, დაეახლოებინათ თავიანთი პოზიციები (სტრ. 34-38-ე). საბოლოოდ, მოდავე მხარეებმა, ბენა ჩოლოყაშვილისა და ფრანჩესკო სურიანოს ხელმძღვანელობით, დავას და ჩხუბს, შერიგება არჩიეს. გადაწყდა, რომ ქართველებს – გოლგოთის ჩრდილოეთი მხარის, ხოლო ფრანცისკელებს სამხრეთის სამლოცველოები დარჩებოდათ. თაღების სვეტებს შორის მთელ სივრცეზე თითოეული თემის ფულით გაკეთდებოდა ხის გამყოფი მოაჯირი.¹²⁹ თითოეული რელიგიური თემი დამოუკიდებლად გაანათებდა, გაან-

¹²⁸ ბენა ჩოლოყაშვილის გარდა, დავაში მონაწილე დანარჩენი ქართველები სხვა წყაროებში მე არ შემხვედრია.

¹²⁹ ეს მოაჯირი დასტურდება XVI საუკუნის ოსმალთა ხანის იმ არაბულ დოკუმენტებში, რომლებიც ეხება ფრანცისკელებისა და ქართველების დავას გოლგოთის გარშემო. გარდა

ყოფდა და მორთავდა თავის მხარეს (სტრ. 41-45). გოლგოთის ქვედა დონეზე (ადამის სამლოცველოში) ორივე თემის ფულით გაკეთებოდა კარები, ურდულითა და ორი გასაღებით თითოეული თემისთვის. აქედან ისინი ქვის კიბით ავიდოდნენ გოლგოთის ზედა დონეზე. ფრანკებისთვის ეს მხოლოდ ქართველების მხრიდან იყო შესაძლებელი (სტრ. 45-52). ქვემოთ არ დაიდებოდა რაიმე ნივთი, ან მორთულობა, მხოლოდ ქართველები დაკიდებდნენ იქ კანდელს. (სტრ. 46, 48).

ოქმში ნათქვამია, რომ ეს შეთანხმება თითოეული თემიდან „კანონიერი ჩვენებით“, მოსამართლის წინაშე დაამონმეს ზემოხსენებულებმა ბინა ბეგმა, ე.ი. ბენა ჩოლოყაშვილმა და ფრანსისმა, ე.ი. ფრანჩესკო სურიანომ და დაადასტურეს მოწმეებმა. გადანყდა, რომ მას, ვინც მომავალში სადავოს გახდიდა ამ გადანყვეტილებას, დაეკისრებოდა იმ თარიღში მიმოქცევაში არსებული 1000 აშრაფის ოქროს დინარის¹³⁰ გადახდა (სტრ. 54-56-ე).

გოლგოთისათვის ბრძოლის მესამე რაუნდი კომპრომისით დასრულდა.

მის ზედა ნაწილში აღდგა სტატუს-კვო, ის ვითარება, რომელიც 1491 წლის შარიათის სასამართლომ დაადგინა. მაგრამ 1513 წელს ამ გადანყვეტილებით უკმაყოფილო იქნებოდნენ როგორც ბენა ჩოლოყაშვილი, ისე – ფრანჩესკო სურიანო. ამ უკანასკნელმა, რომელიც ვერ იტანდა ქართველებს, თავის ტრაქტატში დანერა:

„ქართველების უუნარობის გამო, იმედი მაქვს, [ფრანცისკელი] ძმები მალე მიიღებენ იმას, რაც სურთ, არცთუ უსაფუძვლოდ“.¹³¹

ფრანცისკელებს და მათ მეთაურს ფრანჩესკო სურიანოს მართლაც ჰქონდათ საფუძველი, ეფიქრათ, რომ მიიღებდნენ, რაც სურდათ. ეს იყო მთელი გოლგოთა. მაგრამ ამას სრულიადაც არ განაპირობებდა უუნარობა ქართველებისა, რომლებიც მინიმალური შესაძლებლობებით მაქსიმუმს აღწევდნენ და კიდევ დიდხანს ინარჩუნებდნენ ჯვრის აღმართვის სამლოცველოს გოლგოთის ჩრდილოეთ ნაწილში. ფრანცისკელთა ზურგს უკან იდგნენ ვენეციის რესპუბლიკა და საფრანგეთი, რომელთაც ანგარიშს უწევდა სულთანს. ამასთან, იერუსალიმში სასამართლო დავაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ფული. ფრანჩესკო სურიანო, რომელიც აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ფრანცისკელებს წაართვეს უფლება ევლოთ თავიანთ სამლოცველოში გოლ-

ამისა, მას იხსენიებს არსენი სუხანოვიც. Арсений Суханов, “Проскинтарий, 1649-1653 гг”, *Православный палестинский сборник*, том VII, выпуск третий (СПб, 1889), 151.

¹³⁰ იგულისხმება სულთან ალ-აშრაფ ბარსბეის მიერ 1425 წელს მოჭრილი მაღალხარისხოვანი ოქროს მონეტა (3.4 გ), რომელსაც უნდა შეეცვალა დუკატი. ის საუკუნის განმავლობაში იყო მიმოქცევაში და უპირატესობა ენიჭებოდა ვაჭრობაში. Jere L. Bacharach, “The Dinar versus the Ducat,” *International Journal of Middle East Studies*, vol. 4, No. 1 (Jan. 1973), 77-96; Wan Kamal Mujani, “The Monetary System From Historical Perspectives (A special reference to the Kingdom of Mamluk from the period 872-922 A.H./1468-1517 A.D. that utilizes Islamic Monetary System).” <http://www.ialsnet.org/meetings/business/KamalWan-Malaysia.pdf>.

¹³¹ Suriano, *Treatise of the Holy Land*, 87.

გოთაზე, დაამტკრიეს იქ მათი საკურთხეველი და კანდელები, დაუფარავად წერს,

„მე ქართველებს მთელი წელი ვედავებოდი და თუმცა **ბევრი ფული** (ხაზგასმა ჩემია – გ.ჯ.) დაიხარჯა, უფლის წყალობით, ჩვენ არა მარტო დავიბრუნეთ ის (სამლოცველო-გ.ჯ.), არამედ მე წავართვი ის ეკლესიაც, რომელსაც ვფლობდით ხსენებული [კალვარის] მთის ძირში, სადაც არის საფლავები მეფე ბალდუინისა და მისი შვილისა,¹³² რომელმაც დაიპყრო წმინდა მიწა, უფლისა და კათოლიკე ერების საქებრად და სადიდებლად“.¹³³

ფული, რომელიც უხვად ჰქონდათ კათოლიკე ფრანცისკელებს, სამწუხაროდ, უჭირდათ ქართველებს. ფრანჩესკო სურიანო წერს, რომ ქართველებს ვალად დაედოთ 1500 დუკატი,¹³⁴ რომელიც სარგებლით აიღეს.¹³⁵ ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო.¹³⁶

რომ არა სურიანოს აღიარება, გარეგნულად ობიექტური შარიათის სასამართლო პროცესის ოქმიდან ვერასდროს გავიგებდით, ვერც სურიანოს მიერ დახარჯული „ბევრი ფულის შესახებ“ (რაც უეჭველად მოწმეთა და მოსამართლეთა მოსყიდვა-მოქრთამვისთვის იყო გამიზნული),¹³⁷ და ვერც ქართველთა სამონასტრო თემის ვალზე.

მაგრამ ფრანჩესკო სურიანომ სასამართლოსგან მხოლოდ ნაწილობრივ მიიღო სასურველი გადაწყვეტილება. მან აღადგინა სტატუს-კვო გოლგოთის ზემო ნაწილში, მაგრამ სინამდვილეს არ შეეფერება ის, რომ დაიბრუნა ეკლესია კალვარის მთის ძირში, ესე იგი ადამის სამლოცველო, სადაც იყო ლათინი მეფეების საფლავები. სამლოცველო/ეკლესია გოლგოთის ძირში, როგორც

¹³² ადამის სამლოცველოში დასაფლავებული იყო იერუსალიმის სამეფოს პირველი გამგებელი გოდფრეი ბულონელი (1199-1110), ბალდუინ II (1118-1113) და იერუსალიმის სხვა მეფეები. Duckworth, *The Church of the Holy Sepulchre*, 233; Zehava Jacoby, “The Tomb of Baldwin V, King of Jerusalem (1118-1186),” *Gesta*, XVIII, 2 (1979), 3; Pringle, *The Churches*, 16-17. ეს საფლავები დაიკარგა 1810 წელს ჩატარებული რესტავრაციის დროს.

¹³³ Suriano, *Treatise of the Holy Land*, 51, შენ. A.Bindon-ის რედ.

¹³⁴ დუკატი ვენეციური ოქროს ფულია (წონა – 3.5 გ, სინჯადობა – 23,5 კარატი). В. В. Зварич, *Нумизматический словарь*, издание четвертое (Львов, 1980), 71. წერილობითი წყაროებით, დუკატი ფართოდ გამოიყენებოდა ეგვიპტის ფულის მიმოქცევაში 1399 წლიდან. Bacharach, “The Dinar versus the Ducat,” 79.

¹³⁵ Suriano, *Treatise of the Holy Land*, 87.

¹³⁶ აღსანიშნავია, რომ ვენეციის სენატმა დომენიკო ტრევიზანს, როგორც ელჩს, პირველი 6 თვის მანძილზე თვიურ სარგოდ დაუნიშნა 300 დუკატი, ხოლო ყოველ მომდევნო თვეში – 150 დუკატი. Setton, *The Papacy and the Levant*, 27.

¹³⁷ რენე ჟანენი, თავად კათოლიკე, არ მალავს, რომ ფრანჩესკო სურიანომ ქრთამი არ დაიშურა: „მან სრული ერთი წელიწადი დავას მოანდომა კათოლიკეების უფლებათა დაცვა-აღდგენისათვის ადგილობრივი მმართველობის წინაშე, რომლის მოხელეებს ამისთვის ხშირად დიდძალ საჩუქრებს აძლევდა... სურიანომ ქრთამის წყალობით ადამის სახელწოდების პატარა ეკლესიაც ჩამოართვა ქართველებს“. Janin, “Les Géorgiens a Jérusalem,” 36; ჟანენი, „ქართველები იერუსალიმში“, 11.

ზემოთ ჩანს, არ გადასულა ფრანცისკელთა ხელში. ეს უფრო სურვილი იყო ფრანცისკელთა თემის ხელმძღვანელისა, ვიდრე რეალობა. მათ, ქართველების მსგავსად, მიიღეს ურდულის გასაღები და ქვის კიბით ზედა ნაწილში ასვლის უფლება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველებმა ეს აღიქვეს როგორც გოლგოთის წართმევა. ასეა ჯვრის მონასტრის ერთ ალაპში, რომელიც იუნყე-ბა, რომ სამცხე-საათაბაგოდან იერუსალიმს ჩასულმა ზაქარია კუმურდოელმა „ფრანგთაგან“ წართმეული გოლგოთა ოთხას ფლურად¹³⁸ დაიხსნა და ამით „დიდი საქმე ქნა“.¹³⁹ უეჭველია საქმე ეხება ადამის სამლოცველოს, გოლგოთის ქვედა დონეზე, ვინაიდან, 500 ფლურით, საეჭვოა მთელი გოლგოთის საკითხი მოგვარებულიყო. ზუსტი თარიღი არა გვაქვს, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც 1514 წელს იერუსალიმი დატოვა ბენეა ჩოლოყაშვილმა, მანამდე, ვიდრე 1516 წლის ზაფხულში დაიწყებოდა ოსმალთა ექსპანსია მამლუქთა წინააღმდეგ.

გ. ფერაძემ აჩვენა, რომ გოლგოთის ძირში სხვადასხვა სახელით მოხსენიებული სამლოცველო (Chapel) უპირატესად ქართველთა ხელთ იყო. ის იხსენიება სხვადასხვა სახელით: სამლოცველო გოლგოთის ან კალვარის მთის ძირში, სამლოცველო, სადაც დაიკრძალა ადამი, სამლოცველო, სადაც, დაკრძალულნი არიან ლათინთა მეფეები, წმ. ღვთისმშობლისა და წმ. იოანე მახარებლების სამლოცველოები, წმ. იოანე ნათლისმცემლის სამლოცველო და სხვ.¹⁴⁰ ერთი საუკუნის შემდეგაც კი, 1615 წელს, თანადროულ წყაროში აღნიშნულია, რომ „პალესტინის დასავლეთელი მეფეების გოტფრიდ ბულონელის და მისი ძმის ბალდუინის საფლავები წმ. იოანე მახარებლის ქართულ სამლოცველოშია“.¹⁴¹

არასასურველი რეალობა კიდევ უფრო აძლიერებდა ფრანჩესკო სურიანოს სიძულვილს ქართველებისადმი. მის ტრაქტატში ქართველები, რომლებიც მი-

¹³⁸ ფლურს ქართველები უწოდებდნენ ფლორინს (ლათ. florenus), მაღალხარისხოვან ოქროს მონეტას (წონა – 3,537 გ), რომლის მოჭრაც თავდაპირველად ფლორენციაში დაიწყეს 1252 წელს. Зварич, *Нумизматический словарь*, 173-74.

¹³⁹ ნ. მარი, *ალაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმს შინა* (სპბ, 1914), №17ა; შარაშიძე. „საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.)“, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 30 (თბილისი, 1954), 212; მეტრეველი, *მასალები*, 81, №18 (M-17), 122; მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, 113-14. ზოსიმე კუმურდოელმა თან ჩამოიტანა ყვარყვარე ათაბაგის (1416-1498) შვილიშვილის ქეთონყოფილი ქრისტინეს საქონელი, რითაც დაიხსნა გოლგოთა. ქრ. შარაშიძის აზრით, ქეთონ-ქრისტინე გარდაიცვალა, არაუადრეს, 1511 წლისა, საფიქრებელია, 1514 წლის მიწურულში ან 1515 წლის 5 ივნისამდე (იქვე, 211, 215). იხ. აგრეთვე, მამისთვალისვილი, *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 105.

¹⁴⁰ Gregory Peradze, „An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine,“ *Georgica. A Journal of the Georgian and Caucasian Studies. Rustaveli Volume. Nos 4&5 (Autumn 1937)*, 217-18; გრიგოლ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ (თბილისი, 1995), 95.

¹⁴¹ La pelerin veritable de la Terre Sainte (Paris, 1615), 287, დამონებულია: Peradze, „An Account of the Georgian Monks,“ 202; ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 63.

სივე სიტყვებით, „ლამაზი ხალხია და ძალზე ამაყნი“, ამავე დროს, დახასიათებულნი არიან უარყოფითად,¹⁴² როგორც

„ყველაზე უარესი მწვალელები ბერძნებივით, ერთნაირნი სიბოროტით. ისინი ცხოვრობენ დიდ გაჭირვებაში, არიან ღვინის დიდი მსმელები, უხეში და გაუთლელი ხალხი, ჩვენი დიდი და მთავარი მტრები ბერძნებივით და ჩვენ გვაქვს მრავალი დავა მათთან, განსაკუთრებით ჩემი მეორე მეურვეობის დროს, გოლგოთის მიზეზით, და ბევრი სხვა უთანხმოება და მტრობა“.¹⁴³

ქართველებთან დაპირისპირება ფრანცისკელებისთვის ყველაზე სერიოზული აღმოჩნდა წმინდა ქალაქში ამ უკანასკნელთა დამკვიდრების შემდეგ. 1513 წლის სასამართლო დავამ დროებით დააშოშმინა ფრანცისკელთა და ქართველთა პრეტენზიები, მაგრამ ის განახლდა ოსმალთა ბატონობის დროს, XVI საუკუნის 40-იან წლებში, რაც ცალკე განხილვას საჭიროებს.

აღდგომის ეკლესიის გახსნა და პილიგრიმობის განახლება ერთნაირად შედიოდა საფრანგეთის, ვენეციის რესპუბლიკისა და ქართველების ინტერესებში. იბნ იასის ცნობით, როგორც აღინიშნა, აღდგომის ეკლესია დაიკეტა მხოლოდ ფრანკებისთვის, ზ. პაგანის თანახმად კი – ყველა ქრისტიანისთვის. დომენიკო ტრევიზანის ვიზიტის ერთ-ერთი შედეგი იყო ევროპელთა პილიგრიმობის განახლება წმინდა მინაზე. ეს იყო ვენეციური დიპლომატიის გამარჯვება, თუმცა, ევროპელთა პილიგრიმობა, რომელსაც სულთნის ხაზინისთვის შემოსავალი მოჰქონდა, ეგვიპტის მხარესაც აინტერესებდა. აღმოსავლეთის ქრისტიანებით და მათ შორის ქართველებით, კათოლიკეთა თვალსაზრისით – მწვალელებით, რომლებისთვისაც ასევე დაიკეტა აღდგომის ეკლესია, ვენეციის დიპლომატია, საეჭვოა, დაინტერესებულიყო.

ზემოთ მე მოვიტანე ზ. პაგანის ცნობა იმის თაობაზე, რომ კაიროში გავრცელებული ხმებით, 1512 წლის ივნისში ქართველები (იგულისხმება ბენა ჩოლოყაშვილის ელჩობა) კაიროში მოვიდნენ აღდგომის ეკლესიის გახსნის სათხოვნელად. მართალია, ჩემს ხელთ არსებულ დოკუმენტურ და ნარატიულ წყა-

¹⁴² ფრანჩესკო სურიანოსგან განსხვავებით, არსებობს ქართველთა შესანიშნავი შეფასებები ევროპელთა მიერ, რომლებსაც თავი მოუყარა გრიგოლ ფერაძემ. Peradze, “An Account of the Georgian Monks,” 225, n. 7; ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 124, შენ. 382.

¹⁴³ იმდროინდელი ევროპის მონინავე სახელმწიფოს – ვენეციის რესპუბლიკის წარმომადგენელს (და არა მარტო მას) ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობაზე: „ეს ქართველები ცხოვრობენ მთებში, ხოლო მათი ქვეყანა მდებარეობს ტრაპიზონის მახლობლად – დიდ ზღვაზე... ფილოსოფოსი ამბობს, რომ ყველა ხალხი, რომელიც ცხოვრობს კლდოვან მთებში, არის ჯიუტი, და ცუდი ჩვევების მქონე და ბრძოლის მოყვარული“. ის იძლევა სხვა ცნობებსაც, ხშირად მცდარს, რომლებითაც ასაზრდოებდა თანამედროვეებს: „ქართველები იყენებენ ბერძნულ ასოებს, თუმცა აქვთ საკუთარი, და ასევე ბერძენთა ყველა წეს-ჩვეულებას. ყველა მათგანს აქვს ტონზურა – ღვთისმსახურთ მრგვალი, ერისკაცებს კი – კვადრატული“. Suriano, *Treatise of the Holy Land*, 87.

როებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ამ ხმებს რეალური საფუძველი ჰქონდა. საბოლოოდ, ქართველებისა და აღმოსავლეთის ქრისტიანების ძალისხმევა წარმატებით დასრულდა და მათ ხელახლა დაერთოთ ნება, **გადასახადების გარეშე გაველოთ პალესტინის პორტები და მოელოცათ აღდგომის ეკლესიაში**. ამას გვიჩვენებს ქვემოთ მოტანილი ეპიგრაფიკული მასალა, რომელიც დიდი ხანია გამოქვეყნებულია და რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე უცნობი რჩებოდა ქართულ პალესტინოლოგიაში.

1894 წელს განადგურდა იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის კარების ხელმარცხნივ, კონტრაფორსის თავზე ჩატანებული მარმარილოს ფილაზე ამოკვეთილი სულთან კანსავკ ალ-ღავრის 919 წლის 9 მუჰარრამის/1513 წლის 17 მარტის 10-სტრიქონიანი ბრძანებულება, შესრულებული მამლუქთა გვიანდელი ნასხით. საბედნიეროდ, შემორჩა მისი ანაბეჭდი (ზომა: 1 კვ.მ), რომელიც 1914 წელს მოიძია და 1922 წელს ფრანგული თარგმანითურთ გამოსცა არაბული ეპიგრაფიკის ცნობილმა სპეციალისტმა მაქს ვან ბერშემმა.¹⁴⁴

კანსავკ ალ-ღავრი წინამორბედი სამეფო ბრძანებულებებისა და ალ-მალიქ ალ-აშრაფის (კაით-ბაის) სამეფო დადგენილების საფუძველზე ადგენს, რომ „არ დაეკისროთ ქრისტიანი მელქიტი და იაკობიტი ბერებისა და მონაზვნების თემს არც მუჯიბი, არც ხაფარი და არ შეავიწროონ ისინი წმინდა იერუსალიმის კუმამაში შესვლისას, ისევე როგორც ქართველ და ეთიოპელ ბერებს, არც იაფას ნავსადგურში მათი შესვლისა და იაფადან მათი გამოსვლის დროს, არც ქალაქ ღაზასა და რამლას ლუდში ხმელეთით, ზღვით და ყოველი მხრიდან, იერუსალიმში საპილიგრიმოდ მოსულ ხსენებულ ბერებს და მონაზვნებს. ამ ბრძანებულების იურისდიქცია ვრცელდება წინა წლებიდან ყველა დროზე, მასში სიახლეების შეტანის გარეშე“.¹⁴⁵

ვან ბერშემის თანახმად, არაბ. *მუჯიბ*, რომელიც ითარგმნება, როგორც გადასახადი, მოსაკრებელი, ბაჟი, იყო ის „სულთნის გადასახადი“, რომელსაც პილიგრიმები წინასწარ იხდიდნენ თავიანთი მარშრუტის სხვადასხვა პუნქტში, განსაკუთრებით, აღდგომის ეკლესიის პირველი მონახულების დროს. სანაცვლოდ, ისინი იღებდნენ ხელწერილს, რომელსაც შემდეგ იყენებდნენ საშვის სახით. *მუჯიბი*დან შემოსული თანხა შედიოდა სულთნის ხაზინაში.¹⁴⁶

არაბ. *ხაფარ* ნიშნავს მცველს, დაცვას, ესკორტს, ზადრაგს. *ხიფარა* იყო მოგზაურებისა და ბინადარი მოსახლეობის დაცვა ბედუინთა ძარცვისგან და გარდა ამისა, გადასახადიც.¹⁴⁷

¹⁴⁴ Berchem, *Matériaux pour un Corpus Inscriptionum*, 378-79 (არაბული ტექსტი), 380-84 (ფრანგული თარგმანი კომენტარებით) მ. ვან ბერშემს დახმარება აღმოუჩინა პროფ. A. Jaussen-მა და მართლმადიდებელმა მღვდელმა, პროფ. ანანიამ. ანაბეჭდი წარწერის განადგურებამდე შეასრულა პროფ. ანანიას მამამ.

¹⁴⁵ Berchem, *Matériaux pour un Corpus Inscriptionum*, 381.

¹⁴⁶ იქვე, 388-91.

¹⁴⁷ Etienne Combe, “A Note: Qafar-Khafara,” *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, X (1939), 42.

ბრძანებულება აუქმებდა ამ ორ გადასახადს ხსენებულ პილიგრიმებზე, მათ შორის ქართველებზე და კრძალავდა ძალადობრივი უკანონო ზომების გამოყენებას მათ მიმართ. უკანონობას პილიგრიმები განიცდიდნენ აღდგომის ტაძარში შესვლისას, იაფაში მოსვლა-წასვლისას და ბოლოს ლაზასა და რამლაში, რომელთა გავლით პილიგრიმები მიდიოდნენ იერუსალიმს. სწორედ ამ ქალაქებში ხდებოდა გადასახადების ოდენობის ზრდა, რაც ღრმავდებოდა შანტაჟითა და ყველანაირი შევიწროებით.¹⁴⁸

1513 წლის 17 მარტის ამ ბრძანებულების მსგავსია კანსავკ ალ-ღავრის უფრო ადრე გაცემული 912 წლის 16 მუჰარრამის/1506 წლის 16 ივნისის და 914 წლის 9 მუჰარრამის/1508 წლის 10 მაისის ბრძანებულებები (A და B) სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის არაბული დოკუმენტების კოლექციიდან, რომლებიც 1960 წელს გამოაქვეყნა ჰ. ერნსტმა.¹⁴⁹ კიდევ ერთი, კანსავკ ალ-ღავრის ძმისშვილის ტუმან ბეის 911 წლის 16 მუჰარრამის/1505 წლის 15 ივნისის მსგავსი უცნობი ბრძანებულება მე იმავე კოლექციაში მოვიძიე.¹⁵⁰

მ. ვან ბერშემის მიერ გამოცემული წარწერა ხშირად, თითქმის სიტყვასიტყვით, (გადასახადებთან დაკავშირებით) იმეორებს სულთან კანსავკ ალ-ღავრის ხსენებულ 914 წლის 9 მუჰარრამის / 1508 წლის 10 მაისის B ბრძანებულებას. მაგრამ, მისგან განსხვავებით, ის შექმნილია ახალ კონფესიურ ვითარებაში, როცა დაიკეტა აღდგომის ეკლესია და ქრისტიანული სამყარო დიდ ძალისხმევას მიმართავდა მის გასახსნელად და პილიგრიმობის აღსადგენად.

ჰ. ერნსტის მიერ გამოქვეყნებული 912 წლის 16 მუჰარრამის/1506 წლის 16 ივნისის სულთანის ბრძანებულებიდან ირკვევა, რომ ის დაინერა სინას მთის ბერების: მელქიტების და იაკობიტების თხოვნის საფუძველზე.¹⁵¹ მ. ვან ბერშემის პუბლიკაციიდან ჩანს, რომ 6 ქრისტიანული თემის: მელქიტების, იაკობიტების,

¹⁴⁸ Berchem, *Matériaux pour un Corpus Inscriptionum*, 384.

¹⁴⁹ 912 წლის 16 მუჰარრამის ბრძანებულება იხ. *Die mamlukischen Sultansurkunden des Sinai-Klosters*, Herausgegeben, übersetzt und erläutert von Hans Ernst (Wiesbaden, 1960), 228-31, №LXV (86) (ინგლისური თარგმანი: E. Khedoori, "Charters of Privileges Granted to St. Catherine's Monastery, Mt Sinai" (MA Thesis. Manchester, 1958), 143-45; 914 წლის 9 მუჰარრამის ორი (A და B) ბრძანებულება იხ. *Die mamlukischen Sultansurkunden des Sinai-Klosters*, 234-36, № XVII (23). ჰ. ერნსტს ხსენებული დოკუმენტების გერმანულ თარგმანში დაშვებული აქვს უხეში შეცდომა. ის „ქურჯს“/ქართველს ცვლის „ქურდ“-ით/ქურთით. ამის თაობაზე 1966 წელს მიუთითა ს. შტერნმა S. M. Stern, "Petitions for the Mamluk Period (Notes on the Mamluk Documents from Sinai)," *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, vol. 29 (1966), 235, n. 10; რეპრინტი: *Coins and Documents from the Medieval Middle East*, Variorum Reprints (London, 1986), X, 235, n. 10, ხოლო ქართულ ისტორიოგრაფიაში – ცისანა აბულაძემ, „წმინდა საფლავის მოხილვის ოსმალური კანონი“, *მრავალთავი*, XIX (2001), 378.

¹⁵⁰ 911 წლის 16 მუჰარრამის ბრძანებულება გაცემულია კანსავკ ალ-ღავრის ძმისშვილის – ტუმან ბეის მიერ (Sina, 101). დეტალები ამ ბრძანებულების შესახებ იხ. ჯაფარიძე, ბუაჩიძე, „წმინდა მინაზე ქართული ეკლესიის ისტორიის არაბული დოკუმენტური წყაროები“, 340, შენ. 1.

¹⁵¹ *Die mamlukischen Sultansurkunden des Sinai-Klosters*, 228-30.

კოპტების, ბერძნების, ქართველებისა და ეთიოპელი ბერ-მონაზვნების პეტიცია შეადგინა და სულთნის კარზე წარადგინა მელქიტმა ბერმა სოფრონიუსმა¹⁵² და სულთანმა ის დააკმაყოფილა. დაკმაყოფილდა თხოვნაც, რომ ბრძანებულება, რომელიც მათ პეტიციას პასუხობდა, ამოიკვეთა მარმარილოს ფილაზე და დამაგრდა აღდგომის ეკლესიის კარებთან.¹⁵³

ყველა ქრისტიანი, რომელიც მაქს ვან ბერშემის მიერ გამოცემული კანსავკ ალ-ლავრის ბრძანებულების იურისდიქციაში მოექცა, იყო აღმოსავლეთის ქრისტიანი. ბრძანებულებაში არ იგულისხმება განურჩევლად აღმოსავლეთის ყველა ხალხი. დასახელებულია მხოლოდ ექვსი, მაგრამ არც ეს ექვსი ხალხი იყო ჩაყენებული თანაბარ მდგომარეობაში. მუჯიბისა და ხაფარისგან თავისუფლდებოდნენ მელქიტი და იაკობიტი ღვთისმსახურნი.

მონოფიზიტ იაკობიტებისგან განსხვავებით, მელქიტი ქრისტიანები, რომლებიც არაბულად ლაპარაკობდნენ, იყვნენ ქალკედონიტი-ქრისტიანები. მათი სახელი მომდინარეობს არაბული სიტყვიდან „მალიქ“, რაც მეფეს ნიშნავს. „მალიქი“, ანუ „სამეფო“ იგივე მელქიტი, მეფის, ბიზანტიის იმპერატორის მიმდევარია.¹⁵⁴ მელქიტებმა შეინარჩუნეს ბიზანტიური რელიგიური წეს-ჩვეულებები. მამლუქთა ბატონობის დროს, ორგანიზაციულად ისინი ემორჩილებოდნენ იერუსალიმის მელქიტ პატრიარქს. კანსავკ ალ-ლავრის ამ ბრძანებულების გაცემის დროს, მელქიტთა პატრიარქი იყო დოროთეოს II (დაახლ. 1505-1537).

კანსავკ ალ-ლავრის ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ ქართველი და ეთიოპელი მღვდლები მელქიტებისა და იაკობიტების მსგავს შეღავათს იღებდნენ იაფაში შესვლა-გამოსვლისას, როდესაც გაივლიდნენ ლაზას და რამლას და შედიოდნენ იერუსალიმში, აღდგომის ეკლესიაში. მ. ვან ბერშემი თვლის, რომ შენიშვნა ეხება, უმთავრესად, ქართველებსა და ეთიოპელებს, ვინაიდან მელქიტთა და იაკობიტთა დიდი ნაწილი იერუსალიმში, ანდა ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა და იმისთვის, რათა მოხვედრილიყვნენ აღდგომის ტაძარში, მათთვის არ იყო საჭირო, წასულიყვნენ იერუსალიმში იაფას, ლაზას და რამლას გავლით. ეთიოპელები და ქართველები კი, პირიქით, დიდი რაოდენობით მოდიოდნენ საზღვარგარეთიდან. პირველები – საზღვაო გზით იაფას და რამლას გავლით, მეორენი იმეორებდნენ პირველთა მარშრუტს, ან მოდიოდნენ ეგვიპტიდან და გზად შედიოდნენ ლაზაში. მაშასადამე, ყველაზე მეტად ისინი საჭიროებდნენ მთელი ორი მარშრუტის მანძილზე გადასახადებისგან გათავისუფლებას, რასაც ითვალისწინებდა ბრძანებულება. გარდა ამისა, წერს მაქს ვან ბერშემი, ეს ხალხები (ეთიოპელები და ქართველები) სარგებლობდნენ ავტორიტეტით, რაც დასტურდება მრავალ დოკუმენტში.

¹⁵² Berchem, *Matériaux pour un Corpus Inscriptionum*, 383.

¹⁵³ იქვე, 379-81, 391.

¹⁵⁴ მელქიტების შესახებ იხ. Sidney H. Griffith, *The Church in the Shadow of the Mosques* (Princeton, 2008), 137-139.

და თუ ბრძანებულებაში პირველ რიგში დასახელებული არიან მეღვინეები, ეს იმიტომ, რომ მეღვინეები იყო მღვდელი სოფრონიუსი, უკმაყოფილო ხალხების წარმომადგენელი.¹⁵⁵

ის, რომ ქართველები არ იხდინენ გადასახადებს აღდგომის ეკლესიაში შესვლისას, თანამედროვეთაგან აღნიშნული აქვს ჟან თენოს.¹⁵⁶ თენოს ეგვიპტეში ყოფნის დროს ქართველთა ეს პრივილეგია შეჩერებული იყო და აღდგა მოგვიანებით, 1513 წლის მარტში. საფიქრებელია, რომ თენომ გაითვალისწინა ის ვითარება, რომელიც არსებობდა 1510 წლის ჩათვლით და ეს ცნობა ჩართო თავის წიგნში, რომელიც მოგვიანებით დაიბეჭდა (იხ. ზემოთ).

ყველაზე ადრეული მითითება იმის შესახებ, რომ ქართველები იერუსალიმში შესვლისას არ იხდინენ გადასახადებს, ეკუთვნის აკრას ლათინ ეპისკოპოსს (1217 წ.). ჟაკ დე ვიტრის. ქართველების დახასიათებისას ის წერს: „ისინი შემოდინა წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით და არავის უხდინა ხარკს“. ¹⁵⁷ ეს პრივილეგია, ჩანს, დაკავშირებული იყო საქართველოსა და აიუბიანთა სახელმწიფოს შორის დადებულ 1210 წლის ხლათის საზავო ხელშეკრულებასთან. ¹⁵⁸ ამასთან, გასათვალისწინებელია ე. წ. ომარის პაქტი¹⁵⁹ და მამლუქთა ხანის სხვა

¹⁵⁵ Berchem, *Matériaux pour un Corpus Inscriptionum*, 385.

¹⁵⁶ “Le voyage et itineraire de Frere Jehan Thenaud,” 103. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღდგომის ეკლესია 1510 წლის შემოდგომიდან 2 წლით დაიხურა, ეს ცნობა რეტროსპექტიულად ასახავდა წინა პერიოდის ვითარებას.

¹⁵⁷ “Jacques de Vitry’s History of Jerusalem,” *Palestine Pilgrim’s Text Society*, vol. XI (1896), 84.

¹⁵⁸ თამაზ ნატროშვილი, გოჩა ჯაფარიძე, „ცდა ერთი თარიღის დადგენისა“, *მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია*, 2 (1974), 179.

¹⁵⁹ ომარის (634-644) პაქტი (‘აჰდ ‘უმარ, ან შურუტ ალ-‘უმარიია, „ომარის პირობები“), ხელშეკრულება, რომელიც მან 638 წელს დაუდო იერუსალიმის პატრიარქ სოფრონიუსს ქალაქის უბრძოლველად დაკავების დროს, ეს არის პირობები დამპყრობელ არაბ მუსლიმებსა და დაქვემდებარებულ იერუსალიმის ქრისტიანულ მოსახლეობას შორის. საუკუნეების მანძილზე ომარის პაქტის ტექსტი ახალი დეტალებით ივსებოდა. არსებობს ამ პაქტის ვერსიები არაბ ავტორებთან, სადაც ქართველები არ იხსენიებიან. ამავე დროს, ცნობილია პაქტის სხვა ვერსია, რომლის თითქოსდა არაბული ორიგინალი ამჟამად დაცულია სტამბოლის ფანარის უბანში, ბერძნულ მათლმადიდებლურ ბიბლიოთეკაში, ასლი კი – იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში. ხელშეკრულების ეს ტექსტი იერუსალიმის ქრისტიანებს და პილიგრიმებს უქვემდებარებს ბერძენ პატრიარქს. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ საგადასახადო შეუვალობა ეძლეოდა იერუსალიმის ქრისტიანებს, მათ სალოცავებს და იქ მყოფ სხვა დანარჩენ ქრისტიანთა ჯგუფებს, მათ შორის, ქართველებს და ეთიოპელებს. ომარის პაქტის ამ ვერსიის არსებობის შესახებ ინფორმაცია არის უკვე მამლუქთა ეპოქაში და შემდეგ მას საპატრიარქო ხშირად იყენებდა თავისი უფლებების განსამტკიცებლად წმინდა მიწაზე და არაერთხელ იხსენიება ოსმალთა სულთნების ბრძანებულებებში. ომარის პაქტის შესახებ დიდი ლიტერატურა არსებობს. დავასახელებთ ყველაზე მნიშვნელოვანს: Н.А. Медников, “Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам”, *Православный палестинский сборник*, т. XVII, вып.2 (50), ч.2 (СПб, 1897), 529-613; A.S. Tritton, *The Caliphs and Their Non-Muslim Subjects* (London, 1930), 5-17 და შმდ; Mark R. Cohen, “What

დოკუმენტური წყაროები, რის გამოც ვამჯობინებ ამ საკითხის უფრო დანვრის-
ლებითი განხილვა მომავლისთვის გადავდო.

კანსავკ ალ-დავრის 1513 წლის 17 მარტის ბრძანებულებაში, ბენა ჩო-
ლოყაშვილი არ იხსენიება. მაგრამ უეჭველია, ქართული ქრისტიანული თემი ვერ
შეუერთდებოდა სხვა ქრისტიანთა პეტიციას, ჯვრის მამის – ბენა ჩოლოყაშვი-
ლის თანხმობის გარეშე. კოლექტიური პეტიცია კი, როგორც ითქვა, წარადგინა
მელქიტმა ბერმა სოფრონიუსმა.

●

წყაროებსა და სპეციალურ ლიტერატურაში მე არ შემხვედრია რაიმე ცნობა
იმის თაობაზე, რომ ქართველებს ოდესმე მონაწილეობა მიეღოთ ქრისტიანთა
მთავარი ტაძრის – ალდგომის ეკლესიის კარების გაკეთებაში.¹⁶⁰ დღემდე ერთა-
დერთი იყო ლაკონიური ცნობა თავად ბენა ჩოლოყაშვილისა, რომელიც თავის
დამსახურებად თვლიდა იმას, რომ „კარნი“ შეაბა „ალდგომას“. როგორც ზემოთ
აღინიშნა, ეს მომხდარა 1514 წელს, სამშაბათ დღეს, „მეორეს ჟამსა ღამისასა“,
თვისა და რიცხვის დასახელების გარეშე.

ე. მამისთვალიშვილი, რომელიც უეჭველად მიიჩნევს ფრანჩესკო სუ-
რიანოს ცნობას, რომ ფრანცისკელებს ჯვარცმის ეკლესია წაართვეს,
დაამტვრიეს მათი საკურთხეველი და ლამპრები 1510 წელს, სწორედ ამ ამ-
ბავს უკავშირებს ალდგომის ეკლესიისთვის კარების შებმასაც და ბენას
სიჩქარეს შუაღამისას ხსნის ფრანგებთან შეხლა-შემოხლით. მკვლევარი რა-
ტომლაც არ ითვალისწინებს ბენა ჩოლოყაშვილის მიერ დასახელებულ თა-
რიღს – 1514 წელს.¹⁶¹

თავდაპირველად ვფიქრობდი, რომ ბენამ კარები შეაბა ალდგომის ტაძარში
გოლგოთის ქვედა ნაწილის შესასვლელს, საიდანაც კიბე მიემართებოდა ზევით,
ფრანცისკელთა სამლოცველოსკენ, რათა დაებრკოლებინა ფრანცისკელთა მოძ-

was the Pact of ‘Umar? A Literary-Historical Study,” *Jerusalem Studies in Arabic and Islam*, 23 (1999), 100-57; Milka Levy-Rubin, “Shurut ‘Umar and its Alternatives: The Legal Debate on the Status of the Dhimmis,” *Jerusalem Studies in Arabic and Islam*, 30 (2005), 170-206; Albrecht Noth, “Problems of Differentiation Between Muslims and Non-Muslims: Re-Reading the ‘Ordinances of ‘Umar’ (Al-Shurut al-‘Umariyya),” *Muslims and Others in Early Islamic Society*, ed. by Robert Hoyland (Aldershot, 2004), 103-24; Maher Y. Abu-Munshar, *A History of Tolerance and Tensions* (London, 2007), 55-80. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში იხ. მაია სტეფნაძე, „ქართველთა მდგომარეობა იერუსალიმის წმინდა მიწაზე VII-XVII საუკუნეთა საერთა-შორისო აქტების მიხედვით“, *ქართული დიპლომატია*, 5 (1998), 436-38; მისივე, „საქართველო და ეთიოპია: აბრეშუმის გზის ორი რგოლი (VII საუკუნის არაბული სიგელების ფონზე)“, *კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები*, XIII (2002), 159-162; მისივე, „ქართველთა სტატუსის წმინდა მიწაზე VII საუკუნის აქტინამეს მიხედვით“, *ქართული დიპლომატია*, 9 (2002), 362-367, 377-381.

¹⁶⁰ იხ. მაგალითად, Sabino De Sandoli, *Chiesa del S. Sepolcro—chiavi porte portinai* (Jerusalem, 1986).

¹⁶¹ მამისთვალიშვილი, *ქართველები და ბიბლიური სამყარო*, 61.

რაობა. მაგრამ შემდეგ გამოვლინდა სულთან კანსავჰ ალ-ლავრის 919 წ. 26 ზუღა-კა'დას/ 1514 წ 23 იანვრის ბრძანებულება¹⁶² (სულ 27 სტრიქონი), საიდანაც ჩანს, რომ საქმე სწორედ აღდგომის ეკლესიის კარებს ეხება.¹⁶³

ბრძანებულებიდან ირკვევა, რომ იერუსალიმის გამგებელს სულთნისთვის გადაუგზავნია ქართული სამონასტრო თემის თხოვნა, განეახლებინათ აღდგომის ეკლესიის (*კუმამა*) ხის დაღრღნილ-დამტვრეული კარები, რომლითაც ქრისტიანები ტაძარში თავისუფლად შედიოდნენ და გამოდიოდნენ, მაშინ, როცა იქ არსებული ნივთები დაუცველი იყო (სტრ. 11-13). ბენა დასახელებული არ არის, მაგრამ, როგორც ჯვრის მამა და იმ დროს ქართველთა სამონასტრო თემის მეთაური, უეჭველია, თხოვნის ინიციატორი სწორედ ის იყო.

იმ პერიოდში, ისევე როგორც დღეს, აღდგომის ეკლესიას ჰქონდა ერთი კარიბჭე – გაჭრილი სამხრეთის ფასადში, რომლის მარჯვენა ნაწილი XII საუკუნის მიწურულს ამოქოლეს.¹⁶⁴ სწორედ სამხრეთის ფასადიდან სურდა კარების შებმა აღდგომის ტაძრისთვის ბენა ჩოლოყაშვილს.

სულთანმა კანსავჰ ალ-ლავრიმ უბრძანა თავის ნა'იბს იერუსალიმში, რომ გამოეცა კურთხეული ბრძანება, მოენვია მთავარი ყადი და ისლამის შეიხები, განეხილა ქართული თემის თხოვნა და მიეცა მათთვის უფლება აღდგომის კარების შეკეთებისა (სტრ. 14-15).

სულთანი მოითხოვდა, რომ ნა'იბს წაეყვანა „მფარველობის ქვეშ მყოფი ხალხი“, ე.ი. ქრისტიანები, მათ შორის ქართველები, რომლებიც წამოიღებდნენ საჭირო სიგრძე-სიგანის და სისქის ხის ფიცრებს. საჭირო იყო დასწრება მუსლიმი მოსამართლეების – ყადიების წარმომადგენლისა და მუსლიმი ხუროთმოძღვრისა, რომელიც შეასრულებდა ამ საქმეს (სტრ. 16-18, 20-21). ამ შემთხვევაში მოქმედებდა ისლამური სამართლის ის ნორმა, რომელიც არ უშვებდა რაიმე სიახლის შეტანას საკულტო ნაგებობების განახლების დროს. ახალი კარები ძველის ანალოგიური უნდა ყოფილიყო, „მორთულობის გარეშე“ (სტრ. 17). სწორედ ამისთვის იყო აუცილებელი ხუროთმოძღვრის ყოფნა.

სულთანი ითხოვდა, რომ კარების დაკიდების შემდეგ, ზემოდასახელებულ პირთა თანდასწრებით დაწერილიყო ოქმი, რომელიც გადაიგზავნებოდა მის კარზე და „ეცნობებოდა მის სამეფო ცოდნას“ (სტრ. 39).

1514 წლის 23 იანვარი იყო ორშაბათი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კაიროდან იერუსალიმში კურიერის ჩასვლას და ბრძანების შესრულებას დრო

¹⁶² იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, №VII.B.2.27.

¹⁶³ ასეთივე თვალსაზრისი იხ. ცერაძე და გაგოშიძე, *იერუსალიმი*, 20.

¹⁶⁴ Duckworth, *The Church of the Holy Sepulchre*, 219. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სამხრეთის ფასადის ამ მთავარი კარის შესახებ იხ. გიორგი გაგოშიძე, „ქართველ მლოცველთა წარწერები იერუსალიმის უფლის საფლავის კარიბჭეზე“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1 (1992), 136-137.

უნდოდა, სავარაუდოდ, აღდგომის კარების შეცვლა მოხდა, არა უადრეს 1514 წლის თებერვლისა – ამ თვის რომელიმე სამშაბათს.

ზუსტი ახსნა იმისა, თუ რატომ შეაბეს აღდგომის ეკლესიას კარები მაინცდამაინც შუალამეს, ძნელია. კონფლიქტურ სიტუაციაზე საუბარი ზედმეტია, რადგანაც საქმე ეხებოდა აღდგომის ეკლესიის მთავარ შესასვლელს და კარების შებმის საკითხი სანქცირებული იყო თავად სულთან კანსავჰ აღ-ღავრის მიერ. ისლა დამრჩენია ვიფიქრო, რომ საჭირო სამუშაოები დღისით ხელს შეუშლიდა ეკლესიაში მლოცველთა შესვლას და, ამ მხრივ, შუალამე უფრო მოსახერხებელი დრო იყო.

აქვე მინდა შევეხო ერთ ცნობას, რომელიც, შესაძლოა, უკავშირდება აღდგომის ეკლესიისთვის ახალი კარების შებმას. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ერთი ქართული ხელნაწერის (Jer. №36) მინაწერი 314-ე გვერდზე, რომელიც 1806 წელს შეუსრულებია ჯვრის მონასტრის მღვდელს, ოკრიბელ ლავრენტი გოგელაძეს, გვამცნობს, რომ „იერუსალიმს ხის კარები აბია კვიპაროზის, და ზედ ქართველი გიორგი მეფე სწერია, სცანთ და იძიენით“.¹⁶⁵

ამ ცნობაში იგულისხმება იერუსალიმის აღდგომის ეკლესიის მთავარი კარები, რომელიც ძვირფასი საამშენებლო ხისგან, კვიპაროსისგან იყო დამზადებული. მაგრამ ღიად რჩება „ქართველი გიორგი მეფის“ ვინაობა.

გრიგოლ ფერაძის სიტყვები რომ გავიმეორო, „სამწუხაროდ, ლავრენტიმ დანვრილებით არ გამოიკვლია ეს საკითხი“.¹⁶⁶ სამაგიეროდ, მან სხვებს მოუწოდებდა, „სცანთ და იძიენით“-ო, მაგრამ, სულ რაღაც ორი წლის შემდეგ, 1808 წლის დიდმა ხანძარმა აღდგომის ეკლესიაში ტაძრის კარები წარწერიტურთ გაანადგურა და მეფის იდენტიფიკაციის საკითხი ღიად დარჩა. ამჟამად შეიძლება ვივარაუდო, რომ იმ დროს, როდესაც ბენამ აღდგომის ტაძარს „კარნი“ შეაბა, ეს წარწერაც მან გააკეთებინა და ხსენებული „გიორგი მეფე“ – მისი პატრონი კახეთის მეფე ავგიორგია, რომლის ცოდვების შენდობასაც, იერუსალიმის სხვადასხვა ხელნაწერის მინაწერში, უფალს შესთხოვდა ბენა ჩოლოყაშვილი.¹⁶⁷



ეგვიპტის სულთნის ბრძანებულებებში არაერთხელ მეორდება სულთნის მოთხოვნა, რომ არ განახლებულიყო ქართველების შევიწროება, მოქცეოდნენ მათ სამართლიანად და მოწყალებით, დაეცვათ მათი ბალები და ზვრები,

¹⁶⁵ მარი, *იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავის ხელნაწერების მოკლე აღწერილობა*, 44, მე-2 მინაწერი; Robert P. Blake, *Catalogue des manuscrits Georgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque a Jérusalem* (Paris, 1924), №36; Peradze, “An Account of the Georgian Monks,” 239, n. 3; ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 130-31, შენ. 394 და 395; გაგომიძე, „ქართველ მლოცველთა წარწერები“, 137; მისივე, „წმინდა მიწის ქართული წარწერები“, *Academia. ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი*, ტომი 5(A) (2003), 36.

¹⁶⁶ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 131.

¹⁶⁷ მარი, *იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავის ხელნაწერების მოკლე აღწერილობა*, 35-36.

მიეცათ მათთვის შესაძლებლობა, აღედგინათ თავიანთი მონასტრები – ახლის აშენების გარეშე (სტრ. 13-20).

ასეთი მოთხოვნა განპირობებული იყო იმით, რომ იერუსალიმის ადგილობრივი ხელისუფლება და კერძო პირებიც დროდადრო არღვევდნენ ქართული სამონასტრო თემის უფლებებს. ამის თაობაზე მე მომეპოვება მამლუქთა ხანის დოკუმენტები. სულთნის ბრძანებულებები საშუალებას აძლევდა ბენა ჩოლოყაშვილს, დროებით მაინც, აღეკვეთა ძალმომრეობის შესაძლებელი აქტები ქართველი პილიგრიმების, ქართული სამონასტრო თემის ქონებისა და მეურნეობის მიმართ, გარდა ამისა, შეეკეთებინა ქართველების კუთვნილი ეკლესია-მონასტრებიც. ვფიქრობ, რომ პირველ ყოვლისა, ეს ეხებოდა იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერს, თუმცა სხვა ცნობა ამის თაობაზე არ გაგვაჩნია. გარდა ამისა, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის №132 ნუსხის ანდერძი იუწყება, რომ ბენა ჩოლოყაშვილს განუახლებია წმ. თევდორეს ეკლესია-მონასტერი და მონასტრის ბიბლიოთეკის შევსებაზეც უზრუნია.¹⁶⁸

კიდევ ერთი მხარე ბენა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობისა იყო რთული და მძიმე საქმე, იერუსალიმის ქართული ხელნაწერების „შეკაზმვა“, ანუ ყდაში ჩასმა.¹⁶⁹ დ. კლდიაშვილის თანახმად, გამორიცხული არ არის, რომ ბენას ჯვრის მამობის დროს შეიკაზმა წმ. თეკლას მონასტრის კუთვნილი ოთხთავი (Jer.Georg.161), რასაც ადასტურებს მისი ანდერძი ოთხთავის ხელნაწერზე.¹⁷⁰



ბენა ჩოლოყაშვილი, როგორც კახეთის სამეფოს ელჩი და ჯვრის მამა, ეგვიპტესა და იერუსალიმში იმყოფებოდა 1512-1514 წლებში. მას ჰქონდა დაპირისპირება სომხურ საპატრიარქოსთან წმ. იაკობის ეკლესიის გამო. ბენა ჩოლოყაშვილი ლაკონიურად წერს იმ სიძნელეებზე, რომლებიც ამ დროს შეხვდა: „დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა ცოდვილსა ბენასა ძმანო“, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე და პრინციპული იყო დავა ფრანცისკელებთან გოლგოთის მფლობელობაზე.

ბენა ჩოლოყაშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ დაეცვა და განემტკიცებინა ქართული სამონასტრო თემის ინტერესები. ის დაუპირისპირდა ფრანცისკელებს, რომლებსაც ზურგს უმაგრებდნენ პოლიტიკურად და ფინანსურად შეუდარებლად მძლავრი ვენეცია და საფრანგეთი. ძალები

¹⁶⁸ თინათინ ცერაძე, „ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ“, *Academia, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი*, ტომი 5 (A) (2003), 47-48.

¹⁶⁹ მენაბდე, *ძველი ქართული მწერლობის კერები*, 113; მაია კარანაძე, *ქართული წიგნის ყდის ისტორია* (თბილისი, 2002), 38, 42, 44.

¹⁷⁰ დარეჯან კლდიაშვილი, *სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატეანე* (თბილისი, 2008), 126, 131.

არათანაბარი იყო. ბენა ჩოლოყაშვილს ნამდვილად არ ექნებოდა ისეთი ფინანსური შესაძლებლობები, რითაც შთაბეჭდილებას მოახდენდა იერუსალიმში სულთნის ნა'იბსა და შარიათის სასამართლოზე. ხოლო კათოლიკურ ევროპასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება, მიუხედავად ქართველები-სადმი კეთილგანწყობისა, ეგვიპტის სულთნისთვის პრიორიტეტული იყო.

ერთი მხრივ, კათოლიკე ფრანცისკელთა დიდმა ფულმა და ქრთამმა, ხოლო მეორე მხრივ, ეგვიპტის მამლუქთა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ინტერესებმა, საშუალება არ მისცა ბენა ჩოლოყაშვილს ქართველების სასარგებლოდ საბოლოოდ გადაეჭრა გოლგოთის საკითხი, თუმცა მან შეინარჩუნა სტატუს-კვო ამ წმინდა ადგილის ნაწილში და პერსპექტივაში შეუნარჩუნა ის მართლმადიდებელ ქრისტიანებსაც.

შეიძლება ითქვას, რომ წმინდა ადგილებისთვის ბრძოლაში ქართველებს პრაქტიკულად მოკავშირე არ ჰყავდათ.

სომხები, ფრანჩესკო სურიანოს ცნობით, იყვნენ ბერძნებისა და ქართველების მოსისხლე მტრები.¹⁷¹ რაც შეეხება ბერძნებს, ისევ სურიანოს თანახმად, ყველა სხვა ქრისტიანი ხალხი გამოდიოდა ამ „ვერაგი მწვალებლების“ წინააღმდეგ, ქართველების გარდა.¹⁷² მიუხედავად ამისა, გოლგოთისთვის ფრანცისკელებთან დავის დროს, არ ჩანს იერუსალიმის მართლმადიდებლური (მელქიტთა) საპატრიარქოს მხარდაჭერა ქართული სამონასტრო თემისადმი. ის გარეგნულად გულგრილი რჩებოდა გოლგოთის მიმართ, შორიდან ადევნებდა თვალყურს ქართველების უთანასწორო ბრძოლას და ელოდა ხელსაყრელ მომენტს, რათა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა კათოლიკეებთან დაპირისპირება. ეს მოგვიანებით აღასრულა ბერძნულმა მართლმადიდებლურმა საპატრიარქომ. მართალია, ქართულმა სამონასტრო თემმა მელქიტებთან და აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანულ ჯგუფებთან ერთად შეთანხმებულად იმოქმედა აღდგომის ეკლესიაში პილიგრიმოების განახლებისათვის და პილიგრიმთა პრივილეგიების აღსადგენად, მაგრამ ეს იყო იშვიათი შემთხვევა, რასაც საერთო ინტერესები განაპირობებდა.

ბრძოლა გოლგოთის დასაუფლებლად, უკიდურეს შემთხვევაში იქ სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად, ქართული სამონასტრო თემის უკანასკნელი მცდელობა იყო მამლუქთა ბატონობის მიწურულს. მამლუქთა სასულთნო, რომელთანაც ქართველ მეფე-მთავრებს დიდი ხნის მანძილზე საკმაოდ ინტენსიური ურთიერთობები ჰქონდათ, არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა. 1517 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ეგვიპტე და ბოლო მოუღეს მამლუქთა დამოუკიდებელი სასულთნოს არსებობას. წმინდა მიწა შევიდა ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში. ამიერიდან ქართველებს თავიანთი ინტერესების დაცვა უწევდათ ოსმალთა სულთნების კარზე და ადგილობრივ ოსმალთა მოხელეებთან.

¹⁷¹ Suriano, *Treatise of the Holy Land*, 88.

¹⁷² იქვე, 87.

ამავე დროს გაძლიერდა ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქო, რომელიც სულ უფრო დიდ პრეტენზიას აცხადებდა ყოფილიყო დომინანტი არა მარტო მართლმადიდებლურ, არამედ მონოფიზიტურ სამონასტრო თემებშიც. დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ ის გაცილებით საშიში აღმოჩნდა ქართული სამონასტრო თემისთვის წმინდა მიწაზე, ვიდრე მუსლიმი კლერიკალები, კათოლიკე ფრანცისკელები თუ სომეხი მონოფიზიტები.

ბიბლიოგრაფია

აბულაძე ცისანა. წმინდა საფლავის მოხილვის ოსმალური კანონი. მრავალთავი, XIX, 2001

გაგოშიძე გიორგი. ქართველ მლოცველთა წარწერები იერუსალიმის უფლის საფლავის კარიბჭეზე. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 1992

გაგოშიძე გიორგი. წმინდა მიწის ქართული წარწერები. Academia. ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, ტომი 5(A), 2003

გოჩოლეიშვილი დიტო. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს. I მეოთხედში. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია. შრომების კრებული. ქუთაისი, 2003

იტალიელი მოგზაურები საქართველოში XV საუკუნეში. მოამბე, XI, 1892

კარანაძე მაია. ქართული წიგნის ყდის ისტორია. თბილისი, 2002

კეკელია ვლადიმერ. სომხური წყაროები იერუსალიმში მათი სამონასტრო მშენებლობის შესახებ. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VI, 2002

კეკელია ვლადიმერ. იაკობის მონასტრის საკითხი და ჯვაროსანთა ურთიერთობა ქართულ-სომხურ კოლონიებთან იერუსალიმის წმინდა მიწაზე XII საუკუნეში. ქართული დიპლომატია, 11, 2001

კეკელია ვლადიმერ. ქრისტიანი ერები უფლის საფლავის ტაძარში XIV საუკუნეში. აღმოსავლეთი და კავკასია, 5, 2007

კლდიაშვილი დარეჯან. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატრიანე. თბილისი, 2008

მამისთვალიშვილი ელდარ. ქართველების ბრძოლა გოლგოთისათვის XV-XVI საუკუნეებში. ქართული დიპლომატია, 5, 1998

მამისთვალიშვილი ელდარ. ქართველები და ბიბლიური სამყარო. გორი, 1998

მამისთვალიშვილი ელდარ. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.). თბილისი, 2008

მამისთვალიშვილი ელდარ. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. I (XV-XVI სს.). თბილისი, 2009

მარი ნ. ალაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმს შინა. სპბ, 1914

მარი ნ. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წიგნსაცავის ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბუქდად მოამზადა ე. მეტრეველმა. თბილისი, 1955

XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურად თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალისძვილი. თბილისი, 1981

მენაბდე ლევან. ძველი ქართული მწერლობის კერები. II. თბილისი, 1980

მეტრეველი ელენე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბილისი, 1962

ნატროშვილი თამაზ, ჯაფარიძე გოჩა. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია, 2, 1974

ჟანენი რენე. ქართველები იერუსალიმში. რელიგია, 10, 1992

სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიმატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბილისი, 1978

სტეფანაძე მაია. ქართველთა მდგომარეობა იერუსალიმის წმინდა მიწაზე VII-XVII საუკუნეთა საერთაშორისო აქტების მიხედვით. ქართული დიპლომატია, 5, 1998

სტეფანაძე მაია. საქართველო და ეთიოპია: აბრეშუმის გზის ორი რგოლი (VII საუკუნის არაბული სიგელების ფონზე). კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XIII, 2002

სტეფანაძე მაია. ქართველთა სტატუსი წმინდა მიწაზე VII საუკუნის აქტინამეს მიხედვით. ქართული დიპლომატია, 9, 2002

ტარდი ლაიოშ. უზუნ ჰასანის (1453-1478) ელჩი კატერინო ზენო საქართველოს გავლით უნგრეთის მეფე მათიაშთან (1458-1490). ქართული დიპლომატია, 11, 2004

ფერაძე გრიგოლ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. თბილისი, 1995

შარაშიძე ქრისტინე. საქართველოს ისტორიის მასალები XV-XVIII სს. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30. თბილისი, 1954

ცერაძე თინა, გაგომიძე გიორგი. იერუსალიმი. სააღდგომო მეგზური. თბილისი, 2007

ცერაძე თინა. ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ. *Academia*. ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი, ტომი 5 (A), 2003

ჯაფარიძე გოჩა. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI ს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით. ქართული დიპლომატია, 1, 1994

ჯაფარიძე გოჩა. სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანკისკელთა სამეურვეოს არქივიდან. ქართული დიპლომატია, 9, 2002

ჯაფარიძე გოჩა. როდის დაუბრუნეს ქართველებს მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტერი? შოთა მესხია 90, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი. თბილისი, 2006

ჯაფარიძე გოჩა, ბუაჩიძე გოჩა. წმინდა მიწაზე ქართული ეკლესიის ისტორიის არაბული დოკუმენტური წყაროები სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრისა და იერუსალიმის წიგნთსაცავებში. ისტორიანი. სამეცნიერო კრებული მიძღვნილი როინ მეტრეველის დაბადების 70 წლისთავისადმი. თბილისი, 2009

ჯეჯელავა ლელა. წმინდა იაკობის ქართული მონასტერი იერუსალიმში. კრ. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები. თბილისი, 1991

- Зварич В.В. Нумизматический словарь. Издание четвертое. Львов, 1980
- Медников Н.А. Палестина от завоевания ее арабами до крестовых походов по арабским источникам. *Православный палестинский сборник*. т. XVII, вып.2 (50), ч.2, СПб, 1897
- Суханов Арсений. Проскинтарий, 1649-1653 гг. *Православный палестинский сборник*. Том VII, выпуск третий, СПб, 1889
- Уотт У. М. Какиа П.К. *Мусульманская Испания*, Москва, 1976
- Цагарели А. Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае. *Православный палестинский сборник*, т IV, выпуск первый, СПб, 1888
- Хинц В. Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему. Перевод с немецкого Ю. Э. Брегеля. Москва, 1972
- Abu Manneh, Butrus. The Georgians in Jerusalem in the Mamluk Period. In *Egypt and Palestine. A Millennium of Association (868-1948)*. Ed. by A. Cohen and G. Baer. New York, 1984
- Abu-Munshar, Maher Y. A History of Tolerance and Tensions. London, 2007
- Ahmed, N. The Portuguese Devastations in the Indian Ocean. In *Islam in Global History: From the Death of Prophet Muhammad to the First World War*. Volume 2. Ridgmont, 2000
- Ashtor, Eliyahu. Levant Trade in the Later Middle Ages. Princeton, 1983
- Ayalon, David. Notes on the Furusiyya Exercises and Games in the Mamluk Sultanate. *The Mamluk Military Society. Collected Studies*. Variorum Reprints. London, 1979
- Azarya, Victor. The Armenian Quarter of Jerusalem: Urban Life Behind Monastery Walls. Berkeley, 1984
- Bacharach, Jere L. The Dinar versus the Ducat. *International Journal of Middle East Studies*. Vol. 4, No. 1, Jan. 1973
- Berchem, Max Van. Matériaux pour un Corpus Inscriptionum Arabicarum. Deuxième partie. Syrie du Nord. Tome premier. Jérusalem “ville”. Le Caire, 1922
- Blake, Robert P. Catalogue des manuscrits Georgiens de la Bibliothèque Patriarcale Grecque a Jérusalem, Paris, 1924
- Boas, Adrian J. Jerusalem in the Time of the Crusades: Society, Landscape and Art in the Holy City under Frankish Rule. New York, 2001
- Brosset, M. Notice sur les manuscrits géorgiens récemment acquis par l’Académie (Beilage Nr. 135), in B. Dorn. Das Asiatische Museum der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften zu St. Petersburg. St. Petersburg, 1846
- Brummett, Palmira. Ottoman Seapower and Levantine Diplomacy in the Age of Discovery. New York, 1994
- Castellani, Eutimio. Catalogo dei Firmani ed altri documenti legali emanate in lingua araba e turca concernati I Santuari le proprieta I diritti della Custodia di Terra Santa conservati nell’Archivio della stessa Custodia in Gerusalemme. Gerusalemme, 1922
- Die Chronik des Ibn Ijas. Dritte Auflage bearbeitet und mit Einleitung und Indices versehen von Mohamed Mostafa, vierter Teil, A.H.906-921/A.D. 1501-1515. Cairo, 1984
- Clifford, W.W. Some Observation on the Course of Mamluk-Safavi Relations (1502-1516/908-922). *Der Islam*, 70, 1993
- Cohen, Mark R. What was the Pact of ‘Umar? A Literary-Historical Study. *Jerusalem Studies in Arabic and Islam*, 23, 1999

Combe, Etienne. A Note: Qafar-Khafara. Bulletin of the School of Oriental and African Studies, X, 1939

Duckworth, H.T.F. The Church of the Holy Sepulchre. London, 1922

Frantsouzoff, Serge A. Three Arabic notes in a Georgian manuscript kept in St. Petersburg. In *Georgians in the Holy Land*. Ed. by Tamila Mgaloblishvili. In the Press.

Gil, Moshe. Dhimmi Donations and Foundations for Jerusalem (638-1099), Journal of the Economic and Social History of the Orient, Vol. XXVII, Part II, 1984

Golubovich, Girolamo. Serie Chronologica dei reverendissimi Superiori di Terra Santa. Gerusalemme, 1898

Griffith, Sidney H. The Church in the Shadow of the Mosques. Princeton, 2008

Hintlian, K. History of the Armenians in the Holy Land. Jerusalem, 1989

A History of the Crusades. Ed. by Kenneth M. Setton. Vol. III. Madison, 1975

Holt, M. Kansawh al-Ghawri. The Encyclopaedia of Islam. New Edition. Vol. IV. 1978

Horii, Yutaka. The Mamluk Sultan Qansuh al-Ghawri (1501-16) and the Venetians in Alexandria. Orient, vol. XXXVIII, 2003

Jacques de Vitry's History of Jerusalem. Palestine Pilgrim's Text Society. Vol. XI. 1896

Janin, R. Les Géorgiens à Jérusalem. Échos d'Orient. Tome XVI-Anee. 1913

Journal d'un bourgeois du Caire. Chronique d'Ibn Iyas. Tome II, Traduit et annoté par Gaston Wiet. Paris, 1955

Khedoori, E. Charters of Privileges Granted to St.Catherine's Monastery, Mt Sinai. MA Thesis. Manchester, 1958

La Porta, Sergio. The Armenian Episcopacy in Mamluk Jerusalem in the Aftermath of the Council of Sis (1307). Journal of the Royal Asiatic Society. Series 3, Vol.17, Issue 2, 2007

Lemmens, Leonhard. Die Franziskaner im HL. Lande. I, Teil. Die Franziskaner auf dem Sion (1336-1551). Münster in Westfalen, 1916

Levy-Rubin, Milka. Shurut 'Umar and its Alternatives: The Legal Debate on the Status of the Dhimmis. Jerusalem Studies in Arabic and Islam, 30, 2005

Die mamlukischen Sultansurkunden des Sinai-Klosters. Herausgegeben, übersetzt und erläutert von Hans Ernst. Wiesbaden, 1960

Mantran, Robert and Jean Sauvaget. Reglement Fiscaux Ottomans. Les provinces Syriennes. Beyrouth, 1951

Mujani, Wan Kamal. The Monetary System From Historical Perspectives (A special reference to the Kingdom of Mamluk from the period 872-922 A.H./1468-1517 A.D. that utilises Islamic Monetary System). <http://www.ialsnet.org/meetings/business/KamalWan-Malaysia.pdf>

Nazzaro, Giuseppe. The Franciscan Presence in the Holy Land. Translated and edited by Peter F. Vasko, John Boettcher. Jerusalem, 1995

Noth, Albrecht. Problems of Differentiation Between Muslims and Non-Muslims: Re-Reading the "Ordinances of 'Umar" (Al-Shurut al-'Umariyya). In *Muslims and Others in Early Islamic Society*. Edited by Robert Hoyland. Aldershot, 2004

Peradze, Gregory Archimandrite. An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine. Georgica. A Journal of the Georgian and Caucasian Studies. Rustaveli Volume. Nos 4&5, Autumn 1937

- La pelerin veritable de la Terre Saine. Paris, 1615
- Peri, Oded. Christianity under Islam in Jerusalem. The Question of the Holy Sites in Early Ottoman Times. Leiden, 2001
- Pringle, Denys. The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem. A Corpus. Vol. III. The City of Jerusalem. Cambridge, 2007
- Rabie, Hassanein. Political Relations Between the Safavids of Persia and the Mamluks of Egypt and Syria in the Early Sixteenth Century. Journal of the American Research Center in Egypt, XV, 1978
- Raymond, Andre. Cairo: City of History. Cairo, 2000
- Ross, E. D. The Portuguese in India and Arabia Between 1507 and 1517. Journal of the Royal Asiatic Society and Irland, 4, Oct. 1921
- Rossi, Ettore. The Hospitallers at Rhodes, 1421-1523. In *A History of the Crusades*. Ed. by Kenneth M. Setton. Volume III. Madison, 1975
- Sandoli, Sabino De. Chiesa del S. Sepolcro – chiavi porte portinai. Jerusalem, 1986
- Sandoli, Sabino De. The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. Cairo, 1990
- Sanjian, Avedis K. The Armenian Communities in Syria under Ottoman Dominion. Cambridge, 1965
- Sanjian, Avedis K. The Armenians and the Holy Places in Jerusalem. The Third International Conference on Bilad al-Sham: Palestine, 19-24 April, 1980. Vol. I. Jerusalem, 1983
- Setton, Kenneth M. The Papacy and the Levant (1204-1571). Volume III. The Sixteenth Century to the Reign of Julius III. Philadelphia, 1984
- Schefer, Ch. L'introduction au Le Voyage d'Outremer. Publié et annoté par Ch.Schefer. Paris, 1884
- Sobernheim, M. Kansuh, al-Malik al-Ashraf Saif al-Din min Baiberdi al-Ghuri. E. J. Brill's First Encyclopaedia of Islam, 1913-1936. Vol. IV. Leiden, 1987
- Stern, S. M. Petitions from the Mamluk Period (Notes on the Mamluk Documents from Sinai). Bulletin of the School of Oriental and African Studies, Vol. 29, 1966 (რეპროდუქციები: Coins and Documents from the Medieval Middle East. Variorum Reprints. London, 1986).
- Stowasser, Karl. Manners and Customs at the Mamluk Court. Muqarnas. An Annual on Islamic Art and Architecture. Vol. 2, 1984
- Suriano, Francesco. Il Trattato di Terra Santa e dell'Oriente di Frate Francesco Suriano. Milano, 1900
- Suriano, Francesco. Treatise of the Holy Land. Translated from the Italian by Fr. Theophilus Bellorini O.F.M. and Fr. Eugene Hoade O.F.M. with a Preface and Notes by Fr. Bellarmino Bagatti O.F.M. Jerusalem, 1947
- Tritton, A. S. The Caliphs and Their Non-Muslim Subjects. London, 1930
- Viaggio di Domenico Trevisan, ambasciatore veneto al gran Sultano del Cairo nell'anno 1512, descritto da Zaccaria Pagani di Belluno. Ed. N. Barozzi. Venice, 1875
- Vincent, L.-H. and F. F. Abel. Jérusalem: Recherches de topographie d'archéologie et d'histoire. Vol. II: Jérusalem nouvelle. Paris, 1914
- Le Voyage d'Outremer (Égypte, Mont Sinay, Palestine) de Jean Thénaud, Gardien du cou-

vent de Cordeliers d'Angoulême suivi de la Relation de l'Ambassade de Domenico Trevisan auprès du Soudan d'Egypte, 1512. Publié et annoté par Ch. Schefer. Paris, 1884

Le Voyage du magnifique et tres illustre chevalier et provurateur de Saint Marc Domenico Trevisan. *Le Voyage d'Outremer*. Publié et annoté par Ch. Schefer. Paris, 1884

Le Voyage et itineraire de Frere Jehan Thenaud. *Le Voyage d'Outremer*. Publié et annoté par Ch. Schefer. Paris, 1884

Zehava, Jacoby. The Tomb of Baldwin V, King of Jerusalem (1118-1186). *Gesta*, XVIII, 2, 1979

Ziada, M. M. The Mamluk Sultans, 1291-1517. In *A History of the Crusades*. Ed. by Kenneth M. Setton. Volume III. Madison, 1975

დარრაჯ, აჰმად. *ალ-მამალიქ ვა ლ-ფარანჯ ფი ლ-კარნ ათ-თასი' ლი ლ-ჰიჯრი ალ-ხამის 'აშარა ალ-მილადი* (მამლუქები და ფრანკები ჰიჯრის IX/ქრ.წ. XV საუკუნეში). ალ-კაჰირა, 1961 (არაბულ ენაზე)

ტერ-ჰოვანესიანც ა. ჟამანაკაგრაკან პატმუთიუნ ს. ერუსაღემი, II [ნმინდა იერუსალიმის ქრონოლოგიური ისტორია, II]. იერუსალიმი, 1890 (სომხურ ენაზე)

Αριστοκλεους Θεοδορος. Κωνσταντίνου Α. Πατριάρχου Κωνσταντινουπόλεως βιογραφία και συγγραφαί αι ἐλάσσοενες [არისტოკლეუს თეოდოროს. კონსტანტინოპოლის პატრიარქის კონსტანტინე I-ის ბიოგრაფია, საეკლესიო და ფილოლოგიური ხასიათის ნარკვევები და ეპისტოლეები], Κωνσταντινουπόλεως, 1866

Τσελικά Αγαμεμνονος. Καταγραφή του ἀρχείου του πατριαρχείου Ἱεροσολύμων. Δελτίο του ἱστορικοῦ καὶ παλαιογραφικοῦ ἀρχείου, Ε' [ცელიკა აგამემნონოს. იერუსალიმის საპატრიარქოს არქივის აღწერილობა]. Αθήνα, 1992

IX

XVI საუკუნის იტალიელი პილიგრიმის ბარბონე მოროზინის „მოგზაურობა წმინდა მიწაზე“

მარიამ ნანობაშვილი

ბარბონე მოროზინი XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. 1523 წლიდან იგი ვენეციის კონსული იყო დამასკოში. მანამდე მან არაერთხელ იმოგზაურა მახლობელ აღმოსავლეთში, მათ შორის სირიასა და ლიბანში. 1514 წელს მოროზინი საპილიგრიმოდ იმყოფებოდა პალესტინაში. ეს მოგზაურობა მან დაწვრილებით აღწერა წიგნში „მოგზაურობა წმინდა მიწაზე“, რომელიც დღემდე გამოცემული არ არის და შემონახულია ერთი ხელნაწერის სახით. მომავალში ჩვენ მიზნად ვისახავთ მის გამოცემას თარგმანითა და კომენტარებითურთ.

ჩვენი ინტერესი ამ თხზულებისადმი და წინამდებარე პუბლიკაციაც შემდეგმა მიზეზებმა განაპირობა: ჯერ ერთი, ეს არის ბარბონე მოროზინის სიზუსტე, სკრუპულოზურობა და ობიექტურობა, მეტად ტოლერანტული დამოკიდებულება აღმოსავლეთის ქრისტიანებისა და თვით მუსლიმების მიმართაც; მეორე – მოროზინის „მოგზაურობა“ წმინდა მიწის ბოლო აღწერაა მანამდე, სანამ იგი ოსმალთა ხელში აღმოჩნდებოდა; და მესამე, რაც ამჯერად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ესაა მოროზინის ცნობები იერუსალიმის ქართული სინმინდევების შესახებ, რომლებიც არ შევიდა გრიგოლ ფერაძის ცნობილ ნაშრომში¹ და დღემდე უცნობი იყო ქართულ პალესტინოლოგიაში.

ვენეცია და აღმოსავლეთი

მოროზინი წარმოშობით ვენეციიდან იყო, იმ ქალაქიდან, რომელსაც ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა აღმოსავლეთთან.

¹ Archimandrite Gregory Peradze, “An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as revealed in the Writings of non-Georgian Pilgrims,” *Georgica. A Journal of the Georgian and Caucasian Studies. Rustaveli Volume*, Nos. 4&5 (Autumn 1937); გრიგოლ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ (თბილისი, 1995).

თავდაპირველად ადრიატიკის ჩრდილოეთით მდებარე ლაგუნაზე გახიზნული ხალხი ბარბაროსთა, ლომბარდთა და მეკობრეთა შიშით ძრწოდა, მაგრამ სულ მოკლე ხანში კუნძულთა მკვიდრნი ერთიანდებიან და ძლიერდებიან. IX საუკუნეში მათ დააარსეს ცენტრი – *Rivus Altus*, „მაღალი ნყალი“, ე. ი. რიალტო. ამ ტერიტორიაზე 829 წელს ორმა ვაჭარმა, ბრუნო მალამოკოელმა და რუსტიკო ტორჩელოელმა, ალექსანდრიიდან წმ. მარკოზის სხეული გადაასვენა, რითაც ნათელი გახადა, რომ ახლად შექმნილი ქალაქის მცხოვრებლებს მეტად საფუძვლიანი პრეტენზიები ჰქონდათ დამოუკიდებლობაზე. მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში რიალტო მეტად ინტენსიურად ვითარდება. იგი ფრანკთა გავლენას თავს წარმატებით აღწევს, სამაგიეროდ, ალიანსს კრავს ბიზანტიასთან, რაც იცავს მას სარკინოზთა, ნორმანთა და აგრეთვე ადრიატიკის ზღვის მეკობრეთაგან. ეს უკანასკნელნი 1000 წელს პიეტრო ორსელო მეორემ სასტიკად დაამარცხა. იმ დღეს უწოდეს *il giorno della Sensa*, ე. ი. „ამაღლების დღე“. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ VII საუკუნეში რავენის ბიზანტიელმა მმართველმა ალიარა ლაგუნის მკვიდრთა ავტონომია დოჟის განმგებლობის ქვეშ, XI საუკუნისათვის კი ამ თანამდებობის პირის ძალაუფლება უკვე დაღმამთავრებულ ვრცელდება. სწორედ მოცემულ პერიოდში იღებს ქალაქი სახეს, რომლითაც მეტ-ნაკლები ცვლილებებით დღემდე აღწევს, მაგალითად, შენდება წმ. მარკოზის ცნობილი ტაძარი და სხვ.²

ვენეციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტთაგან უნდა დავასახელოთ შემდეგი: 1) დოჟ სებასტიანო ძიანის (1172-1178 წწ.), როგორც მედიატორის, მონაწილეობა პაპ ალექსანდრე მესამესა და იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსას შორის არსებულ უთანხმოებაში; 2) კონსტანტინოპოლში შეჭრა 1202-1204 წწ.; 3) 1378 წელს კიოჯასთან გენუელთა დამარცხება, რამაც მათ ამბიციებს ხმელთაშუა ზღვაზე ბატონობასთან დაკავშირებით საბოლოოდ მოუღო ბოლო და რიალტოს უპირატესობა აშკარად გამოკვეთა. რა გამჭრიახ პოლიტიკას აწარმოებდნენ იმდროინდელი მოღვაწენი, აშკარად ჩანს, მაგალითად, იქიდან, რომ დოჟმა ენრიკო დანდოლომ უყოყმანოდ განაცხადა უარი რომის იმპერატორის ტიტულზე და მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ინიციატორებსა და მონაწილეებს დაუწესა მთელი რიგი პირობებისა, თუ მისი სამფლობელოების გავლით როგორ უნდა გამგზავრებულყვნენ აღმოსავლეთისაკენ – ყოველგვარი გადასახადი სუფთა ოქროთი და ვერცხლით იფარებოდა, თვით რიალტოს გემები კი ხმელთაშუა ზღვის ნებისმიერ პორტში დაუბრკოლებლად მოძრაობდა. დაახლოებით ამ დროიდან ქალაქს ვენეცია ეწოდება, იქმნება რესპუბლიკა *La Serenissima* („უმშვიდესი“), რომელიც შემდგომ საუკუნეებში კონტინენტის დიდ ტერიტორიასაც იმორჩილებს, არა მხოლოდ ვენეტოს რეგიონს, არამედ, მაგალითად, ლომბარდიასაც. ამ მხრივ,

² *Venezia e l'Oriente fra tardo Medioevo e Rinascimento*, A cura di Agostino Perusti (Firenze, 1966), 22-23.

განსაკუთრებით აღსანიშნავია XV საუკუნეში (1423-1457 წწ.) დოჟ ფრანჩესკო ფოსკარის მოღვაწეობა.³

პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერება დაედო საფუძვლად კულტურის არნახულ აყვავებას, რომელსაც ჩვენ ვენეციაში ვხედავთ და რომელიც მნიშვნელოვანწილად აღმოსავლეთთან ინტენსიური ურთიერთობით იყო განპირობებული. ახლა სწორედ ამაზე შევაჩერებთ ყურადღებას:

უდავოა, რომ ვენეცია დასავლეთის ნაწილია, მაგრამ მასში ყოველთვის ძალიან მკაფიოდ შეიცნობოდა აღმოსავლეთის გავლენაც. ეს ერთგვარად გამაბრუებლად მოქმედებდა თანადროულ ევროპაზე, რომლისთვისაც აღმოსავლეთი უკვე საკმაოდ შორეულ და განსხვავებულ სამყაროდ იყო გადაქცეული. აი, რას სწერს 1844 წელს ჩარლზ დიკენსი თავის მეგობარს, ჯონ ფორსტერს: „ათასერთი ღამის ყველაზე ველური ხილვებიც კი არაფერია წმინდა მარკოზის მოედანთან და ეკლესიის შიგნით მიღებულ პირველ შთაბეჭდილებასთან შედარებით. ვენეციის ბრწყინვალე და შესანიშნავი რეალობა ნებისმიერი ღრმა მეოცნების ფანტაზიის მიღმა დგას. ოპიუმში ვერ ააშენებდა ასეთ ადგილს, ვერც მოჯადოება წამომართავდა ასეთ ხილვას“.⁴ თუმცა, ის ფაქტი, რომ ვენეცია იქცა დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრის პუნქტად, ორიენტალისტებს და ქალაქის მკვიდრთ ნაკლებად აოცებდა. საინტერესოა, რომ ეს უკანასკნელნი დღესაც აღმოსავლეთის ხსენებაზე საუბარს იწყებენ არა მხოლოდ ლევანტის ქვეყნებზე, ოსმალეთსა და იმ შორეულ ტერიტორიებზე, რომლებიც მათმა სახელოვანმა თანამოქალაქემ, მარკო პოლომ, 1271 წლიდან მოყოლებული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მოინახულა, არამედ ძალიან ხშირად ჯერ ბიზანტიაზე მიუთითებენ. მარტივად რომ ვთქვათ, ვენეციელთათვის ბიზანტიაც ყოველთვის აღმოსავლეთად აღიქმებოდა. მეორე მხრივ, მართალია, 1054 წლის დიდმა სქიზმამ ბერძნული და ლათინური ქრისტიანული სამყარო, ერთი შეხედვით, ერთმანეთისაგან გათიშა, მაგრამ მაინცდამაინც ღრმა კვლევა არ არის აუცილებელი იმის დასაანახად, თუ რამდენი საერთო აქვთ მათ დღემდე. უდავოა, რომ XII-XIII სს. ევროპის კულტურული აღმავლობის დაწყებაში საკუთრივ დასავლეთში ჩამოყალიბებული ფაქტორების გვერდით დიდი წვლილი შეიტანა როგორც კლასიკურმა ქრისტიანულმა აღმოსავლეთმა და ბიზანტიამ, ასევე ისლამურმა კულტურამ. ნიშანდობლივია, რომ ამ საქმეში ვენეციას მიენიჭა წამყვანი როლი. მაგალითად, ჯერ კიდევ XI საუკუნეში წმ. მარკოზის ტაძრის აგება აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორ მოხდა ბიზანტიური ხელოვნების ტრადიციათა გარდაქმნა, მათი კათოლიკურ იკონოგრაფიასთან მისადაგება. მეხსიერებაში აქვე ამოტივტივდება შედარებით უფრო მოგვიანო, კერძოდ, XVI საუკუნის, მეტად

³ იქვე, 25-26.

⁴ Giuliano Lucchetta, *L'Oriente mediterraneo nella cultura di Venezia tra il Quattro e il Cinquecento*, (Vicenza, 1984), 56.

ნიშანდობლივი სურათი, რომელიც ცნობილ ვენეციელ მხატვარს, ჯენტილე ბელინის ეკუთვნის, თუმცა დასრულებულია მისი ძმის, ჯოვანის, მიერ 1507 წელს. ეს გახლავთ ნმ. მარკოზის ქადაგება ალექსანდრიაში. ტილოზე ვხედავთ ვენეციისა და კონსტანტინოპოლის ნამდვილ სინთეზს, შენობას, რომელიც არის ჰაგია სოფიისა და სან მარკოს ტაძართა ელემენტების აშკარა შერწყმა. წარმოისახება ერთგვარი „იდეალური“ აღმოსავლური ქალაქი, სადაც თვალნათლივ ფიგურირებენ ასევე ძველალმოსავლური – ეგვიპტური – ობელისკი და ისლამური მინარეთები.⁵

1453 წელს, კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ, ვენეცია უშუალო კონტაქტშია ოსმალებთან და ამ დროს მისი ურთიერთობა გრძელდება როგორც საკუთრივ ყოფილი აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქთან, ასევე სხვა ტერიტორიებთანაც, კერძოდ, პირველ რიგში, ლევანტის ქვეყნებს ვგულისხმობთ. ფაქტობრივად ვენეცია იყო ერთადერთი დასავლური პორტი, სადაც თურქეთის სავაჭრო გემები დაუბრკოლებლად ჩერდებოდა და სადაც ლევანტის ვაჭრების კომერციული საქმიანობა უზრუნველყოფილი იყო *Fondaco dei Turchi* – თურქთა სავაჭრო პოსტით *Canal Grande*-ზე, ე.ი. დიდ არხზე. აქედან გამომდინარე, ვენეციელ მხატვართა სურათებზე ქუჩაში მოსიარულეთა შორის არც თუ იშვიათადაა გამოსახული აღმოსავლური ტიპაჟები. საკმაოდ ხშირად კი რომელიმე სურათი სპეციალურად მხოლოდ აღმოსავლელებს გვიჩვენებს; მაგალითად, 1511 წელს გერმანელმა ხელოვანმა, ალბრეხტ დიურერმა, სწორედ ვენეციაში შექმნა თავისი ცნობილი ნამუშევარი – „თურქული ოჯახი“. სხვათა შორის, იმ დროს ბევრი გერმანელი კომერსანტიც აკითხავდა ადრიატიკის სანაპიროს ცნობილ პორტს, ვინაიდან სენატმა ვენეციელ ვაჭრებს გერმანიასა და ჩრდილოეთის სხვა ქვეყნებში სასტიკად აუკრძალა ვაჭრობა, რათა, პირიქით, ხალხი იქიდან მიეზიდა და უფრო დიდი მოგება ენახა. *Fondaco dei Tedeschi*, გერმანელთა სავაჭრო პუნქტი ზედ რიალტოს ხიდთან მდებარეობდა და დღეს ამ შენობაში ვენეციის ცენტრალურ ფოსტას აქვს ბინა დადებული.

თვითონ აღმოსავლელებიც განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი ვენეციით და ეს მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტში არ ვლინდებოდა. მაგალითად, ზემოთ ხსენებული ჯენტილე ბელინი 1479 წელს, მეჭმედ მეორის დაჟინებული თხოვნით, თან გაჰყვა ვენეციის ელჩობას კონსტანტინოპოლში. მას ეკუთვნის სულთნის ცნობილი პორტრეტი, რომელიც ამჟამად ლონდონის ეროვნულ გალერეაშია დაცული. აღორძინების პერიოდის გამოჩენილი მწერლისა და ხელოვანის კარლო რიდოლფის თქმით, ბელინიმ ძალიან გალიზიანებულმა დატოვა მეჭმედ მეორის სასახლე. საქმე ისაა, რომ სულთანმა მას დისკუსია გაუმართა და უთხრა, რომ ცნობილ სურათში – „ნმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა“ – ზოგიერთი ანატომიური დეტალი უზუსტოდაა გადმოცემული, რის საილუსტრაციოდაც მხატვრის თვალწინ სა-

⁵ Deborah Howard, *Venice and the East* (London, 2000), 72.

კუთარი ხელით მოჰკვეთა თავი ერთ-ერთ მონას. მიუხედავად ამისა, ბელინიმ სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა აღმოსავლეთის სიყვარული. საერთოდ, აღდუს მანუტიუსი და კარდინალი ბესარიონი, რავერტის, ბელინისა და ვივარინის ოჯახები, სანსოვინო და პალადიო, მანტენია და კარპაჩო, აგრეთვე მოგვიანებით ჯორჯონე, ტიციანი, ტინტორეტო და ვერონეზე – ყველა ეს ცნობილი ვენეციელი მეცნიერი, მბეჭდავი, მოქანდაკე, არქიტექტორი თუ მხატვარი აღმოსავლეთს ჯეროვან ყურადღებას უთმობდა.⁶ ამ მოკლე კულტურული მიმოხილვის ბოლოს შეიძლება კიდევ ერთი სურათი დასახელდეს – ჯორჯონეს „სამი ფილოსოფოსი“. ვარაუდობენ, რომ აქ გამოსახულნი არიან ებრაელი, ბერძენი და მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ეროვნების მუსლიმი, ანუ ხდება განსახიერება სამი რელიგიისა და კულტურისა, რომელიც XVI საუკუნის ვენეციელთათვის თანაბრად იყო ცნობილი და გასაგები. სხვათა შორის, ებრაული და ბერძნული უბნები დღემდე არსებობს ქალაქში, შესაბამისად, სინაგოგა და ეკლესია *San Giorgio dei Greci* (ბერძენთა წმინდა გიორგი), სადაც დაცულია წმ. ბასილი დიდის ხელი. აღსანიშნავია, რომ ვენეციაში ძალიან ბევრი რელიკვია და წმინდა ნაწილია, რაზეც ქვემოთაც შევჩერდებით.

ვენეცია და პილიგრიმობა წმინდა მინაზე

აღმოსავლეთთან ვენეციის რესპუბლიკის დიპლომატიური და კომერციული ურთიერთობა მრავალჯერ იქცა კვლევის საგნად. მრავალი ნაშრომია შექმნილი ხელოვნებათმცოდნეობაშიც, როგორც არქიტექტურის, ასევე მხატვრობის სფეროში. ამას ემატება ისიც, რომ ვენეცია იქცა „კარიბჭედ“, რომელიც ევროპას პალესტინასთან აკავშირებდა. ევროპელ პილიგრიმთა უდიდესი ნაწილი წმინდა მინაზე სწორედ აქედან მიემგზავრებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იტალიური საპილიგრიმო ლიტერატურა იპყრობს, მით უმეტეს, რომ არსებობს არაერთი ტექსტი, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა.

ვენეცია ხმელთაშუა ზღვაზე გაბატონებული ევროპული პორტი იყო. მან თავის თავზე აიღო აღმოსავლეთში როგორც ჯვაროსანთა, ისე პილიგრიმთა გადაყვანა. სენატი იდგა მუდმივი დილემის წინაშე – დაერთო თუ არა ნება, საპილიგრიმო გემებზე აეტანათ კომერციული ტვირთი, და საკმაოდ ხშირად საკითხს დადებითად წყვეტდა. განმანათლებლობის რაციონალისტური მიდგომიდან გამომდინარე, ევროპელ მკვლევრებს ეს მომენტი მხედველობიდან არ გამოორჩენიათ. ამაზე საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული XIX საუკუნის დასაწყისისა და პირველი ნახევრის მეცნიერთა შრომებში. აქ, პირველ რიგში ვგულისხმობთ ფაბიო მუტინელის მონოგრაფიას – „ვენეციელთა ვაჭრობის შესახებ“, რომელიც ვენეციაში 1835 წელს გამოქვეყნდა.⁷ კომერსანტთა ოპორტუნის მიზნით საუკუნეთა განმავლობაში ვხედავთ მოგზაურებს,

⁶ Howard, *Venice and the East*, 112.

⁷ Fabio Mutinelli, *Del commercio dei Veneziani* (Venezia, 1835).

რომლებსაც იერუსალიმის მოსანახულებლად პირველ რიგში მორწმუნეობრივი, სულიერი მოტივები ამოძრავებდათ. მათ რიცხვს არც თუ იშვიათად ეკუთვნოდნენ თვითონ ვაჭრები, აგრეთვე აღმოსავლეთში მოღვაწე კონსულები, რომლებიც დოჟებისაგან სპეციალურ შევებულებას იღებდნენ პილიგრიმოზის შესასრულებლად. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთ ციტატას. 1966 წელს ა. ლ. მომილიანო ლეპშკიმ მილანში გამოაქვეყნა სანტო ბრასკას მოგზაურობა წმინდა მინაზე,⁸ სადაც ვკითხულობთ: „ყოველი ადამიანი მზად უნდა იყოს, იმოგზაუროს [იგულისხმება იერუსალიმში] მხოლოდ ერთი მიზნით – მოინახულოს, ღრმად ჩაფიქრდეს და ცრემლმორეულმა თაყვანი სცეს ამ წმინდა საიდუმლოებებს, რათა მონყალე იესომ ცოდვები შეუნდოს, და არა იმისთვის, რომ იხილოს მსოფლიო, ანდა ამბიციისთვისა და მღელვარებით წარმოსათქმელად: მე ვყოფილვარ, მე მინახავს და ა.შ.“⁹

ვენეციელი პილიგრიმი ბარბონე მოროზინი, ვისაც წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება, 1514 წელს დამასკოში ყოფნისას თანამემამულეებთან ერთად გაემგზავრა იერუსალიმის მოსალოცად, მაგრამ ასეთი კოლექტიური ვიზიტით უკმაყოფილო იყო და ამიტომაც პალესტინაში უფრო ხანგრძლივი ვადით დარჩა, რათა მარტოს უფრო განეცადა და შეეგრძნო ეს, როგორც აღნიშნავს, „ყოვლად სათაყვანო და წმინდა ადგილები“ (“*questi devotissimi et sancti lochi*”).

როცა ამ ორ სრულიად განსხვავებულ ასპექტზე ვსაუბრობთ, რომელთაგან ერთი არის მინიერი, ყოვლად პრაგმატული, მეორე კი ამაღლებული, სულიერი, ცხადია, რომ ვენეცია მნიშვნელოვანი იყო ორივე თვალსაზრისით. ეს არ იყო უბრალოდ დიდი პორტი, საიდანაც ყველაზე უფრო მოსახერხებლად ესახებოდათ იერუსალიმისაკენ გამგზავრება. ვენეციის პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სულიერი ცხოვრება მნიშვნელოვანწილად აღმოსავლეთთან იყო დაკავშირებული. ამ ფონზე წმინდა მინასთან კავშირები სრულიად განსაკუთრებული გახლდათ. როდესაც რომის პაპმა 1420 წელს სპეციალური კომისია შექმნა პალესტინაში ფრანცისკელთა მოღვაწეობის შესასწავლად, რესპუბლიკამ წმინდა საყდარს უზარმაზარი ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა. ამასთანავე, დოჟმა ტომაზო მოჩენიგომ უშუალო მონაწილეობა მიიღო ამ საქმეში. საერთოდ, ვენეციელი ვაჭრები და ბანკირები დამასკოს, კაიროს, ალექსანდრიის, ლიბანის, ტრიპოლის, ამანისა და ალუპოს გავლით ფრანცისკელთა ორდენს მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევდნენ.¹⁰

⁸ *Viaggio in Terrasanta di Santo Brasca 1480, con l'itinerario di Gabriele Capodilista* (Milano, 1966).

⁹ იქვე, 5. “videlicet che, primo, dispona l'homo fare el viaggio solamente ad intentione de visitare, comtemplare et adorare con gran effusione de lachrime quei sanctissimi misterij, adciò che Iesu benigno gli perdona li suoi peccati et non ad intentione de vedere del mondo e per ambitione e per exaltatione de dire: io sono stato, io ho veduto etc.”

¹⁰ ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს არაერთი წყარო და გამოკვლევა, მაგ. Fra Francesco Suriano, *Treatise on the Holy Land*, trans. Fr Theophilus Bellorini OFM and Fr Eugene

ხსენებულ პერიოდში ვენეციასა და ვატიკანს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. სან მარკოს ტაძარში მრავალი ინდულგენცია გაიცემოდა არა მხოლოდ დიდგვაროვნებსა და ვაჭრებს, არამედ ვენეტოს თვით უღარიბეს მეზღვაურებსაც კი. წმინდა მიწის მონახულება ყველას შეეძლო. ღარიბებს მნიშვნელოვან ფინანსურ შეღავათებს აძლევდნენ, ზოგადად კი ყველა პილიგრიმი სარგებლობდა ბევრი პრივილეგიით, მაგალითად, ბაჟს არ იხდიდა და სხვ. სანტერესოა, რომ თვით სენატში მდიდარ პილიგრიმებს მიეცათ რეკომენდაცია, წმინდა მიწაზე თავმდაბლად მოქცეულიყვნენ. სან მარკოში ინდულგენციის მიღების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ პილიგრიმთა რიცხვი ძალიან დიდი იყო, ნებისმიერი სოციალური წარმოშობის პილიგრიმს შეეძლო სასახლეში შესვლა, სადაც მას პირადად დოჟი გადაეხვეოდა და მშვიდობიან მგზავრობას უსურვებდა.

ვენეციას კარგი ურთიერთობა ჰქონდა არა მხოლოდ უშუალოდ რომის პაპსა და უკვე ნახსენებ ფრანცისკელებთან, არამედ სხვა ორდენებთანაც, პირველ რიგში – ტამპლიერებთან. ცნობილია, რომ ვენეციელმა ვაჭარმა, რომანო მაირანომ, ტამპლიერებს რკინის დიდი კონსიგნაცია გადასცა. ორდენი, თავის მხრივ, ვენეციელებს საკუთარი გემებით სარგებლობის უფლებას აძლევდა ხოლმე. როგორც ცნობილია, ჯვაროსნებმა 1099 წელს ხელთ იგდეს იერუსალიმი, 1187 წელს კი ქალაქი ისევ მუსლიმთა ხელში გადავიდა. პრაგმატული მოსაზრებებით ვენეციელებმა მუსლიმებთან კარგი ურთიერთობა დაამყარეს. ამას მოჰყვა ისლამურ ქვეყნებთან ვაჭრობაზე ვატიკანის მხრიდან ემბარგოს დაწესება, მაგრამ მისი დაცვა შეუძლებელი გახდა და ეს სანქცია 1344 წელს ოფიციალურადაც გაუქმდა.

XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან პილიგრიმთა გამგზავრება ვენეციიდან იერუსალიმისაკენ სისტემატურ ხასიათს იღებს და მეტად მაღალ დონეზეა ორგანიზებული, რაც მუსლიმთა გამგებლობაში იერუსალიმის გადასვლასაც კი არ დაუბრკოლებია. ამას, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა ისლამურ სამყაროსთან ვენეციის სახელმწიფოს კარგი ურთიერთობა. მამლუქებთან დადებულ ხელშეკრულებებში სათანადოდ იყო აღნიშნული პილიგრიმთა გადაადგილება მახლობელი აღმოსავლეთის ტერიტორიაზე. რესპუბლიკა ფაქტობრივად წარმართავდა და არეგულირებდა პილიგრიმობის მთელ პროცესს. ამასთან დაკავშირებით პირველი სტატუტები სენატში 1227 წელს პიეტრო ძიანის ზეობის დროს გამოდის. აქვე განსაკუთრებულად მივუთითებთ მომდევნო დოჟის, ჯაკოპო ტიეპოლოს, ძალისხმევაზე. 1229 წელს მან, შეიძლება ითქვას, შექმნა სპეციალური სამსახური, რომელიც კოორდინაციას

Hoade OFM (Jerusalem, 1949); David Jacoby, "Pelerinage médiéval et sanctuaires de Terre Sainte: La perspective vénitienne," *Ateneo Veneto*, CLXXIII (XXIV N.S.), 1986; Id., *Studies on the Crusader States and on Venetian Expansion* (Northampton, 1989); "Les Italiens en Egypt au XIIe et XIIIe siècles: du comptoir à la colonie," in *Colonisateur au Moyen Age*, eds. Michel Balard et Alain Ducellier (Paris, 1995).

უნევედა პილიგრიმოზას. XIII-XV საუკუნეებში ვენეციიდან ყოველწლიურად 2, 3 ან 4 სპეციალური საპილიგრიმო გემი გადიოდა, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, ასევე XVI-ში კი – 1 ან 2. როგორც ზემოთ ხსენებული პირები – სანტო ბრასკა, ბარბონე მოროზინი, ფრანჩესკო სურიანო, აგრეთვე სხვები, მაგალითად, ნიკოლო და პოჯიბონსი (1346 წ.) აღნიშნავენ, ადრიატიკის სანაპიროზე მდებარე მნიშვნელოვანი ქალაქი მათ ბევრი მიზეზის გამო იზიდავდა: იოლი იყო აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გემის, ასევე პალესტინის ჩინებული მცოდნე გზამკვლევისა თუ თარჯიმნის სწრაფად მიგნება, ზღვაზე მოძრაობისას არსებობდა მეკობრეებისაგან თავდაცვის მაქსიმალური გარანტია, გზად შესაძლო იყო შეჩერება მრავალ ვენეციურ კოლონიაში და, რა თქმა უნდა, ვენეტოს მეზღვაურები დიდი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ.¹¹ მოვიყვანთ ციტატას ერთი ანონიმი ინგლისელი პილიგრიმის ჩანაწერებიდან: „ამ ქალაქის [ე.ი. ვენეციის] თავკაცი, როგორც ჩანს, წმინდა წერილს შესანიშნავად იცნობენ. მათთან დაკავშირებით ვერც ერთი ქრისტიანი ოდნავადაც ვერ დაიჩივლებს და ვერ წამოაყენებს თვით მცირე სამდურავსაც კი. ისინი ბერძნული ზღვის უფალნი არიან ზუსტად ისევე, როგორც ინგლისის მეფე უფალია ინგლისის ზღვებისა“.¹²

პილიგრიმები გეზს ორი ძირითადი მიმართულებით იღებდნენ: ვისაც იერუსალიმამდე სინას მთის მონახულება სურდა, ალექსანდრიაში ჩადიოდა, ხოლო ის მორწმუნენი კი, რომლებსაც უნდოდათ გალილეასა და სირიაში გავლა, ბეირუთს აკითხავდნენ. ამ პროცესში პრაქტიკულად თვითონ ვენეციაც საპილიგრიმო ქალაქად გადაიქცა, ვინაიდან მომლოცველნი ჯერ წმ. მარკოზის საფლავს მონახულებდნენ, ვენეციაში საკმაო ხანს ყოვნდებოდნენ, დადიოდნენ ეკლესიებში, ეთაყვანებოდნენ სხვა წმინდანთა სხეულებსა და ნაწილებს, რომელთა რიცხვი, სულ მცირე, 50 იყო.¹³ მხოლოდ შემდგომ მიემგზავრებოდნენ ისინი აღმოსავლეთისაკენ.

ვენეციის როლი პილიგრიმოზის განვითარებაში უმეტესწილად კომერციული, ეკონომიკური თვალსაზრისით განიხილებოდა. ამ მხრივ, კლასიკური მაგალითია ე. აშტორის ნაშრომი – „ვენეცია და წმინდა მიწაზე პილიგრიმოზა ადრეულ შუა საუკუნეებში“.¹⁴ შეიძლება ითქვას, რომ საკითხის ეს მხარე

¹¹ ცნობილია, რომ ზღვაოსნობაში ჩინებულად იყო განაფული ფრანჩესკო სურიანო. პალესტინიდან იტალიაში ერთ-ერთი მგზავრობისას მან გემი ორჯერ გადაარჩინა დაღუპვას. საშინელი შტორმის დროს გემმა საჭე დაკარგა. მოულოდნელად თავმდაბალი ბერი გემბანზე აიჭრა და ხომალდი საჭის გარეშე მართა. ამ ხელოვნებას იგი ახალგაზრდობაში იყო დაუფლებული.

¹² *Western Pilgrims: The Itineraries of Fr Simon Fitzsimons (1322-23), a Certain Englishman (1344-45), Thomas Brygg (1392), and Notes on Other Authors and Pilgrims*, ed. Eugene Hoade OFM (Jerusalem, 1952; repr. 1979), 49.

¹³ *Culto dei Santi a Venezia, di S. Tramontin e altri* (Venezia, 1965).

¹⁴ E. Ashtor, “Venezia e il pellegrinaggio in Terrasanta nel basso medioevo,” *Archivio storico italiano*, CXLIII (1985).

სისტემატურადაა გამოკვლეული. თუმცა, იყო მცდელობები, ყურადღება გამახვილებულიყო სხვა ასპექტებზეც. არსებობს ჰაიდისეული გვიანი შუა საუკუნეების იტალიური საპილიგრიმო ლიტერატურის მიმოხილვა.¹⁵ იტალიელ პილიგრიმთა ნაწერების ლიტერატურული მხარე დონალდ ჰოვარდმა შეაფასა.¹⁶

ამდენად, ნათელია, რომ წმინდა მიწაზე პილიგრიმობისა და ვენეციის შესახებ საუბრისას მრავალმხრივი საკითხები წამოიჭრება. ჩვენი უშუალო ინტერესის სფერო კი ვენეციელთა მიერ აღწერილი პალესტინა გახლავთ.

ვენეციელი პილიგრიმი ბარბონე მოროზინი

ბარბონე მოროზინი 1514 წლის 15 ივლისიდან 26 აგვისტომდე პერიოდში იპილიგრიმა. მის შესახებ ბევრი ცნობა არ მოგვეპოვება. მოროზინის გვარი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გამორჩეულია ვენეტოს დიდგვაროვანთა შორის. მათ შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია სანუტოს *Diarii*-ში, რომელიც 1886 წელს ვენეციაში გამოიცა. ესაა რენესანსის პერიოდის ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ქრონიკა. მასში შეკრებილია ვენეტოს ყველა ცნობილი გვარის ისტორია. ბარბონე მოროზინი ნახსენებია XVIII ტომის 22-ე სვეტსა და ასევე XXV ტომის 287-ე სვეტში. იგი ვენეციელი ვაჭრის შვილი იყო. 1513 წლიდან მან მამის პროფესიას მიჰყო ხელი და სირიაში ხშირი მოგზაურობა დაიწყო. 1523 წელს არჩეულ იქნა ვენეციის კონსულად დამასკოში. გარდაიცვალა 1530 წელს. 1505 წლიდან დაქორწინებული იყო ელიზაბეტა ჯუსტინიანიზე. წყაროებიდან ჩანს, რომ 1511 წელს მათ ჰყავთ ვაჟიშვილი, რომელსაც ვინჩენცო ჰქვია. არქივიდან ასევე ირკვევა, რომ 1513 წელს სირიაში შავი ჭირის ეპიდემიამ იფეთქა. ბარბონე მოროზინი ავად გახდა, მაგრამ შეძლო გამოჯანმრთელება. როგორც ჩანს, ეს დამატებითი მოტივი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მას ღმერთისადმი მადლიერების გამოსახატავად წმინდა მიწაზე პილიგრიმობა აღესრულებინა. სამწუხაროდ, ბარბონე მოროზინის შესახებ სხვა რაიმე ცნობა არ შემონახულა. მის პიროვნებაზე წარმოდგენას თვით მისი ნაწერი გვიქმნის.

„მოგზაურობის“ კითხვისას ნათლად ჩანს, რომ მოროზინი ნიჭიერი, გამბედავი, დაკვირვებული და კომუნიკაბელური ადამიანი გახლდათ. ის კარგად ფლობდა არაბულ ენას. იოლად შედიოდა კონტაქტში ადგილობრივ მოსახლეობასთან და მმართველებთან. იყო ღვთისმოსავი კათოლიკე, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, მეგობრული დამოკიდებულება ჰქონოდა არა მხოლოდ სხვა ქრისტიანული კონფესიების წარმომადგენლებთან, არამედ თვით მუსლიმებთანაც.

¹⁵ J. K. Hyde, "Italian Pilgrim Literature in the Late Middle Ages," *Bulletin of the John Rylands University Library of Manchester*, 72, no. 3: special issue: Essays in Memory of J. K. Hyde, ed. Brian Pullan and Susan Reynolds (1990).

¹⁶ D. R. Howard, *Writers and Pilgrims: Medieval Pilgrim Narratives and their Posterity* (London, 1980).

მისი მსჯელობანი შორსაა ყოველგვარი რადიკალიზმისა და ფანატიზმისაგან, რასაც ვერ ვიტყვით ბევრ დასავლელ მოღვაწეზე – თვით წმინდა მიწის მეურვე, ცნობილი ფრანჩესკო სურიანოც (1512-1514) კი ბერძნებს „ერეტიკოსებსა და ლათინთა მთავარ მტრებს“ უწოდებს, რის არგუმენტადაც მხოლოდ ის მოჰყავს, რომ ბერძნები რომის იურისდიქციას არ სცნობენ; ამასთანავე, ქართველები მას მოველურო ხალხად ჰყავს წარმოიჩინილი.¹⁷ ბარბონე მოროზინის ტექსტში ამგვარი ტენდენციურობა არც ერთხელ არ ვლინდება. პირიქით, ის სიმპათიას ამჟღავნებს წმინდა მიწაზე წარმოდგენილი ყველა კონფესიისა და ხალხის მიმართ.

ბარბონე მოროზინის „მოგზაურობის“ ხელნაწერი

ბარბონე მოროზინის „მოგზაურობა“ ავტოგრაფის სახით ერთადერთ ხელნაწერშია შემონახული. ის სრულიად უცნობი იყო მანამდე, სანამ ამაღეო სვაიერის კოლექცია ვენეციის წმინდა მარკოზის ბიბლიოთეკას გადაეცემოდა. ამჟამად ის იტალიურ ხელნაწერთა VI კლასში მე-6 ნომრადაა შესული.

ვიდრე უშუალოდ ტექსტის აღწერას განვაგრძობდეთ, ორიოდ სიტყვით ამაღეო სვაიერის პიროვნებასაც შევხებით. ეს მისი სახელის ლათინიზებული ფორმაა (Amadeo Svajer). იგი გერმანელი გახლდათ და წყაროებში ასევე მოიხსენიება, როგორც Amadeus ან Gottlieb Schwyer. დაიბადა ვენეციაში 1727 წლის 12 დეკემბერს და იქვე, 1791 წლის 28 დეკემბერს გარდაიცვალა. ის წარმატებული კომერსანტი იყო.

სვაიერთა ოჯახი ნიურნბერგიდან ვენეციაში XVII საუკუნის ბოლოდან იყო ემიგრირებული. ისინი ლუთერანები იყვნენ. ისევე როგორც ვენეციაში მკვიდრ სხვა დიდ გერმანელ ვაჭართა შვილებმა, ამაღეომაც ძვირადღირებული კერძო განათლება მიიღო. მისი მასწავლებელი იყო ვენეციაში მცხოვრები ცნობილი გერმანელი მოღვაწე, იოჰან კონრად ჰოფმანი (1702-1756 წწ.). მასწავლებელმა თავის მოწაფეს ისტორიისა და ლიტერატურის დიდი სიყვარული გადასცა. სვაიერი ვენეციის ევანგელისტურ სამრევლოში აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მან მრავალი ხელნაწერი თუ ნაბეჭდი წიგნი შეაგროვა. ეს მდიდარი კოლექცია 1794 წელს ვენეციის წმინდა მარკოზის ბიბლიოთეკამ შეიძინა.¹⁸

ბარბონე მოროზინის „მოგზაურობის“ ტექსტი 60 გვერდს მოიცავს. ნაწერი XVI საუკუნისათვის დამახასიათებელი ლათინური კალიგრაფიით, არცთუ იშვიათად გვხვდება დაქარაგმებული სიტყვები. „მოგზაურობა“ იტალიურ ენაზეა, მაგრამ მასში არაერთგზისაა მოყვანილი ვრცელი ლათინური ციტატები.

¹⁷ *Il trattato di Terra Santa e dell' Oriente di Frate Francesco Suriano, missionario e viaggiatore del secolo XV (Siria, Palestina, Arabia, Egitto, Abissinia ecc.)*, edito per la prima volta nella sua integrità su due Codici della Comunale di Perugia e sul testo Bindoni, dal P. Girolamo Golubovich, Ord. Min., Missionario Apostolico e figlio della Custodia di Terra Santa (Milano, 1900), 74.

¹⁸ E. Bragaglia, *Gli Ex libris italiani dalle origini alla fine dell' Ottocento*, 2, (Milano, 1951), nn. 864, 865, 866.

ბარბონე მოროზინის „მოგზაურობის“ შესწავლის მდგომარეობა

1889 წელს ტ. დომენიკელიმ პირველად დაიმონმა მოროზინის „მოგზაურობა“¹⁹ 1891-92 წლებში მ. და ჩივეცამ გამოაქვეყნა ზოგიერთი ნაწყვეტი ტექსტიდან, ისინი ეხება იერუსალიმს, სიონის მთის ეკლესიას, წმინდა საფლავის ეკლესიას, ბეთლემს.²⁰ XX საუკუნეში რამდენიმე მკვლევარმა გამოიყენა მოროზინის მოგზაურობა. აქედან აღსანიშნავია ე. ჩერულის მონოგრაფია „ეთიოპიელები პალესტინაში“.²¹ ავტორი იმონებს ყველა იმ ადგილს, სადაც მოროზინი ეთიოპიელებს ახსენებს. სხვა ნაშრომთაგან უნდა დავასახელოთ ბ. ბაგატის, დ. ბალდისა და მ. რონკალიას გამოკვლევები.²² თავდაპირველად მარტინიანო რონკალიამ მოროზინის მოგზაურობა გამოიყენა იმიტომ, რომ ვენეციელი პილიგრიმი საუბრობს ბერი ბერნარდინო კორტონო უდინელის შესახებ, აღნიშნავს, რომ იგი წმინდა საფლავის ეკლესიაში მხურვალე ქადაგებას წარმოთქვამდა. მკვლევარს გადამწყვეტილი ჰქონდა, სრულად გამოეყენებინა მოროზინის „მოგზაურობა“ და ამ პროექტზე მუშაობა დაიწყო კიდეც, თუმცა ამ ნაშრომების ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა.

მოროზინის ტექსტის ჩვენეული პუბლიკაცია

შესავალში აღვნიშნეთ, რომ ჩვენ ვაპირებთ გამოვცეთ ბარბონე მოროზინის „მოგზაურობის“ სრული იტალიური ტექსტი თარგმანითურთ. პუბლიკაციაში ხელნაწერის ლინგვისტური და ორთოგრაფიული თავისებურებები ზუსტად იქნება დაცული. აგრეთვე, წარმოდგენილი იქნება ლექსიკონი, განმარტებანი და საძიებლები. ეს კომენტარები დაეფუძნება იმ სამეცნიერო, საცნობარო და სალექსიკონო მასალას, რომელიც ეხება ვენეციას, ვენეციურ-აღმოსავლურ ურთიერთობებს, პალესტინას, საპილიგრიმო ლიტერატურას, ვენეტოს დიალექტსა და მასზე აღმოსავლურ ზეგავლენებს – მასალას, რომელიც უხვადაა წარმოდგენილი წმინდა მარკოზის ბიბლიოთეკაში.²³ ამჯერად გთავაზობთ

¹⁹ T. Domenichelli, *L'Emaus della Palestina* (Livorno, 1889), 339.

²⁰ Marcellino da Civezza, *Viaggio di Barbone Morosini ai Luoghi di Terra Santa fatto l'anno 1514 e da lui stesso descritto*, in *Le Missioni Francescane* (1891), 230-236, (1892), 162-167.

²¹ E. Cerulli, *Etiopi in Palestina*, I (Roma, 1943), 372-378.

²² Bellarmino Bagatti, *Gli antichi edifici sacri di Betlemme, in seguito agli scavi e restauri praticati dalla Custodia di Terra Santa (1948-51)*, Gerusalemme, 1952, 48, 57, 187 (ბელარმინო ბაგატი, ბეთლემის ძველი საკრალური შენობები წმინდა მიწის მცველთა მიერ 1948-51 წლებში განხორციელებული გათხრებისა და რესტავრაციის შემდგომ); D. Baldi, *Enchiridion Locorum Sanctorum*, editio altera aucta et emendata, Jerusalem, 1955, 26, 452-454; M. Roncaglia, *Fra Bernardino Cortono da Udine OFM*, in *Le Venetie Francescane* 14 (1947), 39-72.

²³ მსურს, გამოვხატო დიდი მადლიერება იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ვენეციის კა' ფოსკარის უნივერსიტეტის მიმართ ფინანსური დახმარებისათვის, რამაც საშუალება მომცა, რამდენჯერმე განმეხორციელებინა სამეცნიერო კვლევა ვენეციის წმ. მარკოზის ბიბლიოთეკაში. ასევე დიდ მადლობას მოვასხენებ პროფესორ გოჩა ჯაფარიძეს მუშაობის პროცესში განეული არაერთი მნიშვნელოვანი კონსულტაციისა და მხარდაჭერისათვის.

მხოლოდ იმ ნაწყვეტებს ბარბონე მოროზინის „მოგზაურობიდან“, რომლებიც ქართველებს ეხება.

ცნობები ქართველთა შესახებ მოროზინის „მოგზაურობიდან“ შემდეგია:

1. მათ [ქართველებს] ეკუთვნით გოლგოთის მთაზე ის ადგილი, რომელსაც ამჟინევია ქრისტეს ჯვარცმის დროს გაჩენილი ღრმა ბზარი, მაცხოვრისა და არამონანიე ქურდის ჯვრების ადგილთა შორის; ისინი აქ „განმგებლობენ“ (იტალ. Questo sacratissimo locho è in governo de Gorgi christiani – ეს უწმინდესი ადგილი არის ქართველი ქრისტიანების განმგებლობაში);

2. მათ აქვთ ასევე თავიანთი საცხოვრებელი გოლგოთის მთასთან;

3. მათ აქვთ თავიანთი საკუთარი ეკლესია იმ ადგილას, სადაც იდგა ხე, რომლიდანაც დამზადდა ქრისტეს ჯვარზე მოსათავსებელი დაფა წარწერი-სათვის (იგულისხმება ჯვრის მონასტერი);

4. ისინი ბერძნებთან ერთად სწირავენ ბეთლემში მაცხოვრის შობის ეკლესიის მთავარ საკურთხეველში, ასევე წინადაცვეთის ადგილას დამოუკიდებლად აღავლენენ ღვთისმსახურებას.

ახლა მოვიყვანთ კონკრეტულ ციტატებს:

1. ნაწყვეტი გოლგოთის მთის აღწერიდან

(11r) როდესაც ადიხარ თორმეტსაფეხურიან კიბეზე, ზემოდან ჩანს, რომ იქ იყო ორი კარი, რომელიც გადიოდა მთელი ეკლესიის ქვემოთ. მთლიანად ეკლესია შემალღებულ ადგილზეა განლაგებული. ამჟამად ორივე კარები ნახევრად ამოშენებულია და ჩახერგილი. მთავარ ეკლესიაში შეიძლება სხვა კიბით დაბრუნება. სამხრეთისაკენ არის პატარა სამლოცველო საკურთხევლით, რომლის ქვეშაც არის სვეტის ნაწილი. ამბობენ, რომ მასზე იჯდა მაცხოვარი ჩვენი, როდესაც ეკლესიის გვირგვინი დაადგეს. ეს სვეტი წარმოადგენს თეთრის, შავისა და მწვანის ნარევს. აღნიშნულ ადგილზე აბისინიელები ზრუნავენ. მათ შემოზღუდული აქვთ სამლოცველო და ძალიან რთულია, თუნდაც რაიმე ფრაგმენტს მოჰკრა თვალი. როცა გაუყვები ეკლესიას გარშემო დასავლეთის მიმართულებით, მარცხენა მხარეს არის ორგანშტოებიანი კიბე, პირველი აღმოსავლეთისკენ ადის, მეორე კი სამხრეთისაკენ მიემართება. ორივე მარმარილოს თორმეტი საფეხურისაგან შედგება. ისინი ადის ვნების უწმინდეს ადგილას, რომელიც ოთხკუთხედიანია. მის შუაში არის დიდი პილასტრი. (11v) ეკლესიის სიღრმეში ჩადის საყრდენი სვეტები. სამხრეთის მხარეს არის რამდენიმე ფანჯარა, რომელიც გადაჰყურებს პატარა მოედანს ეკლესიის კარების წინ. იმ კიბისა და კაპიტელის ზემოთ არის ადგილი, სადაც მაცხოვრის ვნების დროს იდგნენ დიდებული ქალწული და წმინდა იოანე.

აღმოსავლეთისაკენ, როგორც კი ახვალ კიბეზე მარცხენა მხარეს, წამომართულია ერთიანი სიგრძისა და სიგანის მქონე მარმარილოს ადგილი კიბიდან მოყოლებული პილასტრის შუამდე. მისი სიგრძე-სიგანე დაახლოებით ოთხნახევარი ტერფია. იქ არის კლდეში გაკეთებული მრგვალი ნახვრეტი ზუსტად გოლგოთის მთაზე, სადაც აღმართული იყო ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ჯვარი. იქ არის სრული ინდულგენცია. ეს ადგილი დახურულია მარმარილოს

ფილებით და ნაპრაღში ჩადებული აქვს ტოტები, რათა იოლად ჩასავარდნი არ იყოს. შესაძლებელია ხელის ღრმად შეყოფა და შეხება ნამდვილ კლდესთან. და აქ რაოდენ დიდია ქვითინი და ცრემლი ერთგული მომლოცველებისა! თვით ისინიც კი, ვინც არ არიან კეთილგონიერი ღმერთის მონყალების მისაღებად, შემცბარნი დგანან სხვათა მტკივნეული ოხვრა-გოდების წინაშე. ეს თუ საკუთარი თვალთ არ გინახავს, ძნელად თუ ნარმოიდგენ.

ამ უწმინდესი ნახვრეტის მარჯვენა მხარეს, დაახლოებით ერთი ნაბიჯის, ანუ ხუთი ტერფის, მანძილზე არის ადგილი ქურდისა, რომელიც მოექცა ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, რწმენაზე. და მარცხნივ დაახლოებით იმავე მანძილზე არის სვეტი, რომელიც აღნიშნავს არამონანიე ქურდის ადგილს. ამ ადგილსა და უწმინდესი ჯვრის ადგილს შორის არის ნაპრაღი, რომელსაც ძირს სასრული არ უჩანს.

ეს უწმინდესი ადგილი არის ქართველი ქრისტიანების მბრძანებლობაში, თუმცა ქრისტიანთა ყოველ ჯგუფს შეუძლია სურვილისამებრ მივიდეს იქ და დაანთოს თავისი ლამპრები (ხაზგასმა ჩვენია, მ. ნ.).

2. ნაწყვეტი წმინდა საფლავის ეკლესიის აღწერიდან

(13v) ეკლესიის გვერდებზე არის ნავები, რომლებიც ერთმანეთს წრიულად მიუყვება. მათ მიღმა სამხრეთის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეს არის საცხოვრებლები, აგრეთვე ეკლესიის ნავების ზემოთაც არის სხვადასხვა ქრისტიანთა საცხოვრებლები. სამხრეთიდან დასავლეთისაკენ ქვემოთ არიან ინდოელები და აბისინიელები, რომლებიც თითქმის ერთნაირები არიან ცერემონიებში. ზემოთ აქვთ (14r) თავიანთი ადგილი სომხებს, როგორც ეკლესია, ასევე საცხოვრებელი. ესენი უფრო გვემსგავსებიან და ცდილობენ, დაგვიკავშირდნენ და ჩვენნაირნი გახდნენ.²⁴ საფლავის მიღმა არიან (resp. დგანან) იაკობიტები. კოპტებიც საფლავის მიღმა დასავლეთით მკვიდრობენ. ბერძნები, როგორც უკვე ითქვა, მთავარ საკურთხეველში სწირავენ, **ქართველები – გოლგოთის მთაზე; და იმ იატაკის ქვეშ, რომელიც არის გოლგოთის მთის წინ, მათ აქვთ თავიანთი საცხოვრებელი** (ხაზგასმა ჩვენია, მ. ნ.).²⁵ როგორც უკვე ზემოთ ითქვა, აქ არის ბზარი, რომელიც გაჩნდა ვნების დროს. მას ბოლო არ უჩანს. ამ ბზარზე ზოგიერთი ამბობს, რომ მასში ნაპოვნი იქნა ადამის თავი. აქ ჩანს ადგილი, რომელიც განიბანა ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, სისხლით ჩვენი ცოდვების წარსახოცად.

²⁴ ბარბონე მოროზინი, მსგავსად მრავალი იტალიელი ავტორისა, კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს, რომ სომხებს გამორჩეულად კარგი ურთიერთობა ჰქონდათ რომთან. ამ ნაწყვეტიდანაც ცხადია, რომ ისინი ლათინთა დიდ სიმპათიას იმსახურებდნენ. აღსანიშნავია ვენეციაში სომეხი უნიატების, მხითარისტების, ცნობილი მონასტერი წმ. ლაზარეს კუნძულზე.

²⁵ 1507 წელს გოლგოთის მიდამოებში ქართველთა საცხოვრებლებზე მიუთითებს ჰერცოგი ფრიდრიხ II ლიგნიცელი და ბრიგელი. Peradze, "An Account of the Georgian Monks," 197; ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, 53.

3. ნაწყვეტები, სადაც მოხსენიებულია ქართველთა ჯვრის მონასტერი

(15r) ოცდაოთხ [აგვისტოს], სანამ გათენდებოდა, გეზი ავიღეთ იუდეის მთისაკენ, რომელიც იერუსალიმიდან შვიდი მილითაა დაშორებული. გზად ვპოვეთ ერთი ეკლესია, რომელიც აქვთ ქართველებს წმინდა გიორგის სახელზე. ამ ეკლესიაში არის ნახვრეტი, სადაც მოიჭრა ზეთისხილის ხე, რომელიც წარწერისათვის დაედო უწმინდეს ჯვარს. ამ ეკლესიაში ამჟამად არ შევსულვართ, რათა მივყოლოდით აღებულ გეზს იუდეის მთისაკენ, სადაც გამთენიისას მივედით.

(24r) იერუსალიმში სხვა გზით დავბრუნდი. როდესაც ქალაქს ერთნახევარი მილით მივუახლოვდი, ვიყავი იმ ეკლესიაში, რომელიც ქართველებს ეკუთვნით. იქ დიდი საკურთხევლის ქვეშ არის ნახვრეტი, სადაც, როგორც ამბობენ, მოიჭრა ზეთისხილის ხე, რომელიც დაიდო უწმინდეს ჯვარზე. ამ ადგილს ეწოდება წმინდა ჯვარი, რაც ზემოთაც აღვნიშნე. შემდეგ დავბრუნდით ჩვენს ადგილას სიონის მთაზე.

4. ნაწყვეტი ბეთლემის მაცხოვრის შობის ეკლესიის აღწერიდან

(16v) ეკლესია ხუთნავიანია, მათგან ცენტრალური განიერია. მისი სიგრძე საკურთხევლამდე ორმოცდაათი ტერფია. აქ არის ოთხი წყება ულამაზესი და დიდი სვეტებისა. თითოეულ წყებაში თერთმეტი სვეტია. აღმოსავლეთით, ჯვრის მსგავსი გადაკვეთის გადაღმა, მდებარეობს დიდი სამლოცველო, გვერდებზე კი – კიდევ ორი სხვა სამლოცველო. ჯვრის ფორმის გადაკვეთაზე არის მთავარი საკურთხეველი, მარმარილოებით მოფენილი, მაგრამ დაზიანებული. გარშემოც მთელი ეკლესია დაფარული იყო მარმარილოებით. ისინი მუსლიმებმა წაიღეს თავიანთი მშენებლობებისათვის და მხოლოდ ცოტა დარჩა. სვეტებს ზემოთ ეკლესიის ფრთებზე სულ მოზაიკებია. პატარა სამლოცველო, რომელიც მთავარ საკურთხეველთანაა და აღმოსავლეთისაკენ იყურება, ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, წინადაცვეთის ადგილია. იქ სრული ინდულგენციაა. თავყვანისცემა სრულდება საკურთხევლის ქვეშ. დიდი საკურთხევლის მეორე მხარეს არის სხვა პატარა სამლოცველო თავისი საკურთხეველითურთ, რომელიც უჩვენებს იმ ადგილს, სადაც მოვიდა სამი მოგვი, რათა თავყვანი ეცა მაცხოვრისათვის. და ამ საკურთხეველთან დიდი სამლოცველოს წინ არის ცისტერნა, სადაც ჩაედინება საკმაო წყალი. (17r) **მთავარ საკურთხეველში სწირავენ ბერძნები და ქართველები, წინადაცვეთისაში – ქართველები** (ხაზგასმა ჩვენია, მ. ნ.), სამი მოგვისაში – სომხები.

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ XVI საუკუნის დასაწყისში ქართველები ჯერ კიდევ მყარად არიან დამკვიდრებულნი წმინდა მიწაზე. გარდა იმისა, რომ მათ აქვთ საკუთარი ეკლესია (ჯვრის მონასტერი), ისინი სრულად განმგებლობენ გოლგოთის მთაზე ჯვარცმის ადგილას, რომლის სიახლოვეს საცხოვრებელიც აქვთ; მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქართველები სწირავდნენ ბეთლემში მაცხოვრის შობის ეკლესიაში არა მხოლოდ წინადაცვეთის სამლოცველოში, რომელიც მათ ეკუთვნოდათ, არამედ ღვთისმ-

სახურებას ბერძნებთან ერთად აღავლენდნენ მთავარ საკურთხეველში.²⁶

დასავლური წყაროების შემდგომი მოძიება და ანალიზი უდავოდ გამოავლენს მრავალ ახალ საინტერესო დეტალს, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია წმინდა მიწაზე ქართველთა მოღვაწეობის შესასწავლად, აგრეთვე პალესტინოლოგიის სფეროში შემავალი არაერთი საკითხის საკვლევად. ბარბონე მოროზინის „მოგზაურობას“ ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ამ წყაროთა შორის.

ბიბლიოგრაფია

გაბაშვილი ტიმოთე. მიმოსვლა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა. თბილისი, 1956

ფერაძე გრიგოლ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. თბილისი, 1995

Peradze, Gregory Archimandrite. An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as revealed in the Writings of non-Georgian Pilgrims. *Georgica. A Journal of the Georgian and Caucasian Studies. Rustaveli Volume. Nos. 4&5. Autumn 1937*

Ashtor, E. Venezia e il pelegrinaggio in Terrasanta nel basso medioevo, *Archivio storico italiano, CXLIII, 1985*

Bagatti, B. Gli antichi edifici sacri di Betlemme, in seguito agli scavi e restauri praticati dalla Custodia di Terra Santa (1948-51). *Gerusalemme, 1952*

Baldi, D. *Enchiridion Locorum Sanctorum*, editio altera aucta et emendata. *Jerusalem, 1955*

Bragaglia, E. *Gli Ex libris italiani dalle origini alla fine dell'Ottocento. 2. Milano, 1951*

Cerulli, E. *Etiopi in Palestina. I. Roma, 1943*

Da Civezza, M. Viaggio di Barbone Morosini ai Luoghi di Terra Santa fatto l'anno 1514 e da lui stesso descritto. In *Le Missioni Francescane, 1891-92*

Culto dei Santi a Venezia, di S. Tramontin e altri. Venezia, 1965

Domenichelli, T. *L'Emaus della Palestina. Livorno, 1889*

Howard, D. R. *Writers and Pilgrims: Medieval Pilgrim Narratives and their Posterity. London, 1980*

Howard, D. *Venice and the East. London, 2000*

²⁶ საერთოდ, ბეთლემში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ მხოლოდ ორი ცნობაა შემონახული. იაკობ ვერონელის თანახმად, 1335 წელს ბეთლემში ქართველებს ჰქონდათ საკურთხეველი შობის გამოქვაბულის გარეთ. Peradze, "An Account of the Georgian Monks," 188; ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, 36-37. მოგვიანებით, XVIII საუკუნეში ტიმოთე გაბაშვილი იხსენიებს ბეთლემში სამწირველოს. ტიმოთე გაბაშვილი, *მიმოსვლა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა* (თბილისი, 1956), 82.

Hyde, J. K. Italian Pilgrim Literature in the Late Middle Ages, Bulletin of the John Rylands University Library of Manchester, 72, no. 3: special issue: Essays in Memory of J. K. Hyde, ed. Brian Pullan and Susan Reynolds, 1990

Il trattato di Terra Santa e dell'Oriente di Frate Francesco Suriano, missionario e viaggiatore del secolo XV (Siria, Palestina, Arabia, Egitto, Abissinia ecc.), edito per la prima volta nella sua integrità su due Codici della Comunale di Perugia e sul testo Bindoni, dal P. Girolamo Golubovich, Ord. Min., Missionario Apostolico e figlio della Custodia di Terra Santa, Milano, 1900

Jacoby, D. Studies on the Crusader States and on Venetian Expansion. Northampton, 1989

Jacoby, D. Pelegrinage médiéval et sanctuaires de Terre Sainte: La perspective vénitienne. Ateneo Veneto, CLXXIII (XXIV N.S.), 1986

Les Italiens en Egypte au XIIIe et XIVe siècles: du comptoir à la colonie' in *Coloniseur au Moyen Age*, eds. Michel Balard et Alain Ducellier. Paris, 1995

Lucchetta, G. L'Oriente mediterraneo nella cultura di Venezia tra il Quattro e il Cinquecento. Vicenza, 1984

Mutinelli, F. Del commercio dei Veneziani. Venezia, 1835

Roncaglia, M. Fra Bernardino Cortono da Udine OFM. Le Venezie Francescane, 14, 1947

Fra Francesco Suriano. Treatise on the Holy Land. Trans. Fr Theophilus Bellorini OFM and Fr Eugene Hoade OFM. Jerusalem, 1949

Venezia e l'Oriente fra tardo Medioevo e Rinascimento, A cura di Agostino Perusti. Firenze, 1966

Viaggio in Terrasanta di Santo Brasca 1480, con l'itinerario di Gabriele Capodilista. Milano, 1966

Western Pilgrims: The Itineraries of Fr Simon Fitzsimons (1322-23), a Certain Englishman (1344-45), Thomas Brygg (1392), and Notes on Other Authors and Pilgrims. Ed. Hoade E. OFM. Jerusalem, 1952; repr. 1979

X

ქართველები ალჟირში XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში

კონსტანტინე ფერაძე

ქართულ ისტორიოგრაფიაში მალრიბის ოსმალურ საფაშოებში ქართული წარმოშობის მოხელეთა მოღვაწეობა სიახლეს წარმოადგენს. ის, რომ ქართველი ტყვეები სტამბოლისა თუ ოსმალეთის იმპერიის სხვა მონათა ბაზრებზე საკმაოდ სარფიანად და დიდი რაოდენობით იყიდებოდნენ, ჩვენთვის აღმოჩენა არაა, თუმცა მათი შემდგომი ბედი უმეტესწილად ბუნდოვანი იყო ქართველი, და არა მარტო ქართველი მკვლევრებისთვის.

სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო მასალების, დიპლომატიური და სამოგზაურო მემუარების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ქართველ ტყვეებს შორეულ ალჟირშიც ყიდულობდნენ. XVIII-XIX საუკუნეებში მამლუქთა არსებობა ალჟირის მეზობელ თუნისისა და ტრიპოლის საფაშოებშიც დასტურდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მონებს, მათ შორის კავკასიიდან მოტაცებულ მოზარდებს, სტამბოლელი მოხელეები და ოსმალურ საფაშოთა გამგებლები ერთმანეთს საჩუქრად უგზავნიდნენ. რამდენად მასშტაბური და რეგულარული იყო აქ კავკასიელ მონათა, მათ შორის ქართველთა, შემოყვანა, ჯერ კიდევ შესასწავლი და გასარკვევია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მამლუქთა ის სამხედრო-პოლიტიკური სისტემა, რომელიც შეიქმნა ეგვიპტესა და ერაყში, ალჟირში არ შეინიშნება.

1517 წლიდან თანამედროვე ალჟირის ტერიტორია ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ხოლო ქალაქი ალჟირი ოსმალეთის იმპერიის მალრიბის პროვინციის მთავარ ქალაქად გამოცხადდა. მას მართავდა სულთნის მიერ დანიშნული ბეილარბეი. 1671 წლიდან მმართველს ეწოდებოდა დეი (შემდგომში ფაშა-დეი), რომელსაც დივანი – არმიის, ფლოტის, საბაჟო, საგადასახადო და სხვა უწყებების მმართველთა საბჭო ირჩევდა.

დეის დაახლოებით იგივე ფუნქციები ჰქონდა, რაც ოსმალეთის იმპერიის სხვა ოლქების ფაშებსა და ბეგებს. მას იანიჩართა ლაშქარი ექვემდებარებოდა, რომელიც უმეტესად ანატოლიიდან მოსული თავგადასავლების მაძიებლებით იყო დაკომპლექტებული. დეი დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტი-

კას აწარმოებდა. მისი მმართველობა სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა. თუმცა დეიების სიცოცხლის ხანგრძლივობა მხოლოდ მათ ჯანმრთელობაზე არ იყო დამოკიდებული. 1671-1830 წლებში ალჟირის მმართველი 29 დეიდან 14 მოკლეს სახელისუფლებო გადატრიალების შედეგად. ერთი ცნობით, მსგავსი გადატრიალების შედეგად, 24 საათში, ერთი-მეორის მიყოლებით 6 ახლად დანიშნული დეი მოკლეს. თავად დეის თანამდებობაზე იანიჩრები გამორჩეულ პიროვნებას ირჩევდნენ. მომავალი დეი, როგორც წესი, იანიჩართა კორპუსში მოღვაწე „თურქი“ უნდა ყოფილიყო. მსგავსი შესაძლებლობა ეძლეოდათ გამაჰმადიანებულ რენეგატებსაც, რომლებიც, როგორც წესი, ხელმოცარული ან საკუთარ ბატონს გამოქცეული ევროპელი მეზღვაურები იყვნენ.

ალჟირი ხმელთაშუა ზღვის მეკობრეობის ცენტრი იყო, ალჟირელები სხვა ქვეყნების ხომალდებს იტაცებდნენ, თავს ესხმოდნენ ზღვისპირა სოფლებს და დატყვევებულ ადამიანებში უზარმაზარ გამოსასყიდს ითხოვდნენ. ამ საფაშოში, 1575 წლიდან მოყოლებული, ხუთი წელი ტყვეობაში მიგელ დე სერვანტეს-მაც გაატარა და ეს პერიოდი თავის რამდენიმე ნაწარმოებში აღწერა.

XVIII საუკუნის ალჟირის ძირითად შემოსავალს მეკობრეობა წარმოადგენდა, ალჟირელი მეკობრეები არა მხოლოდ ხმელთაშუა ზღვაში, არამედ ატლანტიკის ოკეანეშიც დათარეშობდნენ. მათი ძირითადი მსხვერპლი ევროპული სავაჭრო ხომალდები იყო, თუმცა ამერიკული გემებიც არაერთხელ დაუტყვევებიათ. საკუთარი ხომალდების ხელშეუხებლობის საგარანტიოდ ევროპის სახელმწიფოები, მოგვიანებით კი ამერიკის შეერთებული შტატებიც, ალჟირს ყოველწლიურ გადასახადს უხდიდა. მიუხედავად ამისა, დეი ხანდახან არღვევდა შეთანხმებას და დატყვევებულ ამერიკელებსა და ევროპელებს მხოლოდ უზარმაზარი გამოსასყიდის ფასად ათავისუფლებდა.

აღსანიშნავია, რომ 1800 წლისთვის ამერიკის შეერთებული შტატების საერთო შემოსავლის საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ საკუთარ ტყვეთა გამოსყიდვას და მალრიბის საფაშოებისათვის მისაცემ ყოველწლიურ გადასახადს ხმარდებოდა. ნაპოლეონის ომების დასრულების შემდეგ ევროპის სახელმწიფოებმა აკრძალეს მონათვაჭრობა. მალრიბის მეკობრეებისათვის ყოველწლიური ხარკის გადახდა, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა, შეურაცხმყოფელიც იყო და უკვე ნაკლებ საჭიროებასაც წარმოადგენდა. 1815 წელს ამერიკის ფლოტმა ალჟირის ხომალდები დააკავა და აიძულა დეი ყოველგვარი წინაპირობების გარეშე დაედო მათთან ხელსაყრელი ხელშეკრულება. ამერიკას ბრიტანეთმაც მიჰბაძა. 1816 წელს ბრიტანეთის ფლოტმა 9 საათიანი დაბომბვის შემდეგ აიძულა დეი მსგავსი ხელშეკრულება მათთანაც გაეფორმებინა.

1827 წელს ალჟირის დეიმ საფრანგეთის კონსულს შეურაცხყოფა მიაყენა (ბუზის მოსაგერიებელი ბუმბულებიანი ჯოხი გაარტყა სახეში), რაც, ფაქტობრივად, ალჟირის სამწლიანი ბლოკადის და 1830 წელს ალჟირის საფრანგეთის მიერ სრული ოკუპაციის მიზეზი გახდა.

ცნობილი ებრაელი მკვლევარის ტალ შუვალის თანახმად, ალჟირის მმართველი ელიტა საკუთარ რიგებში მხოლოდ „თურქ“ მოხელეებს იღებდა და ამით სახელმწიფოს მმართველობის ოსმალურ ყაიდას ინარჩუნებდა.¹ თურქად ითვლებოდა ის, ვინც არაბი არ იყო და ვინც ქვეყნის გარეთ დაიბადა. ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ თურქად შეიძლება ბულგარელი, ბერძენი, ალბანელი, ჩეხი, იტალიელი, კორსიკელი და მრავალი სხვა წოდებულიყო. „თურქისა“ და ადგილობრივი მოსახლის შვილი უკვე თურქად აღარ ითვლებოდა და მას ყულოლლის (მონის შვილს) ეძახდნენ. ეს კატეგორია მოკლებული იყო მმართველი წრის პრივილეგიებს. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია ის, რომ ალჟირის მმართველი ელიტის წარმომადგენლები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ არა მხოლოდ თურქების, არამედ სტამბოლის ან სხვა ქალაქების მონათა ბაზრებზე ნაყიდი ტყვეების შემოყვანას და მათ დასაქმებას ქვეყანაში.

სწორედ ამ შორეულ საფაშოში მოღვაწეობდა რამდენიმე ქართველი, რომლებმაც თავიანთი ნიჭი და ენერჯია ალჟირის და ზოგადად, ოსმალეთის იმპერიის კეთილდღეობას მოახმარეს.

ოსმალეთის განთქმული ამირბარი (ადმირალი) ჯაზაირლი (ალჟირელი) კაპუდან ფაშა ჰასანი (სურ. 1), რომელიც ქართველი მკითხველისთვის უკვე ცნობილია, 1714 წელს დაიბადა საქართველოში და წარმოშობით ფშავიდან იყო.² იგი სიბერეშიც კი თავისუფლად ფლობდა ქართულ ენას. ფიქრობენ, რომ ჰასანი თავიდანვე ალჟირში იქნა გაყიდული, თუმცა არის მოსაზრება, რომ იგი სტამბოლის თექირდაღის უბანში მცხოვრებმა ვაჭარმა შეიძინა, მონობიდან განთავისუფლების შემდეგ კი იანიჩართა რიგებში ჩაენერა და 1737-1739 წლებში ავსტრიელთა წინააღმდეგ იბრძოდა, სადაც თავი ქალაქ ბელგრადის ალყის დროს გამოიჩინა. ალჟირში იგი ტლემსენის ოლქის მმართველად დაინიშნა. მოგვიანებით, ალჟირის დეისთან ურთიერთობის გართულების გამო ალჟირიდან ესპანეთში გაიქცა. 1760 წელს ჰასანი სტამბოლში დაბრუნდა და აქედან მოყოლებული, 30 წლის განმავლობაში, რუსეთის ფლოტის წინააღმდეგ იბრძოდა. 1770 წლის 5-7 ივლისის რუსეთთან გამართულ ჩესმას საზღვაო ბრძოლაში ჰასანმა თავი გამოიჩინა, რის შედეგადაც სულთანმა იგი კაპუდან ფაშას, ანუ მთავარი ადმირალის თანამდებობაზე დაანიშნა. შემდგომ წლებში იგი წესრიგის დასამყარებლად სხვადასხვა ოსმალურ პროვინციებში მიავლინეს, მათ შორის სირიაში, ეგვიპტეში და მორეაში. იმავდროულად ჰასანი შავ ზღვაში რუსეთის ფლოტის წინააღმდეგ საზღვაო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა. იგი ოსმალური ფლოტის მოდერნიზაციის მთავარი ინიციატორი იყო, მის სახელს

¹ Tal Shuval, “The Ottoman Algerian Elite and Its Ideology,” *International Journal of Middle East Studies*, vol. 32, no. 3. (Aug., 2000), 327.

² დავით ჯანელიძე, *საქართველო და აღმოსავლეთი XVIII საუკუნეში*, სპეცკურსი, (თბილისი, 1984), 228-229. დამატებითი საარქივო ცნობისთვის იხ. Г. Мачарадзе, *Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х годов XVIII века* (Тбилиси, 1967), 15-17.

უკავშირდება თურქული საზღვაო აკადემიის შექმნაც. ჰასანი, რომელიც ყველგან თავის ლომთან ერთად დადიოდა, 1790 წელს სტამბოლში გარდაიცვალა.³

ჰასან კაპუდან ფაშა ხშირად ასოცირდება ალჟირის საფაშოსთან. რუსეთთან ომის დროს მან მალრიბის ქვეყნებიდან არაერთი საზღვაო სპეციალისტი, მათ შორის ქართველი, გამოიწვია. ზოგი ავტორი ჰასანს სტამბოლში მალრიბის დაჯგუფების თავკაცად მიიჩნევს.⁴ უახლესი გამოკვლევებით ირკვევა, რომ ჰასანმა გარშემო შემოიკრიბა საკმაოდ ბევრი ქართული წარმოშობის მამულუქი, რომლებმაც 1780-90-იან წლებში, ოსმალეთის ამირბარის შემწეობით, იმპერიის უმაღლესი თანამდებობები დაიკავეს.

სავარაუდოდ, სწორედ ჰასან კაპუდან ფაშას სახელს უკავშირდება ალჟირში მოღვაწე ქართული წარმოშობის ძმების – ალი ფაშა ალ-ტარაბულუსის და საიდ ალი ალ-კაპუდანის ოსმალეთის იმპერიაში დანიშნულების ისტორია. საქართველოში დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები ძმების შესახებ პირველად 2005 წელს გამოვაქვეყნეთ.⁵ ამჯერად შემოვიფარგლებით მათი ცხოვრების მცირე მიმოხილვით.

ალი ალ-ტარაბულუსის ქართული წარმოშობის შესახებ ალჟირში საფრანგეთის კონსულის მიშელ კერსის მოგონებებიდან ვიგებთ. ძმები იქაური გამგებლის მუჰამმად ბინ უსამა დეის (1766-1791) კარზე აღიზარდნენ. ფრანგული წყაროებით, ალი უნიჭიერესი პიროვნება იყო და მას ოსმალეთის იმპერიაში ბრწყინვალე კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. იგი ალჟირის ვექილჰარიჯის, იგივე საზღვაო მინისტრის, თანამდებობაზე დანიშნურდა და დეის ქალიშვილიც მოიყვანა ცოლად. პატრონის გარდაცვალების შემდეგ, ალი და, სავარაუდოდ მისი ძმაც, სტამბოლში მიავლინეს ოსმალეთის მხარდასაჭერად რუსეთთან ომში. 1791 წლის ივლის-აგვისტოში იგი, როგორც ოსმალეთის ფლოტის მენინავე ხომალდის კაპიტანი, მონაწილეობდა ტენდრასა და კალიაკრიის საზღვაო ბრძოლებში რუსეთის ფლოტის წინააღმდეგ.

მოგვიანებით, ალი ანატოლიის ფაშად დაინიშნა. 1803 წელს საიდ ალი საკუთარ ძმასთან – ალი ალ-ტარაბულუსთან ეგვიპტეში იმყოფებოდა. ცნობილი ეგვიპტელი ისტორიკოსის ალ-ჯაბართის ქრონიკებიდან ჩანს, რომ 1807 წელს საიდ ალი ფაშა ოსმალეთის კაპუდან ფაშად, ე.ი. ადმირალად დაინიშნა. ის ხელმძღვანელობდა გადამწყვეტ ბრძოლას კუნძულ ლემნოსთან, რომლის შედეგადაც რუსეთის ფლოტი იძულებული გახდა უკან დაეხია და მოეხსნა სტამბოლის ბლოკადა. სულთან სელიმის გარდაცვალების შემდეგ, ალის უთანხმოება მოუვიდა დიდვაზირ მუსტაფა ბაირაქტართან, რის გამოც იგი

³ J. H. Mordtmann and E. Kuran, “Jezāirli Ghāzī Hasan Pasha,” *The Encyclopedia of Islam*, vol. II, (Leiden, 1965), 533-534.

⁴ Asma Moalla, *The Regency of Tunis and the Ottoman Porte, 1777-1814* (London, 2004), 55-56.

⁵ კონსტანტინე ფერაძე, „ეთნიკური სოლიდარობის შესახებ XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დამდეგის ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეთა შორის“, *ახლო აღმოსავლეთი და კავკასია*, 4 (2005), 82-88.

ხმელთაშუა ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე განდევნეს. ცნობილია, რომ 1820 წლის იანვრიდან 1821 წლის 21 აპრილამდე, საიდ ალის ეკავა ოსმალეთის დიდვაზირის თანამდებობა. იგი 1826 წელს სტამბოლში გარდაიცვალა.

საიდ ალის ძმის – ალი ალ-ტარაბულუსის ალჟირში მოღვაწეობის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. სტამბოლში ჩასულ ალის სულთანმა ტრიპოლის საფაშოს მმართველობა უბოძა, ამის დამადასტურებელი ფირმანები გადასცა, ჯარით და საჭირო აღჭურვილობით მოამარაგა. სწორედ ამის შედეგად შეერქვა ალის ალ-ტარაბულუსი, ანუ ტრიპოლელი, მას ასევე ალი ბურლულსაც ეძახდნენ. ერთ ფრანგულ წყაროში ალი ბორლულ-გორჯის (გურჯის, იგივე ქართველის) სახელითაც იხსენიება.⁶

1793 წლის ივლისის ბოლოს ალი მცირე ფლოტით ტრიპოლის პორტში შევიდა. მას თან სულთნის ფირმანი ჰქონდა, რის საფუძველზეც ტრიპოლის მმართველი ფაშა ალი კარამანლი (1754-1793) გადაყენებულად ცხადდებოდა, ხოლო მის ადგილს ალი ბურლული იკავებდა. ალიმ ტრიპოლიში ტირანული მმართველობა დაამყარა, მისი ხელქვეითები მოსახლეობის ურცხვად ძარცვასაც არ ერიდებოდნენ.

ერთ-ერთი ფრანგი ავტორის ცნობით, ალის თან ახლდა ხალხი, რომელიც კოლხების შთამომავლები იყვნენ. ალი ბურლულს უდიდეს დახმარებას უწევდა როგორც სულთანი, ისე მისი ძმა, რომელიც ალის პერიოდულად ჯარისკაცებით ამარაგებდა. მას მხარს უჭერდნენ ევროპის ქვეყნებიც. მიუხედავად ამისა, ალიმ ვერ გამოიყენა ვერც ქვეყანაში შექმნილი ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაცია, გარეშე მხარდაჭერა და ვერც დროებითი, თუმცა მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებები. საფაშოს შიგნით შექმნილი არეულობით, არასტაბილურობით და ალის მიერ გადადგმული არასწორი ნაბიჯებით ისარგებლა თუნისის მმართველმა ჰამმუდა ფაშამ (1782-1812) და 1794 წლის ნოემბერში ტრიპოლის წინააღმდეგ თუნისის ჯარი გაგზავნა ალი კარამანლის ვაჟების – აჰმადისა და იუსუფის თანხლებით. ჯარს ქართველი მამლუქი მუსტაფა ხოჯა სარდლობდა.

1795 წლის იანვარში ალი დიდძალი ნადავლით ტრიპოლიდან გაიქცა და თავი შეაფარა თავის თანამემამულეებს ეგვიპტეში, სადაც, რამდენიმე წლის განმავლობაში, ეგვიპტის მამლუქთა ერთ-ერთ მეთაურს, წარმოშობით ასევე ქართველ მურად ბეის ახლდა თან. ალი მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ პირამიდების ბრძოლის მოსამზადებელ ფაზაში და სავარაუდოდ, ბრძოლის მსვლელობისას მურად ბეის გვერდით იმყოფებოდა. შემდეგ იგი სირიაში გადავიდა, სადაც ადგილობრივი ფაშას – იუსუფის მრჩეველი გახდა. მოგვიანებით, იუსუფმა ალი სტამბოლში გაგზავნა, სადაც იგი 1803 წლამდე იმყოფებოდა.

1803 წ. ეგვიპტეში არეულობები დაიწყო. ადგილობრივ ალბანელთა შენ-

⁶ N. Slousch, "La Tripolitaine sous la domination des Karamanli," *Revue du Monde Musulman*, tome sixième (1908), 65.

აერთი და მამლუქები ფაშას განუდგნენ და მოკლეს ის. სიტუაციის დასარეგულირებლად, ალი ეგვიპტეში ფაშას სტატუსით მიაგლინეს, მაგრამ 1804 წ. მარტის ბოლოს მამლუქებმა ისიც მოკლეს. აღ-ჯაბართის თანახმად, ალი აღტარაბულუსს ღია ფერის კანი და ხშირი ქერა წვერ-ულვაში ჰქონდა, საკმაოდ ცუდად იცოდა არაბული, იყო განცხრომისა და დროსტარების მოყვარული.

ქართული წარმოშობის ოსმალო მოხელეებმა აღჭირში დაწყებული აღმასვლა ოსმალეთის იმპერიის სხვა ნაწილებშიც გააგრძელეს. ზოგიერთმა მათგანმა თავად აღჭირის უმაღლეს თანამდებობას – დეის ან ფაშა-დეის წოდებას მიაღწია. ესენია ქვემოთ დასახელებული ორი მმართველი – ჰასან დეი და ალი ხოჯა, რომელთა ბიოგრაფიები საქართველოში პირველად ქვეყნდება.

ბაბა ჰასან დეის (1791-1798) აღჭირის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მას აქებენ როგორც ევროპელები და ამერიკელები, ისე არაბები. ამერიკელი ჰენრი ბარნბი კი თავის წიგნში „აღჭირის ტყვეები“ რამდენიმე თავს უთმობს ჰასანის მოღვაწეობას და მასზე საუბარს იწყებს იმით, რომ „სიდი ჰასანი იყო ქართველი“.⁷ ეს ბრიტანელი დიპლომატის საიმონ ლუკასის ბრიტანეთის სამხედრო უწყების ხელმძღვანელ ჰენრი დუნდასთან გაგზავნილი წერილიდანაც ირკვევა. თურქული წყაროების თანახმად, მისი სახელია ჰასან ბინ იუსუფ აჰისკალი, რაც სავარაუდოდ იმაზე მიუთითებს, რომ ჰასანი ახალციხელი გამაჰმადიანებული მესხი იყო.⁸ 1730-იანი წლებისათვის, ახალციხის საფაშოს დიდგვაროვანთა უმეტესობა მაჰმადიანი იყო, გლეხობის დიდი ნაწილი კი ისევ ინარჩუნებდა ქრისტიანობას. თუ ჰასანი მუსლიმი იყო, მაშინ იგი აღჭირში მამლუქის ან მონის სახით ვერ მოხვდებოდა. ბრიტანულ დიპლომატიურ წყაროებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ ჰასანი აღჭირში ძალზე ახალგაზრდა ჩამოვიდა და ჯარისკაცად ან იანიჩრად, ალბათ, ნებაყოფლობით ჩაენერა.

ლუკასის თანახმად, ჰასანი სხარტი გონების პატრონი, განათლებული და მამაცი პიროვნება იყო, მან საზღვაო საქმე საკმაოდ სწრაფად შეისწავლა. მალე ჰასანს ხომალდის კაპიტნის წოდება მიანიჭეს და 1770 წელს შავ ზღვაში რუსეთ-თურქეთის საზღვაო ბრძოლებში აღჭირის გემების მეთაურად მიაგლინეს.

1775 წელს ესპანეთი აღჭირზე თავდასხმისათვის გამალებით ემზადებოდა. იმჟამინდელმა მმართველმა მუჰამად დეიმაც დაინყო ომისათვის მზადება და ამასთან, სტამბოლში სულთანთან შუამდგომლობისა და დახმარების სათხოვნელად ჰასანი გაგზავნა. უკან გამობრუნებული ჰასანი უკვე სასტიკად დამარცხებულმა ესპანელებმა გზაში დაატყვევეს და ესპანეთში წაიყვანეს. მუჰამად დეიმ საფრანგეთის კონსულს სთხოვა დახმარე-

⁷ H. B. Barnby, *The Prisoners of Algiers, an account of the forgotten American-Algerian war 1785-1797* (New York, 1966), 76.

⁸ Fehmi Edhem Karatay, *Topkapı Sarayı Müzesi Kütüphanesi türkçe yazmalar kataloğu*, vol. 1 (Istanbul, 1961), 306; Ismail Özen, *Osmanlı müellifleri*, vol. 3 (Istanbul, 1975), 63.

ბოდა ესპანელთა ტყვეობიდან ჰასანის გამოხსნაში. მცირე დაყოვნების შემდეგ, ჰასანი გაათავისუფლეს. როგორც ირკვევა, ესპანეთში ყოფნისას ჰასანმა ფარული მოლაპარაკება გამართა ბურბონებთან და გასამრჯელოდ რამდენიმე მილიონი ესპანური დოლარიც მიიღო. მას ევალებოდა ესპანეთსა და ალჟირს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების უზრუნველყოფა და ესპანელი ტყვეების დაბრუნება. ამ დროისათვის ორივე სახელმწიფო მზად იყო მშვიდობისათვის. ალჟირში დაბრუნებული ჰასანი სხვადასხვა დასავლელ დიპლომატებთან მართავდა შეხვედრებს. ამავე დროს იგი წერილს უგზავნის საფრანგეთის მეფეს ლუი XVI-ს და მადლობას უხდის იმისთვის, რომ მონაწილეობა მიიღო ესპანელთა ტყვეობიდან მისი განთავისუფლების საქმეში. ირკვევა, რომ ჰასანი კარგად ფლობდა ესპანურ ენას და ჯერ საზღვაო მინისტრის (ვაქილ ალ-ჰარიჯ), მოგვიანებით კი პრემიერ-მინისტრის (ჰაზნაჯი) თანამდებობები ეკავა. მუჰამად დეის გარდაცვალების შემდეგ, 1791 წლის 13 ივლისს, იანიჩრების მოთხოვნით, ჰასანი ალჟირის დეის თანამდებობაზე აირჩიეს.

ორ ქართველს – ჰასან დეისა და ზემოხსენებულ საიდ ალის, ერთმანეთთან საკმაოდ ცუდი ურთიერთობა ჰქონდა. სავარაუდოდ, ორივე ალჟირის მმართველის კანდიდატურად მოისაზრებოდა. დეის თანამდებობაზე არჩევიდან მცირე ხანში, ჰასანმა ალი სტამბოლში გაგზავნა. ეს ერთგვარად მისი ჩამოშორების ტოლფასი იყო, თუმცა ჰასანს თავისუფლად შეეძლო ალი მოეკლა ნებისმიერი, თუნდაც სულ უბრალო მიზეზის გამო.

ესპანეთმა ჰასანთან დადებული ადრინდელი ხელშეკრულების საფუძველზე ქალაქი ორანი ალჟირს დაუთმო. განახლებული ხელშეკრულება შეედეთთან, პრუსიასთან და სხვა ევროპულ სახელმწიფოებთანაც გაფორმდა. სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო ასევე პორტუგალიასთანაც, რომელთანაც ალჟირი მუდმივად ომის მდგომარეობაში იყო. პორტუგალიელებმა გახსნეს გიბრალტარის სრუტე, სადაც ამ დრომდე მალრიბელ მეკობრეებს არ ატარებდნენ. ალჟირელებმა ამით ისარგებლეს, ატლანტიკის ოკეანეში ამერიკის სავაჭრო ხომალდებს თავს დაესხნენ და მრავალი ამერიკელი მეზღვაურიც დაატყვევეს. მათ ჯერ კიდევ 1785 წლიდან ჰყავდათ დატყვევებული 21 ამერიკელი მეზღვაური ქალაქ ალჟირში. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი ამერიკელი – ჯეიმს ქასქართი მომავალი დეის, ჰასანის ქრისტიანი მდივანიც კი გახდა საზღვაო სამინისტროს უწყებაში. შემდგომში, ხელსაყრელი სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისა და ამერიკელი მეზღვაურების გამოსყიდვის დროს, ამერიკელებს ეს ნაცნობობა ძალზე გამოადგათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საინტერესო ფაქტი: 1793 წელს ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი ალჟირის დეისთან მორიგ მოლაპარაკებებს იწყებს და ჰასანთან გამოცდილ დიპლომატს დევიდ ჰამფრის აგზავნის, რომელიც ამ პერიოდში ამერიკის ელჩი იყო ესპანეთში. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მოლაპარაკებები არ შედგა, დეიმ ელჩი არ მიიღო, თუმცა, როგორც

ირკვევა, ვაშინგტონის მიერ გამოგზავნილი წერილი⁹ (სურ. 2) ნაიკითხა და თავის ამერიკელ მდივანს – ქასქართს მოგვიანებით პასუხიც უკარნახა. ამ პასუხის ერთი ვერსია ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკის არქივებში ინახება. მე შესაძლებლობა მომეცა გავცნობოდი ქასქართის მიერ შედგენილ ამ დაუთარილებელ წერილს, რომლის ორიგინალი ამჟამად ნიუ იორკის ბიბლიოთეკაში ქასქართის პირად არქივში ინახება (სურ. 3).¹⁰ ჰასან დეი ჯორჯ ვაშინგტონს წერდა, რომ იგი მიესალმება მოლაპარაკებებს და საჭიროდ თვლის უახლოეს პერიოდში ამერიკასა და ალჟირს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებას. უცნობია, გაიგზავნა თუ არა ეს წერილი ამერიკაში. როგორც არ უნდა იყოს, ამერიკის პირველი პრეზიდენტის ჯორჯ ვაშინგტონისა და ახალციხელი ქართველის, იმჟამად ალჟირელი მმართველის პირველი მიმონერა ნაკლებად შედეგიანი გამოდგა. მოლაპარაკებები მხოლოდ 1796 წელს განახლდა ალჟირში მივლინებული ამერიკელი კონსულის – დონალდსონის მეშვეობით და დეის ამერიკელი მდივნის ჯეიმს ქასქართის გამჭრიახობა რომ არა, ეს მოლაპარაკებაც ჩაიშლებოდა და მრავალი ამერიკელი ტყვე, მონის სტატუსით, ისევ ალჟირში დარჩებოდა.

ამერიკელი დიპლომატები ყველანაირად ცდილობდნენ მოლაპარაკებების წარმატებით წარმართვას, თუმცა ჰასანი უკმაყოფილო იყო, მათი შემოთავაზებით მიეღო 700 ათასი დოლარი მშვიდობის სანაცვლოდ. მოლაპარაკებები ჩაშლის პირას იყო. ეს ხელშეკრულება ამერიკელი მონების ბედსაც გადანყევტდა. აქ ამერიკელმა ქასქართმა ბოლო სიტყვა თავის თავზე აიღო; მან დაიჩოქა, დეის ხელზე ემთხვია და შეევედრა: „ეფენდი, ზოგიერთი ჩვენგანი აქ

⁹ ჰამფრის მიერ დეისთან ჩამოტანილი წერილის ინგლისურენოვანი ტრანსკრიპტისთვის იხ. *The Papers of George Washington*, <http://gwpapers.virginia.edu/documents/pirate/documents/dey.html>

აქვე მოგვყავს წერილის ქართული თარგმანი:

„ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი ალჟირის დეისა და სარეგენტოს,

ვინაიდან გვსურს ჩვენს ხალხსა და ალჟირის დეის, სარეგენტოსა და ალჟირელ ხალხთან მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარება და განვითარება, დაენიშნე დევიდ ჰამფრი, ჩვენი ერთ-ერთი გამორჩეული მოქალაქე, სრულუფლებიან კომისარად, [და] მივანიჭებ მას სრულ უფლებას, რათა აწარმოოს მოლაპარაკებები და გააფორმოს მეგობრობისა და სავაჭრო ხელშეკრულება თქვენთან. ვლოცულობ, რომ სრულ ნდობას გამოუცხადებთ მის მიერ შეერთებული შტატების სახელით მონოდებულ გზავნილს თქვენდამი, განსაკუთრებით კი ჩვენს გულწრფელ სურვილს, ვიქონიოთ თქვენთან და თქვენს ხალხთან მშვიდობა და მეგობრობა. დმერთს შევთხოვ, რათა მოგცეთ ჯანმრთელობა და ბედნიერება. შექმნილია 1793 წლის მარტის 21 დღეს, ფილადელფიაში, შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის მე-17 წელს.

ჯ. ვაშინგტონი

პრეზიდენტის მიერ

თ. ჯეფერსონი“.

¹⁰ *Cathcart family papers, 1785-1962*, bulk (1785-1806; 1830-1844), box 1, Manuscripts and Archives Division, New York Public Library.

უკვე 10 წელზე მეტია ვიმყოფებით. თუ ალლაჰი გნამთ, გაგვიშვით ჩვენს სამშობლოში“. ამ სიტყვებმა რატომღაც ძალიან იმოქმედა ჰასანზე, იგი დაფიქრდა და ამერიკელთა გასაოცრად, უეცრად ყველაფერზე დათანხმდა.¹¹ ძნელია გამოვიცნოთ, თუ რატომ დათმო ჰასანმა მოლაპარაკების ადრინდელი პირობები (იგი 2.5 მილიონ დოლარს ითხოვდა). იქნებ ამ წუთებში გაუბედურებულ ამერიკელთა ადგილზე მან თავისი თავიც წარმოიდგინა; ისინიც ხომ თავიანთი ქვეყნიდან იყვნენ მოშორებულნი, მაგრამ ალჟირში დატყვევებული ათობით ამერიკელი მეზღვაურისგან განსხვავებით, ჰასანი თავისიანებს ვერასოდეს დაუბრუნდებოდა. ფრანგი მკვლევრების აზრით, ჰასანი კაცთმოყვარე და მზრუნველი პიროვნება იყო. მან ალჟირში მოხვედრილ დატყვევებულ უცხოელთა პირობების გასაუმჯობესებლად საკმაოდ ბევრი გააკეთა.¹² თავად ბეის სიტყვებით, ამერიკელთა პირობების მიღება მან ბრიტანელთა გასალიზიანებლად გააკეთა, რომელთაც თავიანთ ძველ კოლონიასთან არცთუ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ჰასანს, ჰენრი ბარნბის აზრით, ძალიან მოსწონდა ამერიკელები, ისინიც ბრიტანეთისგან თავის დასახსნელად იბრძოდნენ და ალჟირის მმართველისათვის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ახალგაზრდა ქვეყანა მისაბამ მაგალითს წარმოადგენდა.¹³ მან შემდგომში, ამერიკელებს ტრიპოლისთან და თუნისთან ხელშეკრულების დადებისას დიდი დახმარება აღმოუჩინა, მისი ხელმოწერა ამერიკა-ტრიპოლის სამშვიდობო ხელშეკრულებასაც ერთვის. მაღლიერმა ამერიკელებმა ალჟირის დეის აჩუქეს ხომალდი, რომელსაც მისი სახელი – ჰასან ფაშა უწოდეს. გარდაცვალებამდე ჰასანი კიდევ ერთ წერილს უგზავნის ჯორჯ ვაშინგტონს, რომელიც ჯეიმს ქასქართს უნდა მიეწოდებინა ამერიკის პრეზიდენტისათვის.¹⁴ ალჟირის ახალციხელი დეი მოხუცებული გარდაიცვალა 1798 წლის 14 მაისს.

1794 წელს ჰასანმა ქეჩაუას ორმინარეთიანი მეჩეთი ააგო, თუმცა ზოგიერთი ცნობით, ჰასანმა მხოლოდ აქ არსებული ძველი მეჩეთი აღადგინა (სურ. 4). როგორც არ უნდა ყოფილიყო, დღეს, ქეჩაუას მეჩეთი ჰასან დეის სახელთან ასოცირდება. თავად მეჩეთი, მოგვიანებით, ფრანგებმა კათოლიკურ ეკლესიად გადააკეთეს, ხოლო ალჟირის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ალჟირელებმა იგი ისევ მეჩეთად აღადგინეს. ქეჩაუას მეჩეთი, რომელიც ალჟირის საფოსტო მარკებზეც არის აღბეჭდილი, ქალაქ ალჟირის ცენტრშია და ალჟირელთა აზრით, მათ ქვეყანაში ყველაზე დიდი მეჩეთია. სწორედ ამ მეჩეთის გარშემო 1956 წელს დაიწყო ალჟირელთა რევოლუცია. ასევე შემორჩენილია ქეჩაუას მეჩეთის გვერდით არსებული ჰასან დეის სასახლე, საფრანგეთ-

¹¹ James Cathcart, *The Captives* (La Porte, 1899), 184.

¹² H. Grammont, *Histoire d'Alger sous la Domination Turque 1515 -1830* (Paris, 1887), 310.

¹³ Barnby, *The Prisoners of Algiers*, 96, 318.

¹⁴ Frank Knox, *Naval Documents related to the United States Wars with the Barbary Powers*, vol I, (Washington, 1939), 155.

ის მიერ ალჟირის ოკუპაციის პერიოდში, სასახლეში ჯერ ალჟირის ფრანგი გუბერნატორი ცხოვრობდა, შემდგომში კი საპატიო სტუმართა სასტუმროდ გადაკეთდა. 1860 და 1865 წლებში ალჟირში მოგზაურობისას სწორედ აქ გაჩერდნენ საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III და მისი მეუღლე ევგენია, 1903 წელს კი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ემილ ლუბე. ჰასანს ჰყავდა ერთი ცოლი და ერთი ქალიშვილი სახელად ენფისა, რომელიც ალჟირის უკანასკნელი დეის – ჰასანის (1818-1830) მეუღლე იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკელმა მწერალმა როიალ ტაილერმა 1797 წელს ალჟირში მყოფი ტყვის შესახებ მხატვრული ნაწარმოები გამოაქვეყნა. აქ ტაილერი აღწერს ჰასან დეის, მის ჩაცმულობას, მანერებს და რამდენიმე საინტერესო ამბავს დეის ცხოვრებიდან. სავარაუდოდ, ავტორი ეყრდნობოდა იმ ამერიკელ მეზღვაურთა და დიპლომატთა მონაყოლს, რომელთაც თავად იხილეს ამერიკის მეგობარი ალჟირის მმართველი.¹⁵ ტაილერის „ალჟირელი ტყვე“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ექვსჯერ გამოიცა ამერიკაში, სწორედ ამ ნაწარმოებით გაიცნო ამერიკელმა მკითხველმა ახალციხელი ჰასან ფაშა.

გავიდა თითქმის 20 წელი. ევროპამ გამოიარა ნაპოლეონის ომები, დაიწყო ტერიტორიების ხელახალი გადანაწილება. ევროპელები შეთანხმდნენ, რომ დრო იყო აღმოეფხვრათ ხმელთაშუა ზღვაში ჩრდილოეთ აფრიკის საფაშოთა მრავალსაუკუნოვანი მეკობრეობის პრაქტიკა და აეკრძალათ მონათვაჭრობა. 1812 წელს ალჟირის დეიმ ჰაჯჯ ალიმ (1808-1815) ქვეყნიდან გააძევა ამერიკის ელჩი, რითაც ამერიკას ფაქტობრივად ომი გამოუცხადა. 3 წლის შემდეგ, 1815 წელს, ამერიკის ხომალდებმა დააკავეს ალჟირელთა 2 ხომალდი და ქალაქ ალჟირის პორტში ომარ დეისგან (1815-1817) მოითხოვეს ყველა ამერიკელი ტყვის უპირობო გათავისუფლება და განახლებული ხელშეკრულების გაფორმება ყოველგვარი საკონტრაქტო გადასახადების გარეშე. დეი ამ პირობებზე დათანხმდა და დამატებით 10 ათასი დოლარიც გადაიხადა საკუთარი ხომალდების გამოსასყიდად.

ერთი წლის შემდეგ ქალაქ ალჟირს ბრიტანეთის ადმირალი ლორდი ექსმუთი მიადგა და დეისგან უკლებლივ ყველა ქრისტიანი მონის დაუყოვნებლივი განთავისუფლება მოითხოვა. ალჟირის მმართველმა ბრიტანელებს თავიდან უარი შეუთვალა, მაგრამ მოგვიანებით, ქალაქის 9 საათიანი დაბომბვის შემდეგ, იძულებული გახდა გაენთავისუფლებინა ათასზე მეტი ქრისტიანი მონა. იცვლებოდა საერთაშორისო ურთიერთობები და ეს ცვლილებები ალჟირის საგარეო პოლიტიკაზეც უნდა ასახულიყო. საჭირო ხდებოდა ახალი მმართველი, რომელიც აქცენტს საკუთარი სახელმწიფოს კონსოლიდაციისა და რეფორმების გატარებაზე გადაიტანდა.

დადგა 1818 წლის გაზაფხული. ალჟირის დივანი წერილს აგზავნის ოსმა-

¹⁵ Royall Tyler, *The Algerine Captive; or, The life and adventures of Doctor Updike Underhill [pseud.] six years a prisoner among the Algerines* (Hartford, 1816), 114-115.

ლეთის სულთან მაჰმუდ II-სთან. წერილი დაახლოებით ამ შინაარსისაა: ერთმა მეგრელმა უზურპატორმა, რომელმაც მოკლა ომარ ფაშა, 6 თვის განმავლობაში უკანონოდ მიისაკუთრა ალჟირის მმართველობა. ქვეყნის მოსახლეობა დესპოტური, უკანონო და არაეფექტური ხელისუფლების ქვეშ მოაქცია, რის შედეგადაც განადგურდა იანიჩართა შენაერთი და დაუძღურდა მოსახლეობა. მადლობა ალლაჰს, ალი ფაშა ეპიდემიამ შეინირა და დივანმა ჰუსეინს გადასცა მმართველობა, რომელიც, წინამორბედისაგან განსხვავებით, გამოირჩევა გონიერებით, ალლაჰის რწმენით და სულთნის ერთგულებით.¹⁶

ეს ერთი მეგრელი იყო ალი ფაშა (1817-1818), რომლის უეცარმა სიკვდილმა ასე გაახარა ალჟირის მმართველთა საბჭო – დივანი. ამ სტატიას ვურთავთ გრავიურას, რომელზეც დეი ალი ხოჯა, იგივე ალი ფაშა, გარშემორტყმულია ადამიანთა მოკვეთილი თავებით. მე საშუალება მქონდა მენახა მრავალი მალრიბელი მბრძანებლის პორტრეტი, მაგრამ მსგავსი სისასტიკე არც ერთ მათგანზე არ აღუბეჭდავთ (სურ. 5). განა ამ მეგრელ კაცს 6 თვის მანძილზე ისეთი რა უნდა გაეკეთებინა, რომ მამაცი და თავზეხელაღებული მეკობრეებით განთქმულ ალჟირში სრული პანიკა გამოეწვია და დაშინებულ ქვეშევრდომებს მისი უეცარი სიკვდილი უფლის ნყალობად ჩაეთვალათ?

ფრანგ ავტორს ლუი პიესს ალჟირის ისტორიისადმი მიძღვნილ წიგნში ჩამოთვლილი აქვს ალი ხოჯას სხვა გავრცელებული სახელები, მათ შორის არის მეგუერ-ალი (იგივე მეგრელი ალი) და ალი-ლოკო (ანუ ალი-გიჟი).¹⁷ ალი გიჟი ნამდვილად არ იყო, პირიქით, ამერიკის კონსული ალჟირში უილიამ შალერი მას ახასიათებს როგორც გონიერს, განათლებულს და წიგნების მოყვარულს,¹⁸ ხოლო არაბი ისტორიკოსი მავლუდ გაიდი კი მას კულტურულს, ენერგიულს და უაღრესად ჭკვიანს უწოდებს.¹⁹ თუმცა, უკლებლივ ყველა ავტორი აღნიშნავს, რომ ალი ტირანული მმართველობით გამოირჩეოდა. იგი საკმაოდ სასტიკი და დაუნდობელი იყო. ამერიკელი კონსულის აზრით, ხოჯას ტიტული, რაც ალჟირის ოსმალურ ადმინისტრაციაში მნიგნობართა, აღმწერთა და გადამწერთა ნოდება იყო, ალის სწორედ წიგნების სიყვარულის გამო მიანიჭეს. კონსული ალის წიგნებთან ურთიერთობის საილუსტრაციოდ ერთ ისტორიას იხსენებს, რაც სავარაუდოდ სწორედ ასახავს მის ხასიათს. ალი დეისთან დიპლომატიურ მიღებაზე კონსულებს დარბაზის შესასვლელში რამოდენიმე წუთით ადრე მოკლულ ადამიანთა დანანვერებულ სხეულებზე გადაბიჯება მოუწიათ,

¹⁶ Abdeljelil Temimi, “Le Beylik de Constantine et Hadj ’Ahmed Bey (1830-1837),” in *Publications de la Revue d’histoire maghrébine*, vol. 1 (Tunis, 1978), 32.

¹⁷ Louis Piesse, *Itinéraire historique et descriptif de l’Algérie, comprenant le Tell et le Sahara* (Paris, 1862), 27.

¹⁸ Whilliam Shaler, *Sketches of Algiers, political, historical, and civil; containing an account of the geography, population, government, revenues, commerce, agriculture, arts, civil institutions, tribes, manners, languages, and recent political history of that country* (Boston, 1826), 156.

¹⁹ Mouloud Gaïd, *L’Algérie sous les Turcs* (Tunis, 1974), 178.

დარბაზში შესულთ კი მდიდრულად გამოწყობილი, მცველებით გარშემორტყმული, სრულიად მშვიდი ალი ხოჯა დახვდათ, რომელიც გატაცებით კითხულობდა წიგნს. კონსული გაცხადებული იყო, თუ როგორ შეეძლო ალის წიგნის კითხვა მას შემდეგ, რაც საკუთარი ხელით მოკლა რამდენიმე ადამიანი.²⁰

ამ ეტაპზე, ალის ადრეულ მოღვაწეობაზე მხოლოდ ფრაგმენტული ცნობით შემოვიფარგლებით. ერთი ფრანგი ავტორის ინფორმაციით, 1808 წელს ალიმ მონაწილეობა მიიღო ალჟირის ფაშის აჰმად ბულალის (1806-1808) მკვლელობაში.²¹ ვფიქრობთ, რომ ალი, როგორც განათლებული, მოაზროვნე და უაღრესად მამაცი პიროვნება, ელოდა შესაფერის დროსა და გარემოებებს მმართველობის ხელში ჩასაგდებად და ამის შედეგად თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას, რაც მიზნად ისახავდა ალჟირიდან ოსმალთა გაძევებას, ქვეყანაში რეფორმების გატარებას და საკუთარი დინასტიის დაარსებას.

1817 წლის 8 ოქტომბერს ალი ხოჯა და მისი თანამოაზრეები შეიჭრნენ ომარ დეის (1815-1817) სასახლეში და მოკლეს იგი. ალი ხოჯამ დეის რეზიდენცია და სახელმწიფო ხაზინა ჯანინას სასახლიდან ქალაქის ციტადელში გადაიტანა. ამის მიზეზი ჯანინაში მის წინამორბედთა ხშირი მკვლელობები იყო. მას მიაჩნდა, რომ ახალ რეზიდენციაში უკეთ იქნებოდა დაცული. ალი ხოჯამ პირადი დაცვა ყულოლლებისა და ადგილობრივი მხედრების – ზუავებისაგან ჩამოაყალიბა. აქამდე, როგორც ადგილობრივები, ისე ყულოლლები, აქტიურ სახელმწიფო საქმიანობას ჩამოშორებულნი იყვნენ, პრიორიტეტი თურქ იანიჩრებს ან რენეგატებს ენიჭებოდათ. პარალელურად, ალი ხოჯამ მკაცრი კონტროლი დააწესა იანიჩართა კორპუსზე, რაც მიზნად ქვეყნიდან მათ გაძევებას ისახავდა. თავდაპირველად, მან „თურქებს“ თავიანთ ქვეყნებში ნებაყოფლობით დაბრუნება შესთავაზა. თურქებმა ახლად მოვლენილ მმართველს უარი შეუთვალეს, რის შედეგადაც ალჟირში 1817 წლის ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის პირველ ნახევარში ბრძოლები გაჩაღდა. ალი ხოჯას ურჩი იანიჩრების დასაშოშმინებლად გამზადებული ჰყავდა 2000 ზუვავა და 6000 ყულოლლი მებრძოლი. აჯანყებული იანიჩრები დამარცხდნენ, ალი ხოჯას მებრძოლებმა ამ დღეებში დეის მრავალი მოწინააღმდეგე მოკლეს. ეს ალჟირის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იყო. იანიჩრები ყოველთვის მმართველ ფენად ითვლებოდნენ, ალი ხოჯამ კი როლები შეცვალა და პრიორიტეტი ადგილობრივებს მიანიჭა. ფრანგი ავტორების აზრით, ეს რევოლუციის ტოლფასი იყო,²² რევოლუციის მოხდენა კი ოსმალეთის იმპერიაში სიგიჟედ აღიქმებოდა. ამერიკის კონსულის შალერის ვარაუდით, ალი ხოჯა ალჟირში საკუთარი დინასტიის დაარსებას აპირებდა,²³ ალის ეს განზრახვა ფრანგული

²⁰ Shaler, *Sketches of Algiers*, 157.

²¹ Maurice Le Clercq, *Le tombeau des cinq deys d'Alger* (Clermont, 1888), 62.

²² P. Boyer, “Des Pachas Triennaux à la révolution d’Ali Khodja Dey (1571-1817),” *Revue Historique* 495 (1970), 124.

²³ Shaler, *Sketches of Algiers*, 158.

წყაროებითაც დასტურდება.²⁴ შეიძლება ითქვას, რომ ალი შეეცადა, საქართველოდან მოტაცებული მამლუქების, ეგვიპტეში მოღვაწე ალი ბეი ალ-ქაბირისა და ერაყში მოღვაწე დაუდ ფაშას მსგავსად, ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე დამოუკიდებელი სახელმწიფო შეექმნა. სამივე შემთხვევაში მოლოდინი არ გამართლდა. ეგვიპტელი ალი ბეი მისივე მომხრეებმა განირეს, ერაყში მოღვაწე დაუდ ფაშას ძლიერი არმია შავი ჭირის ეპიდემიამ გაანადგურა და იგივე დაემართა თავად ალი ხოჯასაც. 1818 წლის დასაწყისში ალჟირს ეპიდემია მოედო, რასაც იმავე წლის 1 მარტს ალი ხოჯაც შეენირა. ევროპელები წერენ, რომ ალის სიკვდილით ალჟირში დასრულდა ტერორის ხანა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ალი ხოჯას მიზნები, მის მიერ გამოყენებული უმკაცრესი მეთოდების მიუხედავად, ალჟირის სახელმწიფოს განმტკიცებისა და ადგილობრივი საზოგადოების კონსოლიდაციისკენ იყო მიმართული. რაც შეეხება მის სისასტიკეს და დაუნდობლობას, ამით იმ დროს ვერავის გააკვირვებდი, ასეთი იყო ეპოქა და ასეთი იყო იმდროინდელი მმართველობის წესი.

სწორედ ალი ხოჯას მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დანიშნულებამ მისცა დასაბამი არაბულ-ბერბერული ელიტის ჩამოყალიბებას. მისი მმართველობის პერიოდში 1500-ზე მეტი თურქი იქნა განადგურებული. ალის ხანმოკლე მოღვაწეობიდან ასევე აღნიშნავენ ალკოჰოლის გაყიდვის აკრძალვას, თუნისტან დადებულ წარმატებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას, ალჟირელ მეკობრეთა მიერ ჩრდილოეთ ზღვაში წარმოებულ ლაშქრობას, კონსტანტინას პროვინციაში დეის სასურველი ბეგის დანიშვნას, სასურსათო პროდუქტებზე ფასების რეგულირებას. სხვა საქმიანობასთან ერთად, ალი ხოჯამ მოასწრო მეჩეთის აშენება, რომელსაც ჯამაა ბარანი ეწოდება. იგი მდებარეობს კასბას ციტადელის შიგნით და ბიზანტიური სტილით გამოირჩევა. მოგვიანებით, ქეთჩაუას მეჩეთის მსგავსად, ბარანის მეჩეთიც ფრანგების მიერ კათოლიკურ ეკლესიად გადაკეთდა.

ალჟირში და ზოგადად, ჩრდილო აფრიკაში, ბევრი ქართველი ტყვის ცხოვრება და მოღვაწეობა ჯერ კიდევ უცნობია. ოსმალეთის ამირბარებად, ფაშებად თუ ალჟირის მმართველებად დანიშნული უბრალო ქართველები ბედმა საერთაშორისო ორბიტაზე გაიყვანა და ევროპისა და ამერიკის ხელისუფლებთან მოლაპარაკებებში ჩართო. და თუ მათი ცხოვრება შესასწავლია – ეს, უპირველეს ყოვლისა, ქართველ მკვლევართა მოვალეობაა.

²⁴ *Dépot de la Guerre, Aperçu historique, statistique et topographique sur l'état d'Alger: à l'usage de l'armée expéditionnaire d'Afrique* (Paris, 1830), 72.

ბიბლიოგრაფია

ფერაძე კონსტანტინე. ეთნიკური სოლიდარობის შესახებ XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დამდეგის ოსმალეთის სახელმწიფო მოხელეთა შორის. ახლო აღმოსავლეთი და კავკასია, 4, 2005

ჯანელიძე დავით. საქართველო და აღმოსავლეთი XVIII საუკუნეში. სპეცკურსი. თბილისი, 1984

Мачарадзе Г. Грузинские документы из истории русско-грузинско-египетско-эфиопских отношений 80-х годов XVIII века. Тбилиси, 1967

Barnby, H. B. The Prisoners of Algiers, an account of the forgotten American-Algerian war 1785-1797. New York, 1966

Boyer, P. Des Pachas Triennaux à la révolution d'Ali Khodja Dey (1571-1817). Revue Historique, 495, 1970

Cathcart family papers, 1785-1962, bulk (1785-1806; 1830-1844). Box 1, Manuscripts and Archives Division. New York Public Library

Cathcart, James. The Captives. La Porte, 1899

Dépot de la Guerre. Aperçu historique, statistique et topographique sur l'état d'Alger: à l'usage de l'armée expéditionnaire d'Afrique. Paris, 1830

Gaïd, Mouloud. L'Algérie sous les Turcs. Tunis, 1974

Grammont, H. Histoire d'Alger sous la Domination Turque 1515 -1830. Paris, 1887

Karatay, Fehmi Edhem. Topkapı Sarayı Muzesi Kutuphanesi turkce yazmalar katalogu. Vol. 1. Istanbul, 1961

Knox, Frank. Naval Documents related to the United States Wars with the Barbary Powers. Vol. I. Washington, 1939

Le Clercq, Maurice. Le tombeau des cinq deys d'Alger. Clermont, 1888

Moalla, Asma. The Regency of Tunis and the Ottoman Porte, 1777-1814. London, 2004

Mordtmann, J.H., and E. Kuran. Jezāirli Ghāzī Hasan Pasha. The Encyclopedia of Islam. Vol. II. Leiden, 1965

Özen, Ismail. Osmanli müellifleri. Vol. 3. Istanbul, 1975


The Papers of George Washington, <http://gwpapers.virginia.edu/documents/pirate/documents/dey.html>

Piesse, Louis. Itinéraire historique et descriptif de l'Algérie, comprenant le Tell et le Sahara. Paris, 1862


Shaler, Whilliam. Sketches of Algiers, political, historical, and civil; containing an account of the geography, population, government, revenues, commerce, agriculture, arts, civil institutions, tribes, manners, languages, and recent political history of that country. Boston, 1826

Shuval, Tal. The Ottoman Algerian Elite and Its Ideology. International Journal of Middle East Studies. Vol. 32, No. 3, Aug., 2000

Temimi, Abdeljelil. Le Beylik de Constantine et Hadj 'Ahmed Bey (1830-1837). In *Publications de la Revue d'histoire maghrébine*. Vol. 1. Tunis, 1978



1



2



3

- სურ. 1 ჰასან კაპუდან ფაშა, უცნობი ფრანგი მხატვრის გრავიურა.
- სურ. 2 1793 წლის 21 მარტით დათარიღებული ჯორჯ ვაშინგტონის წერილი ჰასან დეის.
- სურ. 3 ჰასან დეის დაუთარიღებელი საპასუხო წერილი პრეზიდენტ ვაშინგტონს.



4



5

სურ. 4 საფრანგეთის ოკუპაციის პერიოდში გადაღებული ფოტო – ქეჩაუას მეჩეთი და ჰასან დეის სასახლე.

სურ. 5 ალი ხოჯას გამოსახულება, შესრულებული 1852 წელს ალექსანდრ დებელის მიერ.



მხედარი

სტატია: ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შუა საუკუნეების დასავლეთევროპელ მოგზაურთა წიგნებში (ბენედიქტ პოლონელი, ჟან დე მანდევილე)

ავტორი: ბეჟან ჯავახია

წყარო: საისტორიო კრებული, ტომი 1 (2011), გვ. 171-185

გამომცემლობა: მხედარი

XI

ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ შუა საუკუნეების დასავლეთევროპულ მოგზაურთა წიგნებში (ბენედიქტ პოლონელი, ჟან დე მანდევილი)

ბეჟან ჯავახია

შუა საუკუნეების მანძილზე საქართველო პერმანენტული ომების ასპარეზს წარმოადგენდა, რამაც წერილობითი და ნივთიერი ძეგლების დიდი ნაწილი შეიწირა. ამდენად, ყველა წყაროს, რომელიც საქართველოს გარეთ, უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში მოიპოვება, ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მასალათა შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია როგორც უცხოური ქრონიკები, ასევე ქვეყნებს შორის ოფიციალური მიმონერის დოკუმენტები, მისიონერთა, დიპლომატთა, მოგზაურთა და სხვა თვითმხილველთა ჩანაწერები, მათი მოგზაურობების აღწერები და ცენტრალური წარმომადგენლობისათვის გაგზავნილი ანგარიშები.

ამ წყაროებისა და დოკუმენტების დიდი ნაწილი დღემდე საკმარისად არ არის გამოვლენილი და შესწავლილი. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ისტორიკოსებმა ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა ჩაატარეს, დღესაც რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზი.

XI საუკუნის ბოლოდან, ჯვაროსნული ლაშქრობების დასაწყისიდან, ევროპისათვის აღმოსავლეთის თემა მეტად აქტიუალური გახდა. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა უფრო მეტად დაახლოვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული და მუსლიმური სამყარო, უფრო სწორად, დასავლეთის წარმოდგენა აღმოსავლური სამყაროს შესახებ უფრო რეალური გახდა. დასავლეთიდან ჩამოსული რაინდები, ისევე როგორც პილიგრიმები (პილიგრიმთა რიცხვი ჯვაროსანთა პერიოდში უფრო გაიზარდა), რომლებსაც დიდი ხნით მოუხდათ დარჩენა აღმოსავლეთში, უფრო სრულად გაეცნენ აღმოსავლეთის ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროს.

XIII საუკუნის პირველ ნახევარში მონღოლთა ლაშქრობებმა ახალი პირობები შექმნა დასავლეთის კათოლიკური ეკლესიის მისიონერული მოღვაწეობისათვის. ამ დროს ჩამოყალიბებულმა ფრანცისკელთა და დომინიკელთა ახალმა სასულიერო ორდენებმა აქტიურად დაიწყეს ბრძოლა ევრო-

პის ტერიტორიაზე კათოლიციზმის განმტკიცებისათვის და მწვალებლობის აღმოსაფხვრელად და მიზნად დაისახეს ქრისტიანობის გავრცელება აღმოსავლეთის წარმართებსა და მუსლიმებში. ამის საუკეთესო მაგალითი უჩვენათვით ფრანცისკ ასიზელმა, როდესაც ის პირადად გაემგზავრა ეგვიპტეში და 1219 წელს სულთან ალ-კამილს ქრისტიანობის მიღებისაკენ მოუწოდა. პირველი წესდება, რომელიც მან 1221 წელს დაწერა, მოუწოდებდა ორდენის წევრებს მონამეობრივი ცხოვრებისაკენ, რათა გაეგრძელებინათ ქრისტიანობა წარმართებსა და სხვა აღმსარებლობის ხალხებში. ამავე წესდების XXI თავში ეწერა, რომ ძმებმა, რომლებიც მიემგზავრებიან, თავიანთი სულიერი მოვალეობა უნდა დაგეგმონ ორი მიმართულებით: აწარმოონ საუბრები და ყველა ადამიანს ქრისტიანული სიყვარულით მოემსახურონ; ამით გააგებინონ, რომ ქრისტიანები არიან. მეორე გზა იყო ქადაგება მამისა, ძისა და სულწინდის სახელით. ამავე მიზანს ემსახურებოდა პაპი ინოკენტი IV. მან საგანგებოდ გაგზავნა ათი ახალგაზრდა სტუდენტი პარიზში, რათა შეესწავლათ არაბული და სხვა აღმოსავლური ენები. ეს ინტერესი აღმოსავლური ენებისადმი ერთ დიდ კონტექსტში იკითხება. ბ. ალტანერმა სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა იმ საკითხს, თუ როგორ ემზადებოდნენ მისიონერული მოღვაწეობისათვის კათოლიკე ბერები და როგორ სწავლობდნენ ენებს.¹

XIII საუკუნის დამდეგს მსოფლიო ისტორიის ასპარეზზე მონღოლთა გამორჩენამ ასევე გააღრმავა დასავლეთის ინტერესი როგორც ახლო, ასევე შორეული აღმოსავლეთის მიმართ. საქართველო, რომელიც მდებარეობდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის როგორც გეოგრაფიულ, ასევე ცივილიზაციურ გზაჯვარედინზე, დასავლეთის მხრიდან უფრო დიდი ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა.

საქართველოს მეფეები ცდილობდნენ, აქტიური ურთიერთობა დაემყარებინათ დასავლეთთან, სახელდობრ, რომის ეკლესიასთან, რომელიც, თავის მხრივ, სწორედ ამ პერიოდში აღმოსავლეთის მიმართულებით უფრო აქტიურ ინტერესს იჩენდა. რომის პაპები უკიდურეს აღმოსავლეთში თავიანთ წარმომადგენლებს აგზავნიდნენ გაცნობის, გარკვეული პოლიტიკური და, რასაკვირველია, მისიონერული ამოცანების განხორციელების მიზნით. ამდენად, შორეული აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის მიმართულებით მრავალი ევროპელი მისიონერი გაემართა, რომელთაც თავიანთი ჩანაწერები დაგვიტოვეს. ეს მასალები აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობათა ისტორიის უძვირფასეს წყაროებს წარმოადგენენ.

ამ წყაროების მნიშვნელობას ზრდის ის, რომ ისინი, ძირითადად, წარმოადგენენ კორესპონდენციებს და მათი ავტორები თვითონ არიან აღწერილი ამ-

¹ Berthold Altaner, "Die Fremdsprachliche Ausbildung der Dominikanermission während des 13. und 14. Jahrhunderts," *Zeitschrift fuer Missionswissenschaft und Religionswissenschaft*, 23 (1933), 233-241.

ბების მონაწილეები ან თვითმხილველები. საშუალება გვეძლევა, ახლებურად განვიხილოთ რამდენიმე ისტორიული მოვლენა, დავაზუსტოთ არაერთი ისტორიული თარიღი, პიროვნების სახელი და გვარი, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს.

1233 წელს პაპმა გრიგოლ IX გააგზავნა ფრანცისკელები აღმოსავლეთში, რათა ექადაგათ ქრისტიანობა კონიაში, დამასკოსა და ეგვიპტეში, ასევე ბაღდადში. 1245 წელს პაპმა ინოკენტი IV გააგზავნა ელჩობა მონღოლეთში და თან გაატანა რეკომენდაცია, რომ მონღოლთა მთავრებს ქრისტიანობა მიეღოთ. ასევე, XIII საუკუნის 40-იან წლებში მისიონერული აქტიურობის ობიექტი გახდა რუსეთი, ყირიმი, სომხეთი და კავკასია.

ჩვენი ინტერესის საგანია პაპ ინოკენტი IV-ის მიერ 1245 წელს მონღოლეთში გაგზავნილი ელჩობა და ამ ელჩობის ერთ-ერთი მონაწილე ფრანცისკელი ბერის ცნობები საქართველოს შესახებ. აღნიშნული ელჩობის მეთაურის პლანო კარპინის მოგზაურობა კარგად არის ცნობილი და ასევე კარგადაა შესწავლილი მისი ცნობები, როგორც მონღოლების, ასევე საქართველოს შესახებ. ჩვენ ყურადღება მივაქცევთ ამ ელჩობის მეორე მონაწილეს – ბენედიქტ პოლონელს, რომლის მოღვაწეობა ნაკლებად არის ცნობილი და როგორც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო წყარო, შეუხსნაველია.

ფრანცისკელთა ელჩობა 1246 წლის 16 აპრილს გამოვიდა ლიონიდან, სადაც იმ დროს პაპი ინოკენტი IV იმყოფებოდა, და რომელიც პაპის დროებით რეზიდენციას წარმოადგენდა. ელჩობას მეთაურობდა პლანო კარპინი. მასთან ერთად იყო კიდევ ერთი ფრანცისკელი ბერი სტეფანე ბოჰემიელი. ლიონიდან ისინი პოლონეთში, ვროცლავში (ბრესლაუ) ჩავიდნენ, სადაც მათ შეუერთდა მესამე ფრანცისკელი ბერი ბენედიქტი, წარმოშობით პოლონელი. იგი გახდა თანამგზავრი და, ამავე დროს, თარჯიმანი ელჩობისა, რადგანაც ძველი სლავური ენა კარგად იცოდა. ელჩობისადმი პოლონეთში განსაკუთრებული ინტერესი ყოფილა, რაზეც მიუთითებს პლანო კარპინის გამოსვლა პოლონელ წარჩინებულთა შეკრებაზე. პლანო კარპინის კრაკოვში ყოფნის დროს შედგა მთავრების ყრილობა, თავად მეფის ბოლესლავ მეხუთის, მაზოვეცის ჰერცოგის კონრადის და მეფის დედის გრემისლავას მონაწილეობით. თვით კარპინის ცნობით, მასში მონაწილეობდნენ კონრად მაზოვეცის ვაჟი ბოლესლავი და კრაკოვის ეპისკოპოსი იან პრანდოტა.² ბენედიქტ პოლონელის თქმით, პლანო კარპინი სიტყვით გამოვიდა ამ შეკრებაზე და წაიკითხა პაპის მიმართვა – *Cum simus super*, სადაც ის ამტკიცებდა აზრს ეკლესიის ერთიან წიაღში დაბრუნების შესახებ.

პოლონეთის მთავრის კონრადის დახმარებით, ისინი კიევში ჩავიდნენ, რომელიც იმ დროისათვის მონღოლთა უღელქვეშ იყო. აქედან ქალაქის მმართველმა მათ გააყოლა მეგზურები ექვსი დღის სავალზე, მონღოლთა

² Борис Рамм, *Папство и Русь В X-XV Веках* (М.-Л., 1959), 195.

საზღვრამდე, კუმანების დასახლებამდე. სტეფანე ბოჰემიელი აქ ჩამოშორდა ელჩობას და აქედან ორი ფრანცისკელი ბერი – პლანო კარპინი და ბენედიქტ პოლონელი, ადგილობრივი სამხედრო ძალის მეთაურის დახმარებით, როგორც პაპის ელჩები, გაემგზავრნენ მონღოლთა დედაქალაქისაკენ. ბერებმა თან ადგილობრივი მეგზურები გაიყოლეს. ისინი ჯერ ვოლგაზე ბათო ყაენთან ჩავიდნენ, შემდეგ აქედან მონღოლეთში, გუიუკ ხანთან გაემგზავრნენ, სადაც ახალი ყაენის არჩევას დაესწრნენ. ყაენმა ისინი თავის საცხოვრებელ სახლში დააბინავა. ელჩობა ასევე ყაენის დედამაც მიიღო. როგორც ბენედიქტ პოლონელი წერს, ისინი ყარაყორუმში ახალი ყაენის არჩევის დროს ჩავიდნენ. მათი გადმოცემით, აქ ყველა ქვეყნიდან ჩამოსული 3000-მდე უცხოელი ელჩი იმყოფებოდა, რომლებიც ყაენის კარს წერილებსა და საჩუქრებს გადასცემდნენ. სირა ორდაში, ანუ ყაენის რეზიდენციაში მისული ელჩები მონღოლური მოთხოვნების შესაბამისად უნდა ყოფილიყვნენ შემოსილები და, როგორც ჩანს, რეზიდენციაში თავად მონღოლები გადასცემდნენ მათ შესაბამის მოსასხამებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ნაკლებად არის ცნობილი, რომ პლანო კარპინთან ერთად პაპის ელჩობაში მონაწილეობდა სხვა პოლონელი ფრანცისკელი ბერი, რომელმაც დაგვიტოვა ჩანაწერები, სადაც საქართველოსა და ქართველების შესახებ ფრიად საინტერესო ცნობები გვხვდება.

ბენედიქტ პოლონელი დაახლ. 1200 წელს დაიბადა, ის იყო განათლებული, ლათინური ენის მცოდნე და 1236 წლიდან ვროცლავში ფრანცისკელთა მონასტერში მოღვაწეობდა. ბენედიქტ პოლონელი არის ავტორი მოკლე ქრონიკისა „ფრანცისკელი ბერების მოგზაურობა თათრებთან“ (*De Itinere Fratrorum Minorum ad Tartaros*), რომელიც პირველად 1839 წელს გამოქვეყნდა ფრანგულად,³ ერთი წლის შემდეგ კი – პოლონურად. ის ასევე ავტორია ვრცელი ნაშრომისა „თათართა ისტორია“ (*Historia Tartarorum*), რომელიც აღმოაჩინეს და გამოქვეყნდა იელის უნივერსიტეტში 1965 წელს. ბენედიქტის ნაშრომი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის შეიცავს ყაენის წერილს პაპისადმი.⁴ ბენედიქტ

³ *De Itinere Fratrorum Minorum ad Tartaros*, D'Avezac in the "Recueil de Voyages" (Paris, 1839), IV, 774-779.

⁴ Benedictus Polonus, "Relatio, De epistula magni Chani ad Summum Pontificem, Itinera et relationes fratrum minorum saeculi XIII et XIV," P. Anastasius van den Wyngaert, *Sinica Franciscana* 1 (Ann.2), Apud Collegium S. Bonaventurae (1929), 131-134; Johann de Plano Carppini, *Geschichte der Mongolen und Reisebericht 1245-1247*, Übersetzt und erläutert von Dr. Friedrich Risch (Leipzig, 1930), 265-276; Christopher Dawson, *The Mission to Asia* (London, 1992), 79-84. ბენედიქტ პოლონელის ნაშრომს, როგორც ჩანს, იცნობდა გამოჩენილი ფრანგი ავტორი ვინსენტ დე ბოვე. ვინსენტ დე ბოვე საფრანგეთის სამეფო კარზე მოღვაწეობდა და იყო ლუი მეცხრესთან დაახლოებული. მისი ნაშრომი *Speculum Historiale* დაწერილია დაახლოებით 1248-1253 წლებში და წარმოადგენს მის თანამედროვეთა ნაშრომების კომპილაციას. ამ ნაწარმოებში შესულია გადმოცემები ისეთი მოგზაურებისა, როგორებიც იყვნენ სიმონ დე სანკვენტინი, პლანო კარპინი, ასევე,

პოლონელის რელაცია არის საინტერესო წყარო, რადგანაც მისი ავტორი აღწერილი ამბების თვითმხილველია. ის, როგორც მისი მონათხრობიდან ჩანს, თვითონ შეხვედრია იქ მცხოვრებ ქართველებს და გასცნობია როგორც მათ სარწმუნოებრივ ცხოვრებას, ასევე ყოველდღიურობას უცხო ქვეყანაში. ბენედიქტ პოლონელის ნაშრომი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ძალიან მოკლეა, ის სულ რამდენიმე თავისაგან შედგება და ერთი თავი ქართველებს ეძღვნება. ავტორი მონღოლთა დედაქალაქში, ყაენის კარზე შეხვედრია ქართველებს, რომლებიც იქ ცხოვრობდნენ. ბენედიქტ პოლონელის გადმოცემით, მონღოლები ძალიან აფასებდნენ ქართველებს, როგორც მამაც და მებრძოლ ხალხს. ბენედიქტი წერს, რომ ამ ხალხს გეორგიანელებს უწოდებდნენ, რადგანაც ისინი ბრძოლის დროს წმიდა გიორგის მოუხმობდნენ, მას თავიანთ მფარველად მიიჩნევდნენ და ყველა წმინდანზე მეტად აღიარებდნენ. ისინი წმიდა წერილების ბერძნულ ვერსიას იყენებდნენ და ბრძოლის ველზე, თავიანთ საცხოვრებელ ბანაკებსა და საზიდრებზე ჯვარს ატარებდნენ. მონღოლეთში ისინი ბერძნული წესების შესაბამისად ლოცულობდნენ.⁵

ბენედიქტ პოლონელისა და პლანო კარპინის მოგზაურობა, თავისთავად, დიდ ინტერესს იწვევს როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე ეკლესიის ისტორიის მკვლევართათვის. ეს ელჩობა არა მხოლოდ მისიონერულ მოღვაწეობას და პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებას ისახავდა მიზნად, არამედ იმ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე ფართო პოლიტიკის ნაწილს წარმოადგენდა. პაპები ევროპაში თავიანთი ხელისუფლების განმტკიცებას ცდილობდნენ. ინოკენტი მესამის თეორია პაპის უპირატესობის შესახებ ისევ ზეობდა და პაპი, თავისი ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, მსოფლიო ეკლესიის გაერთიანებას ცდილობდა. თუმცა ამ ერთიანობის იდეაში ის გულისხმობდა ეკლესიის გაერთიანებას რომის პაპის უზენაესობით. პაპები აღმოსავლეთის ეკლესიასთან დისკუსიაში არც მთავარ თეოლოგიურ საკითხებში შედიოდნენ, რადგანაც მათ ამ პერიოდისათვის უპირატესობა ჰქონდათ აღმოსავლეთთან შედარებით. კონსტანტინოპოლი ლათინთა ხელში იყო და მისი პატრიარქი კათოლიკეთა სახელით საუბრობდა, ასეთივე მდგომარეობა იყო ჯვაროსანთა მიერ დასმული იერუსალიმისა და ანტიოქიის ეკლესიის კათოლიკე მღვდელმთავრებთან დაკავშირებით. ლატერანის მეოთხე (1215) და ლიონის პირველ (1245) საეკლესიო კრებებზე, სხვა პრობლემებთან ერთად, ეკლესიათა გაერთიანების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. ამდენად, ჩვენთვის ასევე საინტერესოა პლანო კარპინისა და ბენედიქტ პოლონელის მიერ აღმოსავლეთის ეკლესიებისათვის განკუთვნილი წე-

ცნობები აკრის ეპისკოპოსის იაკობ დე ვიტრის ნაწარმოებებიდან. Vincentius Bellovacensis (Vincent de Bauvais), *Speculum Historiale* (Graz, 2001).

⁵ Benedictus Polonus, "Relatio," 131-134; Johann de Plano Carpini, *Geschichte der Mongolen*, 274; Dawson, *The Mission to Asia*, 79-84.

რილი, სადაც პაპი ამ ეკლესიებს გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა. ამ წერილებში, აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებთან ერთად, არის საქართველოს ეკლესიისადმი მიმართვა. ეს წერილები საქართველოში აუცილებლად უნდა მიეღოთ, თუნდაც 1245 წლის მიმართვა, რომელიც წამოიღეს პლანო კარპინმა და ბენედიქტ პოლონელმა. პაპსა და მონღოლთა საყაენოს შორის მიმდინარე ეს პროცესი საინტერესოა ყველა ქრისტიანი ქვეყნისათვის, რომლებიც მონღოლთა უღლის ქვეშ იმყოფებოდნენ. ქართველი მეფეებისა და მხედართმთავრების მიმონერებიდან ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ ქართველი მეფეები რომის კათოლიკურ ეკლესიასა და დასავლეთის ქვეყნებზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ბენედიქტ პოლონელის ცნობებს შეესაბამება მისი თანამედროვეების იაკობ დე ვიტრის (†1240), ოლივერის, სიმონ დე სანკვენტინის და თიგმარის ცნობები ქართველთა მეზობლი ხასიათისა და სარწმუნოების შესახებ.⁶

საინტერესოა ისიც, რომ ბენედიქტ პოლონელი მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა პოლონეთის ისტორიაში. პოლონეთში მისი მოგზაურობის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ. 2005 და 2007 წელს პოლონელებმა ორჯერ მოაწყვეს ექსპედიცია ბენედიქტ პოლონელის გზაზე.⁷ იგი, პლანო კარპინთან ერთად, არის ერთ-ერთი პირველი ევროპელი, რომელმაც იმოგზაურა შორეულ აღმოსავლეთში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროპისათვის აღმოსავლეთის კულტურისა და ტრადიციების გაცნობაში. ამდენად, ჩვენთვისაც მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ ამ მოკლე ნაშრომში მისმა ავტორმა ყურადღება გაამახვილა საქართველოსა და ქართველებზე.

XIV საუკუნის შუახანებში მნიშვნელოვნად ძლიერდება ევროპელების ინტერესი აღმოსავლეთის მიმართ, რისი მიზეზიც იყო მონღოლთა გამოჩენა ევროპაში და, ასევე, წმინდა მიწების დაბრუნების მიზნით აღმოსავლეთში მოკავშირეთა განუწყვეტელი ძიება რომის პაპების მიერ. ამ ეტაპზე, გარდა მისიონერებისა, აღმოსავლეთისაკენ მიმავალ მოგზაურთა შორის ჩნდებიან ადამიანები, რომელთა ინტერესები უფრო ფართო ხასიათის ჩანს. ისინი ინტერესდებიან აღმოსავლეთის ხალხთა ყოფა-ცხოვრებით, აღმოსავლეთის ეკონომიკური შესაძლებლობით, აკვირდებიან აღმოსავლეთის პოლიტიკურ

⁶ ბეჟან ჯავახია, „ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ“, გივი ჟორდანი 90 (თბილისი, 2001), 230-236; მისივე, „XIII საუკუნის დომინიკანელი ბერი საქართველოს შესახებ“, შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები (თბილისი, 2005), 62-68; Anna Dorothee Den Brincken, *Die "Nationes Christianorum Orientalorum" im Verstandnis der lateinischen Historiographie von der Mitte des 12. bis der zweiten Halfe des 14. Jahrhunderts* (Wien, 1973); *The Journey of William of Rubruck to the eastern parts of the world, 1253-55, as narrated by himself, with two accounts of the earlier journey of John of Pian de Carpine*, translated from the Latin and ed., with an introductory notice by William Woodville (Rockhill, 1900. repr. in Maryland, USA by Rana Saad in 2004).

⁷ ბენედიქტ პოლონელის გზით მოგზაურობის ორგანიზატორი იყო რობერტ შჩიანოვსკი შჩეცინიდან.

ცხოვრებას, თუმცა, როგორც შუა საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი, ეს ყველაფერი რელიგიურ ფორმაშია გახვეული. ამდენად, ამ ნაწარმოებებში ხშირად შევხვდებით უცნაური ამბებისა და სასწაულების აღწერებს. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ ამ პერიოდის მოგზაურების განსაკუთრებული როლი – ამ ეპოქაში შეიცვალა შეხედულება დედამიწის შესახებ. ამ მოგზაურობათა ნიგნებიდან უკვე ნათელია, რომ დედამიწას აქვს სფეროს ფორმა. XIV საუკუნის მოგზაურების ნიგნები ხდება წყარო დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებისა და ევროპაში კარტოგრაფიის განვითარებისათვის.

XIV საუკუნის გამოჩენილ მოგზაურთა შორის მარკო პოლოსა და გიომ რუბრიკისის გვერდით შეიძლება დავასახელოთ ჟან დე მანდევილე.⁸ თუ გავითვალისწინებთ იმას, მისი ნიგნის რამდენი ხელნაწერი არსებობს და რამდენ ენაზე ითარგმნა იგი გვიან შუა საუკუნეებში, დავრწმუნდებით, რომ პოპულარობით ის ყველა მის თანამედროვე მოგზაურს აჭარბებს. დღემდე ჩვენამდე მოაღწია მისი მოგზაურობის ნიგნის 300-მდე ხელნაწერმა. 1470-დან 1500 წლამდე, ნიგნის ბეჭდვის დაწყების დასაბამითვე, გამოიცა მისი ნიგნის 7 ფრანგული, 13 იტალიური, 8 გერმანული და 4 ლათინური ტექსტი.

ჟან დე მანდევილეს ბიოგრაფია ბურუსითაა მოცული, ხშირად მეცნიერები მას ჟან საიდუმლოებით მოცულის სახელითაც მოიხსენიებენ. მიუხედავად მისი პოპულარობისა, ზოგიერთი მკვლევარი მის მოგზაურობას საერთოდ ეჭვის ქვეშაც აყენებდა. მის მოგზაურობის ნიგნს მიიჩნევდნენ შუა საუკუნეების სხვადასხვა მოგზაურთა ნიგნების კომპილაციად. მაგრამ მისი ნიგნის მნიშვნელობისათვის საკმარისია დავასახელოთ, თუ როგორ ეკიდებოდნენ მის ნაწარმოებს ცნობილი მოგზაურები და გეოგრაფები. ჟან მანდევილეს მოგზაურობის ნიგნმა, როგორც ამას აღნიშნავენ, დიდი სამსახური გაუწია ქრისტიანთა კოლუმბს, ასევე კარტოგრაფიის ფუძემდებლებს გერჰარდ მერკატორსა და აბრაამ ორტელიუსს.

ჟან დე მანდევილე, ან, შესაძლებელია, მისი სახელი იყოს იოანე, ჰანსი, ან კიდევ ჯონი, დაიბადა სანკტ ალბანსში, ინგლისში, საიდანაც იგი 1322 წელს წავიდა სამოგზაუროდ ჯერ წმინდა მინაზე, შემდეგ განაგრძო მოგზაურობა შორეულ აღმოსავლეთში, ინდოეთსა და მონღოლეთში. მოგზაურობიდან დაბრუნებული მანდევილე დასახლდა კონტინენტზე, ლუტეხში, სადაც დანერა თავისი მოგზაურობის ნიგნი. როგორც წყაროებიდან ჩანს, მანდევილე ლუტეხში ცხოვრობდა ექიმ ჟან დე ბურგონ ა ლა ბარბეს (Jean de Burgogne a

⁸ ჟან დე მანდევილეს მოგზაურობის შესახებ მოხსენება ნაკითხული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ჰაინრიხ თეოდორ ველეს მოგზაურობისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე 2008 წელს. იხ. ბეჟან ჯავახია, აკაკი გეთიაშვილი, „ჟან დე მანდევილეს მოგზაურობა აღმოსავლეთში და ცნობები საქართველოს შესახებ“, საერთაშორისო კონფერენციის „ჰაინრიხ თეოდორ ველეს მოგზაურობა საქართველოში“ მასალები (თბილისი, 2009), 95-101.

la Barbe) სახელით. მისი მოგზაურობის წიგნს სათაური არ ჰქონია, უბრალოდ, მოგვიანებით გამოცემლებმა და გადამწერებმა იგი დაასათაურეს, როგორც „რანდ ჟან მანდევილეს მოგზაურობა წმინდა მინასა და შორეულ აზიაში 1322-1356 წლებში“. როგორც მანდევილეს მკვლევრები აღნიშნავენ, წიგნი თავიდან ფრანგულ ენაზე დაიწერა და ის მაშინვე ითარგმნა ევროპის თითქმის ყველა ენაზე. მოგზაურობის წიგნის დღემდე შემორჩენილი ეგზემპლარი 1371 წელს განეკუთვნება და მიძღვნილია ინგლისის მეფის ედუარდ მესამისადმი. წიგნის შედგენის თარიღად ავტორები მიიჩნევენ პერიოდს 1365-სა და 1371 წელს შორის.⁹ ჟან მანდევილე გარდაიცვალა ლუტეხში 1372 წელს.

ჟან მანდევილე თავისი ეპოქის განათლებული ადამიანი იყო, ის კარგად იცნობდა წინამორბედ პილიგრიმთა მიერ დაწერილ ლიტერატურას წმინდა მინის შესახებ. ასევე აშკარაა, რომ ჟან მანდევილეს ნაწარმოებზე დიდი გავლენა იქონიეს XIV საუკუნის წინამორბედ მოგზაურთა ვილჰელმ ფონ ბოლდენზეეს¹⁰ (იმოგზაურა წმინდა მინაზე 1334-1335 წლებში) და ოდორიკო დე პორდენონეს მოგზაურობების წიგნმა. ამ უკანასკნელმა შორეულ აღმოსავლეთში 1318-1330 წლებში იმოგზაურა.¹¹

ჟან დე მანდევილეს მოგზაურობის წიგნი ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება შუასაუკუნეობრივ მოძღვრებას დედამიწის შესახებ. მანდევილეს აზრით, შესაძლებელია დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა, რაც, ქრისტიანული თეოლოგიის თანახმად, წარმოუდგენელი იყო. მის წიგნში აღწერილია ერთ-ერთი მოგზაურის თავგადასავალი, რომელიც აღმოსავლეთისაკენ – ინდოეთში გაემგზავრა; როდესაც ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, თავის ცხენს საჯინიბოში აბინავებდა, მოისმინა მშობლიურ ენაზე საუბარი და მხოლოდ მაშინ მიხვდა, რომ ერთი მიმართულებით მოგზაურობით თავის სამშობლოში დაბრუნდა. ჟან დე მანდევილეს ცნობები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო იყო ცნობილი გერმანელი გეოგრაფის მარტინ ბეჰაიმისათვის, როდესაც ის გლობუსს ქმნიდა.

ჟან მანდევილეს ნაწარმოები მნიშვნელოვანი წყაროა მაღალი და გვიანი შუა საუკუნეების დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურულ ურთიერ-

⁹ Arpad Steiner, "The Date of Composition of Mandeville's Travels," *Speculum*, Vol.9, No.2 (Apr., 1934), 144-147, Published by: Medieval Academy of America. Stable URL: <http://www.jstor.org/stable/2846591>.

¹⁰ Wilhelm von Boldensele, *Itinerarius*, ed. Grotefend, Zeitschrift des Historischen Vereins für Niedersachsen, (Hanover, 1852), 209-286; იერუსალიმში ქართველების არსებობის შესახებ ბოლდენზეეც მიუთითებს, ასევე აღწერს იერუსალიმის ჯვრის მონასტერს და იქ მოღვაწე ქართველებზეც საუბრობს.

¹¹ Odorico de Pardenone, *Texte des späteren Mittelalters und frühen Neuzeit, Konrad Steckels Deutsche Übertragung der Reise nach China des Odorico de Pardenone*, hrg. Gilbert Strasmann (Berlin, 1968).

თობათა შესასწავლად. განსაკუთრებით დიდია მისი როლი აღმოსავლეთის ყოფისა და ზნე-ჩვეულებათა გასაცნობად მისი თანამედროვეებისათვის. ჟან დე მანდევილეს მოგზაურობის წიგნი, ძირითადად, შედგენილია სხვა მოგზაურთა აღწერებისა და სხვა დასავლური წყაროების საფუძველზე, რასაც ხშირად თვითონ ავტორიც ადასტურებს. როგორც მისი ნაწარმოებიდან ჩანს, ის კარგად იცნობდა პლანო კარპინის მოგზაურობის აღწერას, ასევე ისეთ ნაწარმოებებს, როგორიცაა: ვინცენტი დე ბოვეს ენციკლოპედიური გამოცემა „ისტორიის სარკე“¹² და იაკობ დე ვიტრის „აღმოსავლეთის ისტორია“¹³.

ჟან დე მანდევილეს მოგზაურობის წიგნი საინტერესო წყაროა იოანე პრესვიტერის შესახებ არსებული გადმოცემების შესასწავლად. მანდევილე აღწერს იოანე პრესვიტერის „ქვეყანას“, ასევე ვრცლად მოგვითხრობს მის შესახებ, თუმცა მაინც ბურუსში ტოვებს XIII-XIV საუკუნეების ევროპის ამ მეტად აქტუალურ ლეგენდას.

ჟან დე მანდევილეს მოგზაურობის წიგნი ასევე საყურადღებოა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის, რადგანაც ამ წიგნში საქართველოს შესახებ რამდენიმე საინტერესო ცნობა გვხვდება. ეს ცნობები მანდევილეს წიგნის ორივე ნაწილშია მიმოხილული – როგორც იმ ნაწილში, სადაც ის აღწერს წმინდა მინას, ასევე მეორე ნაწილში, რომელიც შეეხება მის მოგზაურობას აზიაში, სახელდობრ – ჩინეთსა და ინდოეთში.

პირველი ცნობა ეხება ქართველთა მოღვაწეობას წმინდა მინაზე, სადაც ის აღწერს ქართველ ბერთა და საერო პირთა ჩაცმულობას, მიუთითებს წმინდა გიორგის მიმართ მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე: „სხვა ქრისტიანები არიან ქართველები, რომლებიც მოინათლნენ წმინდა გიორგის მიერ. ისინი მას განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ, ვიდრე სხვა წმინდანებს, როდესაც რამე სურთ, ისინი მიმართავენ მას. ქართველები ატარებენ ტონზურას: მრგვალს – სასულიერო პირები, ხოლო კუთხეებიანს – საერონი. სარწმუნოებით ისინი ბერძნების მსგავსნი არიან“.¹⁴

ჟანმანდევილეს ეს ცნობათითქმის იმეორებს სხვაავტორთა მონათხრობს ქართველთა შესახებ წმინდა მინაზე. სახელდობრ, ქართველებს წმინდა მინაზე აღწერს ჟაკ (იაკობ) დე ვიტრი. ჟაკ დე ვიტრი იყო აკრის ეპისკოპოსი, შემდეგში კარდინალი. მის კალამს ეკუთვნის „აღმოსავლეთის ისტორია“, ქადაგებანი,

¹² Vincentius Bellovacensis, *Speculum Historiale*, 2001.

¹³ Jacob de Vitriaco, *Historia Orientalis*, der Hierusalymata, I, ed. Jac. Bongars, Gesta Dei Per Francos (Hanau, 1611).

¹⁴ “Wieder andere Christen in dieser Geleghend heißen Georgier, die sie vom heiligen Georg bekehert wurden. An ihn glauben sie mehr als an jeden anderen Heiligen. Wenn sie etwas brauchen, so rufen sie ihn an. Die Georgier tragen eine Tonsur - rund bei den Priestern and eckig bei den Leien. Ihr Glaube ähnelt dem der Griechen.” John Mandeville, *Reisen des Ritters des John Mandeville vom Heiligen Land ins Asien 1322-1356*, aus dem mittelhochdeutschen übersetzt und Herausgegeben von Christian Bug-gisch (Regensburg, 2004), 149.

წერილები. მისი ნაშრომები V ჯვაროსნული ლაშქრობის ისტორიისათვის, ქრისტიანთა, მუსლიმთა და მონღოლთა ურთიერთობის შესასწავლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მის მიერ გაგზავნილ წერილებში (1220-1221 წლის 18 აპრილამდე) არის ცნობები ქართველთა და მონღოლთა ურთიერთობის შესახებ, ასევე იოანე პრესვიტერის თაობაზე.

„აღმოსავლეთის ისტორიაში“ უაკ დე ვიტრი წმიდა მინაზე მელქიტების, ნესტორიანელების, იაკობიტების, მარონიტების და სომხების გვერდით ქართველებსაც ასახელებს. ის ქართველებს ახასიათებს, როგორც მებრძოლ ქრისტიანებს. მათი სახელი, მისი აზრით, წმინდა გიორგისაგან წარმოდგება, რომელიც არის მათი მფარველი და შემწე ბრძოლებში. იგი თითქოსდა წინ უძღოდა მათ ურჯულოების წინააღმდეგ ბრძოლებში. ქართველების ლიტურგიის ენა არის ბერძნული და ისინი ბერძნულ წესებს მისდევენ. აქვე იგი წერს, რომ იერუსალიმში წმიდა საფლავზე ქართველ პილიგრიმებს შეხვდებოდით. ისინი ყოველგვარი გადასახადების გარეშე, იერუსალიმში ზეალმართული დროშებით შედიოდნენ, ვინაიდან მუსლიმებს ქართველთა საბრძოლო შესაძლებლობების დიდი შიში ჰქონდათ. ქართველი ქალები იყვნენ მებრძოლები, როგორც ანტიკური ხანის ამაზონები. ქართველებს შიშის ქვეშ ჰყავდათ დამასკოს მმართველი კორადინი (ალ-მუაჰამ სარაფ ად დინი). ეს ფაქტი კარგად ჩანს ერთი ეპიზოდისგან, როდესაც ლათინებმა ქალაქ დამიეტას ალყა შემოარტყეს, ხოლო კორადინმა იერუსალიმის კედლის დანგრევა გადანყვიტა, ქართველები მას დაემუქრნენ.¹⁵

წმინდა მინაზე მცხოვრებ ქართველთა შესახებ ცნობა XIII საუკუნის დამდეგს დაწერილ თიტმარისა¹⁶ და ასევე იმავე პერიოდის უცნობი ფრანცისკელი ბერის მოგზაურობის აღწერის იდენტურია.¹⁷

¹⁵ „Est preaterea in regione orientali quidam alius Christianorum populus bellicosus valde et in prealiis strenuus, fortis robore et petens innumera pugnatorum multitudine, Saracenis valde formidabilis, Persis, Medis et Assyriis, in quorum confinio commoratur et ab infidelibus populis unique clauditur, frequenter valde damnosus in expeditionibus extitit. Hi homines Georgiani nuncupantur, eo quod Sanctum Georgium, quem in praeliis suis contra gentem incredulam advocatum habent et patronum, et tamquam signiferum, cum summa reverentia colunt et adorant, et prae aliis sanctis specialiter honorant.

Utuntur autem Graeco idiomate in Scriptorum divinis, et Graecorum consuetudines in sacramentis observant. Clerici eorum rotundas habent coronas, laici vero quadratas.” Jacob de Vitriaco, *Historia Orientalis* (Caput LXXIX – De Georgianus), 1047-1124; Bezzola Qian Andri, *Die Mongolen in Abendlandischer Sicht* (1220-1270), Ein Beitrag zur Frage der Volker begegnen, Bern und Muenchen, 1974, 158; ჯავახია, „ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები“, 232.

¹⁶ „Alii quidem sunt Georgiani sanctum Georgium venerantes strenui in armis et sarracenis multum infesti et contrarii. Barbam et comam multum nutriunt. Omnes habent coronas tam clerici quam laici. Laici quadratas. Clerici rotundas propriam habent litteram ferentes in capitibus vnus vlnae longas.” (Nota A) Magister Thetmarus, „Iter Terram Sanctam 1217”; Thietmar, *Peregrinatio*, ed. Johann Carl Moritz laurent, *Peregrinatio Medii Aevi Quattour* (Leipzig, 2 Aufl., 1873), Anhang, 20.

¹⁷ „Alii sunt Georgitani sanctum Georgium sollempni pompa venerantes; barbam et comam multum nutriendes, gestantes unius cubiti pilleos. Isti tam clerici quam laici coronas habent: clerici rotundas et

ჟან დე მანდევილეს ნიგნში ვრცლად არის აღწერილი კავკასიის ქედი და მის გარშემო არსებული ქვეყნები. ამ ცნობებში ბევრი რამ ბუნდოვნად არის გადმოცემული, რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ ავტორს ეს ცნობები სხვა წყაროებიდან უნდა ჰქონდეს აღებული.

ჟან დე მანდევილეს მოგზაურობის ნიგნში ასევე გვხვდება ზოგადი ცნობები საქართველოს შესახებ. აზიაში მოგზაურობის აღწერისას, ის გვანვდის ინფორმაციას საქართველოში იმ დროს არსებული ორმეფობის შესახებ. კავკასიის აღწერისას, იგი ძირითადად საქართველოს და სომხეთის შესახებ მოგვითხრობს, თუმცა სომხეთის შესახებ თხრობა უფრო მწირია, რადგანაც ამ პერიოდისათვის კავკასიაში სომხური სახელმწიფო არ არსებობდა. თავში „სპარსეთიდან თურქების ქვეყნისაკენ“, მანდევილე ზოგადად აღწერს საქართველოს საზღვრებს. ის წერს: „შემდეგ მდებარეობს საქართველოს სამეფო, რომელიც აღმოსავლეთში იწყება იალბუზის (Abson, Elbrus) მთებში. ამ მთებში ცხოვრობენ უცნაური ხალხი ალანები. საქართველო ესაზღვრება თურქეთს, დიდ ზღვას და სომხეთს. იქ არსებობს ორი სამეფო – საქართველოს და აფხაზეთის (ალბეიას Albeya, ალხაზების Alchasien). იქ მეფობს ორი მეფე, ორივენი არიან ქრისტიანები. აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ექვემდებარება მონღოლთა დიდ ხანს. აფხაზეთის სამეფო არის გამაგრებული ქვეყანა, რომელმაც თავისი ძალით მოიგერია ყველა, რომელთაც მისი დაპყრობა სურდათ. ამდენად, ის არავის ემორჩილება. აფხაზეთა სამეფოში არსებობს დიდი სასწაული ერთ ადგილზე, საითკენაც სამი დღის სავალია და ბომჰასოლი (Bomhainsoly) ეწოდება. აქ მუდმივი წყვდიადია, არავის შეუძლია დაინახოს, თუ რა ხდება იქ და ვერავინ მოდის იქ. მცხოვრებლები გადმოგვცემენ, რომ აქედან ესმით ადამიანების ხმები და ცხენების ჭიხვინი და ფიქრობენ, რომ იქ არიან ადამიანები, თუმცა მეტი არაფერი იციან. მათი გადმოცემით, იქაურობის დაბნელება ღვთის სასწაულს მიეკუთვნება: ოდესღაც სპარსეთის ბოროტმა მეფე სამოსმა (შამეს),¹⁸ რომელიც დევნიდა ქრისტიანებს და აიძულებდა მათ, თაყვანი ეცათ კერპებისათვის, გაილაშქრა საბერძნეთში, რათა ქრისტიანები დაემორჩილებინა, როდესაც ქრისტიანებმა ის დაინახეს, დაემხნენ მუხლებზე და ღმერთს დახმარება შესთხოვეს. უცებ ჩამონვა შავი ღრუბელი მეფის თავზე და დაფარა იგი და მისი ხალხი ისე, რომ მათ არ შეეძლოთ გზის გაკვლევა. როგორც მოგვითხრობენ, ისინი დღესაც იქ, წყვდიადში არიან გამომწყვდეულნი. ასე ამბობენ, რომ ღმერთმა მათ თვალნი ასეთი სასწაული მოახდინა“.¹⁹ იქვე ავტორი დასძენს, რომ ეს არის ნამდვილი სასწაული,

laici quadreatas. Fermentum sacrificant et fere Grecos in omnibus imitantes propriam habent literam.” Inominativus V, Wilhelm Anton Neuman, “Drei mittelalterliche Pilgerschriften,” *Österreichische Vierteljahrsschrift für Katolische Theologie*, 5 (1866), 221.

¹⁸ უნდა იგულისხმებოდეს სპარსეთის მეფე შაბურ II, რომელიც მმართველობდა IV საუკუნეში.

¹⁹ “Danach kommt man in das Konigreich von Georgien, das im Osten bei einem großen Berg names

რომელიც ყველა ქრისტიანს უნდა სწამდეს და, რომ ღმერთი ყოველთვის არის მზად, რათა დაგვიფაროს.

ეს ცნობაც უნდა დე მანდვეილეს, როგორც ჩანს, სხვა ავტორებიდან უნდა ჰქონდეს გადმონერული. ვფიქრობთ, ეს გადმოცემა ავტორს სომეხი ისტორიკოსის ჰეტუმის, ანუ ჰაიტონ კორიკოსელის, ნაშრომიდან უნდა აეღო.²⁰ გერმანელი ისტორიკოსის ანა-დოროთეა დენ ბრინკენის მოსაზრებით,²¹ სომეხი ისტორიკოსის ჰეტუმის, ანუ იგივე ჰაიტონ კორიკოსელის, ცნობა საქართველოში არსებული სასწაულის შესახებ მსგავსია იმ გადმოცემებისა, რომლებიც გვხვდება სხვა მოგზაურთა, სახელდობრ, პლანო კარპინისა და მარკო პოლოს ჩანაწერებში, რომელთა მიხედვითაც ჩინგის ხანის შემოსევებისაგან და სისასტიკისაგან მოსახლეობა წყველია იმალებოდა.

უნდა დე მანდვეილეს მოგზაურობის წიგნში ასევე მეტად საინტერესო ცნობებია დაცული საქართველოს მეზობელი ქვეყნებისა და კავკასიის ტომთა შესახებ, რომლებიც საქართველოსთან მჭიდრო კავშირში იყვნენ და

Abson (Elbrus) beginnt. Dort wohnt ein wunderliches Volk, die Alanen. Es grenzt an die Turkei, das große Meer un im Süden an Armenien. Es gibt dort zwei Königreiche, das von Georgien und von Albeya (Abchasien). Dort herrschen zwei Könige, beide sind Christen. Der von Georgien ist außerdem Untertan des Großkhans von Cathay.

Der König von Albeya hingegangen besitzt ein befestigtes Land und hat sich nach Kräften gegen alle gewehrt, die ihn unterwerfen wollen. Daher ist er niemandem untertan.

In Königreich Albeya gibt es ein großes Wunder: eine Gegend, die sich wohl über drei Tagesreisen erstreckt und die Bomhainsoly genant wird. Dort ist es immer finster, niemand kann sehen, was dort gehen. Die Bewohner des Landes sagen, sie hätten dort Stimmen von Menschen und das Wiehern von Pferden gehört, und sie glauben daher, dass dort Menschen leben, mehr wissen sie aber nicht.

Sie sagen, die Finsternis sei es durch ein Wunder Gotten entstanden: Einst gab es bösen König von Persien namens Sames, der die Christen unterdrückte und sie zwang, seinem Abgott zu opfern. Er fuhr einst nach Griechenland, um dort viele Christen zu unterwerfen. Als die Christen ihn sahen, fielen sie auf die Knie und beteten zu Gott, er möge sie beschützen. Da sank eine dunkle Wolke auf den Keiser herab und bedeckte ihn mitsamt senem Volk, sodass er nicht mehr wusste, wohin gehen sollte.

Und also sagen sie dass er sich nun in diesem Finsternis befinde, und sagen: Durch Gott ist vor unseren Augen ein Wunder geschehen “Das ist wirklich ein großes Wunder , darum sollten alle Christen umso andächtger sein. Denn es zeigt, dass unser Herr alzeit bereit ist uns zu beschützen.” John Mandeville, *Reisen des Ritters des John Mandeville vom Heiligen Land ins Asien 1322-1356*, 245-246.

²⁰ ჰეტუმი, ჰაიტონ კირაკოსელი (ლათ. Hayton dominus Churchi), სომეხი ისტორიკოსი კილიკიის სომხეთიდან. გარდაიცვალა დაახლ. 1309 წელს. ჰეტუმმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი (დაახლ. 1294-1307) გაატარა დასავლეთ ევროპაში, როგორც დევნილმა კილიკიის სომხეთიდან. ის ახლო კავშირში იმყოფებოდა კათოლიკური ეკლესიის მაღალ ემულონებთან. ჰეტუმი 1307 წელს დაბრუნდა კილიკიაში. ნაშრომის ფრანგული *La Flor des estoires de la terre d'Orient* და ლათინური ხელნაწერები *Flos Historiarum Terre Orientis* მეთოთხმეტე საუკუნის დამდეგს უკვე არსებობდა. ჰეტუმის ნაშრომში სასწაულის მდებარეობის ადგილი ჰამსენად, ანუ ჰანისემად იწოდება (Hansen; Hanisem). Hayton, “La Flor des estoires de la terre d'Orient, Flores Historiarum Terre Orientis,” *Recueil des historiens des croisades, Documents arméniens*, 2 (Paris 1906), 129-268; René Grousset, *Histoire des croisades et du royaume franc de Jérusalem* (Paris, 1936).

²¹ Den Brincken, *Die “Nationes Christianorum Orientalorum”*, 117.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ. ჟან დე მანდევილეს ნაშრომი, თავისი მრავალმხრივი ინფორმაციულობით, შუა საუკუნეების დასავლეთის ქრისტიანული სამყაროსა და მონღოლთა ურთიერთობების, წმინდა მიწის ისტორიისა და ასევე, აღმოსავლეთში, სხვადასხვა კონფესიათა ურთიერთობების შესწავლის საქმეში ძვირფას წყაროს წარმოადგენს. ამდენად, ამ ნაშრომის ქართულ ენაზე სრულყოფილი თარგმანი ისტორიითა და ეთნოლოგიით დაინტერესებულ მკვლევრებს მეტად მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევდა.

როგორც ჟან დე მანდევილეს ნაშრომიდან ჩანს, მისი ავტორი კარგად არის ინფორმირებული საქართველოს შესახებ, მისთვის ცნობილია ამ დროისათვის საქართველოს სამეფოების მდგომარეობა და მათი მიმართება მონღოლთა საყაენოსთან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მანდევილეს მოგზაურობის წიგნში საქართველოს შესახებ ცნობები, შესაძლებელია, ავტორს სხვა, ადრეული წყაროებიდან ჰქონდეს აღებული, მაგრამ ეს ნაშრომი მაინც განსაკუთრებულად ღირებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისათვის და თავისი პოპულარობით უსწრებდა სხვა ყველა მის თანამედროვეთა ნაშრომებს და დასავლეთის ქვეყნებისათვის იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც ქმნიდა რეალურ წარმოდგენას როგორც შორეული აღმოსავლეთის, ასევე კავკასიის ქვეყნებისა და ხალხების შესახებ.

XIII-XIV საუკუნეები მეტად მდიდარია პილიგრიმთა და სხვა მოგზაურთა შრომებით, რომლებშიც გვხვდება მეტად საინტერესო ცნობები საქართველოსა და აღმოსავლეთის ქრისტიანული სახელმწიფოებისა და ხალხების შესახებ. ამ შრომათა შესწავლა და მათი შემოტანა სამეცნიერო ბრუნვაში მეტად საშური საქმეა. ამ შემთხვევაში, ჩვენ ავირჩიეთ ორი ავტორი – ბენედიქტ პოლონელი და ჟან დე მანდევილე, რომელთა ნაშრომები თავიანთი პოპულარულობით სხვა თანამედროვე ავტორებს წინ უსწრებენ.

ბენედიქტ პოლონელი ერთ-ერთი პირველი პოლონელი ავტორია, რომელიც ქართველების შესახებ წერს. ამდენად, მისი ცნობები ქართველთა სიმამაცისა და საბრძოლო თვისებების შესახებ საინტერესოა.

მართალია, ბენედიქტ პოლონელის და ჟან დე მანდევილეს ცნობები საქართველოს შესახებ მწირია, მაგრამ ისინი ავსებენ სხვა დასავლელი მოგზაურებისა და პილიგრიმების ცნობებს.

შუა საუკუნეების დასავლეთში ჯერ კიდევ ძალიან მწირი იყო წარმოდგენა აღმოსავლეთის ქვეყნების შესახებ, ამ ქვეყნებში აღმოსავლეთის სივრცე და კავკასია არ იყო შესწავლილი და სრულიად უცხო იყო მათთვის. მათ ქრონიკებსა და რუკებზე ეს ადგილები წარმოდგენილია, როგორც უცხო და შეუსწავლელი სამყარო და ხშირად გვხვდება მითიური წარმოდგენები. ამდენად, თიტმარის, იაკობ დე ვიტრის, ბენედიქტ პოლონელის, პლანო კარპინის, ჟან დე მანდევილეს და სხვა თვითმხილველთა ცნობები დასავლეთს რეალურ წარ-

მოდგენას აძლევდა როგორც შორეული აღმოსავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქრისტიანული სამყაროს შესახებ.

ბენედიქტ პოლონელის რელაციონის და ჟან დე მანდევილეს მოგზაურობის ნიგნში მოცემული ცნობების შედარება სხვა მის თანამედროვე წყაროებთან კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ამ წყაროს საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. ეს შედარებები საშუალებას იძლევა, უფრო ნათლად აღვადგინოთ ამ პერიოდის საქართველოს ისტორია, ასევე საქართველოს დასავლეთთან შესაძლო კონტაქტები და ვნახოთ, თუ როგორი იყო წარმოდგენები საქართველოსა და ქართველების შესახებ ევროპაში.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. რედ. ზ. ანჩაბაძე, ვ. გუჩუა. თბილისი, 1979

ჯავახია ბეჟან. ჯვაროსანთა ეპოქის ლათინური წყაროები საქართველოს შესახებ. გივი ჟორდანიას 90. თბილისი, 2001

ჯავახია ბეჟან. XIII საუკუნის დომინიკანელი ბერი საქართველოს შესახებ. შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. თბილისი, 2005

ჯავახია ბეჟან, გეთიაშვილი აკაკი. ჟან დე მანდევილეს მოგზაურობა აღმოსავლეთში და ცნობები საქართველოს შესახებ. საერთაშორისო კონფერენციის „ჰაინრიხ თეოდორ ველეს მოგზაურობა საქართველოში“ მასალები. თბილისი, 2009

Рамм Борис. Папство и Русь В X-XV Веках, М.-Л. 1959

Altaner Berthold. Die Fremdsprachliche Ausbildung der Dominikanermission während des 13. und 14 Jahrhunderts – Zeitschrift fuer Missionswissenschaft und Religionswissenschaft, 23, 1933

Benedictus Polonus. Relatio, De epistula magni Chani ad Summum Pontificem, Itinera et relationes fratrum minorum saeculi XIII et XIV P. Anastasius van den Wyngaert. Sinica Franciscana 1 (wie Anm.2), Apud Collegium S. Bonaventurae, 1929

Bezola Bezzola Qian Andri. Die Mongolen in Abenländischer Sicht)1220-1270. Ein Beitrag zur Frage der Völkerbegegnungen. Bern-München, 1974

Dawson, Christopher. The Mission to Asia. London, 1992

De Itinere Fratrorum Minorum ad Tartaros, D’Avezac in the “Recueil de Voyages.” Paris, IV, 1839

Deluz, Christian. le livre de J. de Mandeville (1356), plagiat ou receriture? Comptes-rendus des seances de l’Academie des Inscriptions et Belles-Lettres, 133 e annee, N2, Paris, 1989

Den Brincken, Anna Dorothee. Die “Nationes Christianorum Orientalorum” im Verstandnis der lateinischen Historiographie von der Mitte des 12. bis der zweiten Hälfte des 14. Jahrhunderts. Wien, 1973

Diendl, W. Version der Reisebeschreibung Johanns v. Mandevile. 1985

Grousset, René. Histoire des croisades et du royaume franc de Jérusalem. Paris, 1936

Hayton. La Flor des estoires de la terre d'Orient. anu Flos Historiarum Terre Orientis. Recueil des historiens des croisades, Documents arméniens, 2. Paris, 1906

Jacob de Vitriaco. Historia Orientalis, der Hierusalymata, I. Ed. Jac. Bongars, Gesta Dei Per Francos. Hanau, 1611

John Mandeville. Reisen des Ritters des John Mandeville vom Heiligen Land ins Asien 1322-1356, aus dem mittelhochdeutschen übersetzt und Herausgegeben von Christian Bug-gisch. Regensburg, 2004

Jean de Mandeville. Reisen. Reprint des Erstdrucke der deutschen Übersetzungen des Michael Vesler. Zurich, 1991

Inominativus V. Wilhelm Anton Neuman, Drei mittelalterliche Pilgerschriften. *Österreichische Vierteljahrsschrift für Katolosche Teologie*, 5, 1866

Johann de Plano Carpini. Geschichte der Mongolen und Reisebericht 1245-1247. Über- setzt und erläutert von Dr. Friedrich Risch. Leipzig, 1930

John de Plano Carpini. The texts and versions of John de Plano Carpini and William de Rubruquis as printed for the first time by Hakluyt in 1598 together with some shorter pieces ed. C. Raymond Beazley. London, 1893; repr. 1967

The Journey of William of Rubruck to the eastern parts of the world, 1253-55, as narrated by himself, with two accounts of the earlier journey of John of Pian de Carpine. Translated from the Latin and ed., with an introductory notice, by William Woodville. Rockhill, 1900. Reprinted in Maryland, USA by Rana Saad in 2004

Odorico de Pardenone. Texte des späteren Mittelalters und frühen Neuzeit. Konrad Stek- kels Deutsche Übertragung und der Reise nach China des Odorico de Pardenone, hrg. Gilbert Strasmann, Erich Schmidt Verlag, 1968

Steiner, Arpad. The Date of Composition of Mandeville's Travels. *Speculum*, Vol. 9, No. 2, Apr., 1934. Stable URL: <http://www.jstor.org/stable/2846591>

The Vinland Map and the Tartar Relation. New ed. R. A. Skelton. New Haven/London, 1995

Thietmar. Peregrinatio. Ed. Johann Carl Moritz laurent, Peregrinatio Medii Aevi Quattour. Leipzig, 1873

Vincentius Bellocensis (Vincent de Bauvais). *Speculum Historiale*. Graz, 2001

Wilhelm von Boldensele. Itinerarius. Ed. Grotefend, Zeitschrift des Historischen Vereins für Niedersachsen. Hanover, 1852

Z dziejów Kościoła na Dolnym Śląsku Benedykt Polak Artur Adamski rt Dutton, Gracechurch-Street, 1809. <http://nowezycie.archidiecezja.wroc.pl/numery/022006/07.html>

XII

წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა: ქართული გამოცდილება

მამუკა წურნუშია

საუკუნეების მანძილზე ცხენოსანი შუბს რამდენიმე ხერხით იყენებდა: ის-როდა მას სათხედივით, ეჭირა ის ორი ხელით¹ ან ხელის ძალის გამოყენებით აძგერებდა პირდაპირ² ანდა ზემოდან³.

სანამ ცხენოსანი შუბის საძგერებლად მხოლოდ მკლავის ძალას იყენებდა, ცხენი მარტოოდენ საბრძოლო პლატფორმის როლს ასრულებდა და შეტევისას მისი ძალა ან სიჩქარე არ გამოიყენებოდა. ცხენის პოტენციალის სრული გამოყენება ბრძოლის ახალი წესის შემოღების შემდეგ გახდა შესაძლებელი, როდესაც შუა საუკუნეების ცხენოსანმა შუბი მკლავქვეშ უძრავად ამოიღო. შედეგად, შუბი, მხედარი და მონინალმდეგისაკენ მქროლავი ცხენი ერთად განაპირობებდა დარტყმის ძალას, რომელიც ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მხოლოდ ხელით მოქნევისას.⁴ ასეთი დარტყმის დროს ადამიანისა და ცხენის მთელი ენერჯია შუბის წვერზეა კონცენტრირებული.⁵

მკლავქვეშ მხოლოდ შუბის ბოლო ჰქონდათ ამოღებული, რის გამოც მისი წვერი უფრო მეტად იყო წინ მიმართული („წაგრძელებული“), ვიდრე სხვა სტილით ბრძოლისას.⁶ სწორედ შუბის ჭერა სიმძიმის ცენტრის უკან განაპირობებდა მის „დაგრძელებას“, რაც ამ სტილს გარკვეულ უპირატესობას ან-

¹ ამ დროს ორივე ხელი დაკავებული იყო, რაც ფარის გამოყენებას შეუძლებელს ხდიდა. Jon Coulston, “Arms and Armour of the Late Roman Army,” in *A Companion to Medieval Arms and Armour*, ed. D. Nicolle (Woodbridge, 2002), 15. ორივე ხელით შუბის ჭერისას სადავეებით ცხენის მართვის ეფექტურობაც კლებულობდა. Carroll Gillmor, “European Cavalry,” in *Dictionary of the Middle Ages*, vol. 3 (New York, 1983), 200.

² ამ დროს შუბი ბარძაყთან უჭირავთ ცერით წინ. Д.П. Алексинский, К.А. Жуков, А.М. Бутягин, Д.С. Коровкин, *Всадники Войны: Кавалерия Европы*, (Москва, 2005), 18.

³ ამ შემთხვევაში შუბის წვერი ნეკის მხარესაა, ცერი კი უკანაა. იქვე, 18.

⁴ Kelly DeVries, *Medieval Military Technology* (Peterborough, 1992), 12.

⁵ John France, “Technology and Success of the First Crusade,” in *War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th Centuries*, ed. Yaacov Lev (Leiden, 1996), 166.

⁶ Ann Hyland, *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades* (London, 1994), 57.

იჭებდა. ბრძოლის ახალი წესის სახელწოდებაც (*couched lance*) ამ თავისებურებით არის განპირობებული: *couched* ნიშნავს ნაგრძელებულს, გაშვერილს.⁷ ქართულად მას შეესაბამება *ნაგრძელებული შუბი*.

როგორც ითქვა, შუბი ამ დროს მჭიდროდაა მოთავსებული მკლავსა და ტანს შორის, დარტყმის სიძლიერე კი ცხენის მოძრაობითაა გამოწვეული.⁸ მხედარს მხოლოდ შუბის სწორად დამიზნება და ტარის მტკიცედ, უძრავად ჭერა რჩებოდა.⁹ მიზანში ამოღება ცხენის საშუალებით და ცხენოსნის სხეულის ტრიპალით ხდებოდა. შუბის წონას და დარტყმის ძალას მხედრის წონასწორობა რომ არ დაერღვია, შუბის წვერი ცხენის თავის მარცხნივ იყო მიმართული, ბოლო კი მხედარს მარჯვენა ილღის ქვეშ ჰქონდა ამოღებული.¹⁰ აქედან გამომდინარეობდა *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლის ერთი ნაკლიც, კერძოდ, შუბის მხოლოდ წინ მიმართვა შეიძლებოდა და არც ისე დიდი რადიუსის ფარგლებში.¹¹

ნაგრძელებული შუბით ბრძოლა, როგორც ჩანს, XI საუკუნის მეორე ნახევრიდან მკვიდრდება ევროპაში.¹² რაც არ უნდა იყოს ამ ტექნიკის შემოღების ზუსტი თარიღი, XII საუკუნის შუახანებში *ნაგრძელებული შუბი* უკვე გაბატონებულია ბრძოლის ველზე და ასე რჩება შუა საუკუნეების ბოლომდე.¹³ ჯ. ფრანსის აზრით, *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესის განვითარებაში კრიტიკულ ეტაპს წარმოადგენს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა, როცა დისციპლინირებული საბრძოლო ერთეულები ამ სტილს მასობრივად იყენებდნენ.¹⁴

ნაგრძელებული შუბით ბრძოლის წესი განაპირობებს ყველაზე ძლიერ დარტყმას, რაც კი ცხენოსანმა შეიძლება მიაყენოს მოწინააღმდეგეს. *ნაგრძელებული შუბის* დარტყმა მოწინააღმდეგეს უნაგირიდან აგდებდა, მეტიც, ზოგჯერ ცხენიანად აყირავებდა მას. შემთხვევითი არაა, რომ აღმოსავლეთ-

⁷ Helen Nicholson, *Medieval Warfare: Theory and Practice of War in Europe 300-1500* (New York, 2004), 102.

⁸ David Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare in Western Christendom* (London, 1999), 30.

⁹ А.Н. Кирпичников, “Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв.” *Археология СССР* (Ленинград, 1971), 68.

¹⁰ R. H. C. Davis, *The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment* (London, 1989), 21.

¹¹ David Nicolle, *Crusader Warfare: Byzantium, Europe and the Struggle for the Holy Land 1050-1300 AD* (London, 2007), 70-1; Id., “The Impact of the European Couched Lance on Muslim Military Tradition,” *The Journal of the Arms and Armour Society*, 10 (1980), pl. III.

¹² ბაიოს გობელენზე, რომელიც 1066 წელს ინგლისის დაპყრობის აღსანიშნავადაა შექმნილი, სწორედ ეს გარდამავალი პერიოდია ასახული; 35 ფიგურიდან, რომელიც შუბს ფლობს, მხოლოდ 5-ს უჭირავს ის ილღის ქვეშ, გამართულად. Bernard S. Bachrach, “Animals and Warfare in Early Medieval Europe,” *Settimane di Studio del Centro Italiano di sull’alto Medioevo*, 31 (1985), 744. *ნაგრძელებული შუბის* შემოღების თარიღთან დაკავშირებული დისკუსიის შესახებ იხ. DeVries, *Medieval Military Technology*, 13-4.

¹³ იქვე, 14.

¹⁴ John France, *Victory in the East: A Military History of the First Crusade* (Cambridge, 1994), 71.

ში, სადაც ტრადიციულად შუბით ბრძოლის მრავალფეროვანი წესები არსებობდა, ამ წესს საკმაო პატივს სცემდნენ.¹⁵ მეთორმეტე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მხედარი, არაბი უსამა იბნ მუნკიზი,¹⁶ თავისი მდიდარი გამოცდილების საფუძველზე, ყველაზე ეფექტურად *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლის ხერხს მიიჩნევდა, როდესაც შუბიანი ხელი და იდაყვი მჭიდროდა გვერდზე მიჭერილი და დარტყმის ძალას ცხენის მოძრაობა განაპირობებს. ჯვაროსნებთან ერთ შეტაკებაში, უსამამ ასეთი დარტყმით ფრანკი რაინდის ჯაჭვის ორი ფენა გაგლიჯა.¹⁷

ბრძოლის ველზე *ნაგრძელებული შუბის* გამოყენება მაქსიმალურ ეფექტს მაშინ იძლევა, როდესაც ადამიანები და ცხენები ერთად ახორციელებენ კოორდინირებულ შეტევას, რაც, თავის მხრივ, საბრძოლო ერთეულის დისციპლინაზე და ორგანიზაციაზეა დამყარებული.¹⁸ დისციპლინით განთქმული ტამპლიერებისთვისაც კი ცხენოსანთა მასირებული შეტევის სწორად განხორციელება ისეთი რთული იყო, რომ დეტალურად ჰქონდათ აღწერილი თავიანთ წესდებაში.¹⁹

მძიმე ცხენოსანთა წარმატებული შეტევა წარმოადგენს მჭიდროდ დანყობილი შუბგამართული რაზმის შეჯახებას მოწინააღმდეგის საბრძოლო რიგებთან, რასაც შედეგად რიგების გარღვევა და მტრის წყობის დაშლა მოყვება.²⁰ ეს თითოეული მებრძოლისა და მისი ცხენის ერთნაირი სიჩქარით და მიმართულებით შეთანხმებულ ქმედებას მოითხოვს. ყოველივე ეს კი, რა თქმა უნდა, ხანგრძლივ მომზადებასა და პრაქტიკას საჭიროებდა. იდეალურ შემთხვევაში, მოწინააღმდეგის რიგების გარღვევის შემდეგ, რაზმი უნდა გადანყობილიყო და ისევ შეეცა,²¹ თუმცა ეს ძალიან ძნელი იყო და ამის განხორციელება მხოლოდ უაღრესად დისციპლინირებულ არმიას შეე-

¹⁵ არაბული სამხედრო ტრაქტატის „ნიჰაიათ ალ-სუ‘ლის“ მიხედვით, მახლობელ აღმოსავლეთში ცხენოსნის მიერ შუბის გამოყენების სამი ძირითადი ხერხი არსებობდა: „ხორასნული სტილი“, როდესაც მხედარი შუბს ცალი ხელით იყენებდა („ატრიალებდა“), შუბის ორი ხელით გამოყენების ძველი მეთოდი და „სირიული შეტევა“, რომელსაც ასევე „ბიზანტიური სტილი“ ეწოდებოდა და რომელიც *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლას გულისხმობდა. David Nicolle, *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades 1050-1300 AD* (London, 2007), 155.

¹⁶ თურქ-სელჩუკთაგან განსხვავებით, არაბ ცხენოსანთა უმთავრესი იარაღი შუბი იყო.

¹⁷ Usamah Ibn-Munqidh, *An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades: Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I‘Tibar)*, trans. Philip K. Hitti (New York, 2000), 68-70.

¹⁸ France, *Technology and Success of the First Crusade*, 167.

¹⁹ France, *Victory in the East*, 372.

²⁰ შემდგომ, წარმატების განსავითარებლად, გარღვევის ადგილას სხვა რაზმებს ჩართავდნენ.

²¹ „ფრანგული ბრუნა“ (*tor Franceis*) ეწოდებოდა ისეთ ტაქტიკურ ხერხს, როდესაც პირველი შეტაკებისა და მოწინააღმდეგის რიგებში შეჭრის შემდეგ, მხედარი ბრუნდება უკან თავისი დროშის მიმართულებით, აყენებს მეორე დარტყმას და უკანა გზაზე ისევ გაივლის მტრის რიგებს. Matthew Bennett, “Why Chivalry? Military ‘Professionalism’ in the Twelfth Century: The Origins and Expressions of a Socio-Military Ethos,” in *The Chivalric Ethos and the Development of the Military Professionalism*, ed. David J. B. Trim (Leiden, 2003), 55.

ძლო, რომელსაც ჰყავდა გამოცდილი მეთაურები, მედროშეები, მესიგნალები და ა.შ.

ნაგრძელებული შუბით განხორციელებული ბრძოლის ამ სახეს თანამედროვე ისტორიკოსები „ცხენოსანთა შოკურ დარტყმას“ (mounted shock combat) უწოდებენ, რაც სწორად ასახავს ასეთი შეტევის ძალას. ცხენოსანთა შოკური შეტევა ისეთი შემზარავი სანახავი იყო, რომ ხშირად მონინალმდევე შეჯახებამდე გარბოდა ბრძოლის ველიდან.²² სწორად განხორციელებულ ასეთ შეტევას ძნელად თუ რამე დაუდგებოდა წინ. ნაგრძელებული შუბი განსაკუთრებით ეფექტური იყო კავალერიის წინააღმდეგ.²³ რ. სმეილის აზრით, დასავლეთ ევროპულ ცხენოსანთა შოკური შეტევა ნაგრძელებული შუბით ყველაზე მძლავრი ტაქტიკური იარაღი იყო, რომლის ძალა სამხედრო შენაერთის საერთო, კოლექტიურ ნონას ემყარებოდა.²⁴ მას კვერს უკრავს კ. მარშალი, რომელიც თვლის, რომ ნაგრძელებული შუბის გამოყენებისას, შეტევის საერთო სიძიმე შუა საუკუნეების არმიის ყველაზე მძლავრი იარაღი იყო.²⁵

ფიქრობენ, რომ ნაგრძელებული შუბით ბრძოლის სტილი დასავლეთ ევროპამ ბიზანტიისაგან გადაიღო და თვლიან, რომ სწორედ ბიზანტიაში მიაღწია ამ სტილმა სრულ განვითარებას მეათე საუკუნეში. იგი, თითქოს შემოიღო იმპერატორ ნიკიფორე ფოკას მიძიმე კავალერიამ.²⁶ დ. ნიკოლის აზრით, გარდა ნაგრძელებული შუბისა, ნიკიფორე ფოკას ბიზანტიური მიძიმე კავალერია, ისეთივე შოკურ დარტყმით ტაქტიკას იყენებდა, რომელიც დამახასიათებელი იყო მომდევნო ხანის დასავლეთ ევროპული რაინდული არმიებისათვის.²⁷

ამ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებთ. ნიკიფორე ფოკა რომ დარტყმითი ტაქტიკის დამნერგავი ყოფილიყო, ის საკუთარი კავალერიის შეტევის პირველ ხაზზე შუბოსნებს დააყენებდა და არა ხმალ-ლახტით შეიარაღებულებს. როგორც ჩანს, ბიზანტიელები ფლობდნენ ნაგრძელებული შუბით ბრძოლის ხელოვნებას, მაგრამ არა შოკურ ტაქტიკას, რომელსაც შემდგომ ამ წესით მებრძოლი ევროპული კავალერია იყენებდა.

ნიკიფორე ფოკას დროს, X საუკუნეში, მიძიმედ შეიარაღებული ბიზანტიელი მხედრის, კატაფრაქტის უპირველესი იარაღი ლახტია და არა შუბი.²⁸

²² DeVries, *Medieval Military Technology*, 12.

²³ Matthew Bennett, “The Medieval Warhorse Reconsidered,” in *Medieval Knighthood V: Papers from the Sixth Strawberry Hill Conference 1994*, eds. S. Church and R. Harvey (Woodbridge, 1995), 34.

²⁴ R. C. Smail, *Crusading Warfare, 1097-1193*, 2nd ed. (Cambridge, 1995), 113-5.

²⁵ Christopher Marshall, *Warfare in the Latin East* (Cambridge, 1992), 158; Id., “The Use of the Charge in Battles in the Latin East, 1192-1291,” *Historical Research*, 65 (1992), 222.

²⁶ Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*, 78.

²⁷ David Nicolle, *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours* (London, 1998), 70.

²⁸ Никифор II Фока, *Стратегика*, перевод со среднегреческого и комментарии А.К. Нефёдкина

შუბით შეიარაღებული კატაფრაქტები საბრძოლო წყობაში მხოლოდ მეხუთე რიგიდან ჩნდებიან, ისიც ფლანგებზე, უმნიშვნელო რიცხვს შეადგენენ და რაიმე არსებითი როლის შესრულება არ შეუძლიათ.²⁹ შეიარაღებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ვისაუბროთ კავალერიის ისეთ დარტყმით ტაქტიკაზე, როგორსაც შუბით აღჭურვილი ევროპელი მხედარი ახორციელებდა. მეტიც, ნიკიფორე ფოკას 504 (ან 384) კატაფრაქტიდან 150 (ან 80) მშვილდით იყო შეიარაღებული და უკანა რიგებიდან სროლით მხარს უჭერდა ახლო ბრძოლის იარაღით აღჭურვილ სხვა კატაფრაქტებს.³⁰ ბრძოლის ასეთი წესს არაფერი აქვს საერთო ცხენოსანთა დარტყმით ტაქტიკასთან.

თავისთავად, *ნაგრძელებული შუბის* გამოყენება სულაც არ უკავშირდება პირდაპირ შოკური ბრძოლის წესს.³¹ *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესს ფლობდა არაბი უსამა და ბიზანტიელებიც, მაგრამ ეს არ გადაზრდილა კავალერიის დარტყმით ტაქტიკაში და მით უმეტეს, მასობრივად მის გამოყენებაში. მართლაც, აღმოსავლეთში უფრო ადრე იცნობდნენ *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილს, მაგრამ ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის ისეთივე დომინანტური და ეფექტური იყო, როგორც ევროპაში მეთერთმეტე საუკუნის ბოლოდან. უნდა გვახსოვდეს, რომ რაიმე ტაქტიკური ხერხის ან ტექნოლოგიური მიღწევის დანერგვა წლების განმავლობაში ხდება და სათანადო ეფექტი ხშირად მხოლოდ ამის შემდეგ მიიღწევა.³² როგორც ჩანს, *ნაგრძელებული შუბით* შეტევის ხერხი დიდი ხანია არსებობდა, მაგრამ თავად შოკური შეტევა ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა და მეტად ეფექტური მეთორმეტე საუკუნეში გახდა.³³

წინამდებარე წერილის ამოცანას ნარმოადგენს *ნაგრძელებული შუბის* და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის კვალის მოძიება ევროპიდან შორს, აღმოსავლეთში და იმ მრავალი პარალელის დღის სინათლეზე გამოტანა, ქართულ სამხედრო საქმეს ევროპულთან რომ აკავშირებს.

უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეების ქართული ლაშქრის ბრძოლის წესი ჯერ კიდევ არ არის გამოწვლილვით შესწავლილი; არ არის დადგენილი, თუ რა ტიპის იარაღს ან ტაქტიკას აძლევდა უპირატესობას ქართველი მეომარი

(Санкт-Петербург, 2005), 23-4, 76-7; Eric McGeer, *Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century* (Washington, 1995), 37, 216.

²⁹ Никифор II Фока, *Стратегика*, 24, 77; McGeer, *Sowing the Dragon's Teeth*, 37.

³⁰ Никифор II Фока, *Стратегика*, 23, 76-7; McGeer, *Sowing the Dragon's Teeth*, 37.

³¹ John France, *Western Warfare in the Age of the Crusades, 1000-1300* (London, 1999), 160.

³² შედარებისთვის ავიღოთ გრძელი მშვილდი: ეს იარაღი საუკუნეების მანძილზე არსებობდა, მაგრამ ტაქტიკური მნიშვნელობა და ეფექტი მხოლოდ ინგლისელების მიერ ასწლიან ომში მასობრივი გამოყენების შემდეგ შეიძინა. David Whetham, "The English Longbow: A Revolution in Technology?" in *The Hundred Years War: Different Vistas*, eds. L. J. Andrew Villalon and Donald J. Kagay (Leiden, 2008), 213-32; Andrew Ayton, "Arms, Armour, and Horses," in *Medieval Warfare: A History*, ed. Maurice Keen (New York, 1999), 203.

³³ Matthew Strickland, "Military Technology and Conquest: The Anomaly of Anglo-Saxon England," *Anglo-Norman Studies*, 19 (1996), 361-6.

და, მით უმეტეს, არ არის დადგენილი შეიარაღება-ტაქტიკის ტრანსფორმაცია საუკუნეების მანძილზე.

გ. ანჩაბაძე ერთადერთი ქართველი ისტორიკოსია, რომელიც წლების განმავლობაში სისტემატურად და სავსებით მართებულად მიუთითებდა, რომ შუა საუკუნეების ქართული ცხენოსანი ლაშქრის ძირითადი იარაღი შუბი იყო.³⁴ თუმცაღა, შუბით ბრძოლის სტილი მას არ დაუკონკრეტებია.

ასე რომ, ჩვენი ამოცანა არა მხოლოდ იმის დადასტურებაა, რომ შუა საუკუნეებში ქართველი მუდამ შუბით იბრძოდა, არამედ იმის დასაბუთებაც, რომ გარკვეული პერიოდიდან საქართველოში გაბატონებული იყო *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილი; უაღრესად მნიშვნელოვანია იმის ჩვენებაც, რომ *ნაგრძელებული შუბით* მებრძოლი ქართული ფეოდალური ლაშქრის მთავარი ტაქტიკური იარაღი ცხენოსანთა შოკური შეტევა იყო.

დასახული ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ წყაროებისა და იკონოგრაფიული მასალის კომპლექსური შესწავლის შედეგად არის შესაძლებელი.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ისტორიულ წყაროებში პრაქტიკულად არ ჩანს ქართველ მხედართა ისრით ბრძოლის წესი, მაშინ როდესაც შუბით ბრძოლას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით.³⁵ ამ წესიდან ორიოდე გამონაკლისს თუ ვიპოვით, რომლებიც, რასაკვირველია, ამინდს ვერ ქმნიან.³⁶

ლიტერატურულ წყაროებშიც ძირითადად ასახულია შუბით ბრძოლის რაინდული წესი; ორთაბრძოლაში ისრის გამოყენება სასტიკად იგმოზა და მხოლოდ გვიანდელ, XVII საუკუნის ნაწარმოებებში გვხვდება ისრით ბრძოლა გაკიცხვის გარეშე.

ნარატიულ წყაროებთან შედარებით, ბევრად პრობლემურია იკონოგრაფიული მასალა. წმინდანის მიერ ხელით მოქნეულ შუბთან შედარებით, *ნაგრძელებული შუბის* გამოსახვა მხატვრულად ნაკლებად შთამბეჭდავია, რის გამოც მისი გამოსახვის იკონოგრაფიული ტრადიცია ევროპაშიც კი კონსერვატიული იყო.³⁷ იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართულმა მართლ-

³⁴ გიორგი ანჩაბაძე, „ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა და ბრძოლის წარმოების ხერხები თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა ანუ დღის და ღამის გაბაასების“ მიხედვით“, *მაცნე*, 2 (1984), 95; მისივე, „იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VI (1985), 69; მისივე, „სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ როგორც სამხედრო-საისტორიო წყარო“, *მაცნე*, 4 (1988), 61.

³⁵ რა თქმა უნდა, იგულისხმება ბრძოლის ველზე მოქმედებები და არა ციხის ან რაიმე ბუნებრივი სიმაგრის იერიში.

³⁶ ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა XIII საუკუნეში, როდესაც ქართველები მონღოლთა მხარდამხარ მონღოლურივე არმიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ჟამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატთანე*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ (თბილისი, 1987), 134; მეორედ, XVII საუკუნეში ქსნის ხეობაში ბრძოლისას ეს ჩასაფრების აუცილებლობით იყო გამოწვეული. იოსებ ტფილელი, *დიდმოურავიანი*, გიორგი ლეონიძის რედაქციით (თბილისი, 1939), 33.

³⁷ Lynn White Jr., „The Crusades and the Technological Thrust of the West,“ in *War*,

მადიდებლურმა ხელოვნებამ ამ კონსერვატიზმს თავი ვერ დააღწია და ბოლომდე შეინარჩუნა წმინდა მეომრების გამოსახვის ტრადიციული სტილი, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში ჩაეყარა. საერო მინიატურების სიმცირის გამო კი მხოლოდ თითო-ოროლა გამოსადეგი გამოსახულებაა შემორჩენილი. თუმცა, იკონოგრაფია მაინც გვაძლევს გარკვეულ მასალას ირიბი მსჯელობისათვის: მიუხედავად კონსერვატიულობისა, შეიარაღებაში აისახა ნუშისებური ფარი, მაღალი, სავარძლისებური უნაგირი და გაშვერილი ფეხი, რაც უდავოდ და ორაზროვნად მიუთითებს *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილზე, რომლის განუყრელ კომპონენტებსაც ისინი წარმოადგენენ.

წაგრძელებული შუბით ბრძოლის წესს ქართველები X საუკუნეში მაინც უნდა გასცნობოდნენ ბიზანტიისაგან, რომელთან კავშირი და სამხედრო თანამშრომლობა ძალიან ინტენსიური იყო.³⁸ არ არის გამორიცხული, რომ ეს მოხდა სწორედ ნიკიფორე ფოკას ეპოქაში არაბთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლების დროს. ქართველები, როგორც მოკავშირეები, მონაწილეობას იღებდნენ ნიკიფორე ფოკას კამპანიაში კილიკიაში 964 წელს.³⁹

ჩვენი მოსაზრების საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მარტვილის ტაძრის X საუკუნის რელიეფი, რომელზეც წმინდა ევსტათე პლაკიდაა გამოსახული⁴⁰ (სურ. 1). წმინდანს შუბი (3-3,5 მ სიგრძის, რელიეფის პროპორციებით რომ ვიმსჯელოთ) სიმძიმის ცენტრის უკან, დაგრძელებულად უჭირავს, რათა მაქსიმალურად გამოიყენოს მისი სიგრძე. საინტერესოა, რომ წმ. ევსტათე, რომელსაც საქართველოში ჩვეულებრივ მშვილდით გამოსახავდნენ, აქ შუბითაა აღჭურვილი.⁴¹ ეს მეტყველებს შუბის გაზრდილ

Technology and Society in the Middle East, eds. V. J. Parry and M. E. Yapp (London, 1975), 98-9.

³⁸ მაგალითად, ბაგრატ მაგისტროსი მონაწილეობდა იოანე კურკუასის 930-31 წლების ლაშქრობაში, რომელიც თეოდოსიუპოლის აღებით დასრულდა. Constantine Porphyrogenitus, *De Administrando Imperio*, ed. by Gy. Moravcsik, trans. by R. J. H. Jenkins, rev. ed. (Washington, 1967), 45.145.

³⁹ ვასილ კოპალიანი, *საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში* (თბილისი, 1969), 23.

⁴⁰ გამოსახულება აშკარად მეთაე და არა მეშვიდე საუკუნისაა, როგორც ეს ქართულ ხელოვნებამცოდნეობაშია მიჩნეული. Н.А. Аладашвили, *Монументальная скульптура Грузии* (Москва, 1977), илл. 51. წმინდანის უზანგი ერთმნიშვნელოვნად გვიანდელ თარიღს მიანიშნებს. ცნობილია, რომ უზანგს სასანური ირანი საერთოდ არ იყენებდა, არაბებმა კი ის მხოლოდ VIII საუკუნეში აითვისეს. უზანგის უადრესი გამოსახულება ისლამურ სამყაროში დაახლოებით 730 წლიდან გვაქვს, პალმირასთან მდებარე ომაიანთა სასახლიდან. White, "The Crusades and the Technological Thrust of the West," 99. ამის გამო მარტვილის რელიეფი ვერაფრით იქნება VII საუკუნის.

⁴¹ ცხენზე ამხედრებული ევსტათეს გამოსახულება, რომელიც მშვილდითაა შეიარაღებული, ადრიდანვე მკვიდრდება საქართველოში და სასანური იკონოგრაფიის გავლენაზე მიანიშნებს. ამით ის განსხვავდება კაპადოკიური გამოსახულებებისაგან, სადაც წმინდანი თავიდანვე შუბით იყო აღჭურვილი. Piotr L. Grotowski, *Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261)* (Leiden, 2010), 82-5.

მნიშვნელობაზე, რომელმაც ტრადიციულ კომპოზიციაში მშვილდი ჩაანაცვლა.

ჩვენ გვაქვს ცნობა, რომელიც ნათელს ჰფენს მეთერთმეტე საუკუნის საქართველოში რაინდული ტაქტიკის თანდათანობით ფორმირებას. სტეფანოს ორბელიანი აგვიწერს ლიპარიტ ბაღვაშის შეტევას თურქ-სელჩუკების ლაშქარზე კაპეტრუს ბრძოლაში 1048 წელს: „ლიპარიტ... **შევიდოდის და განვიდოდის... და განჰხეთქდა რაზმთა მათთა და განვლიდა**“ (აქაც და შემდგომშიც ხაზგასმა ჩემია – მ. წ.).⁴² ლიპარიტის ბრძოლის სტილი ძალიან ჰგავს რაინდულს, რომლის მთავარ მიზანს მონინალმდეგის რიგების გარღვევა და ბრძოლით გავლა წარმოადგენს: სტეფანოსი ორჯერ აღნიშნავს, რომ ლიპარიტი მტრის რაზმში „შევიდოდის და განვიდოდის“ და „განჰხეთქდა რაზმთა მათთა და განვლიდა“.

ნაგრძელებული შუბის პოპულარიზაციას, რასაკვირველია, ხელს შეუწყობდა ბიზანტიის აღმოსავლურ პროვინციებში მყოფი დასავლეთ ევროპელი მოქირავნეებიც. XI საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში მრავალი ფრანკი მემარი მსახურობდა; ნორმანთა კონტინგენტები კრესპინის, რუსელ ბაილეს თუ ერვე ფრანკოპულოს მეთაურობით მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ბიზანტიელთა ლაშქრობებში.⁴³ რუსელ ბაილეს 3,000-მდე მძიმე ცხენოსანი იმპერიის მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენს აღმოსავლეთში, 1057 წელს ფრანკები ბიზანტიის სომხეთში დამოუკიდებელი სამთავროს შექმნას ცდილობენ, 1071 წელს კი ედესაში ათასი ფრანკია თავმოყრილი.⁴⁴ მეტიც, ნიკიფორე ბრიენოსის მოწმობით, მანასკერტთან დამარცხების შემდეგ ბიზანტიელებმა სცადეს ევროპული სტილით მებრძოლი ცხენოსანთა ნაწილის შექმნა, რისთვისაც მხედრებს საგანგებოდ, ბლაგვი შუბით ავარჯიშებდნენ.⁴⁵ ეჭვს გარეშეა, ქართველებს ექნებოდათ გარკვეული ურთიერთობა აღმოსავლეთში მყოფ ფრანკ მოქირავნეებთან და ინფორმაციაც მათი ტაქტიკისა და ბიზანტიის იმპერიაში მიმდინარე ექსპერიმენტების შესახებ.

საქართველოში *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესის საბოლოოდ დანერგვა, ალბათ, დავით აღმაშენებლის ეპოქაში მოხდა. ფრანკების თავბრუდამხვევი წარმატება პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში დამატებით სტიმულს მისცემდა ამ სტილის შემოღებას. ჯვაროსნების მიერ ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის წარმატებით გამოყენებაზე დავითს ინფორმაციას მიაწვდიდნენ ის

⁴² სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 35.

⁴³ Jean Richard, “An Account of the Battle of Hattin Referring to the Frankish Mercenaries in Oriental Moslem State,” *Speculum*, 27 (1952), 171.

⁴⁴ White, *The Crusades and the Technological Thrust of the West*, 99.

⁴⁵ Jonathan Shepard, “The Uses of the Franks in Eleventh-Century Byzantium,” *Anglo-Norman Studies*, 15 (1993), 293.

ქართველებიც, რომლებიც თან ახლდნენ პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას.⁴⁶ ამას ხელს შეუწყობდა დავითის ლაშქარში მყოფი 100 თუ 200 ფრანკი ჯვაროსანიც.⁴⁷

ამის არაპირდაპირი მოწმობა გვაქვს დიდგორის ცნობილ ბრძოლაში, სადაც 1121 წელს დავით აღმაშენებელმა ილ-ლაზის კოალიციური ლაშქარი დაამარცხა. დავით მეფის ისტორიკოსი გვაძლევს ორ, ერთი შეხედვით, თითქოსდა შეუთავსებელ ინფორმაციას: მისი ცნობით, მტერმა პირველივე შეტევას ვერ გაუძლო („პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი“ და „ვერცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინადადგომად“) და ამავე დროს, მისივე თქმით, ბრძოლა გაგრძელდა 3 საათს („ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამი ჟამადმდე იყო“), რაც საკმაოდ დიდი დროა იმ ეპოქისათვის.⁴⁸ ამ ორი, თითქოსდა წინააღმდეგობრივი ცნობის შეთავსება ადვილად შეიძლება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ქართული ლაშქარი იყენებდა ცხენოსანთა დარტყმით ტაქტიკას. ბრძოლის ველზე განვითარებული მოვლენების ზოგადი რეკონსტრუქცია ასეა შესაძლებელი:

რადგანაც ბრძოლა სამი საათი გაგრძელდა და გამარჯვების მისაღწევად ქართველთა პირველივე შეტევაც საკმარისი აღმოჩნდა, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ეს იერიში ბრძოლის მიწურულს განხორციელდა, მანამდე კი დავით აღმაშენებელი თავს იცავდა და ხელსაყრელ დროს ელოდებოდა. პირველი 2-2,5 საათის განმავლობაში თურქმენ ცხენოსან მოისართა ტალღები აწყდებოდა ქართველთა რიგებს⁴⁹ („ძლიერი ყიჟინით, ცხენისა და იარაღის ხმაურით, ზარდამცემი ბაირალებით“), რომლებიც ურყევად დგას და თავს იცავს („დავით მეფე ამხნევებს თავისიანებს“);⁵⁰ შეტევისათვის სწორი მომენტის შერჩევის შემდეგ, ქართული რაინდული კავალერიის შოკური დარტყმა მუსლიმთა

⁴⁶ Fulcher of Chartres, *A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127*, trans. Frances Rita Ryan, ed. Harold S. Fink (New York, 1973), 88. თუკი ფულხერიუსის *Iberi* აქ მართლაც ქართველებს გულისხმობს, ეს ჯგუფი, რომელიც მრავალრიცხოვანი არ იქნებოდა, შესაძლოა ჯვაროსნებს წამოჰყვა კონსტანტინოპოლიდან, სადაც ქართული კოლონია არსებობდა.

⁴⁷ Matthew of Edessa, *Armenia and the Crusades: Tenth to Twelfth Centuries: The Chronicle of Matthew of Edessa*, trans. Ara Edmond Dostourian (New York, 1993), 227; Walter the Chancellor's *The Antiochene Wars*, trans. Thomas S. Asbridge and Susan B. Edgington (Aldershot, 1999), 169. სმბატ სპარაპეტი 500 ფრანკსაც კი ასახელებს დავითის ლაშქარში. Смбат Спаррапет, *Летопишь*, перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна (Ереван, 1974), 83.

⁴⁸ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 341-2.

⁴⁹ თურქმენთა ტაქტიკა გულისხმობდა მონინააღმდეგის რიგებთან ახლოს მისვლას, მათი ისრებით დაცხრილვას, უკან შემოქცევას და თავიდან შეტევას; შედეგად მტერი საგრძნობლად სუსტდებოდა ან ისრებით შეწუხებული მოუმზადებელ იერიშს იწყებდა და იოლად მარცხდებოდა.

⁵⁰ Walter the Chancellor, *The Antiochene Wars*, 169-70.

მთავარ ბირთვს, ილ-ლაზის დროშას სწვდება⁵¹ (ამის უტყუარი ინდიკატორი ილ-ლაზის თავში დაჭრაა);⁵² ეს სწორად შერჩეული, დროულად და მთელი სიმძიმით განხორციელებული პირველივე დარტყმა (რომელსაც უეჭველად ქართველთა ყველაზე დისციპლინირებული და გამოცდილი მოყმეები განახორციელებდნენ) საკმარისი აღმოჩნდა ილ-ლაზის არმიის ძირითადი ბირთვის გასანადგურებლად, რასაც ხელმძღვანელობის და შედეგად, მთელი ამ უზარმაზარი არმიის მოშლა და გაქცევა მოჰყვა. ამ ერთადერთი შეტევის ხასიათი და შედეგი მეტყველებს მის არსზე და მაღალი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს დიდი ოსტატობით განხორციელებულ ცხენოსანთა შოკურ დარტყმასთან.

თუკი აქამდე ბევრ რამეს ვარაუდის დონეზე ვარკვევდით, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე თამარის პირველი ისტორიკოსი გადმოგვცემს ფაქტს, რომლის მნიშვნელობაც ძნელია გადაამეტო. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოგვითხრობს, რომ 1209 წელს სპარსეთში ლაშქრობისას ზაქარია ამირსპასალარმა ხუთასი რჩეული მხედარი („რჩეული დიდებული და აზნაური“) თაყაიადინ თმოგველის სარდლობით ავანგარდში განაწესა. მათ თავს დაესხათ რიცხოვრივი უპირატესობით გათამამებული მარანდელები, რომლებიც სასტიკად დამარცხდნენ. როდესაც ძირითადმა ლაშქარმა ბრძოლის ველი დაათვალიერა, თვალებს არ დაუჯერა: „იხილეს ნაომარი ადგილი მკუდრითა კაცი-თა და ცხენითა სავსე, და ქართველთა კაცი არცა ერთი იპოებოდა. ესოდენი ძლევა მოეცა ღმერთსა, რომელ ხუთასი შუბი ხუთასსა კაცსა და ცხენსა ზედა ესუა“.⁵³ მემატიანე, რომელიც სამხედრო საქმეში ჩახედული კაცი ჩანს, აღფრთოვანებას ვერ იკავებს და ორიოდ სტრიქონის შემდეგ, ისევ იმეორებს: „ასეთი ძლევა მისცემოდა, რომელ ხუთასი შუბი ხუთასსავე კაცსა ხუთასისა ცხენისა და კაცისათვის შეეცა და ხუთასსა ზედა დასობილი იხილეს“.⁵⁴ ეს გახლავთ საუკეთესო არგუმენტი ქართველთა მიერ *ნაგრძელებული შუბით* განხორციელებული ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის სასარგებლოდ: ნებისმიერი სხვა ბრძოლის წესით მსგავსი შედეგის მიღწევა წარმოუდგენელია!

⁵¹ მძიმე ცხენოსანთა შემზარავი დარტყმის ასარიდებლად მუსლიმი ცხენოსნებს შეეძლოთ გაფანტულიყვნენ, თავიდან აეცილებინათ შეტევის პირველი ძალა, შემდეგ მოტრიალებოდნენ წყობადაშლილ მონინაალმდეგეს და ფლანგური ან უკნიდან დარტყმით დაემარცხებინათ ისინი. სწორედ ამიტომ, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შეტევის სიზუსტეს და სწორად შერჩეულ დროს, რომ დარტყმა მუსლიმთა მთავარ დაჯგუფებას მისწვდომოდა, ისე რომ მათ თავი ვერ დაეღწიათ შეჯახებისათვის, სადაც უპირატესობას ხელჩართულ ბრძოლაში უკვე მძიმედ შეჭურვილი შუბოსანი ფლობდა. მუსლიმთა მოზილურ ტაქტიკასთან ბრძოლისას, მთავარი პრობლემა სწორედ პირველ ეტაპზე გაძლება და შეტევისათვის დროის და მიზნის სწორი შერჩევაა.

⁵² Walter the Chancellor, *The Antiochene Wars*, 170.

⁵³ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 105.

⁵⁴ იქვე, 105.

მემატიანეს უდავოდ კარგად ესმის, თუ რა ოსტატობას მოითხოვს ასე უზადოდ განხორციელებული ცხენოსანთა შეტევა და სწორედ ამიტომ უთმობს ამ ეპიზოდს, სხვა ბრძოლებთან შედარებით, ასე დიდ ადგილს.

მომხდარის გააზრებაში დაგვეხმარება ცნობილი არაბი მხედარი უსამა იბნ მუნკიზი, რომელიც სიამაყით აგვიწერს მის მიერ გადახდილ ერთ ბრძოლას, როდესაც თექვსმეტმა მუსლიმმა შეტევისას თექვსმეტი ფრანკი განგმირა შუბით.⁵⁵ ლეგენდარულ მუსლიმ რაინდს სრული საფუძველი აქვს ამ ფაქტით იამაყოს. ამავე დროს, თუკი შევადარებთ უსამას გმირობის და მარდინის ეპიზოდის მასშტაბს, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით უკანასკნელის მნიშვნელობაში; თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი შეტევის ანალოგის მოძიება ევროპულ ანალებშიც გაჭირდება.

ჯ. ფრანსი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთში, თურქთა წინააღმდეგ საბრძოლველად ჯვაროსნები ცხენოსანთა შოკურ შეტევას ბევრად უფრო მასირებულად იყენებდნენ, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთ ევროპაში. მასირებული შეტევის განხორციელება მხოლოდ დისციპლინირებულ და კარგად შეწყობილ არმიას შეეძლო.⁵⁶ რადგანაც ასეთი შეტევა მასობრივად, ერთიანი ფრონტალური ხაზით ძნელი განსახორციელებელია, ევროპაში მას უფრო პატარა ტაქტიკური ერთეულებით (*კონსტაბულარია* ან *კონრუა*, რომლებიც 10-40 რაინდისგან ფორმირდებოდა), ერთმანეთის მიმდევრობით ასრულებდნენ. სპარსეთში ლაშქრობისას 500 მეზობლის მიერ ერთდროულად შუბის გამოყენება მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა ერთიან, მასობრივ შეტევას, რაც იმდროინდელი ქართული არმიის მაღალ ტაქტიკურ ოსტატობაზე მეტყველებს.

თამარ მეფის ისტორიკოსის სხვა ცნობიდან ჩანს, რომ ერთიანი, მასირებული შეტევა ქართული არმიის ჩვეულ ტაქტიკურ ხერხს წარმოადგენდა. 1195 წელს შამქორის ბრძოლაში „შეიქმნა ომი და კუეთება არათუ **სრულობით წარმოღურითა რაზმისათა**, გარნა წინამსრბოლთაგან“.⁵⁷ მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამჯერად ადგილი არ ჰქონია ერთიან შეტევას (ანუ „რაზმების სრულ წარმოღურას“), არამედ მხოლოდ ცალკეულ მონინავე ნაწილთა შეტაკებას.

ბრძოლისას, წყობა ნაადრევად რომ არ დაერღვია, ქართული მხედრობა (რაინდული კავალერიის მსგავსად) ჯერ ნელი ტემპით უახლოვდებოდა მტერს, შემდეგ ცოტა აჩქარდებოდა (ჩორთით სვლა) და მხოლოდ უშუალოდ შეტაკების წინ გადადიოდა ჭენებაზე.⁵⁸ ამ წესის დაცვით განხორციელებუ-

⁵⁵ Usamah Ibn-Munqidh, *Kitab al-I‘Tibar*; 86.

⁵⁶ John France, “Crusading Warfare and its Adaptation to Eastern Conditions in the Twelfth Century,” *Mediterranean Historical Review*, 15 (2000), 60-1.

⁵⁷ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 70.

⁵⁸ ჯერ კიდევ VI საუკუნეში იმპერატორ მაგრიკოსს კარგად ესმოდა ცხენოსანთა მწყობრის შენარჩუნების მნიშვნელობა შეტევის წარმატებისათვის და მტერთან ჩორთით მიახლოებას ურჩევდა მათ. *Maurices’s Strategikon: Handbook of Byzantine Military Strategy*, translated by George T. Dennis (Philadelphia, 1984), 38. ამ საკითხზე უფრო ვრცელი მსჯელობისათვის იხ.

ლი შეტევა, როდესაც მოწინააღმდეგეს ცხენოსანთა ერთიანი მასა აღწევს, მეტად ძნელი მოსაგერიებელია. ქართველთა მიერ განხორციელებულ ამგვარ შეტევას აგვიწერენ წყაროები 1202 წელს ბასიანის ველზე რუმის სასულთნოს არმიის დამარცხებისას. ბრძოლის დროს წინ ქართველებმა „დაანყუეს რაზმი“ (ანუ განალაგეს წინამბრძოლი და სხვა ნაწილები) და „ესრეთ წყნარად ვიდოდეს“;⁵⁹ „ვითარ იხილეს სულტანი, ცოტად ცხენნი ააჩქარნეს და მიმართეს“.⁶⁰ „ცოტად ააჩქარეს“, რათა ცხენოსანთა საბრძოლო წყობა დროზე ადრე (შეტაკებამდე) არ დაშლოდათ, რაც დარტყმას ძალას დააკარგვინებდა.

ამავე ეპოქაში დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ დამატებით დეტალებს გვანვდის ჩვენი ვერსიის სასარგებლოდ:

„შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად;

საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად;

ერთსა ნავსწყდი უტევანსა, **ნავგრძელი და ნავე გრძელად.**

მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად...

კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა,

შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა!⁶¹

რუსთაველის მიერ აღწერილი იერიში ევროპელი რაინდის მიერ ჩატარებულ ტიპურ ბრძოლას ჰგავს: შეტაკების წინ მეაბჯრე ტარიელს შუბს აწვდის, მძიმე მუზარადს კი ცხენზე ან აბჯარზე დამაგრებულს ატარებს და ბოლო წუთს იხურავს;⁶² საოცრად პოეტურადაა აღწერილი შეტევისას შუბის ვერტიკალური მდგომარეობიდან ჰორიზონტალურში გადაყვანა, როდესაც მხედრის სილუეტი შუბის ხარჯზე გრძელდება – „ნავგრძელი და ნავე გრძელად“, შემდგომ შეტაკება, როდესაც შუბი იმსხვრევა და რაინდი ბრძოლას ხმლით აგრძელებს. ცხადია, რომ შეტევა *ნავგრძელებული შუბით* ხდება და არა რაიმე სხვა ხერხით. ასეთი შეტევისას შუბი ეჭირათ მარჯვენა ხელის მაჯით, მისი

Matthew Bennett, “*La Regle du Temple as a Military Manual or How to Deliver a Cavalry Charge,*” in *The Rule of the Templars: The French Text of the Rule of the Order of the Knights Templar*, trans. J. M. Upton-Ward (Woodbridge, 1992), 184-5.

⁵⁹ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, 96.

⁶⁰ ბასილი ეზოსმოდღუარი, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 137.

⁶¹ შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ (თბილისი, 2009), სტროფი 446-7.

⁶² ზუსტად ასე, ბოლო მომენტში, უშუალოდ ბრძოლის დაწყების წინ იხურავს მუზარადს ევროპელი რაინდი. ამის საილუსტრაციოდ ცნობილი მაგალითიც კმარა – 1217 წელს ლინკოლნთან ბრძოლაში უილიამ მარშალს სკვადრმა ბოლო წამს შეახსენა, რომ უკვე მუზარადის დახურვის დრო იყო. Michael Prestwich, “*Miles in Armis Strenuus: The Knight at War,*” *Transactions of the Royal Historical Society*, 6 (1995), 205-6.

ბოლო კი ილღიაში ჰქონდათ ამოდებული. მაჯაზე დიდი დატვირთვის გამო ასეთი მდგომარეობის შენარჩუნება ძნელია, რის გამოც შუბი ვერტიკალურად ზეალმართული ეჭირათ და მხოლოდ შეტევისას, ბოლო მომენტში დახრიდნენ, ანუ შუბი გადაჰყავდათ ჰორიზონტალურ პოზიციაში.⁶³ სწორედ ეს პროცესი აქვს შოთა რუსთაველს ლამაზად აღწერილი.

XII და შემდგომი საუკუნეების წყაროებში აღნიშნული შუბის დალენვის გახშირებული ფაქტები მიუთითებს დარტყმის დიდ ძალაზე და *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლაზე.⁶⁴ ამის მანიშნებელია, აგრეთვე, ბრძოლისას ცხენიდან კაცის ჩამოგდებაც. შუბით ძლიერი დარტყმა, რომელიც მონინააღმდეგეს ცხენიდან აგდებს, მანიშნებს *ნაგრძელებული შუბის* გამოყენებაზე.⁶⁵

მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, რომელიც XII საუკუნის საგმირო-სარაინდო რომანია, მრავლად ვხვდებით შუბის დალენვის („შემოუტივა მან კაცმან და **შუბნი შემოაღენნა**“)⁶⁶ და ცხენიდან ჩამოყრის ფაქტებს: „შეეკაზმა და **ოროლნი ხელთა აიხუნა**. ექუსთავე შეუტივეს, **ხელთა ოროლები ჰქონდა**. შეუტივა, ვითამცა ცოტანი ყმანი ყოფილ იყვნეს, ეგრე უჭირველად **ჩამოყარნა**“.⁶⁷ ეს ეპიზოდი შესაძლოა, მხატვრული გაზვიადებაა, მაგრამ ნათლად აღწერს შუბით ბრძოლის რაინდულ წესს.⁶⁸

⁶³ Davis, *The Medieval Warhorse*, 19-21.

⁶⁴ Кирпичников, „Древнерусское оружие,“ 68.

⁶⁵ Bernard S. Bachrach, „Caballus et Caballarius in Medieval Warfare,“ in *The Study of Chivalry: Resources and Approaches*, eds. H. Chickering and T. H. Seiler (Kalamazoo, 1988), 194. ტერმინი *Pleine sa hanste* მანიშნებს შუბით განგმირულის გადმოვარდნას ცხენიდან, როცა იგი ყირავდება კუდისაკენ შუბის მთელ სიგრძეზე და *ნაგრძელებული შუბის* გამოყენების ინდიკატორია. Bennett, „Why Chivalry?“ 53; Bachrach, „Animals and Warfare,“ 745-6.

⁶⁶ მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა (თბილისი, 1967), 39-40.

⁶⁷ იქვე, 610-1.

⁶⁸ ს. მარგიშვილი *ჰოროლს და ხელშუბს* ერთმანეთთან აიგივებს და „წერილობით წყაროებში ჰოროლის (ხელშუბის) საკმაოდ ხშირი მოხსენიების“ საფუძველზე, XII საუკუნის ქართულ არმიაში ვარაუდობს მსუბუქი ცხენოსანი „ხელშუბოსნების დანაყოფების არსებობასაც“. სოსო მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ* (თბილისი, 2006), 190. რაიმე მონაცემი, რომლის მიხედვითაც XII საუკუნის ქართველი მხედარი ბრძოლაში ხელშუბს იყენებდა, არ არსებობს. რაც მთავარია, *ჰოროლი* ხელშუბი არ არის, იგი გრძელი შუბია. სულხან-საბა აღწერილობით, „*ოროლი* არს, ლახვარი ორ-პირი და ბუნ-გრძელი“. სულხან-საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა*, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, ტ. I (თბილისი, 1991), 409. ი. შაიშველაშვილიც, რომელიც ერთგან თავად მიუთითებს, რომ ჰოროლი ტარგრძელი შუბია, ნოვგოროდელი ქვეითის და რომაელი ლეგიონერის ანალოგიით (!) მიიჩნევს, რომ მეომარს რამდენიმე ჰოროლი შეიძლება ეტარებინა; ჩანს, ჰოროლი მასაც ხელშუბი ჰგონია. ივანე შაიშველაშვილი, *შამქორი, ბასიანი* (თბილისი, 1981), 20, 76. ასეთ შეცდომებზე სხვა დროს იქნებ ყურადღება არც გაგვემახვილებინა, მაგრამ შუა საუკუნეებში ქართველთა ბრძოლის წესის განხილვისას, ხელშუბისა და

უამთააღმწერელი მოგვითხრობს მეცამეტე საუკუნის შუახანებში თურქებთან ბრძოლაზე, სადაც მანდატურთუხუცესი შანშე ჰოროლით კლავს თურქს: „ვითარ მიეახლნეს, დაანყვეს რაზმი და მიეტევნეს. ხოლო **შანშე უპირატეს ყოველთასა მიეტევა, რომელმან ჰოროლითა განგუმირა** სახელოვანი თურქი“.⁶⁹ 1260 წელს, მონღოლებთან ბრძოლისას ქართველები შუბებით უტევენ და სამცხის სპასალარი ჰოროლით ცხენიდან აგდებს მონღოლთა რჩეულ მებრძოლს: „ვითარ დაეახლნეს ურთიერთას, ზედამიეტევნეს მესხნი განლაღებულნი. ხოლო სარგის ჯაყელი უპირველეს ყოველთასა **მიუხდა რაზმსა და უმხნესი მათი, ჩინ-ბაადური, ჰოროლითა ცხენისაგან ქუეყანად დასცა**“.⁷⁰

XIII საუკუნის მეორე მესამედიდან, მონღოლური ზეგავლენის შედეგად, ქართველთა აღჭურვილობა და ბრძოლის სტილი გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდის: შეიარაღებაში ჩნდება მშვილდი, რომელიც იარაღის სავალდებულო ჩამონათვალს ემატება. ამისდა მიუხედავად, ძირითად იარაღად ისევ შუბი რჩება, რომელიც მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში კარგავს ძველ მნიშვნელობას.⁷¹ აქვე უნდა ითქვას, რომ *ნაგრძელებული შუბის* გარდა, რამდენიმე გვიანდელ მინიატურაზე ჩვენ გვხვდება შუბის ჭერის სხვა ხერხებიც: ორი ხელით და ბილიარდის კიის მსგავსად. განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ირანელთა დიდი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ გრძელ შუბს, ალბათ, სხვა სტილით შუბის გამოყენებაც ენაცვლებოდა, საუკუნეების განმავლობაში ცხენოსანთა შეტევის სტილი არ იცვლება და შოკური შეტევა ქართველთა უსაყვარლეს ტაქტიკურ იარაღად რჩება.

საინტერესო ინფორმაცია გაგვაჩნია XIV საუკუნის ბოლოსათვის: თემურლენგთან ბრძოლაში „ესეოდენი სიმხნე აჩუენეს სპათა საქართველოსათა, ვითარმედ, შეჰხდიან კისკასად შუასა შინა რაზმთა მათთასა, და ეგრეთ მახვილწვდილნი სრვიდეს, და **განვიდიან თავითგან ვიდრე ბოლომდე**, და კუალად მათგან **უვნებელად უკმოიქცეოდინ** შორის ბანაკისა მის ისმაიტელთასა. და ესრეთ სახელოვნად გამარჯუებულნი მოვიდიან ღვთივ-გვირგვინოსნისა მეფისა გიორგის წინაშე და მოულოცევიდიან განმარჯუებასა“.⁷² აქ აღწერილი შეტევა ჰგავს რაინდულს, რომლის მთავარი ნიშანია მონინააღმდეგის რაზმის რიგების გარღვევა („განვიდიან თავითგან ვიდრე ბოლომდე“) და ისევ უკან გამოვლა ბრძოლით საკუთარ რიგებამდე („კუალად მათგან უვნებელად უკმოიქცეოდინ“), შემდგომ გადაჯგუფება („მოვიდიან ღვთივ-გვირგვინოსნისა მეფისა გიორგის

შუბის (ჰოროლის) აღრევა დაუშვებელია და ისინი ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ.

⁶⁹ უამთააღმწერელი, *ასწლოვანი მატიანე*, 95.

⁷⁰ იქვე, 124.

⁷¹ მამუკა წურწუშია, „სინას მთის წმინდა მხედრები“, *ქართველოლოგია*, 12 (2008), 32.

⁷² *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 462.

წინაშე“) და ხელახალი იერიში; ჩანს ქართველ მოყმეთა დისციპლინაც, როდესაც იერიშის შემდეგ გადასაჯგუფებლად უკან ბრუნდებიან მეფის დროშასთან.

კიდევ ერთი ეჭვმიუტანელი ინფორმაცია *ნაგრძელებული შუბის* გამოყენების შესახებ გვაქვს 1483 წელს არადეთის ბრძოლაში, სადაც შალიკაშვილი და მაჩაბელი შეებნენ ერთმანეთს: „შემოსცა შუბი შალიკაშვილმან და გაუხეთქა კუბო ფარისა და განავლო მხარსა შიგან და გარდმოაგდო ცხენიდანა“. ⁷³ თუ არა *ნაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესი, სხვანაირად წარმოუდგენელია ისეთი ძალის დარტყმა, რომელიც ფარს გახეთქავს და მხარში მოხვედრილი ცხენიდან გადმოაგდებს მონინალმდეგეს.

XIV-XV საუკუნეების შესახებ დამატებით მოგვეძვეება გამომსახველობითი მასალაც, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მონღოლურ-ნომადური ზეგავლენის შედეგად ტრანსფორმირებულ ქართულ მხედრობაზე, რომლის მთავარი საბრძოლო ხერხი კვლავინდებურად *ნაგრძელებული შუბია*.

XIV საუკუნის მიწურულის დავითნში, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს თემურ-ლენგის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა შეიარაღებაზე, ბრძოლის ერთ სცენაში ვხედავთ *ნაგრძელებული შუბით* იერიშს და განგმირულ მონინალმდეგეს (სურ. 2).

მიუხედავად იმ კონსერვატიზმისა, რასაც ქართული იკონოგრაფია წმინდა გიორგის გამოსახვაში იჩენს, *ნაგრძელებული შუბის* გამოსახულებამ აქაც შეაღწია. შემორჩენილია XV საუკუნის რამდენიმე ჭედური ხატი, რომელზეც წმინდანი *ნაგრძელებული შუბით* გმირავს გველეშაპს. ამგვარ, მეტად იშვიათ, კომპოზიციას ვხედავთ ჟიბიანის, გულეკარის და თბილისის სიონის ხატებზე, ბოდორნის საწინამძღვრო ჯვარზე. ⁷⁴ მიუხედავად ნომადური ზეგავლენისა, რაც, უპირველეს ყოვლისა, შეიარაღებაში მშვილდის არსებობით გამოიხატება, მხედარი მაინც რაინდული წესით იბრძვის (სურ. 3).

XVI საუკუნეში, ქართლის მეფეების, ლუარსაბ I-ის და სვიმონ I-ის მონაწილეობით მიმდინარე ბრძოლების შესახებ საგულისხმო დეტალები შემონახულია „ახალ ქართლის ცხოვრებასა“ და ფარსადან გორგიჯანიძესთან.

1556 წელს გარისის ბრძოლაში ლუარსაბ მეფემ „თათარნი დაინახა, **მეაბჯრეს შუბი გამოართვა** და წინ მიეგება“. ⁷⁵

1569 წელს ფარცხისის ბრძოლაში სვიმონ მეფე ირანელებს „საომრათ წინ მოეგება. მეფე სვიმონ შუბი ხელთ... თათართ ლაშქარში გამოერია... **შუბით მრავალი თათარნი გარდმოჰყარა...** მეფეს შუბი გაუტყდა“. ⁷⁶ იმავე ბრძოლაში ქართლის მეფე შუბით უტევს და ცხენიდან აგდებს ყიზილბაშს: „მოუხდა მეფე

⁷³ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 347.

⁷⁴ Г.Н. Чубинашвили, *Грузинское чеканное искусство* (Тбилиси, 1959), 336.

⁷⁵ ფარსადან გორგიჯანიძე, *ისტორია* (ტფილისი, 1926), 9.

⁷⁶ იქვე, 11.

სვიმონ ერთსა ჭურვილსა ყიზილბაშსა, სცა ძლიერად ოროლითა და დაანარცხა მიწასა ზედა, და მოკლა იგი“.⁷⁷

დადიანთან ნაგებულ ომში გასაქცევად გამზადებულ სიმონ მეფეს მისმა ერთმა „შეზრდილმა“, საამ თურქესტანიშვილმა, უთხრა: „აქედამ შუბმოუქნეველი არ წავალო. შეუტევა და ჩამოაგდო კაცი და იყო გულსრულად დამარცხებულს ომში თურქესტანიშვილი“.⁷⁸ კვლავ გვხვდება შუბის დარტყმით ცხენიდან კაცის ჩამოგდება: „შეისწრაფა რაზმთა შინა, სცა ოროლითა და გარდააგდო კაცი“.⁷⁹

1599 წელს ნახიდურთან ბრძოლაში აღწერილია სიმონ მეფის შეტევა ოსმალებზე: „მეფემ ცხენს დაუძრა და ქართველნი შუბდაგრძელებულნი ცხენჭენებით მიეტივნეს ანაზდეულ, ვითაც ჩქაფის წვიმა სეტყვის ღვარნი მთისგან. გაპეს რაზმი ურუმთა და გარდმოყარეს მრავალნი და გაიარეს შიგა ყველამ... ურუმნი გაკვირვებულ იყვნენ ამათს მამაცობასა, რომ ვისაც გარდმოაგდებდენ, გასცილდიან სხვაზე და თითოს ქართველს ოთხი თუ ხუთი ურუმი ცხენიდან გარდმოეგდო და მეფე ხელშუბიანი⁸⁰ რომელს თოყსა და დროშას შეუტევიდის, მოშლიდის“.⁸¹

ამ ეპიზოდებში ვხედავთ შუბით ბრძოლას და მის მსხვრევას, მებაჯრეს, რომლის მოვალეობაც შუბის მიწოდებაა (ევროპელის მსგავსად, იგი ქართველი რაინდის განუყრელი მხლებელია), მტრის ცხენიდან ჩამოგდებას და სხვ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნახიდურთან ბრძოლის აღწერა, რომელიც კლასიკური რაინდული შეტევის განსახიერებაა და კიდევ ერთხელ მიანიშნებს ნაგრძელებული შუბის გამოყენებაზე („ქართველნი შუბდაგრძელებულნი“).

განსაკუთრებით მდიდარი ნარატიული მასალა გავაჩნია XVII საუკუნის ბრძოლების შესახებ. ამ საუკუნის მეორე ნახევრის თბილელი მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე ისტორიულ პოემაში „დიდმოურავიანი“ მეტად საყურადღებო ცნობებს გვანვდის 1609 წლის ტაშისკარის ბრძოლაზე.

ერთგან, გიორგი სააკაძე ძლივს აკავებს მტერზე ნაადრევი შეტევის მსურველებს: „მე სადავენი შევტაცვი, ვინ შუბი ნაიგრძელაო“.⁸² მშვენივრად ჩანს, რომ შეტევაზე გადასვლას ქართველები ნაგრძელებული შუბებით აპირებენ! სასულიერო პირსაც კი, რომელიც ჩვენი ავტორია, კარგად ესმის, რომ „შუბის ნაგრძელება“ შეტევაზე გადასვლას ნიშნავს. ეს სტრიქონები საინტერესოა, როგორც რუსთაველის ერთგვარი გამოძახილი („ნავეგრძელდი და წავე გრძელად“) და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ტარიელის „ნაგრძელება“ სწორედაც რომ შუბის საშუალებით ხდება.

⁷⁷ ქართლის ცხოვრება, 514.

⁷⁸ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება“, 377.

⁷⁹ ქართლის ცხოვრება, 534.

⁸⁰ იგულისხმება, რომ მეფეს ხელთ შუბი ეპყრა და არა „ხელშუბი“.

⁸¹ ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, 15.

⁸² იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, 9.

ტაშისკართან ბრძოლაში სააკაძეს სამი შუბი შემოატყდა („ფიცით შეგ-კადრო, მეფეო, **სამი გავსტყხე შუბია**“),⁸³ რის შემდეგაც ლახტს და ხმაღს იყენებს, – თითქოსდა ევროპელი რაინდის ბრძოლის აღწერილობას ვკითხულობდეთ.

„ჩვენი ბრძოლა შუბით არის, მათი ფარ-ხმაღ ისარია“:⁸⁴ იოსებ თბილელის ეს სიტყვები ეპიგრაფადაც კი შეიძლება გამოდგეს, ისე მოკლედ და მკაფიოდ გამოხატავს განსხვავებას ქართულ (ანუ ევროპულ) და თათრულ (ანუ ნომადურ) ბრძოლის სტილს შორის!

უნდა ითქვას, რომ აღმოსავლელ მეზობლებთან შედარებით, ქართველები ყოველთვის გრძნობდნენ თავიანთ უპირატესობას შუბით ბრძოლაში. 1625 წელს მარაბდის ომის წინ სამხედრო თათბირზე გიორგი სააკაძე დარწმუნებულია, რომ ირანელები „შუბის ომსაო ჩვენ ვერ გაგვიძლებენო“.⁸⁵

ფარსადან გორგიჯანიძე ზედმინვენით ზუსტად აღგვიწერს ქართველთა მიერ განხორციელებულ იერიშს მარაბდის ბრძოლაში, რომელიც კლასიკური ევროპული რაინდული შეტევაა: ცხენოსნებმა ჯერ „ნელად იარეს, მერმე **ფარები დაიფარეს და შუბები წაიგრძელეს** და ცხენჭენებით მიუხდნენ“.⁸⁶

იმავე მარაბდის ბრძოლაში თეიმურაზ მეფე უტყვეს მონინააღმდეგეს: **„შუბი შესცა და იმან ფარი დახუდრა, ფარი გაუტეხა და ხელნავიც გაუხეთქა და მკლავიც მოსტეხა, შუბიც შეამტვრია, ცხენიდამ გარდმოაგდო“**.⁸⁷ ასეთი ძალის დარტყმა, რომელმაც ფარი გაგლიჯა, სამკლავე გახეთქა, მკლავი მოტეხა და შუბიც დაამსხვრია, მხოლოდ *წაგრძელებული შუბითაა* შესაძლებელი.

1626 წელს ბაზალეთის ბრძოლაში სააკაძის და მეფედ გადაცმული ედიშა ვაჩნაძის ორთაბრძოლა ევროპის შუაგულში გამართული რაინდული ტურნირი გეგონება – ორივე ფარზე ამსხვრევს შუბს: „მოურავმან **ფარი დახუდრა და შუბი შეიმტვრია** და გასცილდა. მოურავმან ცხენი დაიბრუნა და **შუბი შესცა. ამანც ფარზედ შეამტვრია**“.⁸⁸

XVII საუკუნეში კიდევ მრავლად გვაქვს შუბის მსხვრევისა თუ გამოყენების შემთხვევები, რომლებიც მოხსენიების ღირსია. არჩილ მეფე (1647-1713) აღგვიწერს 1614 წელს ჟალეთთან თეიმურაზ I-ის შეტაკებას ირანელებთან: „მივახლოვდით, შემოგვებნეს, ჩვენიც წინა მიეგება, **დავამსხვრივეთ ზედ შუბები**“.⁸⁹ ამავე საუკუნის მიწურულს ირანელებთან ბრძოლაში გიორგი მე-

⁸³ იქვე, 14.

⁸⁴ იქვე, 14.

⁸⁵ ფარსადან გორგიჯანიძე, *ისტორია*, 26.

⁸⁶ იქვე, 26.

⁸⁷ იქვე, 26.

⁸⁸ იქვე, 29.

⁸⁹ არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“, *არჩილიანი*, აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II (თბილისი, 1937), 54.

ფის ძმისწულმა „ვახტანგ სცა ოროლი სპარსსა“.⁹⁰ ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ცნობით, საბარათიანოს სარდალი ზაზა ციციშვილი ბრძოლაში ხუთ (!) შუბს ამსხვრევს: „ეკუეთნენ ძლიერად და შემუსრა ბრძოლითა ზაზამ შუბი ხუთი“.⁹¹ ეს ამკარად ბრძოლის სტილზე მეტყველებს, მხოლოდ ხელით მოქნევის და ძვერებისას წარმოუდგენელია ამდენი შუბის დამტვრევა.

XVII საუკუნის ლიტერატურული წყაროებიც მხარს უმაგრებს ფაქტობრივ მონაცემებს. საუკუნის დასაწყისში კახეთის მოურავმა, ცნობილმა სარდალმა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა პროზად დაწერა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება – „ომიანიანი“. აქ ორთაბრძოლა ისეა აღწერილი, ერთი შეხედვით ტიპური დასავლეთევროპული ტურნირი გეგონება, თუმცა ვიციით, რომ ავტორი ქართველია და ქართულ რეალობას გადმოგვცემს: „გულმესისხლედ და ცხენგაფიცხებით ერთმანერთსა შეუტიეს. პირველსავე მისვლასა შუბნი ერთმანერთსა შეაღწენეს; სხვანი შუბნი აიხვნეს და იგიცა დაღწენეს და მერმე ინდოურნი ფოლადნი ხრმალნი დაინვადნეს და ერთმანერთსა დაუშინეს, რომე მუზარადსა ზედა ცემითა ხრმალნი ჯოხივითა უპიროდ დახდეს. მერმე ლახტები დაინვადეს და ასრე მედგრად ერთმანერთსა ეცემებოდეს“.⁹²

განსაკუთრებით საინტერესოა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მიერ გამოყენებული ერთი ჰიპერბოლა: „ან გაფრთხილდი, რომე ჩემსა შუბსა ქვიტკირიცა ვერ დაუდგამს!“ შუბი ცხენსა ყურთა შუა გამოწონა და ფრინველივითა წამოვიდა, რომე მისის ცხენისა ფერხთა მტვერი ცამდის აამალდა“.⁹³ იგი ეხმაურება ანა კომნენას მიერ ევროპულ რაინდებზე რამდენიმე საუკუნით ადრე ნათქვამს: „ფრანკი მხედარი ბაბილონის გალაგანს გახვრეტსო“.⁹⁴ აქაც შუბით კედლის გახვრეტაზეა საუბარი; ასეთი ძალის დარტყმის წარმოდგენა მხოლოდ ნაგრძელებული შუბის გამოყენების დროს არის შესაძლებელი.

XVI-XVII საუკუნეების ანონიმური თხზულება „რუსუდანისი“ სავსეა ორთაბრძოლებით, რომლებიც შუბის დაღწევით იწყება და შემდგომ ხმლით და ლახტით გრძელდება: „შეიბნეს. პირველ შუბით შეუტიეს და შეაღწენს ერთმანერთსა. მერმე ხრმლები დაინოდეს და გულმესისხლედ დაღწენეს... მერმე გურზებს მიჰყვეს ხელი და მედგრად იცემებოდეს“;⁹⁵ „შეუტიეს ერთმანერთსა, შუბები შეაღწენეს, მერმე ხლმითა დაუშინეს ერთმანერთსა და ისიც

⁹⁰ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV (თბილისი, 1973), 471.

⁹¹ იქვე, 452.

⁹² ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, *ომიანიანი*, გამოსაცემად მოამზადა ლიანა კეკელიძემ (თბილისი, 1979), 104.

⁹³ იქვე, 105.

⁹⁴ Anna Komnene, *The Alexiad*, trans. E. R. A. Sewter, revised by Peter Frankopan (London, 2009), 378.

⁹⁵ *რუსუდანისი*, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით (თბილისი, 1957), 284.

დააღწესა. მერმე ლახტები გამოიღეს“;⁹⁶ „პირველსავე მისვლასა შუბები ერთმანერთს შეაღწეს და მერმე... ლახტები დაინოდეს და დაუწყეს ერთმანერთსა ცემა“.⁹⁷ „შეაღწესა შუბები ერთმანერთსა, დაღწესა ლახტები და დაინოდეს ხლმები“.⁹⁸ აქ აღწერილი შეტაკებები თვალნათლივ მიუთითებს დასავლური, რაინდული ტიპის ბრძოლის სტილზე, რომელიც გაბატონებული იყო იმდროინდელ საქართველოში.

XVII საუკუნის მასალას მხარს უმაგრებს „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ილუსტრაცია. მამუკა თავაქარაშვილმა, იმერეთის მეფის მდივანმა, სამეგრელოში, ლევან II დადიანის კარზე ტყვეობაში ყოფნისას 1646 წელს გადაწერა „ვეფხისტყაოსანი“. ამ ხელნაწერის ილუსტრაციები უნიკალურია იმით, რომ ერისკაცის მიერ არის დახატული და არ არის შეზღუდული იკონოგრაფიული ჩარჩოებით, რის გამოც გარემომცველი სინამდვილე ადეკვატურადაა ასახული: 138-ე გვერდზე ვხედავთ რაინდთა ჯგუფს, რომლებიც წაგრძელებული შუბებით გადადიან იერიშზე (სურ. 4).

აქ ქართველთა აღჭურვილობაზე დეტალურად საუბრის ადგილი არ გვაქვს, მაგრამ ზოგიერთ ელემენტზე ყურადღების შეჩერება აუცილებელად ჩავთვალეთ, რადგანაც ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული *წაგრძელებული შუბის* გამოყენებასთან და ცხენოსანთა დარტყმით ტაქტიკასთან. აღჭურვილობის მიმოხილვა მრავალი ნიშნით გვარწმუნებს იმაში, რომ საქართველოში XI საუკუნეში უკვე გავრცელებულია *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის სტილი.

სულ ცოტა, XI საუკუნის პირველი ნახევრიდან საქართველოში გვხვდება ნუშისებური ფარი,⁹⁹ რომელიც, ალბათ, ბიზანტიიდან გავრცელდა. ამ ფარის მრავალრიცხოვანი გამოსახულებები მოგვეპოვება ფრესკებზე, ჭედურ ხატებსა და მინიატურებზე. ნუშისებური ფარი წარმოადგენს ბრძოლის სტილის ცხად ადაპტაციას¹⁰⁰ და მისი ფართო გავრცელება სწორედ *წაგრძელებული შუბის* დამკვიდრებაზე მიუთითებს.

წაგრძელებული შუბის გამოყენებასთან დაკავშირებულია ცხენზე ჯდომის რაინდული წესის ჩამოყალიბება, როდესაც მხედრის ფეხი გრძელ უზანგშია გაყრილი და წინაა გაშვერილი. მეთერთმეტე საუკუნიდან დაწყებული, ჩვენ გვაქვს წმინდა მხედართა არაერთი გამოსახულება, სადაც ცხენზე ჯდომის ეს „ლათინური წესია“ დადასტურებული: ასეთია ლაბეჭინის, ლაფსყალდის, მურკმერის, ლემსიას და ბეჩოს ხატები, ფარის, ლაშთხვერის, წალენჯიხის და დირბის ფრესკები, ნიკორწმინდის ტაძრის ბარელიეფები და სხვ.¹⁰¹ გაშვერილი

⁹⁶ იქვე, 291.

⁹⁷ იქვე, 378.

⁹⁸ იქვე, 379.

⁹⁹ ნინო ჩოფიკაშვილი, *ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.)* (თბილისი, 1964), 59.

¹⁰⁰ France, *Victory in the East*, 295. ლ. უაიტი ნუშისებურ ფარს ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის „საფირმო ნიშანს“ უწოდებს. White, *The Crusades and the Technological Thrust of the West*, 99.

¹⁰¹ წურნუმია, „სინას მთის წმინდა მხედრები“, 34.

ფეხის მაგალითები გვხვდება აგრეთვე, სამშენებლო კერამიკაზე,¹⁰² გულსაკიდ მედალიონზე არეშიდან წმ. გიორგის რელიეფური გამოსახულებით¹⁰³ და დავით ნარინის ვერცხლის მონეტაზე¹⁰⁴ (სურ. 5).

გვიან საუკუნეებში, ქართველთა შეიარაღების ტრანსფორმაციის შემდეგ, გაშვერილი ფეხის გვერდით ვხვდებით დამოკლებულ უზანგს და მოხრილი ფეხის გამოსახულებასაც, რაც პირველ რიგში, მოხრილი ხმლის ეფექტური გამოყენების აუცილებლობით იქნებოდა ნაკარნახები. თუმცა არც მოხრილი ფეხი და მოკლე უზანგი (*a la jineta*) წარმოადგენს დაბრკოლებას *ნაგრძელებული შუბის* გამოყენებისათვის.

ნაგრძელებული შუბისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უნაგირი მაღალი ტახტით, რათა მხედარს შუბის დარტყმისას უკან საყრდენი ჰქონდეს და ადვილად არ ჩამოვარდეს ცხენიდან. შუა საუკუნეების გამოსახულებებზე ქართველი წმინდანები და მხედრები ყოველთვის მაღალი უნაგირით არიან აღჭურვილნი, მეტიც, მრავლად გვაქვს სავარძლისებური უნაგირის გამოსახულებებიც. ასეთი უნაგირი საგანგებოდ შეიქმნა ევროპაში, რომ მორკალული უკანა ტახტა მჭიდროდ შემოტმასნოდა მხედრის ბარძაყებს. მართალია, სავარძლისებური უნაგირი მოძრაობას მეტად ზღუდავდა, სამაგიეროდ მხედარი მაქსიმალურად ჩაჭედილი იყო უნაგირში და მისი ჩამოგდება ძალიან ძნელი იყო. ალბათ, ამ ტიპის უნაგირზე მეტად არაფერი მეტყველებს *ნაგრძელებული შუბის* გამოყენების რაინდულ სტილზე.

მაღალი უნაგირის მაგალითების მოყვანით ნაშრომი რომ არ გადავტვირთოთ, ჩამოვთვლით მხოლოდ სავარძლისებური უნაგირის ზოგიერთ მაგალითს, რომელიც საქართველოში XIV საუკუნიდან გვხვდება: ასეთია წალენჯიხის ეკლესიაში წმ. გიორგის სამი სხვადასხვა გამოსახულება (XIV საუკუნე), სადგერის ჯვარზე წმ. გიორგის ორი გამოსახულება (XVI საუკუნე),¹⁰⁵ ზარათის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე წმ. გიორგის XVII საუკუნის გამოსახულება,¹⁰⁶ წმ. დემეტრე და წმ. გიორგი XVII საუკუნის ანჩისხატის გულანში, წმ. გიორგი 1688 წლის ლოცვანში.¹⁰⁷

აღჭურვილობის მიმოხილვა ერთი დეტალის აღნიშვნით დავასრულოთ:

¹⁰² ჯ. ჯღამაია, „სამშენებლო კერამიკის ეპიგრაფიკა შუასაუკუნეების საქართველოში“, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები*, II (1974), 239, ტაბ. II.

¹⁰³ ლევან ჭილაშვილი, *საქართველოს IV-XVIII სს. მატერიალური კულტურა* (თბილისი, 1990), 28, სურ. 23.

¹⁰⁴ გიორგი დუნდუა, ირინე ჯალალანია, *ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი* (თბილისი, 2009), 45.

¹⁰⁵ ამირან ჩხარტიშვილი, *მამნე ოქრომჭედელი* (თბილისი, 1978), ტაბ. 16.

¹⁰⁶ ზარათი: *წმიდათა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია*, წიგნის გამოცემაზე მუშაობდნენ ფლერ დევდარიანი, იუზა ხუსკივაძე (თბილისი, 2008), 45.

¹⁰⁷ Ф.Г. Девдариани, *Миниатюры Анчисхатского гулани (Художественные тенденции грузинской миниатюрной живописи XVII в.)* (Тбилиси, 1990), таб. VI, XXI, XLIII.

ბ. ბექრეჯი მიუთითებს *ნაგრძელებული შუბის* გამოყენების დროს უნაგირის მყარად დამაგრების მნიშვნელობაზე და მოჰყავს ილუსტრაცია, რომელზეც უნაგირი დამაგრებულია მუცლის ორმაგი ღვედით, რათა შუბის დარტყმისას ადგილიდან არ დაიძრას.¹⁰⁸ ლაშთხვერის მთავარანგელოზის ეკლესიის (ლენჯერის თემი) გარე ფასადზე მხედრის გამოსახულება გაშვერილი ფეხით და ცხენის მუცელზე უნაგირის ორმაგი სამაგრით გვარწმუნებს იმაში, რომ დამაგრების ასეთ სისტემას საქართველოშიც იცნობდნენ (სურ. 6). ორმაგი სამაგრიტაა დამაგრებული ამავე ეკლესიაში გამოსახული წმ. გიორგის, წმ. დემეტრეს და წმ. თევდორეს უნაგირები. ამის აუცილებლობა კი მხოლოდ *ნაგრძელებული შუბის* გამოყენებას უნდა გამოენვიანა.

საინტერესოა, რომ მსგავსი ტაქტიკური ხერხის და ბრძოლის სტილის გამოყენება სხვა დონეზეც იწვევს მსგავსებას. ერთნაირი წესით მეზრძოლებს ერთნაირი მორალი უყალიბდებათ, იქნება ეს ფრანკი რაინდი თუ ქართველი მოყმე: ორივე ერთნაირად აქებს ხელჩართულ ბრძოლას და აძაგებს დისტანციურს, ანუ ისრის გამოყენებას.

„ამირანდარეჯანიანში“, რომელიც იმდროინდელი სამხედრო წრეების შეხედულებებს და მისწრაფებებს გადმოგვცემს, ორჯერ თუ ვხვდებით ორთაბრძოლაში ისრის გამოყენებას, რაც ორჯერვე დაგმობილია. მშვილდით ბრძოლა ისეთ აუგად ითვლება, რომ მას თავისიანებიც კი კიცხავენ! როდესაც ხოსრო ხაზართა მეფემ ისრით მოკლა მონინაალმდეგე, მისმა ლაშქარმაც კი **„მაგრა აუგად დაუდევს მშვილდითა შებმა“**.¹⁰⁹ ნათლად ჩანს, რომ მშვილდს რაინდის შესაფერის იარაღად არ თვლიდნენ და ორთაბრძოლაში მის გამოყენებას ერიდებოდნენ: „წინასვე თქუეს **მშვილდისა არა აღება**, ყოველსავე შუბითა, ხრმლითა და ლახტითა იბრძოდეს“.¹¹⁰ როდესაც ორთაბრძოლის ერთი მონაწილე წესს არღვევს და მშვილდს მაინც იყენებს, მას ასე ამუნათებენ: „მუხთლად ლამობდი სიკუდილსა ჩემსა, ნყეულმცა ხარ! **არა არს კარგისა ჭაბუკისა ხელი ეგეთი მუხთლობა**“.¹¹¹ ცხადია, რომ რაინდულ შერკინებაში მშვილდით ბრძოლა მუხთლობად ითვლება, რომელიც არ შეეფერება კარგ ჭაბუკს (რაინდს).

ავტორი, რომელიც თითქოსდა შუა საუკუნეების ყველა ეროვნების რაინდის პირით ლაპარაკობს, მარტივად გვიხსნის, თუ რატომ არ უყვარდათ მშვილდის გამოყენება ორთაბრძოლაში: „ომში ყუელა გუმარჯუია, განა **ისარი შორს მოჰკლავს კაცსა და ჭაბუკობა არა გამოჩნდების**“.¹¹² აქ აღიარებულია ომში მშვილდ-ისრის როლი, მაგრამ ზემოქმედების დისტანციური ხასიათის

¹⁰⁸ Bachrach, “Animals and Warfare,” 748, pl. 8a.

¹⁰⁹ მოსე ხონელი, *ამირანდარეჯანიანი*, 233-4.

¹¹⁰ იქვე, 472-3.

¹¹¹ იქვე, 249-50.

¹¹² იქვე, 607.

გამო, მას არ თვლიან რაინდის შესაფერ იარაღად; „ჭაბუკობად“, ვაჟკაცობად ითვლება ხელჩართული ბრძოლა მიძიმედ შეჭურვილი მებრძოლის მონაწილეობით.¹¹³ მეტად ნიშანდობლივია ასეთი მორალის ჩამოყალიბება საქართველოში, როდესაც გარემომცველ ისლამურ სამყაროში მშვილდი ყოველთვის პრესტიჟულ იარაღად ითვლებოდა.

ქართველ და დასავლელ რაინდთა მსგავსი ბრძოლის სტილი საბრძოლო წყობის მსგავსებაშიც გამოვლინდა.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ერთიანობის ხანაში „იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოდ განყოფილი, რამეთუ წინამბრძოლნი იყვნენ თორელნი, ციხისჯუარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლნი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯუნე მიმსულელ-მცემელნი სრულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ; მემარცხენეთ მიმსულელ-მცემელნი სრულიად ჰერ-კახნი; ხოლო მეფისა აღმისა მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა“.¹¹⁴

ვახუშტის ცნობის და XII-XIII საუკუნეებში ქართველთა მიერ გადახდილი ბრძოლების მონაცემების გათვალისწინებით შეგვიძლია ქართული ლაშქრის წყობის რეკონსტრუქცია: პირველ ხაზს ქმნის წინ წაწეული წინამბრძოლი, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანი ჩანს და განაპირობებს პირველი დარტყმის სიძლიერეს; მეორე ხაზს – მარჯვენა და მარცხენა უკან დაწეული ფლანგები; კიდევ უფრო უკან, რეზერვში, მესამე ხაზში დგას მეფე (ან მთავარსარდალი)¹¹⁵ (სურ. 7). ამგვარ წყობას ბევრი უპირატესობა ჰქონდა: ღრმა, სამხაზიანი წყობის შექმნას მოლაშქრეთა შედარებით მცირე რაოდენობა სჭირდებოდა, ვიდრე ერთმანეთის უკან დგომის დროს; მარცხენა და მარჯვენა ფლანგი აგრძელებდა ფრონტის ხაზს, უტევდა მტერს ფრონტალურად ან ფლანგურად და იცავდა საკუთარ ფლანგებს; ანუ წინამბრძოლის შეტევის შემდეგ მეორე ხაზის რაზმები ან მოწინააღმდეგის მანევრს ანიეტრალეებენ და ფლანგებს იცავენ, ან თავად უტევენ მტრის ფლანგს. რეზერვი

¹¹³ შორიდან ისრით კვლას დასავლელი რაინდებიც სამარცხვინოდ თვლიდნენ. Nicholson, *Medieval Warfare*, 99. ვრცლად, მშვილდოსნობის მიმართ რაინდთა კასტის დამოკიდებულების შესახებ იხ. A. T. Hatto, “Archery and Chivalry: A Noble Prejudice,” *The Modern Language Review*, vol. 35, no. 1 (1940), 40-54.

¹¹⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, 30.

¹¹⁵ რა თქმა უნდა, ვითარებიდან გამომდინარე, სარდალს შეეძლო რომელიმე მხარე გაეძლიერებინა და ოთხის ნაცვლად სამ ნაწილად დაეღაგებინა არმია, როგორც ამას ვახუშტიც მიუთითებს: „გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხუარც მიიყვანდიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი“. ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, 30. ქართული ლაშქრის სამხაზიანი წყობა და მისი უპირატესობები კარგად აქვს გაანალიზებული გ. ანჩაბაძეს: „ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა და ბრძოლის წარმოების ხერხები“, 94-6. მაგრამ იგი ცდებდა, როდესაც თვლის, რომ ასეთი წყობა ქართველებს დასავლეთ ევროპელებზე ბევრად ადრე გვქონდა. ამკარაა, რომ ჯერ კიდევ XII საუკუნის დასაწყისში ჯვაროსნები ასეთ წყობას ინტენსიურად იყენებდნენ.

ბრძოლაში ყველაზე ბოლოს, კრიტიკულ მომენტში ერთვება ან დამარცხებული მტრის დევნას უზრუნველყოფს. საყურადღებოა, რომ ზუსტად ასეთ სამხაზიან წყობას ხშირად იყენებდნენ ჯვაროსნებიც. ამის ფაქტები მოიპოვება სარმინის (1115 წელი), ათარიზის (1119 წელი), ჰაბის (1119 წელი) და ფილიპოპოლისის (1208 წელი) ბრძოლებში.¹¹⁶

ეს სამხაზიანი, ოთხელემენტიანი წყობა ისეთი ეფექტური იყო, რომ XV საუკუნეში საქართველოს დაშლის შემდეგაც გამოიყენებოდა ქართულ სამეფოებში.¹¹⁷ ქართველები მას XVIII საუკუნეში, ცეცხლსასროლი იარაღის ეპოქაშიც კი იყენებდნენ.¹¹⁸

როგორც ვხედავთ, ქართველთა ბრძოლის წესის, ტაქტიკის, საბრძოლო წყობის, მორალის და აღჭურვილობის დეტალების ევროპულთან მსგავსება დიდია და ეჭვის საფუძველს არ უნდა ტოვებდეს.

ამავე დროს, გვსურს ყურადღება შევაჩეროთ ერთ მოსაზრებაზე, რომელიც *წაგრძელებული შუბით* ბრძოლის წესს ეხება და მის აკვარგიანობას განიხილავს აღმოსავლეთში ბრძოლებისას, მუსლიმურ არმიებთან დაპირისპირებისას. მიუხედავად ბევრი უპირატესობისა, კ. მარშალის აზრით, რაინდთა შეტევა მძლავრი, მაგრამ მოუქნელი იარაღი იყო. მისი თქმით, მუსლიმთა არმიებმა გასაღები მოუძებნეს *წაგრძელებული შუბით* შეტევაზე დაფუძნებულ რაინდთა ტაქტიკას: უფრო მსუბუქი და მობილური მუსლიმი ცხენოსანი მოისრეები იქსაქებოდნენ, ხსნიდნენ თავიანთ რიგებს, ატარებდნენ და უკნიდან ესხმოდნენ თავს შეტევაზე გადმოსულ რაინდებს, რომელთაც მიზნის დაკარგვის შემდეგ უჭირდათ გადაჯგუფება და ახალი იერიშის მიტანა.¹¹⁹ შედარებითი მოუქნელობის გამო, დ. ნიკოლი, საერთოდ, ტაქტიკურ ჩიხს უწოდებს *წაგრძელებული შუბით* ბრძოლას.¹²⁰

რა თქმა უნდა, ისეთი მობილური მტრის წინააღმდეგ, როგორც მუსლიმური არმიები იყო, დასავლელ რაინდთა თავზეხელაღებულ, მოუმზადებელ შეტევას წარმატების არავითარი შანსი არ ჰქონდა. ეს წარუმატებლობები განპირობებული იყო ევროპიდან ახლად ჩამოსული ჯვაროსნების მიერ ადგილობრივი სპეციფიკის არცოდნით, ასევე მუსლიმთა ტაქტიკით, რომელთაც

¹¹⁶ J. F. Verbruggen, *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages: From the Eighth Century to 1340*, 2nd ed. (Woodbridge, 1997), 209-10.

¹¹⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, 31; აკაკი კლიმაშვილი, „მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის“, *XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი* (თბილისი, 1964), 121-7.

¹¹⁸ თეიმურაზ II, „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“, *თხზულებათა სრული კრებული*, გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით (თბილისი, 1939), 86-7.

¹¹⁹ Marshall, *Warfare in the Latin East*, 159-61; Id., “The Use of the Charge,” 226.

¹²⁰ David Nicolle, “The Impact of the European Couched Lance on Muslim Military Tradition,” *The Journal of the Arms and Armour Society*, 10 (1980), 6.

შორიდან ისრის სროლით მოთმინებიდან გამოჰყავდათ რაინდები და მოუწესრიგებელი შეტევის პროვოცირებას იწვევდნენ.¹²¹

მიუხედავად ცხენოსან მოისართა სიძლიერისა, ფაქტია, რომ XII-XIII საუკუნეებში ყველაზე საშიშ იარაღად მუსლიმი ცხენოსნები შუბს თვლიდნენ და ხშირად, უხალისოდ ზურგს აქცევდნენ კიდეც ასე შეიარაღებულ მონინალმდეგეს.¹²² ატ-ტარსუსი, სალადინისათვის დანერგილი ცნობილი სამხედრო ტრაქტატის ავტორი, ურჩევდა ცხენოსან მოისარს, პირველ რიგში, შუბოსანი მონინალმდეგისათვის მიექცია ყურადღება და არ დაეშვა მისი მოახლოება, მაშინ როდესაც ხმლით შეიარაღებული, პირიქით, ახლოს უნდა მოეშვა და ისე ესროლა აუცდენლად ისარი.¹²³

ასევე, ვფიქრობთ, არასწორია ვისაუბროთ ჯვაროსნული ომების დროს მუსლიმური საბრძოლო სტილის ისეთ ადაპტაციაზე, რამაც ევროპელთა მთავარი იარაღი – ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკა, არაეფექტური გახადა. რა თქმა უნდა, გარკვეულ ცვლილებებს და მონინალმდეგის ბრძოლის სტილს და თავისებურებებს ორივე მხარე ითვალისწინებდა, და ამას არა მხოლოდ მუსლიმები, არამედ ჯვაროსნებიც აკეთებდნენ, რაზეც მიუთითებს ქვეითი ჯარის და მეარბალეტეების გაზრდილი როლი. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაინდული შეტევის წარმატებას არა მარტო მონინალმდეგის ქმედება განაპირობებდა, არამედ საკუთარი მეთაურების გამოზომილი და სწორი გადაწყვეტილებები, რაც შეტევის დროს და ობიექტის სწორად არჩევაში გამოიხატებოდა. არც მუსლიმთა ტაქტიკას განუცდია ისეთი ცვლილებები, რომ ჯვაროსანთა წარუმატებლობები ამას დავაბრალოთ და ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის ყავლგასულობა ვივარაუდოთ.¹²⁴ მეტიც, ჯვაროსნები საბოლოოდ სწორედ ისეთმა მონინალმდეგემ დაამარცხა, რომელიც წინამორბედ მუსლიმურ არმიებთან შედარებით ბრძოლის ველზე უფრო სოლიდურ სამიზნეს წარმოადგენდა და სულაც არ უფრთხოდა ხელჩართულ ბრძოლას. მამლუქებთან მარცხის მთავარი მიზეზი ჯვაროსანთა უფრო მცირე სამხედრო პოტენციალია¹²⁵ და არა ის, რომ თითქოს მუსლიმებმა გასაღები უპოვეს ჯვაროსანთა ტაქტიკას.

რადგან ვიცით ქართველთა და ჯვაროსანთა საბრძოლო წესისა და ტაქტიკის მსგავსება, მამლუქთა წინააღმდეგ ცხენოსანთა შოკური შეტევის ავკარგიანობის განსაზღვრა, გარკვეულწილად, ქართული არმიის საბრძოლო მოცდისებზე დაყრდნობით შეიძლება.

¹²¹ Marshall, "The Use of the Charge," 222.

¹²² David Nicolle, *Saracen Faris 1050-1250 AD* (Oxford, 1994), 28.

¹²³ David Nicolle, *Saladin and the Saracens* (Oxford, 1986), 17.

¹²⁴ ცხენოსან მოისართა ტაქტიკური სისუსტეები კარგად არის გაანალიზებული ჩ. ბოულუსის სტატიაში. Charles R. Bowlus, "Tactical and Strategic Weaknesses of Horse Archers on the Eve of the First Crusade," in *Autour de la Premiere Croisade*, ed. M. Balard (Paris, 1996), 159-66.

¹²⁵ რის გამოც ჯვაროსნები პრაქტიკულად ვერ ახერხებდნენ ბრძოლის ველზე სავლელ არმიის გამოყვანას და ინიციატივა მუდამ მონინალმდეგეს ეპყრა ხელთ.

მამლუქთა წყობის წინააღმდეგ ცხენოსანთა დარტყმითი ტაქტიკის ეფექტურობის ნიშანი შეიძლება ვიპოვოთ მონღოლ-მამლუქთა ომებში მონაწილე ქართველთა კონტინგენტის წარმატებაში. ყველგან, სადაც ბრძოლებში ქართველთა მონაწილეობა აღწერილი, ისინი ყოველთვის ახერხებენ მტრის რიგების გარღვევას და მოწინააღმდეგე ვერ აჩერებს მათ შეტევას.¹²⁶

ბარ ჰებრეუსი მოგვითხრობს, რომ 1277 წელს აბულისტანის ბრძოლაში მონღოლთა არმიაში სამი ათასი ქართველი იმყოფებოდა, რომელთაც დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ბეიბარსის ლაშქარს. ბრძოლაში გამარჯვებულმა მამლუქებმა ვერ მოახერხეს ქართველთა შეტევის შეჩერება, რომლებმაც გაარღვიეს მამლუქთა რიგები და „მრავალი ეგვიპტელი დასცეს ძირს“.¹²⁷

1281 წელს ჰომისის ბრძოლაში მონღოლთა მარჯვენა ფრთამ, სადაც დემეტრე მეფის მეთაურობით 5,000 ქართველიც იდგა, მამლუქთა საპირისპირო, მარცხენა ფრთა მოშალა და გააქცია. ა. მარტინეცის ვარაუდით, ამ წარმატებაში, მძიმე შეიარაღების გამო, ლომის წილი მონღოლთა მოკავშირეებს (ქართველები, სომხები, სელჩუკები) მიუძღვით.¹²⁸ რ. ამიტაი-პრაისი ეჭვის თვალთ უყურებს ამ მოსაზრებას. მისი აზრით, და სამართლიანადაც, სომხებს არასოდეს გამოუჩენიათ მამლუქებთან ომში თავი, და არც თურქული კონტინგენტის მძიმე შეიარაღებაა სარწმუნო.¹²⁹ მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ა. მარტინეცი მაინც უფრო ახლოსაა სიმართლესთან.¹³⁰ რ. ამიტაი თავად აღი-

¹²⁶ ასეთი ფაქტები ხდებოდა სხვა მუსლიმ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაშიც. XIII საუკუნეში ჯუვეინი პირდაპირ წერს, რომ სირიისა და რუმის ძღვევამოსილი მმართველები უფრთხოდნენ და გაურბოდნენ „ბრძოლაში ქართველთა მძვინვარებას“. *Ала-ад-Дин Ата-Мелик Джувеини, Чингисхан: История Завоевателя Мира* (Москва, 2004), 318. ეს „მძვინვარება“ მნიშვნელოვანწილად ბრძოლის სტილითაა განპირობებული და ასოცირდება შუბგამართულ მომქროლავ მხედართან, რომლის იერიში მართლაც რომ საზარელია. *წაგრძელებული შუბით* შოკური შეტევა ერთნაირ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე: ასეთივე „მძვინვარე“ და „შეუჩერებელი“ ჩანს ჯვაროსანთა შეტევაზეც. *Anna Komnene, The Alexiad*, 378.

¹²⁷ Bar Hebraeus, *The Chronography*, trans. Ernest A. Wallis Budge, vol. 1 (1932; repr., New Jersey, 2003), 457.

¹²⁸ A. P. Martinez, “Some Notes on the Il-Xanid Army,” *Archivum Eurasiae Medii Aevi*, 6 (1986), 158-65.

¹²⁹ Reuven Amitai-Preiss, *Mongols and Mamluks: The Mamluk-Ilkhanid War* (Cambridge, 1995), 195-6.

¹³⁰ საინტერესოა, რომ მარტინეცის აზრი ემთხვევა იმდროინდელ შეხედულებებსაც: ილხანთა ირანში ნამყოფი დომინიკანელი მოგზაური გიიომ ადამი ეგვიპტელ მამლუქებზე მონღოლთა გამარჯვებებს მხოლოდ მათ მხარდამხარ მეზობელ ქართველ მეომრებს მიაწერს. Peter Jackson, *The Mongols and the West, 1221-1410* (Harlow, 2005), 185. ქართველთა შესაძლებლობების ამგვარი შეფასება, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია, თუმცა ამ შეხედულებას რეალური საფუძველიც უნდა ჰქონოდა. ამის დასტურს მამლუქთა ქრონიკებშიც ვპოულობთ, სადაც ქართველები მოიხსენიებიან, როგორც „მონღოლთა ყველაზე მძლავრი მოკავშირეები და მათი ყველაზე მნიშვნელოვანი დამხმარენი, ისევე როგორც მუსლიმთა ყველაზე დაუძინებელი მტრები“. J. Pahlitzsch, “Georgians and Greeks in Jerusalem (1099-1310),” in *East and West in the Crusader States*, vol. 3 (Leuven, 2003), 41. ეგვიპტის სულთნის მდივანი

არებს, რომ არ გააჩნია მონაცემები ქართველთა არმიის შესახებ, რის გამოც მსჯელობაც უჭირს, თუმცა ვერც საპირისპირო არგუმენტს პოულობს.¹³¹ რაც შეეხება ქართველთა შეიარაღებას, ის მართლაც მონღოლურზე მძიმე და დაახლოებით ევროპელ რაინდთა შეიარაღების ტოლფასი იყო (უფრო მსუბუქი, ღია მუზარადით, მაგრამ სხეულის უკეთესი დაცვით – გრძელი ჯაჭვით და ლითონის ლამელარით);¹³² მაგრამ გადამწყვეტ როლს შეასრულებდა არა მათი შეიარაღების სიმძიმე, არამედ ბრძოლის სტილი, ცხენოსანთა შოკური შეტევა, რომელსაც ვერ გაუძლო მამლუქთა ფრთამ.

ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს საინტერესო დეტალებს ქართველთა ამ წარმატებული შეტევის შესახებ: „ეცნა სულტანსა ნასირ მელიქს მოსლვა თათართა, წარმოსრულ იყო ყოვლითა ძალითა მისითა, და მოვიდა იგიცა. და ვითარ იხილა მანგუ-დემურ სულტანი და სპა მისი, ამხედრდა და წინაგანწყო. ხოლო მეფე დიმიტრი, დაღათუ ჯერეთ არა სრულ იყო დღითა ბრძოლათათვის, ევედრა მანგუ-დემურს, რათა წინამბრძოლად განაჩინოს იგი და სპა მისი, რომლისათვისცა ისმინა. ხოლო ვინათგან **უნყოდა სულტანმან ნყობათა შინა მხნედ წინადაუდგრომლობა მეფისა და სპათა მისთა**, ამისთვის რჩეული მხედარი ათორმეტი ათასი თანაიყოლია და წინაშე დაიყენა ორთა თანა მთავართა მხნეთა, რათა განძლიერებასა და შენივეთებასა ბრძოლისასა **უკანასკნელ მიმტევებელთა** სძლონ და აოტნენ ქართველნი“.¹³³ მაშასადამე, ჟამთააღმწერელიც გვიდასტურებს, რომ მამლუქებმა იცოდნენ ქართველთა პირველი დარტყმის ძალა და რეზერვის წყალობით აპირებდნენ მათ განეიტრალებას, რაც

ალ-უმარი ასე ახასიათებს ქართველებს: „რაც შეეხება ქართველთა ლაშქარს, ისინი მტკიცენი არიან ჯვრის სარწმუნოებაში და გულადი და მამაცი ხალხია მათგან [ქრისტიანთაგან]. ამბობენ: მუსლიმებში არიან ქურთები, ხოლო ქრისტიანებში – ქართველები. ისინი ჭულაგუიანთა ლაშქრის ძალასა და სიმდიდრეს წარმოადგენენ, რომელსაც ისინი ენდობიან და ეყრდნობიან“. *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ*, არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა (თბილისი, 1988), 51; ცნობის ქართული თარგმანი, დ. აიალონის მიხედვით, დააზუსტა გოჩა ჯაფარიძემ, „შუა საუკუნეების არაბთა წარმოდგენები ქართველთა წარმომავლობის შესახებ“, *სამეცნიერო პარადიგმები* (თბილისი, 2009), 196.

¹³¹ რ. ამიტაის აზრით, მარტინეცი 1270 წელს აბაღა ყაენსა და ბარახას შორის გამართულ ჰერათის ბრძოლაშიც აჭარბებს ქართველთა მნიშვნელობას. Amitai-Preiss, *Mongols and Mamluks*, 225. მართლაც, ბრძოლის ანალიზის შედეგად, ა. მარტინეცი თვლის, რომ მთავარი როლი მძიმე კავალერიამ ითამაშა და ქართველთა მხედრობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს. Martinez, *Some Notes on the Il-Xanid Army*, 155. ამასთან ერთად, მოგვეპოვება მემბატისანის მიერ აღწერილი ქართული კავალერიის წარმატებული შეტევა: „ხოლო ქართველთა ძლიერად იწყეს ომი, რამეთუ თვით ხედვიდა ყაენი, რომელ წინამდგომთასა მეფემან და სპათა მისთა უწინ შეუტივეს და სივლტოლად მიდრიკეს“. *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატთანე*, 152.

¹³² ვერ გავიზიარებთ ა. მარტინეცის აზრს, რომ განსახილველ ეპოქაში ქართველთა აბჯარი საკმაოდ მძიმე, თუმცა კი ფრანკებისაზე უფრო მსუბუქი იყო: Martinez, *Some Notes on the Il-Xanid Army*, 150.

¹³³ *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატთანე*, 170.

უდავოდ ლოგიკურია და დამაჯერებლობას სძენს მემატინის ნაამბობს.¹³⁴

ის დიპლომატიური ძალისხმევაც, რომელსაც ეგვიპტის სულთნები მართავდნენ ქართველ მეფეებთან მოსალაპარაკებლად¹³⁵ და მათი ინტერესების პატივისცემა წმინდა მიწაზე, პირველ რიგში გამოხატავს მამლუქთა მისწრაფებას, კონსენსუსი გამოეძებნათ ქართველებთან და ჩამოეშორებინათ მონღოლთა ლაშქრისაგან მათი კონტინგენტი, რომელიც, თავისი ბრძოლის სტილით, მუდმივ პრობლემებს უქმნიდათ. ის უპირატესობები, რომლებიც ყველა სხვა ქრისტიანი ერისაგან განსხვავებით ქართველ პილიგრიმებს ჰქონდათ წმინდა მიწაზე (ცხენზე ამხედრებული, შეიარაღებული, დროშებგაშლილი სიარულის ნებართვა) და რომელსაც ერთხმად აღნიშნავდნენ უცხოელი მოგზაურები, არის ქართველთა საბრძოლო შესაძლებლობების ამკარა დასტური და მიუთითებს მამლუქ სულთანთა დიდ სურვილზე, გამოეთიშათ ქართული მხედრობა მონღოლთა რიგებიდან.¹³⁶

წმინდა მიწაზე ქართველთა დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს ევროპელ ავტორთა უამრავი ცნობაც, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმულია მათი ბრძო-

¹³⁴ რ. ბედროსიანის კვალდაკვალ, რ. ამიტაიც თვლის, რომ ქართველთა წინამბრძოლში ყოფნა იმით იყო განპირობებული, რომ მონღოლებს არად ენაღვლებოდათ მოკავშირეები. Robert Bedrosian, "The Turko-Mongol Invasions and the Lords of Armenia in the 13th-14th Centuries," (Ph.D. Dissertation, Columbia University, 1979), 195-6; Amitai-Preiss, *Mongols and Mamluks*, 225. ვფიქრობთ, არასწორია საკითხს თანამედროვე გადასახედიდან შევხედოთ და არ გავითვალისწინოთ, რომ წინამბრძოლობის პატივისათვის შუა საუკუნეებში ერთმანეთს ხშირად ეცილებოდნენ: ასეთი დავის გამო ნააგეს შოტლანდიელებმა სტანდარდის ბრძოლა 1138 წელს, ქართველებმა კი სოხოისტას ბრძოლა 1545 წელს. Matthew Strickland, *War and Chivalry: The Conduct and Perception of War in England and Normandy, 1066-1217* (Cambridge, 1996), 113-4; *ქართლის ცხოვრება*, 499. როგორც ჩანს, საქმე უფრო მარტივად იყო: ქართველთა ბრძოლის სტილი და შოკური შეტევა განაპირობებდა მათი პირველი დარტყმის სიძლიერეს და გასაკვირი არ არის, რომ ისინი წინამბრძოლში იდგნენ. ბუნებრივია, რომ მოკავშირეთა ამ უნარს მონღოლები დანიშნულებისამებრ იყენებდნენ, რაზეც 1241 წელს ქოსე დალის ბრძოლაც მიუთითებს, სადაც „ყოველი ნათესავი ქართველთა წინამბრძოლ-ყვეს“. *ჟამთააღმწერელი, ასნლოვანი მატინე*, 77.

¹³⁵ Amitai-Preiss, *Mongols and Mamluks*, 150-1; Christian Muller and Johannes Pahlitzsch, "Sultan Baybars I and the Georgians: In the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jerusalem," *Arabica*, 51 (2004), 277-81.

¹³⁶ ამის ნიშანს ჯერ კიდევ 1266 წლის სულთან ბეიბარსის საბუთში ვპოულობთ, რომელიც იერუსალიმში და მის შემოგარენში ქართული მონასტრების მფარველობას ითვალისწინებს. Muller and Pahlitzsch, "Sultan Baybars I and the Georgians," 260-1. საქმე იქამდე მივიდა, რომ სულთანმა ალ-ნასირ მუჰამედმა, მუსლიმ ღვთისმეტყველთა წინააღმდეგობის მიუხედავად, 1310 წელს ქართველებს დაუბრუნა მეჩეთად გადაკეთებული ჯვრის მონასტერი. Pahlitzsch, *Georgians and Greeks in Jerusalem*, 42; გოჩა ჯაფარიძე, „როდის დაუბრუნეს ქართველებს მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტერი?“ *შოთა მესხია* 90, საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი (თბილისი, 2006), 289-96. მუსლიმური მეჩეთის ქრისტიანებისათვის დაბრუნება სამართლიანად კვალიფიცირებულია, როგორც „უაღრესად იშვიათი შემთხვევა“. Richard B. Rose, "The Native Christians of Jerusalem, 1187-1260," in *The Horns of Hattin*, ed. B. Z. Kedar (Jerusalem, 1992), 243.

ლის უნარი.¹³⁷ ფიდენცო პადუელის, გიომ ადამის, ფილიპე VI-ის წმინდა მინის გამოსახსნელად შედგენილი ჯვაროსნული გეგმები საკმაო იმედებს ამყარებდა ქართველთა მონაწილეობაზეც.¹³⁸ ვფიქრობთ, რომ ასეთი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში ლომის ნვლილი მიუძღვის ნაგრძელებული შუბით ბრძოლის წესს და ცხენოსანთა დარტყმით ტაქტიკას, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებდნენ ქართველთა წარმატებებს მუსლიმურ არმიებთან ბრძოლაში.

ბიბლიოგრაფია

XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლიევილი. თბილისი, 1988

ანჩაბაძე გიორგი. ქართული ლაშქრის საბრძოლო წყობა და ბრძოლის წარმოების ხერხები თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა ანუ დღის და ღამის გაბაასების“ მიხედვით. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, 1984

ანჩაბაძე გიორგი. იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი“ როგორც სამხედრო-ისტორიული წყარო. ქართული წყაროთმცოდნეობა, VI, 1985

ანჩაბაძე გიორგი. სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“ როგორც სამხედრო-საისტორიო წყარო. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 4, 1988

არჩილი. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა. არჩილიანი. ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. II. თბილისი, 1937

ბასილი ეზოსმოდღუარი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955

დუნდუა გიორგი, ჯალალანია ირინე. ქართული ნუმისმატიკური ლექსიკონი. თბილისი, 2009

¹³⁷ ნურნუშია, „სინას მთის წმინდა მხედრები“, 23-6.

¹³⁸ Guillaume Adam, “De modo Sarracenos extirpandi,” in *Recueil des Historiens des Croisades, Documents Armeniens*, vol. 2 (Paris, 1906), 534; Adam Knobler, “Missions, Mythologies and the Search for non-European Allies in anti-Islamic Holy War, 1291-c. 1540,” (Ph.D. Dissertation, University of Cambridge, 1989), 55-6, 66-7, 71.

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი, 1973

ზარათი: წმიდათა კვირიკესა და ივლიტას ეკლესია. წიგნის გამოცემაზე მუშაობდნენ ფლერ დევდარიანი, იუზა ხუსკივაძე (ტექსტი). თბილისი, 2008

თეიმურაზ II. სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება. თხზულებათა სრული კრებული. გიორგი ჯაკობიას წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით. თბილისი, 1939

იოსებ ტფილელი. დიდმოურავიანი. გიორგი ლეონიძის რედაქციით. თბილისი, 1939

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

კლიმაშვილი აკაკი. მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის. XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი. თბილისი, 1964

კოპალიანი ვასილ. საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბილისი, 1969

მარგიშვილი სოსო. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ: ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ. თბილისი, 2006

მოსე ხონელი. ამირანდარეჯანიანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა. თბილისი, 1967

ჟამთააღმწერელი. ასნლოვანი მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ. თბილისი, 1987

რუსუდანიანი. ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით. თბილისი, 1957

სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1978

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ. ტ. I. თბილისი, 1991

ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია. ამონაბეჭდი „საისტორიო მოამბიდან“, ნ. II, 1925. ტფ. 1926

ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი. ომანიანი. გამოსაცემად მოამზადა ლიანა კეკელიძემ. თბილისი, 1979

შაიშმელაშვილი ივანე. შამქორი, ბასიანი. თბილისი, 1981

შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ. თბილისი, 2009

ჩოფიკაშვილი ნინო. ქართული კოსტიუმი (VI-XIV სს.). თბილისი, 1964

ჩხარტიშვილი ამირან. მამნე ოქრომჭედელი. თბილისი, 1978

- ნურნუშია მამუკა. სინას მთის წმინდა მხედრები. ქართველოლოგია, 12, 2008
ჭილაშვილი ლევან. საქართველოს IV-XVIII სს. მატერიალური კულტურა (მამოფენის გზამკვლევი). თბილისი, 1990
- ჯაფარიძე გოჩა. როდის დაუბრუნეს ქართველებს მამლუქების მიერ მიტაცებული ჯვრის მონასტერი? შოთა მესხია 90. საიუბილეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი. თბილისი, 2006
- ჯაფარიძე გოჩა. შუა საუკუნეების არაბთა წარმოდგენები ქართველთა წარმომავლობის შესახებ. სამეცნიერო პარადიგმები. თბილისი, 2009
- ჯღამაია ჯ. სამშენებლო კერამიკის ეპიგრაფიკა შუასაუკუნეების საქართველოში. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, 1974
- Ала-ад-Дин Ата-Мелик Джувейни. Чингисхан: История Завоевателя Мира. Москва, 2004
- Аладашвили Н.А. Монументальная скульптура Грузии. Москва, 1977
- Алексинский Д.П., Жуков К.А., Бутягин А.М., Коровкин Д.С. Всадники Войны: Кавалерия Европы. Москва, 2005
- Девдариани Ф.Г. Миниатюры Анчисхатского гулани (Художественные тенденции грузинской миниатюрной живописи XVII в.). Тбилиси, 1990
- Кирпичников А.Н. Древнерусское оружие. Выпуск 3. Доспех, комплекс боевых средств IX-XIII вв. Сборник: Археология СССР. Ленинград, 1971
- Никифор II Фока. Стратегика. Перевод со среднегреческого и комментарии А.К. Нефёдкина. Санкт-Петербург, 2005
- Смбат Спарапет. Летопись. Перевод с древнеармянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна. Ереван, 1974
- Чубинашвили Г.Н. Грузинское чеканное искусство. Тбилиси, 1959
- Amitai-Preiss, Reuven. Mongols and Mamluks: The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281. Cambridge, 1995
- Anna Komnene. The Alexiad. Translated by E.R.A. Sewter, Revised with Introduction and Notes by Peter Frankopan. London, 2009
- Ayton, Andrew. Arms, Armour, and Horses. In *Medieval Warfare: A History*. Ed. by Maurice Keen. New York, 1999
- Bachrach, Bernard S. Animals and Warfare in Early Medieval Europe. *Settimane di Studio del Centro Italiano di sull'alto Medioevo*, 31, 1985
- Bachrach, Bernard S. Caballus et Caballarius in Medieval Warfare. In *The Study of Chivalry: Resources and Approaches*. Eds. H. Chickering and T. H. Seiler. Kalamazoo, 1988
- Bar Hebraeus. The Chronography of Gregory Abu'l Faraj, the son of Aaron, the Hebrew Physician Commonly Known as Bar Hebraeus. Vol. I. 1932. Reprint, New Jersey, 2003
- Bedrosian, Robert. The Turco-Mongol Invasions and the Lords of Armenia in the 13th-14th Centuries. Ph.D. Dissertation, Columbia University, 1979
- Bennett, Matthew. The Medieval Warhorse Reconsidered. In *Medieval Knighthood V: Papers from the Sixth Strawberry Hill Conference 1994*. Ed. by S. Church and R. Harvey. Woodbridge, 1995
- Bennett, Matthew. Why Chivalry? Military 'Professionalism' in the Twelfth Century: The Origins and Expressions of a Socio-Military Ethos. In *The Chivalric Ethos and the Development of the Military Professionalism*. Ed. by David J. B. Trim. Leiden, 2003

- Bennett, Matthew. *La Regle du Temple* as a Military Manual or How to Deliver a Cavalry Charge. In *The Rule of the Templars: The French Text of the Rule of the Order of the Knights Templar*. Translated and Introduced by J. M. Upton-Ward. Woodbridge, 1992
- Bowlus, Charles R. Tactical and Strategic Weaknesses of Horse Archers on the Eve of the First Crusade. In *Autour de la Premiere Croisade*. Ed. by M. Balard. Paris, 1996
- Constantine Porphyrogenitus. *De Administrando Imperio*. Ed. by Gy. Moravcsik. Trans. by R. J. H. Jenkins. Revised edition. Washington, 1967
- Coulston, Jon. Arms and Armour of the Late Roman Army. In *A Companion to Medieval Arms and Armour*. Ed. by D. Nicolle. Woodbridge, 2002
- Davis, R. H. C. *The Medieval Warhorse: Origin, Development and Redevelopment*. London, 1989
- DeVries, Kelly. *Medieval Military Technology*. Peterborough, 1992
- France, John. *Victory in the East: A Military History of the First Crusade*. Cambridge, 1994
- France, John. Technology and Success of the First Crusade. In *War and Society in the Eastern Mediterranean, 7th-15th Centuries*. Ed. by Yaacov Lev. Leiden, 1997
- France, John. Crusading Warfare and its Adaptation to Eastern Conditions in the Twelfth Century. *Mediterranean Historical Review*, 15, 2000
- France, John. *Western Warfare in the Age of the Crusades, 1000-1300*. London, 2003
- Fulcher of Chartres. *A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127*. Translated by Frances Rita Ryan. Edited with an Introduction by Harold S. Fink. New York, 1973
- Gillmor, Carroll. *European Cavalry. Dictionary of the Middle Ages. Vol. 3*. New York, 1983
- Grotowski, Piotr L. *Arms and Armour of the Warrior Saints: Tradition and Innovation in Byzantine Iconography (843-1261)*. Leiden, 2010
- Guillaume Adam. *De modo Sarracenos extirpandi. Recueil des Historiens des Croisades, Documents Armeniens. Vol. II*. Paris, 1906
- Hatto, A. T. Archery and Chivalry: A Noble Prejudice. *The Modern Language Review*, vol. 35, no. 1, 1940
- Hylland, Ann. *The Medieval Warhorse: From Byzantium to the Crusades*. London, 1994
- Jackson, Peter. *The Mongols and the West, 1221-1410*. Harlow, 2005
- Knobler, Adam. *Missions, Mythologies and the Search for non-European Allies in anti-Islamic Holy War, 1291-c. 1540*. Dissertation Submitted for the degree of Doctor of Philosophy, University of Cambridge, 1989
- Marshall, Christopher. The Use of the Charge in Battles in the Latin East, 1192-1291. *Historical Research*, 65, 1992
- Marshall, Christopher. *Warfare in the Latin East, 1192-1291*. Cambridge, 1992
- Martinez A.P. Some Notes on the Il-Xanid Army. *Archivum Eurasiae Medii Aevi*, 6, 1986
- Matthew of Edessa. *Armenia and the Crusades: Tenth to Twelfth Centuries. The Chronicle of Matthew of Edessa*, trans. Ara Edmond Dostourian. New York, 1993
- Maurices's *Strategikon: Handbook of Byzantine Military Strategy*. Translated by George T. Dennis. Philadelphia, 1984
- McGeer, Eric. *Sowing the Dragon's Teeth: Byzantine Warfare in the Tenth Century*. Washington, 1995

- Muller, Christian and Johannes Pahlitzsch. Sultan Baybars I and the Georgians: In the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jerusalem. *Arabica*, 51, 2004
- Nicholson, Helen. *Medieval Warfare: Theory and Practice of War in Europe 300-1500*. New York, 2004
- Nicolle, David. The Impact of the European Couched Lance on Muslim Military Tradition. *The Journal of the Arms and Armour Society*, 10, 1980
- Nicolle, David. *Saladin and the Saracens*. Oxford, 1986
- Nicolle, David. *Saracen Faris 1050-1250 AD*. Oxford, 1994
- Nicolle, David. *Medieval Warfare Source Book: Christian Europe and Its Neighbours*. London, 1998
- Nicolle, David. *Medieval Warfare Source Book: Warfare In Western Christendom*. London, 1999
- Nicolle, David. *Crusader Warfare: Byzantium, Europe and the Struggle for the Holy Land 1050-1300 AD. Vol. I*. London, 2007
- Nicolle, David. *Crusader Warfare: Muslims, Mongols and the Struggle against the Crusades 1050-1300 AD. Vol. II*. London, 2007
- Pahlitzsch J. Georgians and Greeks in Jerusalem (1099-1310). *East and West in the Crusader States: Context – Contacts – Confrontations. Vol. 3*. Leuven, 2003
- Prestwich, Michael. *Miles in Armis Strenuus: The Knight at War*. *Transactions of the Royal Historical Society*, 6, 1995
- Richard, Jean. An Account of the Battle of Hattin Referring to the Frankish Mercenaries in Oriental Moslem States. *Speculum*, 27, 1952
- Rose, Richard B. The Native Christians of Jerusalem, 1187-1260. In *The Horns of Hattin*. Ed. By B. Z. Kedar. Jerusalem, 1992
- Shepard, Jonathan. The Uses of the Franks in Eleventh-Century Byzantium. *Anglo-Norman Studies*, 15, 1993
- Smail, R.C. *Crusading Warfare, 1097-1193*. 2nd Ed. Cambridge, 1995
- Strickland, Matthew. *Military Technology and Conquest: The Anomaly of Anglo-Saxon England*. *Anglo-Norman Studies*, XIX, 1996
- Strickland, Matthew. *War and Chivalry: The Conduct and Perception of War in England and Normandy, 1066-1217*. Cambridge, 1996
- Usamah Ibn-Munqidh. An Arab-Syrian Gentleman and Warrior in the Period of the Crusades. *Memoirs of Usamah Ibn-Munqidh (Kitab al-I'Tibar)*. Translated from the Original Manuscript by Philip K. Hitti. New York, 2000
- Verbruggen, J.F. *The Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages: From the Eighth Century to 1340*. 2nd Ed. Woodbridge, 1997
- Walter the Chancellor. *The Antiochene Wars. A Translation and Commentary* by Thomas S. Asbridge and Susan B. Edgington. Aldershot, 1999
- Whetham, David. The English Longbow: A Revolution in Technology? In *The Hundred Years War: Different Vistas*. Ed. by L. J. Andrew Villalon and Donald J. Kagay. Leiden, 2008
- White, Lynn, Jr. The Crusades and the Technological Thrust of the West. In *War, Technology and Society in the Middle East*. Ed. by V. J. Parry and M. E. Yapp. London, 1975



1



2

სურ. 1 წმინდა ევსტათე წაგრძელებული შუბით. მარტვილის ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი, ავტორის ფოტო.

სურ. 2 წინა პლანზე მხედარი წაგრძელებული შუბით გამირავს მოწინააღმდეგეს. H1665 დავითნი, გვ. 222r, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



3



4

სურ. 3 წმ. გიორგი გველეშაპს გამირავს ნაგრძელებული შუბით. XV საუკუნის ფიბიანის ხატი, ერმაკოვის ფოტო.


სურ. 4 მხედართა ჯგუფი უტევს ნაგრძელებული შუბებით. „ვეფხისტყაოსნის“ თავაქარა-შვილისეული ნუსხა, H599 ხელნაწერი, გვ. 138, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



5



6



7

სურ. 5 გვირგვინოსანი მხედარი გაშვებული ფეხით და მაღალი უნაგირით დავით ნარინის მონეტა, ავერსი, 1247 წ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

სურ. 6 უნაგირი ორმაგი სამაგრიტო, ლაშთხვერის მთავარანგელოზის ეკლესია. ს. სარჯველაძის ფოტო.

სურ. 7 ქართული ლაშქრის სამხაზიანი წყობა: 1. წინამბრძოლი, 2. მარცხენა ფრთა, 3. მარჯვენა ფრთა და 4. რეზერვი.

XIII

1352 და 1356 წლების ორი ჟინჯლოსური მინაწერი ივანე აბუსერისძის, ჰატრონი სითიხათუნისა და ამირსპასალარ ალბულას მოხსენიებით (ტექსტის დადგენა, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი)

თემო ჯოჯუა, ირმა ბერიძე

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართული ხელნაწერი წიგნების A კოლექციაში 85-ე ნომრით დაცულია საგალობლების კრებული, იგივე A-85, რომლის პირველი, ეტრატზე შესრულებული ნაწილი (1r-385v) 1233 წელს არის გადაწერილი, ხოლო მეორე, ქალაღზე შესრულებული და XVI საუკუნით დათარიღებული ნაწილი (386r-488v), ხელნაწერზე მოგვიანებით არის მიკინძული.¹

A-85-ში სხვადასხვა ხასიათის ოთხმოცდაჩვიდმეტი ტექსტია წარმოდგენილი. აქედან, სანყისი ოთხმოცდათორმეტი ტექსტი კრებულის პირველ,

¹ აბუსერისძე ტბელი, *თხზულებანი*, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ (ბათუმი, 1998), 324-326, 335. ხელნაწერის აღწერილობა გამოქვეყნებულია შვიდგზის: პირველად – 1897 წელს, თედო ჟორდანიას მიერ; მეორედ – 1903 წელს, იმავე თედო ჟორდანიას მიერ, რუსულ ენაზე; მესამედ – 1941 წელს, ლევან მუსხელიშვილის მიერ (მკვლევარს აღწერილი აქვს ხელნაწერის მხოლოდ ერთი ნაწილი); მეოთხედ – 1963 წელს, იური სიხარულიძის მიერ; მეხუთედ – 1981 წელს, იმავე იური სიხარულიძის მიერ; მეექვსედ – თამარ ბრეგაძის მიერ; მეშვიდედ – ნარგიზა გოგუაძის, მიხეილ ქავთარიასა და რაულ ჩაგუნავას მიერ; *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა*, ქრონოლოგიურად დანყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ. II (ტფილისი, 1897), 103-111; *Описание рукописей Тифлисского Церковного Музея Карталино-Кახетинского Духовенства*, Составил Федор Жордания, I (Тифлис, 1903), 81-85; აბუსერისძე ტბელი, *ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატინე*, 1233 წლის ტექსტი, გამოსცა ლევან მუსხელიშვილმა (თბილისი, 1941), 27-52; იური სიხარულიძე, *ტბელ აბუსერისძე*, XIII საუკუნის ქართველი მწერალი (თბილისი, 1963), 37-38; ტბელ აბუსერისძე, *ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო იური სიხარულიძემ (ბათუმი, 1981), 18-20; *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტომი I, შეადგინეს და დასაბუთდად მოამზადეს თამარ ბრეგაძემ, მიხეილ ქავთარიამ და ლილი ქუთათელაძემ, ელენე მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1973), 282-297; აბუსერისძე ტბელი, *თხზულებანი*, 312-333.

ეტრატზე დაწერილ ნაწილს მიეკუთვნება, ხოლო ბოლო ხუთი ტექსტი – ხელნაწერის მეორე, ქალაქდზე შესრულებულ ნაწილს.²

A-85-ში წარმოდგენილი ტექსტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XIII საუკუნის სახელოვანი ქართველი მწიგნობრისა და მეცნიერის ტბელ აბუსერისძის მიერ შედგენილი ორიგინალური ხასიათის სამი თხზულება: 1. ჰიმნოგრაფიული კანონი „გალობანი სამთა იოვანეთა“ („გალობანი წმიდისა იოვანე ნათლისმცემელისანი, წმიდისა იოვანე მახარებელისა და წმიდისა იოვანე ოქროპირისანი, ერთბამად შემოკრებილნი ერთ მოსეხნაეობისათჳს და ერთ მადლისათჳს, დაღაცათუ წინამორბედი არს უმეტესი ყოველთა ნაშობთა დედათაჲსა“) (219r-221v);³ 2. კალენდარულ-მათემატიკური გამოკვლევა „ქრონიკონი სრული მისითა საუნყებელითა განგებითა“ (308r-338r);⁴ და 3. ჰაგიოგრაფიულ-ისტორიული მოთხრობა „ახალნი სასწაულნი წმიდისა გიორგისნი“ („ჯერ-არს ჳსენებაჲ შუენიერისა და დიდისა ახოვანისაჲ, რამეთუ ესე არიან სასწაულნი წმიდისა მთავარმონამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებელად ღირსებისა-ებრ მთქუმელისაჲ“) (342r-353v).⁵

A-85-ის შემსწავლელი ინტერდისციპლინარული კვლევითი ჯგუფის წევრების ნარგიზა გოგუაძის, მიხეილ ქავთარიასა და რაულ ჩაგუნავას დაკვირვებით, ტბელ აბუსერისძის მიერ შედგენილი კალენდარულ-

² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 282-294.

³ ტექსტი გამოცემულია ორგზის: პირველად – 1992 წელს, რამაზ ხალვაშის მიერ; მეორედ – 1998 წელს, ნარგიზა გოგუაძის, მიხეილ ქავთარიასა და რაულ ჩაგუნავას მიერ. ტბელ აბუსერისძე, გალობანი წმიდათა იოვანეთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო რამაზ ხალვაშმა (ბათუმი, 1992), 20-30; აბუსერისძე, თხზულებანი, 5-11. გარდა ამისა, არსებობს მესამე გამოცემაც, თუმცა, ეს უკანასკნელი უშუალოდ ხელნაწერზე არ არის დამყარებული და რამაზ ხალვაშის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის რეპუბლიკაციას წარმოადგენს. ნესტან სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია (თბილისი, 2003), 271, 306-308.

⁴ ტექსტი, უშუალოდ დედანზე დაყრდნობით, გამოცემულია ორგზის: პირველად – 1868 წელს, მარი ბროსეს მიერ; მეორედ – 1998 წელს, ნარგიზა გოგუაძის, მიხეილ ქავთარიასა და რაულ ჩაგუნავას მიერ. Marie-Felicite Brosset, *Etudes de chronologie technique*, Premiere partie, 2, Memoires de l'Academie Imperiale des Sciences de Sankt-Petersbourg, VIIe serie, XI, №13 (Sankt-Petersbourg, 1868), 21-56; აბუსერისძე, თხზულებანი, 12-57.

⁵ ტექსტი გამოცემულია ოთხგზის: პირველად – 1897 წელს, თედო ჟორდანიას მიერ; მეორედ – 1941 წელს, ლევან მუსხელიშვილის მიერ; მესამედ – 1981 წელს, იური სიხარულიძის მიერ; მეოთხედ – 1998 წელს, ნარგიზა გოგუაძის, მიხეილ ქავთარიასა და რაულ ჩაგუნავას მიერ. ქრონიკები, II, 111-122; აბუსერისძე, ბოლოკ-პასილის მშენებლობა შუარტყალში, 55-69; აბუსერისძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, 3-14; აბუსერისძე, თხზულებანი, 58-70. გარდა ამ გამოცემებისა, არსებობს თხზულების სხვა გამოცემებიც, მაგრამ ეს პუბლიკაციები დედანზე არ არის დამყარებული და ზემოთ ჩამოთვლილი გამოცემებიდან არის გადაბეჭდილი. მაგალითად: ქართული პროზა, III (თბილისი, 1982), 5-18, 430; ქართული მწერლობა, III (თბილისი, 1988), 414-430, 456; წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში (თბილისი, 1991), 38, 255-268; და სხვ.

მათემატიკური თხზულების ტექსტი, „მინაარსის თვალსაზრისით... ამკარად ორ ნაწილად უნდა დაიყოს. პირველ და ძირითად ნაწილში მოყვანილია 532-წლიანი პასქალური ციკლის ცხრილი და მასთან დაკავშირებული პასქალურ-კალენდარული საკითხები (ფფ. 308r-336r). მეორე ნაწილი კი წარმოდგენილია აღდგომის გამოსათვლელი კომპაქტური ცხრილითა და მისი განმარტებითი ტექსტით (ფფ. 336v-338r). პირველი ცხრილი ტექსტში სისტემატურად მოიხსენება „სრული ქრონიკონის“ ან „დიდი ქრონიკონის“, ხოლო მეორე ცხრილი „ასურული კკკლოსის“ სახელწოდებით“.⁶

აქ ნახსენები პირველი პასქალური, ანუ აღდგომის დღესასწაულის გამოსაანგარიშებელი კალენდარული ცხრილის გასწვრივ, ფურცლის არშიებზე, მოგვიანო პერიოდში მოღვაწე სხვადასხვა პირების მიერ შესრულებული ისტორიული ხასიათის ათეულობით მინანერის ტექსტია დაცული. ეს მინანერები, რომლებიც, A-85-ის გარდა, სხვა ქართულ ხელნაწერებშიც გვხვდება, სამეცნიერო ლიტერატურაში კინკლოსური მინანერების სახელით არის ცნობილი.⁷

კინკლოსური მინანერების შესრულების პრინციპი საკმაოდ მარტივია: ესა თუ ის პირი იღებს ამა თუ იმ ხელნაწერში წარმოდგენილ პასქალურ ცხრილს, სადაც დანაყოფების თითოეული განივი მწკრივი ერთ კონკრეტულ კალენდარულ წელიწადს შეესაბამება. ამის შემდეგ, ირჩევს რომელიმე კონკრეტულ მწკრივს, უფრო ზუსტად კი, რომელიმე კონკრეტულ წელიწადს და ზუსტად მის გასწვრივ, ფურცლის არშიაზე ათავსებს მისთვის საინტერესო ისტორიული ხასიათის ინფორმაციის შემცველ მინანერს, რითაც მიგვითითებს, რომ აღნიშნული ისტორიული მოვლენა სწორედ შესაბამის წელს მოხდა. ასე, მაგალითად: A-85-ის პასქალური ცხრილის 1485 წლის აღმნიშვნელი მწკრივის გასწვრივ მიწერილია: „[აქ]ა ყაენი მო[ვ]იდა, სამცხე [ამო]სწყვიდეს, [ახ]ალციხე ა[ილ]ეს და აწყვე[ვ]რისა ღვთისმშობელი დაა[ტყვე]ვეს“,⁸ რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მინანერის ავტორის ცნობით, ყაენის მიერ სამცხის დალაშქვრის, ქალაქ ახალციხის აღებისა და აწყურის ღმრთისმშობლის ხატის ტყვედ წასვენების ამბები 1485 წელს მოხდა; ამავე ცხრილის 1498 წლის აღმნიშვნელი მწკრივის გასწვრივ მიწერილია: „[ა]ქა [ათაბაგი პატრონი ყვა]რყვა[რე] მიიცვალა“,⁹ რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მინანერის ავტორის მითითებით, ყვარყვარე ათაბაგი 1498 წელს გარდაიცვალა და ა. შ.

A-85-ის არშიებზე დაცული მრავალრიცხოვანი მინანერებიდან ცალკე

⁶ აბუსერიძე, *თხზულებანი*, 179-180.

⁷ *მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინანერები)*, ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა (თბილისი, 1968), 3-20.

⁸ იქვე, 27.

⁹ იქვე, 27.

ჯგუფად გამოიყოფა ორი მხედრული მინანერი, რომლებიც, შესრულების დროის თვალსაზრისით (XIV ს.), საკმაოდ წინ უსწრებს სხვა კინკლოსურ მინანერებს და თანაც, შინაარსიდან გამომდინარე, დაახლოებით, ერთსა და იმავე ისტორიულ გარემოშია (აბუსერისძეთა ფეოდალურ სახლში) შესრულებული.

ამ ორი კინკლოსური მინანერით ქართველ მკვლევართა შორის პირველად თედო ჟორდანიას დაინტერესდა. მან თავის 1897 წელს დაბეჭდილი წიგნის „ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“-ს II ტომში არამხოლოდ გამოაქვეყნა აღნიშნული მინანერების ტექსტები, არამედ მათ მცირე კომენტარებიც დაურთო:

„1352 წ. – ქკსა :მ: აქა მო/ვი/და: აბუსერიძისა: ივანეს: სახლსა: შიგა [და] ამირსპასალარისა და: პატრონი სითი/ხათუნ/ მისი/თა] - - - სლი - - -“ (მხედრული წარწერა ეკ. მუზ. 85 ცხრილზე).

აქ მოხსენებული პირნი ისტორიაში უცნობნი არიან, აბუსერიძისძენი იხ. ზემო გვ. სითიხათუნ ვახტანგ-მეფის ცოლი იხ. ქ-ცხ. გვ. 474“;

„1355 წ. – ქკს :მგ: აქა: გარ/დაიცვალა? | პატრონი ა/მირ? | სპასალარი ივანე? ა/ ბულს/ერისძე? | სი//თ- - - | ნბერს (ნოემბერს?) - - |

ეს წარწერილია მხედრულად ეკლ. მუზ. ეტრატის 85 კინკლოსის არშიაზე, რომელიც ნაჭრილია. გარდა ამისა მელანიც გადასულია და სწორედ ვერ ამოიკითხება. შეიძლება „აბუსერისძის“ მაგიერ იკითხებოდეს „აბულეთისძე“, თუმცა ეს წარწერა იმავე ხელით არის დაწერილი, როგორც ზემო ივანე ამირსპასალარ-აბუსერისძეზე და სითიხათუნზე 1351 წლის ქვეშე“. ¹⁰

თედო ჟორდანიას შემდეგ A-85-ის ჩვენთვის საინტერესო ორი კინკლოსური მინანერის ტექსტი გამოაქვეყნა ჯუმბერ ოდიშელმა თავის 1968 წელს დაბეჭდილ წიგნში „მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინანერები)“:

„1. ლთ – 1351 – [აქა] მ/ო/ვიდა აბუსერის ძისა ივანეს სახლისა შიგან ამირსპასალარის და პატრონი სითი/ხათუნ/ მის/ითა/... სლი...“ ¹¹

2. მგ – 1355 – აქ გარ/დაიცვალა? პატრონი ა/მირ/სპასალარ/რი/... ბელს... სი...“ ¹²

A-85-ის ჩვენთვის საინტერესო კინკლოსური მინანერების ტექსტები მესამედ 1973 წელს იმჟამინდელი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართული ხელნაწერი წიგნების A კოლექციის აკადემიური „აღწერილობის“ I, ტომში თამარ ბრეგაძემ გამოაქვეყნა:

¹⁰ ქრონიკები, II, 183, 185.

¹¹ ჯუმბერ ოდიშელს, მინანერთან დაკავშირებით, სქოლიოში აღნიშნული აქვს შემდეგი: „308r. XIV საუკუნის მხედრული“. მცირე ქრონიკები, 27.

¹² იქვე, 27. ჯუმბერ ოდიშელს ამ, მეორე მინანერთან დაკავშირებით, სქოლიოში მითითებული აქვს ხელნაწერის შესაბამისი გვერდი, დამწერლობის სახე და იქვე, მოგანილი აქვს მინანერის თედო ჟორდანიასეული ნაკითხვის ტექსტი: „309r. მხედრ... აქა გარდაიცვალა პატრონი ამირსპასალარი აბულსერისძე სით... ნბერს (ნოემბერს?)“. იქვე, 27.

„(მხედრულით): [1352 წ. „ქ̄ქნსა/ მ, აქა მოვიდა აბუსერის ძის ივანეს სახლისა შიგან ... ამირსპასალარის და პატრონი სი...“ (308v).

(მხედრულით): [1354 წ. „ქ̄ქნსა/ მდ, აქა გარ/დაიცვალა/ პატრონი ... სპასალარი ...ბელს...“ (309r)].¹³

ჩამოთვლილი გამოცემების გარდა, განსახილავი კინკლოსური მინანერების რამდენიმე სხვა პუბლიკაციაც არსებობს, მაგრამ ეს პუბლიკაციები უშუალოდ მინანერების დედანს არ ემყარება და ზემოთ განხილული გამოცემების რეპუბლიკაციებს წარმოადგენს.¹⁴

როგორც ვხედავთ, A-85-ის განხილული ორი კინკლოსური მინანერი, უშუალოდ დედანზე დაყრდნობით, დღეისათვის სულ სამგზის არის გამოცემული. ამ პუბლიკაციებზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მათ ავტორებს: თედო ჟორდანიას, ჯუმბერ ოდიშელსა და თამარ ბრეგაძეს მინანერების ტექსტები, ერთი მხრივ, არასრულად, ხოლო, მეორე მხრივ, ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული სახით აქვთ წაკითხული. აღნიშნული ფაქტი მნიშვნელოვნად ართულებს ამ მინანერების ტექსტებით სარგებლობას და პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდის არსებულ პუბლიკაციებზე დაყრდნობით, რაიმე სახის სამეცნიერო კვლევა-ძიების წარმოებას.

ჩვენი წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის დაძლევისაკენ გადადგმულ ერთ კონკრეტულ ნაბიჯს წარმოადგენს და მიზნად ისახავს, სამეცნიერო საზოგადოებას შესთავაზოს ამ მინანერების საბოლოოდ დადგენილი ტექსტები, ამ ტექსტებთან ერთად კი, მათი წინასწარი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზის ძირითადი შედეგები.

თავდაპირველად წარმოვადგენთ A-85-ის ჩვენთვის საინტერესო ორი კინკლოსური მინანერის ტექნიკურ აღწერილობებსა და მათი ტექსტის გადმონაწერებს დედნის შრიფტის დაცვით, აგრეთვე, ამ მინანერების პალეოგრაფიულ პირებსა და ფოტოებს.

I კინკლოსური მინანერი


შესრულებულია 308v-ს ქვედა არშიის მთელს სიგანეზე, XIV მოქცევის (1312-1844 წწ.) 532-წლიანი პასქალური ცხრილის („სრული ქრონიკონის“) რიგით მე-40, ანუ ქრისტეშობიდან 1352 (1312+40) წლის (ნაკიანი წლის) აღმნიშვნელი დანაყოფების განივი მწკრივის („წ̄კ / ა / ფზ / კ / აპ / ჰ / დღ / ჰ / აპ / ზ / ია“) ქვემოთ. სავარაუდოდ, ოთხი სტრიქონი. ტექსტის (შემორჩენილი ნაწილის) ზომა: 10,1X2,4 სმ. მხედრული. მოშავო-მოყავისფრო მელანი.

¹³ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, 296.

¹⁴ მაგ.: აბუსერისძე, *თხზულებანი*, 328-329; ირმა ბერიძე, „ივანე აბუსერისძის (XIV ს.) ამირსპასალარობისა და ჯაყელთა და აბუსერისძეთა დინასტიური ქორწინების (1352 წ.) საკითხისათვის“, *საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“, მოხსენებათა თეზისები, 5-8 ოქტომბერი* (თბილისი, 2010), 50; და სხვ.

განკვეთილობის ნიშანი: ორნერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. II სტრიქონის დასაწყისში, მელნის გადასვლის გამო, აღარ განირჩევა, დაახლოებით, 5-6 გრაფემა. III სტრიქონზე წარმოდგენილი ტექსტის მნიშვნელოვანი ნაწილი, ფურცლის ქვედა არშიიდან ეტრატის, დაახლოებით, 8-10 სმ სიმაღლის ზოლის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია. ამავე მიზეზის გამო, მთლიანად არის დაკარგული სავარაუდო IV სტრიქონიც (სურ. 1).

აქა: მოვიდა: აბუსერიისკისა: ივანეს: სახლსა: შიბა:
[- - - -]ნისა: ამირსპასარლისა: და: პატრონი: სით
[- - - - -] და: მისისა: , მ(?)[-], მ(?)ა[- - - -] ს, უ, ლ, ს, [-] ს, (?)[-], ს, (?)
[- - -]
[...]



II კინკლოსური მინანერი

შესრულებულია 309r-ს მარჯვენა არშიის ზედა ნაწილში. მინანერის I სტრიქონი იწყება XIV მოქცევის (1312-1844 წწ.) 532 წლიანი პასქალური ცხრილის („სრული ქრონიკონის“) რიგით 44-ე, ანუ ქრისტეშობიდან 1356 (1312+44) წლის (ნაკიანი წლის) აღმნიშვნელი დანაყოფების განივი მწკრივის („წკ / ვ / მტ / ზ / აპ / იწ / დღ / ზ / აპ / კდ / კე“) გასწვრივ. შვიდი სტრიქონი. ტექსტის (შემორჩენილი ნაწილის) ზომა: 2,2X5 სმ. მხედრული. მოშავო-მოყავისფრო მელანი. განკვეთილობის ნიშანი: ორნერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ქარაგმის ნიშნები არ ახლავს. I-VII სტრიქონების ბოლო ფრაგმენტები, ფურცლის მარჯვენა არშიიდან ეტრატის, დაახლოებით, 1-1,5 სმ სიგანის ზოლის ჩამოჭრის გამო, მთლიანად არის დაკარგული. IV სტრიქონის რიგით მეექვსე-მეშვიდე და VII სტრიქონის რიგით მეოთხე გრაფემები, მელნის გადასვლის გამო, აღარ განირჩევა (სურ. 2).

აქა: გარ[...]
 პატრონი: ა[...]
 სპასალარ[...]
 ბუღას: [--]: [...]
 სა: მზ: ღ[...]
 ნბერს[...]
 ცდა: [-]რ[...]

აქ: გარ
 პატრონი: ა
 სპასალარ
 ბუღას: :
 სა: მზ:
 ნბერს
 ცდა: რ

მას შემდეგ, რაც შეძლებისდაგვარად სრულად წარმოვადგინეთ A-85-ის ჩვენთვის საინტერესო ორი კინკლოსური მინაწერის ტექნიკური აღწერილობები და მათი ტექსტის გადმონაწერები დედნის შრიფტის დაცვით, აგრეთვე, ამ მინაწერების პალეოგრაფიული პირები და ფოტოები, შევეცდებით, საბოლოო სახით დავადგინოთ ეს ტექსტები.

I კინკლოსური მინაწერი

I სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „აქა: მოვიდა: აბუსერიძისა: ივანეს: სახლსა: შიგა:“.

თედო ჟორდანიას ნაკითხვა: „აქა მო[ვი]და: აბუსერიძისა: ივანეს: სახლსა: შიგა“.

ჯუმბერ ოდიშელის ნაკითხვა: „[აქა] მ[ო]ვიდა აბუსერის ძისა ივანეს სახლისა შიგან“.

თამარ ბრეგაძის ნაკითხვა: „აქა მოვიდა აბუსერის ძის ივანეს სახლისა შიგან“.

როგორც ვხედავთ, მინაწერის I სტრიქონი სრული სახით მხოლოდ თამარ ბრეგაძეს აქვს ნაკითხული. რაც შეეხებათ თედო ჟორდანიასა და ჯუმბერ ოდიშელს, მათ, როგორც ჩანს, I სტრიქონის მარცხენა ნაწილში წარმოდგენილი რამდენიმე გრაფემის ამოკითხვა ვერ მოახერხეს და ამიტომ ეს გრაფემები კონტექსტის მიხედვით აღადგინეს: თედო ჟორდანია – „მო[ვი]და“; ჯუმბერ ოდიშელი – „[აქა] მ[ო]ვიდა“. აღნიშნულ საკითხში ჩვენ სრულად ვეთანხმებით თამარ ბრეგაძეს და ჩვენი მხრივ, ვადასტურებთ, რომ მინაწერის I სტრიქონი, მისი ცალკეული გრაფემების მელნის გაფერმკრთალების მიუხედავად, დღესაც სრული სახით იკითხება.

საკმაოდ საინტერესო სურათი გვაქვს I სტრიქონში დადასტურებულ

კომპოზიტი „აბუსერიძის“-სთან დაკავშირებით. თედო ჟორდანიას ამ კომპოზიტს კითხულობს როგორც ერთ მთლიან სიტყვას: „აბუსერიძისა“, ხოლო ჯუმბერ ოდიშელი და თამარ ბრეგაძე მას ორ სხვადასხვა სიტყვად ანაწევრებენ და ტექსტს შემდეგი სახით კითხულობენ: „აბუსერის ძისა“ (ჯუმბერ ოდიშელი) და „აბუსერის ძის“ (თამარ ბრეგაძე). შესაბამისად, თედო ჟორდანიას წაკითხვიდან გამოდის, რომ ამ კომპოზიტით ტექსტში გადმოცემულია მინაწერში მოხსენიებული ივანეს გვარი: აბუსერისძე, ხოლო ჯუმბერ ოდიშელისა და თამარ ბრეგაძის წაკითხვიდან გამომდინარეობს, რომ განსახილავი კომპოზიტით აღნიშნულია ივანეს მამისშვილობის ფაქტი და ნათქვამია, რომ იგი ვინმე აბუსერის ვაჟი იყო. ჩვენ სრულად ვიზიარებთ განსახილავი კომპოზიტის თედო ჟორდანიას წაკითხვას. ამაზე, ვფიქრობთ, აშკარად მიგვითითებს ორი მნიშვნელოვანი გარემოება: 1. მინაწერის ტექსტზე დაკვირვება აჩვენებს, რომ მის ავტორს განკვეთილობის ორნერტილი დასმული აქვს ტექსტში წარმოდგენილი უკლებლივ ყოველი სიტყვის შემდეგ. იმავდროულად, ტექსტიდან ჩანს, რომ ჩვენთვის საინტერესო კომპოზიტის შემთხვევაში, განკვეთილობის ორნერტილი დასმულია ამ კომპოზიტის შემადგენელი არა ორივე წევრის („აბუსერიძის“ და „ძისა“), არამედ მხოლოდ მეორე წევრის („ძისა“) შემდეგ. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ მინაწერის ავტორი განსახილავ კომპოზიტს მოიაზრებს არა როგორც ორ სხვადასხვა, არამედ როგორც ერთ მთლიან სიტყვას და ამიტომ განკვეთილობის ნიშანს სვამს უშუალოდ ამ ორწევრა კომპოზიტის შემდეგ; 2. ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წერილობით ძეგლებში, XI საუკუნიდან მოყოლებული, დოკუმენტურად არაერთგზის არის დადასტურებული აბუსერისძეთა ფეოდალური გვარის არსებობის ფაქტი. შესაბამისად, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, უნდობლობა გამოვუცხადოთ კინკლოსური მინაწერის ავტორს და მის მიერ გვარის მნიშვნელობით ნახმარი კომპოზიტი „აბუსერიძისა“ გავიაზროთ როგორც ვინმე აბუსერის შვილობა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სავსებით ნათელია, რომ განსახილავი კომპოზიტის თედო ჟორდანიას, ჯუმბერ ოდიშელისა და თამარ ბრეგაძის წაკითხვებს შორის, მართებული სწორედ თედო ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული ვარიანტია და ამიტომ, ეს კომპოზიტი წაკითხულ უნდა იქნეს როგორც ერთი მთლიანი სიტყვა. დასასრულ, დამატებით შევნიშნავთ იმასაც, რომ თედო ჟორდანიას განსახილავი კომპოზიტის გადმოცემისას მექანიკურად აქვს გამოტოვებული რიგით მერვე გრაფემა „ს“, რის გამოც ეს სიტყვა გამოქვეყნებული აქვს ოდნავ არაზუსტი სახით: „აბუსერიძისა“.

თედო ჟორდანიას, ჯუმბერ ოდიშელისა და თამარ ბრეგაძის პუბლიკაციებში საკმაოდ განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი I სტრიქონის ბოლო ორი სიტყვა: „სახლსა შიბა“. კერძოდ, თედო ჟორდანიას განსახილავ ორ სიტყვას კითხულობს როგორც: „სახლსა შიგა“, ხოლო ჯუმბერ ოდიშელი და

თამარ ბრეგაძე – როგორც: „სახლისა შიგან“. მინანერის დედანზე დაკვირვება აჩვენებს, რომ თედო ჟორდანიას გამოცემა ამ ნაწილში ზედმინეწვით ზუსტად მისდევს ტექსტს და ამიტომ მისი ნაკითხვა უფრო მართებულია, ვიდრე ჯუმბერ ოდიშელისა და თამარ ბრეგაძის ნაკითხვები.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, I კინკლოსური მინანერის I სტრიქონის ტექსტი დადგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

„აქა მოვიდა აზუსერისძისა ივანეს სახლსა შიგა“.

II სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „[----]ნისა: ამირსპასარლისა: და: პატრონი: სით“.

თედო ჟორდანიას ნაკითხვა: „[და] ამირსპასალარისა და: პატრონი სით“.

ჯუმბერ ოდიშელის ნაკითხვა: „ამირსპასარლის და პატრონი სით“.

თამარ ბრეგაძის ნაკითხვა: „... ამირსპასალარის და პატრონი სი...“

II სტრიქონის მარცხენა კიდურა ფრაგმენტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, მელნის გადასვლის გამო, დღეისათვის აღარ განირჩევა. მიუხედავად ამისა, ამ, დაკარგული ფრაგმენტისა და I სტრიქონის მარცხენა კიდურა ფრაგმენტის ერთმანეთთან შედარება აჩვენებს, რომ II სტრიქონის დასაწყისში, დაახლოებით, ხუთი-ექვსი გრაფემა უნდა ყოფილიყო შესრულებული.

თედო ჟორდანია II სტრიქონის დაკარგული ფრაგმენტის გადმოცემისას სიტყვა „ამირსპასარლისა“-ს წინ აღადგენს ორ გრაფემა „და“-ს და ტექსტის ამ ნაწილს შემდეგი სახით კითხულობს: „[და] ამირსპასალარისა“. განსხვავებული სურათი გვაქვს ჯუმბერ ოდიშელისა და თამარ ბრეგაძის პუბლიკაციებში, სადაც სიტყვა „ამირსპასარლისა“-ს წინ საერთოდ არანაირი სიტყვა არ არის აღდგენილი: „ამირსპასარლის“ (ჯუმბერ ოდიშელი) და „... ამირსპასალარის“ (თამარ ბრეგაძე). სხვათა შორის, ჯუმბერ ოდიშელის გამოცემაში სიტყვა „ამირსპასარლისა“-ს წინ არათუ სავარაუდოდ სიტყვა არ არის აღდგენილი, არამედ დაკარგული ტექსტის აღმნიშვნელი სამწერტილიც კი არ არის დასმული, რის გამოც, იქმნება მცდარი შთაბეჭდილება, რომ მინანერში სიტყვა „ამირსპასარლისა“ უშუალოდ მისდევს I სტრიქონის ბოლო სიტყვა „შიბა“-ს: „შიგან ამირსპასარლის“. ჩვენ სიტყვა „ამირსპასარლისა“-ს წინ გარკვევით ვკითხულობთ ოთხი გრაფემისაგან შემდგარ და განკვეთილობის ორწერტილით დასრულებულ ტექსტს: „ნისა“, რომელიც, თავის მხრივ, სხვა არაფერი შეიძლება იყოს, თუ არა ბოლო ფრაგმენტი სიტყვისა: „[პატრო]ნისა“. ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ამგვარ აღდგენას მხარს უჭერს ორი ძირითადი გარემოება: 1. II სტრიქონის დასაწყისში, ჩვენ მიერ ამოკითხული ოთხგრაფემიანი ნაწყვეტი „ნისა“-ს წინ დარჩენილია, დაახლოებით, ხუთი-ექვსი გრაფემისათვის განკუთვნილი ადგილი, რაც საშუალებას გვაძლევს, აქ დაუბრკოლებლად აღვადგინოთ ნავარაუდები სიტყვა „[პატრო]ნისა“-ს პირველი ხუთი გრაფემა: „[პატრო]“; და 2. მინანერის ტექსტში, ჩვენთვის საინტერესო ამირსპასალარის შემდეგ, დასახელებულია კიდევ ერთი ისტორიული პირი, ამავე ამირსპასა-

ლარის და, რომელიც მინანერის ავტორს სწორედ „პატრონის“ წოდებით ჰყავს მოხსენიებული: „ამირსპასარლისა და პატრონი“. აღნიშნულ ფაქტზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, თამამად შეგვიძლია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ მინანერის ტექსტში „პატრონის“ წოდებით მოხსენიებული იყო არამხოლოდ ამირსპასალარის და, არამედ თავად ამირსპასალარიც. ეს ვარაუდი კი, თავის მხრივ, უფლებას გვაძლევს, II სტრიქონის დასაწყისში შესრულებული და დღე-ისათვის სანახევროდ დაკარგული სიტყვა დიდი ალბათობით აღვადგინოთ, როგორც: „[პატრო]ნისა“. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, საგანგებოდ უნდა შევხვით თედო ჟორდანიას მიერ სიტყვა „ამირსპასარლისა“-ს წინ სიტყვა „და“-ს აღდგენის მართებულობის საკითხს. ჩვენი დაკვირვებით, დაკარგული სიტყვის ამ სახით აღდგენისათვის რაიმე საფუძველი არ არსებობს. ჯერ ერთი, იქ, სადაც მკვლევარი ვარაუდობს ორგრაფემიანი სიტყვა „და“-ს არსებობას, რეალურად, აღსადგენია გაცილებით უფრო გრძელი, დაახლოებით, ცხრა-ათი გრაფემის შემცველი სიტყვა. გარდა ამისა, სიტყვა „ამირსპასარლისა“-ს წინ გარკვევით იკითხება განკვეთილობის ორწერტილით დასრულებული ოთხგრაფემიანი ნაწყვეტი „ნისა“, რაც, აპრიორი, გამორიცხავს ამ ადგილას სიტყვა „და“-ს აღდგენის შესაძლებლობას. დაბოლოს, სიტყვა „ამირსპასარლისა“-ს წინ სიტყვა „და“-ს აღდგენა სრულებით ამოვარდნილია მინანერის საერთო აზრობრივი კონტექსტიდან და ამიტომ მისი აღდგენა ამ თვალსაზრისითაც გაუმართლებელია.

ცალკე საუბრის თემაა II სტრიქონში წარმოდგენილი სიტყვა „ამირსპასარლისა“-ს წაკითხვის საკითხი. ეს სიტყვა თედო ჟორდანიასა და თამარ ბრეგაძის პუბლიკაციებში, დაახლოებით, იდენტურის სახით არის წარმოდგენილი: „ამირსპასალარისა“ (თედო ჟორდანია) და „ამირსპასალარის“ (თამარ ბრეგაძე). საკმაოდ განსხვავებული სურათი გვაქვს ჯუმბერ ოდიშელის გამოცემაში, სადაც განსახილავი სიტყვა შემდეგი სახით არის მოტანილი: „ამირსპასარლის“. აღნიშნული წაკითხვებიდან მინანერის დედანს ბოლომდე ზუსტად არც ერთი პუბლიკაცია არ მისდევს, თუმცა კი მასთან ყველაზე უფრო მეტ სიახლოვეს ჯუმბერ ოდიშელის წაკითხვა იჩენს. ჩვენ უპირატესობას, ცხადია, დედნის ჩვენებას ვანიჭებთ და აღნიშნულ სიტყვას ვკითხულობთ ზუსტად იმ სახით, რა სახითაც ის წარმოდგენილია მინანერის ტექსტში: „ამირსპასარლისა“¹⁵.

¹⁵ სხვათა შორის, სიტყვა „ამირსპასალარი“ ზუსტად იდენტური ფორმით („ამირსპასარალი“) არის გადმოცემული ზესხევის წმ. თევდორეს ეკლესიის ერთ-ერთ წარწერაში: „პ(ა)ტრონსა ამ(ირ)სპ(ა)ს(ა)რ(ა)ლს აღბ(უ)ლ(ა)ს გ[აუ]მარჯოს ნამ<ა>რ(ა)ვლ(ი) მ(ის) ი...“ (ხაზი, აქაც და შემდგომშიც, ჩვენია – ავტორები). დარეჯან კლდიაშვილი, „ხოვლეს (ზესხევის) წარწერები“, *მრავალთავი*, XIII (თბილისი, 1986), 67. გარდა ამისა, ქართულ წერილობით ძეგლებში გვხვდება ამ სიტყვის ისეთი პარალელური ფორმებიც, როგორიცაა, მაგალითად, „ამირსპასაჰლი“ (კორიდეთის ოთხთავის მინანერი საბუთი) ან „ამილსპასალარი“ („ბექა-ალბულას სამართლის წიგნი“): „...{დაგინერე} დაწერილ(ი) ეს(ე)... მე, ჟანმ(ა)ნ ჩიასდ[ემან] – ამირსპასაჰლის(ა) ამირახორმან, მ[ას] [ჟამ]სა, ოდეს პატრონისა

II სტრიქონის ბოლოს შესრულებულია მინანერში მოხსენიებული ამირსპასალარის დის სახელის პირველი სამი გრაფემა: „სიძი“. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ტექსტის ეს, საკმაოდ იოლად გასარჩევი ადგილი ზუსტი სახით გადმოცემული არ არის არც თედო ჟორდანიას, არც ჯუმბერ ოდიშელისა და არც თამარ ბრეგაძის გამოცემებში: „სითი“ (თედო ჟორდანია, ჯუმბერ ოდიშელი); „სი...“ (თამარ ბრეგაძე).

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, I კინკლოსური მინანერის II სტრიქონის ტექსტი დადგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

„[პატრო]ნისა, ამირსპასალარისა და, პატრონი სით“.

III სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „[- - - - -] ღა: მისისაჲ, მღ(?)[-,მღ(?)ა[- - - - -] სჲჟღიღსა[-] სღ(?)[-,სღ(?)[- - -]“.

თედო ჟორდანიას ნაკითხვა: „[ხათუნ] მისი[თა] - - - სლი - - -“.

ჯუმბერ ოდიშელის ნაკითხვა: „[ხათუნ] მის[ითა]... სლი...“

როგორც ვხედავთ, მინანერის III სტრიქონი თამარ ბრეგაძეს საერთოდ არ აქვს ნაკითხული. რაც შეეხებათ თედო ჟორდანიასა და ჯუმბერ ოდიშელს, ისინი სტრიქონის დასაწყისში აბსოლუტურად იდენტური სახით აღადგენენ მელნის გადასვლის გამო დაკარგულ რამდენიმე გრაფემას: „[ხათუნ]“. ჩვენ, არსებითად, ვიზიარებთ ამგვარ აღდგენას, თუმცა კი, შევნიშნავთ, რომ ამ ექვსი გრაფემის წინ აუცილებლად უნდა აღდგეს კიდევ ერთი გრაფემა „ი“, ვინაიდან II სტრიქონის ბოლოს იკითხება მინანერში დადასტურებული სავარაუდო სახელი „სითიხათუნი“-ს არა პირველი ოთხი გრაფემა – „სიძიძი“, როგორც ამას თედო ჟორდანია და ჯუმბერ ოდიშელი ფიქრობდნენ, არამედ სამი გრაფემა – „სიძი“.

განსახილავი გრაფემების აღდგენის შემდეგ თედო ჟორდანიასა და ჯუმბერ ოდიშელს თითქმის იდენტური სახით აქვთ ნაკითხულ-აღდგენილი მომდევნო სიტყვა: „მისი[თა]“ (თედო ჟორდანია), „მის[ითა]“ (ჯუმბერ ოდიშელი). ჩვენი მხრივ, აღვნიშნავთ, რომ III სტრიქონის შესაბამის ფრაგმენტზე, მკვლევართა მიერ ნაწილობრივ ნაკითხული და ნაწილობრივ აღდგენილი სიტყვის წინ, მართალია, ძნელად, მაგრამ მაინც იკითხება ორი გრაფემა: „ღა“ და ამ გრაფემების შემდეგ დასმული განკვეთილობის ორწერტილი. რაც შეეხება საკუთრივ სიტყვა: „მისი[თა]“|„მის[ითა]“-ს, ჩვენ სრულად ვიზიარებთ ამ სიტყვის პირველი ნაწილის თედო ჟორდანიას ნაკითხვას:

ჩემის(ა), ამირსპასაჲჟღისა წყალობით(ა) მქონდა {დ}ურჩსა მ[ამული] ორთავე მეფეთაგან...“ კორიდეთის საბუთები (X-XIII საუკუნეები), გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ (თბილისი, 1989), 31; „...მე, ათაბაგ-ამილსპასალარმან აღბულა, მოვაჟსენეთ პატიოსანსა... მანყუერელსა და ბიძა-ძეთა ჩემთა შაშისა და მისსა ძმასა საფარის მოძღუარსა პაფნუტის... მე, პატრონმან, ათაბაგ-ამილსპასალარმან აღბულა, მოვიკლე სრულისა სამცხისა საქმე...“ ისიდორე დოლიძე, ძველი ქართული სამართალი (თბილისი, 1953), 285, 316.

„მისი“, ოღონდ არ ვეთანხმებით ამავე სიტყვის მეორე ნაწილის აღდგენას: „[თა]“ და საპირისპიროდ ამისა, შევნიშნავთ, რომ აქ გარკვევით იკითხება ორი გრაფემა „სა“ და ამ გრაფემების ბოლოს დასმული განკვეთილობის ორწერტილის ზედა წერტილი.

განხილული სიტყვის მომდევნო სიტყვა, რომელიც, დაახლოებით, რვა-ცხრა გრაფემისაგან შედგებოდა, ფურცლის ქვედა არშიიდან ეტრატის ზოლის ჩამოჭრის გამო, თითქმის მთლიანად არის დაკარგული. შემორჩენილია მხოლოდ ამ გრაფემათა უმნიშვნელო ზედა ფრაგმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც, დაკარგული სიტყვის რაიმე დამაჯერებელი სახით აღდგენა დღეისათვის უკვე შეუძლებელია. ეს დაკარგული სიტყვა თედო ჟორდანიას პუბლიკაციაში სამი პატარა განივი ხაზით არის აღნიშნული, ხოლო ჯუმბერ ოდიშელის გამოცემაში – სამწერტილით. ჩვენ ხსენებულ მკვლევართაგან განსხვავებით, აქ სრულად ვკითხულობთ რიგით მეოთხე გრაფემა: „ა“-ს, კითხვის ნიშნით – პირველ და მესამე გრაფემებს: „მ“-სა და „მ“-ს, ხოლო დანარჩენ ხუთ, ჯერჯერობით, დაუდგენელ გრაფემას ნაკითხვისა თუ აღდგენის გარეშე ვტოვებთ.

ამ, დაკარგული სიტყვის შემდეგ თედო ჟორდანია და ჯუმბერ ოდიშელი კითხულობენ სამ გრაფემა: „სლი“-ს. ჩვენ, ძირითადად, ვიზიარებთ ამ ნაკითხვას, თუმცა კი, შევნიშნავთ, რომ მკვლევრების მიერ ნაკითხულ პირველ და მეორე გრაფემებს: „ს“-სა და „ლ“-ს შორის აშკარად განირჩევა გრაფემა: „შ“-ს ზედა ფრაგმენტი, ხოლო მესამე გრაფემა: „ი“-ს შემდეგ – გრაფემა: „ს“-ს ზედა ნაწილი. ამასთან, რიგით მეოთხე, სანახევროდ დაკარგული გრაფემა: „ს“-ს შემდეგ, როგორც ჩანს, შესრულებული იყო კიდევ ერთი გრაფემა: ა, რომელიც დღეისათვის თითქმის მთლიანად არის დაკარგული.

III სტრიქონის მარჯვენა კიდეში შესრულებული იყო, დაახლოებით, ხუთი-ექვსი გრაფემა, რომლებიც ფურცლის ქვედა არშიიდან ეტრატის ზოლის ჩამოჭრის გამო, თითქმის მთლიანად არის დაკარგული. შემორჩენილია ამ გრაფემათა მხოლოდ ზედა ფრაგმენტები, რომლებზე დაყრდნობითაც დაკარგული ტექსტის აღდგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია. III სტრიქონის ეს, დაკარგული გრაფემები თედო ჟორდანიას პუბლიკაციაში სამი პატარა განივი ხაზით არის აღნიშნული, ხოლო ჯუმბერ ოდიშელის გამოცემაში – სამწერტილით. ჩვენ არსებითად ვიზიარებთ დასახელებულ მკვლევართა ამგვარ პოზიციას, ოღონდ, მათგან განსხვავებით, კითხვის ნიშნით ვკითხულობთ განსახილავი სიტყვის პირველ და მესამე, სანახევროდ დაკარგულ გრაფემებს, სავარაუდოდ, „ს“-სა და „ხ“-ს, ხოლო დანარჩენ ოთხ, დაუდგენელ გრაფემას ნაკითხვისა თუ აღდგენის გარეშე ვტოვებთ.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, I კინკლოსური მინაწერის III სტრიქონის ტექსტი დადგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

„[იხათუნ] და მისისა მ(?)[-]მ(?)ა[- - - -] სულის[ა] ს(?)[-]ხ(?)[- - -]“.

IV სტრიქონი

მინანერის IV სტრიქონი თედო ჟორდანიას, ჯუმბერ ოდიშელისა და თამარ ბრეგაძის პუბლიკაციებში საერთოდ არ არის ნახსენები. როგორც ჩანს, მკვლევრები ფიქრობდნენ, რომ მინანერი მხოლოდ სამი სტრიქონისაგან შედგებოდა. ჩვენ განსხვავებული პოზიცია გვაქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ვფიქრობთ, რომ მინანერის ტექსტი IV სტრიქონზეც გრძელდებოდა. ამგვარი დასკვნისაკენ ავტომატურად გვიბიძგებს მინანერის III სტრიქონის ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტი, სადაც პატრონი სითიხათუნის ივანე აბუსერისძის „სახლში“ მისვლის მიზეზსა თუ მიზეზებზეა საუბარი. მართალია, ამ სტრიქონზე წარმოდგენილი ტექსტის წაკითხვა მხოლოდ ფრაგმენტული სახით მოვახერხეთ, მაგრამ თვით ამ ფრაგმენტებიდანაც კი აშკარად ჩანს, რომ პატრონი სითიხათუნის ივანე აბუსერისძის „სახლში“ მისვლის მიზეზსა თუ მიზეზებზე საუბარი III სტრიქონზე ვერანაირად ვერ დასრულდებოდა და თბრობა უეჭველად მომდევნო, IV სტრიქონზე გადავიდოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ I კინკლოსური მინანერი თავდაპირველად შედგებოდა ოთხი სტრიქონისაგან, რომელთაგან ბოლო, IV სტრიქონი, ფურცლის ქვედა არშიიდან ეტრატის ზოლის ჩამოჭრის გამო, მთლიანად არის დაკარგული. სამწუხაროდ, ამ დაკარგული ტექსტის რაიმე დამაჯერებელი სახით აღდგენა, მინანერის საერთო კონტექსტის გათვალისწინებითაც კი შეუძლებელია და ამიტომაც მას აღდგენის გარეშე ვტოვებთ.

ამით ვასრულებთ A-85-ის I კინკლოსური მინანერის ტექსტის დადგენაზე მუშაობას და სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობთ ამ ტექსტის საბოლოო წაკითხვას:

„აქა მოვიდა აბუსერისძისა ივანეს სახლსა შიგა | [პატრო]ნისა, ამირ-სპასარლისა და, პატრონი სით[იხათუნ] და მისისა მ(?)[-]მ(?)ა[- - - -] სულის[ა] ს(?)[-]ხ(?)[- - -] | [...].“

II კინკლოსური მინანერი

I სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „ბძა: ბარ[...]“.

თედო ჟორდანიას წაკითხვა: „აქა: გარ[დაიცვალა?]“.

ჯუმბერ ოდიშელის წაკითხვა: „აქ გარ[დაიცვალა?]“.

თამარ ბრეგაძის წაკითხვა: „აქა გარ[დაიცვალა]“.

როგორც ვხედავთ, მინანერის დასაწყისში, A-85-ის (და არა მხოლოდ A-85-ის) სხვა კინკლოსური მინანერების მსგავსად, წარმოდგენილია სიტყვა: „ბძა“. ეს სიტყვა ოდნავ არაზუსტი სახით არის შეტანილი ჯუმბერ ოდიშელის პუბლიკაციაში: „აქ“. განსხვავებული სურათი გვაქვს მინანერის თედო ჟორდანიასა და თამარ ბრეგაძის გამოცემებში, სადაც განსახილავი სიტყვა ზუსტად დედანთან შესაბამისობაშია წაკითხული: „აქა“.

I სტრიქონის პირველი სიტყვის შემდეგ შესრულებულია რიგით მეორე სიტყვის პირველი სამი გრაფემა „ბარ“. ამ სიტყვის მომდევნო გრაფემები დაკარგულია ფურცლის მარჯვენა არშიიდან ეტრატის ზოლის ჩამოჭრის გამო. აღნიშნული სიტყვის სრული სახით აღდგენა პირველად თედო ჟორდანიამ სცადა. მან მინანერის საერთო აზრობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, ზემოხსენებული სამი გრაფემის („ბარ“) შემდეგ რვა დაკარგული გრაფემა – „[დაიცვალა]“ აღადგინა და სიტყვა, მართალია, კითხვის ნიშნით, მაგრამ მაინც სრული სახით წაიკითხა: „გარ[დაიცვალა?]“. I სტრიქონის ბოლო ფრაგმენტის თედო ჟორდანიას წაკითხვა მოგვიანებით ჯუმბერ ოდიშელმა და თამარ ბრეგაძემ სრულად გაიზიარეს, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ჯუმბერ ოდიშელმა აღდგენილ სიტყვასთან უცვლელად დატოვა თედო ჟორდანიას მიერ დასმული კითხვის ნიშანი: „გარ[დაიცვალა?]“, ხოლო თამარ ბრეგაძემ თედო ჟორდანიას წაკითხვა სრულებით მისაღებად ჩათვალა და აღდგენილ სიტყვას საერთოდ მოუხსნა კითხვის ნიშანი: „გარ[დაიცვალა]“. ჩვენ სრულად ვიზიარებთ თედო ჟორდანიას იმ დაკვირვებას, რომ I სტრიქონის მეორე სიტყვაში უეჭველად გარდაცვალების ფაქტზე იყო საუბარი, თუმცა, იმავდროულად, ვერასგზით ვერ დავეთანხმებით მის იმ მოსაზრებას, რომ ეს, სანახევროდ დაკარგული სიტყვა იკითხებოდა, როგორც „გარ[დაიცვალა?]“. ამგვარი დასკვნისაკენ, პირველ რიგში, გვიბიძგებს ის გარემოება, რომ A-85-ის 309r-ს მარჯვენა არშიიდან ჩამოჭრილი ეტრატის, ვიწრო, დაახლოებით, 1-1,5 სმ სიგანის ზოლზე შესრულებული უნდა ყოფილიყო, მაქსიმუმ, სამი-ხუთი საშუალო ზომის გრაფემა. სხვათა შორის, ამ დაკვირვების მართებულობაში თვალნათლივ დავრწმუნდებით ქვემოთ, როცა ვნახავთ, რომ II მინანერის მომდევნო სტრიქონების თითოეულ დაკარგულ ფრაგმენტზეც სწორედ სამი-ხუთი საშუალო ზომის გრაფემა იყო შესრულებული. შესაბამისად, თუკი ჩვენ უპირობოდ გავიზიარებთ თედო ჟორდანიას მიერ შემოთავაზებულ ვარიანტს, მაშინ იძულებული გავხდებით, რომ I სტრიქონის ბოლოს, სამი-ხუთი გრაფემისათვის განკუთვნილ ადგილას აღვადგინოთ რვა გრაფემისაგან შემდგარი, ანუ, დაახლოებით, ორჯერ უფრო დიდი ზომის ფრაგმენტი, რაც, რასაკვირველია, არ არის სწორი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მართებული იქნება, რომ I სტრიქონის ბოლოს ვივარაუდოთ ხუთი დაკარგული გრაფემის „[ღახღა]“-ს არსებობა და თავად სიტყვა აღვადგინოთ შემდეგი სახით: „ბარ[ღახღა]“. ჩვენს ამგვარ მოსაზრებას მხარს უჭერს ორი ძირითადი გარემოება: 1. „ბარ[ღახღა]“ არის ერთადერთი შესაძლო სიტყვა, რომელიც აზრობრივი, ფონეტიკური და მოცულობითი თვალსაზრისით, ზედმინევენით ზუსტად პასუხობს I სტრიქონის ბოლოს აღსადგენი სიტყვისათვის წაყენებულ მოთხოვნებს: ის აღნიშნავს ვისიმე გარდაცვალების ფაქტს, იწყება გრაფემებით „ბარ“ და ზუსტად ეტევა მისთვის განკუთვნილ არეზე (პირველ სამ გრაფემას („ბარ“) ვკითხულობთ ტექსტში, მომდევნო ხუთი გრაფემის („[ღახღა]“) არსებობას კი ვვარაუდობთ დაკარგულ ფრაგმენტზე); 2. სიტყვა „გარდახდა“,

გარდაცვალების მნიშვნელობით, დადასტურებული გვაქვს სხვა ქრონიკალურ ცნობაშიც, კერძოდ კი, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ „ქრონოლოგიურ ცხრილში“, რომელიც, თავის მხრივ, დართული აქვს სწავლული ბატონიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომს „ცხოვრება სამეფოსა საქართველოსას“ (1742-1745 წწ.). ამ „ქრონოლოგიურ ცხრილში“ ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის (1360-1393 წწ.) გარდაცვალების ფაქტის აღსანიშნავად სიტყვა „მიიცვალას“ ნაცვლად, სიტყვა „გარდახდას“ იყენებს და მთლიანად ქრონიკალურ ცნობას შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: „ქ(ორონი)კ(ო)ნები ჩვენ მ(ი)ერ პოვნილნი წიგნებთა შ(ინ)ა... ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1395, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი 38 (83+1312=1395 წ.). დიდი ბაგრატ მ(ე)ფე გარდახდა... ძე მისი გიორგი გამეფდა“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები).¹⁶

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, II კინკლოსური მინაწერის I სტრიქონის ტექსტი დადგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

„აქა გარ[დახდა]“.

II სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „პატრონი: ა[...].“

თედო ჟორდანიას ნაკითხვა: „პატრონი ა[მირ?]“.

ჯუმბერ ოდიშელის ნაკითხვა: „პატრონი ა[მირ]“.

თამარ ბრეგაძის ნაკითხვა: „პატრონი ...“

II სტრიქონის პირველი სიტყვის შემდეგ შესრულებული ტექსტიდან დღეისათვის მხოლოდ პირველი გრაფემა „ა“ იკითხება, მომდევნო გრაფემები კი ფურცლის მარჯვენა არშიიდან ეტრატის ზოლთან ერთად არის ჩამოჭრილი. ამ დაკარგული გრაფემების საკითხს თავდაპირველად თედო ჟორდანია შეეხო. მკვლევარმა III სტრიქონის დასაწყისში შესრულებული გრაფემები

¹⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, IV (თბილისი, 1973), 896. შდრ. *ქრონიკები*, II, 201. სარგის კაკაბაძის დაკვირვებით, ვახუშტი ბაგრატიონს ეს ქრონიკალური ცნობა აღებული ჰქონდა დღეისათვის დაკარგული ქრონიკიდან, რომელსაც თავად სწავლული ბატონიშვილი „იმერული გარიგების წიგნს“ უწოდებდა: „ისიც უნდა ითქვას, რომ გარიგების წიგნის („იმერული გარიგების წიგნის“ – ავტორები) ქრონიკაში ყოფილა ცნობა ბაგრატ მეფის სიკვდილის შესახებ ამ რედაქციით: „მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა“ (აქ მკვლევარს მხედველობაში აქვს „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ ერთ-ერთი ნაკვეთი „უნწყებულება მკითხველთათვის“, სადაც ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს, რომ ბაგრატ V-ის გარდაცვალების თარიღი მითითებულია „ძველს გარიგების და სამართლის წიგნსა შინა იმერეთს, გელათურსა, რამეთუ ბრწყინვალის გიორგიდამ გიორგისამდე ძისა აღექსანდრესა სწერს... მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა...“ ვახუშტი ბატონიშვილი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, 302. – ავტორები)... თავის ქრონიკულ ნუსხაში („ქრონოლოგიურ ცხრილში“ – ავტორები) კი ვახუშტს ეს თარიღი მოყავს ამ გვარად: ქრონიკონს 83 (1395) დიდი ბაგრატ მეფე გარდახდა“. სარგის კაკაბაძე, „იმერული ძველი გარიგების წიგნის ქრონიკის შესახებ“, *კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ* (თფილისი, 1920), 15.

„სპასალარ[...]“ II სტრიქონის ბოლოს დაკარგული გრაფემების უშუალო გაგრძელებად ჩათვალა და ტექსტის ამ ადგილას ერთი მთლიანი სიტყვა აღადგინა: „ა[მირ?]/სპასალარი“. მიუხედავად იმისა, რომ თავად თედო ჟორდანიას II სტრიქონის ბოლოს აღდგენილი სამი გრაფემა კითხვის ნიშნით ჰქონდა გადმოცემული: „ა[მირ?]“, ჯუმბერ ოდიშელმა სავსებით სარწმუნოდ ჩათვალა ტექსტის ამგვარი აღდგენა და განსახილავი სამი გრაფემა ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე შეიტანა საკუთარ გამოცემაში: „ა[მირ]“. აღნიშნულ საკითხს გაცილებით უფრო კრიტიკულად მიუდგა თამარ ბრეგაძე. მან, წინამორბედი მკვლევრებისაგან განსხვავებით, I სტრიქონის პირველი სიტყვის შემდეგ ვერც გრაფემა „ა“ ამოიკითხა, ვერც თედო ჟორდანიას აღდგენას ენდო და ამიტომ განსახილავი ფრაგმენტი საკუთარ გამოცემაში მხოლოდ სამწერტილით აღნიშნა: „პატრონი ...“ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ II სტრიქონის ბოლოს დაკარგული გრაფემების თედო ჟორდანიას აღდგენას და ჯუმბერ ოდიშელის მსგავსად, მივიჩნევთ, რომ ამ აღდგენის მართებულობაში ეჭვის შეტანისათვის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, II კინკლოსური მინაწერის II სტრიქონის ტექსტი დადგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

„პატრონი, ა[მირ]“.

III სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „სპასალარ[...]“.

თედო ჟორდანიას წაკითხვა: „სპასალარი ივანე? ა!“.

ჯუმბერ ოდიშელის წაკითხვა: „სპასალარ[რი]...“

თამარ ბრეგაძის წაკითხვა: „სპასალარი ...“

დღეისათვის III სტრიქონზე გარკვევით იკითხება მხოლოდ პირველი რვა გრაფემა: „სპასალარ[...]“, მომდევნო გრაფემები კი ფურცლის მარჯვენა არშიიდან ეტრატის ზოლთან ერთად არის ჩამოჭრილი. ამ, დაკარგული გრაფემების აღდგენის პირველი ცდა თედო ჟორდანიას ეკუთვნის. სამწუხაროდ, მკვლევრის მიერ წაკითხულ III სტრიქონში, როგორც ჩანს, მექანიკურად არის გამოტოვებული აღდგენილი ტექსტის დასაწყისის აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშანი: მარჯვნივ გახსნილი კავი (დაკუთხული ფრჩხილი). ამ მიზეზის გამო, მისი პუბლიკაციიდან საერთოდ არ ჩანს, III სტრიქონზე წარმოდგენილი გრაფემებიდან, რომელი გრაფემაა ავტორის მიერ უშუალოდ წაკითხული და რომელი – კონტექსტის მიხედვით აღდგენილი: „სპასალარი ივანე? ა!“ ამგვარი ბუნდოვანი სურათის მიუხედავად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ თედო ჟორდანიას წაკითხული ჰქონდა III სტრიქონის მხოლოდ ის პირველი რვა გრაფემა, რომლებიც დღესაც გარკვევით განირჩევა ტექსტში: „სპასალარ“. რაც შეეხება დანარჩენ შვიდ გრაფემას: „ი ივანე? ა!“, ეს გრაფემები, უფრო ზუსტად კი, მათი სავარაუდო განთავსების ადგილი, თედო ჟორდანიას დროს უკვე ჩამოჭრილი იყო ფურცლის მარჯვენა არშიიდან და ამიტომ III სტრიქონის

ეს ნაწილი უეჭველად თედო ჟორდანიას აღდგენად უნდა ჩაითვალოს (ამ აღდგენის შესახებ ვრცლად ქვემოთ, IV სტრიქონის ტექსტის დადგენისას გვექნება საუბარი). III სტრიქონის ნაკითხვის სისრულის თვალსაზრისით, დაახლოებით, ანალოგიური სურათი გვაქვს ჯუმბერ ოდიშელის გამოცემაშიც. აქ III სტრიქონიდან მხოლოდ პირველი შვიდი გრაფემაა ამოკითხული, მომდევნო ორი გრაფემა კონტექსტის მიხედვით არის აღდგენილი, სტრიქონის ბოლო ფრაგმენტი კი, როგორც დაუდგენელი ტექსტი, სამწერტილითაა აღნიშნული: „სპასალა[რი]...“ III სტრიქონის დასაწყისში წარმოდგენილ ტექსტს, ჯუმბერ ოდიშელთან შედარებით, ოდნავ უფრო სრული სახით კითხულობს თამარ ბრეგაძე: „სპასალარი...“, თუმცა კი, გაუგებარია, როგორ მოახერხა მკვლევარმა მეცხრე გრაფემა „ი“-ს ამოკითხვა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, თედო ჟორდანიას დროს უკვე ჩამოჭრილი იყო ფურცლის მარჯვენა არშიიდან. როგორც ჩანს, ეს მეცხრე გრაფემა თამარ ბრეგაძეს კონტექსტის მიხედვით აქვს აღდგენილი, ოღონდ ის საკუთარ პუბლიკაციაში სპეციალური ტექნიკური ნიშნების გარეშე აქვს შეტანილი. ჩვენ, თედო ჟორდანიასაგან სრულებით განსხვავებული სახით აღვადგენთ III სტრიქონის დაკარგულ ფრაგმენტს. ოღონდ, ვინაიდან ეს აღდგენა მთლიანად მომდევნო, IV სტრიქონის ჩვენეულ ნაკითხვაზეა დამყარებული, ამიტომ ორივე სტრიქონის ტექსტი ქვემოთ, IV სტრიქონის დადგენის შემდეგ გვექნება წარმოდგენილი.

IV სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „ბჰლას: [--]: [...]“.

თედო ჟორდანიას ნაკითხვა: „ბჰლს[ერისძე?]“.

ჯუმბერ ოდიშელის ნაკითხვა: „ბელს...“

თამარ ბრეგაძის ნაკითხვა: „ბელს...“

II მინანერის ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხებიდან, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს IV სტრიქონის დასაწყისში წარმოდგენილი და დღემდე, პრაქტიკულად, დაუზიანებლად მოღწეული ხუთი გრაფემის „ბჰლას“ ნაკითხვის საკითხი. აღნიშნული გრაფემები თედო ჟორდანიას პუბლიკაციაში შემდეგი სახით არის მოტანილი: „ბჰლს“. როგორც ვხედავთ, მკვლევარმა სავსებით სწორად წაიკითხა IV სტრიქონის პირველი ორი გრაფემა „ბჰ“, თუმცა მომდევნო ორი გრაფემა: ორკბილა „ლ“ და მასზე გადაბმული „ა“, შეცდომით, გაიაზრა როგორც ერთი გრაფემა – სამკბილა „ლ“ და ამიტომ IV სტრიქონის დასაწყისი შეცდომით წაიკითხა, როგორც: „ბჰლს“. აღნიშნულ შეცდომას თედო ჟორდანიასეულ პუბლიკაციაში ჯაჭვური რეაქცია მოჰყვა. მკვლევარმა მის მიერ შეცდომით წაკითხული გრაფემები I კინკლოსურ მინანერში დადასტურებული ფეოდალური გვარის „აბუსერისძის“ ერთ-ერთი ფონეტიკური ვარიანტის „აბჰლსერისძის“ (?) შემადგენელ ფრაგმენტად ჩათვალა და ამიტომ, შესაბამისი სიტყვის აღდგენა II მინანერის ტექსტშიც

სცადა. ამ მიზნით, მკვლევარმა III სტრიქონის ბოლოს აღადგინა ერთი დაკარგული გრაფემა „ა“, IV სტრიქონის ბოლოს – კიდევ ექვსი დაკარგული გრაფემა „[ერისძე]“ და მინანერის ეს ფრაგმენტი, მართალია, კითხვის ნიშნით, მაგრამ მაინც დასრულებული სიტყვის სახით შეიტანა თავის გამოცემაში: „[ა]/ბუღს[ერისძე]“. გარდა ამისა, თედო ჟორდანიამ, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ I მინანერში მოხსენიებული ივანე აბუსერისძე და II მინანერში მის მიერ აღდგენილი „[ა]ბუღს[ერისძე]“ ერთი და იგივე პირი იყო და ამიტომ III სტრიქონის დაკარგული ფრაგმენტის დასაწყისში კითხვის ნიშნით აღადგინა საკუთარი სახელი „ივანე?“. საბოლოოდ, თედო ჟორდანიამ A-85-ის II მინანერის III-IV სტრიქონები შემდეგი სახით შეიტანა თავის პუბლიკაციაში: „სპასალარი ივანე? ა]/ბუღს[ერისძე]“. IV სტრიქონის პირველი გრაფემები კიდევ უფრო არაზუსტი სახით ამოიკითხეს ჯუმბერ ოდიშელმა და თამარ ბრეგაძემ. მათ არამხოლოდ III-IV გრაფემები „ლა“ გაიაზრეს როგორც „ლ“, არამედ თედო ჟორდანიასაგან განსხვავებით, II გრაფემა „შ“-ც შეცდომით წაიკითხეს, როგორც „ე“ და IV სტრიქონის დასაწყისი საბოლოოდ შემდეგი სახით დაადგინეს: „ბელს“. რაც შეეხება III-IV სტრიქონების დაკარგულ ფრაგმენტებზე სახელი „ივანე“-სა და გვარი „აბუღსერისძე“-ს შემადგენელი რამდენიმე გრაფემის აღდგენას, ჯუმბერ ოდიშელმა და თამარ ბრეგაძემ, როგორც ჩანს, არ გაიზიარეს თედო ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული ეს ვარიანტი და III-IV სტრიქონების შესაბამისი ფრაგმენტები სამწერტილებით აღნიშნეს საკუთარ პუბლიკაციებში: „სპასალა/რი/... ბელს...“ (ჯუმბერ ოდიშელი); „სპასალარი ...ბელს...“ (თამარ ბრეგაძე).

ჩვენ, ცხადია, ვერ გავიზიარებთ III სტრიქონის პირველი გრაფემების ვერც თედო ჟორდანიას, ვერც ჯუმბერ ოდიშელისა და ვერც თამარ ბრეგაძის წაკითხვებს, ვინაიდან ამ ადგილას, სინამდვილეში, იკითხება არა ოთხი გრაფემა „ბუღს“ ან „ბელს“, არამედ ხუთი გრაფემა „ბუღს“.

III სტრიქონის დასაწყისში წარმოდგენილი ამ გრაფემების სწორი წაკითხვა საშუალებას გვაძლევს, არგუმენტირებულად აღვადგინოთ III-IV სტრიქონების დაკარგული ფრაგმენტები. დავიწყოთ III სტრიქონის ბოლო ფრაგმენტი. სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ XIV საუკუნეში ამირსპასალარის სახელოს ფლობდა მხოლოდ ერთი ისეთი პირი, ვისი სახელიც მთავრდებოდა გრაფემებით „უღა“. ეს არის ათაბაგ-ამირსპასალარი ალბულა I ჯაყელი, რომელიც არაერთგზის არის მოხსენიებული XIV-XVI საუკუნეების ქართულ და უცხოურ წერილობით ძეგლებში (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ). შესაბამისად, A-85-ის II კინკლოსური მინანერის ტექსტში მოხსენიებული ამირსპასალარი, რომლის სახელიც სრულდება გრაფემები „უღა“-თი, სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა ალბულა I ჯაყელი. აღნიშნულიდან გამომდინარე, III სტრიქონის დაკარგული ფრაგმენტის ბოლო ნაწილში აღვადგენთ ორ გრაფემა „[აღ]“-ს და მთლიანად სიტყვას ვკითხულობთ შემდეგი სახით: „[აღ]ბუღს“. პარალელურად ამისა,

ჩვენ ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სიტყვა „[აღ]ბუღას“ ნათესაობით ბრუნვაშიადასმული, ამავე ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებს „ის“-ას აღვადგენთ მისი მსაზღვრელი სიტყვის „[ამირ]||სპასალარ[...]"-ს ბოლო, დაკარგულ ფრაგმენტზე და საბოლოოდ, მინანერის ამ ნაწილს ვკითხულობთ შემდეგი სახით: „[ამირ]||სპასალარ[ის აღ]ბუღას“.

მინანერის IV სტრიქონზე დაკვირვება აჩვენებს, რომ აქ პირველი ხუთი გრაფემის „ბუღას“-ა და შესაბამისი განკვეთილობის ორწერტილის შემდეგ შესრულებული იყო ორი გრაფემის შემცველი სიტყვა და შესაბამისი განკვეთილობის ნიშანი. დღეისათვის ხსენებული ორი გრაფემა, მეღნის გადასვლის გამო, აღარ იკითხება. სამაგიეროდ, გარკვევით განირჩევა მათ შემდეგ დასმული განკვეთილობის ორწერტილი. დაკარგული ორი გრაფემის აღდგენაზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება, პირველ რიგში, I კინკლოსური მინანერის იმ ფრაგმენტმა მიიპყრო, რომელიც, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ძალზედ ახლოს დგას II მინანერის ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტთან: I მინანერი – „ამირსპასარლისა და, პატრონი სით/[იხათუნ]“; II მინანერი – „პატრონი: [ამირ]||სპასალარ[ის: აღ]||ბუღას: [--]“.

ფიქრობთ, აქ მოტანილი ფრაგმენტების ურთიერთშეპირისპირებიდან ნათლად ჩანს, რომ ორივე მინანერის ტექსტში საუბარი ეხება ერთსა და იმავე პირს, ამირსპასალარ აღბუღას დას, პატრონი სითიხათუნს. შესაბამისად, II მინანერის IV სტრიქონზე, პირველი ხუთი გრაფემა „ბუღას“ შემდეგ, დაკარგული ორგრაფემიანი სიტყვა უნდა აღდგეს შემდეგი სახით: „[ღა]“.

მინანერის IV სტრიქონზე, ჩვენ მიერ აღდგენილი სიტყვა „[ღა]“-ს შემდეგ შესრულებული უნდა ყოფილიყო, დაახლოებით, სამი-ხუთი გრაფემის შემცველი ტექსტი, რომელიც დღეისათვის, ფურცლის მარჯვენა არშიიდან ეტრატის ზოლის ჩამოჭრის გამო, მთლიანადაა დაკარგული. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევძელით, სრულად აღგვედგინა ეს დაკარგული ფრაგმენტი, თუმცა ამის თაობაზე ქვემოთ, მინანერის V სტრიქონის ტექსტის დადგენის დროს გვექნება საუბარი.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, II კინკლოსური მინანერის III-IV სტრიქონების ტექსტი დადგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახით: „სპასალარ[ის აღ]/ბუღას[და][...]“.

V სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „სა: მზ: ღ[...]".

თედო ჟორდანიას ნაკითხვა: „სი]]თ- - -“.

ჯუმბერ ოდიშელის ნაკითხვა: „სი...“

ვიდრე ტექსტის დადგენასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე გადავიდოდეთ, გვსურს, აღვნიშნოთ, რომ მინანერის V სტრიქონის თედო ჟორდანიას გამოცემაში მცირე ტექნიკურ უზუსტობას აქვს ადგილი. კერძოდ, აქ მეორე გრაფემა „ი“-ს შემდეგ ერთმანეთის მიჯრით არის დასმული

აღდგენილი ტექსტის დასაწყისისა და დასასრულის აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშნები: შესაბამისად, მარჯვნივ და მარცხნივ გახსნილი კავები, რომელთაგან პირველი კავი, შეცდომით, მარცხნივ არის შებრუნებული. ეს ტექნიკური ნიშნები, როგორც ჩანს, მესამე გრაფემა „თ“-ს მარცხნივ და მარჯვნივ უნდა ყოფილიყო შესრულებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოდის, რომ V სტრიქონიდან თედო ჟორდანიამ მხოლოდ პირველი ორი გრაფემა ამოიკითხა: „სი“, მომდევნო, მესამე გრაფემა კი, სავარაუდოდ, I მინანერში მოხსენიებული ამირსპასალარის დის, სითიხათუნის სახელის გავლენით აღადგინა: „[თ]“. V სტრიქონის პირველი ორი გრაფემა ზუსტად თედო ჟორდანიას პუბლიკაციის მსგავსად არის წარმოდგენილი ჯუმბერ ოდიშელის გამოცემაშიც: „სი...“ რაც შეეხება თამარ ბრეგაძეს, მის პუბლიკაციაში V სტრიქონის ტექსტი საერთოდ არ არის შეტანილი. ჩვენ ვადასტურებთ, რომ მინანერის დედანში V სტრიქონის დასაწყისში ნამდვილად წარმოდგენილია გრაფემა „ს“, თუმცა კი, აქვე შევნიშნავთ იმ ფაქტსაც, რომ მას მოსდევს არა გრაფემა „ი“, როგორც ამას ვხედავთ თედო ჟორდანიასა და ჯუმბერ ოდიშელის გამოცემებში, არამედ გრაფემა „ა“, რომლის შემდეგაც დასმულია განკვეთილობის ორწერტილი.

მინანერის დედანში V სტრიქონის პირველი ორი გრაფემისა და შესაბამისი განკვეთილობის ნიშნის შემდეგ შესრულებულია, აგრეთვე, განკვეთილობის ორწერტილით დასრულებული ორი გრაფემა „მზ“, რომლებიც ტექსტში უეჭველად რიცხვითი მნიშვნელობის (47) გადმოსაცემად არის გამოყენებული. თუ ჩვენი ეს დაკვირვება სწორია, მაშინ გამოდის, რომ „მზ“-ს წინ, ანუ IV სტრიქონის ბოლოსა და V სტრიქონის დასაწყისში, წარმოდგენილი იყო, დაახლოებით, ხუთი-შვიდი გრაფემისაგან შემდგარი სიტყვა, რომელიც, ერთი მხრივ, აზრობრივად უკავშირდებოდა ამ ორი გრაფემის დახმარებით გადმოცემულ რიცხვით მნიშვნელობას (47), ხოლო, მეორე მხრივ, სრულდებოდა გრაფემებით: „სა“. აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, „მზ“-ს წინ, შეიძლება, შესრულებული ყოფილიყო მხოლოდ სამი სიტყვა: 1. „[ქ³ჰნ]|სა“; 2. „[წა¹ლ]|სა“; და 3. „[წ¹ლი]|სა“. დაშვებული ჰიპოთეტური ვარიანტებიდან, ამთავითვე უნდა გამოირიცხოს პირველი ორი ვარიანტი: „[ქ³ჰნ]|სა“ და „[წა¹ლ]|სა“. მართლაც, ამგვარი დაშვების შემთხვევაში გამოვა, რომ ტექსტის ამ ფრაგმენტით II კინკლოსურ მინანერში გადმოცემული ამბავი თარიღდება XIV მოქცევის მზ (47) ქრონიკონით ან ამავე მოქცევის დასაწყისიდან ათვლილი მზ (47) წლით, რაც, ორივე შემთხვევაში, ქრისტეშობიდან 1359 (1312+47) წელს გვაძლევს. არადა, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ განსახილავი მინანერი, უფრო ზუსტად კი, მისი I სტრიქონი, შესრულებულია პასქალური ცხრილის დანაყოფების 1356 წლის აღმნიშვნელი განივი მწკრივის გასწვრივ, რაც, თავის მხრივ, ცალსახად მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ მინანერის ავტორს ტექსტში გადმოცემული ამბავი განსაზღვრული აქვს არა 1359, არამედ, 1356 წლით. შესაბამისად, გვრჩება სანახევროდ დაკარგული სიტყვის აღდგენის მესამე ჰიპოთეტური ვარიანტი: „[წ¹ლი]|სა“, რომელიც ზედმინევენით ზუსტად

შესაბამება II მინანერის საერთო აზრობრივ კონტექსტს და გვაუწყებს, რომ ალბულა ამირსპასალარის და გარდაცვალების ჟამს მზ, ანუ 47 წლის იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მინანერის IV სტრიქონის ბოლოს აღვადგენთ სამ დაკარგულ გრაფემა „წლი“-ს და შესაბამის სიტყვას ვკითხულობთ შემდეგი სახით: „[წლი]|სა“.

V სტრიქონზე, სიტყვა „მზ“-სა და შესაბამისი განკვეთილობის ორწერტილის შემდეგ იკითხება ერთადერთი გრაფემა „ღ“. მისი მომდევნო, სამი-ხუთი გრაფემისაგან შემდგარი ტექსტი ფურცლის მარჯვენა არშიიდან ეტრატის ზოლის ჩამოჭრის გამო, მთლიანად დაკარგულია. ამ, დაკარგული ფრაგმენტის აღდგენის შესახებ ქვემოთ, VI სტრიქონის დადგენისას გვექნება საუბარი.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, II კინკლოსური მინანერის IV სტრიქონის ბოლო ფრაგმენტისა და V სტრიქონის ტექსტი დადგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

„[წლი]|სა მზ (47), დ[...]".

VI სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „ნბჲრს[...]“.

თედო ჟორდანიას წაკითხვა: „ნბერს (ნოემბერს?) - -“.

მინანერის VI სტრიქონის ტექსტი მხოლოდ თედო ჟორდანიას პუბლიკაციაშია წარმოდგენილი. მკვლევარი აქ მარტოოდენ პირველ ხუთ გრაფემას „ნბერს“ განარჩევს და კითხვის ნიშნით გვთავაზობს ამ, ფრაგმენტულად შემორჩენილი სიტყვის მისეულ აღდგენას: „(ნოემბერს?)“. VI სტრიქონის ტექსტს, თედო ჟორდანიასაგან განსხვავებით, როგორც ჩანს, ფრაგმენტულადაც ვერ კითხულობენ ჯუმბერ ოდიშელი და თამარ ბრეგაძე, რის გამოც ეს სტრიქონი მათ გამოცემებში საერთოდ არ არის შეტანილი. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ VI სტრიქონის პირველი ხუთი გრაფემის თედო ჟორდანიას წაკითხვას და ჩვენი მხრივ, ვადასტურებთ, რომ აქ დღესაც განირჩევა გრაფემები: „ნბჲრს“. გარდა ამისა, ჩვენ ვიზიარებთ თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრებასაც, რომ ეს ხუთი გრაფემა წელიწადის ერთ-ერთი თვის აღმნიშვნელი სიტყვის შემადგენელი ფრაგმენტი უნდა იყოს, ოღონდ მისგან განსხვავებით, ვფიქრობთ, რომ ტექსტში იკითხებოდა არა: „(ნოემბერს?)“, არამედ – „ღ[მპმ]|ნბჲრს[ა]“. განსახილავი ფრაგმენტის მაინცადამაინც ასეთი სახით აღდგენისაკენ, პირველ რიგში, გვბიძგებს ის გარემოება, რომ V სტრიქონზე, სიტყვა „მზ“-ს შემდეგ, ანუ აღსადგენი სიტყვის პირველი გრაფემის სავარაუდო მდებარეობის ადგილას იკითხება არა გრაფემა „ნ“, არამედ – გრაფემა „ღ“, რაც, ცხადია, ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ განსახილავი სიტყვა იწყებოდა გრაფემა „ღ“-თი და ამიტომ ის შეიძლება აღდგეს მხოლოდ ერთადერთი შესაძლო სახით: „ღ[მპმ]|ნბჲრს[ა]“. კიდევ უფრო მარტივად არის საქმე ამავე სიტყვის ბოლოს გრაფემა „ა“-ს აღდგენასთან დაკავშირებით. ეს გრაფემა ფურცლის მარჯვენა არშიიდან

ეტრატის ზოლის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია და ამიტომ ის, ერთი მხრივ, კონტექსტის მიხედვით, ხოლო, მეორე მხრივ, ძველი ქართული ენის ნორმების გათვალისწინებით გვაქვს აღდგენილი.

დღეისათვის ფურცლის მარჯვენა არშიიდან ჩამოჭრილი ეტრატის ზოლთან ერთად VI სტრიქონის კიდურა მარჯვენა ფრაგმენტიც არის დაკარგული. ამ ფრაგმენტზე წარმოდგენილი ტექსტი ქვემოთ, VII სტრიქონის ტექსტის დადგენისას გვექნება აღდგენილი.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, II კინკლოსური მინაწერის V სტრიქონის ბოლო ფრაგმენტისა და VI სტრიქონის ტექსტი დადგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

„დ[ეკე]/ნბერს[ა] [...]“.

VII სტრიქონი

ტექსტის გადმონაწერი: „ცღა: [-]რ[...]“.

მინაწერის VII სტრიქონის ტექსტი შეტანილი არ არის არც თედო ჟორდანისა, არც ჯუმბერ ოდიშელისა და არც თამარ ბრეგაძის პუბლიკაციებში. ჩვენ სტრიქონის დასაწყისში გარკვევით ვკითხულობთ განკვეთილობის ორწერტილით დასრულებულ სამ გრაფემა „ცღა“-ს. განკვეთილობის ნიშნის შემდეგ შესრულებული იყო ორი გრაფემა, რომელთაგან პირველი გრაფემა, მელნის გადასვლის გამო, აღარ განირჩევა, ხოლო მეორე გრაფემა იკითხება როგორც „რ“. ამ გრაფემის შემდეგ შესრულებული ტექსტი, ფურცლის მარჯვენა არშიიდან ეტრატის ზოლის ჩამოჭრის გამო, დაკარგულია, თუმცა ამ ტექსტის აღდგენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მართლაც, მინაწერის საერთო კონტექსტიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ VI სტრიქონის ბოლოსა და VII სტრიქონზე გადმოცემული იყო დეკემბრის თვის ერთ-ერთი დღის აღმნიშვნელი რიცხვი „[ო]|ცღა: [ე]რ[თსა:]“ ან „[ო]|ცღა: [ო]რ[სა:]“.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, II კინკლოსური მინაწერის V სტრიქონის ბოლო ფრაგმენტისა და VI სტრიქონის ტექსტი დადგენილ უნდა იქნეს შემდეგი სახით:

„[ო] |ცღა[ე]რ[თსა]“ ან „[ო] |ცღა[ო]რ[სა]“.

ამით ვასრულებთ A-85-ის II კინკლოსური მინაწერის ტექსტის დადგენაზე მუშაობას და სამეცნიერო საზოგადოებას ვთავაზობთ ამ ტექსტის საბოლოო წაკითხვას:

„აქა გარ[დახდა] | პატრონი, ა[მირ] |სპასალარ[ის აღ] |ბუღას [და, ნლი] |სა მზ (47), დ[ეკე] |ნბერს[ა ო] |ცღა[ე]რ[თსა] (ან „[ო] |ცღა[ო]რ[სა]“).

მას შემდეგ, რაც შეძლებისდაგვარად სრული სახით დავადგინეთ A-85-ის ჩვენთვის საინტერესო ორი კინკლოსური მინაწერის ტექსტი, გადავალთ ამ მინაწერებთან დაკავშირებული ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი საკითხების შესწავლაზე და წარმოვადგენთ ამ კვლევა-ძიების საფუძველზე მიღებულ რამდენიმე ძირითად დასკვნას.

1. A-85-ის განსახილავი ორი კინკლოსური მინანერის დათარიღება

I მინანერის ქრონოლოგიის საკითხს პირველად თედო ჟორდანიას შეეხო და მინანერის თარიღის შესახებ იმთავითვე ორი განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა. კერძოდ, მან თავისი „ქრონიკების“ II ტომის 183-ე გვერდზე განსახილავი კინკლოსური მინანერის ქრონოლოგია მ (40) ქრონიკონით, ანუ 1352 (40+1312) წლით განსაზღვრა, ხოლო ამავე წიგნის 185-ე გვერდზე იგივე მინანერი უკვე 1351 წლით დაათარიღა: „**1352 წ. – ქკსა :მ:** აქა მო/ვი/და: აბუსერიძისა: ივანეს: სახლსა: შიგა...“;¹⁷ „...ეს წარწერა იმავე ხელით არის დანერილი, როგორც ზემო ივანე ამირსპასალარ-აბუსერისძეზე და სითიხათუნზე **1351 წლის ქვეშე**“.¹⁸

ჯუმბერ ოდიშელმა თედო ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული ამ ორი თარიღიდან (1351 წ. და 1352 წ.) უპირატესობა მეორე თარიღს (1351 წ.) მიანიჭა და მინანერის ქრონოლოგია საკუთარ პუბლიკაციაში 1351 წლით განსაზღვრა: „**ლთ – 1351 – [აქა] მ/ო/ვიდა აბუსერის ძისა ივანეს სახლისა შიგან...**“¹⁹

ჯუმბერ ოდიშელისაგან განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა თამარ ბრეგაძე. მან თედო ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული ორი თარიღიდან (1351 წ. და 1352 წ.) უფრო სარწმუნოდ პირველი თარიღი (1352 წ.) მიიჩნია და მინანერი 1352 წლით შეიტანა საკუთარ გამოცემაში: „**[1352 წ. „ქკსა] მ,** აქა მოვიდა აბუსერის ძის ივანეს სახლისა შიგან...“²⁰

I მინანერის ქრონოლოგიის თაობაზე ერთგვარად წინააღმდეგობრივი ხასიათის სურათს ვაწყდებით წარგიზა გოგუაძის, მიხეილ ქავთარიასა და რაულ ჩაგუნავას ნაშრომში. აქ მკვლევრები, ერთი მხრივ, აღნიშნავენ, რომ განსახილავი მინანერი შესრულებულია 39-ე, ანუ ლთ (39) ქრონიკონის, იგივე 1351 (39+1312) წლის გასწვრივ, ხოლო მეორე მხრივ, ამავე მინანერის ციტირებისას, ტექსტის დასაწყისში უთითებენ არა ქრონიკონ ლთ-ს (39), არამედ ქრონიკონ მ-ს (40), რაც, თავის მხრივ, 1352 (40+1312) წელს გვაძლევს: „**მეთოთხმეტე მოქცევის 39-ე ქრონიკონის, ანუ 1351 წლის** გასწვრივ დამონმებულია ვინმე აბუსერიძე ივანეს სახლი.. „**ქკს მ.** აქა მოვიდა აბუსერისძისა ივანეს სახლსა შიგა [და] ამირსპასალარისა და პატრონი სითი/ხათუნ/ მისი/თა/...სლი...“²¹

I მინანერის ქრონოლოგიის საკითხს სულ ბოლოს წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი თანავტორი, ირმა ბერიძე შეეხო. მან სრულად გაიზიარა თედო ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული პირველი თარიღი (1352 წ.) და მინანერი, თამარ ბრეგაძის მსგავსად, 1352 წლით დაათარიღა.²²

¹⁷ *ქრონიკები*, II, 183. შდრ. „სინდუხტარ უნდა იყოს ზემო აღნიშნული (1352 წ. ქვეშე) სითიხათუნ...“ იქვე, 183-184.

¹⁸ იქვე, 185.

¹⁹ *მცირე ქრონიკები*, 27.

²⁰ *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, I, 296.

²¹ აბუსერისძე, *თხზულებანი*, 328-329.

²² ბერიძე, „ივანე აბუსერისძის (XIV ს.) ამირსპასალარობისა“, 50.

I მინაწერის დათარიღების მსგავსად, საკმაოდ არაერთგვაროვანი ვითარებაა II მინაწერის ქრონოლოგიასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული მინაწერის დათარიღების საკითხს პირველად ისევ და ისევ თედო ჟორდანიას შეეხო და მინაწერის ქრონოლოგია მზ (43) ქრონიკონით, ანუ 1355 (43+1312) წლით განსაზღვრა: „**1355 წ.** – **ქკს :მგ:** აქა: გარ/დაიცვალა? | პატრონი ა/მირ?/|სპასალარი...“²³

თედო ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული თარიღი (1355 წ.) სრულად იქნა გაზიარებული მოგვიანო ხანის არაერთი მკვლევრის: ლევან მუსხელიშვილის, ჯუმბერ ოდიშელის, ნოდარ შოშიაშვილის, ნარგიზა გოგუაძის, მიხეილ ქავთარიასა და რაულ ჩაგუნავას მიერ: „XIV ს-ში გვხვდება ვინმე აბუსერისძე ივანე, ამირ-სპასალარი, რომელიც **1355 წელს** გარდაცვლილა“;²⁴ „**მგ – 1355** – აქ გარ/დაიცვალა? პატრონი ა/მირ/სპასალა/რი/...“;²⁵ „XIV საუკუნეში ცნობილია ამირსპასალარი ივანე აბუსერისძე (**გარდ. 1355 წ.**)“;²⁶ „ამავე ივანეს გარდაცვალებას ვარაუდობს თ. ჟორდანიას **1355 წელს**. ცნობა მას აღებული აქვს A-85-ის ქრონიკიდან“²⁷ და სხვ.

II მინაწერის ქრონოლოგიის თაობაზე განსხვავებული მოსაზრება აქვს გამოთქმული თამარ ბრეგაძეს. ეს უკანასკნელი მინაწერის თარიღს, ჩამოთვლილ მკვლევართაგან განსხვავებით, მდ (44) ქრონიკონით განსაზღვრავს, ოღონდ ამ ქრონიკონის თარიღის ქრისტეშობიდან ათვლილ წელთაღიგვებაზე გადაყვანისას მექანიკურ უზუსტობას უშვებს და მინაწერის ციტირებისას, ტექსტის დასაწყისში, შეცდომით, არა 1356 (44+1312), არამედ 1354 წელს უთითებს: „**[1354 წ. „ქკნსა/ მდ,** აქა გარ/დაიცვალა/ პატრონი ... სპასალარი...“²⁸

თამარ ბრეგაძის პუბლიკაციაში გაპარული მცდარი თარიღი (1354 წ.) უპირობოდ გაიზიარა წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთმა თანაავტორმა, ირმა ბერიძემ და II კინკლოსური მინაწერი აგრეთვე 1354 წლით დაათარიღა.²⁹

მაშასადამე, ირკვევა, რომ A-85-ის ჩვენთვის საინტერესო კინკლოსური მინაწერების დათარიღების თაობაზე სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. კერძოდ, I მინაწერი დათარიღებულია 1351 (ჯუმბერ ოდიშელი), 1352 (თამარ ბრეგაძე, ირმა ბერიძე) და 1351//1352 (თედო ჟორდანიას, ნარგიზა გოგუაძე, მიხეილ ქავთარია, რაულ

²³ ქრონიკები, II, 185.

²⁴ აბუსერისძე, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში, 23.

²⁵ მცირე ქრონიკები, 27.

²⁶ ნოდარ შოშიაშვილი, „აბუსერისძენი“, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1 (თბილისი, 1975), 47. შდრ. „XIV საუკუნეში ცნობილია ამირსპასალარი ივანე აბუსერისძე (**გ. 1355**)“. ნოდარ შოშიაშვილი, „აბუსერისძენი“, საქართველო, ენციკლოპედია, 1 (თბილისი, 1997), 39.

²⁷ აბუსერისძე, თხზულებანი, 329.

²⁸ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, 296.

²⁹ ირმა ბერიძე, „ივანე აბუსერისძის (XIV ს.) ამირსპასალარობისა“, 50.

ჩაგუნავა) წლებით, ხოლო II მინანერის ქრონოლოგია განსაზღვრულია 1354 (თამარ ბრეგაძე, ირმა ბერიძე) და 1355 (თედო ჟორდანია, ლევან მუსხელიშვილი, ჯუმბერ ოდიშელი, ნოდარ შოშიაშვილი, ნარგიზა გოგუაძე, მიხეილ ქავთარია, რაულ ჩაგუნავა) წლებით.

განსახილავი მინანერების ჩვენ მიერ შესრულებული ტექნიკური აღწერილობიდან აშკარად ჩანს, რომ I კინკლოსური მინანერი შესრულებულია 308v-ს ქვედა არშიაზე, ამავე გვერდზე წარმოდგენილი პასქალური ცხრილის დანაყოფების სულ ქვედა, რიგით მე-40 განივი მწკრივის, იგივე მე-40 ქრონიკონის, ანუ ქრისტეშობიდან 1352 (40+1312), ნაკიანი წლის აღმნიშვნელი სტრიქონის ქვემოთ, ხოლო II კინკლოსური მინანერი შესრულებულია 309r-ს მარჯვენა არშიის ზედა ნაწილში, ამავე გვერდზე წარმოდგენილი პასქალური ცხრილის დანაყოფების რიგით 44-ე განივი მწკრივის, იგივე 44-ე ქრონიკონის, ანუ ქრისტეშობიდან 1356 (44+1312), აგრეთვე, ნაკიანი წლის აღმნიშვნელი სტრიქონის გასწვრივ.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

ა) A-85-ის ჩვენთვის საინტერესო I კინკლოსური მინანერი თარიღდება არა 1351 ან 1351//1352 წლებით, როგორც ამას თედო ჟორდანია, ჯუმბერ ოდიშელი, ნარგიზა გოგუაძე, მიხეილ ქავთარია და რაულ ჩაგუნავა ფიქრობდნენ, არამედ – 1352 წლით, როგორც ამას თამარ ბრეგაძე და ირმა ბერიძე აღნიშნავდნენ;

ბ) A-85-ის ჩვენთვის საინტერესო II კინკლოსური მინანერი თარიღდება არა 1354 ან 1355 წლით, როგორც ამას თედო ჟორდანია, ლევან მუსხელიშვილი, ჯუმბერ ოდიშელი, ნოდარ შოშიაშვილი, თამარ ბრეგაძე, ნარგიზა გოგუაძე, მიხეილ ქავთარია, რაულ ჩაგუნავა და ირმა ბერიძე ფიქრობდნენ, არამედ – 1356 წლით.

2. ივანე აბუსერისძის ამირსპასალარობისა და მისი გარდაცვალების 1355 წლით დათარიღების საკითხი

I მინანერში მოხსენიებული ივანე აბუსერისძის ამირსპასალარობისა და მისი გარდაცვალების 1355 წლით დათარიღების საკითხი დღის წესრიგში პირველად თედო ჟორდანია დასვა. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას მკვლევარი მთლიანად ემყარებოდა I და II მინანერების ტექსტების მისეულ ნაკითხვებს, რომელთა მიხედვითაც მკვლევარს მინანერების შინაარსი, როგორც ჩანს, შემდეგი სახით ესმოდა. I მინანერი – 1351//1352 წლებში ამირსპასალარ ივანე აბუსერისძის სახლში მივიდა პატრონი სითიხათუნ; II მინანერი – 1355 წელს გარდაიცვალა პატრონი, ამირსპასალარი ივანე აბულსერისძე: „1352 წ. – ქკსა :მ: აქა მო/ვი/და: აბუსერიძისა: ივანეს: სახლსა: შიგა [და/ ამირსპასალარისა და: პატრონი სითი/ხათუნ/...“; „1355 წ. – ქკს :მგ: აქა: გარ/დაიცვალა/? | პატრონი ა/მირ?/|სპასალარი ივანე? ა/|ბულს/ერისძე/?... შეიძლება „აბუ-

სერისძის“ მაგიერ იკითხებოდეს „აბუსერისძე“, თუმცა ეს წარწერა იმავე ხელით არის დაწერილი, როგორც ზემო ივანე ამირსპასალარ-აბუსერისძეზე და სითიხათუნზე 1351 წლის ქვეშე“. ³⁰

მიუხედავად იმისა, რომ თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრება ივანე აბუსერისძის ამირსპასალარობისა და მისი გარდაცვალების 1355 წლით დათარიღების თაობაზე საკმაოდ ბუნდოვანი და ნაკლებად დასაბუთებული იყო, მოგვიანო ხანის მკვლევრებმა: ლევან მუსხელიშვილმა, თამარ ბრეგაძემ, ნოდარ შოშიაშვილმა, იური სიხარულიძემ და სხვებმა, ეს მოსაზრება მაინც უკრიტიკოდ გაიზიარეს:

„მეორე მხრით, XIV ს-ში გვხვდება ვინმე **აბუსერისძე ივანე, ამირ-სპასალარი**, რომელიც **1355 წელს** გარდაცვლილა. თუ ჩვენს ძეგლში („ახალნი სასნაულნი წმიდისა გიორგისნი“-სათვის დართულ აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანეში – ავტორები) მოხსენებული უახლესი თაობის (ტბელ აბუსერისძის შვილების – ავტორები) წლები 1210-1260-ით განვსაზღვრეთ და **ივანე ამირ-სპასალარის** დაბადების წელი 1300-ის ახლოს ვიგულებთ, მაშინ ჩვენი ძეგლის უკანასკნელ თაობასა და **ივანე ამირ-სპასალარს** შორისაც ორი უცნობი თაობა უნდა ვივარაუდოთ“; „საინტერესოა, რომ მეორე მინაწერში... ის (ივანე – ავტორები) იხსენიება „**ა/ბუს/ერისძე/-დ**“; „საკუთარ სახელთა საძიებელი... **აბუსერისძე ივანე IV, ამირსპასალარი**““. ³¹

„პირთა საძიებელი... **ივანე აბუსერის ძე (ამირსპასალარი)**...“ ³²

„აბუსერისძენი, XI-XIV სს. საქართველოს დიდ ფეოდალთა საგვარეულო... XII-XIII სს-ში იყვნენ მხოლოდ ხიხათა ერისთავთერისთავები. XIV ს-ში ცნობილია **ამირსპასალარი ივანე აბუსერისძე (გარდ. 1355 წ.)**““. ³³

„ივანე. ამ სახელით „ანდერძში“ (აბუსერისძეთა საგვარეულო მატიანეში – ავტორები) ორი პირი იხსენიება: მწერლის (ტბელ აბუსერისძის – ავტორები) მამა და შვილი. ისე კი მთელ სახლში (აბუსერისძეთა ფეოდალურ სახლში – ავტორები), ჯერჯერობით, ოთხი ივანეა დადასტურებული. პირველი (არტანუჯის ერისთავი) იოვანედ იწოდება, ხოლო დანარჩენები – ივანედ. ამათგან ერთი ივანე II (აბუსერის ძე) აჭარის ერისთავთ-ერისთავი იყო, ხოლო **ივანე III (XIV ს.) – ამირსპასალარი...**“; „საძიებლები. პირთა სახელები... **ივანე ამირსპასალარი (აბუსერისძე)**...“ ³⁴

„აბუსერისძენი, XI-XIV სს. საქართველოს დიდ ფეოდალთა საგვარეულო... XII-XIII სს-ში იყვნენ ხიხათა პატრონები და ერისთავთერისთავები... XIV ს-ში... დანინაურდნენ დას. საქართველოს სამეფო კარზე და მიაღწიეს ამირსპასალ-

³⁰ ქრონიკები, II, 183, 185.

³¹ აბუსერისძე, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში, 23, 88.

³² ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, 457, 488.

³³ შოშიაშვილი, „აბუსერისძენი“, 47.

³⁴ აბუსერისძე, ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა, 71, 78-79.

არობას. XIV საუკუნეში ცნობილია ამირსპასალარი ივანე აბუსერისძე (გ. 1355)³⁵;³⁵ და სხვ.

ჩამოთვლილი მკვლევრებისაგან განსხვავებით, თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული მოსაზრება ივანე აბუსერისძის ამირსპასალარობის შესახებ, როგორც ჩანს, ჯუმბერ ოდიშელმა არ გაიზიარა და I მინანერში მოხსენიებული ივანე აბუსერისძე და ამავე მინანერში ნახსენები ამირსპასალარი სხვადასხვა პირებად მიიჩნია. ამაზე, პირველ რიგში, მიგვითითებს მისი პუბლიკაციისათვის დართული „პირთა საძიებელი“, სადაც ივანე აბუსერისძე რაიმე სამოხელეო ნოდების გარეშეა მოხსენიებული, სითი-ხათუნი კი, საპირისპიროდ ამისა, სწორედ ამირსპასალარის დად არის წარმოდგენილი: „საძიებლები. პირთა... ივანე აბუსერის ძე II, II, 1 (იგულისხმება A-85-ის ჩვენთვის საინტერესო I კინკლოსური მინანერი – ავტორები)... სითი-ხათუნი, ამირსპასალარის და II, II, 1 (იგულისხმება იგივე I კინკლოსური მინანერი – ავტორები)...“³⁶

ჯუმბერ ოდიშელის ნაშრომის გამოქვეყნებიდან საკმაოდ დიდი ხნის შემდეგ თედო ჟორდანიას მოსაზრების მართებულობაში ეჭვი ნოდარ შოშიაშვილმაც შეიტანა, რომელიც მანამდე, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, სრულად იზიარებდა დებულებას ივანე აბუსერისძის ამირსპასალარობისა და მისი 1355 წელს გარდაცვალების თაობაზე: „XIV ს.-ის აბუსერისძეებზე ცნობები საისტორიო წყაროებში მეტად მწირია. თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ II ტომში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ მინანერში, 1355 წელს გარდაცვლილი ივანე აბუსერისძე ამირსპასალარად იხსენიება, მაგრამ, ეს მინანერი დამახინჯებული ჩანს. აბუსერისძის ნაკითხვა აქ საეჭვოა და ივანეს ამირსპასალარობაც ეჭვს იწვევს“.³⁷

ივანე აბუსერისძის ამირსპასალარობისა და მისი გარდაცვალების საკითხს სულ ბოლოს წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი თანაავტორი ირმა ბერიძე შეეხო. მან ერთგვარად დასრულებული სახე მისცა ჯუმბერ ოდიშელისა და ნოდარ შოშიაშვილის მოსაზრებებს და სამეცნიერო საზოგადოებას ორი ძირითადი დებულება შესთავაზა: 1. I მინანერის ტექსტში მოხსენიებული ივანე აბუსერისძე და ამავე მინანერში ნახსენები ამირსპასალარი სხვადასხვა პირები არიან; და 2. II მინანერის ტექსტში საუბარია არა ივანე აბუსერისძის, არამედ ამირსპასალარის დის, სითიხათუნის გარდაცვალებაზე.³⁸

ივანე აბუსერისძის ამირსპასალარობისა და მისი 1355 წელს გარდაცვალების საკითხთან დაკავშირებით, სხვა მკვლევრებისაგან განსხვავებული პოზიცია დაიკავეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ. მათ, ერთი მხრივ, სარწმუნოდ არ მიიჩნიეს თედო ჟორდანიას მოსაზ-

³⁵ შოშიაშვილი, „აბუსერისძენი“, 39.

³⁶ მცირე ქრონიკები, 136, 139, 141.

³⁷ ნოდარ შოშიაშვილი, „აბუსერისძეთა სახლი XI-XVI საუკუნეებში“, აბუსერისძე ტბელი – 800 (თბილისი, 1999), 8.

³⁸ ბერიძე, „ივანე აბუსერისძის (XIV ს.) ამირსპასალარობისა“, 50.

რების ის ნაწილი, რომლის თანახმადაც ივანე აბუსერისძე ამირსპასალარად იყო მიჩნეული, ხოლო, მეორე მხრივ, უპირობოდ გაიზიარეს ამავე მოსაზრების მეორე ნაწილი და ივანე აბუსერისძის გარდაცვალების ქრონოლოგია, თედო ჟორდანიას მსგავსად, 1355 წლით განსაზღვრეს: „მეთოთხმეტე მოქცევის 39-ე ქრონიკონის, ანუ 1351 წლის გასწვრივ დამონმებულია ვინმე აბუსერისძე ივანეს სახლი. „ქს მ. აქა მოვიდა აბუსერისძისა ივანეს სახლსა შიგა...“... ამავე ივანეს (აბუსერისძის – ვტორები) გარდაცვალებას ვარაუდობს თ. ჟორდანიას 1355 წელს. ცნობა მას აღებული აქვს A-85-ის ქრონიკიდან“.³⁹

მას შემდეგ, რაც შეძლებისდაგვარად სრული სახით დავადგინეთ A-85-ის ჩვენთვის საინტერესო კინკლოსური მინაწერების ტექსტები, შეგვიძლია, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ივანე აბუსერისძის ამირსპასალარობისა და მისი 1355 წელს გარდაცვალების პრობლემას და საბოლოოდ გავარკვიოთ ეს ბუნდოვანი საკითხი.

I მინაწერის ჩვენ მიერ დადგენილ ტექსტზე დაყრდნობით, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მინაწერში სამი სხვადასხვა პირია დასახელებული: ივანე აბუსერისძე, სახელის გარეშე მოხსენიებული ამირსპასალარი და ამ ამირსპასალარის და, პატრონი სითიხათუნი. II მინაწერის ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტი კიდევ უფრო აზუსტებს I მინაწერის ცნობებს და გვაუწყებს, რომ I მინაწერში დასახელებულ ამირსპასალარს სახელად აღბუღა ჰქვია და წარმომავლობით, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, არა აბუსერისძეთა, არამედ ჯაყელთა ფეოდალურ სახლს ეკუთვნის. ამავე II მინაწერის ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტიდან აშკარად ჩანს ისიც, რომ ტექსტში საუბარია არა ივანე აბუსერისძის, არამედ აღბუღა ამირსპასალარის დის, სითიხათუნ ჯაყელის გარდაცვალების თაობაზე.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

ა) ივანე აბუსერისძე მოხსენიებულია A-85-ის არა ორივე კინკლოსურ მინაწერში, როგორც ამას თედო ჟორდანიას, ლევან მუსხელიშვილი, ნარგიზა გოგუაძე, მიხეილ ქავთარია და რაულ ჩაგუნავა ფიქრობდნენ, არამედ – მხოლოდ I მინაწერის ტექსტში, როგორც ამას ჯუმბერ ოდიშელი და თამარ ბრეგაძე აღნიშნავდნენ;

ბ) ივანე აბუსერისძე A-85-ის I კინკლოსურ მინაწერში მოხსენიებულია არა ამირსპასალარის სახელოთი, როგორც ამას თედო ჟორდანიას, ლევან მუსხელიშვილი, თამარ ბრეგაძე და იური სიხარულიძე ფიქრობდნენ, არამედ ყოველგვარი სამოხელეო წოდების გარეშე, როგორც ამას ჯუმბერ ოდიშელი, ნარგიზა გოგუაძე, მიხეილ ქავთარია, რაულ ჩაგუნავა და ირმა ბერიძე აღნიშნავდნენ;

გ) A-85-ის კინკლოსური მინაწერების ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტიდან

³⁹ აბუსერისძე, *თხზულებანი*, 328-329.

გამომდინარე, ავტომატურად ეცლება საფუძველი ნოდარ შოშიაშვილის მიერ 1990 წელს გამოთქმულ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან მოსაზრებას, რომელიც მკვლევარს, დაახლოებით, შემდეგი სახით აქვს ჩამოყალიბებული: XIV საუკუნეში დასავლეთ საქართველოს სამეფო კარზე ამირსპასალარის სახელოს ფლობდნენ აბუსერისძეები, რის დოკუმენტურ დადასტურებასაც წარმოადგენს A-85-ის მინანერები, სადაც ივანე აბუსერისძე სწორედ ამირსპასალარის ნოდებით არის მოხსენიებული;

დ) A-85-ის II კინკლოსურ მინანერში გადმოცემულია არა ივანე აბუსერისძის მიცვალების ფაქტი, როგორც ამას თედო ჟორდანიას, ლევან მუსხელიშვილი, ნარგიზა გოგუაძე, მიხეილ ქავთარია და რაულ ჩაგუნავა ფიქრობდნენ, არამედ ამირსპასალარ ალბულა I-ს დის, სითიხათუნ ჯაყელის გარდაცვალების ამბავი, როგორც ამას ირმა ბერიძე აღნიშნავდა.

3. პატრონი სითიხათუნის საგვარეულო კუთვნილება, მისი და-ძმის ვინაობა, ივანე აბუსერისძის „სახლში“ მისვლის მიზეზები და დაბადება-გარდაცვალების თარიღები

A-85-ის ჩვენთვის საინტერესო კინკლოსურ მინანერებში მოხსენიებული სითიხათუნის ვინაობის საკითხს პირველად თედო ჟორდანიას შეეხო. მკვლევარის დაკვირვებით, სითიხათუნი და საქართველოს მეფის დავით IX-ის (1346-1360 წწ.) თანამეცხედრე, 1354 წლის ერთი დაკარგული წყალობის წიგნში მოხსენიებული დედოფალი სინდუხტარი ერთი და იგივე პირი იყო, რომელიც, როგორც აბუსერისძეებთან დაახლოებული პირი, სამცხის ათაბაგების, ჯაყელების ნათესავი უნდა ყოფილიყო: „1354 წ. – ქს: :მგ: ჩვენ მეფემან დავით და დედოფალმან სინდუხტარ გინყალობეთ... სინდუხტარ უნდა იყოს ზემო აღნიშნული (1352 წ. ქვეშე) სითიხათუნ... ალბათ რომლისამე ათაბაგის ნათესავი, რადგან დაახლოებული ყოფილა აბუსერთა სახლობასთან“.⁴⁰

მოგვიანებით, თედო ჟორდანიას ეს მოსაზრება წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთმა თანაავტორმა ირმა ბერიძემ კიდევ უფრო განავრცო. მკვლევარმა გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს ცნობით, 1334-1361 წლებში ათაბაგის სახელოს ყვარყვარე

⁴⁰ ქრონიკები, II, 183-184. მეფე დავით IX-ისა და დედოფალ სინდუხტარის მიერ გაცემულ 1354 წლის დაკარგულ წყალობის წიგნზე საუბრისას თედო ჟორდანიას მთლიანად ემყარებოდა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ „ქრონოლოგიურ ცხრილს“, საიდანაც ჩანს, რომ სწავლულ ბატონიშვილს, თავის დროზე, XVIII საუკუნის I ნახევარში, ხელთ ჰქონდა არამხოლოდ აღნიშნული დოკუმენტის ტექსტი (სრული ან ფრაგმენტული სახით), არამედ დავით IX-ის მიერ გაცემული კიდევ ერთი, 1355 წლის წყალობის წიგნიც კი (აგრეთვე, სრული ან ფრაგმენტული სახით): „ქ(ორონი)კ(ო)ნი 1354, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი შ ბ (42+1312=1354 წ.). ჩვენ მ(ე)ფ(ე)მან დავით და დედოფალმ(ა)ნ სინდუხტარ გინყალობეთ...; ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1355, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი შ ბ (43+1312=1355 წ.). ჩვენ მ(ე)ფ(ე)მან დავით ყოვლისა საქართველოსამან გინყალობეთ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები). ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 894-895.

ჯაყელი ფლობდა და გამოთქვა მოსაზრება, რომ A-85-ის I კინკლოსურ მინან-ერში მოხსენიებული სითიხათუნი სწორედ ათაბაგ-ამირსპასალარის ყვარყვარე ჯაყელის და იყო: „ვინ იყო საქართველოს ამირსპასალარი 1352-1354 წლებში და ვისი და იყო აბუსერიძეთა რძალი სითი-ხათუნი? ჩვენამდე მოღ-ნეული წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ 1334-1361 წლებში ათა-ბაგ-ამირსპასალარის სახელოს ყვარყვარე ჯაყელი მართავდა. შესაბამისად, ცხადი ხდება ისიც, რომ სითი-ხათუნი, რომელიც 1352 წელს აბუსერისძეთა სახლის რძალი გახდა, ათაბაგ-ამირსპასალარ ყვარყვარე ჯაყელის და იყო“.⁴¹

A-85-ის კინკლოსური მინანერების ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტები რამ-დენიმე ძვირფას ცნობას გვაწვდის სითიხათუნის ვინაობის შესახებ და საშუ-ალეობას გვაძლევს, საბოლოოდ გადავჭრათ აღნიშნული საკითხი.

დავინყოთ სითიხათუნის საგვარეულო კუთვნილების საკითხით. II კინკ-ლოსური მინანერის ტექსტში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ იგი აღბუღა ამირ-სპასალარის, ანუ XIV საუკუნეში მოღვანე ცნობილი ისტორიული პირის, ათაბაგ-ამირსპასალარის აღბუღა I ჯაყელის და იყო. შესაბამისად, მთლიანად დასტურ-დება თედო ჟორდანიასა და ირმა ბერიძის მიერ სითიხათუნის საგვარეულო კუთ-ვნილების თაობაზე გამოთქმული მოსაზრებები და ირკვევა, რომ ეს უკანასკნელი მართლაც ჯაყელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი იყო.

ცალკე განხილვის საგანია სითიხათუნის და-ძმის ვინაობის საკითხი. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ, ირმა ბერიძის აზრით, სითიხათუნი ათაბაგ-ამირსპასალარის ყვარყვარე ჯაყელის და იყო. A-85-ის კინკლოსური მინან-ერების ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტები არ ადასტურებს ამ მოსაზრებას და საპირისპიროდ ამისა, გვაუწყებს, რომ სითიხათუნი, სინამდვილეში, ათაბაგ-ამირსპასალარის აღბუღა I-ის და იყო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს XIV-XV საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსის მიქელ პანარეტო-სის მიერ შედგენილი „ტრაპიზონის ქრონიკა“, სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „14 მარტს, პარასკევს, მეთოთხმეტე ინდიქტონს, 6882 (ქრისტემობიდან 1374 (6882-5508)) წელს, მეფის (ტრაპიზონის იმპერატორის იოანე-ალექსი III-ის (1350-1390 წწ.) ძე, ბატონი დესპოტი ანდრონიკე დიდი კომნენოსი გადმო-ვარდა დიდი კომნენოსისა და მეფის ანდრონიკეს სასახლიდან და, როგორც კი შეიყვანეს სასახლეში, გარდაიცვალა... ხოლო საქორწინო პირობა, რომელიც დადებული იყო იბერიასთან თბილისის მეფის დავითის (საქართველოს მეფის დავით IX-ის) ასულისათვის, აღბუღას (ათაბაგ-ამირსპასალარის აღბუღა I-ის – ავტორები) დისწულისათვის, გადატანილ იქნა ჩვენი მეფის უმცროს, ღვი-ძლ და კანონიერ ძესა და ჭაბუკ მეფეზე, ბატონ მანუილზე, დიდ კომნენოსზე (შემდგომში ტრაპიზონის იმპერატორზე მანუილ III-ზე (1390-1412 წწ.) – ავ-ტორები). როცა შუამავლობა ჩატარდა, ნაბრძანდა მეფე და ჩვენც მასთან ერ-

⁴¹ ბერიძე, „ივანე აბუსერისძის (XIV ს.) ამირსპასალარობისა“, 50-51.

თად 10 მაისს, მეთხუთმეტე ინდიქტიონს, 6885 (ქრისტეშობიდან 1377 (6885-5508)) წელს. ლაზიკეში რომ მივედით, მთელი ზაფხული, 15 აგვისტომდე, იქ გავატარეთ, ადგილში, [სახელად] მაკრეგიალუსს. მაშინ ნამობრძანდა იგი [ე. ი. ქართველთა მეფის ასული] გონიიდან მაკრეგიალუსს. მეორე დღეს დავიძარი და 30 აგვისტოს, კვირა დღეს, მივალნიეთ ტრაპიზონს. ახალი წლის ხუთ სექტემბერს, შაბათს, პირველ ინდიქტიონს, 6886 (ქრისტეშობიდან 1378 (6886-5508)) წელს, დაედგა მას სადედოფლო გვირგვინი და ეწოდა ევდოკია, პირველად კი გულქან-ხათუნი ერქვა“.⁴²

როგორც ვხედავთ, მიქელ პანარეტოსის თხზულებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ის ფაქტი, რომ მეფე დავით IX-ის ასული გულქან-ხათუნი, შემდგომში ევდოკია, იმავდროულად აღბულა I ჯაყელის დისწულიც იყო. შესაბამისად, ირკვევა, რომ აღბულა I-ს ჰყავდა და, რომელიც საქართველოს მეფის დავით IX-ის თანამეცხედრე იყო.

მიქელ პანარეტოსის ზემოთ ციტირებულ ცნობას ერთგვარად აზუსტებს ზემოთ ერთხელ უკვე ნახსენები 1354 წლის დაკარგული წყალობის წიგნი, რომლის ერთი ფრაგმენტი ვახუშტი ბაგრატიონს თავის „ქრონოლოგიურ ცხრილში“ აქვს შეტანილი. როგორც ამ ნაწყვეტიდან ვიგებთ, დავით IX-ის მეუღლეს სახელად სინდუხტარი ერქვა: „ქ(ორონი)კ(ო)ნები ჩვენ მ(ი)ერ პოვნილნი წიგნებთა შ(ინ)ა... ქ(რისტეს) აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1354, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი შ`ბ (42+1312=1354 წ.). ჩვენ მ(ე)ფ(ე)მან დავით და დედოფალმ(ა)ნ სინდუხტარ გინყალობეთ...“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები).⁴³

სხვათა შორის, სწორედ ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობას ეყრდნობოდა თედო ჟორდანიას, როცა აღნიშნავდა, რომ დავით IX-ის თანამეცხედრე სინდუხტარი და A-85-ის კინკლოსურ მინაწერებში მოხსენიებული სითიხათუნი ერთი და იგივე პირი იყო (იხ. ზემოთ).

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ თედო ჟორდანიას მოსაზრების პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, დავით IX-ის მეუღლე, საგვარეულო წარმომავლობით, ჯაყელთა ფეოდალურ სახლს მიეკუთვნებოდა და სახელად სინდუხტარი ერქვა. თუმცა, იმავდროულად, ვერანაირად ვერ გავიზიარებთ მკვლევრის მოსაზრების მეორე ნაწილს, რომლის მიხედვითაც დედოფალი სინდუხტარი და A-85-ის კინკლოსურ მინაწერებში მოხსენიებული სითიხათუნი ერთი და იგივე პირი იყო.

⁴² მიქელ პანარეტოსი, „ამბავი ტრაპიზონის მეფეების, დიდი კომნენოსებისა, თითოეულმა როგორ, როდის და რამდენ ხანს იმეფა“, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, VII (თბილისი, 1967), 206-207. შდრ. მიქელ პანარეტოსი, „ტრაპიზონის ქრონიკა“, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 33 (თბილისი, 1960), 41-42.

⁴³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 894-895.

ამგვარი დასკვნისაკენ ლოგიკურად გვიბიძგებს ორი ძირითადი გარემოება: 1. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1360 წელს, როცა მეფე დავით IX გარდაიცვალა, მისი თანამეცხედრე, დედოფალი სინდუხტარი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო: „...და მოვლიდა ესე დავით მეფე სამეფოსა თჳსსა ზემო-ქუემოსა, ამერ-იმერთა და განაგებდა, ნადიმობდა, ნადირობდა და იშუებდა; არამედ გეგუთს ყოფასა შინა გარდაიცვალა ქ(ორონიკონ)სა $R^{\circ} T Q$ (1360 წ.), ქართულსა $M^{\circ} \Phi$ ($48+1312=1360$ წ.), დაუტევა დედოფალი ცოლი თჳსი სინდუხტარ და ძე ბაგრატი. მიმღეს (!) და დაფლეს გელათს“.⁴⁴ რაც შეეხება სითიხათუნს, ის, A-85-ის II კინკლოსური მინაწერის ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტის თანახმად, 1356 წელს იყო გარდაცვლილი; 2. ამავე II კინკლოსური მინაწერის საბოლოოდ დადგენილ ტექსტში სითიხათუნი მოხსენიებულია არა როგორც მეფე დავით IX-ის მეუღლე, არამედ – როგორც ამირსპასალარ აღბულას და. ჩვენი დაკვირვებით, ეს ფაქტი ამთავითვე გამორიცხავს პატრონი სითიხათუნისა და დედოფალ სინდუხტარის ერთმანეთთან გაიგივების შესაძლებლობას: ყოველად წარმოუდგენელია, რომ სითიხათუნი საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს პირველი პირის, მეფე დავით IX-ის თანამეცხედრე ყოფილიყო და ეს ფაქტი გაკვრითაც კი არ აღენიშნათ კინკლოსური მინაწერის ტექსტში.

მაშასადამე, ირკვევა, რომ დედოფალი სინდუხტარი და პატრონი სითიხათუნი არა ერთი და იგივე პირი, არამედ სხვადასხვა პირები, უფრო ზუსტად კი, დები იყვნენ. შესაბამისად, ცნობილი ხდება ისიც, რომ ათაბაგ-ამირსპასალარ აღბულა I-ს ჰყავდა არა ერთი და, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე იყო მიღებული,⁴⁵ არამედ – ორი და: სინდუხტარი, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, საქართველოს მეფის დავით IX-ის თანამეცხედრე იყო და სითიხათუნი, რომელიც A-85-ის ჩვენთვის საინტერესო I და II კინკლოსურ მინაწერებშია მოხსენიებული.

სითიხათუნის და-ძმის ვინაობის საკითხის განხილვის ბოლოს, გვსურს, ყურადღება საგანგებოდ შევაჩეროთ კიდევ ერთ საინტერესო გარემოებაზე. ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-სა და „ქრონოლოგიურ ცხრილში“, შედარებით უფრო ადრეული პერიოდის კინკლოსურ მინაწერზე (?) დაყრდნობით, აღნიშნულია, რომ 1358 წელს დასავლეთ საქართველოს მეფის მიქელის (1327-1329 წწ.) ვაჟმა, იმერეთის ერისთავმა ბაგრატმა, მეფე დავით IX-ის ნებართვით, ცოლად შეირთო ათაბაგ ყვარყვარე სარგისის ძის ასული: „და ძისა მიქელ მეფისასა იტყჳს ქორონიკონი. „მიქელ მეფის ძემ და არა მეფემან ბაგრატი, ყუარყუარეს ასული შეირთო ცოლად ქ(ორონიკონ)სა

⁴⁴ იქვე, 260-261.

⁴⁵ ქრონიკები, II, 183-184; იური სიხარულიძე, „სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან XIII-XV საუკუნეებში“, სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, VIII (ბათუმი, 1975), 50; მიხეილ ზახტაძე, ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში (თბილისი, 2008), 78; და სხვ.

ჩ⁶ ტნ⁶ (1358 წ.), ქარ. შ³ (46+1312=1358 წ.);⁴⁶ „ხოლო ამ გიორგი მეფისაგან (საქართველოს მეფის გიორგი V ბრწყინვალის (1299, 1318-1346 წწ.) მიერ – ავტორები) იქმნა ერისთავად ძე მიქელ მეფისა ბაგრატი, და იყო მორჩილებასა შინა გიორგი მეფისასა შორაპანს... ხოლო ამისა შემდგომად მოიყვანა ცოლად ასული ყუარყუარე ათაბაგისა ბაგრატი მიქელ მეფის ძემან, ქ(ორონიკონ) სა ჩ⁶ ტნ⁶ (1358 წ.), ქარ. შ³ (46+1312=1358 წ.) და იქორწინა მის თანა ნებითა დავით მეფისათა...“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები);⁴⁷ „ქ(ორონი)კ(ო) ნები ჩვენ მ(ი)ერ პოვნილნი წიგნებთა შ(ინ)ა... ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო) ნი 1358, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი შ³ (46+1312=1358 წ.). მ(ე)ფის მიქელის ძემ ბაგრატი, ყვარყვარე ათაბაგის ქალი შეირთო“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები).⁴⁸

ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობების გარდა, ჩვენამდე მოაღწია ცაიშის ეკლესიის ომოფორმა, რომელიც XIV საუკუნეში ანჩის საეპისკოპოსო ტაძრის საკუთრებას წარმოადგენდა და რომლის წარწერაშიც მოხსენიებულია ამირსპასალარისა და სამცხის სპასალარის ყვარყვარეს ასული (?), დედოფალთდედოფალი ნათელი: „ქ. საშინელო ხატო ანჩისა! შეინირე მცირე ესე ომოფორი დედოფალთ-დედოფლისა ნათელისი, ძისა დიდისა სულკურთხე||ულისა ამირსპასალარისა და სამცხის სპასალარისა ყუარყვარესი აქა და საუკუნესა. ა(მე)ნ. ანჩელისა თეოფანესთჳს შეკერული“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები).⁴⁹

ომოფორის წარწერის ტექსტის პირველი გამომცემლის თედო ჟორდანიას აზრით, ამ წარწერაში მოხსენიებული ამირსპასალარი და სამცხის სპასალარი ყვარყვარე და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ნახსენები ათაბაგი ყვარყვარე სარგისის ძე ერთი და იგივე პირი უნდა იყოს. მკვლევრის დაკვირვებით, ყვარყვარეს ჰყავდა ასული, ომოფორის წარწერაში მოხსენიებული დედოფალთდედოფალი ნათელი, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ცოლად გაჰყვა იმერეთის ერისთავს ბაგრატი მიქელის ძეს.⁵⁰ თედო ჟორდანიას მიერ გამოთქმული ეს მოსაზრება დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის მთლიანად არის გაზიარებული.⁵¹

სამწუხაროდ, ჩვენ, ჯერჯერობით, არ შეგვიძლია, დაბეჯითებით ვთქვათ,

⁴⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 302.

⁴⁷ იქვე, 802. შდრ. „კულად ამაჲ დავით მეფის ნებითა შეირთო ბაგრატი ერისთავმან მიქელ მეფის ძემან ასული ყუარყვარე ათაბაგისა“. იქვე, 260.

⁴⁸ იქვე, 894-895.

⁴⁹ ქრონიკები, II, 186. შდრ. ექვთიმე თაყაიშვილი, „არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში“, ძველი საქართველო, III (ტფილისი, 1913-1914), 183.

⁵⁰ ქრონიკები, II, 186.

⁵¹ თაყაიშვილი, „არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში“, 183; ქეთევან დავითიშვილი, „ქართული ნაქარგობის უძველესი ნიმუში“, ძველის მეგობარი, 22 (1970), 30-33; სიხარულიძე, „სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან“, 42; ვალერი სილოგავა, კახა შენგელია, ტაო-კლარჯეთი (თბილისი, 2006), 63; და სხვ.

რა სახის ნათესაური კავშირი არსებობდა ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება-სა და ცაიშის ომოფორის წარწერაში მოხსენიებულ ათაბაგ, ამირსპასალარ და სამცხის სპასალარ ყვარყვარე სარგისის ძესა და სითიხათუნის ძმას, ათაბაგ-ამირსპასალარ ალბულა I-ს შორის. თუმცა კი, თუ სამომავლოდ საბოლოოდ დადასტურდება უცხოელი კავკასიოლოგის კირილე თუმანოვის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ალბულა I სწორედ ამ ყვარყვარე სარგისის ძის ვაჟი იყო (მკვლევრის მიერ გამოთქმული ამ და სხვა მოსაზრებების შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ), მაშინ ავტომატურად დადგინდება ისიც, რომ A-85-ის კინკლოსურ მინაწერებში მოხსენიებულ სითიხათუნს, დედოფალი სინდუხტარის გარდა, ჰყავდა კიდევ ერთი და, ცაიშის ომოფორის წარწერაში მოხსენიებული დედოფალთედოფალი ნათელი, რომელიც, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1358 წელს ცოლად შეირთო დასავლეთ საქართველოს მეფის მიქელის ვაჟმა, იმერეთის ერისთავმა ბაგრატი ბაგრატიონმა.⁵²

პატრონი სითიხათუნის ივანე აბუსერისძის „სახლში“ მისვლის მიზეზებთან დაკავშირებულ საკითხებს დღემდე მხოლოდ ერთი მკვლევარი, წინამდებარე ნაშრომის ერთ-ერთი თანაავტორი ირმა ბერიძე შეეხო. მისი დაკვირვებით, „სითი-ხათუნის ეს „მისვლა“ ან თავად ივანეს თანამეცხედრედ, ან კიდევ, მისი სახლის რძლად მიყვანას უნდა ნიშნავდეს“; „A-85-ის 1352 წლის ქრონიკალური მინაწერი მოგვითხრობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ორ დიდ ფეოდალურ გვარს, ჯაყელებსა და აბუსერისძეებს შორის მომხდარი დინასტიური ქორწინების ამბავს, უფრო ზუსტად კი, ათაბაგ-ამირსპასალარ ყვარყვარე ჯაყელის დის, სითი-ხათუნის აბუსერისძეთა სახლში რძლად მისვლის აქამდე უცნობ ფაქტს“.⁵³

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ ლოგიკურად გამოიყურება, არსებობს ერთი მეტად საყურადღებო გარემოება, რომელიც ძალაუნიებურად გვიბიძგებს ამ მოსაზრების გადასინჯვისაკენ. მართლაც, თუკი ჩვენ გავიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ A-85-ის I კინკლოსურ მინაწერში სითიხათუნის აბუსერისძეთა ფეოდალურ სახლში რძლად მისვლის ამბავია გადმოცემული, მაშინ ლოგიკურად უნდა დავასკვნათ ისიც, რომ სითიხათუნი გარდაცვალების ჟამს ან ივანე აბუსერისძის, ან კიდევ, მისი ოჯახის რომელიმე სხვა წევრის თანამეცხედრე იყო. ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, ლოგიკურად

⁵² მეორე მხრივ, დედოფალთედოფალ ნათელის პატრონი სითიხათუნის დადგენილებას გარკვეულწილად ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ეწინააღმდეგება. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ყვარყვარე სარგისის ძის ასული ბაგრატი მიქელის ძემ ცოლად შეირთო 1358 წელს, პატრონი სითიხათუნი კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ ამას, დაიბადა 1309 წელს. შესაბამისად, თუკი გავიზიარებთ იმ ვარაუდს, რომ სითიხათუნი და ნათელი დები იყვნენ, მაშინ გამოვა, რომ ერთი დის დაბადებისა და მეორე დის გათხოვების თარიღებს შორის უჩვეულოდ დიდ, თითქმის ნახევარსაუკუნოვან ქრონოლოგიურ შუალედს მივიღებთ, რაც, ცხადია, ნაკლებად სარწმუნოს ხდის აღნიშნულ მოსაზრებას.

⁵³ ბერიძე, „ივანე აბუსერისძის (XIV ს.) ამირსპასალარობისა“, 52.

იბადება კითხვა – რატომ გაკვრით მაინც არ არის ნახსენები სითიხათუნის აბუსერისძეთა სახლის რძლობის ფაქტი A-85-ის II კინკლოსური მინანერის ტექსტში, სადაც, ერთი მხრივ, სითიხათუნის გარდაცვალების ამბავია გადმოცემული, ხოლო მეორე მხრივ, მისი ძმის, აღბულა ამირსპასალარის ვინაობაა ხაზგასმული? განა უფრო მოსალოდნელი არ იყო, რომ იმხანად ჯერ კიდევ აბუსერისძეთა ფეოდალური სახლის კუთვნილი A-85-ის კინკლოსურ მინანერში, პირველ რიგში, სწორედ ამ ხელნაწერის პატრონებისათვის მნიშვნელოვანი დეტალის, აბუსერისძეებსა და გარდაცვლილ სითიხათუნს შორის არსებული ნათესაური კავშირისათვის გაესვათ ხაზი და არა, ვთქვათ, სითიხათუნის ძმის ვინაობისათვის?

ჩვენი დაკვირვებით, აღნიშნულ კითხვას მხოლოდ ერთი სარწმუნო პასუხი შეიძლება ჰქონდეს: როგორც ჩანს, სითიხათუნი აბუსერისძეთა ოჯახის რძალი არ იყო და მისი ივანე აბუსერისძის ფეოდალურ სახლში მისვლა რაიმე სხვა მიზეზით ან მიზეზებით იყო განპირობებული. რაც შეეხება თავად ამ მიზეზსა თუ მიზეზებს, მათ შესახებ, სავარაუდოდ, A-85-ის I კინკლოსური მინანერის III და IV სტრიქონებზე უნდა ყოფილიყო საუბარი. თუმცა, ამ სტრიქონებზე წარმოდგენილი ტექსტი, ფურცლის ქვედა არშიიდან ეტრატის ზოლის ჩამოჭრის გამო, როგორც უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, თითქმის მთლიანად არის დაკარგული და ამიტომ განსახილავი საკითხის შესახებ რაიმე კატეგორიული მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა, ჯერჯერობით, არ გაგვაჩნია.⁵⁴

A-85-ის II კინკლოსური მინანერის ჩვენ მიერ დადგენილი ტექსტის თანახმად, პატრონი სითიხათუნი გარდაცვალების ჟამს, ანუ 1356 წელს, 47 წლის იყო. აქედან, ავტომატურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ სითიხათუნ ჯაყელი დაბადებული იყო 1309 (1356-47) წელს.

⁵⁴ ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, „ოქროს ურდოში ჯანიბეგის ყაანობის დროს უკვე 1346 წ. გაჩნდა შავი ჭირი, რომელიც ხალხს მუსრს ავლებდა, იქითგან ეს მოარული ყირიმსაც მოედო. რაკი შემდეგ შავი ჭირი ჯერ რუმში, ხოლო 1348 წ. ასურეთსა და ეგვიპტეშიც ძალზე გავრცელდა ხალხში ისე, რომ მოსახლეობის ნახევარი ამ მოარულის მსხვერპლი შეიქმნა, ამიტომ ცხადია, რომ რუმსა და ყირიმს შუა მდებარე საქართველოში 1348 წ. გავრცელებული „დიდი სიკვდილობაც“ (იგულისხმება ქართველი მნიგნობრის ავგაროზ ბანდაისძის მიერ გადაწერილი 1348 წლის „პარაკლიტონის“ ანდერძიდან ციტირებული ფრაზა, სადაც საუბარია მოსახლეობის „სიკვდილობაზე“ – ავტორები) ამავე შავი ჭირის მოარულის მძვინვარების შედეგი უნდა ყოფილიყო. რამდენ ხანს გაგრძელდა საქართველოში შავი ჭირი, ამაზე ცნობები არ მოგვეპოვება. მაგრამ როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, 1366 წ. ბაგრატ V-ის (საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის – ავტორები) თანამეცხედრე ელენე დედოფალი სწორედ ამ ავადმყოფობამ იმსხვერპლა და ეს გვაფიქრებინებს, რომ მოარული ჩვენშიც დიდხანს ყოფილა დაბუდებული“. ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, III, ნაწილი I, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, III (თბილისი, 1982), 179-180. საინტერესოა, სითიხათუნ ჯაყელის აბუსერისძეთა ფეოდალურ სახლში მისვლა (ზემო აჭარაში გახიზვნა?) და მისი იქ გარდაცვალება ხომ არ იყო დაკავშირებული სწორედ შავი ჭირის ეპიდემიასთან, რომელიც, ივანე ჯავახიშვილის აზრით, 1340-1360-იან წლებში მძვინვარებდა საქართველოში და რომელმაც, თვით სამეფო ოჯახის წევრებიც კი იმსხვერპლა?

სითიხათუნის დაბადების ზუსტი თარიღის დადგენას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ძმის, ათაბაგ-ამირსპასალარის ალბულა I-ის მამისშვილობის საკითხისა და XIV საუკუნის ჯაყელთა ფეოდალური სახლის ისტორიასთან, გენეალოგიასა და ქრონოლოგიასთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხის საბოლოოდ გარკვევისათვის. თუმცა, ამ საკითხების თაობაზე ჩვენს სხვა პუბლიკაციებში გვექნება საუბარი.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

ა) პატრონი სითიხათუნი მოხსენიებულია A-85-ის არა მხოლოდ I კინკლოსურ მინაწერში, როგორც ამას თედო ჟორდანი, ჯუმბერ ოდიშელი და თამარ ბრეგაძე ფიქრობდნენ, არამედ – ორივე კინკლოსური მინაწერის ტექსტში;

ბ) სითიხათუნი თავისი საგვარეულო წარმომავლობით ეკუთვნოდა ჯაყელთა ფეოდალურ სახლს, როგორც ამას თედო ჟორდანი და ირმა ბერიძე ფიქრობდნენ;

გ) სითიხათუნ ჯაყელს ნამდვილად ჰყავდა ძმა, ოლონდ არა ათაბაგ-ამირსპასალარი ყვარყვარე I, როგორც ამას ირმა ბერიძე ფიქრობდა, არამედ – ათაბაგ-ამირსპასალარი ალბულა I;

დ) სითიხათუნ ჯაყელი და საქართველოს მეფის დავით IX-ის თანამეცხედრე, დედოფალი სინდუხტარ ჯაყელი ერთი და იგივე პირი კი არ იყო, როგორც ამას თედო ჟორდანი ფიქრობდა, არამედ ისინი სხვადასხვა პირები, უფრო ზუსტად კი – დები იყვნენ;

ე) სითიხათუნ ჯაყელს, დედოფალ სინდუხტარის გარდა, შესაძლოა, ჰყავდა კიდევ ერთი და, დედოფალთა დედოფალი ნათელი, რომელიც დასავლეთ საქართველოს მეფის მიქელის ვაჟის, იმერეთის ერისთავის ბაგრატ ბაგრატიონის თანამეცხედრე იყო;

ვ) A-85-ის კინკლოსური მინაწერების ანალიზი არ ადასტურებს ირმა ბერიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სითიხათუნ ჯაყელი აბუსერისძეთა სახლის რძალი იყო;

ზ) სითიხათუნ ჯაყელის აბუსერისძეთა სახლში მისვლის ზუსტი მიზეზები, ჯერჯერობით, დაუდგენელია;

თ) სითიხათუნ ჯაყელი 1309 წელს დაიბადა და 1356 წელს, 47 წლის ასაკში გარდაიცვალა.

4. ალბულა I-ის მიერ ათაბაგ-ამირსპასალარის სახელოს მიღების თარიღისა და მისი წინამორბედი სამცხის მთავრების (XIV ს.) ზეობის ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დაზუსტება.

A-85-ის კინკლოსური მინაწერების ჩვენ მიერ დადგენილ ტექსტებში მოხსენიებული ამირსპასალარ ალბულას, იგივე, ათაბაგ-ამირსპასალარ ალბულა I ჯაყელის შესახებ არაერთი ქართული და უცხოური წერილობითი ძეგლი გვანვდის ცნობებს. თავდაპირველად მოვიტანთ ამ ძეგლების შესაბამის ფრაგმენტებს.

1. მანდატურთუხუცეს ბექა I ჯაყელისა და ჩვენთვის საინტერესო ათაბაგ-

ამირსპასალარის აღბულა I-ის მიერ შედგენილი ე. წ. „ბექა-აღბულას სამართლის წიგნის“ (XIII-XIV სს.) I ვარიანტი:⁵⁵

„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე.

სახელითა ღმრთისაჲთა, – დაუსაბამოსა მამისა, ძისა და წმიდისა სულისაჲთა, – მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისაჲთა, მე, ათაბაგ-ამილსპასალარმან აღბულა, მოვაკსენეთ პატიოსანსა... მანყუერელსა და ბიძა-ძეთა ჩემთა შაჰიასა და მისსა ძმასა საფარის მოძღუარსა პაფნუტის, ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოველთა, შავშთა და კლარჯთა და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოზთა და მეუღაბნოვეთა, მოწესეთა მონმობითა მინდობილნი ღმრთისანი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისანი, დაჯ[ი]ღვეით წინაშე პატრონისა პაპისჩემისა ბექაჲს განაჩენი, იგი სრულებითა და უკლებელად დავნერეთ და, რაჲცა ჟამთა სიავითა სხუანი უწესონი საქმენი შემოსრულ იყვნეს, მათი სამართალი ზედა დაურთეთ, ასე რომე რაჲცა სისხლისა, გერშისა, დასხმისა, ლალატისა და რაჲსა გინდა თეთრისა საურავისა საქმე იყოს.

პატრონის პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო. ამა ჟამსა შინა ყაზანურობა არღარა იყო, დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ...

[აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი].

მე, პატრონმან, ათაბაგ-ამილსპასალარმან აღბულა, მოვიკლე სრულისა სამცხისა საქმე. ჟამისა სიავითა დიდი კაცი იპატივებს. მასვე ლაშქართა შინა ცხენისა პარვა შექნილ იყო. ეწყინა საპატიოთა კაცთა და მას წინაშე საპატიოთა მსხდომთა კაცთა, მეკობრის გაჩენილი ძველსავე მიაყოლეს...“⁵⁶

⁵⁵ „ბექა-აღბულას სამართლის წიგნმა“ ჩვენამდე ორი ვარიანტის სახით მოაღწია. აქედან, I ვარიანტი დაცულია ვინმე იესეს მიერ 1672 წელს გადაწერილ ხელნაწერ წიგნში, ხოლო II ვარიანტი წარმოდგენილია ქართლის ჯანიშინის (1703-1714 წწ.), შემდგომში ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის (1716-1724 წწ.) ინიციატივით 1705-1708 წლებში შედგენილი „სამართლის წიგნთა კრებულის“ შემცველ რამდენიმე ხელნაწერ ნუსხაში. ივანე ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, I, თხზულებანი თორმეტ ტომად, VI (თბილისი, 1982), 102-108.

⁵⁶ დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 285-286, 316. შდრ. „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული“, ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფესორმა ისიდორე დოლიძემ, I (თბილისი, 1963), 425, 450. „ბექა-აღბულას სამართლის წიგნის“ II ვარიანტი: „შევიყარენით ჭულევთა მინდობილნი ღმრთისანი და აწყურისა ღმრთისმშობლისანი, და გაქცევისა (?), დავიღვეით წინა პატრონისა პაპისჩემისა, მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და აგრევე სრულებით და უკლებელად დავსნერეთ და, რაჲცა ჟამთა სიავითა სხვანი უწესონი საქმენი შემოსულიყვნენ, მათი სამართალიცა ზედა დაურთეთ, ასრე რომე რაჲც სისხლისა და გერშისა, დასხმისა და ლალატისა და რაჲსა გინდა ფერისა დასაურვებელი საქმე იყოს. პატრონისა პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო და ამა ჟამთა შიგა ყაზანურობა აღ-სადმე-მოკლებულიყო (?) და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ... [აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი]. ან პატრონმან, ათაბაგ-ამირსპასალარმან აღბულა, მოიკლა სრულისა სამცხისა საქმე და ამა ჟამთა სიავითა დიდი მოავე კაცი საბატიობასა (?) თანა გარ(?) თავადად

2. სოფელ ხოვლეს სანახებში მდებარე ზესხევის წმ. თევდორეს ეკლესიის სამხრეთ კედელზე შესრულებული, 1360-1380-იანი წლებით დათარიღებული ნაკანრი წარწერა:

„პ(ა)ტრონსა ამ(ი)რსპ(ა)ს(ა)რ(ა)ლს აღბ(უ)ლ(ა)ს | გ[აუ]მარჯოს ნამ<ა>რ(ა)ვლ(ი) მ(ის)ი | ||| ღ(მერთმან) ჩემ(ი) ც(ო)დგ(ა)ნი მ[ოუ]ყ(ა)რ(ე)ნი ყ(ველა)მ | |||| შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან). ს(ა)რგ(ი)ს შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან). ბე-ქას შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან). | შ(ა)ლგ(ა)ს შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან). შგ(ი)ლნ(ი) ყოველ[თა] ჩ(უენთ)ა | ძუ(ე)ლთ, ახ(ა)ლთ შ(ეუნდვენ) ღ(მერთმან)“.⁵⁷

3. იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნის XIV საუკუნის II ნახევრით დათარიღებული 153 ალაპი:

„[თუესა იანვარსა ზ (7)].

ამ(ა)სვე დღ(ე)სა წირვაჲ და ალაპი აღბულ(ა)სი, შეუნდვენ ღმერთმან“.⁵⁸

4. XIV-XV საუკუნეების ბიზანტიელი ისტორიკოსის მიქელ პანარეტოსის

ლაშქართა ცხენთა პარვა შექმნილიყო. ესე იწყინა და ამავე საბატიოთა კაცთა მას წინაშე სხდომითა და ბჭობითა საპარო-საინჯუთა და მეკობრის საპატიოჲსა განაჩენნი ძველისავე მიაყოლეს...“ დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 285-286, 317. შდრ. „ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული“, 425, 450.

⁵⁷ კლდიაშვილი, „ხოვლეს (ზესხევის) წარწერები“, 67-68. ჩვენ მიერ ციტირებული ტექსტი ნაკითხულია დარეჯან კლდიაშვილის მიერ, ამავე ტექსტის ივანე ჯავახიშვილის მიერ შესრულებულ გადმონაწერზე დაყრდნობით (გადმონაწერი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ივანე ჯავახიშვილის პირად არქივში). კლდიაშვილი, „ხოვლეს (ზესხევის) წარწერები“, 65-67. საკითხის სრულად ილუსტრირების მიზნით, უცვლელი სახით მოვიტანთ თავად ივანე ჯავახიშვილის მიერ შესრულებულ გადმონაწერს: „პ(ა)ტრონსა ამირსპსრლს აღ'ბლს' | გ[მარჯოს] ნამარვლ მი | || ღნ ჩემნ ცდვნი მყნყრნი ყმ | |||| შნ ღნ სრგის შნ ღნ ბექას შნ ღნ | შლვს შნ ღნ შვლნ ყოველ ჩა | ძოლთ ახლთ შნ ღნ“. იქვე, 66. შდრ. დარეჯან კლდიაშვილი, „ჯაყყელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (XI საუკუნე – XIV საუკუნის I ნახევარი)“, ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, 1981, 102. გარდა ამისა, აქვე წარმოვადგენთ ციტირებული წარწერის კიდევ ერთ ნაკითხვას, რომელიც ლევან მუსხელიშვილს ეკუთვნის და რომელიც, ივანე ჯავახიშვილის მიერ შესრულებულ გადმონაწერზე, უფრო ზუსტად კი, ამ გადმონაწერის ოდნავ განსხვავებულ ვარიანტზეა დამყარებული (წარწერის გადმონაწერის ეს, ოდნავ განსხვავებული ვარიანტი ლევან მუსხელიშვილისათვის უშუალოდ ივანე ჯავახიშვილს გადაუცია). ლევან მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში (თბილისი, 1941), 73-74. საგულისხმოა, რომ ლევან მუსხელიშვილი, დარეჯან კლდიაშვილისაგან განსხვავებით, წარწერის პირველ ნახევარს გაბმული სახით ვერ კითხულობს: „აქ თითქმის მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ იხსენიება პატრონი ამირ-სპასალარი აღბულა“. რაც შეეხება წარწერის მეორე ნახევარს, ის მკვლევარს შემდეგი სახით აქვს წაკითხული: „– შეუნდვენ ღმერთმან, სარგის(ს) შეუნდვენ ღმერთმან, ბექას შეუნდვენ ღმერთმან, შალვას შეუნდვენ ღმერთმან, შვილთა (შვილნი?) ყოველ(თა) ჩემთა ძუელთ(ა) (და) ახალთ(ა) შეუნდვენ ღმერთმან“. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, 74.

⁵⁸ ელენე მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.) (თბილისი, 1962), 93, 156-157.

„ტრაპიზონის ქრონიკა“, რომლის შესაბამისი ფრაგმენტი ზემოთ ერთხელ უკვე გვქონდა ციტირებული:

„14 მარტს, პარასკევს, მეთოთხმეტე ინდიქტიონს, 6882 (ქრისტეშობიდან 1374) წელს, მეფის ძე, ბატონი დესპოტი ანდრონიკე დიდი კომნენოსი გადმოვარდა დიდი კომნენოსისა და მეფის ანდრონიკეს სასახლიდან და, როგორც კი შეიყვანეს სასახლეში, გარდაიცვალა... ხოლო საქორწინო პირობა, რომელიც დადებული იყო იბერიასთან თბილისის მეფის დავითის ასულისათვის, **ალბულას** დისწულისათვის, გადატანილ იქნა ჩვენი მეფის უმცროს, ღვიძლ და კანონიერ ძესა და ჭაბუკ მეფეზე, ბატონ მანუილზე, დიდ კომნენოსზე. როცა შუამავლობა ჩატარდა, ნაბრძანდა მეფე და ჩვენც მასთან ერთად 10 მაისს, მეთხუთმეტე ინდიქტიონს, 6885 (ქრისტეშობიდან 1377) წელს. ლაზიკეში რომ მივედით, მთელი ზაფხული, 15 აგვისტომდე, იქ გავატარეთ, ადგილში, [სახელად] მაკრეგიალუსს. მაშინ ნამობრძანდა იგი [ე. ი. ქართველთა მეფის ასული] გონიიდან მაკრეგიალუსს. მეორე დღეს დავიძარიოთ და 30 აგვისტოს, კვირა დღეს, მივალწიეთ ტრაპიზონს. ახალი წლის ხუთ სექტემბერს, შაბათს, პირველ ინდიქტიონს, 6888 (ქრისტეშობიდან 1378) წელს, დაედგა მას სადედოფლო გვირგვინი და ეწოდა ევდოკია, პირველად კი გულქან-ხათუნი ერქვა“.⁵⁹

5. XV საუკუნის I ათწლეულში შედგენილი სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანის ერთ-ერთი მოსახსენებელი:

„ს(უ)ლსა ათაბაგსა ალბულას შ(ეუნდო)ს ლ(მერთმა)ნ“.⁶⁰

6. 1419 წელს გადაწერილი სომხური ხელნაწერის, გრიგოლ ტათევაცის კითხვა-მიგებაწის ჰიშატაკარანი (ანდერძი):

„[წიგნი დაიწერა] ქართველებზე ალექსანდრეს (საქართველოს მეფის ალექსანდრე I-ის (1412-1442 წწ.)), ბაგრატ მეფის (ბაგრატ V-ის) ძის, [ი]უსუფ პარონისაგან მოკლული, კოსტანტიანოსის (საქართველოს მეფის კონსტანტინე I-ის (1407-1412 წწ.)) შვილის მეფობისას, **ალბულას** ძის ივანეს ათაბაგობისას“.⁶¹

7. XV საუკუნის ბოლო მეოთხედით დათარიღებული ისტორიული დოკუმენტი, ზევდგინისძის საჩივრის წიგნი:

„[გამოჴდა დიდ]ი ხანი და გაილაშქრა გიორგი მე|[ფემან (საქართველოს მეფე გიორგი VII-მ (1393-1407 წწ.) – ავტორები) თათარ]თა. აქ ჩემი გუარის

⁵⁹ მიქაელ პანარეტოსი, „ამბავი ტრაპიზონის მეფეების“, 206-207. შდრ. მიქელ პანარეტოსი, „ტრაპიზონის ქრონიკა“, 41-42.

⁶⁰ დარეჯან კლდიაშვილი, სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, ქართული სამონასტრო სულთა მატიანეები, I (თბილისი, 2008), 61, 163. „ს(უ)ლსა ათაბაგსა ალბულას შ(ეუნდო)ს ლ(მერთმა)ნ“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები). ივანე ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (თბილისი, 1947), 243.

⁶¹ სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ (თბილისი, 1978), 37.

კაცი ოცდა ცხრა|[ნი დაკოცნეს] და ერთი ჯელთა დაირჩუნეს. დ|[ა ათაბაგსა ა]ლბულას თათარნი მოუკდეს. ერთი |თავადი თათარი დარჩა ჯელთა და ის | [ჩემი გუარის] კაცი იმითა დაიხსნა დიდმა ალბ|[ულა. გაუშ]უა და იმ-ავე მკუიდრსა მამულზედა | [მოვიდა. და ქართ]ველნი ერთობ დაღონებულნი | [იყუნეს. წავიდა გიორგი] მეფე და ალბულას შეეხუნა. |გამოარჩივეს ერთი უშვილო კა|[ცი. უთხრეს: „მე]ფე ჯელთა შევიპყრათ და ქართლი | [ჩუენ დაგურ]ჩებისო“. ჭუკას გუარის კაცმან ჩემსა | [გუარის კაცსა გა]ანდო. იმან მეფესა არ დაუმალა. | [უთხრა მეფეს]ა: დასტურად გუილალატებენო. | [ლამეს, რ]ომელსა ულალატებდეს, მეფის საგებ|[ელმი ის ჩუ]ენი გუარის კაცი დანვა და მეფე ნ|[ავიდა. მივიდეს და ჩემი გუ]არის კაცი დაირჩუნეს და მწოვედ დაკო|[დეს და სიკუდილ]სა ულამოდეს და, როგორაც ეს | [იცნეს, რომე ზ]ვედგინიძე არი-სო, აღარ მოკლეს“.⁶²

8. ბერი ეგნატაშვილის მიერ XVIII საუკუნის I მეოთხედში შედგენილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, იგივე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი ტექსტი: „მაშინ (თემურლენგის 1403 წლის ლაშქრობის დროს – ავტორები) ათაბაგმან, ალბულას შვილმან ივანე, აღილო მანცა ძღუენი ტურფა და მივიდა ლანგ-თემურსა თანა“.⁶³

9. ანონიმი ავტორის მიერ XVIII საუკუნის შუახანებში შედგენილი „ქართლის ცხოვრების“ გადამუშავებული გაგრძელება, ანუ „ახალი ქართლის ცხოვრების“ მეორე ტექსტი: „კუალად (თემურლენგის 1403 წლის ლაშქრობის დროს – ავტორები) წარვიდა ალბულას ძე ათაბაგი ივანე, და მივიდა იგიცა ძღუენითა მრავლითა ლანგ-თემურისა თანა, და შეინყალა იგიცა, და სცა პატივი, და უბო-და საბოძვარი მრავალი“.⁶⁴

ციტირებული ძეგლების გარდა, ალბულა I მოხსენიებულია XIV-XVI საუკუნეების რამდენიმე სპარსული და სპარსულენოვანი წერილობითი ძეგლის ტექსტშიც. ეს ძეგლებია: ა) ნიზამ ად-დინ შამის „ზაფარ-ნამე“ („გამარჯვების წიგნი“) (1401/1402-1404 წწ.); ბ) მუინ ად-დინ ნათანზის „მონთახაბ ათ-თავარიხე მოინ“ („მოინ [ად-დინ ნათანზის] რჩეული ისტორიათაგანი“), იგივე „ისქანდერის ანონიმი“ (1414 წ.); გ) შერეფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამე“

⁶² ნიკო ბერძენიშვილი, „ფეოდალური ურთიერთობებიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით)“, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, I (ტფილისი, 1937), 39, 63. შდრ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ, II (თბილისი, 1993), 224.

⁶³ ბერი ეგნატაშვილი, „ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959), 335-336.

⁶⁴ „ახალი ქართლის ცხოვრება, მეორე ტექსტი“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, II (თბილისი, 1959), 468.

(„გამარჯვების წიგნი“) (1424 წ.); დ) შიხაბ ად-დინ აბდალაჰ იბნ ლუტფულაჰ ალ-ხაფის, იგივე ჰაფეზ-ე აბრუს „ზოზდათ ათ-თავარის“ („მატიანეთა ნაღებნი“), იგივე „მაჯმა ათ-თავარის“ („მატიანეთა კრებული“), (1423-1430/1431 წწ.) (?); ე) ფასიჰ აჰმედ ბენ ჯალალ ად-დინ მუჰამედ ხაფის, იგივე ფასიჰი ხაფის „მაჯმალე ფასიჰი“ („ფასიჰის კონსპექტი“) (1442 წ-მდე) (?); ვ) ქამალ ად-დინ აბდ არ-რეზაყ სამარყანდის „მათლა ას-საყდენ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინ“ („ორი ბედნიერი მნათობის აღმობრწყინებისა და ორი ზღვის შერწყმის ადგილი“) (1467/1468-1470/1471 წწ.); ზ) მოჰამედ ბენ ჰავანდ-შაჰ ბენ მუჰამედის, იგივე, მირხონდის (გარდ. 1498 წ.) „როუზათ ას-საფა“ („სინმინდის ბალი“); და თ) ლიას ად-დინ ჰუსეინის, იგივე ხონდემირის (გარდ. 1536 წ.) „ჰაბიბ ას-სიიარ“ („ცხოვრებათაღმწერლობის მეგობარი“).

სამწუხაროდ, ჩამოთვლილი სპარსული და სპარსულენოვანი წერილებითი ძეგლების შესაბამისი ფრაგმენტები წინამდებარე ნაშრომში, რიგი მიზეზების გამო, ციტირებული არ გვაქვს (გამონაკლისს წარმოადგენს მუინ ად-დინ ნათანზის ერთი ცნობა, რომელიც ქვემოთ გვექნება მოტანილი). თუმცა კი შევნიშნავთ, რომ ამ ძეგლებში აღბუღა I სულ სამ კონკრეტულ ამბავთან დაკავშირებით არის მოხსენიებული:

1. ნიზამ ად-დინ შამი, მუინ ად-დინ ნათანზი, შერეფ ად-დინ ალი იეზდი, ჰაფეზ-ე აბრუს, ფასიჰი ხაფი (?), აბდ არ-რეზაყ სამარყანდი, მირხონდი (?) და ხონდემირი (?) მოგვითხრობენ, რომ 1386 წელს, მონღოლი სარდლის, მავერანაჰრის ემირის თემურლენგის (1370-1405 წწ.) მიერ საქართველოს წინააღმდეგ მონყობილი I ლაშქრობის დროს, ყარსიდან თბილისისაკენ მომავალმა მონღოლთა ლაშქარმა საშინელ სიცივესა და თოვლში გადაიარა აღბუღას სამფლობელოს მალღობები („აღბუღას მთიანეთი“).⁶⁵

2. მუინ ად-დინ ნათანზი გვაუწყებს, რომ თემურლენგის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მონყობილი 1400 წლის ლაშქრობის დროს მონღოლი სარდალი შიდა ქართლიდან (დასავლეთ საქართველოს საზღვრებიდან) მტკვრის ხეობას აღმა აუყვანა და სამცხის სამთავროში („აღბუღას ვილაიეთში“) შეიჭრა.⁶⁶ ათაბაგი აღბუღა, რომელსაც საქვეყნოდ განთქმული ქურანი ცხენი ჰყავდა, ერთ მიუვალ ციხეში („აღბუღას ციხეში“) შევიდა და იქ გამაგრდა: „ცნობილი იყო, რომ აღბუღას სამეფო საჯინიბოს შესაფერისი ცხენი ჰყოლია

⁶⁵ კარლო ტაბატაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, III (1971), 209-210; კარლო ტაბატაძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე* (თბილისი, 1974), 62-63; დავით კაციტაძე, *საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით)* (თბილისი, 1975), 130, 136.

⁶⁶ კარლო ტაბატაძის მიხედვით, ეს იყო თემურლენგის VI ლაშქრობა საქართველოში, დევი კაციტაძის მიხედვით კი – IV ლაშქრობა. ტაბატაძე, *ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ*, 113-150; კაციტაძე, *საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე*, 144-149, 172-173, 175.

და თუ მის ციხეს არ აიღებდნენ, იმ ცხენის ხელთგდება შეუძლებელი იყო“.⁶⁷ თემურლენგმა, რომელსაც ძლიერ უნდოდა აღბუღას ცხენის ხელში ჩაგდება, ციხეს ალყა შემოარტყა და მასზე იერიშის მიტანა ბრძანა. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ აღბუღამ მონღოლებთან დაზავება სცადა, წინააღმდეგობა შეწყვიტა, თემურლენგს პირადად ეახლა და ძღვნად, თავისი ცხენი მიჰგვარა. მონღოლმა სარდალმა საჩუქარი მიიღო, აღბუღას შეცოდება („სისხლი“) აპატია და აღარ დასაჯა: „აღბუღას რომ ილაჯი მიუწყდა და უვიცობის ფეხი წამოკრა გაჭირვების ქვას, ის დევბუნება, ფერიის ნაშობი ქარისფეხა ბედაური თემურს მიჰგვარა და თვითონაც ზარითა და ვედრებით წარუდგა წინ. ხოლო რაკი თემურის სურვილი მისი ციხის გარემოცვის დროს იყო ამ ქურანის ხელში ჩაგდება, ამიტომ **აღბუღას** სისხლი აპატია და არა ავნო რა“.⁶⁸

3. შერეფ ად-დინ ალი იეზდი, ჰაფეზ-ე აბრუ (?), მირხონდი და ხონდემირი გადმოგვცემენ, რომ თემურლენგის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილი 1403 წლის ლაშქრობის დროს, კოლაში დაბანაკებულ მონღოლ სარდალს სამხედრო ბანაკში ეახლნენ საქართველოს მეფის გიორგი VII-ს ძმა, ბატონიშვილი კონსტანტინე და ათაბაგი ივანე, რომელიც აღბუღას შვილი იყო.⁶⁹

როგორც ვხედავთ, ჩვენამდე მოღწეული ქართული და უცხოური წერილობითი ძეგლები რამდენიმე საინტერესო ცნობას გვანვდიან ათაბაგ-ამირსპასალარ აღბუღა I-ის შესახებ. აღნიშნული ცნობებით ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაინტერესდა სარგის კაკაბაძე და ზემოთ ციტირებული წერილობითი ძეგლების ერთ ნაწილზე, უფრო ზუსტად კი, „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნზე“, მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკასა“ და

⁶⁷ დავით კაციტაძე, „ისქანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V (თბილისი, 1965), 377.

⁶⁸ ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, 31, 142-143, 187-188. შდრ. ტაბატაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ“, 209-210; კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, 144-149. სხვათა შორის, მუინ ად-დინ ნათანზის ამ ბოლო ცნობის ინტერპრეტაციამ დიდი დავა გამოიწვია ქართულ ისტორიოგრაფიაში. კერძოდ, კარლო ტაბატაძე ფიქრობს, რომ აქ საუბარია თემურლენგის მიერ აღბუღას დატყვევებაზე, დევი (დავით) კაციტაძეს კი მიაჩნია, რომ აქ გადმოცემულია აღბუღას მიერ თემურლენგისათვის მორჩილების გამოცხადების ამბავი. ტაბატაძე, „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ“, 220; ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, 160-179, 188, 194-200; დავით კაციტაძე, „ეპიზოდი XV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან“, ცისკარი, 12 (1972), 124.

⁶⁹ ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, 166, 179-200; კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, 123, 130, 153, 199-201. კარლო ტაბატაძის მიხედვით, ეს იყო თემურლენგის ბოლო, VIII ლაშქრობა საქართველოში, დევი კაციტაძის მიხედვით კი – აგრეთვე, ბოლო, ოღონდ, VI ლაშქრობა. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, 160-179; კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, 153-160, 174-175.

შერეფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამეზე“ დაყრდნობით, დაადგინა, რომ აღბუღა I ჯაყელი XIV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა და 1386 წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო: „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის“ შესავალში „აღბუღა ათაბაგი სწერს: „პატრონისა პაპის ჩემისაგან განაჩენი (დასაურვებელი) ყაზანური თეთრი იყო და ამა ჟამთა შიგან ყაზანურობა მოკლებულ იყო და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ, ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი“. ყაზანი იყო მონგოლების ყაენი სპარსეთში და მოკვდა 1304 წ. ბექას დასაურვებლად ამ ყაზანყაენის, მისი თანამედროვეის მიერ მოჭრილი ფული გაუჩენია, მაგრამ აღბუღას დროს ეს ფული უკვე „მოკლებული იყო“ და მას „დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამისა თეთრი“ დაუდგენია. ეს გიორგი უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალე, რომელიც ვახუშტით გარდაიცვალა 1346 წ., ხოლო ჩემი ქრონოლოგიით 1338 წელს. აღბუღა და გიორგი ბრწყინვალე ბიძაშვილები იყვნენ (გიორგი მეფე დედით აგრეთვე შვილიშვილი იყო ბექასი) და ერთმანეთზედ ახლო დროს ცხოვრობდნენ. ამ მოხსენებულ სიტყვებიდან საგულისხმოა, რომ აღბუღას სამართლის დანერის დროს გიორგი ბრწყინვალე უკვე ცოცხალი არ უნდა ყოფილიყო („მეფის გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ“) და მართლაც, აღბუღას გიორგი ბრწყინვალის სიკვდილის შემდეგაც უცხოვრია. სპარსელი ისტორიკოსი შერიფადდინი მას ცოცხლად იხსენიებს თემურლენგის საქართველოში შემოსევის დროს 1386 წ. 1402 წელს კი იგივე ისტორიკოსი იხსენიებს აღბუღას შვილს ივანეს, მაშასადამე, აღბუღა ამ დროს უკვე მკვდარი ყოფილა. აღბუღა მოხსენიებულია კიდევ მიხ. ფანარეტის ტრაპეზონტის ქრონიკაში. 1376 წელს მომკვდარი ანდრონიკე, ძე იმპერატორის ალექსი III-ისა (1349-1390) დანიშნული ყოფილა ტფილისის მეფის დავითის ასულზე, გულქანხათუნზე, რომელიც ქრონიკის მიხედვით იყო დისწული აღბუღასი. როგორც კონტექსტიდან ჩანს, აღბუღა ამ დროს (1376 წ.) ცოცხალი ყოფილა. ამგვარად... აღბუღა... მჯდარა ათაბაგად მე-XIV საუკუნის მეორე ნახევარში და ცოცხალი ყოფილა 1386 წელს“.⁷⁰

გარდა ამისა, სარგის კაკაბაძემ, „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნზე“, მიქელ პანარეტოსის „ტრაპეზონტის ქრონიკაზე“, შერეფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამეზე“, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნზე⁷¹ და

⁷⁰ სარგის კაკაბაძე, *სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა* (ტფილისი, 1912), 6-7.

⁷¹ აქ სარგის კაკაბაძეს მხედველობაში აქვს იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნის არა ზემოთ მოტანილი 153 ალაპი, არამედ ორი სხვა, 154 და 223 ალაპები, რომელთაგან პირველი ალაპის ტექსტში მოხსენიებულია სარგისის ვაჟი, შაშია არტანუჯელი, ხოლო მეორე ალაპის ტექსტში – ათაბაგ ივანეს და, დედოფალი ნათია-ყოფილი ნისიმე: 154. „[თუესა იანვარსა ჟ (8)]. ამ(ა)სვე დღ(ე)სა ნირვაჲ და აღ(ა)პი სარგისის შვილისა შაშიასი არტანუჯ(ე)ლისა, შეუნდვენ ღმერთმან“; 223. „[თუესა მაისსა 2 (5)]. ამასვე დღესა აღაპი ათაბ(ა)გისა ივანეს დისა დედოფლისა ნათია-ყოფილისა ნისიმესი, შეუნდვენ ღმერთმან. გაუჩინეთ წმიდისა ირინეს დღლ(ე)ს(ა)სწაულსა (!) ნირვა და ალაპი,

ცაიშის ტაძრის ომოფორის წარწერაზე⁷² დაყრდნობით, გამოთქვა მოსაზრება, რომ მანდატურთუხუცეს ბექას გარდაცვალების შემდეგ სამცხის სამთავროს ერთდროულად ჯერ ბექას შვილები: სარგისი, ყვარყვარე და შალვა, ხოლო, შემდეგ – ბექას შვილიშვილები: შაშია სარგისის ძე, ივანე ყვარყვარეს ძე და ალბულა შალვას ძე მართავდნენ.⁷³

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, XIV საუკუნეში მოღვაწე სამცხის მთავართა სარგის კაკაბაძის მიერ შედგენილი გენეალოგიურ-ქრონოლოგიური სქემა შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

1-3. სარგის, უფროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექასი;

1-3. ამირსპასალარი და სამცხის სპასალარი ყვარყვარე, შუათანა ძე მანდატურთუხუცეს ბექასი;

1-3. ათაბაგი შალვა, უმცროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექასი;

4-6. არტანუჯელი შაშია, ძე სარგისისა;

4-6. ათაბაგი ივანე, ძე ამირსპასალარის და სამცხის სპასალარის ყვარყვარესი;

4-6. ათაბაგ-ამირსპასალარი ალბულა (XIV ს-ის II ნახ.), ძე ათაბაგ შალვასი.

ათაბაგ-ამირსპასალარ ალბულა I-ის ზეობის სარგის კაკაბაძის მიერ დადგენილი ქრონოლოგია (XIV ს-ის II ნახ.) ქართველ მკვლევართა ერთმა ნაწილმა უპირობოდ გაიზიარა,⁷⁴ თუმცა, მკვლევართა მეორე ნაწილმა სცადა, კიდევ უფრო დაეზუსტებინა ეს საკმაოდ ვრცელი ქრონოლოგიური მონაკვეთი და ამ მიზნით, ძირითადად დაეყრდნო ვახუშტი ბაგრატიონის ფუნდამენტურ ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და მისსავე „ქრონოლოგიური ცხრილს“, სადაც XIV საუკუნის სამცხის მთავრების თანამიმდევრობა და მათი ზეობის წლები სისტემური სახით არის წარმოდგენილი.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს I ფრაგმენტი: „მაშინ იცა ჟამი ბრწყინვალემან გიორგი მეფემანცა (საქართველოს მეფე გიორგი V ბრწყინვალემ – ავტორები) და განასხნა თათარნი საქართველოსაგან, რომელნიმე გონიერებითა, რომელნიმე ბრძოლითა და ძლიერებითა და მოსპნა ყოველნი

და რაცა წაიგოს მ(ა)ს დღის(ა)დ მისთ(უ)ს, შეუნდვენ ღმერთმან“. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 93, 99. შდრ. კაკაბაძე, სჯულმდებელთა ბექას და ალბულას ვინაობა, 5; ალაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, ქართული დედანი 16 პალეოგრაფიული სურათითურთ გამოსცა ნიკო მარმა (სანკტ-პეტერბურგი, 1914), 39, 57.

⁷² აქ ავტორს მხედველობაში აქვს ომოფორის წარწერის თედო ჟორდანის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი, რომელიც ზემოთ უკვე გვქონდა მოტანილი.

⁷³ იქვე, 3-6. შდრ. სარგის კაკაბაძე, „ზარზმის მხატვრობის ისტორიულ პირების ვინაობის შესახებ“, საისტორიო მოამბე, I (ტფილისი, 1925), 240-242.

⁷⁴ ჯავახიშვილი, „ქართული სამართლის ისტორია“, I, 105-106; ბერძენიშვილი, „ფეოდალური ურთიერთობებიდან XV საუკუნეში“, 5, 63; დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 39-41; მიქელ პანარეტოსი, „ტრაპიზონის ქრონიკა“, 83-84; მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 156-157; და სხვ.

საზღვართაგან თვსთა. მერმე მოიყვანნა ყოველნი ამის ქვეყანის ერისთავნი და წარჩინებულნი, რეცა დარბაზობად ცივსა ზედა ჰერეთისასა და მოსწყდნა მუნ ურჩინი თვსისა მეფობისანი და დაადგინნა ყოველთა ადგილთა წარვლინებულნი ერისთავნი თვსნი მორჩილებისანი და დაიპყრნა ამით უმეტეს ყოველნი. მაშინ მიუბოძა სარგის ჯაყელსა (მანდატურთუხუცეს ბექა I-ის უფროს ვაჟს – ავტორები) ათაბაგობა და ამირსპასალარობა⁷⁵... მერმე შთავიდა ოდიშს, მუნიდამ აფხაზეთს... უკმოიქცა, შემოვლო გურია... და მოვიდა სამცხეს. არამედ სამცხეს ყოფასა შინა მეფისასა მოკუდა ათაბაგი სარგის ქ(რისტ)ეს (აქათ)სა ჩ`ტლდ (1334 წ.), ქართულსა 13 (22+1312=1434 წ.). ხოლო მეფემან მიუბოძა ძესავე მისსა ყუარყუარეს ათაბაგობა და დასხნა ერისთავნი თვსნი კლარჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს და სამცხეს არტანისა და წუნისა და ამ საერისთოთგან რომელიმე მიუბოძა ბიძათა და ბიძის ძეთა ყუარყუარე ათაბაგისათა და იყვნენ ესენი მორჩილებასა ათაბაგისასა... ხოლო შემდგომად მეფის გიორგისა დაჯდა ძე მისი დავით (დავით IX – ავტორები) მეფედ... კუალად ამავე დავით მეფის ნებითა შეირთო ბაგრატ ერისთავმან მიქელ მეფის ძემან ასული ყუარყუარე ათაბაგისა... გამეფდა შემდგომად დავით მეფისა ძე მისი ბაგრატ (ბაგრატ V – ავტორები)... ამასვე წელსა (იგულისხმება ბაგრატ V-ის გამეფების მეორე წელი, ანუ, ვახუშტი ბაგრატიონის ქრონოლოგიით, 1361 წელი – ავტორები) მოკუდა ათაბაგი ყუარყუარე და მიუბოძა ათაბაგობა მეფემან ბაგრატ ძესა მისსა ბექას, რომელი იყო პირველ მანდატურთ-უხუცესი... არამედ თემურ (თემურლენგმა – ავტორები) დაიპყრა რა სრულიად სპარსეთი, და წარმოემართა ჩუენ კერძოდ და შემოვიდა სომხითს, მოსრნა, მოსწყდნა, შემუსრნა სიმაგრენი და მოსტყუევნა. მერმე ნოენბერსა შინა მოადგა კარს, შემუსრა იგიცა და დაადგრა მუნ ზამთარსა მას, რამეთუ იყო მკსინვარება ძლიერი და თოვლი დიდ-ფრიად... არამედ ათაბაგმან ბექამ იხილა რა ძლიერება თემურისა, შეუშინდა, უარ-ჰყო მეფე თვსი და მივიდა თემურის წინაშე; ხოლო მან პატივითა შეინყნარა, მოსცნა ნიჭნი და განუტევა, რათა არღარა მიერთნენ მესხნი ბაგრატ მეფესა. ამისი მსმენელი მეფე დამძიმდა ფრიად... განამაგრა და განამტკიცა ტფილისი და განავსნა სპითა და დაადგრა მათ შინა. ესმა ლანგთემურს მეფისაგან მაგრება და ბრძოლისა მზადება, გამძვუნდა და წარმოემართა გაზაფხულს... მოვიდა და მოადგა ტფილისს... შემდგომად მოადგნენ ციხესა და... გამოიყვანეს მეფე ბაგრატ დედოფალით თვსით ანნათი ქ(რისტ)ეს (აქათს)

⁷⁵ ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში გიორგი V-ის მიერ სარგის ბექას ძისათვის ათაბაგ-ამირსპასალარობის ბოძების შემდეგ გადმოცემულია ორი ამბავი: 1. მეფის მიერ რანისა და შარვანის დალაშქვრა; და 2. გიორგი V-ის დასავლეთ საქართველოში გადასვლა და იმერეთის შემოერთება. ეს ბოლო ამბავი სწავლულ ბატონიშვილს 1330 წლით აქვს დათარიღებული: „ქ(ორონიკონ)სა ჩ`ტლ (1330 წ.), ქართულსა 13 (18+1312=1330 წ.)“. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 256-257. შესაბამისად, ირკვევა, რომ ვახუშტი ბაგრატიონი სარგის ბექას ძის მიერ ათაბაგ-ამირსპასალარობის მიღების ფაქტს 1330 წლის წინარე ხანებით ათარიღებდა.

ა რ⁶ტ³ზ (1387 წ.), ქართულსა ო⁷ე (75+1312=1387 წ.). ხოლო თემურ ტყუე-ჰყვანა მეფე და დედოფალი... ხოლო ძე მეფის ბაგრატიისა გიორგი (შემდგომში, მეფე გიორგი VII – ავტორები) დამძიმდა ფრიად სმინებითა ესრეთითა, ნარმოვიდა იმერეთიდან და მოვიდა ქართლს... შემოიკრიბნა სპანი, რათა მივიდეს და შემოიმტკიცოს კუალად ათაბაგი ბექა... შემდგომად მოკუდა ათაბაგი ბექა ქ(რისტე)ს აქათსა რ⁶ტ³შ (1391 წ.), ქართულსა ო⁷თ (79+1312=1391 წ.) და ნებითა მეფის ძის გიორგისათა დაჯდა ათაბაგად ძე ბექასი იოვანე“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები).⁷⁶

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ს II ფრაგმენტი: „ესრეთ რამეთუ მოკუდა სარგის ჯაყელი, ძე ბექასი, ქ(ორონიკონს)ა რ⁶ტ³ლ (1334 წ.), ქარ. ო⁷ზ (22+1312=1334 წ.) და დასუა ბრწყინვალემან მეფემან გიორგიმ ყუარყუარე ძე სარგისისა, მოკუდა ესე ყვარყვარე ქ(ორონიკონს)ა რ⁶ტ³ღ (1361 წ.), ქარ. მ⁷თ (49+1312=1361 წ.), დასუა ძე ყუარყუარესი დიდმან მეფემან ბაგრატ ბექა, მოკუდა ესე ბექა ქ(ორონიკონს)ა რ⁶ტ³შ (1391 წ.), ქარ. ო⁷თ (79+1312=1391 წ.), და დასუა იოვანე, ძე ბექასი, დიდის ბაგრატის ძემან გიორგიმ. მოკუდა ესე იოვანე ქ(ორონიკონს)ა რ⁶შმ (1444 წ.), ქარ. რ⁶ლ³ (132+1312=1444 წ.)...“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები).⁷⁷

„ქრონოლოგიური ცხრილი“: „ქ(ორონი)კ(ო)ნები ჩვენ მიერ პოვნილნი ნიგნებთა შ(ინ)ა... ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1334, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი ო⁷ზ (22+1312=1334 წ.). მოკუდა ათაბაგი სარგის, დასვა გიორგი მ(ე)ფ(ე)მან ათაბაგად ძე მისი ყვარყვარე... ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1361, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი მ⁷თ (49+1312=1361 წ.)... კ(უალა)დ მოკუდა ათაბაგი ყვარყვარე, ბაგრატ მ(ე)ფ(ე)მან დასვა ძე მისი ბექა... ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1391, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი ო⁷თ (79+1312=1391 წ.). მოკუდა ათაბაგი ბექა. და დაჯდა ნებითა გიორგისათა ათაბაგად ძე მისი იოვანე... ქ(რისტე)ს აქათი ქ(ორონი)კ(ო)ნი 1444, ქართული ქ(ორონი)კ(ო)ნი რ⁶ლ³ (132+1312=1344 წ.). და მოკუდა იოვანე ათაბაგი...“ (ქარაგმის გახსნა ჩვენია – ავტორები).⁷⁸

ციტირებულ ფრაგმენტებზე დაყრდნობით, ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შემოთავაზებული გენეალოგიურ-ქრონოლოგიური სქემა შეგვიძლია შემდეგი სახით დავადგინოთ:

1. ათაბაგ-ამირსპასალარი (1330 წ-ის წინარე ხანები – 1334 წ.) სარგის, ძე სამცხის მთავრის ბექასი;
2. ათაბაგი ყვარყვარე (1334-1361 წწ.), ძე ათაბაგ-ამირსპასალარის სარგისისა;
3. ათაბაგი ბექა (1361-1391 წწ.), ძე ათაბაგ ყვარყვარესი;

⁷⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 256, 258, 260-265.

⁷⁷ იქვე, 702.

⁷⁸ იქვე, 895-896.

ბადის მიერ გამოვლენილი ათაბაგ-ამირსპასალარი აღბულა.⁸¹ ამასთან, პავლე ინგოროყვამ, რაიმე არგუმენტაციის გარეშე, გამოთქვა მოსაზრება, რომ შალვა ბექას ძე ათაბაგ-ამირსპასალარის ნოდებას 1370 წლამდე ატარებდა, ხოლო ამავ 1370 წლიდან ათაბაგ-ამირსპასალარობას უკვე აღბულა ფლობდა:

1. მანდატურთუხუცესი სარგის II (1309-1334 წწ.), უფროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

2. სამცხის სპასალარი (1309-1330/1335 წწ.) და ამირსპასალარი (1330/1335-1361 წწ.) ყვარყვარე II, შუათანა ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

3. ათაბაგი და სამცხის სპასალარი (1330/1335-1361 წწ.), ათაბაგ-ამირსპასალარი (1361-1370 წწ.) შალვა, უმცროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

4. ათაბაგ-ამირსპასალარი აღბულა (1370-1391 წწ.);

5. ათაბაგ-ამირსპასალარი ივანე II (1391-1444 წწ.).⁸²

საქართველო: კაციაზიზი: ჟინს: კაქლიკაქი: ცხნ: “Небесных существ Существа Бога-Отца Единосущному Богу-Сыну Иисусу, смиревшему себя за нас принятием плоти, из скудных вещей украсил святого лика Твоего страшный чудесами образ..... уповающий на Тебя.... уделом твоим сын великаго сахит-ухуцеса Беки, атабег и спасалар Самихе Шалва... прими малые сии дары милостей Твоих и в будущей жизни сопричисли меня к стоящим одесную Тебя!” Димитрий Бакрадзе, *Археологическое путешествие по Гурии и Абхазии* (Санкт-Петербург, 1878), 110-111, атлас, с одной картой и с четырьмя чертежами, I, №4. პავლე ინგოროყვა შალვა ბექას ძეზე საუბრისას, ლიხაურის ხატის წარწერის გარდა, ემყარებოდა კიდევ ორ წერილობით ძეგლს: XIV საუკუნის ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერლის ე.წ. „ასწლოვან მატიანესა“ და იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნს, აგრეთვე, ჭულეს მონასტრის ფრესკულ პორტრეტს (ამ წერილობით ძეგლებსა და ფრესკული პორტრეტის განმარტებით წარწერაში შალვა მხოლოდ სახელით არის მოხსენიებული). ინგოროყვა, „რუსთველიანას ეპილოგი“, 586-587, 589-590, 592.

⁸¹ პავლე ინგოროყვა აღბულაზე საუბრისას ემყარებოდა მხოლოდ სამ წერილობით ძეგლს: „ბექა-აღბულას სამართლის წიგნს“, მიქაელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკასა“ და იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნს. ინგოროყვა, „რუსთველიანას ეპილოგი“, 586-587, 592.

⁸² პავლე ინგოროყვა, „რუსთველიანას ეპილოგი“, *თხზულებათა კრებული*, I (თბილისი, 1963), 583, 585-592, 705-706, 765-766, 770-771. როგორც ვხედავთ, პავლე ინგოროყვამ ზემოთ აღნიშნული ცვლილებების გარდა, რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი კორექტივიც შეიტანა ვახუშტი ბაგრატიონის სქემაში. მან, მაგალითად, გამოთქვა მოსაზრება: რომ ამირსპასალარი ყვარყვარე II იყო არა მანდატურთუხუცეს სარგის II-ის, არამედ მანდატურთუხუცეს ბექა I-ის ვაჟი (შდრ. სარგის კაკაბადის მიერ გამოთქმულ ანალოგიური ხასიათის მოსაზრებას); რომ ეს ყვარყვარე II სამცხის სპასალარის თანამდებობას ფლობდა მამის გარდაცვალების შემდეგ, 1309-1330/1335 წლებში, ხოლო ამირსპასალარობას – 1330/1335-1361 წლებში; რომ, შალვა, მანდატურთუხუცეს ბექას უმცროსი ვაჟი, სამცხის სპასალარობას და დამატებით, ათაბაგობასაც, ფლობდა ძმის, ყვარყვარე II-ის მიერ ამირსპასალარობის მიღების შემდეგ, 1330/1335-1361 წლებში, ხოლო ათაბაგ-ამირსპასალარობას – ყვარყვარე II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1361-1370 წლებში; და სხვ. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ ვახუშტი ბაგრატიონის სქემაში, სარგის კაკაბადისა და პავლე ინგოროყვას მსგავსად, არაერთი მნიშვნელოვანი ცვლილება აქვთ შეტანილი სხვა ქართველ და უცხოელ მკვლევრებსაც: იური სიხარულიძეს, კირილე თუმანოვს, მირიან რეხვიაშვილს, დარეჯან კლდიაშვილსა და

პავლე ინგოროყვას შემდეგ განსახილავ საკითხს იური სიხარულიძე შეეხო. მკვლევარმა, აგრეთვე, არსებითი ხასიათის ცვლილებები შეიტანა ვახუშტი ბაგრატიონის სქემაში. იური სიხარულიძემ ამ სქემიდან, პავლე ინგოროყვას მსგავსად, უპირობოდ ამოიღო მანდატურთუხუცეს ბექა II-ის, როგორც არარსებული ისტორიული პირის სახელი და მის ნაცვლად, განსახილავ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (1361-1391 წწ.) სამცხის ორი სხვა მთავრის სახელი აღადგინა. ესენი არიან: 1. ათაბაგ-ამირსპასალარი ყვარყვარე II, შუათანა ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;⁸³ და 2. სარგის კაკაბაძის მიერ გამოვლენილი ათაბაგ-ამირსპასალარი ალბულა I, რომელიც მკვლევრის აზრით, სწორედ ამ ყვარყვარე II-ის ვაჟი იყო.⁸⁴ იური სიხარულიძის დაკვირვებით, ყვარყვარე II ათაბაგ-ამირსპასალარობას 1360-იანი წლების I ნახევარში ფლობდა, ამავე 1360-იანი წლებიდან 1380-იანი წლების მიწურულამდე კი ათაბაგ-ამირსპასალარის წოდებას უკვე მისი ვაჟი, ალბულა ატარებდა:

1. ათაბაგი (1320-1334 წწ.) და სამცხის სპასალარი სარგის II, უფროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

2. ათაბაგი ყვარყვარე I (1334-1361 წწ.), უფროსი ძე ათაბაგის და სამცხის სპასალარის სარგის II-ისა;

3-4. ათაბაგ-ამირსპასალარი (1360-იანი წწ-ს I ნახ.) ყვარყვარე II, შუათანა ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

3-4. ათაბაგი და სამცხის სპასალარი (?) შალვა, უმცროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

მიხეილ ბახტაძეს. სამწუხაროდ, აღნიშნული ცვლილებების განხილვა ძალზედ სცილდება ჩვენი წინამდებარე ნაშრომის ინტერსების სფეროს. ამიტომ, ამ ცვლილებების, კორექტივებისა და დაზუსტებების თაობაზე ჩვენს სხვა ნაშრომებში გვექნება საუბარი.

⁸³ იური სიხარულიძე ყვარყვარე ბექას ძეზე საუბრისას ემყარებოდა: ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეს“, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნის 273 ალაპს („[თუესა ივლისსა კ (20)]. ამ(ა)სვე დღესა ალაპი შ(ა)ნშას შვილის შვ(ი)ლისა ალბულასი, შეუენდვენ ღმერთმან. და აღმსრულებელნი ამისნი აკურთხენს ღმერთმან. გაუჩინა ყვარყუ<ა>რ<ე>ს მეოლლ(ე)მ(ა)ნ ბურ(ე)ნა“ (მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 104), ანჩის მაცხოვრის ხატის წარწერასა და ათაბაგ-ამირსპასალარ ყვარყვარეს მიერ მცხეთისათვის მიცემულ 1363 წლის საბუთს „სოფელ კორდოვში“ მოსახლე „მახარაძის“ შეწირვის შესახებ (საბუთი დღეისათვის დაკარგულია. მის შესახებ თედო ჟორდანიას აღნიშნავს შემდეგს: „ეს ცნობა რუსულს გუჯართნუსხაში იპოვება და თვით გუჯარი ვერ აღმოვაჩინე სინ. კანტ. სიგლებში“. ქრონიკები, II, 183, 185), აგრეთვე, საფარის, ზარზმისა და ჭულეს მონასტრების ფრესკული პორტრეტების განმარტებით წარწერებს (ყვარყვარე II საფარასა და ჭულეში მხოლოდ სახელით არის მოხსენიებული, ხოლო ზარზმაში – ამირსპასალარის წოდებით: „ამირსპასალარი ყვარყუარა“). სიხარულიძე, „სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან“, 38, 46-49.

⁸⁴ იური სიხარულიძე ალბულა I-ზე საუბრისას ემყარებოდა მხოლოდ სამ წერილობით ძეგლს: „ბექა-ალბულას სამართლის წიგნს“, შერეფ ად-დინ ალი იეზდის „ზაფარ-ნამე“-ს და მიქაელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკას“. სიხარულიძე, „სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან“, 47, 49-51.

5. ათაბაგ-ამირსპასალარი (1360-იანი წწ. – 1380-იანი წწ-ის დასასრ.) აღბულა I, ძე ათაბაგ-ამირსპასალარ ყვარყვარე II-ისა;

6. ათაბაგი იოანე (1390-იანი წწ-ის დასაწყ. – 1444 წ.), ძე ათაბაგ-ამირსპასალარ აღბულა I-ისა.⁸⁵

სრულებით საპირისპირო დასკვნამდე მივიდა კირილე თუმანოვი. მან, პავლე ინგოროყვასა და იური სიხარულიძისაგან განსხვავებით, სრული ნდობა გამოუცხადა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შემოთავაზებულ სქემას და გამოთქვა მოსაზრება, რომ სწავლული ბატონიშვილის მიერ ნახსენები მანდატურთუხუცესი ბექა II და სარგის კაკაბაძის მიერ გამოვლენილი ათაბაგი აღბულა, რეალურად, ერთი და იგივე პირი იყო. გარდა ამისა, კირილე თუმანოვმა სავსებით სარწმუნოდ მიიჩნია ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ბექა II-ის ზეობის 1361-1391 წლებით დათარიღების თაობაზე და ზუსტად ამავე 1361-1391 წლებით განსაზღვრა ბექა II-სთან გაიგივებული აღბულა I-ის ათაბაგობის ქრონოლოგიაც:

1. ათაბაგი და ამირსპასალარი (1318-1334 წწ.) სარგის II, უფროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

2. ათაბაგი (1334-1361 წწ.) ყვარყვარე II, ძე ათაბაგის და ამირსპასალარის სარგის II-ისა;

3. ათაბაგი (1361-1391 წწ.) ბექა II, იგივე აღბულა, ძე ათაბაგ ყვარყვარე II-ისა;

4. ათაბაგი (1391-1444 წწ.) ივანე III, ძე ათაბაგ ბექა II-ის, იგივე აღბულა-სი.⁸⁶

კირილე თუმანოვის შემდეგ განსახილავ საკითხს, პრაქტიკულად, ერთდროულად შეეხნენ მირიან რეხვიაშვილი და დარეჯან კლდიაშვილი.

მირიან რეხვიაშვილმა სარწმუნოდ არ მიიჩნია იური სიხარულიძისა და კირილე თუმანოვის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და თითქმის მთლიანად პავლე ინგოროყვას მიერ შემოთავაზებულ დებულებებს დაუბრუნდა.⁸⁷ მკვლევარმა ვახუშტი ბაგრატიონის სქემიდან უპირობოდ ამოიღო მანდატურთუხუცეს ბექა II-ის, როგორც არარსებული ისტორიული პირის სახელი და მის ნაცვლად, შესაბამის ქრონოლოგიურ მონაკვეთში (1361-1391 წწ.) პავლე ინგოროყვას მიერ დასახელებული ორი სხვა ისტორიული პირის სახელი აღადგინა. ესენი არიან: 1. ლიხაურის მაცხოვრის ხატის წარწერაში ათაბაგად და სამ-

⁸⁵ სიხარულიძე, „სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან“, 38-51.

⁸⁶ Cyrille Toumanof, *Manuel de Genealogie et de Chronologie pour l'histoire de la Caucasic Chretienne (Armenie-Georgie-Albanie)* (Roma, 1976), 205-206.

⁸⁷ სამწუხაროდ, მირიან რეხვიაშვილის სტატიაში გაკვრითაც კი არ არის ნახსენები პავლე ინგოროყვა და მისი შესაბამისი ნაშრომი. არადა, მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრებების ერთი ნაწილი სწორედ პავლე ინგოროყვას მიერ შემოთავაზებული დებულებების გამეორებას წარმოადგენს.

ცხის სპასალარად მოხსენიებული შალვა, ძე მანდატურთუხუცეს ბექასი;⁸⁸ და 2. ჩვენთვის საინტერესო ათაბაგ-ამირსპასალარი აღბულა, რომელსაც, მირიან რეხვიაშვილის აზრით, ზესხევის წმ. თევდორეს ეკლესიის წარწერაში ჩამოთვლილი ჰყავს თავისი უშუალო წინაპრები: მამა – შალვა, პაპა (მამის მამა) – ბექა I და დიდი პაპა (პაპის მამა) – სარგის I.⁸⁹ გარდა ამისა, მირიან რეხვიაშვილმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მიქაელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკაში“ აღბულა 1374 წლის მოვლენებთან დაკავშირებით არის მოხსენიებული, აღნიშნული ქრონოლოგიური მონაცემი, როგორც ჩანს, აღბულას ზეობის ათვლის წერტილად აიღო (?) და საბოლოოდ, გამოთქვა მოსაზრება, რომ შალვა ბექას ძე სამცხის სპასალარისა და ათაბაგის სახელოებს 1374 წლამდე ფლობდა, ამავე 1374 წლიდან კი ათაბაგ-ამირსპასალარის წოდებას უკვე მისი ვაჟი, აღბულა I ატარებდა:

1. სამცხის სპასალარი და მანდატურთუხუცესი სარგის II (1308-1334 წწ.), უფროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

2. ამირსპასალარი ყვარყვარე I (1334-1361 წწ.), შუათანა ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

3. სამცხის სპასალარი და ათაბაგი შალვა (1361-1374 წწ.), უმცროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

4. ათაბაგ-ამირსპასალარი აღბულა I (1374-1391 წწ.), ძე სამცხის სპასალარის და ათაბაგის შალვასი.⁹⁰

მირიან რეხვიაშვილისაგან საკმაოდ განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა დარეჯან კლდიაშვილი. მან დეტალურად შეისწავლა განსახილავი საკითხი, სრულად გაიზიარა კირილე თუმანოვის მიერ გამოთქმული მოსაზრება და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ნახსენები მანდატურთუხუცესი ბექა II და სარგის კაკაბაძის მიერ გამოვლენილი ათაბაგ-ამირსპასალარი აღბულა, აგრეთვე, ერთი და იმავე პირად მიიჩნია.⁹¹ რაც შეეხება აღბულა I-ის ზეობის ქრონოლო-

⁸⁸ მირიან რეხვიაშვილი შალვა ბექას ძეზე საუბრისას, ლიხაურის ხატის წარწერის გარდა, ემყარებოდა კიდევ ოთხ წერილობით ძეგლს: ანონიმი ქართველი ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატთანეს“, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნს, ანჩის მაცხოვრის ხატის წარწერასა და ზესხევის წმ. თევდორეს ეკლესიის წარწერას, აგრეთვე, ჭულესა და საფარის მონასტრების ფრესკულ პორტრეტებს (ამ წერილობით ძეგლებსა და ფრესკული პორტრეტების განმარტებით წარწერებში შალვა მხოლოდ სახელით არის მოხსენიებული). რეხვიაშვილი, „შალვა, სამცხის სპასალარი და ათაბაგი“, 40-43.

⁸⁹ მირიან რეხვიაშვილი აღბულაზე საუბრისას ემყარებოდა მხოლოდ სამ (?) წერილობით ძეგლს: მიქაელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკას“, ზესხევის წმ. თევდორეს ეკლესიის წარწერასა და სავარაუდოდ, „ბექა-აღბულას სამართლის წიგნს“. რეხვიაშვილი, „შალვა, სამცხის სპასალარი და ათაბაგი“, 41-43.

⁹⁰ მირიან რეხვიაშვილი, „შალვა, სამცხის სპასალარი და ათაბაგი (1361-1374 წწ.)“, *ძეგლის მეგობარი*, 3 (1986), 40-43.

⁹¹ დარეჯან კლდიაშვილი აღბულაზე საუბრისას ემყარებოდა რამდენიმე წერილობით ძეგლს: „ბექა-აღბულას სამართლის წიგნს“, მიქაელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკას“,

გიას, დარეჯან კლდიაშვილმა, როგორც ჩანს, სავსებით მისაღებად ჩათვალა ამ საკითხის შესახებ იური სიხარულიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება და აღბუღა I-ის ათაბაგ-ამირსპასალარობის ქრონოლოგია, თავადაც, 1360-1380-იანი წლებით განსაზღვრა:

1. სამცხის სპასალარი (1293 წ-ის წინ. ხან. – 1334 წ.), მანდატურთუხუცესი (1308-1334 წწ.) და ათაბაგი (? – 1334 წწ.) სარგის II, უფროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

2. ათაბაგი (1334-1361 წწ.) (?), ამირსპასალარი (? – 1361 წწ.) და სამცხის სპასალარი (1334 წ. – ?) ყვარყვარე I, შუათანა ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

3. ათაბაგ-ამირსპასალარი აღბუღა I, იგივე ბექა II (1360-1380-იანი წწ.), ძე ათაბაგის, ამირსპასალარის და სამცხის სპასალარის ყვარყვარე I-ისა;

4. ათაბაგი იოანე (1391 წ-დან), ძე ათაბაგ-ამირსპასალარის აღბუღა I-ის, იგივე ბექა II-ისა.⁹²

განსახილავ საკითხს სულ ბოლოს მიხეილ ბახტაძე შეეხო. მკვლევარმა ვახუშტი ბაგრატიონის სქემიდან, პავლე ინგოროყვას, იური სიხარულიძისა და მირიან რეხვიაშვილის მსგავსად, უპირობოდ ამოიღო მანდატურთუხუცეს ბექა II-ის, როგორც არარსებული ისტორიული პირის სახელი, ოღონდ, დასახელებულ მკვლევართაგან განსხვავებით, აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (1361-1391 წწ.), ბექა II-ის ნაცვლად, აღადგინა არა ორი, არამედ ერთი ისტორიული პირის, სარგის კაკაბაძის მიერ გამოვლენილი ათაბაგ-ამირსპასალარის აღბუღა I-ის სახელი.⁹³ მკვლევრის დაკვირვებით, ეს აღბუღა I სწორედ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შემოთავაზებულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, ანუ 1361-1391 წლებში ფლობდა ათაბაგ-ამირსპასალარის სახელს:

1. სამცხის სპასალარი (1280-იანი წწ. – 1327 წ.) და ათაბაგ-ამირსპასალარი (1327-1334 წწ.) სარგის I, უფროსი ძე მანდატურთუხუცეს ბექა I-ისა;

2. ათაბაგ-ამირსპასალარი (1334-1361 წწ.) და სამცხის სპასალარი (?)

ზესხევის წმ. თევდორეს ეკლესიის წარწერასა და ზევდგინისძის საჩივრის წიგნს, აგრეთვე, სპარსელი და სპარსულენოვანი ავტორების: ნიზამ ად-დინ შამის, შერეფ ად-დინ ალი იეზდის, აბდ არ-რეზაყ სამარყანდის, მუინ ად-დინ ნათანზის, ისქანდერის ანონიმის, ფასი-ჰი ხაფის, მირზონდისა და ხონდეშირის ცნობებს, უფრო ზუსტად კი, დევი კაციტაძის ინფორმაციას ამ ცნობების შინაარსის შესახებ. კლდიაშვილი, ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, 100-104, 134, 136, 139-140, 143-144. აქვე, ვსარგებლობთ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებთ დარეჯან კლდიაშვილს, რომელმაც საშუალება მოგვცა, გავცნობოდით მისი საკანდიდატო დისერტაციის საავტორო ეგზემპლარს.

⁹² კლდიაშვილი, ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, 59, 68, 78-79, 100-104, 131-152. შდრ. კლდიაშვილი, „ხოვლეს (ზესხევის) წარწერები“, 70.

⁹³ მიხეილ ბახტაძე აღბუღაზე საუბრისას ემყარებოდა მხოლოდ სამ წერილობით ძეგლს: „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს“, მიქაელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკასა“ და ზესხევის წმ. თევდორეს ეკლესიის წარწერას. ბახტაძე, *ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია*, 46-47, 51-52.

ყვარყვარე I, უფროსი ძე სამცხის სპასალარ და ათაბაგ-ამირსპასალარ სარგის II-ისა;

3. ათაბაგი (?) და სამცხის სპასალარი (?) შალვა, უმცროსი ძე მანდატურ-თუხუცეს ბექა I-ისა;⁹⁴

4. ათაბაგ-ამირსპასალარი აღბულა I (1374-1391 წწ.), ძე ათაბაგის და სამცხის სპასალარის შალვასი;

5. ათაბაგი ივანე (1391-1344 წწ.), ძე ათაბაგ-ამირსპასალარ აღბულასი.⁹⁵

როგორც ვხედავთ, ზემოთ განხილულ ავტორებს აღბულა I-ის ათაბაგ-ამირსპასალარობის სარგის კაკაბაძის მიერ დადგენილი ქრონოლოგია (XIV ს-ის II ნახ.) ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული სახით აქვთ დაზუსტებული. კერძოდ, პავლე ინგოროყვას აღბულა I-ის ათაბაგ-ამირსპასალარობა დათარიღებული აქვს 1370-1391 წლებით, იური სიხარულიძესა და დარეჯან კლდიაშვილს – 1360-1380-იანი წლებით, კირილე თუმანოვსა და მიხეილ ბახტაძეს – 1361-1391 წლებით, ხოლო მირიან რეხვიაშვილს – 1374-1391 წლებით.

ამ ქრონოლოგიური მონაცემებიდან წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ

⁹⁴ სამწუხაროდ, მიხეილ ბახტაძის ნაშრომში შალვა ბექას ძის ათაბაგობისა და სამცხის სპასალარობის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით, გარკვეული ბუნდოვანება შეინიშნება, რის გამოც მკვლევრის მიერ ამ საკითხის თაობაზე გამოთქმული მოსაზრების რეზიუმირება ვერ შეეძლებოდა. კერძოდ, მიხეილ ბახტაძე ერთგან აღნიშნავს შემდეგს: „XIV საუკუნის 30-90-იან წლებში მოღვაწე ათაბაგთა ქრონოლოგია, ჩვენი აზრით, შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ: 1334 წელს ათაბაგი გახდა სარგის II-ის ძე ყვარყვარე II, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ (პირობითად 1361 წელს) მისი ბიძა, სარგის II-ის უმცროსი ძმა შალვა. შალვას შემდეგ ათაბაგი ამ უკანასკნელის შვილი აღბულა გახდა“. ბახტაძე, *ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია*, 44-56. როგორც ვხედავთ, მკვლევრის ამ მოსაზრების თანახმად, შალვა ბექას ძემ ათაბაგობა მიიღო, პირობითად, 1361 წელს, ხოლო მისმა ვაჟმა აღბულამ – კიდევ უფრო მოგვიანებით, შალვას გარდაცვალების შემდეგ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საკმაოდ განსხვავებულ სურათს ვაწყდებით ამავე ნაშრომის სხვა ადგილას, უფრო ზუსტად კი, XI-XV საუკუნეებში მოღვაწე ჯაყელების გენეალოგიურ ცხრილში, რომელიც ნაშრომს ბოლოში აქვს დართული. ამ ცხრილში ყვარყვარე სარგისის ძის სამცხის მთავრობის ქრონოლოგია განსაზღვრულია 1334-1361 წლებით, ხოლო აღბულა შალვას ძის სამცხის მთავრობის ქრონოლოგია – 1361-1391 წლებით. რაც შეეხება თავად შალვას, გენეალოგიურ ცხრილში მისი სამცხის მთავრობის ქრონოლოგია მითითებული საერთოდ არ არის. ბახტაძე, *ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია*, 78. მაშასადამე, გენეალოგიური ცხრილიდან გამომდინარეობს, რომ ყვარყვარე სარგისის ძის გარდაცვალების შემდეგ, ანუ 1361 წელს, სამცხის მთავარი, შესაბამისად კი, ათაბაგი, გახდა აღბულა შალვას ძე. ეს დებულება აშკარა წინააღმდეგობაში მოდის ზემოთ ციტირებულ ფრაგმენტთან, სადაც აღნიშნულია, რომ 1361 წელს ათაბაგის სახელო, მასთან ერთად კი, სამცხის მთავრობა, მიიღო არა აღბულა შალვას ძემ, არამედ თავად შალვამ. ამრიგად, საფიქრებელია, რომ მიხეილ ბახტაძის ნაშრომის ამ ნაწილში რაღაც მნიშვნელოვანი უზუსტობაა გაპარული და სანამ მკვლევარი თავად არ დააზუსტებს ამ ბუნდოვან ადგილს, მანამდე შეუძლებელი იქნება იმის თქმა, თუ, რეალურად, რა პერიოდით განსაზღვრავს იგი შალვა ბექას ძის ათაბაგობისა და სამცხის სპასალარობის ქრონოლოგიას.

⁹⁵ ბახტაძე, *ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია*, 44-56, 78.

აღბულა I-ის მიერ ათაბაგ-ამირსპასალარის სახელოს მიღების თარიღზე გავამახვილებთ ყურადღებას. საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ მკვლევართა მიერ შემოთავაზებული ყველა თარიღი, რეალურად, ორ წერილობით ძეგლზეა დამყარებული. ეს ძეგლებია: 1. ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც აღნიშნულია, რომ მანდატურთუხუცესმა ბექა II-მ, ანუ, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, იგივე ათაბაგ-ამირსპასალარმა აღბულა I-მა (კირილე თუმანოვი, დარეჯან კლდიაშვილი), ხოლო მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, არარსებულმა ისტორიულმა პირმა, რომელიც სწავლული ბატონიშვილის თხზულებაში, შეცდომით, აღბულა I-ის ნაცვლად არის დასახელებული (პავლე ინგოროყვა, იური სიხარულიძე, მირიან რეხვიაშვილი, მიხეილ ბახტაძე), ათაბაგის თანამდებობა დაიკავა 1361 წელს; და 2. მიქაელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“, სადაც 1374 წლის ამბებთან დაკავშირებით, პირდაპირ არის მოხსენიებული აღბულას, როგორც საქართველოს მეფის დავით IX-ის ასულისა და ტრაპიზონის მომავალი იმპერატორის მანუილ III-ის თანამეცხედრის, დედოფალ გულქან-ხათუნის, იგივე ევდოკიას ბიძის (დედის ძმის) სახელი.

ამ ორი წერილობითი ძეგლის საფუძველზე, კირილე თუმანოვი და მიხეილ ბახტაძე აღბულა I-ის მიერ ათაბაგ-ამირსპასალარის სახელოს მიღებას 1361 წლით ათარიღებენ, იური სიხარულიძე და დარეჯან კლდიაშვილი – 1360-იანი წლებით, პავლე ინგოროყვა – 1370 წლით, ხოლო მირიან რეხვიაშვილი – 1374 წლით.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ვერც ერთ ამ შემოთავაზებულ თარიღს და საპირისპიროდ ამისა, A-85-ის კინკლოსური მინაწერების საბოლოოდ დადგენილ ტექსტებზე დაყრდნობით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ აღბულა I-ს ამირსპასალარის სახელო, მასთან ერთად კი, სავარაუდოდ, ათაბაგის წოდებაც, მიღებული ჰქონდა არა 1361, 1360-იან, 1370 ან 1374 წლებში, არამედ გაცხილებით უფრო ადრე, სულ გვიან, 1350-იანი წლების დასაწყისისათვის მაინც.

ამგვარი დასკვნისაკენ, პირველ რიგში, გვიბიძგებს A-85-ის II, 1356 წლით დათარიღებული კინკლოსური მინაწერი, სადაც აღბულა I სწორედ ამირსპასალარის წოდებით არის მოხსენიებული. ამგვარი დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს A-85-ის I, 1352 წლით დათარიღებული კინკლოსური მინაწერიც, სადაც, მართალია, ამირსპასალარის სახელი პირდაპირ მითითებული არ არის, მაგრამ, ვფიქრობთ, ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ აქაც აღბულა I-ია ნაგულისხმევი.

სხვათა შორის, ის ფაქტი, რომ ზემოთ დასახელებულ მკვლევრებს აღბულა I-ის მიერ ათაბაგ-ამირსპასალარობის მიღების თარიღი, მთლიანობაში, 1360-1370-იანი წლებით ჰქონდათ განსაზღვრული, გასაკვირი სულაც არ არის, ვინაიდან მათ ხელთ არსებული მწირი წერილობითი მასალა ამ ფაქტის 1361 წელზე უფრო ადრეული პერიოდით დათარიღების საშუალებას, უბრალოდ, არ იძლეოდა. A-85-ის კინკლოსური მონაწერების ტექსტების საბოლოოდ დადგე-

ნის შემდეგ სურათი არსებითად შეიცვალა, შესაბამისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა ორი ახალი წერილობითი ძეგლით, 1352 და 1356 წლებით დათარიღებული კინკლოსური მინანერებით გამდიდრდა, რის შედეგადაც ალბულა I-ის მიერ ათაბაგ-ამირსპასალარობის მიღების თარიღმა ავტომატურად ჩაინია ქვემოთ, 1350-იან წლებში და საბოლოოდ, განსახილავი ფაქტის ქრონოლოგია, დაახლოებით, 1350-იანი წლების დასაწყისით განისაზღვრა.

მას შემდეგ, რაც A-85-ის კინკლოსურ მინანერებზე დაყრდნობით, შეძლებისდაგვარად დავაზუსტეთ ალბულა I-ის მიერ ათაბაგ-ამირსპასალარის სახელის მიღების თარიღი, აუცილებლად უნდა შევეხოთ კიდევ ერთ საინტერესო საკითხს, რომელიც ალბულა I-ის წინამორბედი XIV საუკუნის სამცხის მთავრების ზეობის ზედა ქრონოლოგიური ზღვრის დაზუსტებასთან არის დაკავშირებული.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ დღეისათვის სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ, სახელდობრ, ვინ ფლობდა ათაბაგ-ამირსპასალარის, ათაბაგის ან ამირსპასალარის სახელოებს ალბულა I-მდე. მკვლევრები განსახილავ პერიოდში აღნიშნულ სახელმწიფო თანამდებობებზე სულ ოთხ პირს ასახელებენ. ესენი არიან:

1. სარგის ბექას ძე: ათაბაგ-ამირსპასალარი – 1327-1334 წლები (მიხეილ ბახტაძე); ათაბაგი – 1320-1334 წლები (იური სიხარულიძე); ათაბაგი – დაუდგენელი დროიდან 1334 წლამდე (დარეჯან კლდიაშვილი);

2. ყვარყვარე ბექას ძე: ათაბაგ-ამირსპასალარი – 1360-იანი წლების I ნახევარი (იური სიხარულიძე); ათაბაგი – 1334-1361 (?) წლები (დარეჯან კლდიაშვილი); ამირსპასალარი – 1330/1335-1361 წლები (პავლე ინგოროყვა); ამირსპასალარი – 1334-1361 წლები (მირიან რეხვიაშვილი); ამირსპასალარი – დაუდგენელი დროიდან 1361 წლამდე (დარეჯან კლდიაშვილი);

3. შალვა ბექას ძე: ათაბაგ-ამირსპასალარი – 1361-1370 წლებში (პავლე ინგოროყვა); ათაბაგი – 1330/1335-1361 წლები (პავლე ინგოროყვა); ათაბაგი – დაუდგენელი დრო (იური სიხარულიძე, მიხეილ ბახტაძე); ათაბაგი – 1361-1374 წლები (მირიან რეხვიაშვილი);

4. ყვარყვარე სარგისის ძე: ათაბაგ-ამირსპასალარი – 1334-1361 წლები (იური სიხარულიძე, მიხეილ ბახტაძე).

ჩვენ, ამ უაღრესად რთული და ბუნდოვანი საკითხის შესახებ საკუთარი მოსაზრების გამოთქმისაგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებთ. თუმცა, აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ერთი რამ სრულყოფით ცხადია: სარგის, ყვარყვარე და შალვა ბექას ძეების, აგრეთვე, ყვარყვარე სარგისის ძის ათაბაგ-ამირსპასალარობის, ათაბაგობისა თუ ამირსპასალარობის ქრონოლოგია შეუძლებელია განისაზღვროს 1350-იანი წლების დასაწყისზე უფრო გვიანდელი პერიოდით.

აღნიშნული მოსაზრების გამოთქმისას ჩვენ მთლიანად ვემყარებით

A-85-ის 1352 და 1356 წლების კინკლოსური მინაწერების საბოლოოდ დადგენილ ტექსტებს, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ 1350-იანი წლების დასაწყისისათვის ამირსპასალარის სახელოს, მასთან ერთად კი, სავარაუდოდ, ათაბაგობას, უკვე ნამდვილად აღბუღა I ფლობდა.

ამრიგად, დგინდება, რომ ათაბაგ-ამირსპასალარ აღბუღა I-ის სავარაუდო წინამორბედი სამცხის მთავრების: სარგის ბექას ძის, ყვარყვარე ბექას ძის, შალვა ბექას ძისა და ყვარყვარე სარგისის ძის ათაბაგ-ამირსპასალარობის, ათაბაგობისა თუ ამირსპასალარობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი განისაზღვრება არა 1361 წლით, 1360-იანი წლებით, 1370 წლითა თუ 1374 წლით, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ 1350-იანი წლების დასაწყისით და შესაბამისად, ხსენებულ პირთა ზეობის ქრონოლოგია, ნებისმიერი დაშვების შემთხვევაში, მთლიანად ექცევა XIV საუკუნის I ნახევრის ფარგლებში.

ამრიგად, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

ა) აღბუღა I-მა ამირსპასალარის სახელო, მასთან ერთად კი, სავარაუდოდ, ათაბაგის თანამდებობაც, მიიღო არა 1361 წელს, 1360-იანი წლებში, 1370 წელსა თუ 1374 წელს, როგორც ამას პავლე ინგოროყვა, იური სიხარულიძე, კირილე თუმანოვი, მირიან რეხვიაშვილი, დარეჯან კლდიაშვილი და მიხეილ ბახტაძე ფიქრობდნენ, არამედ – გაცილებით უფრო ადრე, დაახლოებით, 1350-იანი წლების დასაწყისში;

ბ) აღბუღა I-ის წინამორბედი XIV საუკუნის სამცხის მთავრების: სარგის ბექას ძის, ყვარყვარე ბექას ძის, შალვა ბექას ძისა და ყვარყვარე სარგისის ძის ათაბაგ-ამირსპასალარობის, ათაბაგობისა თუ ამირსპასალარობის ზედა ქრონოლოგიური ზღვარი განისაზღვრება არა 1361 წლით, 1360-იანი წლებით, 1370 წლითა თუ 1374 წლით, როგორც ამას პავლე ინგოროყვა, იური სიხარულიძე, კირილე თუმანოვი, მირიან რეხვიაშვილი, დარეჯან კლდიაშვილი და მიხეილ ბახტაძე ფიქრობდნენ, არამედ 1350-იანი წლების დასაწყისით და შესაბამისად, ხსენებულ პირთა ზეობის ქრონოლოგია, ნებისმიერი დაშვების შემთხვევაში, მთლიანად ექცევა XIV საუკუნის I ნახევრის ფარგლებში.

ბიბლიოგრაფია

აბუსერისძე ტბელი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატინანე, 1233 წლის ტექსტი. გამოსცა ლევან მუსხელიშვილმა. თბილისი, 1941

ტბელ აბუსერისძე. ცხოვრება ქვითხუროისა ბასილისა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო იური სიხარულიძემ. ბათუმი, 1981

ტბელ აბუსერისძე. გალობანი წმიდათა იოვანეთა: ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო რამაზ ხალვაშმა. ბათუმი, 1992

აბუსერისძე ტბელი. თხზულებანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნარგიზა გოგუაძემ, მიხეილ ქავთარიამ და რაულ ჩაგუნავამ. ბათუმი, 1998

ალაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა. ქართული დედანი 16 პალეოგრაფიული სურათითურთ გამოსცა ნიკო მარმა. სანკტ-პეტერბურგი, 1914

ახალი ქართლის ცხოვრება. მეორე ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი, 1959

ბახტაძე მიხეილ. ჯაყელთა საგვარეულოს ისტორია XI-XV საუკუნეებში. თბილისი, 2008

ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი II. თბილისი, 1959

ბერიძე ირმა. ივანე აბუსერისძის (XIV ს.) ამირსპასალარობისა და ჯაყელთა და აბუსერისძეთა დინასტიური ქორწინების (1352 წ.) საკითხისათვის. საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“. მოხსენებათა თეზისები. 5-8 ოქტომბერი. თბილისი, 2010

ბერძენიშვილი ნიკო. ფეოდალური ურთიერთობებიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი I. ტფილისი, 1937

გუჩუა ვიქტორ. ბექა II. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 2. თბილისი, 1977

გუჩუა ვიქტორ. სარგის II. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 9. თბილისი, 1985

გუჩუა ვიქტორ. ყვარყვარე I. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 10. თბილისი, 1986

დავითიშვილი ქეთევან. ქართული ნაქარგობის უძველესი ნიმუში. ძეგლის მეგობარი, 22, 1970

დოლიძე ისიდორე. ძველი ქართული სამართალი. თბილისი, 1953

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ქართული სამართლის ძეგლები.

ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფესორმა ისიდორე დოლიძემ. ტომი I. თბილისი, 1963

ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძეგრითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. ტომი IV. თბილისი, 1973

თაყაიშვილი ექვთიმე. არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო. ტომი III. ტფილისი, 1913-1914

ინგოროყვა პავლე. რუსთველიანას ეპილოგი. თხზულებათა კრებული. ტომი I. თბილისი, 1963

კაკაბაძე სარგის. ზარზმის მხატვრობის ისტორიულ პირების ვინაობის შესახებ. საისტორიო მოამბე. ნიგნი I. ტფილისი, 1925

კაკაბაძე სარგის. სჯულმდებელთა ბეჟას და აღბულას ვინაობა. ტფილისი, 1912

კაკაბაძე სარგის. იმერული ძველი გარიგების წიგნის ქრონიკის შესახებ. წგნ. კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. თფილისი, 1920

კაციტაძე დავით. „ისქანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, V. თბილისი, 1965

კაციტაძე დავით. ეპიზოდი XV საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიიდან. ცისკარი, 12, 1972

კაციტაძე დავით. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით). თბილისი, 1975

კლდიაშვილი დარეჯან. ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან (XI საუკუნე – XIV საუკუნის I ნახევარი). ნაშრომი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. თბილისი, 1981

კლდიაშვილი დარეჯან. ხოვლეს (ზესხევის) წარწერები. მრავალთავი, XIII, 1986

კლდიაშვილი დარეჯან. ქართული სამონასტრო სულთა მატრიანეები. ნიგნი I. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატრიანე. თბილისი, 2008

კორიძეთის საბუთები (X-XIII საუკუნეები). გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბილისი, 1989

ლომსაძე შოთა. ივანე II. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 5. თუთია-კოქტიელი. თბილისი, 1980

მეტრეველი ელენე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბილისი, 1962

მუსხელიშვილი ლევან. არქეოლოგიური ექსკურსიები მამავრის ხეობაში. თბილისი, 1941

მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინანერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა. თბილისი, 1968

მიქაელ პანარეტოსი. ამბავი ტრაპიზონის მეფეების, დიდი კომნენოსებისა, თითოეულმა როგორ, როდის და რამდენ ხანს იმეფა. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. ტომი VII. თბილისი, 1967

მიქელ პანარეტოსი. ტრაპიზონის ქრონიკა. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით, შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა ალექსანდრე გამყრელიძემ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 33. თბილისი, 1960

პირთა ანოტირებული ლექსიკონი. XI-XVII საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა, მზია სურგულაძემ. II. თბილისი, 1993

რეხვიაშვილი მირიან. შალვა, სამცხის სპასალარი და ათაბაგი (1361-1374 წწ.). ძეგლის მეგობარი, 3, 1986

სილოგავა ვალერი, შენგელია კახა. ტაო-კლარჯეთი. თბილისი, 2006

სიხარულიძე იური. ტბელ აბუსერისძე, XIII საუკუნის ქართველი მწერალი. თბილისი, 1963

სიხარულიძე იური. სამცხის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან XIII-XV საუკუნეებში. სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები, VIII, 1975

სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (ჰიშატაკარანების) ცნობები საქართველოს შესახებ. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი, 1978

სულავა ნესტან. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბილისი, 2003

ტაბატაძე კარლო. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971

ტაბატაძე კარლო. ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე. თბილისი, 1974

ქართული მწერლობა. ტომი III. თბილისი, 1988

ქართული პროზა. წიგნი III. მეთერთმეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების მწერლობა. თბილისი, 1982

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა. ტომი I. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თამარ ბრეგაძემ, მიხეილ ქავთარიამ და ლილი ქუთათელაძემ, ელენე მეტრეველის რედაქციით. თბილისი, 1973

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა,

შეკრებილი, ქრონოლოგიურად დანყობილი და ახსნილი თედო ჟორდანის მიერ. წიგნი მეორე (1213 წლიდან 1700 წლამდე). ტფილისი, 1897

შოშიაშვილი ნოდარ. აბუსერისძენი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. 1. ა-ატოცი. თბილისი, 1975

შოშიაშვილი ნოდარ. აბუსერისძენი. საქართველო, ენციკლოპედია, 1. ა-გილდია. თბილისი, 1997

შოშიაშვილი ნოდარ. აბუსერისძეთა სახლი XI-XVI საუკუნეებში. კრებ. აბუსერისძე ტბელი – 800. თბილისი, 1999

წმინდა გიორგი ძველ ქართულ მწერლობაში. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ენრიკო გაბიძაშვილმა. თბილისი, 1991

ჯავახიშვილი ივანე. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბილისი, 1947

ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია. წიგნი მესამე. ნაწილი პირველი (XIII-XIV სს.). თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III. თბილისი, 1982

ჯავახიშვილი ივანე. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი. წგნ.: ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VI. თბილისი, 1982


ჯოჯუა თემო. არტანუჯელი პილიგრიმის გიორგი ლომას-ძის სავედრებელი (XV ს.) იერუსალიმში გადატანილი 1160 წლის გარეჯული კრებულის (Ven.4-ის) არშიებიდან. ქართული წყაროთმცოდნეობა, XI, 2006

Бакрадзе Димитрий. Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. Санкт-Петербург, 1878

Описание рукописей Тифлисскаго Церковнаго Музея Карталино-Кახетинскаго Духовенства. Составил Федор Жордания. Книга I. Тифлис, 1903


Brosset, Marie-Felicite. Etudes de chronologie technique. Premiere partie. 2° Livraison. Memoires de l'Academie Imperiale des Sciences de Sankt-Petersbourg. VIIe serie. XI. №13. Sankt-Petersbourg, 1868

Toumanof, Cyrille. Manuel de Genealogie et de Chronologie pour l'histoire de la Caucasic Chretienne (Armenie-Georgie-Albanie). Roma, 1976



1

სურ. 1 საგალობლების კრებული (A-85), გვ. 308v, I კინკლოსური მინანერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



სურ. 2 საგალობლების კრებული (A-85), გვ. 309r, II კინკლოსური მინანერი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

XIV

ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა სოფელ შენაქოდან

მაია პატარიძე

XI საუკუნიდან საქართველოს სამონეტო საქმეში შემოდის ახალი ტიპის ვერცხლის საფასე – ქართული მონეტები ბიზანტიური ტიტულებით. ეს ფული სპეციალურ ლიტერატურაში ქართულ-ბიზანტიური მონეტების სახელით არის ცნობილი. ამ მონეტების ტიპი ბიზანტიურია, ხოლო ზედწერილები შესრულებულია ქართული ასომთავრულით, რომლებშიც საქართველოს მეფეები ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულებით მოიხსენიებიან.¹

ამ სამონეტო ჯგუფისადმი ინტერესი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ე. პახომოვის,² დ. კაპანაძის,³ დ. ლანგის,⁴ რ. ქებულაძის,⁵ ვ. სილოგავას,⁶ თ. დუნდუას⁷ და სხვათა შრომები. შეიძლება აღინიშნოს, რომ ბიზანტიურტიტულიანი ქართული მონეტების კვლევა დასრულებულად ვერ ჩაითვლება. საკმარისია ითქვას, რომ აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი სრული მონოგრაფია ჯერჯერობით არ არსებობს. ამ ნუმისმატიკური ძეგლების შესწავლის გზაზე ერთ-ერთ სირთულეს მათი მცირერიცხოვნობა განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მონეტების გამოშვების ქრონოლოგიური დიაპაზონი დაახლოებით ერთი საუკუნით განისაზღვრება, ჩვენამდე არცთუ ბევრმა ეგ ზემპლარმა მოაღწია.

¹ რეზო ქებულაძე, „დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები“, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXXIX-B (თბილისი, 1987), 45.

² E. A. Пахомов, *Монеты Грузии* (Тбилиси, 1970), 51-74.

³ დავით კაპანაძე, *ქართული ნუმისმატიკა* (თბილისი, 1969), 61-68.

⁴ D. M. Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (New York, 1955); D. M. Lang, „Notes on Caucasian Numismatics,“ *Numismatic Chronicle*, vol. XVII (1957), 19-20.

⁵ ქებულაძე, „დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები“, 45-51; P. B. Кебуладзе, „Клад из села Цихесулори“, *Нумизматический сборник*, ред. В. А. Леквинадзе (Тбилиси, 1977), 98-109.

⁶ ვალერი სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა* (თბილისი, 2006), 223-252.

⁷ თედო დუნდუა, „X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, *თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, 310 (თბილისი, 1992).

ფულის ეს ნიშნები პირველად დავით კურაპალატმა (979-1001) შემოიღო და მათი გამოშვება ბაგრატ IV-ის (1027-1072), გიორგი II-ისა (1072-1089) და დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ეპოქაშიც გაგრძელდა.⁸ ამ მეფეთა საფასეებიდან ამჟერად კვლევის საგანი ბაგრატ IV-ის (1027-1072) მიერ მოჭრილი მონეტებია.

ბაგრატ IV-ის საფასე, მასზე აღნიშნული ბიზანტიური ტიტულატურის „ნოველისიმოსის“ და „სევასტოსის“ მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა. აქედან ბაგრატ IV მონეტები ნოველისიმოსის ტიტულით XX საუკუნის 70-იან წლებამდე მხოლოდ ორ ცალად იყო ცნობილი: ერთი – მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში და მეორე – სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟში.⁹

1975 წელს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა პირველად მოაწყო დაზვერვით-არქეოლოგიური ექსპედიცია მთათუშეთში (ხელმძღვანელი რუსუდან დოლაბერიძე).¹⁰ შენაქოში, ნიშტაყოს ბორცვზე, კორდოვანი ფენის ალების დროს, ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა, რომელიც ექსპედიციის ხელმძღვანელის გადმოცემით, რეზო ქებულაძემ განსაზღვრა და დაადგინა, რომ ის იყო ბაგრატ IV-ის მონეტა ნოველისიმოსის ტიტულით.

ამ აღმოჩენამდე საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი საფასე დაფიქსირებული არ იყო. ექსპედიციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი რუსუდან დოლაბერიძემ 1975 წელს გამოქვეყნებულ ექსპედიციის ანგარიშში მოიხსენია.¹¹ შემდგომში აღნიშნული ინფორმაცია პრესის ფურცლებზეც მოხვდა.¹² მაგრამ ამ მონეტის სრული ატრიბუცია და მეტროლოგიური მონაცემები დღემდე არ გამოქვეყნებულა.

ვინაიდან ბიზანტიურტიტულებიანი ქართული საფასეები იშვიათია, თითოეულ ეგზემპლარს დიდი სამეცნიერო ღირებულება აქვს, ხოლო ამ მონეტას, გარდა იმისა, რომ ერთადერთია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმიზმატიკურ ფონდში, მოპოვების ადგილისა და გარემოების მიხედვით, არქეოლოგიური და ეთნოლოგიური კონტექსტიც ახლავს, ამიტომ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით მას და სამეცნიერო მიმოქცევაში სრული სახით შემოვიტანთ.

⁸ ქებულაძე, „დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები“, 45.

⁹ Пахомов, *Монеты Грузии*, 59; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 68 (ცხრილი); Кебуладзе, „Клад из села Цихесулори“, 105; სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, 227.

¹⁰ რუსუდან დოლაბერიძე, „მთათუშეთის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში“, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, V (1977), 145.

¹¹ იქვე, 149.

¹² ღურმიშხან ცინცაძე, „ბაგრატ მეოთხის მონეტა“, *გაზ. კომუნისტი* (4 იანვარი, 1976); მისივე, „ბაგრატ მეოთხის მონეტა“, *გაზ. კომუნისტი* (11 მარტი, 1976).

მონეტის აღწერილობა:

№ 15 630; ვერცხლი. ზომა 23/24 მმ ; წონა 1,61გრ.

შუბლი (სურ. 1ა): ვლაქერნის ღმრთისმშობლის წელზევითი გამოსახულება; პირდაპირ; თავზე ნიშნით; ნიშნს გარეთ, ორივე მხარეს, რელიეფური წარწერა შვეულად ჩამონერილი ბერძნული ასოებით

H Q

A [K]

GI [O]

[A] [S]

ე.ი. Ἡ ἄγια θεοτοκος

„წმიდა ღმრთისმშობელი“.

ირგვლივ, კიდეზე წერტილოვანი რკალთა.

ზურგი (სურ. 1ბ): წერტილოვანი ხაზებით შედგენილი ორი წრეთი – კიდეზე და მეორე – ცენტრში. რკალებს შორის მოთავსებულია რელიეფური ასოები

ϞϚϛϛϜϝϞϛϜϛϞϛϜϛ

ϞϚϛϛϜϝϞϛϜϛϞϛϜϛ

ქ (რისტ)ე, ა(დი)დე ბ(ა)გ (რა)ტ აფხ(ა)ზთა მ(ე)ფე და ნოველისიმოსი

წარწერაში დაშვებულია მცირედი შეცდომები

1. „აფხზთა“-ში ხ (ჟ) გადმოცემულია თავშეკვრით და მამასადამე (გ) ტ-ს მოხაზულობით.

2. „ბაგრატ“-ში ბ (ვ) გადმოცემულია ხ (ჟ) მოხაზულობით.

2. ცენტრში ნაცვლად ნოველისიმოსისა არის ნოველისიმოსი

ᲞᲛᲗᲚᲙᲗᲛᲛ

მონეტას გვერდები დაზიანებული აქვს და სამ ადგილას არის გახვრეტილი. მონეტის დათარიღება:

ბაგრატ IV-ის მონეტები ნოველისიმოსის ტიტულით პირველად ე. პახომოვმა დაათარიღა. მან ისინი 1040-1060 წლებით განსაზღვრა.¹³ შემდგომ დ. ლანგმა ივარაუდა, რომ მეფეს ნოველისიმოსის ტიტული კონსტანტინოპოლში ჩასვლის შემდეგ, 1054 წელს უნდა მიეღო.¹⁴ სამეცნიერო ლიტერატურაში ბაგრატ IV-ის კონსტანტინოპოლში ყოფნის ორი თარიღი არსებობს: ივ. ჯავახიშვილის მიხედვით – 1054-1057 წწ.¹⁵ და მ. ბერძნიშვილის თანახმად – 1051-1055 წწ.¹⁶ დ. ლანგის აზრით, ეს მონეტები 1057-1060 წლებში მოიჭრა. დ. კაპანაძე მონეტებს 1040-1060 წლებით ათარიღებდა. მოგვიანებით, რ. ქებულაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ 1042 წელზე ადრე ეს მონეტა ვერ მოიჭრებოდა, ვინაიდან

¹³ Пахомов, Монеты Грузии, 59.
¹⁴ Lang, Notes on Caucasian numismatics, 141.
¹⁵ ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თხზ., ტ. II, (თბილისი, 1983), 148.
¹⁶ მამისა ბერძნიშვილი, „ტურინოს კომპილაციის გამო“, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები (თბილისი, 1966), 164.



სურ. 1. ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტა.

მასზე გამოსახულია ვლადიმერის ღვთისმშობელი, რომელიც პირველად ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე IX მონომახოსის (1042-1055) საფასეზე გაჩნდა. ამდენად, მან ჩათვალა, რომ ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტები 1042-1060 წლებით უნდა დათარიღდეს.¹⁷ გიორგი დუნდუა და თედო დუნდუა მართებულად მიიჩნევენ ამ მონეტების დათარიღებას 1055/56-1060 წლებით.¹⁸

2004 წელს გიორგი გაგოშიძემ წაიკითხა 1050 წლის უცნობი წარწერა თრიალეთიდან,¹⁹ კერძოდ ავლარის ეკლესიიდან, სადაც მეფე ბაგრატ IV პირველადაა მოხსენიებული ნოველისიმოსად. ამ წაკითხვის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ნოველისიმოსის ტიტულით მეფე მონეტების ემისიას ახორციელებდა არა უადრეს 1050 წლისა. ამის შემდეგ, ნოველისიმოსის ტიტულით ბაგრატ IV იხსენიება კაცხის ოთხთავის ანდერძებში, რომელიც 1042-1059 წლებით თარიღდება.²⁰ 1060 წელს ღულაღისის წარწერაში ბაგრატ IV უკვე სევასტოსის ტიტულითაა დასახელებული.²¹ აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მონეტების ემისია „ნოველისიმოსის“ ტიტულით 1050-1059 წლებში ხორციელდებოდა, ხოლო ბაგრატ IV სევასტოსის მონეტების მოჭრის თარიღი 1060 – 1072 წლებია.²²

როგორც ზემოთ აღინიშნა, XX საუკუნის 70-იან წლებამდე ჩვენთვის საინტერესო მონეტის ორი ეგზემპლარი იყო ცნობილი და შემდგომ დაემატა მათ შენაქოში აღმოჩენილი ცალი.

¹⁷ Кебуладзе, “Клад из села Цихесулори”, 104.

¹⁸ გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, I ნაწილი (თბილისი, 2006), 191.

¹⁹ გიორგი გაგოშიძე, „ბაგრატ IV ნოველისიმოსი, 1050 წლის უცნობი წარწერა თრიალეთიდან“, *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წარწევები*, IX (2004), 50.

²⁰ სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, 223-249.

²¹ იქვე, 234.

²² იქვე, 237.

1983 წელს, აფხაზეთის ტერიტორიაზე, ლიხნის სასახლის კომპლექსის არქეოლოგიური გათხრებისას²³ (ხელმძღვ. – პროფ. ლ. ხრუშკოვა), ბიზანტიური და ქართული მონეტების განძი აღმოჩნდა, სულ – 71 მონეტა. განძის სია სრული სახით ორჯერ გამოქვეყნდა: პირველად – ს. შამბას,²⁴ მეორედ – ი. ცუხიშვილის²⁵ მიერ. მოგვიანებით, ლიხნის განძს დაუბრუნდა ვალერი სილოგავა.²⁶

ლიხნის განძში 28 ბიზანტიური ოქროსა და 43 ქართული ვერცხლის მონეტა აღმოჩნდა; 31 ცალი – მეფე ბაგრატი IV-ს (1027-1072) ეკუთვნის. აქედან 9 მონეტაზე ის მოხსენიებულია ნოველისიმოსად და 22 მონეტაზე – სევასტოსად. აქვე იყო აგრეთვე გიორგი II-ის (1072-1089) 13 საფასე, საიდანაც 11 ცალი – ნოველისიმოსის და 2 – სევასტოსის ტიტულებითაა.

განძი ხელმიუწვდომელია. ის სოხუმში, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ინახება და მის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ პუბლიკაციების საშუალებით გვაქვს. ლიხნის განძის მონეტების ფოტოები მხოლოდ ს. შამბას პუბლიკაციაშია,²⁷ მაგრამ ფოტოებზე რეტუშორის მიერ დატანილი კონტურები ხელს უშლის სამონეტო ეპიგრაფიკის კარგად აღქმას და, აგრეთვე, სიქების ერთმანეთთან შედარებას. მიუხედავად ამისა, აშკარად ჩანს, რომ შენაქოში აღმოჩენილი „ნოველისიმოსი“ ახალ სამონეტო ტიპს არ წარმოადგენს. ის, მასზე არსებული ზედწერილით, მცირედით განსხვავდება ლიხნის და სანკტ-პეტერბურგის „ნოველისიმოსებისაგან“. რაც შეეხება მოსკოვის ეგზემპლარს, რამდენადაც ფოტო ამის საშუალებას გვაძლევს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამონეტო ეპიგრაფიკაც და სიქებიც თითქოს ერთმანეთს ემთხვევა. ის გარემოება, რომ მონეტა სამ ადგილზე გახვრეტილია, ვფიქრობთ, ამ საფასის ეთნოლოგიური ფუნქცია-დანიშნულების მომასწავებელია.

მონეტის აღმოჩენის ადგილი სალოცავია, ეგრეთ წოდებული „ხატი“. როგორც ცნობილია, ნიშტაყოს ბორცვი ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნიდან XII საუკუნემდე საკულტო-სარიტუალო სალოცავს წარმოადგენდა.²⁸ „ხატისადმი“ სხვადასხვა ძვირფასი ნივთების შეწირვის ტრადიცია საქართველოს მთიან რეგიონში უძველესი დროიდან არსებობს. მაგალითად, დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ კი, სვანეთში. სვანეთის სალოცავებში დაცული საეკლესიო შეწირულობებზე, მათ შორის მონეტებზე დაკვირვებებმა

²³ Л. Г. Хрушкова, *Лыхны. Средневековый дворцовый комплекс в Абхазии* (Москва, 1998), 36-41.

²⁴ С. М. Шамба, *Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э. – XIII в. н.э.)* (Тбилиси, 1987), 104-114.

²⁵ Izolda Tsukhishvili, *History and Coin Finds in Georgia: Late Roman and Byzantine Hoards (4 th-13th c.)* (Wetteren, 2003), 92-96.

²⁶ სილოგავა, *სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა*, 223-249.

²⁷ Шамба, *Монетное обращение на территории Абхазии*, таб. XXVI-XXXIII.

²⁸ რუსუდან დოლაბერიძე, „თუშეთის ფიბულები“, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 45 (2003-2004), 200.

გვიჩვენა, რომ ზოგიერთი მონეტა ეკლესიაში, როგორც სამკაული, ისეა მოხვედრილი. პარალელურად, არის ჯგუფი მონეტებისა, რომელიც მიმოქცევის თანადროულად, სალოცავში ფულის სახით შევიდა.

ბიზანტიურტიტულებიან ქართულ მონეტებიდან გახვრეტილია მხოლოდ ის ეგზემპლარები, რომლებიც ეკლესიებში იყო შემორჩენილი შენორულობების სახით. ასე, მაგალითად, დავით აღმაშენებლის მონეტების სვანური ეგზემპლარები, რომლებიც კვირიკე და ივლიტეს ეკლესიიდანაა გადმოტანილი, ყველა გახვრეტილია. შენაქოს ეგზემპლარი ალბათ გულსაკიდად გამოიყენებოდა. შუა საუკუნეებში გავრცელებული იყო წმინდანის გამოსახულებიანი მონეტების ამულეტად გამოყენების ტრადიცია.²⁹ ამიტომ, შესაძლოა, ბაგრატ IV ნოველისიმოსის მონეტას, მასზე არსებული ვლადქერნის ღვთისმშობლის გამოსახულების გამო, ამულეტის დანიშნულება ჰქონდა.

ამ მონეტის აღმოჩენის ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, კერძოდ შენაქოა, მაგრამ მისი ეთნოლოგიური კონტექსტი არ გვაძლევს საშუალებას, კორექტივი შევიტანოთ ბაგრატ IV ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტების მიმოქცევის არეალში. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ეს ფული ისეთივე ინტენსივობით მიმოქცეოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც დასავლეთ საქართველოში. ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტების აღმოჩენის ადგილი დასავლეთი საქართველოა: აფხაზეთი,³⁰ სვანეთი,³¹ ვანი (ციხესულორი)³². ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან ამ მონეტის ტიპი ბიზანტიურია და XI საუკუნეებში ქართველი მეფეები, რომლებსაც აქტიური ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან, რეალურად მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მფლობელნი იყვნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს ფულად მიმოქცევაში წამყვანი ადგილი აღმოსავლურ მონეტებს და ჯა'ფარიანთა არაბული დინასტიის მიერ თბილისში მოჭრილ ფულს ეჭირა.³³ წყაროებით ცნობილია ბაგრატ IV-ის თანამედროვე თბილისის ამირა ალი იბნ ჯაფარი და მისი ორი ვაჟი – მანსური და აბულ-ჰეიჯა.³⁴ ალი იბნ ჯაფარის მონეტები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, მოჭრილია ჰიჯრის 386-418/996-97-1027-28 წლებში.³⁵ უკანასკნელ დროს გამოჩნდა აბულ-ჰეიჯას მონეტაც, რომელსაც თბილისში, მტკვრის კალაპოტში მიაკვლიეს.³⁶

²⁹ В. М. Потин, “Введение в нумизматику”, *Труды государственного Эрмитажа*, XXVI (1986), 121.

³⁰ Шамба, *Монетное обращение на территории Абхазии*, таб. XXVII-XXXIII.

³¹ ქებულაძე, „დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები“, 47.

³² Кебуладзе, “Клад из села Цихесулори”, 98-108.

³³ გოჩა ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ალი იბნ ჯაფარის მონეტები“, *ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები* (თბილისი, 1991), 132.

³⁴ მარიამ ლორთქიფანიძე, „თბილისის საამირო“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. II (თბილისი, 1973), 503.

³⁵ ჯაფარიძე, „თბილისის ამირას ალი იბნ ჯაფარის მონეტები“, 133.

³⁶ ირაკლი ფალავა, სევერიან თურქია, „თბილისის ჯაფარიანი ამირა აბულ-ჰეიჯას უნიკალური

თბილისში ჯაფარიან ამირათა დინასტია XI ს. 80-იან წლებამდე არსებობს. თურა ინტენსივობით მიმოიქცეოდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჯაფარიანთა ფული, ამის შესახებ კითხვებს მომავალი კვლევა-ძიება გასცემს პასუხს, მაგრამ აშკარაა, რომ ბიზანტიურტიტულებიანი ქართული მონეტები ძირითადად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მიმოიქცეოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ჯგუფის მონეტები ძალზე მცირე რაოდენობით შემორჩა. ბაგრატ IV ნოველისიმოსის ტიტულიანი მონეტის შენაქოს ეგზემპლარის შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში მნიშვნელოვანია, როგორც ამ ტიპის მონეტების, ისე XI საუკუნის საქართველოს ფულადი მიმოქცევის შესწავლის კუთხითაც.

ბიბლიოგრაფია

ბერძნიშვილი მამისა. ტურინოს კომპილაციის გამო. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბილისი, 1966

გაგოშიძე გიორგი. ბაგრატ IV ნოველისიმოსი. 1050 წლის უცნობი წარწერა თრიალეთიდან. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, IX, 2004

დოლაბერიძე რუსუდან. მთა-თუშეთის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, 1977

დოლაბერიძე რუსუდან. თუშეთის ფიბულები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 45, 2003-2004

დუნდუა გიორგი, დუნდუა თედო. ქართული ნუმიზმატიკა. ნაწ. I. თბილისი, 2006

დუნდუა თედო. X-XII სს. ქართული მონეტები და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 310, 1992

კაპანაძე დავით. ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი, 1969

ლორთქიფანიძე მარიამ. თბილისის საამირო. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბილისი, 1973

სილოგავა ვალერი. სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა. თბილისი, 2006

ფალავა ირაკლი, თურქია სევერიან. თბილისის ჯაფარიანი ამირა აბულ-ჰეიფას უნიკალური მონეტა. მოხსენება წაკითხული გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციაზე.

მონეტა“, მოხსენება წაკითხული გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციაზე.

ქებულაძე რეზო. დავით აღმაშენებლის ბიზანტიურტიტულიანი ვერცხლის მონეტები. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXXIX- B, 1987

ცინცაძე დურმიშხან. ბაგრატ მეოთხის მონეტა. გაზ. კომუნისტი. 4 იანვარი. მარტი, 1976

ცინცაძე დურმიშხან. ბაგრატ მეოთხის მონეტა. გაზ. კომუნისტი. 11 მარტი. 1976

ჯავახიშვილი ივანე. ქართველი ერის ისტორია. წიგნი II. ტ. II. თბილისი, 1983

ჯაფარიძე გოჩა. თბილისის ამირას ალი იბნ ჯაფარის მონეტები. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები. თბილისი, 1991

Кебуладзе Р. В. Клад из села Цихесулори. Нумизматический сборник. Редактор В. А. Леквинадзе. Тбилиси, 1977

Пахомов Е. А. Монеты Грузии. Тбилиси, 1970

Потин В. М. Введение в нумизматику. Труды государственного эрмитажа. XXVI. Ленинградское отделение. 1986

Хрушкова Л. Г. Лыхны. Средневековый дворцовый комплекс в Абхазии. М. 1998

Шамба С. М. Монетное обращение на территории Абхазии (V в. до н.э. – XIII в.н. э.). Тбилиси, 1987

Lang, D. M. Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia. New York, 1955

Lang, D. M. Notes on Caucasian Numismatics. Numismatic Chronicle, Vol. XVII, 1957

Tsukhishvili, Izolda. History and Coin Finds in Georgia: Late Roman and Bizantine Hoards (4 th-13th c.). Wetteren, 2003

ჯავახთ უფლის მონეტები – კომპლექსური ანალიზი

ირაკლი ფალავა

შესავალი

XX საუკუნის მკვლევართა¹ ძალისხმევით შედეგად ქართველი ერის ნუმისმატიკური ისტორიის ამსახველი სამონეტო ბაზა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. სრულიად ახალი ქართული სამონეტო ტიპების აღმოჩენა,² ქრისტე-

¹ დავასახელებთ მხოლოდ ძირითად შრომებს, რომლებიც ქართული ნუმისმატიკის ისტორიას ერთიანობაში განიხილავენ. ესენია: Евгений Пахомов, *Монеты Грузии* (Тбилиси, 1970); ივანე ჯავახიშვილი, *ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, ნიგნი III, 1. ნაკვეთი მესამე: ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია* (ტფილისი, 1925); დავით კაპანაძე, *ქართული ნუმისმატიკა* (თბილისი, 1969); David Lang, *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia* (New-York, 1955). აღსანიშნავია უკვე XXI საუკუნეში გამოქვეყნებული ნაშრომიც – გიორგი დუნდუა, თედო დუნდუა, *ქართული ნუმისმატიკა*, I ნაწილი (თბილისი, 2006).

² ამ მხრივ აღსანიშნავია ქართულ-სასანური დრაქმების ორი ახალი ტიპი. Alexander Akopyan, “On the Georgian-Sasanian Coinage: New Type of the Coins of Gurgen I,” in press (in *American Journal of Numismatics*); Иракли Пагава, “Новый тип грузино-сасанидских драхм с крестом”, *В печати* (в *Археология, этнография и фольклористика Кавказа*); ალი ბ. ჯაფარის ახალი სამონეტო ტიპი. Irakli Paghava and Severian Turkia, “A New Early Coin Type of ‘Alī b. Ja’far, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Ta’ī li-llāh,” *Journal of Oriental Numismatic Society*, 199 (2009), 7-9; დემეტრე I-ის ახალი სამონეტო ტიპი. Severian Turkia and Irakli Paghava, “A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia,” *Journal of Oriental Numismatic Society*, 200 (2009), 9-12; Irakli Paghava, Severian Turkia, and Gennadiy Zlobin, “A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum,” in press (in *Journal of Oriental Numismatic Society*); ნადირ შაჰის თბილისური მონეტების აქამდე უცნობი ნომინალები (მათ შორის, ოქროს აშრეფი). Irakli Paghava, Severian Turkia, and Giorgi Janjgava, “Some New Denomination Coins of Nadir Shah Minted in Georgia,” *Journal of Oriental Numismatic Society*, 202 (2010), 13-15; ირაკლი ფალავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი)“, *ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები*, №1(7), (2010), 515-532; ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის ოქროს შაურები. Irakli Paghava, “The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia: Monetary Evidence,” *Journal of Oriental Numismatic Society*, 204 (2010), 15-17.

აგრეთვე, ნუმისმატიკური რეალიების საფუძველზე ახალი ქართული ზარაფხანის – ოდიშში მდებარე „დადიანის“ აღმოჩენა და მისი ფუნქციონირების დამტკიცება. Иракли Пагава, “Чеканка севевидской монеты в восточном Причерноморье”, *В печати* (в *Восточная нумизматика в Украине 3*); ირაკლი ფალავა, „დადიანის მონეტა სეფიანი შაჰის სახელით“, *იბეჭდება* (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები).

შობიდან XXI ასწლეულში, მართალია, გრძელდება,³ მაგრამ ეჭვს არ იწვევს, რომ ტიპოლოგიური თვალსაზრისით მაინც, ეროვნული საფასის ევოლუციის ძირითადი ეტაპები უკვე გამოვლენილია – დღეისთვის ჩამოყალიბებული ზოგადი სურათი, პრინციპულად, ჩვენი აზრით, მომავალშიც არ შეიცვლება.⁴

აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნებოდა ქართული ნუმიზმატიკური მემკვიდრეობის *ექსტენსიურ* კვლევას, ანუ ახალი სამონეტო ტიპების დაგროვება-შესწავლას, მხარი აუბას *ინტენსიურმა* კვლევამაც⁵ – უკვე დაგროვებული ნუმიზმატიკური და პარანუმიზმატიკური მონაცემების კომპლექსურმა ანალიზმა.

ამ მხრივ კი მდგომარეობა რამდენადმე განსხვავებულია. ივ. ჯავახიშვილი, თავის დროზე, სამართლიანად აღნიშნავდა სხვადასხვა მკვლევართა ქართული ნუმიზმატიკისადმი მიძღვნილი შრომების აღწერილობით ხასიათს, და ამ უკანასკნელთ შემდეგნაირად ახასიათებდა: „ტერმინების, ფულის სისტემისა და ტექნიკის მიმოხილვა-განმარტების შემცველი ქართული ფულების ის-

სრულიად ახალი ემიტენტების მიერ საქართველოში საფასის გამოშვების ფაქტის დადგენა; იგულისხმება ისეთი ისტორიული პირები, რომლებიც, როგორც ადრე ითვლებოდა, საკუთარ მონეტას, საქართველოში მაინც, არ ჭრიდნენ – მურვან ყრუ. Severian Turkia and Irakli Paghava, “An Unrecorded Early Post-reform Fals minted in Tiflis,” *Journal of Oriental Numismatic Society*, 191 (2007), 6-8; Irakli Paghava and Severian Turkia, “The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus,” *Journal of Oriental Numismatic Society*, 201 (2009), 16-18; Nikolaus Schindel, “Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II B. Muḥammad from the Caucasus – Additional Comments,” *Journal of Oriental Numismatic Society*, 202 (2010), 8-11; Lutz Ilisch, “Islamic Numismatics,” in *A Survey of Numismatic Research 2002-2007*, eds. M. Amandry, J. Bateson (Glasgow, 2009), 482; და თბილისის ამირები – ჯა’ფარ ბ. ალი (Severian Turkia and Irakli Paghava, “The Coinage of Ja’far III B. ‘Alī, Emir of Tiflis,” *Journal of Oriental Numismatic Society*, 197 (2008), 5-11; Irakli Paghava and Severian Turkia, “A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Ja’far III b. ‘Alī, Ja’farid Emir of Tiflis,” *Journal of Oriental Numismatic Society*, 206 (2011), 11-13), მანსურ ბ. ჯა’ფარი (Tobias Mayer (bearbeitet von), *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas* (Wiesbaden, 2005), 110-111); ასევე, როგორც ჩანს, აბულ-ჰეიჯა ბ. ჯა’ფარი. Severian Turkia and Irakli Paghava, “The Unique Coin of Abul-Hayjā, Ja’farid Emir of Tiflis,” *In press* (in *Near East and Georgia*)).

³ ამასთან, როგორც გაირკვა, ზოგიერთი სამონეტო ტიპი, რომელსაც ადრე ქართულად მიიჩნევდნენ (Марианна Северова, “Медные монеты иранских городов с надчеканенным двуглавым орлом”, в *Прошлое нашей родины в памятниках нумизматики*, под ред. Всеволода Потина (Ленинград, 1977), 183-197), სინამდვილეში, საქართველოს არ უკავშირდება. Александр Храменков, “Документ о надчеканении медных персидских монет российским двуглавым орлом в Реште в 1727 г.”, в *XIV Всероссийская нумизматическая конференция, тезисы докладов и сообщений*, под ред. В. Калинина (Москва, 2007), 193-195.

⁴ თუმცა კი, არსებითი დამატებები, ჩვენი აზრით, მოსალოდნელია.

⁵ ერთ-ერთ ადრინდელ შრომაში უკვე აღვნიშნეთ ამის აუცილებლობა. Irakli Paghava, “Variation in the Composition and Arrangement of Dates on Sirma Coins: Approach to Die Analysis,” in *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, 197 (2008), 13.

ტორია იქ არ მოიპოვება“.⁶ სახელოვანმა მეცნიერმა თავად სცადა ამ ნაკულუღევანების შევსება, და შეადგინა ქართული ნუმისმატიკური ისტორიის თეორიული ნაწილი;⁷ მაგრამ ამ უკანასკნელს აღწერილობითი და შედარებითი (თეორიული და აღწერილობითი ნაწილების შემაჯერებელი) ნაწილები, სამწუხაროდ, აღარ მოყვა.⁸ ამასთანავე, ივ. ჯავახიშვილის ნაშრომი საკითხის ამომწურავი, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ მეცნიერმა თავისი ამოცანა, როგორც ჩანს, თავადაც შემოსაზღვრა.⁹ კერძოდ, ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ეპოქის – ლაშა გიორგის ზეობის ნუმისმატიკური ისტორია მასში პრაქტიკულად არ განიხილება, თუ არ ჩავთვლით 1218 წლით დათარიღებულ ერთ მოკლე ცნობას¹⁰ და ეპოქის ზოგად-ნუმისმატიკურ განხილვას.¹¹ კომპლექსური მიდგომის თვალსაზრისით, აღსანიშნავია აგრეთვე ს. კაკაბაძისა და დ. კაკაბაძის შრომები.¹² მაგრამ, ზემოხსენებული ვიწრო პერიოდისადმი მიძღვნილი შრომა, სამწუხაროდ, არ არსებობს.

მიზანი

წინამდებარე შრომის მიზანი სწორედ აღნიშნული თეთრი ლაქის შეძლებისდაგვარად შევსებაა. ჩვენი ამოცანაა გავაანალიზოთ თამარ მეფის ვაჟის, ლაშა გიორგის (გიორგი IV-ის) სახელისა და „ჯავახთ უფლის“ ტიტულის მატარებელი ერთი სამონეტო ჯგუფის ემისია; კერძოდ, ამ სამონეტო ჯგუფის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: ამ ფულების ზედწერილები, მათი დათარიღება, გამოშვების ადგილი, სტატუსი, გამოყენებული ტექნოლოგია, ნომინალი და ღირებულება, გამოშვებული საფასის როლი ქართული სახელმწიფოსა და რეგიონის სამონეტო მიმოქცევაში.

მასალები და მეთოდები

ლაშა გიორგის მიერ საფასის მოჭრის შესახებ რაიმე დოკუმენტურ, ან თუნდაც ნარატიულ მასალას ჩვენამდე არ მოუღწევია.

აქედან გამომდინარე, ამ ქართველი მონარქის საფასის, მათ შორის „ჯავახთ უფლის“ ტიტულის მატარებელი წესიერი ჭედვის სპილენძის ფულის

⁶ ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, 1-2.

⁷ იქვე, 1-2.

⁸ შდრ. იქვე, 2.

⁹ „უმთავრესად მე ყურადღება მიქცეული მქონდა საფას-საზომების შესახები ტერმინების გამორკვევისათვის, მათი ქრონოლოგიურ-ოდენობით განსაზღვრისა, ფულის და საზომების სისტემის და ფულ-საზომების ნიშნების ურთიერთშორისი დამოკიდებულების და ფასობის შესწავლისათვის“. იქვე, 2.

¹⁰ იქვე, I.

¹¹ იქვე, 1-19.

¹² სარგის კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში“, საისტორიო მოამბე, წიგნი I, წელიწადი II (ტფილისი, 1925), 1-35; კაკაბაძე, ქართული ნუმისმატიკა, 7-25, 167-176.

გამოშვების ისტორიის კვლევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიურ მასალას, თავად მონეტებს.

„ჯავახთ უფლის“ მონეტები საკმაო იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ მოხერხდა ამ ტიპის 28 მონეტის შესწავლა. აქედან 23 მონეტა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ისტორიის მუზეუმის ფონდებში ინახება,¹³ დანარჩენები კი – კერძო კოლექციებში. ამასთან, ტექნიკური მიზეზებით, სრული მეტროლოგიური მონაცემები მხოლოდ იმ 23 მონეტისთვის გაგვაჩნია, რომლის შესწავლაც *de visu* მოვახერხეთ. მონაცემები ჩვენთვის ხელმისაწვდომი სამონეტო მასალის შესახებ ერთად არის თავმოყრილი (ცხრილი 1).

მონაცემების სტატისტიკური დამუშავებისთვის¹⁴ გამოვიყენეთ აღწერილობითი სტატისტიკის მეთოდები, ხოლო ამ ტიპის მონეტების წონების სიხშირეობის განაწილების მრუდის შედგენისას კლასების რიცხვის განსაზღვრისთვის გამოვიყენეთ სტარჯესის (Sturges) ფორმულა: $n=1+3,322\lg N$. სადაც n არის კლასების რაოდენობა, ხოლო N კი – დაკვირვებათა რიცხვი.¹⁵

ჯავახთ უფლის მონეტების ზედწერილები

პირველ რიგში, აუცილებლად მივიჩნევთ კიდევ ერთხელ შევეხოთ ჯავახთ უფლის სამონეტო ტიპს, კერძოდ, სამონეტო ლეგენდებს (სურ. 3-6):

შუბლი: ცენტრში, წერტილოვან რკალში 4 სტრიქონად, ქართული ასომთავრული ასოებით:

+ჟიზ
ფსიჭბასი
სსსსპპპპ
ჩჩიიიი

რამდენადმე გაურკვეველია, თუ როგორ უნდა გაიშიფროს ზედწერილის პირველი სიმბოლო – როგორც ჯვარი (+), თუ როგორც ქრისტეს სახელის დაქარაგმება – ასო **ქ** (Ϡ), რომელიც გრაფიკულად ჯვარს ემსგავსება. ორივე ვარიანტი ქრისტიანული იდეოლოგიის გამომხატველია, და, თეორიულად, დასაშვებია. ე. პახომოვი და თ. ლომოური ამ სიმბოლოსა თუ გრაფემას კითხულობდნენ როგორც ჯვარს;¹⁶ ნ. ბერძენიშვილმა, ი. ჯალალანიამ და თ. დუნდუამ

¹³ ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ ჩვენი გულითადი მადლობა მოვახსენოთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნუმისმატიკური კაბინეტის თანამშრომლებს – მ. შეროზიას, თ. ქუთელიას, მ. პატარიძეს – მონეტების გაცნობაში გაწეული დახმარებისთვის.

¹⁴ ისტორიკოსებისთვის სტატისტიკური მეთოდების გამოყენების მნიშვნელობისთვის იხ. Konrad H. Jarausch and Kenneth A. Hardy, *Quantitative Methods for Historians, A Guide to Research, Data, and Statistics* (London, 1991).

¹⁵ დასაშვებია ალტერნატიული ფორმულებით სარგებლობაც (იხ. მაგ. Jarausch and Hardy, *Quantitative Methods for Historians*, 86-87); აღსანიშნავია, რომ კლასების რიცხვის შერჩევისას მისაღებია არა მარტო ფორმალური, არამედ სუბიექტური მიდგომაც (იქვე, 86-87).

¹⁶ Пахомов, *Монеты Грузии*, 99; თამარ ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“,

№	წონა (გ)	კვეთა (მმ)	სიქების ორიენტაცია	ინახება	საინვენტარო №	წარმომავლობა	კომენტარი
1	5.45	26	უცნობია ^ა	სემნფ ^ბ	183	უპასპორტო	
2	5.81	27	≡	≡	184	≡	
3	5.58	25	2:30	≡	185	≡	
4	5.26	24	11:00	≡	186	≡	
5	4.93	25	9:15	≡	187	≡	
6	5.15	24	4:00	≡	188	≡	
7	6.05	25	12:30	≡	189	≡	
8	4.98	26	უცნობია	≡	190	≡	
9	4.5	24	≡	≡	1957	≡	
10	5.77	27	≡	≡	1958	≡	
11	5.4	26	≡	≡	1959	≡	
12	4.94	25	≡	≡	1960	≡	
13	8.52	27	9:15	≡	1961	≡	1 ნახვრეტი ^ბ
14	5.52	26	8:00	≡	1962	≡	
15	6.48	26	8:00	≡	1963	≡	
16	6.5	26	6:30	≡	3158	≡	
17	4.91	24	6:15	≡	3432	≡	
18	6.65	27	12:15	≡	3468	≡	
19	6.81	27	5:00	≡	4185	≡	1 რომბისებრი ნახვრეტი
20	5.48	26	2:30	≡	4186	≡	
21	7.4	26	11:45	≡	4187	≡	
22	5.04	25	6:00	≡	4188	≡	
23	4.41	23	9:00	≡	4189	≡	
24	6.25	25-26	11:00	კერძო კოლექც.	Zeno ^ვ : 84081	სამშვილდეს შემოგარენი	იხ. სურ. 4
25	6.28	2.41-2.44	2:45	კერძო კოლექც.	Zeno: 31355	სომხეთის რესპუბლიკა	იხ. სურ. 5
26	7.81	26.4-27.3	8:00	კერძო კოლექც.		სომხეთის რესპუბლიკა	იხ. სურ. 6
27	5.99	23.5-23.9	8:45	კერძო კოლექც.		მტკვრის კალაპოტი	იხ. სურ. 3
28	8.77	უცნობია	უცნობია	გაიყიდა eBay ^ა -ზე	Zeno: 41995	უპასპორტო	

ცხრილი 1. ჯავახთ უფლის შესწავლილი მონეტები

^ა მონეტები, რომელთა სიქების ორიენტაციაც ჩვენთვის უცნობი დარჩა, არ არის შესწავლილი de visu (ტექნიკური მიზეზების გამო).

^ბ სემნფ – საქართველოს ეროვნული მუზეუმის (ყოფილი ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის) ნუმიზმატიკური ფონდი

^ვ ამ და სხვა შემთხვევებში ნახვრეტის ბუნებიდან გამომდინარე მონეტის წონა შემცირებული არ უნდა იყოს.

^ვ Zeno Oriental Coins Database (<http://www.zeno.ru/>)

^ა eBay [Online Auction] (<http://www.ebay.com/>)

თავი აარიდეს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი აზრის გამოთქმას;¹⁷ ხოლო დ. კაპანაძე მას *ქრისტეს* აღმნიშვნელად მიიჩნევდა;¹⁸ უკანასკნელი აზრი გაბატონებულია ბოლო დროის ქართულ ნუმიზმატიკურ ლიტერატურაშიც.¹⁹

ჩვენ ე. პახომოვის ვერსიას ვემხრობით, და პირველ სიმბოლოს ჯვრად მივიჩნევთ; საქმე იმაშია, რომ ამ ჯვრისმაგვარი სიმბოლოს ქვედა მკლავი ეფუძნება ჰორიზონტალურ ხაზს (სურ. 3-4, 6), რომელიც არ უნდა იყოს ქვედა სტრიქონის რომელიმე სიტყვის ქარაგმის ნიშანი, ვინაიდან ამ მონეტის შუბლის ასომთავარულ ზედწერილში ის სხვაგან საერთოდ არ არის გამოყენებული; ეს ქვედა ჰორიზონტალური ხაზი ასო ქ-ს (ⴕ) გრაფიკულ მონახაზში ვერ თავსდება; ის, ჩვენი აზრით, ჯვრის ერთგვარ კვარცხლბეკად უნდა წარმოვიდგინოთ.²⁰

საყურადღებოა, რომ განსხვავებით ე. პახომოვის აზრისგან,²¹ ქვედა სტრიქონში ყოველთვის მითითებულია სწორედ **ⴌ**, და არა **ⴍ**.

რაც შეეხება ლეგენდის დანარჩენ ნაწილს, ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი ავტორის მიერ **ⴌⴓⴕⴒⴓⴑⴓⴓ** ფრაგმენტის ერთად წაკითხვა, რის შედეგადაც ლაშა გიორგის ამ მონეტაზე აღნიშნული ტიტული ჟღერს როგორც *ჯავახთუფალი* ან *ჯავახთ-უფალი*.²² XIII საუკუნის საქართველოში დეფისი ხმარებაში არ იქნებოდა, ასე რომ, უკანასკნელი წაკითხვა ნაკლებად ისტორიულია; ჩვენ იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ ქართულ ენაში ორი სიტყვის შერწყმა ბუნებრივი არაა, და, ამგვარად, ვამჯობინებთ, ეს ფრაგმენტი წავიკითხოთ როგორც *ჯავახთ უფალი*.

კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, რედ. ივ. ჯავახიშვილი (თბილისი, 1938), 290.

¹⁷ ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება)“, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წიგნი I (თბილისი, 1964), 145; ირინა ჯალალანია, „რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა“, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები*, III (1978), 50; ირინა ჯალალანია, ვახტანგ ჯაფარიძე, „დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი“, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები*, V (1987), 19; თედო დუნდუა, *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით* (თბილისი, 1995), 9; თედო დუნდუა, *ქართული ეთნოკულტურული რევილუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით* (თბილისი, 1997), 156; ირაკლი მანაგაძე, რედ. *ფული საქართველოში* (თბილისი, 2000), 48; მანაგაძე, *ფული საქართველოში 2003*, 37.

¹⁸ კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 78.

¹⁹ ირაკლი მანაგაძე, რედ. *ფული საქართველოში* (თბილისი, 2003), 37; დუნდუა და დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, 209.

²⁰ საგანგებო დაკვირვებას საჭიროებს იგივენაირი სიმბოლო ამ ეპოქის სხვა ქართულ მონეტებზედაც.

²¹ Пахомов, *Монеты Грузии*, 100.

²² იხ. მაგალითად, დუნდუა, *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*, 9; დუნდუა, *ქართული ეთნოკულტურული რევილუცია და დასავლეთი*, 156; ირაკლი მანაგაძე, რედ. *ფული საქართველოში* (თბილისი, 2000), 48; მანაგაძე, *ფული საქართველოში 2003*, 37; ბერძენიშვილი, „ჯავახეთის ექსპედიციის დღიური“, 145-146.

გარდა ამისა, ასომთავრულ ზედწერილში ე. პახომოვი ერთგან **ქ**-ს მაგიერ (რომელიც სხვა ასოებთან შედარებით ჩვეულებრივად რამდენადმე უფრო დაპატარავებული სახით არის მოყვანილი) შეცდომით **ჩ**-ს კითხულობდა, და ზედწერილის ქარაგმებს შემდეგნაირად ხსნიდა:²³

ჟიორგ ქეფისჩ ჩაბაძის ძისჩსჩ ჰჩჩაჩჩ ოფლჩსჩ

გიორგი მეფისა, თამარის ძისაისა, ჯავახთ უფლისა

მონეტის შუბლის ლეგენდის ეს ნაწილი ამის მსგავსად არის გაშიფრული შემდეგდროინდელ, მათ შორის, ბოლო დროის შრომებშიც (უპირატესად, ასომთავრული ტექსტის მოყვანის გარეშე) – დ. კაპანაძის 1969 წლის *ქართულ ნუმიზმატიკაში*,²⁴ ი. ჯალაღანიას 1978 და 1987 წწ. სტატიებში,²⁵ თ. დუნდუას 1995 და 1997 წწ. შრომებში,²⁶ 2003 წ. გამოცემულ ნაშრომში *ფული საქართველოში*,²⁷ გ. და თ. დუნდუების *ქართულ ნუმიზმატიკაში*²⁸ – რაც, სავარაუდოა, პახომოვის უდიდესი (და სრულიად დამსახურებული) ავტორიტეტით უნდა აიხსნებოდეს.

ამასთან, ჯერ კიდევ 1938 წ. აღნიშნული შეცდომა შეამჩნია თ. ლომოურმა, და თანაც ზედწერილი უფრო გამართულად წაიკითხა:²⁹

ჟიორგ ქეფისჩ ჩაბაძის ძისჩსჩ ჰჩჩაჩჩ ოფლჩსაისჩ

გიორგი მეფისა, თამარის ძისაისა, ჯავახთ უფლისა

მაგრამ ქარაგმების ასეთი გახსნაც აბსოლუტურად ზუსტი არ უნდა იყოს. 1964 წ. დასტამბულ *საქართველოს ისტორიის საკითხების ტომში* გამოქვეყნდა ნ. ბერძენიშვილის *ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური*; ამ უკანასკნელში ავტორი აღნიშნავს ე. პახომოვის შეცდომას, თ. ლომოურის მიერ მის გასწორებას და ლეგენდას, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო გამართულად კითხულობს:³⁰

„გიორგი მეფისაი თამარის ძისაისა, ჯავახთ უფლისაისა“

ჩვენი აზრით, სწორედ ეს უკანასკნელი, ბერძენიშვილისეული წაკითხვა არის ყველაზე ზუსტი, და, ამრიგად, შუბლის ზედწერილი ქარაგმების გახსნის შემდეგ იღებს შემდეგ სახეს:

+ ჟიორგ ქეფისაი ჩაბაძის ძისჩისჩ ჰჩჩაჩჩ ოფლჩსაისაისჩ

²³ Пахомов, *Монеты Грузии*, 99.

²⁴ კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 78.

²⁵ ჯალაღანია, „რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა“, 50; ჯალაღანია და ჯაფარიძე, „დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი“, 19.

²⁶ დუნდუა, *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*, 9; დუნდუა, *ქართული ეთნოკულტურული რეკოლუცია და დასავლეთი*, 156.

²⁷ მანაგაძე, *ფული საქართველოში 2003*, 37.

²⁸ დუნდუა და დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, 209.

²⁹ ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 290.

³⁰ ბერძენიშვილი, „ჯავახეთის ექსპედიციის დღიური“, 145.

+ გიორგი მეფისაი, თამარის ძისაისა, ჯავახთ უფლისაისა

ამ სამონეტო ტიპის ზურგის ზედწერილები ცალსახაა:

ზურგი: ცენტრში, წერტილოვან რკალში 4 სტრიქონად, არაბულად:

المملك المعظم³¹
جلال الدنيا و الدين
كيوركى بن تامار
حسام المسيح

მეფე დიდებული
დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა
ქიურქი (გიორგი) ძე თამარისა
მახვილი მესიისა³²

ამ სამონეტო ტიპის ზედწერილებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შემდეგი გარემოებანი:

1. ქართულენოვან ლეგენდაში ლაშა გიორგის ჯავახთ უფლობით მოხსენიება;
2. აგრეთვე, ქართულენოვან ლეგენდაში ლაშა გიორგის ტიტული *მეფე*, და არა *მეფეთ მეფე*;
3. არაბულენოვან ლეგენდაში ლაშა გიორგის ტიტული *მეფე დიდებული*

المملك المعظم

და არა *მეფეთ მეფე*

ملك الملوك

რომელიც მოყვანილია მისივე სხვა ტიპის მონეტებზე.

ამ საინტერესო თავისებურებებს და მათ განხილვას ისტორიულ ლიტერატურაში ქვემოთ სათანადო ადგილას დავუბრუნდებით, შესაბამის საკითხებზე მსჯელობის კონტექსტში.

ჯავახთ უფლის მონეტების დათარიღება

საზოგადოდ, ცნობილია გიორგი თამარის ძის შემდეგი სამონეტო ჯგუფები:

- უნესო ჭედვის სპილენძის მონეტები³³ (სურ. 1);
- როგორც ჩანს, წესიერი ჭედვის, სპილენძის მონეტები (მონეტა) მეფის ფიგურის გამოსახულებით³⁴ (სურ. 2);

³¹ ნ. ბერძენიშვილის ნაშრომში ეს სიტყვა შეცდომით არის მოყვანილი. იქვე, 145.

³² ამ ტიტულზე და მის ისლამურ ანალოგებზე იხ. გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), 245-246.

³³ Пахомов, *Монеты Грузии*, 96-99.

³⁴ იქვე, 100-101.

– ნესიერი ჭედვის პირწმინდად ეპიგრაფიკული სპილენძის მონეტები³⁵ (სურ. 3-6).

ამასთანავე, უნესო ჭედვის სპილენძის მონეტები დათარიღებულია: მათზე მითითებულია ქართული ქრონონიკონის 430 წელი (1210). ეს უკანასკნელი, მართალია, ჩანს, ე.წ. „გაყინულ თარიღს“ წარმოადგენს, როგორც ეს საზოგადოდ, მიღებული იყო ამ ეპოქის ქართულ მონეტებზე,³⁶ მაგრამ ის მაინც არის *terminus ante quem non* – ის ქრონოლოგიური წერტილი, რომელზე ადრეც ამ ტიპის მონეტების გამოშვება არ დაიწყებოდა. იგივე თარიღი, როგორც ჩანს, მითითებულია სპილენძის მონეტაზედაც მეფის ფიგურის გამოსახულებით.³⁷ ამგვარად, ამ ტიპის მონეტების გამოშვება წარმოებდა დროის შუალედში, რომელიც 1207 თუ 1210-1223 (გიორგი IV-ის გარდაცვალების თარიღი) წლებით იფარგლება.

წინა ორი ტიპისგან განსხვავებით, გიორგი თამარის ძის ნესიერი ჭედვისა და ჯავახთ უფლის ტიტულის მატარებელი სპილენძის მონეტების ემისიის პერიოდის დადგენა შეუდარებლად უფრო რთულია. თავად ამ ტიპის საფასეზე მოჭრის თარიღი (თუნდაც, ინიციალური) მითითებული არაა. შესაბამისად, ამ საკითხზე მსჯელობისას ისტორიკოსი იძულებულია შემოიფარგლოს არაპირდაპირი ისტორიული ჩვენებების გათვალისწინებით და ლოგიკური მსჯელობით.

იურიდიული სტატუსისა (და იქნებ, აგრეთვე, *de facto* ძალაუფლების) თვალსაზრისით თამარ მეფის ვაჟისა და მემკვიდრის – ლაშა გიორგის, ცხოვრება შეიძლება ქრონოლოგიურად სამ ეტაპად დაიყოს:³⁸

1. დაბადებიდან თამარის თანამოსაყდრედ I კურთხევამდე;³⁹

³⁵ იქვე, 99-100.

³⁶ იქვე, 76-77.

³⁷ თავად მონეტა ცუდად არის შენახული, ლეგენდების წაკითხვა გაძნელებულია, მაგრამ თარიღი, როგორც ჩანს, იგივეა, – ის აღნიშნულია როგორც ქართული ქრონონიკონით, ასევე ჰიჯრით. იქვე, 100-101; თამაზ ნატროშვილი, გოჩა ჯაფარიძე, „ცდა ერთი თარიღის დადგენისა“, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*, 1 (1974), 161.

³⁸ ჩვენ განზრახ ვერიდებით ზუსტი თარიღებით ოპერირებას – ეპოქის ქრონოლოგია საბოლოოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება, ხოლო ამ საკითხის კვლევა-ანალიზი ჩვენი ამოცანის ფარგლებს ცდება.

³⁹ გ. აბდალაძე დამატებით ყოფს პერიოდს დაბადებიდან თანამოსაყდრედ კურთხევამდე ორად; მკვლევრის აზრით, შეიძლება გამოიყოს ოთხი პერიოდი: „გიორგი IV ლაშას მოღვაწეობის ძირითადი ქრონოლოგია შემდეგნაირად წარმოგვიდგება. გიორგი ლაშა დაიბადა 1192-1193 წლის მიჯნაზე. 1201 წლისთვის ის უკვე „ჯავახთ უფალია“ და საუფლისწულო დომენს ფლობს. მამამისის გარდაცვალებისთანავე, 1205 წლიდან შეუდგა თანამეფობას, მაგრამ მისი თანამოსაყდრედ კურთხევა მოხდა 1206 წელს. 1210 წლის 27 იანვრიდან გიორგი IV ლაშა საქართველოს მეფეა. 1223 წლის 18 იანვარს, ოთხშაბათ დღეს გიორგი ლაშა 30 წლის ასაკში აღესრულა“. გვანცა აბდალაძე, „XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან“, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 359 (2005), 107. ჩვენ პირადად მაინც უფრო ლოგიკურად მივიჩნევთ ლაშა გიორგის ზეობის დაყოფას სამად, ვინაიდან მამის, დავით სოსლანის გარდაცვალებამდე ის, ვფიქრობთ, არ უნდა

2. I კურთხევიდან თამარის გარდაცვალებამდე და შესაბამისად II კურთხევიამდე;

3. II კურთხევიდან – სიკვდილამდე.

აქამდე ეს საკითხი უკვე იყო მკვლევართა საგანგებო ყურადღების საგანი. ამასთან, მოჭრის დროსთან დაკავშირებით დაფიქსირდა განსხვავებული მოსაზრებები:⁴⁰

გ. ოთხმეზური, როგორც ჩანს, თვლიდა, რომ აღნიშნული ტიპის საფასე იჭრება ლაშა გიორგის ერთმეფობამდე.⁴¹ იგივე აზრი გაიზიარა თ. დუნდუამაც: „ლაშა ჯავახთუფალი თამარის თანამოსაყდრეა და მის სიცოცხლეშივე ახორციელებს ... ფულის ემისიას“.⁴² გ. დუნდუას და თ. დუნდუას ახალ ნაშრომში ეს საკითხი გადაუჭრელად არის დატოვებული,⁴³ თუმცა კი, შენიშვნებში (რომლებიც, უეჭველია, თ. დუნდუას კალამს ეკუთვნის), სიტყვა-სიტყვით არის გამეორებული მოსაზრება ლაშა ჯავახთ უფლის მიერ თამარის სიცოცხლეშივე მონეტის გამოშვების შესახებ.⁴⁴ ეს აზრი გატარებულია ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილ ტომშიც *ფული საქართველოში*.⁴⁵

დ. ნინიძის აზრით კი, რომელმაც, საზოგადოდ, დიდი წვლილი შეიტანა ლაშა გიორგის ჯავახეთთან კავშირისა და ამ კავშირის ბუნების კვლევაში, აღნიშნული ტიპის მონეტების გამოშვება მიეძღვნა ლაშა გიორგის მიერ საქართველოს სამეფოს სათავეში ჩადგომას; მისი აზრით, ეს სამონეტო ტიპი, პირიქით, II კურთხევისთვის [და შემდგომ პერიოდში? – ი.ფ.] გამოუშვეს⁴⁶ (იხ. აგრეთვე, ჯავახთ უფლის მონეტების სტატუსი). საინტერესოა ავტორის არგუმენტი: „მონეტაზე მხოლოდ გიორგის მეფობაა აღნიშნული, რაც იმაზე ლაპარაკობს, რომ მისი ემისია თამარის გარდაცვალების შემდეგ ხდება“.⁴⁷

ნ. ბერძენიშვილი განიხილავდა სხვადასხვა ვერსიებს, მაგალითად, ამ ტიპის საფასის გამოშვებას ლაშა გიორგის მიერ ერთპიროვნული ძალაუფლების

ეკურთხათ (სხვა საკითხია, როდის გადაეცემოდა მას საუფლისწულო – ზუსტი თარიღის დასადგენად ინფორმაცია, აშკარად, არასაკმარისია).

⁴⁰ ზოგიერთ მკვლევარს, მაგალითად, ე. პახომოვს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები არ დაუფიქსირებია. Пахомов, *Монеты Грузии*, 99-100.

⁴¹ გიორგი ოთხმეზური, *XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო* (თბილისი, 1981), 46.

⁴² დუნდუა, *ქართული ეთნოკულტურული რეკოლუცია და დასავლეთი*, 156.

⁴³ დუნდუა და დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, 209.

⁴⁴ იქვე, 268, შენ. 16.

⁴⁵ მანაგაძე, *ფული საქართველოში 2000*, 48.

⁴⁶ დავით ნინიძე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, კრ. *საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები*, I (თბილისი, 1999), 36-37; დავით ნინიძე, „ალასტანელ (ბაგრატიონთა) „პროვინციის მეფეთა“ სამეფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის“, *მნათობი*, 7-8 (1993), 175; დავით ნინიძე, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები)* (თბილისი, 2004), 23-24.

⁴⁷ ნინიძე, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია*, 23-24.

მიღების შემდეგ – „თუ ლაშა ამ დროს ერთადერთი მეფეა და ეს ფული ჯავახეთში იჭრება...“⁴⁸ ამასთან, მკვლევარი, როგორც ჩანს, უფრო იმ აზრისკენ იხრებოდა, რომ ამ ტიპის საფასეს უფრო ადრე ჭრიდნენ: „ლაშა უკვე მეფეა, მაგრამ არა ერთადერთი. მეფეთმეფე ისევ თამარია, გიორგი კი მეფე-უფლისწულია და ჯავახთუფალი“.⁴⁹ ნ. ბერძენიშვილმა ყურადღება მიაქცია ამ სამონეტო ტიპის როგორც ქართულ, ისე არაბულ ლეგენდებს: „მოყვანილი ქართულ-არაბული ზედწერილები ურთიერთს ეთანხმებიან ლაშას მოხსენიებაში „მეფობით“, „დიდმეფობით“ და არა მეფეთმეფობით, როგორც ის არის მოხსენიებული მისი დროის სხვა ფულების არაბულ ზედწერილებზე... ზედწერილთა ეს თანხმობა თითქოს იმ გარემოებას აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი ჯერ კიდევ თამარის მეფეთმეფობის დროს ხდება, როცა ლაშა ჯერ კიდევ თანამეფეა მხოლოდ“.⁵⁰

აღნიშნული არგუმენტი, ჩვენი აზრით, რამდენადმე საკამათოა. თავად ჯავახთ უფლის მონეტები ნამდვილად განსხვავდება იმავე მონარქის სხვა სამონეტო ტიპებისგან გიორგის ტიტულებით – ჯავახთ უფლის მონეტებზე ქართულენოვან ლეგენდაში გიორგი მოიხსენიება როგორც *მეფე* და არა *მეფეთმეფე*; არაბულენოვანი წარწერაც იძლევა ტიტულს შემდეგი სახით: *მეფე დიდებული (الملك العظيم)*;⁵¹ მაშინ როდესაც მისი მონეტების დანარჩენ ორ ტიპზე (რომელიც 1210 წლით არის დათარიღებული) მოცემულია საქართველოს სამეფოს ერთპიროვნული ლიდერისთვის, სავარაუდოდ, უფრო შესაფერისი ტიტული – *მეფე მეფეთა (ملك الملوك)*. ამგვარად, თითქოსდა ნამდვილად ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ე.წ. ჯავახთ უფლის მონეტები ლაშა გიორგის ერთპიროვნულ მეფედ გახდომამდე უნდა ყოფილიყოს მოჭრილი. მაგრამ ასეთმა ცალმხრივმა მსჯელობამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს – აუცილებელია, შეძლებისდაგვარად, პარალელური და ანალოგიური მასალის მოშველიება და შედარებითი ანალიზის ჩატარება; ამგვარ მასალად გვევლინება თამარ მეფის მონეტები და დედა-შვილის თანადროული ლაპიდარული წარწერები: თამარ მეფის წესიერი ჭედვის მონეტებზე ის მოხსენიებულია როგორც *დედოფალი*⁵² *დედოფალთა (ملكة الملكات)*, ხოლო უწესო ჭედვის მონეტებზე კი – როგორც *დედოფალი დიდებული (الملكة العظيمة)* – ამასთანავე, ორივე ტიპის მონეტა მოჭრილია უკვე თამარის მამის, გიორგი III-ის გარდაცვალების შემდგომ, იმ დროს, როდესაც თამარი უკვე ერთპიროვნული თუ არა (ის დავით სოსლანზეა გათხოვილი), საფიქრებელია, ერთი და იგივე სტატუსის მქონე მონარქი მაინცაა. და, პირიქით, ჯერ კიდევ თამარის ზეობაში (ანუ ლაშა გიორგის ერთპიროვნულ მონარ-

⁴⁸ ბერძენიშვილი, „ჯავახეთის ექსპედიციის დღიური“, 145.

⁴⁹ იქვე, 146.

⁵⁰ იქვე, 146.

⁵¹ *vide supra* – ჯავახთ უფლის მონეტების ზედწერილები.

⁵² ჩვენ ვიყენებთ ამ ტერმინს *მედრობითი სქესის მონარქის* (და არა *სამეფო ოჯახის წევრი ქალის*) მნიშვნელობით.

ქად გახდომამდე) ლაშა გიორგი უკვე ზოგჯერ მაინც იწოდება *მეფეთ მეფედ* – ამას მოწმობს წარწერა თამარისა და ლაშა გიორგის ცნობილ კვლზე გუნია-ყალადან: „სახელითა ღმრთისადათა ბრძანებითა ღმრთის სწორთა თამარისა და გიორგისითა, კელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ-მეფისა გიორგისი“.⁵³

ეს მაგალითები მოწმობს იმას, რომ მხოლოდ ტიტულის საფუძველზე რთულია განვასხვავოთ – მონარქი ერთპიროვნული მმართველია თუ არა.⁵⁴ უფრო მეტიც, ტიტული, როგორც ჩანს, შეიძლება არც მიეთითებინათ – კიდევ ერთი კელი ჯავახეთიდან (თამარის კელი ჩხიკვთადან) იუნყება: „სახელითა ღმრთისადათა და მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისადათა მარწმუნა ღმერთმან თამარს რაითა შევეწყალენ სადიდებლად ჩუენისა სულისათს...“⁵⁵ *ძალაუნებურად ჩნდება აზრი, ამ პერიოდის საქართველოს სამეფოში ტიტულატურის სისტემა არ იყო იმდენად მყარად ჩამოყალიბებული, რომ ცალსახა ქრონოლოგიურ მინიშნებას წარმოადგენდეს; მხოლოდ ტიტულის მიხედვით რაიმე ფენომენის დათარიღება ერთგვარად საფრთხილოა.*

რაც შეეხება დ. ნინიძის არგუმენტს ჯავახთ უფლის მონეტებზე მეფობით მხოლოდ გიორგის მოხსენიებაზე,⁵⁶ ის, ჩვენი აზრით, შეიძლება უგულებელვყოთ – ზემოთ განხილულ გუნია-ყალას წარწერაზედაც ხომ ტიტულს (თანაც *მეფეთ მეფის!*) ატარებს მხოლოდ ლაშა გიორგი, თუმცა კი ტექსტი არაორაზროვნად იუნყება იმას, რომ თამარი ჯერ ცოცხალია.

ჩვენ მაინც იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ ჯავახთ უფლის მონეტები ლაშა გიორგის ცხოვრების მეორე პერიოდში მოიჭრა, I კურთხევიდან თამარის გარდაცვალებამდე (ანუ, II კურთხევამდე). ამაზე უნდა მიუთითებდეს ერთი, ძალიან სერიოზული გარემოება – მონეტაზე გიორგის მოხსენიება არა მარტო *მეფობით*, არამედ *ჯავახთ უფლობითაც*. სრულად ვეთანხმებით ნ. ბერძენიშვილის მსჯელობის კიდევ ერთ ფრაგმენტს: „თუ ლაშა ამ დროს საქართველოს ერთადერთი მეფეა ... მაშინ ეს წარწერა გაუგებარია: რა საჭირო იყო საერთო ფულზედ მისი მოხსენიება ჯავახთუფლობით?“ ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ ძლიერე-

⁵³ წარწერა მოგვაქვს ლიტერატურიდან უცვლელი სახით. ოთხმეზური, *XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები*, 20-21.

⁵⁴ ამასთან, საინტერესოა, შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ქრონოლოგიურ მინიშნებად – ლაშა გიორგის რომელი სახელია მითითებული; გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლაშა გიორგის პირველ კურთხევამდე ლაშა ეწოდებოდა (მაგ. თამარისა და ლაშას კვლზე პრეტენადან: „იდესუ ქრისტე, ადიდე თამარ და ძე მათი ლაშა“), შემდეგ კი *გიორგი*. ოთხმეზური, *XII-XIII საუკუნეების ქართული ლაპიდარული წარწერები*, 33-34. ამასთან, ჰორომაირის წარწერაში ის მეფობით (sic) და ლაშობით მოიხსენიება: „...მეფობასა ლაშასი...“ ლეონ მელიქსეთ-ბეგი, „ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა“, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, 108 (1964), 326. თუმცა, ეს წარწერა სომხურენოვანია, რაც შეიძლება ერთგვარი შეცდომის მიზეზიც კი იყოს.

⁵⁵ ოთხმეზური, *XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები*, 33.

⁵⁶ ნინიძე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 36; ნინიძე, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია*, 23-24.

ბის აპოგეაში მყოფი ერთიანი საქართველოს (და დაპყრობილი ტერიტორიების) ერთპიროვნულ მონარქ გიორგი IV-ს თავისივე საფასეზე თავისი ძალაუფლების ფარგლები შეეზღუდა ჯავახთ უფლობით. ვფიქრობთ, რომ ეს არ არის მოსალოდნელი იმ შემთხვევაშიც კი, თუ სრულიად საქართველოსა და საქართველოს სამეფოს სათავეში მყოფი გიორგი IV ამ სამონეტო ტიპს ჯავახეთში უშვებდა.⁵⁷ ცნობილია, თუ რა მნიშვნელოვანი დეკლარაციული ფუნქცია ეკისრებოდა სამონეტო რეგალიას – უკვე საქართველოს სამეფოს სათავეში ჩამდგარ ლაშა გიორგის იქნებ კიდევ შეეძლო თავისი თავისთვის ქართულ ლეგენდაში *მეფე* (და არა *მეფეთ მეფე*) ეწოდებინა (თამარიც ყველა მონეტაზე როდი ატარებს *დედოფალთა დედოფლის* ტიტულს, მართალია არაბულენოვან ლეგენდაში, იხ. ზემოთ); მაგრამ მაინცდამაინც ჯავახეთის მოხსენიება ამ სამონეტო ტიპის ლეგენდებში ერთგვარად ეჭვის ქვეშ დააყენებდა გიორგი IV-ის უზენაესობას, უფლობას საქართველოს სამეფოს სხვა პროვინციებში. ამრიგად, ჩვენ ვემხრობით იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ამ სამონეტო ტიპის გამოშვების დროისთვის „მეფეთმეფე ისევ თამარია, გიორგი კი მეფე-უფლისწულია და ჯავახთუფალი“;⁵⁸ ამ საფასის თამარის გარდაცვალების შემდეგ გამოშვების ალბათობა, ჩვენი აზრით, ნაკლებია.

ჯავახთ უფლის მონეტების მიმოქცევის არეალი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლაშა გიორგის ეს მონეტები ძალიან იშვიათად გვხვდება. ცნობაში მოყვანილ ცალთა რაოდენობა, როგორც ჩანს, ოთხ-ხუთათეულს არ აღემატება; გამოქვეყნებულთა რიცხვი კი შეუდარებლად უფრო მცირეა. ამასთანავე, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უპასპორტოა – მონეტებს აღმოჩენის ადგილის შესახებ ცნობები თან არ ახლავს. მიუხედავად ამისა, რამდენიმე (ყველაზე ცოტა, 12) ამგვარი მონეტის პოვნის ადგილი მაინც ცნობილია. სათითაოდ განვიხილოთ არსებული მონაცემები:

1. თბილისი; ავლაბრის რაიონში, სევანის შესახვევში, გამბაროვის სახლის ეზოში დაახლოებით 0.5 მეტრის სიღრმეზე აღმოაჩინეს (1936 წ. ივლისში) ქართული და უცხოური სპილენძის მონეტების დიდრონი განძი. დ. კაპანაძის მიერ გადათვალთვალული ნაწილი წესიერი ჭედვის მონეტებისგან შედგებოდა: თამარ-დავითის⁵⁹ – 4 ეგზემპლარი; ლაშა გიორგის – ტიტულით *ჯავახთ უფალი* – 1 (ამ მონეტას რუსუდანის დამლა ეტყობოდა); რუსუდანის⁶⁰ – 1349 (?); რუმის სელჯუკი სულთნის ქეიქავუს I-ის – 1; ილდეგიზიანი უზბეკის – 1;⁶¹

⁵⁷ ამრიგად, ვერ დავეთანხმებით ნ. ბერძენიშვილის მსჯელობის სხვა ფრაგმენტს: „თუ ლაშა ამ დროს საქართველოს ერთადერთი მეფეა და ეს ფული ჯავახეთში იჭრება, მაშინ „ჯავახთუფალი“ გასაგებია“. ბერძენიშვილი, „ჯავახეთის ექსპედიციის დღიური“, 145.

⁵⁸ იქვე, 145.

⁵⁹ სამონეტო ტიპის აღწერილობისთვის იხ. Пахомов, *Монеты Грузии*, 94.

⁶⁰ სამონეტო ტიპის აღწერილობისთვის იხ. Пахомов, *Монеты Грузии*, 105.

⁶¹ Евгений Пахомов, *Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа*, Выпуск IV (1949), 46, №1137; Давид Капанадзе, „Клад монет XII-XIII вв. из сел. Ничбиси“,

2. მტკვრის კალაპოტი, თბილისის ტერიტორია; იქ აღმოჩნდა 2 ეგზემპლარი (სურ. 3, ცხრილი 1, №27; მეორე მონეტის სურათი და მეტროლოგია ჩვენთვის, სამწუხაროდ, მიუწვდომელია).⁶² თეორიულად დასაშვებია, რომ მონეტები მტკვრის (ან ჯერ არაგვის და მერე მტკვრის) დინებას ჩამოჰყვა (მონეტების შემცველი შესაბამისი კულტურული ფენის მორეცხვის შემდეგ) – და XIII საუკუნეში სამონეტო მიმოქცევას სულ სხვა ადგილას გამოაკლდა. მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს ნაკლებად არის მოსალოდნელი – წყალს რომ ეს მონეტები ფსკერის გაყოლებით მრავალი ათეული კილომეტრიდან წამოელო, მონეტები კიდევ უფრო გაცვეთილი და დაზიანებული იქნებოდა. ვვარაუდობთ, რომ ორივე ეგზემპლარი უშუალოდ XIII საუკუნის თბილისიდან მომდინარეობს (საუკუნეების განმავლობაში კულტურულ ფენაში ინახებოდა, რომელიც შემდეგ მდინარის წყალმა დააზიანა); მიუხედავად ამისა, ამ 2 მონეტას მაინც თბილისში ნაპოვნისგან ცალკე განვიხილავთ;

3. რუსთავი; ნაციხვარზე (1959 წ.) აღმოჩნდა 1 ეგზემპლარი;⁶³

4. დმანისი; აღმოჩნდა 2 ეგზემპლარი;⁶⁴ როგორც ჩანს, ამ 2 ცალში იგულისხმება ის ეგზემპლარიც, რომელიც უფრო ადრე ე. პახომოვმა გამოაქვეყნა;⁶⁵

5. ახალქალაქი (ჯავახეთისა); აღმოჩენილი ეგზემპლარების რაოდენობა უცნობია⁶⁶ (მინიმუმ, 1?); იქვე აღმოჩნდა ამ ტიპის 1 მონეტის ფრაგმენტიც;⁶⁷ სულ, მაშასადამე, მინიმუმ 2 ეგზემპლარი;

6. ახალციხე; აღმოჩენილი ეგზემპლარების რაოდენობა უცნობია⁶⁸ (მინიმუმ, 1?);

Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, XXVIII-В (1969), 87.

⁶² საკუთარი მონაცემები (ორივე მონეტა შემდგომში კერძო კოლექციებში მოხვდა).

⁶³ ჯალალანია, „რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა“, 50, 62, სია II, №1.

⁶⁴ ჯალალანია და ჯაფარიძე, „დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი“, 18-19, 36-37, №201-202; ნინო მიქელაძე, „დმანისის ნუმიზმატიკური მონაცემები“, კრებულში *ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი*, IV, (2002), 471.

⁶⁵ Пахомов, *Монетные клады IV*, №1140.

⁶⁶ საინვენტარო ნომრები და ამჟამინდელი ადგილსამყოფელი, სამწუხაროდ, მითითებული არ არის. ჯალალანია და ჯაფარიძე, „დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი“, 19. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ აღნიშნულ შრომას ეყრდნობა დ. ნინიძეც ახალქალაქში ამ ტიპის მონეტების აღმოჩენის ფაქტის მითითებისას (ინფორმაციის წყაროს მითითების გარეშე). ნინიძე, „ალასტანელ (ბაგრატიონთა) „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის“, 175; ნინიძე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 37; ნინიძე, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები)*, 25.

⁶⁷ ეკატერინე ჯანდიერი, „ჯავახეთის ახალქალაქის ძველი ნამოსახლარები“, *საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე*, I (46-B), (2010), 184-185, ფოტოტაბულა VIII, №5.

⁶⁸ საინვენტარო ნომრები და ამჟამინდელი ადგილსამყოფელი, სამწუხაროდ, მითითებული არ არის. დ. ნინიძე ამ შემთხვევაშიც, საფიქრებელია, ამავე წყაროს ეყრდნობა. ლიტერატურისთვის იხ. სქოლიო 66.

7. თეთრინყაროს რაიონი, ნაქალაქარ სამშვილდის მახლობლად; დაუზუსტებელ ადგილას (2009 წელს) იპოვეს 1 ეგზემპლარი (სურ. 4, ცხრილი 1, №24);⁶⁹

8. თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორია; სომხეთის რესპუბლიკიდან სხვადასხვა დროს (2006 და 2010 წწ.) საქართველოში გასაყიდად ჩამოიტანეს 2 ეგზემპლარი – ჩვენში ეჭვს არ იწვევს, რომ ორივე სომხეთში უნდა იყოს ნაპოვნი, თანაც ცალ-ცალკე (ამაზე ქრონოლოგიური ინტერვალის გარდა, მონეტების საკმაოდ განსხვავებული პატინაც მიუთითებს), თუმცა პოვნის ზუსტი ადგილები უცნობი რჩება (სურ. 5-6, ცხრილი 1, №25-26);⁷⁰ ჩრდილოეთი სომხეთი XIII საუკუნეში, როგორც ცნობილია, საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში უშუალოდ იყო ინკორპორირებული.

არსებული ცნობები ლაშა გიორგის ამ ტიპის წესიერი ჭედვის მონეტების გავრცელების შესახებ საკმაოდ საინტერესო სურათს გვიხატავს. ჩამოვაცალიბებთ მის ძირითად ნიშნებს:

– „ჯავახთ უფლის“ მონეტების გავრცელება ნამდვილად არ იფარგლება ლაშა გიორგის საუფლისწულოს ტერიტორიით (თრიალეთის, ჯავახეთის, ჩრდილო სომხეთის ნაწილი);⁷¹

– ამასთან, მათი გავრცელება არ სცდება (ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის არსებული მონაცემების მიხედვით) ზემო და ქვემო ქართლს, თბილისს და ჩრდილოეთ სომხეთს. საქართველოს სამეფოს არცერთ სხვა პროვინციაში (ისევე, როგორც საქართველოს სამეფოს ფარგლებს გარეთ) მათი პოვნის ფაქტები, ჯერჯერობით მაინც, დადასტურებული არაა;

– თამარისა და დავით სოსლანის, ისევე როგორც რუსუდანის წესიერი ჭედვის სპილენძის მონეტების გავრცელებასთან⁷² შედარება ცხადყოფს, რომ ლაშა გიორგის ამ ტიპის მონეტები უფრო შეზღუდულად მიმოიქცეოდა;

– ამასთან, გავრცელების შეზღუდული გეოგრაფიული არეალის გარდა, თვალში საცემია აღმოჩენილი მონეტების სიმწირე: ლაშა გიორგის მომდევნო ქართველი მონარქის – რუსუდანის მონეტებს მრავლად პოულობენ არა მარტო საქართველოს სამეფოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც; ასევე ხშირად ნახულობენ ლაშა გიორგის წინამორბედის – თამარის (და დავით სოსლანის)

⁶⁹ საკუთარი მონაცემები (მონეტა შემდგომში კერძო კოლექციაში მოხვდა).

⁷⁰ საკუთარი მონაცემები (მონეტები შემდგომში კერძო კოლექციებში მოხვდა).

⁷¹ დავით ნინიძე, „სოფელ ალასტანის ისტორიიდან“, კრ. *მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის*, ნაკვეთი III, (თბილისი, 1987), 28-31; ოთხმეზური, *XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული ნაწარმები*, 38-48.

⁷² იხ. მაგალითად, Пахомов, *Монеты Грузии*, 106-107; Евгений Пахомов, “Монетные клады Азербайджана и Закавказья”, *Труды общества обследования и изучения Азербайджана*, выпуск 3 (Баку, 1926), 26-27; Хачатур Мушегян, *Денежное обращение Двина по нумизматическим данным* (Ереван, 1962), 98-101.

ნესიერი ჭედვის მონეტებს,⁷³ ცნობილია რამდენიმე ათასი ეგზემპლარის შემცველი განძი;⁷⁴ გარდა ამისა, ამ ტიპის მონეტების განძებს ჯავახეთშიც კი პოულობენ,⁷⁵ ანუ, საქართველოს იმ რეგიონში, სადაც ლაშა გიორგის საუფლისწულო მდებარეობდა, და სადაც მისი ამ ტიპის მონეტების არც ერთი განძი არ არის ნაპოვნი (საერთოდ, ჯავახთ უფლის მონეტები ჩვენამდე ან შემთხვევითი აღმოჩენების, ან განძებში უმცირესი მინარევის სახით არის მოღწეული). ძალაუნებურად იბადება აზრი, რომ ამ ტიპის საფასე, ამა თუ იმ მიზეზით, ძალიან მცირე რაოდენობით – ტირაჟით გამოუშვეს.⁷⁶

ძნელი სათქმელია, ზემო და ქვემო ქართლში, თბილისსა და ჩრდილოეთ სომხეთში ჯავახთ უფლის მონეტების კონცენტრაცია შემთხვევითობის შედეგია თუ არა – ბუნებრივია, დასაშვებია, რომ მომავალში ასეთი მონეტები ძველი საქართველოს სამეფოს სხვა კუთხეებშიც აღმოჩნდეს. მაგრამ დღეისთვის არსებული მონაცემები მაინც თითქოსდა იმაზე მიუთითებს, რომ ლაშა გიორგის ამ ტიპის მონეტები უპირატესად მაინც მხოლოდ საქართველოს სამეფოს გეოგრაფიულად მეტ-ნაკლებად ცენტრალურ ნაწილში მიმოიქცეოდა – ზემო და ქვემო ქართლში, დედაქალაქ თბილისში, ჩრდილოეთ სომხეთში. არადა, ესოდენ შეზღუდული გავრცელება უფრო უნესო ჭედვის სპილენძისთვის არის დამახასიათებელი,⁷⁷ და არა ნესიერი ჭედვის მონეტებისთვის.

მაგრამ მოჭრილი მონეტების რაოდენობრივი სიმწირის (იხ. ზემოთ) გათვალისწინებით, ლოგიკურად გვეჩვენება მოსაზრება, რომ მონეტებით მაქსიმალურად პირველ რიგში ის ტერიტორია უნდა იყოს გაჯერებული, სადაც თავად მონეტის გამომშვეები ცენტრი მდებარეობდა, ან რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა ასეთ ცენტრს. მივიჩნევთ, რომ ჯავახთ უფლის მონეტებით

⁷³ იხ. წინა სქოლიო.

⁷⁴ თამარ ლომოური, „თამარის ფულების განძი“, *ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, I (1936), 281-289.

⁷⁵ მიქელაძე, „დმანისის ნუმიზმატიკური მონაცემები“, 468, 470.

⁷⁶ უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ივ. ჯავახიშვილმა მწვავედ გააკრიტიკა ე. პახომოვი იმისათვის, რომ ის ამა თუ იმ ეპოქაში გამოშვებული მონეტების საერთო რიცხვს საზღვრავდა მათი იმჟამინდელი აღმოჩენების მიხედვით. Иван Джавахов (Иванэ Джавахишвили), „Рецензия на книгу: “Е.А. Пахомов, “Монеты Грузии”. Часть I (домонгольский период), Зап. Нумизм. отд. Имп. Русск. Археол. Общества”, IV вып. I тома, 129 страниц (СПб., 1910), წიგნში ივანე ჯავახიშვილი, *თხზულებები თორმეტ ტომად*, ტომი IX (თბილისი, 1996), 677. კრიტიკა, ამ შემთხვევაში მაინც, ჩვენი აზრით, გაუმართლებელი იყო – განძებისა და ცალკეული მონეტების აღმოჩენის ტოპოგრაფიის შესწავლა, თუნდაც მოსახლეობაში დაგროვილი სამონეტო ფონდის საფუძველზე – ნუმიზმატიკური კვლევის აღიარებული მეთოდია; მის სარწმუნოებასა და ეფექტურობაზე მეტად დამაჯერებლად თავად ე. პახომოვი წერდა. Пахомов, “Монетные клады Азербайджана и Закавказья”, 3-7, 10-11. ჩვენი პირადი გამოცდილებაც სავესებით შეესაბამება ე. პახომოვის მოსაზრებებს.

⁷⁷ Пахомов, “Монетные клады Азербайджана и Закавказья”, 26-27; Dickran Kouymjian, “A Numismatic History of Southeastern Caucasia and Adharbayjān Based on the Islamic Coinage of the 5th/11th to the 7th/13th Centuries,” (Ph.D. Thesis, Columbia University, 1969), 119-123, 128.

ზემო და ქვემო ქართლის, დედაქალაქ თბილისისა და ჩრდილოეთ სომხეთის გაჯერება შეიძლება ასახავდეს საფასის გამომშვები ცენტრის ლოკალიზაციას როგორც თბილისში, ასევე ჯავახეთშიც (დაფუშვათ, ალასტანში); ამ მხრივ ზემოთ მოყვანილი ცნობები ლაშა გიორგის ამ ტიპის მონეტების პოვნის ადგილების შესახებ ცალსახა პასუხს არ იძლევა.

ჯავახთ უფლის მონეტების სტატუსი

არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული ტიპის მონეტები მემორიალური ხასიათისაა, და ეძღვნება ლაშა გიორგის მიერ საქართველოს სამეფოს სათავეში ჩადგომას – დ. ნინიძის აზრით, „როგორც ჩანს, მისი [ლაშა გიორგის – ი.ფ.] ერთმეფედ დაჯდომა საქართველოს სამხრეთ რეგიონში ასეთი სახით სპეციალურად აღუნიშნავთ – საქართველოს მეფე ხომ აქ „განსაკუთრებით ჯავახთუფალიც“ იყო“. ⁷⁸ ჩვენ მიგვაჩნია რომ ეს მონეტები მაინც ლაშა გიორგის ერთპიროვნული მმართველობის დაწყებამდე მოიჭრა (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების დათარიღება). მაგრამ, თეორიულად, ისინი შეიძლება მისი პირველად კურთხევის აღსანიშნავადაც მოჭრილიყო. ამასთანავე, ამ ტიპის მონეტები, ხშირად, საკმაო ცვეთის კვალს ატარებს (სურ. 4-6); გვაქვს განძის შემადგენლობაშიც ამ ტიპის მონეტის აღმოჩენის შემთხვევაც. ⁷⁹ გარდა ამისა, ეს მონეტები, როგორც უკვე აღინიშნა, სპილენძისაა, და არა რაიმე ძვირფასი ლითონის. ყოველივე ზემოთქმული, თითქოსდა, ამ ტიპის მონეტების მემორიალური (დონატიური) ბუნების წინააღმდეგ მეტყველებს. ⁸⁰ ასე თუ ისე, ამ ტიპის მონეტები, უეჭველია, მონაწილეობდა სამონეტო მიმოქცევაში (რაც, სხვათა შორის, არ გამოირიცხავს მათ პირვანდელ მემორიალურ დანიშნულებას). პირადად ჩვენ მაინც იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ ეს ჩვეულებრივი – მიმოქცევისთვის განკუთვნილი საფასე იყო.

⁷⁸ „მონეტების ეს ტიპი, რომლის ემისია ისეთ მნიშვნელოვან მოვლენასთან იყო დაკავშირებული, როგორიცაა „ჯავახთ უფლის“, უფლისწული ლაშა „ალასტანელის“ ერთიანი საქართველოს ერთმეფედ კურთხევა“. ნინიძე, „ალასტანელ (ბაგრატიონთა) „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის“, 175. იხ. აგრეთვე ნინიძე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 36-37; ნინიძე, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები)*, 24.

⁷⁹ იხ. ჯავახთ უფლის მონეტების მიმოქცევის არეალი, ჩვენი სიის №1.

⁸⁰ შესაძლებლად მივიჩნევთ, რომ ამგვარ დონატიურ მონეტას წარმოადგენდა ლაშა გიორგის ჩვენამდე მოღწეული და ჯერჯერობით უნიკალური ცალით წარმოდგენილი სამონეტო ტიპი, რომელზედაც მონარქის ფიგურა არის გამოსახული; გამოყენებული ლითონის (სპილენძი) მიუხედავად, მონეტა მეტად პრეზენტაციულია, და, ჩვენი აზრით, შეიძლება დონატიური ყოფილიყო. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის „მემორიალური და საზეიმო ხასიათის“ მონეტებისადმი მიძღვნილ ნაშრომში, რომელიც, სხვათა შორის, ლაშა გიორგის მონეტებსაც ეხება, ეს სამონეტო ტიპი საქართველოს სამეფოს მესვეურთა დასავლურ პოლიტიკასთან კავშირში განიხილება, მაგრამ არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული აზრი – წარმოადგენს ეს სამონეტო ტიპი მემორიალურს თუ არა. გაბაშვილი მანანა, „შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და საზეიმო ხასიათის მონეტები (XII ს.)“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, V (2008), 41-42.

ის ფაქტი, რომ „ჯავახთ უფლის“ რამდენიმე მონეტა მაინც ნაპოვნია საუფლისწულოს ფარგლებს გარეთაც, ჩვენი აზრით, იმაზე უფრო მიუთითებს, რომ ისინი იქ შემთხვევით კი არ მოხვდა, არამედ სრულუფლებიანი მონეტის სტატუსით სარგებლობდა და, შესაბამისად, მონაწილეობდა სამეფოს სამონეტო მიმოქცევაში; „ჯავახთ უფლის“ მონეტები გარეგნულად საკმაოდ განსხვავდება ქრონოლოგიურად წინამორბედი ქართული წესიერი ჭედვის სპილენძის მონეტებისგან და თუნდაც წერა-კითხვის უცოდინარ მოსახლეობას ისინი ერთმანეთში არ აერეოდა – გიორგი III-ისა (სურ. 9) და თამარისა და დავითის მიერ გამოშვებულ ფულებზე (სურ. 10) ხომ შესაბამისად ადამიანის ფიგურა ანდა თვალში საცემი გეომეტრიული იერის სიმბოლოა.⁸¹ თუკი ლაშა გიორგის ეს მონეტები ანგარიშსწორების კანონიერ საშუალებას საუფლისწულოს მეზობელ ტერიტორიაზე წარმოადგენდა (არსებული მონაცემებით – თბილისსა და საქართველოს სამეფოს სომხურ პროვინციებში), ასეთივე იქნებოდა მათი სტატუსი საქართველოს სამეფოს მთელს ტერიტორიაზეც. თუმცა კი, საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ განძებში ზოგჯერ გვხვდება უცხო ქვეყნების (თანაც ქართველ ბაგრატიონთა არქიმონინაალმდეგის – ილდეგიზიანთა) წესიერი ჭედვის მონეტებიც.⁸² ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოს სამეფოს ფულადი მიმოქცევის სფერო არ იყო საფასით საკმარისად გაჯერებული და სამონეტო ბაზარი იტევდა სულ სხვადასხვანაირ მონეტას, მათ შორის უცხოურსაც. აქედან გამომდინარე, მაინც რთულია იმის თქმა, ჰქონდათ თუ არა ლაშა გიორგის წესიერი ჭედვის მონეტებს საუფლისწულოს ფარგლებს გარეთაც ანგარიშსწორების საშუალების *de jure* სტატუსი. ამასთან, ვფიქრობთ, რომ *de facto* ისინი ნამდვილად მონაწილეობდნენ სამონეტო მიმოქცევაში მთელი სამეფოს ტერიტორიაზე.⁸³

ამ ტიპის მონეტების სტატუსის თვალსაზრისით, საკვანძო საკითხია, თუ ვის მიერაა ისინი გამოშვებული, საქართველოს ერთპიროვნული მონარქის – გიორგი IV-ის (თამარის გარდაცვალების შემდეგ), თუ მეფედ კურთხეული ლაშას, ამიერიდან უკვე გიორგი მეფის მიერ (ჯერ კიდევ დედის ზეობაში). პირადად ჩვენ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასკნელ ვერსიას ვემხრობით (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების დათარიღება). ასეთ შემთხვევაში, უმცროსი თანამმართველის მიერ დამოუკიდებლად საკუთარი სახელით (მშობლისა და

⁸¹ ამ უკანასკნელის რაობისა და მნიშვნელობის შესახებ საგანგებო შრომას ვამზადებთ, და ამჟამად ამ საკითხის განხილვას თავს ავარიდებთ.

⁸² იხ. მაგალითად, Капанадзе, “Клад монет XII-XIII вв.”, 85-88.

⁸³ საყურადღებოა, რომ ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ლაშა გიორგის წესიერი ჭედვის მონეტები (მეფის ფიგურის გამოსახულებით) საქართველოს ფარგლებს გარეთ იყო მიმოქცევაში, ასე ვთქვათ, კონვერტირებად ფულს წარმოადგენდა (მაშინ როდესაც უწესო ჭედვის საფასე ქვეყნის შიგნით მიმოქცევისთვის იყო განკუთვნილი). ნატროშვილი და ჯაფარიძე, „ცდა ერთი თარიღის დადგენისა“, 161, 164; აბდალაძე, „XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან“, 106.

უფროსი თანამმართველის სახელის უტიტულოდ მითითებით) საფასის გამოშვება ქართული ნუმიზმატიკური და, მეტიც, პოლიტიკური ისტორიის ძალიან საყურადღებო მოვლენად გვევლინება. ამასთანავე, მონეტის ზედწერილები ერთგვარად ხაზს უსვამს ემიტენტის დაქვემდებარებულ მდგომარეობას – თ. დუნდუას სიტყვებით, „სპეციფიური საუფლისწულო ატრიბუტი დიარხის მასშტაბით თამარის ძის სუბორდინირებულ პოზიციაზე მიგვანიშნებს“.⁸⁴

საფიქრებელია, რომ ჯავახთ უფლის მონეტებმა კანონიერი თუ *de facto* გადახდის საშუალების სტატუსი შეინარჩუნა გიორგი IV-ის II კურთხევის შემდეგაც.

სევანის შესახვევში აღმოჩენილ სამონეტო კომპლექსში (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების მიმოქცევის არეალი, ჩვენი სიის №1)⁸⁵ ნაპოვნი ჯავახთ უფლის ფულის ერთადერთი ეგზემპლარი რუსუდანის დამლას⁸⁶ ატარებს. იზადება კითხვა – თუ რა როლს თამაშობდა „ჯავახთ უფლის“ ტიპის საფასე გიორგი IV-ის გარდაცვალებისა და რუსუდანის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ: შეინარჩუნა მან ანგარიშსწორების საშუალების სტატუსი, თუ მისი თავისუფალი მიმოქცევა აიკრძალა? ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუსუდანის ზეობაში „ჯავახთ უფლის“ მონეტებს საფასის მნიშვნელობა მხოლოდ იმ პირობით უნარჩუნდებოდა, თუ მათზე ახალი ხელისუფლის დამლა იქნებოდა მოთავსებული. მაგრამ, ამასთანავე, იმავე განძში შემავალ თამარ-სოსლანის 4 (4/1355, 0.30%) მონეტაზე, ისევე როგორც 2 არაქართულ (2/1355, 0.15%) მონეტაზე, რუსუდანის დამლა, ყოველ შემთხვევაში, პახომოვის თანახმად, აღბეჭდილი არ იყო.⁸⁷ ჩვენთვის გაურკვეველი (და გაუგებარი) რჩება, თუ რატომ იყო საჭირო რუსუდანის დამლის მოთავსება გიორგი IV-ის მონეტაზე, მაგრამ არა თამარ-დავითისა და უცხოურ მონეტებზე. რუსუდანის მიერ ტახტის უზურპაცია – საფიქრებელია, ამის მიზეზი არ უნდა ყოფილიყო. ასე თუ ისე, ერთადერთი სამონეტო კომპლექსის საფუძველზე რაიმეს მტკიცება არაკორექტულია. იმედს ვიტოვებთ, რომ დამატებითი მონაცემები (სხვა განძების აღმოჩენა და მათი შემადგენლობის გამოქვეყნება) ამ საკითხს საბოლოოდ გაარკვევს.

ჯავახთ უფლის მონეტები საქართველოს სამეფოს სამონეტო მიმოქცევაში

გიორგი თამარის ძის ზეობის ამა თუ იმ პერიოდში გამოშვებული „ჯავახთ უფლის“ მონეტები იმდენად იშვიათია, რომ, ბუნებრივია, იზადება კითხვა – რა საფასე ასრულებდა წესიერი ჭედვის სპილენძის მონეტის (დრამის? იხ. ჯავახთ

⁸⁴ დუნდუა, *ქართული ეთნოკულტურული რევოლუცია და დასავლეთი*, 156.

⁸⁵ Пахомов, *Монетные клады IV*, №1137; Капанадзе, “Клад монет XII-XIII вв.”, 87

⁸⁶ სამწუხაროდ, ავტორს არა აქვს მითითებული, თუ რა დამლაზეა საუბარი (იქვე, 87), არადა ჩვენთვის ცნობილია რუსუდანის 4 დამლა მაინც. Пахомов, *Монеты Грузии*, 112-117; კაპანადე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 83-86.

⁸⁷ Пахомов, *Монетные клады IV*, №1137; Капанадзе, “Клад монет XII-XIII вв.”, 87.

უფლის მონეტების ნომინალი) როლს საქართველოს სამეფოში – თუნდაც თამარის გარდაცვალების შემდგომ, ანუ, 1207 თუ 1210⁸⁸-1223 წლებში. ჩვენი აზრით, უეჭველია, რომ მოთხოვნილებას ამგვარ მონეტაზე „ჯავახთ უფლის“ იშვიათი ცალები ვერ შეავსებდა. არადა, გვაქვს პირდაპირი მითითება, რომ დრამები (თუკი ეს ტერმინი მართლაც სწორი ჭედვის მონეტების აღნიშვნისთვის გამოიყენებოდა, იხ. ჯავახთ უფლის მონეტების ნომინალი) კვლავინდებურად სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების შემადგენელ ნაწილს შეადგენდა – ისინი მოხსენიებულია ეპისკოპოს ეპიფანეს წარწერაში ანისის ქართული ეკლესიის კედელზე,⁸⁹ რომელიც დაახლოებით 1218 წლით არის დათარიღებული.⁹⁰

ჩვენი აზრით, სახელმწიფოს ეკონომიკაში აღნიშნულ პერიოდში ამ ფუნქციის შესრულება ეკისრებოდა უზარმაზარი რაოდენობით მოჭრილ⁹¹ თამარისა და დავით სოსლანის ერთობლივ სპილენძის მონეტებს. ამ მოსაზრებას ადასტურებს ისიც, რომ აღნიშნული მონეტები მიმოქცევაში რჩებოდა გამოშვებიდან (მონეტებზე თარიღის მითითების შემთხვევაში ეს არის ქორონიკონის 420 წ., ანუ ქრისტეშობიდან 1200 წ.⁹²) მეოთხედი საუკუნის გასვლის შემდეგაც – მათ პოულობენ (თუმცა, მცირე რაოდენობით) იმ განძების შემადგენლობაშიც, რომელიც ძირითადად უკვე რუსუდანის (1223-1245) მონეტებისგან შედგება.⁹³

რაც შეეხება ლაშა გიორგის ამ ტიპის მონეტების ხვედრით წილს საქართველოს სამეფოს ფულად მიმოქცევაში მისი გარდაცვალების შემდეგ, ის კიდევ უფრო უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო.⁹⁴ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით სევანის შესახვევში აღმოჩენილ განძს (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების მიმოქცევის არეალი, ჩვენი სიის №1), რომელშიც შედიოდა „ჯავახთ უფლის“ 1 დადამლუ-

⁸⁸ თამარის გარდაცვალების თარიღი დღემდე მეცნიერული დისკუსიის საგანს წარმოადგენს, რომლის განხილვა სცილდება ჩვენი ამჟამინდელი ამოცანის ფარგლებს.

⁸⁹ Нико Марр, *Надпись Епифания, католикоса Грузии (Из раскопок в Ани 1910 г.)* (С. Петербург, 1910); იხ. აგრეთვე ჟ. შილაუიას, *Հայաստանի վրացական արձանագրությունները. Աղբյուրագիտական քննություն*, (Երեւան: Երեւանի համալսարանի հրատարակչություն, 1977), 35-47. [პარუიერ მურადიანი, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, ერევანი, 1977]

⁹⁰ წარწერის დამასრულებელ სომხურენოვან სტრიქონში მითითებული თარიღი (სომხური ქორონიკონით) უდრის 1218 წელს; წარწერის ქართულენოვან ნაწილში ქართული ქორონიკონით მითითებული თარიღის ცალსახად ნაკითხვა ვერ ხერხდება. Марр, *Надпись Епифания*, 1436.

⁹¹ კიდევ ერთხელ გავიხსენებთ თუნდაც თამარისა და დავით-სოსლანის ვეჯინის განძს, რომელშიც ამ ტიპის 2759 მონეტა იყო. ლომოური, „თამარის ფულების განძი“, 282.

⁹² Пахомов, *Монеты Грузии*, 94-95.

⁹³ Капанадзе, “Клад монет XII-XIII вв.”, 87-88, №18-19.

⁹⁴ აღსანიშნავია, რომ ნესიერისგან განსხვავებით, ლაშა გიორგის უნესო ჭედვის მონეტები შეუდარებლად უფრო ფართოდ იყო გავრცელებული, და მიმოქცეოდა ლაშა გიორგის გარდაცვალების შემდეგაც; ამას ადასტურებს ჯალალ ად-დინის „ქართულ“ მონეტებთან ერთად მათი აღმოჩენის ფაქტები. Капанадзе, “Клад монет XII-XIII вв.”, 86.

ლი მონეტაც. ეს არის ამ ტიპის საფასის სამონეტო კომპლექსის შემადგენლობაში აღმოჩენის ერთადერთი ფაქტი – სხვა შემთხვევებში ჯავახთ უფლის მონეტებს, როგორც შეგვიძლია ვივარაუდოთ არსებული მონაცემების საფუძველზე (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების მიმოქცევის არეალი, ჩვენი სიის №1), ცალ-ცალკე პოულობდნენ. ხსენებული განძი უპირატესად რუსუდანის მონეტებისგან შედგება (1348/1355, 99.48%) და სწორედ რუსუდანის ზეობაში უნდა იყოს გადამალული. ლაშა გიორგის მონეტა მასში უმცირეს მინარევს წარმოადგენს (1/1355, 0.07%).⁹⁵ რუსუდანის ზეობაში (ან შემდგომ პერიოდში?) გადანახულ სხვა არცერთ განძში ჯავახთ უფლის ერთი მონეტაც კი არ არის აღმოჩენილი.⁹⁶

ჯავახთ უფლის მონეტების მოჭრის ადგილი

თავად ლაშა გიორგის ამ ტიპის მონეტებზე მოჭრის ადგილი მითითებული, როგორც ცნობილია, არ არის. საზოგადოდ, საფასის გამომშვები ზარაფხანის სახელწოდება ამ პერიოდის სპილენძის ქართულ მონეტებზე (დემეტრე I-დან მოყოლებული და რუსუდანით დასრულებული) არ მიეთითებოდა.⁹⁷ მეტწილად არაბულენოვანი სპილენძის საფასის გამოშვება ქუთაისიდან თბილისში დედაქალაქის გადატანას და სამეფო კარის შემდგომ ორიენტალიზაციას⁹⁸ რომ მოჰყვა – ეჭვს არ იწვევს. არსებობს ერთადერთი ცნობა (ეპისკოპოს ეპიფანეს წარწერა ქალაქ ანისის ქართული ეკლესიის კედელზე, უფრო დანვრილებით იხ. ქვემოთ) ქართული მონეტის თბილისში გამოშვების შესახებ. საზოგადოდ, ქართული საფასის გამოშვება სამეფოს დედაქალაქში ლოგიკურია, მაგრამ შეუძლებელია იმის გამორიცხვაც, რომ XII-XIII სს. ქართული სპილენძის მონეტები თბილისის გარდა სადმე სხვაგანაც იჭრებოდა – რამდენიმე ზარაფხანის ერთდროული მუშაობით უფრო გაადვილდებოდა სამეფოს მრავალრიცხოვანი მოსახლეობისთვის საკმარისი რაოდენობით საფასის დამზადება;⁹⁹ ჩვენი აზრით, არ არის გამართლებული ამ ეპოქის ყველა ქართული სპილენძის მონეტის თბილისის ზარაფხანისადმი მიკუთვნება (როგორც ეს ზოგჯერ ნუმისმატიკურ ლიტერატურაში ხდება).¹⁰⁰

⁹⁵ Пахомов, *Монетные клады IV*, №1137; Капанадзе, “Клад монет XII-XIII вв.”, 87.

⁹⁶ შეად. იქვე, 87-88.

⁹⁷ Пахомов, *Монеты Грузии*, 74-111.

⁹⁸ იქვე, 75.

⁹⁹ თავის დროზე, ჯალალ ად-დინის მონეტებთან მიმართებაში უკვე აღვნიშნეთ, რომ ზარაფხანას თბილისის გარდა შეიძლება სადმე სხვაგანაც ემუშავა. დავით ფაცია, ირაკლი ფალავა, *ჯალალ ად-დინ მანქუზურნის ქართული მონეტები* (თბილისი, 2009), 23.

¹⁰⁰ იხ. მაგალითად, Mayer (bearbeitet von), *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*, 110-116. თუმცა, უნესო ჭედვის მონეტების უპირატესი კონცენტრაცია აღმოსავლეთ საქართველოში (Пахомов, *Монеты Грузии*, 106-107; Пахомов, “Монетные клады Азербайджана и Закавказья”, 26-27) ალბათ მართლაც იმაზე მიუთითებს, რომ ძირითადი (უფრო აქტიური? ერთადერთი?) ზარაფხანა სწორედ ქვეყნის ამ ნაწილში (თბილისში?) მოქმედებდა.

და მაინც, თითქოსდა, ლოგიკური იქნებოდა გვევარაუდა, რომ ლაშა გიორგის ამ ტიპის წესიერი ჭედვის მონეტებს თბილისის ზარაფხანა უშვებდა. მაგრამ არსებობს ალტერნატიული მოსაზრებაც.

აღნიშნული საკითხით ნ. ბერძენიშვილი დაინტერესდა და აღნიშნა, რომ ეს სამონეტო ტიპი შეიძლება ჯავახეთშიც მოჭრილიყო; მას ამ თემაზე ძალიან საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული:

„თუ ლაშა ამ დროს საქართველოს ერთადერთი მეფეა და ეს ფული თბილისში იჭრება, მაშინ ეს წარწერა გაუგებარია: რა საჭირო იყო საერთო ფულზედ მისი მოხსენიება ჯავახთუფლობით?

თუ ლაშა ამ დროს საქართველოს ერთადერთი მეფეა და ეს ფული ჯავახეთში იჭრება, მაშინ „ჯავახთუფალი“ გასაგებია. მაგრამ ასეთი დაშვებისას ჩვენ უნდა გვცოდნოდ: ჰქონდათ თუ არა ჩვენში პროვინციაში ფულის მოჭრის ჩვეულება?

თუ ლაშა ამ დროს თანამეფეა, მაშინ ეს წარწერა გასაგებია: ფული იჭრება, თუნდაც თბილისში, ლაშას სახელით. ლაშა უკვე მეფეა, მაგრამ არა ერთადერთი. მეფეთამეფე ისევ თამარია, გიორგი კი მეფე-უფლისწულია და ჯავახთუფალი“.¹⁰¹

ამ ციტატიდან კარგად ჩანს, რომ მეცნიერი დასაშვებად მიიჩნევდა „ჯავახთ უფლის“ მონეტების ჯავახეთშიც გამოშვებას (და არა თბილისში).

ამ ალტერნატიულ მოსაზრებას მიემხრო დ. ნინიძეც, რომლის თანახმადაც, „ჯავახთ უფლის მონეტები“ პირველი ალასტანელის¹⁰² (ლაშა გიორგის) კუთვნილ ჯავახეთში მოიჭრა, შესაძლოა საუფლისწულოს ცენტრში, დასახლებულ პუნქტ ალასტანში.¹⁰³ დ. ნინიძემ ამ შეხედულების დასასაბუთებლად მოიყვანა სამი ძირითადი არგუმენტი:

1. „ჯავახთუფლის“ მონეტების უპირატესი გავრცელება ლაშა გიორგის საუფლისწულო ტერიტორიებზე ან მათ მახლობლად¹⁰⁴ (ამ არგუმენტს პირა-

¹⁰¹ ბერძენიშვილი, „ჯავახეთის ექსპედიციის დღიური“, 145-146.

¹⁰² სავსებით ვეთანხმებით დ. ნინიძეს, რომ დავით სოსლანი არ იყო პირველი ალასტანელი. ნინიძე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 38.

¹⁰³ „ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ლაშა გიორგის მონეტა ზედწერილით „ჯავახთ უფალი“ იჭრება ჯავახეთში არსებულ ზარაფხანაში, თუნდაც ალასტანში, სადაც ლაშა „ალასტანელი“, განსაკუთრებით „ჯავახთ უფალი“ და მეფე-უფლისწულია“. ნინიძე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 37; იხ. აგრეთვე ნინიძე, „ალასტანელ (ბაგრატიონთა) „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის“, 175-176.

¹⁰⁴ „ლაშა გიორგის მონეტა წარწერით – „გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთ უფლისა“ არ აღემატება რამდენიმე ათეულ ცალს: ნაპოვნია ახალქალაქში, ახალციხეში, დმანისში. მისი გავრცელების გეოგრაფია ძირითადად არ სცილდება (ან მნიშვნელოვნად არ სცილდება) ლაშას საუფლისწულო ტერიტორიებს“. ნინიძე, „ალასტანელ (ბაგრატიონთა) „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის“, 175; იხ. აგრეთვე ნინიძე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 37; ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები), 25.

დად ჩვენ მეტად საკამათოდ მივიჩნევთ – იხ. ზემოთ: ჯავახთ უფლის მონეტების მიმოქცევის არეალი);

2. ლაშა გიორგის უდავო და მჭიდრო კავშირი ჯავახეთთან,¹⁰⁵ კერძოდ კი, დასახლებულ პუნქტ ალასტანთან¹⁰⁶ („საქართველოს მეფე ხომ აქ „განსაკუთრებით ჯავახთუფალიც“ იყო“.¹⁰⁷ (ჩვენ ვეთანხმებით ამ არგუმენტს)

3. საქართველოში XIII საუკუნესა და XIV საუკუნის დასაწყისში, ისევე როგორც უფრო გვიანდელ პერიოდში, საფასის გამოშვება სხვა ქალაქებშიც/ტერიტორიებზედაც მიმდინარეობდა – ამის გათვალისწინებით კი, მკვლევრის აზრით, ალასტანშიც ზარაფხანის არსებობა მოულოდნელი არ უნდა იყოს. დ. ნინიძემ ის მოსაზრებაც კი გამოთქვა, რომ ალასტანში ზარაფხანა შემდგომშიც მოქმედებდა, დავით VIII-ს ზეობაში, და ამ მონარქის მონეტას ჭრიდა.¹⁰⁸

სხვადასხვა ეპოქაში საქართველოს სხვა რეგიონებში ქართული ფულის გამოშვების ფაქტი, ცხადია, უტყუარი საბუთია იმისა, რომ მონეტის მოჭრა თბილისის გარდა, თეორიულად, სხვაგანაც შეიძლება ეწარმოებინათ; მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს არ ამტკიცებს ჯავახთ უფლის მონეტების მაინცდამაინც ალასტანში გამოშვებას; დავით VIII-ს საფასის ალასტანში მოჭრაც თავისთავად ჰიპოთეზა მხოლოდ¹⁰⁹ და, ამრიგად, ვერ გამოდგება ალასტანში უფრო ადრინდელ ეპოქაში პირველი ალასტანელის მიერ ფულის გამოშვების საბუთად.

გავიმეორებთ, რომ „ჯავახთ უფლის“ ტიტულის მატარებელი მონეტების მიმოქცევის ხასიათი (იხ. ზემოთ), ჩვენი აზრით, არ იძლევა დასაბუთებულ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას – ამ ტიპის საფასის აღმოჩენის ფაქტები დაახლოებით თანაბრად არის განაწილებული ჯავახეთსა და თბილისს (ჰინტერლანდით) შორის. ასეც რომ არ იყოს, საქართველოს ამ ორ რეგიონს შორის მანძილი საკმაოდ მცირეა, ხოლო სამონეტო მიმოქცევაში დიდი დროის გან-

¹⁰⁵ ნინიძე, „სოფელ ალასტანის ისტორიიდან“, 28-31; ნინიძე, „ალასტანელ (ბაგრატიონთა) „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის“, 176; ნინიძე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 37; ნინიძე, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები)*, 23-27.

¹⁰⁶ „ამაზე პასუხს გვაძლევს თავად ლაშა გიორგის ზედწოდება – „ალასტანელი“, რომელიც იმის მიმანიშნებელია, რომ ლაშას საუფლისწულო მამულის ცენტრი ჯავახეთის ამ გეოგრაფიულ პუნქტში უნდა ჰქონოდა, ე.ი. რეგიონის სხვა მნიშვნელოვან სოფელთა შორის დაწინაურებულა სოფ. ალასტანი, რომელიც, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო აკმაყოფილებდა ლაშა გიორგის საუფლისწულო რეზიდენციისთვის საჭირო მოთხოვნილებებს“. ნინიძე, „ალასტანელ (ბაგრატიონთა) „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის“, 176; მისივე, „სოფელ ალასტანის ისტორიიდან“, 30-31; მისივე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 36; მისივე, *ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები)*, 24-25.

¹⁰⁷ ნინიძე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 36-37.

¹⁰⁸ ნინიძე, „ალასტანელ (ბაგრატიონთა) „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის“, 176; მისივე, „საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში“, 37.

¹⁰⁹ ამ საკითხს ჩვენ არ ვეხებით, რადგანაც ის კვლევის საგნის ფარგლებს სცილდება.

მავლობაში ბრუნვის შემთხვევაში მონეტები შეიძლება საკმაოდ დაშორებოდა მათი გამოშვების ცენტრს, და, ამგვარად, მონაცემები მათი აღმოჩენის ადგილების შესახებ ამ მხრივ ნაკლებად ანგარიშგასაწივე იყოს (თუმცა კი ადეკვატურად ასახავს მათი მიმოქცევის არეალს).

ამასთანავე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი აზრით, „ჯავახთ უფლის“ მონეტები ლაშა გიორგის უფლისწულობაში მოიჭრა, I და II კურთხევას შორის დროის შუალედში (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების დათარიღება). ამის გათვალისწინებით კი, ამ ტიპის მონეტების საუფლისწულოს ცენტრში და არა სამეფოს დედაქალაქ თბილისში გამოშვება სავსებით (ასე ვთქვათ, კიდევ უფრო) ლოგიკურად და, შესაბამისად, შესაძლებლად გვეჩვენება. თუმცა, დამტკიცებულ ფაქტად ეს ვერ ჩაითვლება.

ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულად საინტერესოდ გვეჩვენება ეპისკოპოს ეპიფანეს ზემოთ უკვე ნახსენები წარწერა ქ. ანისის (სომხეთი) ქართული ეკლესიის კედელზე – წარწერა დაახლოებით 1218 წლით თარიღდება, ანუ გიორგი IV-ის ერთპიროვნული ზეობის პერიოდით, და მასში მოიხსენიება „ტფილური დრამები“:

„არს აღებაჲ თქუენგანცა გურგუნთა კურთხევისათუს ასისა დრამისა...“

„ეგდენივე ასისა ტფილურისა მიეცეს“;

„ტფილური ასი დრამა იგი იყოს: დანგი ერთი გ მიეცეს“.¹¹⁰

ამ ცნობას უკვე მიექცა ყურადღება ქართულ ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში,¹¹¹ მაგრამ პატივცემულ მკვლევრებს არ აღუნიშნავთ ის ფაქტი, რომ ეს ცნობა არის ერთადერთი პირდაპირი მითითება ამ პერიოდის ქართული მონეტების გამოშვების სავარაუდო ადგილის შესახებ. ცნობა გიორგი IV-ის ზეობას ემთხვევა, და მასში საუბარია დრამებზე, დრამებად კი ამ ეპოქის საქართველოში, იქნებ, წესიერი ჭედვის მონეტები იწოდებოდა (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების ნომინალი). აქედან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ჯავახთ უფლის“ მონეტებიც თბილისშია მოჭრილი. მაგრამ სინამდვილეში ეს ცნობა არ არის ამდენად ცალსახა. გიორგი IV-ის ერთპიროვნულ ზეობაშიც კი სამეფოს სამონეტო მიმოქცევაში, როგორც ჩანს, ჭარბობდა წინა პერიოდის თამარისა და დავით სოსლანის წესიერი ჭედვის მონეტები (იხ. ჯავახთ უფლის მონეტები საქართველოს სამეფოს სამონეტო მიმოქცევაში); ეპისკოპოს ეპიფანეს წარწერაშიც შესაძლოა სწორედ ისინი იგულისხმება (ან, სულაც უწესო ჭედვის მონეტები, იხ. ჯავახთ უფლის მონეტების ნომინალი).

ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო დასკვნის გამოტანა ნაადრევად გვეჩვენება. დავჯერდებით მხოლოდ კიდევ ერთხელ იმის გამეორებას, რომ

¹¹⁰ Март, *Надпись Епифания*, 1437-1439.

¹¹¹ ჯავახიშვილი, *ქართული საფას-საზომთმცოდნეობა*, I; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 79; კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში“, 3, 6; მანანა გაბაშვილი, *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში* (თბილისი, 1981), 153.

ნამდვილად არ არის გამორიცხული, ჯავახთ უფლის მონეტები ჯავახეთში, ალასტანში მოჭრილიყო; ასეთ შემთხვევაში ეს გეოგრაფიული პუნქტი ძველ საქართველოში საფასის გამოშვების სხვა ცენტრების ნუსხას¹¹² უნდა დაემატოს.

იმედს ვიტოვებთ, რომ შემდგომი კვლევა (პირველ რიგში, ალბათ, ალასტანის არქეოლოგიური კვლევა?)¹¹³ დაგვეხმარება ამ საკითხის დაზუსტებაში.

ჯავახთ უფლის მონეტების მოჭრის ტექნიკა და ორგანიზაცია

ჯავახთ უფლის მონეტების მოჭრის ტექნიკას ჯერ არავინ შეხებია (ე. პახომოვი თავის ერთ-ერთ შრომაში აღწერს XII-XIII სს. ქართული საფასის წარმოების ტექნიკას – ლაშა გიორგის ზეობის ჩათვლით, მაგრამ მხოლოდ უნესო მონეტებისთვის – რუსუდანის ზეობამდე, რომელიც უნესო საფასეს აღარ ჭრიდა).¹¹⁴

ჯავახთ უფლის მონეტების გამოშვების ორგანიზაციის გამოსარკვევად არანაირი ცნობები, რამდენადაც ვიცით, არ მოიპოვება. ჩვენი მოსაზრებები გამოშვების ადგილთან დაკავშირებით ზემოთ გვაქვს მოყვანილი (ჯავახთ უფლის მონეტების მოჭრის ადგილი).

რაც შეეხება ლითონის მონეტის მოჭრის ტექნოლოგიას, შუა საუკუნეებისთვის ის შეიძლება შემდეგ ძირითად ეტაპებად დაიყოს:

1. ლითონის გამოდნობა/მიღება;
2. სამონეტო ნამზადების მიღება;
3. სიქების დამზადება;
4. სამონეტო ნამზადზე სიქების ზემოქმედებით ამ უკანასკნელისგან მონეტის მოჭრა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

¹¹² კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 167-172.

¹¹³ ცნობილია, თუ რა მნიშვნელოვანი ნუმიზმატიკური ინფორმაციის მოპოვება არის შესაძლებელი ძველი ზარაფხანის მიგნებისა და არქეოლოგიური შესწავლის შედეგად. А.Н. Глазунова, А.М. Колызин, Н.А. Кренке, П.В. Медведев, “Клад заготовок для чеканки медных монет мелких номиналов середины XVII в. найденный при раскопках в Москве в Романовом переулке”, в *Десятая Всероссийская нумизматическая конференция, тезисы докладов и сообщений*, под ред. Аллы Мельниковой (Москва, 2002), 189-192; Александр Колызин, Николай Кренке, “Клады из раскопок Нового Дворцового денежного двора в Москве”, в *Нумизматический сборник ГИМ, том XVIII*, под ред. В. Зайцева (Москва, 2007), 134-145.

¹¹⁴ Евгений Пахомов, “О технике чеканки медных монет в Закавказье в конце XII – начале XIII вв.”, *Советская Археология*, 3 (1969), 260. საზოგადოდ, ქართული მონეტების მოჭრის ტექნიკა და ორგანიზაცია ქართული ნუმიზმატიკის შედარებით შეუსწავლელი სფეროა. რამდენადაც ვიცით, ე. პახომოვის ხსენებული მოკლე სტატიის გარდა ამ საკითხებს ექსკლუზიურად ეძღვნება კიდევ ორი ნაშრომი: ფალავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა“; ფაცია და ფალავა, *ჯალალ ად-დინ მანქურნის ქართული მონეტები*, 23, 39-40, 46.

1. ჩვენთვის უცნობია, თუ სად წარმოებდა XII-XIII საუკუნეებში იმ სპილენძის გამოდნობა, რომელსაც ამ ეპოქის ქართული საფასის გამოსაშვებად იყენებდნენ. საჭირო ლითონის ნაწილი მაინც იქნებ ძველი მონეტების გადადნობით მიეღოთ; აღსანიშნავია, რომ დღემდე მოაღწია თამარ მეფის სპილენძის მონეტების ძალიან დიდმა რაოდენობამ, რომელიც არ ჩამოუვარდება (თუ არ აღემატება) გიორგი IV-ის შემონახული მონეტების რიცხვს; ჩვენი აზრით, ეს იქნებ ირიბად მიუთითებდეს იმაზე, რომ გიორგი IV-ის საფასის გამოსაშვებად აუცილებელი სპილენძის წყაროს წინამორბედი მონარქების მონეტების გადადნობა არ წარმოადგენდა;

2. სამონეტო ნამზადების მიღება თეორიულად შესაძლებელი იყო შემდეგი მეთოდებით:¹¹⁵

ა) გამლღვალი ლითონის დასხმა ზედაპირზე – სწორედ ეს ტექნოლოგია გამოიყენებოდა იგივე გიორგი IV-ის უწესოდ მოჭრილი მონეტებისთვის სამონეტო ნამზადების მისაღებად.¹¹⁶ მაგრამ ამ მეთოდით ძალიან რთული იქნებოდა ნამზადების წონისა და ზომის სტანდარტიზაცია; ამრიგად, ის მიუღებელი უნდა ყოფილიყო ე.წ. წესიერი ჭედვის სპილენძების დასამზადებლად – უკანასკნელნი ხომ, ფართო წონითი რემედიუმის მიუხედავად (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების წონითი სტანდარტი), მაინც სტაბილური წონითა და ფორმით გამოირჩეოდა;

ბ) ლითონის პატარა ნაწილაკების (წონის მიხედვით შერჩეული) შესაფერისი რაოდენობის ერთად შელღობა, და, ამგვარად, თითოეული სამონეტო ნამზადის, ასე ვთქვათ, მანუალურად და ინდივიდუალურად დამზადება – ეს მეთოდი მეტად შრომატევადია, და მას უფრო ძვირფასი ლითონის სამონეტო ნამზადების მისაღებად იყენებდნენ.¹¹⁷ მიუხედავად ჯავახთ უფლის მონეტების იშვიათობისა, ჩვენი აზრით, მათ მოსაჭრელად ლითონის ნამზადების მიღება სხვა მეთოდით უნდა წარმოებულყო;

გ) გამლღვარი ლითონის ჩასხმა საგანგებოდ მომზადებულ ყალიბში, შემდგომში ყალიბის ნახევრების დაცილებითა და ჩამოსხმული ნამზადების ამოღებით;

დ) ნამზადების ამოჭრა/ამოკვეთა გაბრტყელებული ლითონის ფურცლისგან; ამოჭრა საგანგებო მაკრატლით, ან ამოკვეთა რაიმე პატარა, მეტნაკლებად წრიული განაკვეთის ღრუ მილის მეშვეობით;¹¹⁸

¹¹⁵ Александр Зограф, *Античные монеты* (Москва-Ленинград, 1951), 26-28.; Елена Давидович, *История монетного дела Средней Азии XVII-XVIII вв. (Золотые и серебряные монеты Джанидов)* (Душанбе, 1964), 224-229; Пахомов, “О технике чеканки медных монет в Закавказье”; ფალავა, „თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა“, 522-523.

¹¹⁶ Пахомов, “О технике чеканки медных монет в Закавказье”, 260.

¹¹⁷ Зограф, *Античные монеты*, 27-28.

¹¹⁸ იქვე, 120; Валентин Лебедев, Дмитрий Марков, Александр Койфман, *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шаддадидов (сер. X – XI вв.)* (Москва, 2006), 89.

ე) ნამზადების მიღება მეტ-ნაკლებად მრგვალი კვეთის ლითონის ნკირის (მავთულის, ცილინდრის) მცირე ფრაგმენტებად დაჭრისა და შემდგომში ამ ნაჭრების დაბრტყელების გზით (განაკვეთის მხრიდან ან გვერდიდან).

საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, უკანასკნელი სამიდან თუ რომელი (ერთი ან ერთდროულად რამდენიმე?) ტექნოლოგია გამოიყენებოდა. ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მოსალოდნელია მეოთხე მეთოდის გამოყენება: ნამზადების ამოჭრა/ამოკვეთა დაბრტყელებული ლითონის ფურცლისგან. ჯავახთ უფლის მონეტების ნამზადები ყალიბიდან ამოღებული რომ ყოფილიყოს, მათი კიდეები, სავარაუდოდ, ასეთი თხელი არ იქნებოდა; ლითონის ნკირის ფრაგმენტების დაბრტყელების შემთხვევაში კი გაჭირდებოდა სათანადო სისქისა და დიამეტრის სამონეტო ნამზადის მიღება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, ე. პახომოვის მიერ შემოთავაზებული და შემდგომში თ. ლომოურისა და დ. კაპანაძის მიერ ქართულად ნათარგმნი ტერმინები არანესიერი (უნესო) და ნესიერი ჭედვის (*“правильной и неправильной чеканки”*)¹¹⁹ მისაღებია იმდენად, რამდენადაც „ჭედვაში“, საზოგადოდ, მონეტის გამოშვების პროცესი იგულისხმება; თუკი ამ ტერმინის ვინრო მნიშვნელობას გავითვალისწინებთ – მონეტის გამოშვების ტექნიკურად უკანასკნელ ეტაპზე, სამონეტო ნამზადზე სიქებით ზემოქმედება, მაშინ აღმოჩნდება, რომ ტერმინები „უნესო“ და „ნესიერი ჭედვის“ უზუსტოა, ვინაიდან როგორც „ნესიერი“, ასევე „არანესიერი ჭედვის მონეტების“ გამოშვებისას სიქებით ზემოქმედების პროცესი, ჩვენი აზრით, ერთნაირი იყო. ამ პერიოდის ქართული მონეტების ნესიერება-უნესობა განისაზღვრებოდა არა სიქებით ზემოქმედების, არამედ სამონეტო ნამზადებისა და სიქების დამზადების ეტაპზე, და დამოკიდებული იყო, შესაბამისად, იმაზე, თუ

– რამდენად მკაცრად კონტროლდებოდა მიღებული ნამზადების წონითი რემედიუმი და ფორმა;

– რა იყო გამოსახული სიქაზე; ცნობილია, რომ ერთდროულად უნესო და ნესიერი ჭედვის სპილენძის მონეტებს უშვებდა სამი ქართველი მონარქი – გიორგი III, თამარი და გიორგი IV (რუსუდანი უშვებდა მხოლოდ ნესიერი ჭედვის მონეტებს, მისი ადმინისტრაციის მიერ წინამორბედებისა და ჯალალ ად-დინის უნესო ჭედვის მონეტების გადაჭედვას¹²⁰ ჩვენ ამჯერად არ ვეხებით); სამივე შემთხვევაში უნესო და ნესიერი ჭედვის მონეტების დიზაინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა (ჯავახთ უფლის მონეტები პირწმინდად ეპიგრაფიკულია, ყოველგვარი გამოსახულების გარეშე, მაგრამ მათი

უკანასკნელი ტექნოლოგია გამოიყენებოდა ილდეგიზიანთა ზოგიერთი ტიპის მონეტის გამოშვებისას. Пахомов, „О технике чеканки медных монет в Закавказье“, 260.

¹¹⁹ Пахомов, *Монеты Грузии*, 75, 85-86; ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 287; კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 71, 73.

¹²⁰ Пахомов, *Монеты Грузии*, 104-105; ფაცია და ფალავა, *ჯალალ ად-დინ მანქურნის ქართული მონეტები*, 51.

დიზაინიც მაინც საკმაოდ განსხვავდება ყველა წინამორბედი მონარქისა და თავად გიორგი IV-ის უნესო ჭედვის მონეტებისგან).¹²¹

3. XII-XIII სს. ქართული მონეტების მოსაჭრელად გამიზნული არც ერთი სიქა ჩვენამდე, სამწუხაროდ, არ შემონახულა. აქედან გამომდინარე, იძულებული ვხდებით შემოვიფარგლოთ თეორიული ხასიათის მსჯელობითა და თავად მონეტების (სამონეტო ნამზადებზე სიქების ანაბეჭდების) შესწავლით.

სამონეტო სიქა, საფიქრებელია, რაღაც ლითონისგან დამზადებულ მეტნაკლებად არასწორ ცილინდრს წარმოადგენდა; ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ სიქის დიამეტრი ნაკლები იყო მუშა ზედაპირის მხრიდან: ამ შემთხვევაში ამ იარაღით უფრო ადვილი იყო სამონეტო ნამზადის ჩანაჭდევა (ერთსა და იმავე ძალით მოქმედებისას).

რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ შესასწავლად ხელმისაწვდომი მონეტებით, სიქებზე ცალკეული გრაფემებისა და მათი ელემენტების ამოკვეთისას პუანსონები არ გამოიყენებოდა.

ისევ თავად მონეტებით თუ ვიმსჯელებთ, გარკვეული წარმოდგენა შეიძლება წარმოგვექმნას იმ ხელოსნებზე, რომელთაც ევალებოდათ მონეტის მოსაჭრელად აუცილებელი სიქების დამზადება, კერძოდ, მათზე შესაბამისი ლეგენდების ამოკვეთა.¹²² ჯავახთ უფლის მონეტის ზურგზე ცალკეული არაბული გრაფემების მოხდენილი მოყვანილობა და მათი ერთმანეთთან გადაბმის ხასიათი, ჩვენი აზრით, ეჭვს არ ტოვებს, რომ ხელოსნები საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ არაბულ დამწერლობაში – მათ მიერ შესრულებული ზედწერილები ბრმად კოპირების გზით არ მიიღებოდა. თუმცა კი, გაურკვეველი რჩება, ვინ ამზადებდა ზურგის არაბულენოვან სიქებს – მაჰმადიანი ოსტატები (მაშინ როდესაც შუბლის ქართულენოვან სიქებს, საფიქრებელია, ქართველები აწარმოებდნენ), თუ ქართველები (ისევე როგორც შუბლის სიქების შემთხვევაში).


აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯავახთ უფლის მონეტებზე არაბული ლეგენდები (სურ. 3-6) სხვა ხელნერით (ქუფურით) არის შესრულებული, ვიდრე გიორგი IV-ის უნესოდ მოჭრილ სპილენძებზე (შეად. სურ. 1). საყურადღებოა სხვაობა სხვადასხვა სამონეტო ტიპის სიქებზე ამოკვეთილი გრაფემების ზომაშიც.

4. სამონეტო ნამზადზე სიქების ზემოქმედებით ამ უკანასკნელისგან მონეტის მოჭრა ხორციელდებოდა სამონეტო ნამზადის მოთავსებით ქვედა, სავარაუდოდ, გრდემლში დამაგრებული სიქის სამუშაო ზედაპირზე; შემდეგ კი, ზევიდან ამ ნამზადზე ზედა სიქით ზემოქმედებით (ზედა სიქაზე უროს დარტყმით).

ტექნოლოგიური თვალსაზრისით, საინტერესოა, ერთმანეთთან შეჭიდული

¹²¹ შეად. Пахомов, *Монеты Грузии*, 85; Давид Капанадзе, “Комментарии”, в *Евгений Пахомов, Монеты Грузии*, 298.

¹²² XIII საუკუნის I მესამედთან, კერძოდ, საქართველოს სამეფოში ჯალალ ად-დინის მიერ საკუთარი საფასის გამოშვებასთან მიმართებაში ხელოსანთა ვინაობის საკითხს ადრეც შევხეთ. ფაცია და ფალავა, *ჯალალ ად-დინ მანქურნის ქართული მონეტები*, 39-40.



დიაგრამა 1. ჯავახთ უფლის მონეტების სიქების ორიენტაცია

იყო თუ არა ჯავახთ უფლის მონეტების მოსაჭრელად გამოყენებული სიქები. ამის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შემონახულ ცალკეულ მონეტებზე სიქების ანაბეჭდების ორიენტაცია ერთმანეთის მიმართ (ე.წ. სიქების თანაფარდობა). მეტროლოგიური თვალსაზრისით შესასწავლად ხელმისაწვდომი 23 მონეტის სიქების თანაფარდობის (ცხრილი 1; დიაგრამა 1) შესწავლამ ცხადყო, რომ ის სტაბილური არაა, შუბლისა და ზურგის სიქები ერთმანეთთან მიმართებაში სულ სხვადასხვა პოზიციაში (საათის ციფერბლატის მიხედვით) არის განლაგებული. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ მონეტების მოსაჭრელად გამოყენებული ავერსისა და რევერსის სიქები ერთმანეთთან შეჭიდული, როგორც ჩანს, არ იყო (წინააღმდეგ შემთხვევაში, სიქების ორიენტაცია ყველა მონეტის შემთხვევაში იქნებოდა მეტ-ნაკლებად ფიქსირებული – ერთსა და იმავე საათზე). რასაკვირველია, უფრო კორექტული იქნებოდა სიქების თანაფარდობა ერთსა და იმავე სამონეტო კომპლექსში (განძში) შემავალი მონეტებით შეგვესწავლა, მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, ჯავახთ უფლის მონეტები იმდენად იშვიათია, რომ მათი განძები ერთიც არ არის დაფიქსირებული, ჩვენ კი შემონახული ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილის შესწავლა მოვახერხეთ.

ჯავახთ უფლის მონეტების წონითი სტანდარტი

თ. ლომოურის თანახმად, ამ ტიპის ქართული მონეტების წონითი რემედიუმი 4–5.5 გრამია. გ. და თ. დუნდუას მიხედვით კი – 4.5–6.5 გ.¹²³ ჩვენ ხელთ

¹²³ ლომოური, „უფლი შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 290; დუნდუა და დუნდუა, ქართული ნუმიზმატიკა, 209.

არსებული მონაცემები ამ ტიპის 28 მონეტის წონების შესახებ (ცხრილი 1) იძლევა შესაძლებლობას, დავაზუსტოთ ეს ინფორმაცია.

შესასწავლად ხელმისაწვდომი ყველა მონეტის წონა განსხვავებული იყო (რაც ბუნებრივია ხელნაჭედი მონეტებისთვის); ინფორმაციის ვიზუალური წარდგენისთვის აუცილებელი გახდა ინდივიდუალური მონაცემების დაჯგუფება კლასებად და წონების სიხშიროვანი განაწილების მრუდის შედგენა (იხ. მასალები და მეთოდები, აგრეთვე, დიაგრამა 2).


მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი სურათი: ჯავახთ უფლის მონეტების ($n=28$) მაქსიმალურ (4.41 გ) და მინიმალურ (8.77 გ) წონებს შორის სხვაობა – 4.36 გ; საშუალო წონა – 5.95 გ, მედიანა – 5.68 გ, მოდა გამოკვეთილი არ იყო (ყველა მონაცემის ინდივიდუალურობის გამო); სტანდარტული შეცდომა (SE) 0.21, სტანდარტული გადახრა (SD) 1.12; ექსცესის კოეფიციენტი 0.77, ასიმეტრიის კოეფიციენტი +1.06. განაწილება, როგორც ვხედავთ (დიაგრამა 2), თითქმის ნორმალური, პრაქტიკულად მონომოდური მრუდით, მაგრამ ძლიერი პოზიტიური ასიმეტრიით, ამასთანავე, +/- 1SD-ში თავსდება 21 მონაცემი 28-დან, ანუ 75% (>68.27%), ხოლო +/- 3SD-ში თავსდება მონაცემთა 100% (>99.73%); ამასთანავე, +/- 2SD-ში თავსდება მხოლოდ 26 მონაცემი 28-დან, ანუ 92.86% (<95.45%)!¹²⁴

მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ჯავახთ უფლის მონეტების წონების დისპერსია (იხ. სიხშიროვანი განაწილების მრუდი – დიაგრამა 2) მიუთითებს იმაზე, რომ ადმინისტრაცია უშეგებდა ამ ტიპის საფასის მხოლოდ ერთ ნომინალს.¹²⁵ მართალია, ყველაზე მძიმე ეგზემპლარები (8.52 და 8.77 გ) თითქმის ორჯერ აღემატება წონით ყველაზე მსუბუქებს (4.41 და 4.50 გ), მაგრამ ეს არ არის საკმარისი საფუძველი ვივარაუდოთ ერთზე მეტი ნომინალის არსებობა; საქმე იმაშია, რომ ამ კიდურა ვარიანტებს შორის ძალიან ბევრია შუალედური წონის მქონე მონეტაც (დიაგრამა 3), რაც შეუძლებელს გახდის მოსახლეობისთვის ამ ორი ჰიპოთეტური (*მძიმე* და *მსუბუქი*) ნომინალის ერთმანეთისგან გარჩევას (ეს გარემოება, ალბათ, გამორიცხავს ერთზე მეტი ნომინალის არსებობას).

ამასთანავე, ყურადღებას მაინც იპყრობს რამდენიმე უკიდურესად მსხ-

¹²⁴ რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აქამდე ქართულ ნუმისმატიკურ ლიტერატურაში ამა თუ იმ ტიპის მონეტების წონების სტატისტიკური დამუშავების ერთადერთი მცდელობა გამოქვეყნდა; მაგრამ ამ შემთხვევაშიც მონაცემების ანალიზი (ერთობლიობაში შემავალი მონეტების ვოლუნტარისტული განაწილება 17 კლასად, კლასის ინტერვალით – 1.5 გრამი, თითოეული კლასის დასასრულისა და შემდეგი კლასის დასაწყისის დამთხვევით), ჩვენი აზრით, არაკორექტულად განხორციელდა. Stephen H. Rapp Jr., “The Coinage of T’amar, Sovereign of Georgia in Caucasia: A Preliminary Study in the Numismatic Inscriptions of Twelfth- and Thirteenth-Century Georgian Royal Coinage,” *Le Museon*, 106, Issue 3-4 (1993), 312, footnote 6, 327. მაძლობას მოვასხენებთ გ. ბერაძეს, რომელმაც ეს ნაშრომი ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახადა.

¹²⁵ საზოგადოდ, რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ეპოქის სხვა ემიტენტების წესიერი ჭედვის საფასეშიც *ემპირიულად* ერთადერთი ნომინალი განირჩევა.




დიაგრამა 2. ჯავახთ უფლის მონეტების წონების სიხშიროვანი განაწილება

აქსცისთა ლერძზე მითითებულია წონის მიხედვით 6 კლასად დაყოფილი მონეტები: კლასი 1: 4.4-5.13 გ, კლასი 2: 5.14-5.86 გ, კლასი 3: 5.87-6.59 გ, კლასი 4: 6.6-7.32 გ, კლასი 5: 7.33-8.05 გ, კლასი 6: 8.06-8.78 გ. ორდინატთა ლერძზე აღნიშნულია თითოეულ ჯგუფში შემავალი მონეტების რაოდენობა (აბსოლუტურ რიცხვებში).

ვილწონიანი ეგზემპლარის არსებობა – საზოგადოდ, ვარიაციული რიგის პოზიტიური ასიმეტრია. ჯავახთ უფლის მონეტების წონის ამგვარი ვარიაციულობა, ანუ საკმაოდ ფართო წონითი რემედიუმი (4.41-8.77 გრამის დიაპაზონში), ჩვენი აზრით, სამონეტო ნამზადების მიღების ტექნოლოგიის დაუხვეწაობით ან/და კონტროლის ნაკლებობით უნდა აიხსნას. ლაშა გიორგის მშობლისა და წინამორბედის – თამარის წესიერი ჭედვის მონეტების (თ. დუნდუას ტერმინოლოგიით – ფოლისებისთვის) [წონითი] რემედიუმის შეფასებისას, თ. დუნდუამ აღნიშნა რომ ის „სიმპტომატურია. ეს აშკარად არ არის ერთი ემისია“.¹²⁶ სათანადო მონაცემების არარსებობის გამო, შეუძლებელია მსჯელობა იმაზე, თუ ჯავახთ უფლის მონეტების რამდენი ემისია განხორციელდა XIII ს. საქართველოში, და ხომ არ იცვლებოდა წონითი სტანდარტი. უკანასკნელი პირადად ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება – თუკი ჯავახთ უფლის მონეტები რამდენიმე ემისიად გამოუშვეს, ფაქტია, რომ მათი გაფორმება არ შეცვლილა, და უცვლელი დიზაინისა და მრავალი შუალედური წონის მქონე ეგზემპლარის არსებობის პირობებში წონითი სტანდარტის შეცვლის იდეა მეტად საეჭვოდ გვეჩვენება.

საინტერესოა ჯავახთ უფლის მონეტების შესასწავლად ხელმისაწვდომი

¹²⁶ დუნდუა, ქართული ეთნოკულტურული რევოლუცია და დასავლეთი, 157.



დიაგრამა 3. ჯავახთ უფლის მონეტების ნონების ჰისტოგრამა

აქსცისთა ღერძზე აღნიშნულია ინდივიდუალური მონეტები (1-28); ორდინატთა ღერძზე მითითებულია ცალკეული მონეტების ნონა (4.41-8.77 გ); შავი ჰორიზონტალური ხაზი აღნიშნავს გამოთვლილ საშუალო ნონას (5.95 გ).

ყველა ცალის მიხედვით (ერთგვარად – გენერალური ერთობლიობა) ჩვენ მიერ ამ სამონეტო ტიპისთვის გამოთვლილი საშუალო ნონა – 5.97 გ (სტანდარტული შეცდომა 0.21).

ლაშა-გიორგის ნესიერი ჭედვის სპილენძის მონეტები იმ ეპოქის საქართველოში შესაძლოა დრამას წარმოადგენდა (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების ნომინალი). რთული სათქმელია, შემთხვევითია ეს თუ არა, მაგრამ ამ ტიპის მონეტების საშუალო ნონა მეტ-ნაკლებად უახლოვდება ორი დრამის ნონას – $2.97 \text{ გ} \times 2 = 5.94 \text{ გ}$ თანხვედრა, ჩვენი აზრით, შეიძლება შემთხვევითი არ იყოს. საინტერესოა, ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ ჯერ კიდევ IX საუკუნიდან დირჰემის (ქართულ რეალიებში – დრამის) „ფაქტიური ნონა ამჟღავნებს მიდრეკილებას ზრდისკენ“, XI საუკუნიდან კი „მონეტის სახელწოდება – დრამა ყოველთვის აღარ შეესაბამებოდა თავის რეალურ ნონით მნიშვნელობას“.¹²⁷

არ არის გამორიცხული, რომ სამონეტო რიგის გამოანგარიშებისას, ზარაფხანის ადმინისტრაცია სწორედ დრამის ნონას, უფრო სწორედ, დრამის ჯერად რიცხვს ეფუძნებოდა.¹²⁹

¹²⁷ გოჩა ჯაფარიძე, *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.)*, (თბილისი, 1973), 32-40.

¹²⁸ იქვე, 39-40.

¹²⁹ იქიდან გამომდინარე, რომ, ჩვენი აზრით, სამონეტო ნამზადები ჯავახთ უფლის მონეტების

ჯავახთ უფლის მონეტების ნომინალი

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ (ჯავახთ უფლის მონეტების წონითი სტანდარტი), ამ ტიპის მონეტები, როგორც ჩანს, ერთადერთი ნომინალის სახით იჭრებოდა. მაგრამ ამ უკანასკნელის სახელწოდება და არსი კვლავინდებურად დაუდგენელია.

ე. პახომოვის მიერ შემოთავაზებული და შემდგომში თ. ლომოურისა და დ. კაპანაძის მიერ ქართულად ნათარგმნი ტერმინები – *არანესიერი (უნესო)* და *ნესიერი ჭედვის* (“*правильной и неправильной чеканки*”)¹³⁰ – ასახავს ზარაფხანაში დანერგილი სანარმოო პროცესის თავისებურებებს, და, საბოლოო პროდუქტის – მონეტის გარეგნულ იერ-სახეს (წონის ჩათვლით). ჩვენი აზრით, მეტად საეჭვოა, რომ XII-XIII სს. საქართველოში ამა თუ იმ ტიპის საფასეს მოსახლეობა სწორედ ამ თანამედროვე ტერმინებით აღნიშნავდა.

მაშ, რა ტერმინები გამოიყენებოდა ხსენებულ ეპოქაში ლაშა-გიორგის ნესიერი¹³¹ (და უნესო) ჭედვის მონეტების აღსანიშნავად?

ე. პახომოვი სწორედ ნესიერი ჭედვის მონეტებს თვლიდა დირჰემებად¹³² (ქართული ტერმინოლოგიით *დირჰემი – დრამა*); იგივე აზრი გაიზიარა დ. კაპანაძემაც, რომელმაც ამის სასარგებლოდ მოიყვანა ისეთი არგუმენტი, როგორიცაა თამარ-დავითის ნესიერი ჭედვის მონეტების ნახევრებად და მეოთხედებად დანაწევრების ფაქტი.¹³³ აღნიშნულ საკითხს შეეხო თ. ლომოურიც,¹³⁴ რომელმაც თამარ მეფის საფასის განხილვისას დრამად აგრეთვე ნესიერი ჭედვის ფულები მიიჩნია, შემდეგი არგუმენტაციით:¹³⁵

1. მსგავსება უცხოურ სპილენძის დირჰემებთან, რომელიც აგრეთვე ნესიერი ჭედვის ფულს წარმოადგენდა (ლევანდებში სიტყვა *დირჰემის* მატარებელს);

მოსაჭრელად ლითონის მავთულის (წკირის) დანაწევრებით როდი მიიღებოდა, ვ. ლებედვისა და თანავტ. მიერ ჩამოყალიბებული პრინციპი – მეორე ხარისხში წონის აყვანით ოპერირება, და ამ გზით სამონეტო რიგის დადგენა, ამ შემთხვევაში მოუღებლად გვეჩვენება. Лебедев, Марков, Койфман, *Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шахдадибов*, 81-82.

¹³⁰ Пахомов, *Монеты Грузии*, 75, 85-86; ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 71, 73.

¹³¹ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლაშა გიორგიმ ნესიერი ჭედვის ორი ტიპის მონეტა მოჭრა – ჯავახთ უფლის ტიტულითა და საკუთარი გამოსახულებით; გაურკვეველია, ორივე ტიპის საფასეს ერთნაირად აღნიშნავდნენ თუ არა.

¹³² Пахомов, *Монеты Грузии*, 73-74, 85-86.

¹³³ კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 74; Капанაძე, „Комментарии“, 298. იხ. აგრეთვე გაბაშვილი, *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში*, 155, სქოლიო 25. აქვე აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი გამოცდილებით, აღნიშნული ტიპის ნესიერი ჭედვის მონეტები ხშირად უნესო ზომის ფრაგმენტებად და არა ზუსტ მეოთხედებად თუ ნახევრებად არის დანაწევრებული.

¹³⁴ ლომოური, „თამარის ფულების განძი“, 286, 288-289; ლომოური, „ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში“, 288.

¹³⁵ ლომოური, „თამარის ფულების განძი“, 286, 288-289.

2. მათი მეტ-ნაკლებად ფიქსირებული ზომა და, განსაკუთრებით, წონა; „თამარის დროს, როგორც ვიცით, იჭრება ორნაირი სპილენძის ფული, ე.წ. „ნესიერი“ და „არანესიერი“ ჭედისა. რომელი მათგანია დრამა? საფიქრებელია, პირველი, ვინაიდან თვით ტერმინი „დრამა“, როგორც გარკვეული წონის ერთეულის აღმნიშვნელი, დაუკავშირდებოდა ისეთ ფულს, რომელიც აგრეთვე ლითონის გარკვეულ წონას შეიცავდა. „არანესიერი“ ჭედის ფული, ვითარცა შემთხვევითი წონისა და ზომის მატარებელი, ფულის სისტემაში ვერ შევიდოდა და, ამის გამო, მისი „დრამად“ მიჩნევა, ვფიქრობ, შეუძლებელი უნდა იყოს“;

3. საქართველოს სამეფოს ფარგლებში და მის გარეთ მეტი გავრცელება. აქვე შევეხებით თ. დუნდუას ორიგინალურ მოსაზრებას: მკვლევრის აზრით, ნესიერი ჭედვის ქართული მონეტა, ჯავახთ უფლის მონეტებისა და ლაშა გიორგის გამოსახულებიანი მონეტის ჩათვლით, სხვა არაფერია, თუ არა *ფოლისი*;¹³⁶ იგივე ავტორი ჯავახთ უფლის მონეტებს იმ ეპოქის „ხურდა ფულად“ მიიჩნევს.¹³⁷ ეს მოსაზრებები არგუმენტირებული არ არის, და ამ სახით მათი გაზიარება გვიძნელდება.

ვეცდებით, ვაჩვენოთ, რომ *დრამებად* ნესიერი ჭედვის სპილენძის მონეტების მიჩნევა ერთობ საკამათოა (ან, უკეთ რომ ვთქვათ, საკამათოა *დრამებად* უწესო ჭედვის სპილენძის მონეტების *არმიჩნევა*).

დღეისთვის ცნობილია, რომ ერთდროულად უწესო და ნესიერი ჭედვის სპილენძის მონეტებს უშვებდა სამი ქართველი მონარქი – გიორგი III, თამარი და გიორგი IV (რუსუდანი უშვებდა მხოლოდ ნესიერი ჭედვის მონეტებს, მისი ადმინისტრაცია აგრეთვე ახორციელებდა რუსუდანის წინამორბედი მონარქებისა და ჯალალ ად-დინის უწესო ჭედვის მონეტების გადაჭედვას).¹³⁸ ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დემეტრე I მხოლოდ უწესო სპილენძის ფულს ჭრიდა (ყოველ შემთხვევაში, დემეტრე I-ის ნესიერი ჭედვის მონეტა დღემდე აღმოჩენილი არაა); იბადება კითხვა: რა ეწოდებოდა დემეტრე I-ის უწესო ჭედვის სპილენძის მონეტებს? ხომ არ არის საფიქრებელი, რომ ვერცხლის ფულის ძველი სახელწოდება – ისლამური *დირჰემი* თუ ქართული *დრამა* – სწორედ დემეტრე I-ის უწესოდ ნაჭედ სპილენძის მონეტებზე უნდა გადასულიყო? ტერმინი *დრამა* ხომ ჯერ კიდევ VII საუკუნიდან გამოიყენებოდა, XI საუკუნეშიც.¹³⁹ და თუ დემეტრე I-ის უწესო ჭედვის მონეტებს *დრამა* ერქვა, რამდენად მოსალოდნელია, რომ იგივე ტერ-

¹³⁶ დუნდუა, *საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით*, 9; დუნდუა, *ქართული ეთნოკულტურული რევოლუცია და დასავლეთი*, 156.

¹³⁷ დუნდუა, *ქართული ეთნოკულტურული რევოლუცია და დასავლეთი*, 156.

¹³⁸ Пахомов, *Монеты Грузии*, 104-105; ფაცია და ფალავა, *ჯალალ ად-დინ მანქებურნის ქართული მონეტები*, 51.

¹³⁹ ჯავახიშვილი, *ქართული საფას-საზომთმცოდნეობა*, 16-17; კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში“, 3, 6.

მინი გამოეყენებინათ პრინციპულად განსხვავებული საფასის – წესიერი ჭედვის სპილენძების ასაღნიშნად, როდესაც ის (პირველად) გიორგი III-მ გამოუშვა 1174 წელს?¹⁴⁰

ჩვენს მოსაზრებას, თითქოსდა, ისიც ამაგრებს, რომ თამარისა და გიორგი IV-ის სწორედ უნესო (და არა წესიერი) ჭედვის მონეტებზე არის მითითება იმის შესახებ, რომ ისინი ვერცხლს წარმოადგენდა¹⁴¹ (დრამაც ხომ თავდაპირველად ვერცხლის საფასეს აღნიშნავდა); თამარისა და ლაშას უნესო ჭედვის საფასის შუბლზე აღნიშნულია:¹⁴²

†სსჴნძრქმძრქუჩხწზწწუჩგჴსსწგბსჴსჴსწწწ / ჴს

რომელიც იკითხება, როგორც

† სსჴწიჩქ მცნისაითწ უჩხწ წეწწწ ჴეგჴსისწ წბის

ჴოჴონიჴონსა ჴს / ჴს

†¹⁴³ სახელითა ღვთისაითა იქნა ჭედაი ვეცხლისი ამის ქორონიკონსა

უზ [407, =1187 წ.] / ულ (430, =1210).¹⁴⁴

ლაშა გიორგის მონეტების ზურგზე კი სპარსული ლეგენდაა:

بنام خدای پاک این سیم را زاده اند بتاريخ چهار صد و سی سال

სახელითა უწმინდესის ღმერთისა იჭედა ესე ვერცხლი დროსა (წელსა) 430

უნდა აღინიშნოს, რომ ე. პახომოვის აზრით, სიტყვა „ვეცხლი“ ამ შემთხვევაში, საზოგადოდ, მონეტას აღნიშნავდა;¹⁴⁵ ამასთან, ახლოა ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებაც, რომელიც შემდგომში თ. ლომოურმა გაიმეორა; ივ. ჯავახიშვილის თანახმად, „საქართველოშიაც ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ არა, მწერლობაში მაინც „ვეცხლი“ მუდამ ვერცხლს არა ჰნიშნავდა, არამედ ფულსაც“.¹⁴⁶

ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში სპილენძის მონეტებზე ერთ თუ ორ ენაზე გამეორებული სიტყვა „ვეცხლი“ მაინც სწორედ ვერცხლს, ვერცხლის საფასეს ნიშნავს, და არა საზოგადოდ ფულს. ჩვენ ვეთანხმებით მ. გაბაშვილს,¹⁴⁷ რომ ეს სამონეტო ლეგენდა ახსენებს მოსახლეობას, რომ იგი ლითონის (სპილენძის) ღირებულაზე უფრო მაღალ ფასად უნდა მიღებულიყო; და, ამგვარად,

¹⁴⁰ Пахомов, *Монеты Грузии*, 82-83.

¹⁴¹ ამ გარემოების მნიშვნელობა თ. ლომოურსაც კარგად ესმოდა. ლომოური, „თამარის ფულების განძი“, 286-287.

¹⁴² Пахомов, *Монеты Грузии*, 91.

¹⁴³ არ არის გამორიცხული, რომ ეს ჯვარი კი არა, დაქარაგმებული ქრისტეს სახელია.

¹⁴⁴ თამარ მეფის უნესო ჭედვის სპილენძის მონეტებზე ორი განსხვავებული თარიღის არსებობის ალბათობის განხილვა ჩვენი ამჟამინდელი ამოცანის ფარგლებს სცდება (ამ პრობლემის გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის დასადგენად).

¹⁴⁵ Пахомов, *Монеты Грузии*, 91-96.

¹⁴⁶ ჯავახიშვილი, *ქართული საფას-საზომთმცოდნეობა*, 10-11.

¹⁴⁷ შეად. გაბაშვილი, *საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში*, 151-154.

ხაზს უსვამს უნესო ჭედვის სპილენძის ფულის საკრედიტო ბუნებას; ამ საფასის საკრედიტო ბუნება კი ენინალმდეგება დ. კუიმჯიანის მოსაზრებას, რომ სპილენძი ალბ-მიცემობაში ბარტერულ ანგარიშსწორების საშუალებას წარმოადგენდა.¹⁴⁸

უნესო ჭედვის მონეტების *ვერცხლთან*, „ვერცხლის“ დრამასთან გაიგივების სასარგებლოდ მეტყველებს და მას იქნებ ადასტურებდეს კიდევაც საქართველოს სამეფოს ტერიტორიაზე (თბილისში, იქნებ სადმე სხვაგანაც?)¹⁴⁹ მოჭრილი ჯალალ ად-დინის მონეტები; ჯალალ ად-დინის საფასე პირდაპირ იუნყება, რომ ისინი *დირჰემებია* (ანუ, ქართული შესატყვისი რომ ვიხმაროთ – *დრამებია*):

... **ب هذا الدرهم** ...

იჭედა ესე დირჰემი ...

მაგრამ ჯალალ ად-დინის მონეტები ხომ უპირატესად უნესო ჭედვისაა (ქართული უნესო ჭედვის მონეტების გადაჭედვით მიღებული?¹⁵⁰ იხ. მაგალითად, სურ. 12). ჯალალ ად-დინის წესიერი ჭედვის მონეტები (წესიერი ჭედვის ქართულ მონეტებზე საკუთარი სიქებით ზემოქმედების შედეგად მიღებული) კი უკიდურესად იშვიათია, და გამონაკლისს უფრო წარმოადგენს¹⁵¹ (სურ. 13).

თ. ლომოურის ერთ-ერთი არგუმენტი – ფულის ერთეულ *დრამისა* და წონის ერთეულ *დრამის* იდენტიურობის გამო ამ ტერმინით, სავარაუდოდ, უფრო მეტ-ნაკლებად ფიქსირებული წონის მქონე (ანუ, წესიერი ჭედვის) მონეტის აღნიშვნის შესახებ, ერთი შეხედვით, საკმაოდ ლოგიკურია. მაგრამ, როგორც ამას ქვევითაც გავიმეორებთ, უნესო ჭედვის სპილენძის ფული, როგორც ბევრი მკვლევარი ფიქრობს, წონით მიიღებოდა, გარკვეული წონის მქონე მათი რაოდენობა კი ღირებულების რაღაც ფიქსირებულ ერთეულს წარმოადგენდა,¹⁵² ასე რომ, ამ ორმაგი (ფულადი და წონითი) დატვირთვის მქონე ტერმინით – *დრამით* – შეეძლოთ უნესო ჭედვის სპილენძის სწორედ ეს გარკვეული რაოდენობაც აღენიშნათ (რომელიც, დასაშვებია, *დრამის* წონის არც ყოფილიყო); შესაბამისად, ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემული მკვლევრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უნესო ჭედვის საფასე, „ვითარცა შემთხვევითი წონისა და ზომის მატარებელი, ფულის სისტემაში ვერ შევიდოდა“; უნესო ჭედვის სპილენძები, უდავოდ, იმდროინდელი საქართველოს სამეფოს ფულადი სისტემის შემადგენელ ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა.

¹⁴⁸ Kouymjian, “A Numismatic History of Southeastern Caucasia and Adharbayjān,” 120.

¹⁴⁹ ფაცია და ფალავა, *ჯალალ ად-დინ მანქებურნის ქართული მონეტები*, 23.

¹⁵⁰ არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მათგანი ნედლი ლითონისგანაც მოჭრილა. იქვე, 46.

¹⁵¹ იქვე, 42-43.

¹⁵² Пахомов, *Монеты Грузии*, 75; Kouymjian, “A Numismatic History of Southeastern Caucasia and Adharbayjān,” 118-120. აღსანიშნავია, რომ ყველა მეცნიერი არ იზიარებს ამ ჰიპოთეზას. დუნდუა და დუნდუა, *ქართული ნუმიზმატიკა*, 201.

ზემოთ მოყვანილი არგუმენტები, ჩვენი აზრით, გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ დრამა, შესაძლოა, უნესო ჭედვის სპილენძს (სპილენძსაც?) აღნიშნავდა.

მაგრამ, თუკი დრამა ეწოდებოდა უნესო ჭედვის სპილენძებს, რაც ამ ეტაპზე შესაძლებლად მაინც მიგვაჩნია, გაურკვეველი რჩება, რა ტერმინს იყენებდნენ წესიერი ჭედვის მონეტების ასაღნიშნად (ცნობილია, რომ წესიერი ჭედვის უცხოურ სპილენძის მონეტებს, მათზევე გამოსახული ზედწერილებს მიხედვით – ნამდვილად დირჰემი ეწოდებოდა¹⁵³).

ჩვენი აზრით, უდავოა, რომ დრამა ეწოდებოდა წესიერი და უნესო ჭედვის მონეტებიდან ერთ-ერთს მაინც; ჯერჯერობით მაინც გაურკვეველი რჩება, თუ რა ეწოდებოდა ამ ეპოქის წესიერი ჭედვის ქართულ მონეტებს.

თეორიულად დასაშვებია, რომ ეს ტერმინი აღნიშნავდა ორივენიარ საფასეს, ისევე როგორც, გვიანდელ და შორეულ ანალოგიას რომ მივმართოთ, რუსეთის იმპერიაში, სადაც მიმოქცევაში იყო სხვადასხვა სახის რუბლი¹⁵⁴ – რუბლი ასიგნაციებით (რომელიც, ღირებულებით, სპილენძთან იყო გატოლებული, რაც გვაძლევს რუბლს სპილენძით) და რუბლი ვერცხლით.¹⁵⁵

ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ XII-XIII საუკუნეების საქართველოს სამეფოში, გიორგი III-ის მიერ წესიერად მოჭრილი საფასის გამოშვებიდან დაწყებული და მონღოლების გამოჩენამდე მაინც, ორივე ტიპის საფასე აღინიშნებოდა ტერმინით დრამა? ამასთან, 1 ფულის ერთეულ დრამას წარმოადგენდა წესიერი ჭედვის 1 მონეტა (2 დრამის წონის? იხ. ჯავახთ უფლის მონეტების წონითი სტანდარტი), ანდა უნესო ჭედვის მონეტების რაღაც განსაზღვრული რაოდენობა (1 ან 2 დრამის წონის?).

ამ მოსაზრებას თითქოსდა ამაგრებს ისიც, რომ დრამა „ვეფხისტყაოსანში“ ზოგან გამოყენებულია საზოგადოდ ფულის მნიშვნელობით¹⁵⁶ (იქნებ, სპილენძისა თუ ფსევდოვერცხლის ფულის მნიშვნელობით? სხვანაირი ამ დროს საქართველოს სამეფოში, როგორც ჩანს, არ იჭრებოდა):

„მოსახნეს კაცნი მზიდავნი, დამიზღებულნი დრამითა,
იგი ყრმა ვაჭრობს, თავადობს და თავსა მალავს ამითა“;¹⁵⁷

¹⁵³ Пахомов, *Монеты Грузии*, 73-74.

¹⁵⁴ Иван Спасский, “Русская монетная система,” (Ленинград, 1970), 199-202.

¹⁵⁵ ჩვენი სასიამოვნო მოვალეობაა აღვნიშნოთ, რომ ამ იდეისა და ანალოგიის ავტორია ს. თურქია. ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ მადლობა მოვახსენოთ ბ-ნებს ს. თურქიასა და გ. გოგავას აღნიშნულ თემაზე საინტერესო დისკუსიისათვის.

¹⁵⁶ ლომოური, „თამარის ფულების განძი“, 287-288; ქოიავა, „ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში“, 103-104; Коиавა, “Денежное обращение Грузии в эпоху Руставели”, 116-117.

¹⁵⁷ შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ჰავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი (თბილისი, 1966), სტროფი 1050.

„სასმელ-საჭმელი მიიღეს ქალაქს ნასყიდი დრამითა“.¹⁵⁸

ამასთანავე, დრამა, როგორც ჩანს, არ იყო ლაშა გიორგის ზეობის პერიოდში ყველაზე კნინი ფულის ერთეული.

კიდევ ერთხელ შევეხოთ ანისის ქართული ეკლესიის კედელზე ეპისკოპოს ეპიფანეს წარწერის ერთ ფრაგმენტს: „ტფილური ასი დრამა იგი იყოს: დანგი ერთი გ მიეცეს“.¹⁵⁹ ზედწერილის ეს ნაწილი ნ. მარმა ახსნა როგორც: *ის ასი თფილური დრამა დაე დარჩეს, მაგრამ ერთი დანგის სამის მაგიერ გადაახდით*.¹⁶⁰ უკეთეს განმარტებას ვერ ვხედავთ, მაგრამ, ვფიქრობთ, არ იქნებოდა უადგილო იმის აღნიშვნა, რომ დრამა 4 დანგისგან შედგებოდა¹⁶¹ (და არა, ვთქვათ, 3-სგან), 100 დრამა, შესაბამისად – 400 დანგისგან და 400 დანგისგან შემდგარი თანხის გამესამედება (133.33... დანგის მიღებით?) ადვილი არ უნდა ყოფილიყო და არითმეტიკული თვალსაზრისითაც უცნაურად გვეჩვენება.

მაგრამ, რაც მთავარია, ამ ფრაგმენტიდან გამომდინარეობს ის, რომ „ტფილური დრამები“ (წესიერი ჭედვის იქნებოდა ისინი თუ, მით უმეტეს, უწესო) არ კარგავდა კავშირს წონის საზომებთან, მათ შორის დრამაზე უფრო ნაკლები მნიშვნელობის საზომებთან.

სახეზეა ლაშა გიორგის ზეობაში წონის საზომის დანგის გამოყენება დრამაზე უფრო მცირე ღირებულების ფულადი ერთეულის სახით; დანგი, ამ შემთხვევაში, იქნებ მხოლოდ საანგარიშო, მაგრამ მაინც ფულადი ერთეულის – დრამის ფრაქციის როლში გამოდის.¹⁶²

ჯავახთ უფლის მონეტების ღირებულება

აბსოლუტურ ციფრებში „ჯავახთ უფლის“ მონეტების ღირებულების დადგენა მეტად რთული ამოცანაა – თავად მონეტები სპილენძისაა, და, საფიქრებელია, თვითღირებულებაზე (მოხმარებული ლითონის საბაზრო ფასისა და მონეტის მოჭრის ხარჯის ჯამი) უფრო მაღალი ფასით მიმოიქცეოდა, რაც ხაზინისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა (ყოველ შემთხვევაში, უწესო ჭედვის ქართული სპილენძის მონეტა, თავისი წარწერით „ესე ვეცხლია“ – ჩვენი აზრით, საკრედიტო საფასეს წარმოადგენს, რომლის კურსიც, სახელმწიფოს მხრიდან იძულების შედეგად, უფრო მაღალია, ვიდრე მასში შემავალი ლითონის ღირებულება – იხ. ზემოთ, ჯავახთ უფლის მონეტების ნომინა-

¹⁵⁸ შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტროფი 1205.

¹⁵⁹ Март, *Надпись Епифания*, 1439.

¹⁶⁰ მარის თარგმანი რუსულად: “Те сто тифлиских “драм” пусть останутся, но с уплатой одного “данга” за три.” იქვე, 1439.

¹⁶¹ ჯაფარიძე, *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან*, 32-40.

¹⁶² კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში“, 3; ამგვარად, დრამა არ არის უკნინესი ფულადი ერთეული. შეად. ლომოური, „თამარის ფულების განძი“, 288. დანგი „უკნინეს ფულის ერთეულის აღსანიშნავად სახარების უუძველეს ხანმეტ ქართულ თარგმანში ... არის ნახმარი“. ჯავახიშვილი, *ქართული საფას-საზომთმცოდნეობა*, 26.

ლი; ნესიერი ჭედვის მონეტების საკრედიტო ბუნება, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო გამოხატული უნდა ყოფილიყო – თუნდაც მათი დამზადების მეტი სირთულიდან და ამაზე გაღებული სავარაუდოდ მეტი ხარჯიდან გამომდინარე,¹⁶³ იხ. ჯავახთ უფლის მონეტების მოჭრის ტექნიკა და ორგანიზაცია).

ჯავახთ უფლის მონეტების მსყიდველობითი უნარის დასადგენად აუცილებელია ყველა შემორჩენილი ტექსტის შეჯერება და ანალიზი. ეს მომავლის საქმედ გვესახება, ამ ეტაპზე კი ვეცდებით ლაშა გიორგის უნესო და ნესიერი ჭედვის მონეტების ურთიერთდამოკიდებულება გავარკვიოთ.

მათ შორის ზუსტი თანაფარდობის გამოთვლა, ცხადია, გაძნელებულია; ალბათ, შეუძლებელია იმის მტკიცებაც კი, რომ ნესიერი ჭედვის საფასე უნესოზე უფრო მეტად ფასობდა (თუ შევადარებთ ერთმანეთს 1 ცალ ნესიერი ჭედვის სპილენძის მონეტას იმ ჰიპოთეტური წონის უნესო ჭედვის მონეტებთან, რომელიც ღირებულების რაღაც ერთეულს წარმოადგენდა – მათი ღირებულება, როგორც უკვე აღინიშნა, შეიძლება ერთნაირი (ყოფილიყო)).

ნუმისმატიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნესიერი ჭედვის ფული უნესოსთან შედარებით უფრო მაღალი ღირებულების იყო (არ არის დაზუსტებული უნესო ჭედვის ფულის ოდენობა – საუბარია ცალკეულ ცალებზე თუ უნესო ჭედვის სპილენძების რაღაც ფიქსირებულ წონით ოდენობასთან); თ. ლომოურს მოჰყავს შემდეგი არგუმენტები:¹⁶⁴

1. ნესიერი ჭედვის სპილენძის მონეტები უფრო ფართოდ მიმოიქცეოდა;
2. ნესიერი ჭედვის მონეტები, უფრო, ასე ვთქვათ, *ნესიერი* და *მოსახლეობისთვის უფრო მოსახერხებელი* იყო (ამგვარი მონეტების „წონა და ზომა მტკიცედ იყო გამორკვეული, და ხმარების დროს საჭირო აღარ იქნებოდა ამგვარი ფულების ანონვა და სხვ.“);
3. მსგავსება უცხოურ *სპილენძის ღირჰემებთან* (მკვლევარი იქნებ იმას გულისხმობდა, რომ უნესო ჭედვის ფული სპილენძის საფასის როლს ასრულებდა, ხოლო ნესიერი ჭედვის კი – ვერცხლის დრამების?)¹⁶⁵ სხვანაირად რთული გასაგებია, თუ რატომ უნდა იყოს მსგავსება *სპილენძის ღირჰემთან* უფრო მეტი ღირებულების მანიშნებელი).

ამ არგუმენტებიდან პირველი ორი სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ, ჩვენი აზრით, ორივე ფაქტი შეიძლება სულაც არ ნიშნავდეს იმას, რომ ნესიერი ჭედვის მონეტები უნესოებზე *მეტი ღირებულების* ყოფილიყო (თუმცა კი, ისინი შეიძლება ნამდვილად უფრო *პოპულარული* ყოფილიყო, სწორედ მოყვანილი არგუმენტებიდან გამომდინარე).

რაც შეეხება მესამე არგუმენტს, იხ. ჯავახთ უფლის მონეტების ნომინა-

¹⁶³ ეს იდეა ს. თურქიამ კერძო საუბარში მოგვანოდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

¹⁶⁴ ლომოური, „თამარის ფულების განძი“, 286, 287-288.

¹⁶⁵ ამ გარემოებას ჩვენთან საუბარში ხაზი გაუსვა გ. გოგავამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ლი, სადაც ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ *დრამის* (ანუ, ვერცხლის ფულის) სახელი შეიძლება ეტარებინა უნესო ჭედვის სპილენძსაც, მის გარკვეულ წონით ოდენობას – ასეთ შემთხვევაში კი, ორივე ტიპის საფასის რაღაც ოდენობა 1 (ფულად) *დრამას* შეადგენდა; შესაბამისად, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1 წესიერი ჭედვის მონეტას უდრიდა რაღაც ფიქსირებული წონის მქონე უნესო ჭედვის მონეტების განსაზღვრული რაოდენობა?

ჯავახთ ფულის მონეტების მსყიდველობითი უნარის დადგენა რთულია, მაგრამ, თუ კი ის *დრამას* შეადგენდა, ის თითქოსდა განსაკუთრებულად დიდი არ უნდა ყოფილიყო (ყოველ შემთხვევაში, პირველწყაროებში ასახული სამეფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის გადმოსახედიდან). ბევრგან, სადაც *დრამა* მოიხსენიება,¹⁶⁶ ის ფულის მეტად წვრილი ერთეულის მნიშვნელობით იხმარება:

„ქართლის ცხოვრებაში“:¹⁶⁷

„წარმოტყუენა ქალაქი, რომლისა სიმრავლემან ტყუეთა და საუნჯეთამან დაფარი პირი ველთა და მათათა, ვინათგანცა აღივსო სამეფო ქალაქი თფილისი, რომელ თუთო ტყუესა დრამად, გინა ფუკად მომსყიდველი გამსყიდველობდეს“.

„ვეფხისტყაოსანში“ *დრამა* გამოყენებულია ცხრაჯერ, აქედან ფულის მნიშვნელობით ხუთჯერ, უკნინესი ღირებულების აღმნიშვნელი ტერმინის სახით კი სამჯერ:¹⁶⁸

ტარიელი: „ჩემია მკუიდრი მამული, არ მივსცემ არცა *დრამასა*“;¹⁶⁹

როსტევეანმა და ავთანდილმა „უხვად გასცეს საბოძვარი, მარგალიტი ვითა *დრამა*“;¹⁷⁰

ავთანდილის მიერ მეკობრეების შემუსვრის შემდეგ:

„იგი ნავი მეკობრეთა მას დღეს ნახეს, არ ახვალეს.

მუნ დებულთა საჭურჭლეთა ამარიმცა ვერ დათუალეს!

მათსა ნავსა გარდმოიღეს, ნავი სრულად გამოსცალეს,

დალენეს და ზოგი დანვეს, *შეშა დრამად არ გაცვალეს*“.¹⁷¹

როგორც პოემაში, ასევე მატიანეში *დრამის* *შეშასთან* და *ფუკასთან* დაპირისპირების საფუძველზე თ. ლომოურმა ისიც კი ივარაუდა, რომ XIII საუკუნის დასაწყისისთვის იქნებ არსებობდა რაიმე „ანდაზისმაგვარი გამონათქვამი“, რომელშიც *დრამა* „მეტისმეტად მცირე ღირებულების ფულის“ როლში გამოდიოდა.¹⁷²

¹⁶⁶ საინტერესოა მისი ხსენება მხითარ გოშთან (1184 წ.), რომელიც მას „როგორც ჩვეულებრივ საფასეს“ ახსენებს. კაკაბაძე, „საფასის ისტორიისთვის საქართველოში“, 6.

¹⁶⁷ ლომოური, „თამარის ფულების განძი“, 287.

¹⁶⁸ იქვე, 287-288.

¹⁶⁹ შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*, სტროფი 537.

¹⁷⁰ იქვე, სტროფი 677.

¹⁷¹ იქვე, სტროფი 1041.

¹⁷² იქვე, 288, შენ. 1.

საინტერესოა, იყო თუ არა დაცული პარიტეტი „ჯავახთ უფლის“ მონეტებსა და მისი წინამორბედისა და მემკვიდრის, თამარისა და რუსუდანის წესიერი ჭედვის მონეტებს შორის. დანამდვილებით ამასთან დაკავშირებით რაიმეს მტკიცება რთულია, მაგრამ ეს ლოგიკურად გვეჩვენება: მართალია თამარ-დავითის, ჯავახთ უფლისა და რუსუდანის წესიერი ჭედვის მონეტები ვიზუალურად საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან და მათი გარჩევა ნერა-კითხვის უცოდინარ მოსახლეობასაც არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მაინც, შედარებით უცნაური იქნებოდა რომელიმე მათგანის მიმოქცევა სხვებისგან განსხვავებულ ფასად; თუმცა კი, ბუნებრივია, ამის გამორიცხვა არ შეიძლება.

ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება (არგუმენტაციის მოყვანის გარეშე), რომ ქართული „მონეტების დადამღვის ერთ-ერთი მიზანი იყო მისი რეალური ღირებულების ნომინალის აწევა და იძულებითი კურსით გასაღება“. ¹⁷³ პატივცემული მკვლევარი არ აზუსტებს, გულისხმობს ის წესიერი თუ უწესო ჭედვის საფასეს, თუ ორივეს (როგორც ცნობილია, სხვადასხვა თუ ერთნაირ დამღებს ატარებს ორივე), ¹⁷⁴ მაგრამ მიუთითებს, რომ „უმაღლესად დადამღულია თამარის, ლაშა გიორგისა და რუსუდანის მონეტები“ ¹⁷⁵ (ამასთანავე, სპილენძში რუსუდანი თავისი სახელით მხოლოდ წესიერი ჭედვის მონეტებს უშვებდა ¹⁷⁶). ჩვენთვის *de visu* შესწავლისთვის ხელმისაწვდომი 23 მონეტიდან დადამღული არც ერთი იყო; ლიტერატურიდან ცნობილია ჯავახთ უფლის მონეტის ერთადერთი ეგზემპლარი (რუსუდანის) დამღით (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების მიმოქცევის არეალი, სიის №1). ჯავახთ უფლის მონეტების აბსოლუტური უმრავლესობა, რამდენადაც შეიძლება ვიმსჯელოთ, დაუდამღავია. გაურკვეველია, თუ როგორი იყო მათი ღირებულება თუნდაც თამარ-დავითის დადამღულ თუ დაუდამღავ წესიერი ჭედვის მონეტებთან შედარებით (თუკი მათი დადამღვა მართლაც ცვლიდა ამ უკანასკნელთა ღირებულებას, რაც, ჩვენი აზრით, დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება).

ჯავახთ უფლის მონეტების გაყალბება

1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, სხვათა შორის, მოყვა კიდევ ერთი სასიკეთო შედეგი: მოსახლეობის უფრო ფართო წრეების დაინტერესება საკუთარი ქვეყნისა და ერის ნუმიზმატიკური წარსულით. თუ საბჭოთა პერიოდში საქართველოში მცხოვრები კერძო კოლექციონერები უპირატესად რუსეთის იმპერიისა და გერმანიის სამონეტო მემკვიდრეობით ¹⁷⁷

¹⁷³ გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, 153, შენ. 16.

¹⁷⁴ Пахомов, Монеты Грузии, 112-117; კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, 83-86.

¹⁷⁵ გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში, 153, შენ. 16.

¹⁷⁶ Пахомов, Монеты Грузии, 104-107.

¹⁷⁷ ნუმიზმატიკური „ნადავლი“ მრავლად ჩამოიტანეს საბჭოთა კავშირში ოკუპირებული გერმანიიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა.

იყვნენ გატაცებულნი,¹⁷⁸ დამოუკიდებელ საქართველოში შეგროვებისა (და აგრეთვე შესწავლის!) საგანი უფრო ქართული მონეტები გახდა.

მაგრამ ამ, თავისთავად, მისასალმებელ მოვლენას ერთი არასასურველი გამოვლინებაც ახლდა – კოლექციონერთა მხრიდან მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მზარდი რაოდენობით დაინყო ძველი ქართული ფულების გაყალბებაც; ამის შედეგად, სამწუხაროდ, დღეისთვის ქართული ნუმისმატიკური ფონდის ის ნაწილი, რომელიც კერძო საკუთრებაში იმყოფება, და ზოგჯერ მეტად საინტერესო და უნიკალურ აუთენტურ ცალეხსაც მოითვლის, ძალიან დაბინძურებულია ყალბი მონეტებით; ამ გარემოების გამო კი მკვლევარს ეჭვი შეიძლება გაუჩნდეს სხვა მონეტების მიმართაც. ჩვენი დაკვირვებებით, მასობრივად ყალბდება, პირველ რიგში იშვიათი (და, შესაბამისად, ფასეული) მონეტები – თამარის, ლაშა გიორგისა და ჯალალ ად-დინის დიდრონი და უნესო ქედვის სპილენძის მონეტები, რუსუდანის ვერცხლის მონეტები, კირმანეულები, ე.წ. დაკნინებული ფულები, პატარა ნომინალის სირმა მონეტები.¹⁷⁹

სამწუხაროდ, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ყალბი მონეტები გაიპარება ოფიციალურ პუბლიკაციებშიც, რის შემდეგაც ნაღდისა და ყალბის ერთმანეთისგან გარჩევა კიდევ უფრო გაძნელდება.¹⁸⁰ ამრიგად, აღნიშნულ საკითხს, კომერციულის გარდა, საგულისხმო მეცნიერული მნიშვნელობაც გააჩნია.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ასევე ყალბდება ჯვავახთ უფლის მონეტებიც. თბილისის ნუმისმატიკური ბაზრისა (რომელიც წამყვანია საქართველოში) და უცხოური თუ ქართული კერძო კოლექციების გაცნობის პროცესში შეგვხვდა „ჯვავახთ უფლის“ რამდენიმე მონეტა, რომელმაც თავისი ნიშნებით თავიდანვე მიიპყრო ჩვენი ყურადღება (სურ. 7-8).

ამ საეჭვო მონეტების გამორჩევა დაკვირვებული ადამიანისთვის, რომელსაც შეგნებული აქვს ყალბი მონეტის წაწყდომის თეორიული რისკი, არცთუ რთულია; ამგვარი ფულებისთვის დამახასიათებელია ამ ტიპისთვის უჩვეულო შემდეგი ნიშნები:¹⁸¹

¹⁷⁸ ამ მემუარული ხასიათის ცნობების წარმოდგენისთვის მაღლობას მოვახსენებთ ბატონებს: ზ. ღვინჯილიას, ბ. ლეონიძეს, ს. ხეჩუმოვს, მ. ამბროსოვს.

¹⁷⁹ ამ უკანასკნელებთან დაკავშირებით იხ. ჩვენი ნაშრომი: Irakli Paghava, “A Series of Peculiar Minor Denomination Sirma Coins: Modern Fakes or Contemporary Imitations?” in *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, 197 (2008), 20-27, რომელშიც ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ეს მონეტები ან თანამედროვე ნაყალბეგია, ან თანადროული (XVIII საუკუნის დასასრულის?) მიწაბაძებია. ამჟამად ჩვენ უკვე ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ ნაშრომში განხილული მონეტები ყალბია.

¹⁸⁰ განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ნაკლებად მიუწვდება ხელი საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და სხვა მუზეუმების ნუმისმატიკურ ფონდებზე.

¹⁸¹ სტატიის ავტორს შეგნებული აქვს იმის საშიშროება, რომ წინამდებარე სამეცნიერო

- სიქაზე ამოკვეთილი და, შესაბამისად, სამონეტო ნამზადზე აღბეჭდილი ზედწერილების ძალიან მაღალი რელიეფი;
- ქართული (ასომთავრული) და, განსაკუთრებით, არაბული ტექსტის გრაფემების პალეოგრაფიულად მცდარი მოყვანილობა;¹⁸²
- როგორც ასომთავრულ, ასევე არაბულ ლეგენდაში ყველა საეჭვო ეგზემპლარზე გაპარული ერთი და იგივე შეცდომები;
- მრავალი (მაგრამ არა ყველა!) ეგზემპლარის ანომალურად მაღალი წონა;
- როგორც წესი, მონეტების საოცრად კარგი შენახულობა;
- ამგვარ საეჭვო ეგზემპლარებზე ბუნებრივი პატივის არარსებობა;
- ჩვენთვის ცნობილი ეგზემპლარებიდან არცერთს არ ახლავს ზუსტი და სარწმუნო ცნობა პოვნის ადგილის შესახებ, საერთოდ, პოვნის გარემოებების შესახებ;
- საეჭვო ცალეები ხშირად სიქების ერთი და იმავე ნყვილითაა მოჭრილი (შეად. სურ. 7-8).

აღსანიშნავია, რომ საეჭვო ტიპის არც ერთი მონეტა ჩამოსხმული არაა. ისინი ყველა მოჭრილია. ამასთანავე, ეს გარემოება, ბუნებრივია, ვერ გამორიცხავს მათ სიყალბეს. ცნობილია სიქების დამზადების მრავალი ხერხი.¹⁸³

იბადება შეკითხვა, რამდენად დასაშვებია, რომ ზემოთ განხილული საეჭვო მონეტები XIII საუკუნეში იყოს გაყალბებული, ან, ვთქვათ, იმდროინდელ მინაბაძებს წარმოადგენდეს; ცნობილია, რომ, თუნდაც (მასობრივად გამოშვებული) რუსუდან მეფის მონეტებში ხშირად გვხვდება არაბული ზედწერილების დამახინჯებით გამორჩეული ცალეები.¹⁸⁴

მაგრამ, ისეთი ნიშნები, როგორცაა საეჭვო მონეტების კარგი შენახულობა და ხელოვნური პატივა, ზედწერილების მაღალი რელიეფი, ყოველთვის უცნობი ან საეჭვო წარმომავლობა, ასომთავრული ლეგენდის ზოგადი სისწორე და ლეგენდაში ერთი და იმავე, შედარებით მცირე ზომის ასო-ნიშნის გამოტოვება, ერთი და იმავე სიქების გამოყენება – ყველა ეს მონაცემი მიუთითებს ხსენებული მონეტების სიყალბეზე.

ჩვენ პირადად ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს მონეტები თანამედროვე ნაყალ-

შრომას შეიძლება ქართული მონეტების გამყალბებლებიც გაეცნონ, აქედან გამომდინარე, სიყალბის ნიშნების ძალიან დანვრილმანებულად განხილვა, მისი აზრით, ზედმეტი იქნებოდა. აქედან გამომდინარე, მოყვანილია სიყალბის მხოლოდ აშკარა ნიშნები, რომელიც უკვე საკმარისი იქნება ამ ტიპის ყალბი მონეტების გამოსარჩევად.

¹⁸² ცალკეული გრაფემების მოყვანილობა და მათი ერთმანეთთან გადაბმის ხასიათი ჯავახთ უფლის ნაღდ მონეტებზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ (იხ. ჯავახთ უფლის მონეტების მოჭრის ტექნიკა და ორგანიზაცია), იმაზე მიუთითებს, რომ სიქებზე არაბული ზედწერილების ამოკვეთას არაბული ენისა და დამწერლობის მცოდნე ხელოსნები აწარმოებდნენ, მაშინ როდესაც ხსენებულ საეჭვო მონეტებზე გამოყვანილი ზედწერილების ამომკვეთს აშკარად აკლდა არაბული ანბანის ცოდნა.

¹⁸³ Charles M. Larson, *Numismatic Forgery* (Irvine, 2004), 55-100.

¹⁸⁴ კაპანაძე, *ქართული ნუმიზმატიკა*, 81.

ბევს წარმოადგენს, რომელიც კოლექციონერთა მოსატყუებლად დაამზადეს. ყალბი მონეტების გამოჩენის ფენომენის გათვალისწინება აუცილებელია ლაშა გიორგის ნუმიზმატიკური მემკვიდრეობისა და, საზოგადოდ, ამ პერიოდის ქართული მონეტების კვლევისას.

შეჯამება

ლაშა გიორგის ზეობის ნუმიზმატიკური ისტორია კომპლექსურად აქამდე არ შესწავლილა. მაშინ როცა მისი საფასე, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით ობიექტურად ასახავს ეპოქას. ჩვენს მიზანს სწორედ გიორგი IV-ის ერთ-ერთი სამონეტო ტიპის – ჯავახთ უფლის ტიტულის მატარებელი წესიერი ჭედვის მონეტების – შესწავლა წარმოადგენდა.

ამ ტიპის მონეტების განხილვისას, ბუნებრივია, საჭირო გახდა, საზოგადოდ, XII-XIII საუკუნეების საქართველოს ნუმიზმატიკური ისტორიის მრავალი საკითხის კვლევა; კერძოდ, გამოვთქვით ჩვენი მოსაზრებები ქართული უნესო და წესიერი ჭედვის საფასის ნომინალისა და ღირებულების, გამოყენებული ფულადი ტერმინების შესახებ.

დასახული მიზნის მისაღწევად შევისწავლეთ არსებული მწირი ნარატიული და ლაპიდარული ცნობები და თავად ჯავახთ უფლის მონეტები (28 ეგზემპლარი); გამოვიყენეთ აღწერილობითი სტატისტიკის მეთოდები.

ჩატარებული მუშაობის შედეგად:

დაზუსტდა ამ სამონეტო ტიპის ლეგენდები. ასომთავრული ლეგენდის დასაწყისში არსებული სიმბოლო, ჩვენი აზრით, ჯვრის გრაფიკულ გამოსახულებას წარმოადგენს, და არა ქრისტეს სახელის მხოლოასოიან დაქარაგმებას; თავად ქართული ლეგენდის ტექსტის წაკითხვა ნუმიზმატიკურ ლიტერატურაში აქამდე, როგორც ჩანს, უზუსტო იყო – ჩვენ ნ. ბერძენიშვილის მიერ შემოთავაზებულ წაკითხვას ვიზიარებთ;

გამოიკვეთა ამ სამონეტო ტიპის მიმოქცევის არეალი (ზემო და ქვემო ქართლი, თბილისის შემოგარენი, ჩრდილოსომხური პროვინციები), რომელიც ნამდვილად არ იზღუდებოდა საუფლისწულოს (ალასტანელის საუფლო) ტერიტორიით;

შეფასდა ჯავახთ უფლის მონეტების სტატუსი (ჩვენი აზრით, ის *de facto* ანგარიშსწორების საშუალებას მაინც წარმოადგენდა) და როლი XIII საუკუნის I მეოთხედის საქართველოს სამეფოს სამონეტო მიმოქცევაში; განძებისა და ცალკეული აღმოჩენების ტოპოგრაფიის შესწავლას მივყავართ იმ აზრამდე, რომ ეს უკანასკნელი მეტად შეზღუდული იყო;

დამატებით, შესწავლილია აგრეთვე, ჯავახთ უფლის მონეტების წონითი სტანდარტი (საშუალო წონა – 5.97გ, 2 დრამის, ანუ წონითი ერთეულის წონა?), ნომინალი და ღირებულება; შეუძლებელია დანამდვილებით ითქვას, თუ რომელ საფასეს – უნესოს თუ წესიერს (სწორედ ამ უკანასკნელს მიეკუთვნება ჯავახთ უფლის მონეტებიც), შეესაბამებოდა ფულადი ტერმინი – დრამა. ჩვე-

ნი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ პარალელურად დრამად იწოდებოდა როგორც ერთი, ასევე მეორე;

გამოვთქვით ჩვენი მოსაზრებები ამ ტიპის მონეტების მოჭრის ტექნიკისა და ორგანიზაციის შესახებ: სამონეტო ნამზადები, სავარაუდოდ, დაბრტყელებული ლითონის ფურცლისგან ამოჭრა-ამოკვეთით მიიღებოდა; რამდენადაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ შესასწავლად ხელმისაწვდომი მონეტებით, სიქებზე ცალკეული გრაფემებისა და მათი ელემენტების ამოკვეთისას პუანსონები არ გამოიყენებოდა; დაკავებული ხელოსნები კარგად იცნობდნენ არა მარტო ქართულ (ასომთავრულ) გრაფიკას, არამედ არაბულ დამწერლობასაც; სამონეტო ნამზადებისგან მონეტების მოსაჭრელად გამიზნული სიქები ერთმანეთთან შეჭიდული, როგორც ჩანს, არ იყო;

აქვე აღვნიშნავთ, რომ როგორც „ნესიერი“, ასევე „არანესიერი ჭედვის მონეტების“ გამოშვებისას ნამზადებზე სიქებით ზემოქმედების პროცესი, ჩვენი აზრით, ერთნაირი იყო, და, ამგვარად, ტერმინები *არანესიერი (უნესო)* და *ნესიერი ჭედვის მონეტის* გამოშვების უკანასკნელ ტექნოლოგიურ ეტაპთან მიმართებაში არასწორია;

შევვხეთ ამ ტიპის მონეტების კოლექციონერთა მოტყუების მიზნით გაყალბების პრობლემას და ნუმიზმატიკურ კვლევაზე ამ ფენომენის შესაძლო ზეგავლენას; ამასთანავე, (შეგნებულად) ზერელედ მოყვანილი გვაქვს ის ნიშნები, რომლებსაც ეყრდნობა ჩვენი მოსაზრება და რომლის მოშველიებით შეიძლება ერთმანეთისგან ორიგინალური და ამ ტიპის ყალბი ეგზემპლარების დიფერენციაცია;

ჩამოვაყალიბეთ ჩვენი ხედვა ამ ტიპის საფასის მოჭრის დროის შესახებ: სავარაუდოდ, ლაშა გიორგის I და II ზეობას შორის შუალედში, ანუ გიორგი თამარის ძის თანამეფედ კურთხევიდან თამარის გარდაცვალებამდე, და არა თამარის გარდაცვალების შემდეგ – გიორგის ერთპიროვნულ ზეობაში;

ასევე, განვიხილეთ არგუმენტები ამ სამონეტო ტიპის გამოშვების ადგილთან დაკავშირებით: აქამდე ორი კანდიდატურა იყო შემოთავაზებული – ალასტანი ჯავახეთში, ან სამეფოს დედაქალაქი თბილისი. ჩვენი აზრით, არსებული მონაცემები (პირველ რიგში, თავად მონეტების აღმოჩენის ადგილების ტოპოგრაფიის კვლევის შესწავლის შედეგები) ამ კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემის შესაძლებლობას არ იძლევა; პასუხი იქნებ მომავალმა არქეოლოგიურმა კვლევამ გაგვცეს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ, ჩვენი ძალისხმევის-და მიუხედავად, დაუდგენელი რჩება (და შემდგომ კვლევას საჭიროებს) ამ ტიპის საფასის მოჭრის ადგილი, ნომინალის სახელწოდება და, განსაკუთრებით, ღირებულება.

ბიბლიოგრაფია

აბდალაძე გვანცა. XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 359, 2005

ბერძენიშვილი ნიკოლოზ. ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენება). საქართველოს ისტორიის საკითხები. წ. I. თბილისი, 1964

გაბაშვილი მანანა. საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში. თბილისი, 1981

გაბაშვილი მანანა. შუა საუკუნეების ქართული მემორიალური და საზეიმო ხასიათის მონეტები (XII ს.). ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, V, 2008

დუნდუა გიორგი, დუნდუა თედო. ქართული ნუმიზმატიკა. I ნაწილი. თბილისი, 2006

დუნდუა თედო. საქართველო და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბილისი, 1995

დუნდუა თედო. ქართული ეთნოკულტურული რევილუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით. თბილისი, 1997

კაკაბაძე სარგის. საფასის ისტორიისთვის საქართველოში. საისტორიო მოამბე. წიგნი I, წელიწადი II. ტფილისი, 1925

კაპანაძე დავით. ქართული ნუმიზმატიკა. თბილისი, 1969

ლომოური თამარ. თამარის ფულების განძი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, I, 1936

ლომოური თამარ. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. კრ. შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. რედ. ივ. ჯავახიშვილი. თბილისი, 1938

მანაგაძე ირაკლი, რედ. ფული საქართველოში. თბილისი, 2000

მანაგაძე ირაკლი, რედ. ფული საქართველოში. თბილისი, 2003

მელიქსეთ-ბეგი ლეონ. ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 108, 1964

მიქელაძე ნინო. დმანისის ნუმიზმატიკური მონაცემები. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, IV, 2002

ნატროშვილი თამაზ, ჯაფარიძე გოჩა. ცდა ერთი თარიღის დადგენისა. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1, 1974

ნინიძე დავით. ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები). თბილისი, 2004

ნინიძე დავით. ალასტანელ (ბაგრატიონთა) „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს წარმოქმნის ისტორიისათვის. მნათობი, 7-8, 1993

ნინიძე დავით. „პროვინციის მეფეთა“ ინსტიტუტის წარმოშობისათვის. მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1992

ნინიძე დავით. სოფელ ალასტანის ისტორიიდან. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის. ნაკვეთი III. რედ. გ. ჯამბურია. თბილისი, 1987

ნინიძე დავით. საუფლისწულო XIII საუკუნის საქართველოში. საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტ ახალგაზრდა მეცნიერთა შრომები, I, 1999

ოთხმეზური გიორგი. XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. თბილისი, 1981

ფალავა ირაკლი. დადიანის მონეტა სეფიანი შაჰის სახელით. იბეჭდება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები).

ფალავა ირაკლი. თბილისური მონეტების წონითი სტანდარტი, ნომინალთა სისტემა და მოჭრის ტექნიკა (ავშარიანთა დინასტიის პერიოდი). ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, №1(7), 2010

ფაცია დავით, ფალავა ირაკლი. ჯალალ ად-დინ მანქურნის ქართული მონეტები. თბილისი, 2009

ქოიავა ნიკოლოზ. ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, III, 1938

შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი. თბილისი, 1966.

ჯავახიშვილი ივანე. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, ნიგნი III, 1. ნაკვეთი მესამე: ქართული საფას-საზომთმცოდნეობა, ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია. ტფილისი, 1925

ჯალალანია ირინა. თბილისის არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს მოპოვებული ნუმისმატიკური მასალა. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, 1974

ჯალალანია ირინა. რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნუმისმატიკური მასალა. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, III, 1978

ჯალალანია ირინა, ჯაფარიძე ვახტანგ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმისმატიკური მონაპოვარი. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, V, 1987

ჯანდიერი ეკატერინე. ჯავახეთის ახალქალაქის ძველი ნამოსახლარები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, I (46-B), 2010

ჯაფარიძე გოჩა. მალრიბული ოქრო XII-XIII სს. ქართულ წყაროებში. მაცნე, ეკონომიკის, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, 4, 1975

ჯაფარიძე გოჩა. ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.). თბილისი, 1973

ჯაფარიძე გოჩა. ოქროს მონეტის ტერმინოლოგია XI-XIII საუკუნეების საქართველოში. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1976

ჯაფარიძე გოჩა. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბილისი, 1995

Глазунова А.Н., Колызин А.М., Кренке Н.А., Медведев П.В. Клад заготовок для чеканки медных монет мелких номиналов середины XVII в. найденный при раскопках в Москве в Романовом переулке. В *Десятая Всероссийская нумизматическая конференция, тезисы докладов и сообщений*, под редакцией Аллы Мельниковой. Москва, 2002

Давидович Елена. История монетного дела Средней Азии XVII-XVIII вв. (Золотые и серебряные монеты Джанидов. Душанбе, 1964

Джавахов Иван (Джавахишвили Иванэ). Рецензия на книгу: “Е.А. Пахомов, “Монеты Грузии.” Часть I (домонгольский период), Зап. Нумизм. отд. Имп. Русск. Археол. Общества. IV вып. I тома, 129 страниц (СПб., 1910). ივანე ჯავახიშვილი, თბულებები თორმეტ ტომად, ტომი IX. თბილისი, 1996. თავდაპირველად დაიბეჭდა კრებულში Христианский восток. Т. 1, 111-121. СПб., 1912

Джалагания Ирина. Иноземная монета в денежном обращении Грузии V – XIII вв. Тбилиси, 1979

Зограф Александр. Античные монеты. Москва-Ленинград, 1951

Капанაძე დავიდ. Клад монет XII-XIII вв. из сел. Ничбиси. Вестник Государственного музея Грузии им. акад. С. Н. Джанашиа, XXVIII-V, 1969

Капанაძე დავიდ. Комментарий. В *Евгений Пахомов. Монеты Грузии*. Тбилиси, 1970

Коиava Николоз. Денежное обращение Грузии в эпоху Руставели. В *Сборник Руставели. К 750-летию “Вепхистკაოსანი”*. Тбилиси, 1938

Колызин Александр, Кренке Николай. Клады из раскопок Нового Дворцового денежного двора в Москве. В *Нумизматический сборник ГИМ, том XVIII*, под редакцией В. Зайцева. Москва, 2007

Лебедев Валентин, Марков Дмитрий, Койфман Александр. Монетное дело и монетное обращение Ганджийского эмирата Шаддадилов (сер. X – XI вв.). Москва, 2006

Мarr Нико. Надпись Епифания, католикоса Грузии (Из раскопок в Ани 1910 г.). С.-Петербург, 1910

Мушегян Хачатур. Денежное обращение Двина по нумизматическим данным. Ереван, 1962

Пагава Иракли. Чеканка сефевидской монеты в восточном Причерноморье. В печати (в *Восточная нумизматика в Украине 3*).

Пагава Иракли. Новый тип грузино-сасанидских драхм с крестом. В печати (в *Археология, этнография и фольклористика Кавказа*).

Пахомов Евгений. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа. Выпуск IV. Баку, 1949

Пахомов Евгений. Монетные клады Азербайджана и Закавказья. *Труды общества обследования и изучения Азербайджана*, выпуск 3. Баку, 1926

Пахомов Евгений. Монеты Грузии. Тбилиси, 1970

Пахомов Евгений. О технике чеканки медных монет в Закавказье в конце XII – начале XIII вв. Советская Археология, 3, 1969

Северова Марианна. Медные монеты иранских городов с надчеканенным двуглавым орлом. В *Прошлое нашей родины в памятниках нумизматики*, под редакцией Всеволода Потина. Ленинград, 1977

Спасский Иван. Русская монетная система. Ленинград, 1970

Храменков Александр. Документ о надчеканивании медных персидских монет российским двуглавым орлом в Реште в 1727 г. В *XIV Всероссийская нумизмати-*

ческая конференция, тезисы докладов и сообщений, под редакцией В. Калинина. Москва, 2007

Храменков Александр. Производство и обращение фальшивых полушек образца 1718 г. В *Нумизматический сборник ГИМ*, том XVIII, под редакцией В. Зайцева. Москва, 2007

Akopyan, Alexander. On the Georgian-Sasanian Coinage: New Type of the Coins of Gurgun I. In press (in *American Journal of Numismatics*).

Ilisch, Lutz. Islamic Numismatics. In *A Survey of Numismatic Research 2002-2007*. Eds. M. Amandry, J. Bateson. Glasgow, 2009

Jarausch, Konrad H., and Kenneth A. Hardy. *Quantitative Methods for Historians, A Guide to Research, Data, and Statistics*. London, 1991

Kouymjian, Dickran. A Numismatic History of Southeastern Caucasia and Adharbayjān Based on the Islamic Coinage of the 5th/11th to the 7th/13th Centuries. Ph.D. Thesis, Columbia University, 1969

Lang, David. *Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia*. New-York, 1955

Larson, Charles M. *Numismatic Forgery*. Irvine, 2004

Mayer, Tobias (bearbeitet von). *Sylloge der Münzen des Kaukasus und Osteuropas*. Wiesbaden, 2005

Paghava, Irakli. The Minting of Gold Shauris in Eighteenth Century Georgia: Monetary Evidence. *Journal of Oriental Numismatic Society*, 204, 2010

Paghava, Irakli. A Series of Peculiar Minor Denomination Sirma Coins: Modern Fakes or Contemporary Imitations? In *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, 197, 2008

Paghava, Irakli. Variation in the Composition and Arrangement of Dates on Sirma Coins: Approach to Die Analysis. In *Caucasian Numismatics, Papers on the Coinage of Kartl-Kakheti (Eastern Georgia), 1744-1801. Supplement to Journal of Oriental Numismatic Society*, 197, 2008

Paghava, Irakli, and Severian Turkia. A New Coin Type of the Sayyid Abū al-Faḍl Jaʿfar III b. ʿAlī, Jaʿfarid Emir of Tiflīs. *Journal of Oriental Numismatic Society*, 206, 2011

Paghava, Irakli, and Severian Turkia. A New Early Coin Type of ʿAlī b. Jaʿfar, Emir of Tiflis, Citing the Caliph Al-Tāʾir li-llāh. *Journal of Oriental Numismatic Society*, 199, 2009

Paghava, Irakli, and Severian Turkia. The Umayyad Fulus Minted in the Name of Marwan b. Muhammad (the Deaf) in Georgia and Elsewhere in South Caucasus. *Journal of Oriental Numismatic Society*, 201, 2009

Paghava, Irakli, Severian Turkia, and Giorgi Janjgava. Some New Denomination Coins of Nadir Shah Minted in Georgia. *Journal of Oriental Numismatic Society*, 202, 2010

Paghava, Irakli, Severian Turkia, and Gennadiy Zlobin. A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia: Addendum. In press (in *Journal of Oriental Numismatic Society*).

Rapp, Jr. Stephen H. The Coinage of T'amar, Sovereign of Georgia in Caucasia: A Preliminary Study in the Numismatic Inscriptions of Twelfth- and Thirteenth-Century Georgian Royal Coinage. *Le Museon*, 106, Issue 3-4, 1993

Schindel, Nikolaus. Umayyad Copper Coinage in the Name of Marwan II B. Muḥammad from the Caucasus – Additional Comments. *Journal of Oriental Numismatic Society*, 202, 2010

Turkia, Severian, and Irakli Paghava. The Coinage of Ja'far III B. 'Alī, Emir of Tiflis. *Journal of Oriental Numismatic Society*, 197, 2008.

Turkia, Severian, and Irakli Paghava. A New Coin Type of Dimitri I, King of Georgia. *Journal of Oriental Numismatic Society*, 200, 2009

Turkia, Severian, and Irakli Paghava. The Unique Coin of Abul-Hayjā, Ja'farid Emir of Tiflis. In press (in *Near East and Georgia*).

Turkia, Severian, and Irakli Paghava. An Unrecorded Early Post-reform Fals minted in Tiflis. *Journal of Oriental Numismatic Society*, 191, 2007

Մուրադյան Պ. Հայաստանի վրացական արձանագրությունները. Աղբյուր-ագիտական քննություն. Երեվան: Երեվանի համալսարանի հրատարակչություն, 1977 (პარუირ მურადიანი. სომხეთის ქართული ეპიგრაფიკა. წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა. ერევანი, 1977)



1



2



3



4

სურ. 1 გიორგი IV-ის უნესო ჭედვის მონეტა.

სურ. 2 გიორგი IV-ის წესიერი ჭედვის მონეტა მეფის გამოსახულებით.

სურ. 3 გიორგი IV-ის წესიერი ჭედვის მონეტა „ჯავახთ უფლის“ ტიტულით.

სურ. 4 გიორგი IV-ის წესიერი ჭედვის მონეტა „ჯავახთ უფლის“ ტიტულით.



5



6



7



8

სურ. 5 გიორგი IV-ის წესიერი ჭედვის მონეტა „ჯავახთ უფლის“ ტიტულით.

სურ. 6 გიორგი IV-ის წესიერი ჭედვის მონეტა „ჯავახთ უფლის“ ტიტულით.

სურ. 7 გიორგი IV-ის წესიერი ჭედვის მონეტა „ჯავახთ უფლის“ ტიტულით (თანამედროვე ნაყალბევი).

სურ. 8 გიორგი IV-ის წესიერი ჭედვის მონეტა „ჯავახთ უფლის“ ტიტულით (თანამედროვე ნაყალბევი).



9



10



11



12



13

სურ. 9 გიორგი III-ის წესიერი ჭედვის მონეტა.

სურ. 10 თამარისა და დავითის წესიერი ჭედვის მონეტა.

სურ. 11 თამარის უნესო ჭედვის მონეტა.

სურ. 12 ჯალალ ად-დინის უნესო ჭედვის მონეტა.

სურ. 13 ჯალალ ად-დინის საფასე გადაჭედილი გიორგი III-ის წესიერი ჭედვის მონეტისგან.

XVI

წმინდა ნინოს ცხოვრების ციკლი გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის საღვთისმამის მოხატულობაში

ზაზა სხირტლაძე

უდაბნოს მონასტრის შესახებ წერილობით წყაროებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მიუხედავად ამისა, იქ არსებული ქვაბ-სამლოცველოები, მათი ფრესკები, მრავალრიცხოვან ნარწერებთან ერთად ცხადყოფს, რომ სამონესეო ცხოვრება წმ. დავითის ლავრის სიახლოვეს, უდაბნოს მთის სამხრეთ ფერდზე დაფუძნებულ გამოქვაბულ კომპლექსში, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, უწყვეტად წარმართებოდა;¹ ამასთან, მონასტრის აღმავლობის პერიოდი XI საუკუნის პირველი ათეული წლებიდან იწყებოდა და XIII საუკუნის მიწურულამდე გრძელდებოდა.²

¹ მონასტრის დაფუძნების ზუსტი პერიოდი ცნობილი არ არის. დღეისათვის აქ შემორჩენილ სალოცავთა შორის უძველესი მის აღმოსავლეთ კიდეში, უდაბნოს ქედის თხემზე VIII-IX სს. აგებული აღდგომის ეკლესიაა (ვახტანგ დოლიძე, „დავით გარეჯის ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლის დათარიღების საკითხისათვის“, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. XI, 9 (1950), 605-611), აგრეთვე ძველი სატრაპეზო, რომელიც კომპლექსის ცენტრალური ნაწილის ზედა იარუსში მდებარეობს (*გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები: წმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.)*, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, ტ. I, ნაწ. 1 (თბილისი, 1999), 94). მათი მოკრძალებული ზომები, ისევე როგორც არქიტექტურული გადანწყვეტა, იმაზე მეტყველებს, რომ მონასტერს იმხანად შედარებით მცირე მასშტაბები უნდა ჰქონოდა.

² უდაბნოს მონასტრისა და მისი ფრესკების შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან პუბლიკაციათაგან შეიძლება დასახელებულ იქნას: *Георгий Чубинашвили, Пещерные монастыри Давид Гареджи* (Тбилиси, 1948); *Шалва Амиранашвили, История грузинской монументальной живописи*, I (Тбилиси, 1957), 41-65, ტაბ. 24-50; *Тинатин Вирсаладзе, “К вопросу о датировке первоначальной росписи северного придела главного храма монастыря Удабно”*, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე*, 6 (1968), 223-239; გურამ აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში* (თბილისი, 1972); *Анели Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии* (Тбилиси, 1974), 87-97; *Анели Вольская, “Росписи пещерных монастырей Давид-Гареджи”*, კრ. *გარეჯი*, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII (თბილისი, 1988), 139-140; *Татьяна Шевякова,*

ასწლეულთა მანძილზე უდაბნოს მონასტერი თანდათანობით იზრდებოდა; შესაბამისად, ყალიბდებოდა მისი საერთო სახეც, რომელიც გარეჯის სხვა უდაბნოთა თანაგვარია: აქაც გამოქვაბული კომპლექსის ცენტრს წარმოადგენს დიდი ეკლესია და მის სიახლოვეს მდებარე ვრცელი სატრაპეზო, რომელთა გარშემო მრავალრიცხოვანი ქვაბები – მცირე სამლოცველოები, საცხოვრებელი სენაკები, სამეურნეო და სხვა დანიშნულების სათავსებია გამოკვეთილი. მონასტრის ეკლესია-სამლოცველოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფრესკებით ყოფილა შემკული. მოხატულობების უმეტესობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში საგრძნობლად დაზიანდა.

უდაბნოს მონასტრის ფრესკები გარეჯის მრავალმთის სამონასტრო ფერწერული სკოლის გამორჩეული ქმნილებებია. ამასთანავე, მათი უმეტესობა მრავალმხრივ საგულისხმოა იმ ცვლილებების ნათელსაყოფად, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ხდებოდა როგორც საკუთრივ მრავალმთაში, ისე ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში – ყოველივე ეს სხვადასხვამხრივ აღიბეჭდებოდა ფრესკების შექმნისა თუ მათი განახლება-გადანერის პროცესში.

უდაბნოს მონასტრის მთავარი, ღმრთისმშობლის ეკლესია X საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. რამდენადმე უფრო მოგვიანოდ, XI საუკუნის პირველ ნახევარში გამოუკვეთავთ ახალი, ვრცელი სატრაპეზო, გამორჩეული არა მარტო თავისი მასშტაბებით (იგი შვიდ ათეულზე მეტ ბერს დაიტევდა), არამედ ხუროთმოძღვრული გადანყვევითაც.

ღმრთისმშობლის ეკლესია დარბაზული ტიპისაა; მას ჩრდილოეთიდან ებმის ასევე ვრცელი სათავსი – სადიაკვნე (სურ. 1). კარგახანია ცნობილია, რომ გარეჯის მონასტერთა ცალნავიანი ეკლესიების საგრძნობი ნაწილის, მათ შორის – საკრებულო ეკლესიების უმეტესობის (შდრ. წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმ. დოდოს, ბერთუბნის მონასტერთა მთავარი ტაძრები³) გეგმარების

Монументальная живопись раннего средневековья Грузии (Тбилиси, 1983), 9-16; Гаяне Алибегашвили, *Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи* (Тбилиси, 1979), 41-42, 44, рис. 6; Antony Eastmond, *Royal Imagery in the Medieval Kingdom of Georgia* (University Park, PA, 1998), 124ff; Antony Eastmond, "The Cult of St. Davit Garejeli. Patronage and Iconographic Change in the Gareja Desert", კრ. *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში: გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი* (თბილისი, 2001), 220-239; ზაზა სხირტლაძე, ენტონი ისტმონდი, „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობაში: ახალი მონაცემები და დაკვირვებები“, *საქართველოს სიძველენი*, 2 (2002), 28-49; Zaza Skhirtladze, "Martyrs and Martyria in the Gareja Desert," in *Monasteres, images, pouvoirs et societe a Byzance*, ed., M. Kaplan, *Byzantina Sorbonensia*, 23 (Paris, 2006), 62-88; Antony Eastmond, Zaza Skhirtladze, "Udabno Monastery in Georgia: Innovation, Conservation and the Reinterpretation of Medieval Art," *Iconographica, Rivista di Iconografia Medievale e Moderna*, VII (2008), 23-43.

³ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи*, ტაბ. 96 (ბერთუბანი); 123 (წმ. დოდოს მონასტერი); წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ეკლესიის გეგმისათვის იხ. Zaza Skhirtladze, "Les portraits de l'église principale du monastere Natlismtsemeli à Garedja," *Зограф*, 23 (1993-1994), 5.

თავნყარო მრავალმთის უმთავრესი სალოცავის – წმ. დავითის ლავრის უფლის ფერისცვალების ეკლესიის ხუროთმოძღვრული სახე უნდა გამხდარიყო.⁴ ამასთანავე, უდაბნოს მონასტრის ეკლესიის გეგმარებითი თუ აღნაგობითი გადანყვეტა ქრისტიანული აღმოსავლეთის საეკლესიო ხუროთმოძღვრებისთვისაა საზოგადოდ დამახასიათებელი – ამ მხრივ ყველაზე ნიშანდობლივი კაპადოკიის სამონასტრო გარემო ჩანს (სადაც ჩრდილოეთი სათავსის, როგორც დასაკრძალავის ან სულაც დამოუკიდებელი სამლოცველოს დანიშნულება, გარეჯის მრავალმთის დღეისათვის ცნობილ ეკლესიებთან შედარებით, ბევრად უფრო მკაფიოა).⁵ ეკლესიის ცენტრალური ნაწილი (დაახლ. 15x8 მ) რამდენადმე დიდია სადიაკვნეზე (11.5x6 მ), რომლის უჩვეულო მასშტაბები, ისევე როგორც მოხატულობის ხასიათი იმაზე მეტყველებს, რომ მას ლიტურგიკულთან ერთად სხვა დანიშნულებაც შეიძლება ჰქონოდა.⁶ როგორც ჩანს, ამასვე უნდა განეპირობებინა ის მნიშვნელობაც, რომელიც მას მონასტრის თავი ეკლესიის შექმნისთანავე უნდა მინიჭებოდა.

ამ მხრივ ნიშნეული ჩანს ის გარემოება, რომ თავდაპირველად მხოლოდ სადიაკვნე მოუხატავთ. იგი მთლიანად იქნა შელესილი, თუმცა კი ფრესკები მისი ინტერიერის მარტოოდენ ნაწილს ამკობს. ფართო და ღრმა საკურთხევლის ცენტრში წარმოდგენილი იყო „ვედრების“ სამფიგურიანი

⁴ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи*, 39, 44; ზაზა სხირტლაძე, *წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი* (თბილისი, 2006), ტაბ. 5-6.

⁵ შდრ. Catherine Jolivet-Lévy, *Le Cappadoce médiévale* (Paris, 2001), pl. 48, (გოლუოუ დერეს 4 სამლოცველო, იგივე აივალი ქილისე); 49₃ (კარაბაშ ქილისე); 50₂ (გორემის 11 სამლოცველო – წმ. ევსტათეს ეკლესია); 51₁ (გორემის 7 ეკლესია – თოქალი ქილისეს ახალი ეკლესია); 54₁ (ბელისირმა, დირეკლი ქილისე).

⁶ ბუნებრივად ჩნდება კითხვები როგორც სადიაკვნის განთავსებასთან – არა სამხრეთით, როგორც ეს ტრადიციულადაა მიღებული (შდრ. *The Oxford Dictionary of Byzantium*, ed. A. Kazhdan, vol. 3 (1991), 1594ff; აგრეთვე Natalia Teteriatnikov, “The liturgical planning of Byzantine churches in Cappadocia,” *Orientalia Christiana Analecta*, 252 (Rome, 1996); Gordana Babic, “Les chapelles annexes des églises byzantines. Fonction liturgique et programmes iconographiques,” *Bibliothèque de Cahiers Archéologiques*, 3 (Paris, 1969), 61-65) – არამედ ჩრდილოეთით, ისევე როგორც მის მასშტაბებთან, სახელდობრ უჩვეულოდ დიდ ზომებთან დაკავშირებით. ადრეულ შუა საუკუნეებში სადიაკვნეს ბევრად მნიშვნელოვანი და მრავლისმომცველი ფუნქცია რომ უნდა ჰქონოდა, კარგადაა ცნობილი. Thomas Mathews, *The Early Churches of Constantinople: Architecture and Liturgy* (London, 1971), 105-7, 155-62; Georges Descoedres, *Die Pastophorien im syro-byzantinischen Osten: eine Untersuchung zu architektur- und liturgiegeschichtlichen Problemen*, Schriften zur Geistesgeschichte des östlichen Europa, 16 (Wiesbaden, 1983); თუმცა, რამდენად შეიძლება დაუკავშირდეს ყოველივე ეს უდაბნოს მონასტრის მთავარ ეკლესიას, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ასეთი ვრცელი სათავსი მხოლოდ სამღვდელო შესამოსლისა და ლიტურგიკული ჭურჭლის სალაროდ არ უნდა ყოფილიყო გამიზნული. ერთ-ერთი შესაძლო ახსნა, რომელიც სადიაკვნის ჩრდილოეთით გადატანას შეიძლება მოეძებნოს, ისაა, რომ ეკლესია მთის სამხრეთ, საკმაოდ დამრეც ფერდზეა გამოკვეთილი, რის გამოც საკურთხევლის სამხრეთით დამატებითი მოცულობის არსებობა გარკვეულ პრობლემებთან შეიძლება ზოდა ყოფილიყო დაკავშირებული.

კომპოზიცია (სურ. 2, 3). დარბაზის ბრტყელ, არათანაბარზედაპირიან, თითქოსდა ნაძერწ ქერს ამკობდა ვარსკვლავებიანი ცის ფონზე წარმოდგენილი დიდი ზომის ჯვარი, რომლის მკლავებს შორის გამოუსახავთ ოთხხატედები სამწმიდა ლოცვიდან ამორიდებული ასომთავრული ტექსტებით. დარბაზის დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებს გაუყვებოდა წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების სცენათა რიგი (სურ. 3). ეს ღირსი მამის ცხოვრების დღეისათვის ცნობილთა შორის ყველაზე ადრეული ილუსტრაციაა – საგულისხმოა, რომ მასში გაერთიანებული ეპიზოდები ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად სხვაობს ლიტერატურული პირველწყაროსაგან.⁷ ციკლი ასახავს წმ. დავითისა და მის მონაფეთა მიერ მრავალმთაში სამონასტრო ცხოვრების დაფუძნების ისტორიას და სრულდება ღირსი მამის იერუსალიმში პილიგრიმოებით. ცხოვრების ციკლში გაერთიანებული კომპოზიციები ერთმანეთისაგან საგანგებო მოჩარჩოებით გამოყოფილი არ ყოფილა, ამასთან, ცალკეულ ეპიზოდთა კომპოზიციურ ერთიანობას ხაზს უსვამს მთავრეხილის აღმნიშვნელი ტალღური ნახატი, რომელიც ხშირად კამარის ქანობზეც გადადის. მასთან ერთად, ციკლის ეპიზოდთა რიგს (თეთრი ფერის ნეიტრალური ფონით) ქვემოდან ფაქტობრივად უწყვეტად გასდევს ნიადაგის აღმნიშვნელი, ბალახებითა და ყვავილებით მოფენილი მწვანე ფერის ტალღოვანი ზოლი. შესაბამისად, ღირსი მამისა და მის თანამდგომთა სამონესო ღვანლი სულიერ სამოთხედ (ლიმონარად) შეცნობილ უდაბნოში აღესრულება. სადიაკვნის, როგორც საკურთხეველის, ისე დარბაზის ადრეული ფრესკების თავდაპირველი ფერები (სულ რამდენიმე საღებავით გადმოცემული), შთამბეჭდავია თავისი უწინდელი სიცხოვლითა და სითბოთი.

მოხატულობის პირველი ფენის შესრულების თაობაზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა. კვლევამ ცხადყო, რომ იგი X საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული.⁸ ღირსი მამის სამონესო ღვანლის ამსახველი ეს ხატოვანი ისტორია წმინდანთა ცხოვრების ციკლის ერთ-ერთი უადრესი მაგალითია ქრისტიანული აღმოსავლეთის სახვით ხელოვნებაში.⁹

ნიშნეულია, რომ ტაძრის ცენტრალური ნაწილი, სახელდობრ საკურთხეველი და სამრევლო სივრცე იმავდროულად იქნა შელესილი, თუმცა კი მოხატული არ ყოფილა. დღეისათვის ძნელი ასახსნელია მონასტრის საკრებულო ეკლესიის დამატებითი სათავსისათვის მინიჭებული ამგვარი

⁷ სხირტლაძე და ისტომონდი, „წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი“, 46-47.

⁸ იქვე, 47-48.

⁹ იხ. ქრისტიანული აღმოსავლეთის სახვით ხელოვნებაში ადგილობრივ წმინდანთა ცხოვრების ციკლთა ნუსხა – Thalia Gouma-Peterson, “Narrative Cycles of Saints’ Lives in Byzantine Churches from the Tenth to the Mid-fourteenth Century,” *Greek Orthodox Theological Review*, 30/1 (1985), 31-44; გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის მაგალითი ავტორისათვის უცნობია.

პრიორიტეტის წინა პირობები, თუმცა კი ფაქტია, რომ ათწლეულების განმავლობაში მოხატული მხოლოდ სადიაკვნე რჩებოდა.¹⁰

მოხატულობის მეორე ფენა გარკვეული დროის შემდეგ შესრულდა. იმხანად მთავარი ტაძრის საკურთხეველი და სამრევლო სივრცე მოიხატა.

ასწლეულების განმავლობაში ღმრთისმშობლის ეკლესია ძალზე დაზიანდა – ერთიანად ჩამოირღვა მისი სამხრეთი ნახევარი; შესაბამისად, მოხატულობა, რომელიც ერთ დროს ტაძრის კედელ-კამარას ამკობდა, ახლა მხოლოდ ნაწილობრივლა შემორჩა (სურ. 4). ფერწერული ანსამბლის შესახებ მსჯელობა, შემორჩენილ ფრესკებთან ერთად, ძველი აღწერების, აგრეთვე ფერწერული ასლებისა და ფოტოების მიხედვითაა შესაძლებელი. საკურთხეველის კონქში გამოსახული იყო ანგელოზთაგან განდიდებული ჩვილადი ღმრთისმშობელი, ხოლო ქვემოთ – მოციქულთა რიგი.¹¹ ქრისტოლოგიური ციკლი, რომელიც, როგორც ჩანს, დარბაზული ეკლესიის ორსავე – სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს, აგრეთვე კამარის ქანობებს ამკობდა და თარაზულ რიგებად იყო განთავსებული, ამჟამად მხოლოდ დარბაზის ჩრდილოეთი კედლის ზედა ნახევარსა და კამარის ქანობის დასავლეთ კიდე შემორჩა (ზედა რეგისტრის დასავლეთ კიდეში ჩანს ლაზარეს აღდგინების ნაწილი, აგრეთვე იერუსალიმად შესვლის მცირე ფრაგმენტი მის მარჯვნივ; მომდევნო, შუა რეგისტრის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მონაკვეთებზე წარმოდგენილია ამაღლება, სულიწმიდის მოფენა და ღმრთისმშობლის მიძინება). ქრისტოლოგიური ციკლის უფრო ადრეული ეპიზოდები, როგორც ჩანს, დარბაზის სამხრეთ კედელზე იყო წარმოდგენილი.

ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნაწილში, ქრისტოლოგიური ციკლის სცენათა რიგის გაყოფებით, წარმოდგენილია წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების სამი სცენა, რომელთა პირველწყაროდ მეტაფრასული ცხოვრება ჩანს: ირმების წველა წმ. ლუკიანეს მიერ, ირმების ჩივილი წმ. დავითთან, გველეშაპის დაწვა (სურ. 6). ცხადია, არც ამ შემთხვევაში გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ

¹⁰ ამასთან დაკავშირებით, უთუოდ საგულისხმოა ოშკის მაგალითი – 963-976 წლებში აგებული ტაძრის ინტერიერის ძირითადი ნაწილი XI საუკუნის 30-იან წლებამდე მოუხატავი რჩებოდა. X საუკუნის ფრესკები მხოლოდ სადიაკვნეშია, ამასთან, თავისი მხატვრული გადაწყვეტით ისინი სრულიად შეუსაბამოა ტაძრის მასშტაბურ აღნაგობასა და გარესახესთან, ზედმინევენით რაფინირებულ ნაქანდაკე სამკაულთან, ჭეშმარიტად სამეფო გაქანებასთან – ეს საბერძნეთის მხატვრული წრის ქმნილებაა, მრავალმხრივ თანაგვარი გარეჯის მრავალმთის თანადროული ფრესკებისა. ამ მხატვრობასთან დაკავშირებით იხ. Zaza Shkirtladze, “The Oldest Paintings in Oshki Church. Byzantine Church Decoration and Georgian Art,” *Eastern Christian Art*, 7 (2010), forthcoming.

¹¹ შ. ამირანაშვილი ვარაუდობდა, რომ აქ ალექსის კიდობნის თაყვანისცემა უნდა ყოფილიყო გამოსახული. *Амиранашвили, История грузинской монументальной живописи*, 43. გამოსახულებათა რაობა მოგვიანოდ თ. ვირსალაძის მიერ იქნა დაზუსტებული. *Вирсаладзе, “К вопросу о датировке”*, 225. საკონქო კომპოზიციაში წარმოდგენილი ერთ-ერთი ანგელოზის გამოსახულების ფერწერული ასლი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხელოვნების მუზეუმის მონუმენტური ფერწერის ფონდშია დაცული (საინვ. სხსმ/მმ 188).

ღირსი მამის ცხოვრების ციკლის გარკვეული რიგი სამხრეთ კედელზეც იყო წარმოდგენილი.

დარბაზის დასავლეთი კედელი მთლიანად უკავია განკითხვის დღის მრავალწლიან კომპოზიციას, რომლისგანაც მხოლოდ ჩრდილოეთი ნახევარიღა შემორჩა (სურ. 5).

ეკლესიის დარბაზისა და სადიაკვნის დამაკავშირებელ ორ ფართო თაღოვან ღიობთა შორის არეზე მესვეტის ფიგურაა, ხოლო დასავლეთი ღიობის თავანებზე წმინდა მკურნალთა – წმ. კოზმას და წმ. დამიანეს გამოსახულებებია. მომცრო თაღოვანი ღიობი აკავშირებს ეკლესიისა და სადიაკვნის საკურთხევლებსაც, თუმცა იმხანად იგი ფრესკებით შემკული არ ყოფილა.¹²

უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის მოხატულობა გარეჯის მრავალმთის სამონასტრო ფერწერული სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული ქმნილებაა; ამასთანავე, ფრესკების შესრულების მაღალი მხატვრული დონე იმაზე მეტყველებს, რომ მისი შექმნა ადგილობრივ სამონასტრო წიაღში ამ კუთხის იმჟამინდელ მმართველთა საქტიტორო მოღვაწეობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამაზევე მიუთითებს ტაძრის ჩრდილოეთი კედლის მთელ დასავლეთ მონაკვეთზე წარმოდგენილი საქტიტორო გამოსახულებათა რიგი, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ტაძრის მოხატულობის საერთო იკონოგრაფიულ პროგრამაში.

წმ. დავითის ცხოვრების ციკლის სცენათა ქვემოთ, სულ ქვედა რეგისტრში წარმოდგენილი მრავალფიგურიანი საქტიტორო რიგი ორ ჯგუფადაა გაყოფილი. პირველ ჯგუფში, კედლის აღმოსავლეთ ნახევარზე, გამოსახულია საკურთხევლისკენ ვედრებად მიმართული სამი შარავანდმოსილი გვირგვინოსანი (სურ. 7). ქტიტორთა შესამოსელი და ინსიგნიები უმაღლესი სახელისუფლო წრისადმი მათს კუთვნილებაზე მეტყველებს. ამასთანავე, სამივეს შესამოსელი განსხვავებულია: პირველი კაბითაა წარმოდგენილი, მეორე – გრძელი კვართით, მესამე კი აბჯარმოსილი. ჯგუფის მარჯვნივ (აღმოსავლეთით), სადიაკვნეში შესასვლელი ღიობის თაღთან, მომცრო ზომის სწორკუთხა მოჩარჩოვების ფრაგმენტები გაირჩევა. როგორც ჩანს, აქ, ტრადიციული სქემის შესაბამისად, მაცხოვრის, დედალმრთისას ან რომელიმე მეოხი წმინდანის სახე იყო წარმოდგენილი.¹³

გვირგვინოსანთა რიგის შემდეგ, კედლის დასავლეთ ნახევარზე გამოსახული, დასავლეთით მიმართული წმ. დავით გარეჯელი აკურთხებს ქტი-

¹² ეკლესიის კანკელის აღნაგობასა და შემკულობაში, სავარაუდოდ, სამი ქრონოლოგიური ფენა გაირჩევა. მათგან ყველაზე ადრეული კანკელის ქვედა მონაკვეთზე ჩანს. იგი ტაძრის შელესვის თანადროული უნდა იყოს, ამასთან – ასევე მოუხატავი.

¹³ ზაზა სხირტლაძე, „ქტიტორთა გამოსახულებები უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში“, სტატია კორპუსისათვის ისტორია სახეებში. ისტორიულ პირთა გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში (იბეჭდება).

ტორებს – როგორც ჩანს, მონასტრის წინამძღვარს და დიდებულს ეკლესიით ხელში – ეკლესიის აგებისა და მოხატვის უშუალო ხელშემწყობთ, ბოლო, ფრონტალური ფიგურა კედლის უკიდურეს დასავლეთ კუთხეში შეიძლება უდაბნოს მონასტერთან დაკავშირებული წმინდანი იყოს (არ გამოირიცხება ასურელ მამათაგან ერთ-ერთის, წმ. იოანე ზედაზნელის ან სულაც წმ. დავითის ერთ-ერთი მიმდევრის, საკუთრივ უდაბნოში მკვიდრი და თავისი ღვაწლით გამორჩეული ღირსი მონესის გამოსახულების არსებობაც).¹⁴

საქტიტორო გამოსახულებებს წარწერები არ შემორჩა. მიუხედავად ამისა, სადავო არ უნდა იყოს, რომ ქტიტორთა პირველი ჯგუფი როგორც განთავსების ადგილით, ისე შესამოსელითა და რეგალიებით კახეთის სამეფოს უმაღლეს საერო ხელისუფალთა წრეზე უნდა მიანიშნებდეს. XI საუკუნისათვის ასეთად დავით ქორეპისკოპოსის (976-1009 წწ.) შემდგომ – რანთა და კახთა სამეფო ტახტზე ასული კვირიკე III დიდი (1009-1037 წწ.), ხოლო მისი უშვილოდ გარდაცვალების შემდგომ, მისი დისშვილი, ლორეს კვირიკიანების ტაშირ-ძორაგერტის შტოს წარმომადგენელი გაგიკ I (1037-1058 წწ.), აგრეთვე მისი მემკვიდრეები – აღსართან I (1058-1084 წწ.) და მისი ძმები ჩანან.¹⁵ გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების კავშირი სამეფოს იმჟამინდელ უზენაეს მმართველთა სახლთან გარკვეულწილად დასტურდება კონსტანტინოპოლში, სახელდობრ რომანას მონასტერში, 1072 წელს გადაწერილი და უხვად შემკული ოთხთავის ანდერძმინანერით.¹⁶

კახეთის სამეფოს უზენაეს მმართველთა საქტიტორო რიგის არსებობა უდაბნოს მონასტრის თავი ეკლესიის მოხატულობაში მოწმობს, რომ ფრესკული ანსამბლი XI საუკუნის პირველ ნახევარში უნდა შექმნილიყო – ყოველივე ეს უფრო მოსალოდნელი ჩანს 1008 წლის შემდეგ, დავით ქორეპისკოპოსის ზე-

¹⁴ ივარაუდება, რომ ამგვარი გადანყვება ფრესკაზე წარმოდგენილ პირთა წარმომავლობით, ღვაწლითა თუ სხვა წინამძღვრებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, 76. მართლაც, ნიშნული ჩანს ამ რიგის ორად გამიჯვნა გარკვეული სოციალური იერარქიის, აგრეთვე ქტიტორთა საკუთრივ უდაბნოს მონასტერთან მიმართების თვალსაზრისით.

და კიდევ ერთი – საქტიტორო რიგის ორად დაყოფის კვალად გვირგვინოსანთა დასი ვედრებად უფლისადმი მიემართება, მაშინ როცა თავად მონასტრის წინამძღვარი და ეკლესიისა თუ მისი მოხატულობის შექმნის მოთავე ქტიტორი – წმ. დავითისადმი. შესაბამისად, ხაზგასმულია გვირგვინოსანთა ღვთიკუთრთხეულობა, ხოლო ადგილობრივ მესვეურთა მფარველობა და მეოხება სამონასტრო გაერთიანების დამფუძნებელი და მისი მფარველი ღირსი მამის მიერ.

¹⁵ თენგიზ პაპუაშვილი, *ჰერეთის ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1970), 213-237; Гамлет Мкртумян, *Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв. и его взаимоотношения с Арменией* (Ереван, 1983), 109-142.

¹⁶ დარეჯან კლდიაშვილი, „გარეჯა – კონსტანტინოპოლი. თეოდორე გარეჯელის მიერ რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადაწერილი ოთხთავი“, *საქართველოს სიძველენი*, 7-8 (2005), 143-167.

ობისას, 1008 წელს, კახეთის სამეფოს ჩამოყალიბების კვალად.¹⁷ მრავალმთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონასტრის მოხატულობაში სამეფო ოჯახის წევრთა გამოსახულებების ჩართვა გარკვეული მინიშნება უნდა ყოფილიყო მრავალმთის სამონასტრო გაერთიანებასთან კახეთის იმჟამინდელ მმართველთა კავშირისა.¹⁸

ქტიტორთა მეორე ჯგუფი, როგორც ჩანს, უშუალოდ უდაბნოს მონასტერთან და XI საუკუნის პირველ ნახევარში იქ მიმდინარე სამონასტრო აღმშენებლობასთან იყო დაკავშირებული. სავსებით შესაძლებელია, რომ წმ. დავით გარეჯელისადმი წარმდგარ ქტიტორთაგან პირველი – ღვთისმსახური – მონასტრის წინამძღვარი იყო. სწორედ მისი უშუალო კურთხევითა და მონაწილეობით უნდა მოხატულიყო მრავალმთის ერთ-ერთი ძველი და დიდი მონასტრის მთავარი ტაძარი სამონასტრო გაერთიანებისა და, საზოგადოდ, ქვეყნისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპისათვის. ამ ფიგურის შემდეგ გამოსახული დიდებული ამ კუთხის მმართველი უნდა ყოფილიყო; როგორც ჩანს, მისი უშუალო საფასითა და ზედამდგომლობით მოხდა უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის განახლება და ფერწერით შემკობა. ჯერ კიდევ გ. აბრამიშვილი აღნიშნავდა, რომ ეკლესიით ხელში წარმოდგენილი დიდებული პირველ ჯგუფში გაერთიანებულ პირებზე სოციალური რანგით რამდენადმე დაბლა მდგომი უნდა ყოფილიყო. ყველაზე უფრო მოსალოდნელი ფრესკაზე კახეთის სამეფოს ამ კუთხის – კუხეთის მმართველის ამ მმართველ დიდებულთა წრის ერთ-ერთი წარმომადგენლის გამოსახულების არსებობა იქნებოდა – გარეჯის მრავალმთა ხომ იმხანად სწორედ კუხეთში შედიოდა.¹⁹

ბოლო დრომდე ეკლესიის მოხატულობის შექმნის სავარაუდო პერიოდის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა: გ. ჩუბინაშვილი ფრესკების შესრულების დროს XI საუკუნის ახლო ხანებით განსაზღვრავდა,²⁰ შ. ამირანაშვილი – X საუკუნით.²¹ თ. ვირსალაძე მიიჩნევდა, რომ ეკლესიის ფრესკები XI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა.²² ამ თვალსაზრისს იზიარებს ა. ვოლსკაიაც.²³ მხატვრობის თარიღი – 983 წელი, რომელიც გ. აბრამიშვილთანაა დასახელებული, საქტიტორო გამოსახულებებთან ერთ დროს არსებ-

¹⁷ დავით მუსხელიშვილი, *ქიზიყის ძველი ისტორია* (თბილისი, 1997), 100.

¹⁸ მართებული ჩანს გ. ალიბეგაშვილის მითითება იმის თაობაზე, რომ უდაბნოს მონასტრის ეკლესიის ფრესკაზე კახეთის სამეფოს მმართველი ოჯახის სამი თაობის წარმომადგენლები უნდა გამოესახათ. *Алибегашвили, Светский портрет*, 42.

¹⁹ მუსხელიშვილი, *ქიზიყის ძველი ისტორია*, 100.

²⁰ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи*, 80.

²¹ Амиранашвили, *История грузинской монументальной живописи*, 50-52.

²² Вирсаладзе, “К вопросу о датировке”, 223-239.

²³ Вольская, *Росписи средневековых трапезных Грузии*, 87-97; Вольская, “Росписи пещерных монастырей Давид Гареджи”, 139-140.

ული, ძალზე ფრაგმენტული ნარწერის მისეულ აღდგენა-ინტერპრეტაციას ემყარება.²⁴

საქტიტორო გამოსახულებების მონაცემებთან ერთად, ტაძრის ფრესკებში აღბეჭდილი მხატვრულ-სტილისტური ასპექტების შეჯერება ქვეყნის სხვადასხვა კუთხის, ისევე როგორც ქრისტიანული აღმოსავლეთის ცალკეულ რეგიონთა X-XI საუკუნეების სხვა ფერწერულ ანსამბლებთან ცხადყოფს, რომ მისი შექმნა უფრო მოსალოდნელი XI საუკუნის პირველი ნახევრისათვის ან XI საუკუნის შუახანებისათვის იქნებოდა.²⁵ მართლაც, ფრესკებში გამჟღავნებული მხატვრული თავისებურებები საზოგადოა XI საუკუნის პირველ ნახევარში ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში შექმნილი მოხატულობებისათვის.

მოხატულობის მესამე ფენა კვლავ სადიაკვნეში შესრულდა. იმხანად, კირის თხელი ფენით თავდაპირველი მხატვრობის დაფარვის კვალად, მთლიანად გადაინერა კლდეში ნაკვეთი სათავსის კედელ-კამარა; ხელუხლებელი დარჩა მხოლოდ საკურთხეველში წარმოდგენილი ვედრების კომპოზიცია – ფონი მაცხოვრის, დედალმრთისას და წინამორბედის ფიგურათა გარშემო ასევე თეთრი საღებავით იქნა დაფარული (სურ. 2); კომპოზიციას დაემატა ოთხხატედთა წყვილი (ფიგურათა შორის), აგრეთვე შევრდომით მიმართულ ანგელოზთა დასები (ბევრად მცირე ზომისა; ექვსი კონქის ჩრდილოეთ ქანობზე, სამი – სამხრეთ ქანობზე). დასასრულ, საკურთხეველის ფერწერულ დეკორში ჩართულ იქნა კიდევ ერთი კომპოზიცია – ელია წინასწარმეტყველის ამალღება (აფსიდის ჩრდილოეთი კედლის ზედა ნაწილში, მის დასავლეთ კედელზე) (სურ. 8, 9).²⁶

საკურთხეველისა და სადიაკვნის დამაკავშირებელი თაღოვანი ღიობის თავანებზე შესრულდა ძველი ალთქმის სცენები: აბრაამის მსხვერპლშენიწვა (აღმოსავლეთ ქანობზე) და იაკობის კიბე (დასავლეთ ქანობზე) – ორივე მათგანი ახლა ძნელად გაირჩევა (სურ. 10, 11).

ხელახლა მოიხატა სადიაკვნის კამარაც. მის დასავლეთ ნახევარზე წარ-

²⁴ გურამ აბრამიშვილი, „დავით გარეჯის „უდაბნოს“ მთავარი ეკლესიის საქტიტორო ნარწერა“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 3 (1962), 296-300; აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში*, 69-74, სურ. 14-15; შდრ. *გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები*, 1, 97-98.

²⁵ Eastmond, *Royal Imagery in the Medieval Kingdom of Georgia*, 124 და შემდ. Eastmond, „The Cult of St. Davit Garejeli. Patronage and Iconographic Change in the Gareja Desert,” 220-239; სხირტლაძე და ისტომონდი, „დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი“, 28-49; Eastmond and Skhirtladze, „Udabno monastery in Georgia”, 27-28.

²⁶ არსებობს მოსაზრება, რომ ელია წინასწარმეტყველის ამალღება მოხატულობის პირველ ფენას უნდა ეკუთვნოდეს და მოგვიანოდ იქნა გადაწერილი (Амиранашвили, *История грузинской монументальной живописи*, 45; აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში*, 22). კომპოზიციის თანაგვარობა ფერწერის მეორე ფენის სახეებთან იმდენად აშკარაა, რომ ეჭვი არ ჩნდება – ისიც სადიაკვნის ხელმეორედ მოხატვისას შეიქმნა.

მოდგენილ იქნა ჯვრის ამალღების კომპოზიცია მახარებელთა მედალიონში მოქცეული ნახევარფიგურებით ოთხსავე კიდეში, ხოლო აღმოსავლეთით – ჰეტიმასია.

ფერწერული დეკორის ახალი პროგრამა ნარატიულ ციკლებსაც აერთიანებდა. ისინი დასავლეთ და ჩრდილოეთ კედლებზე იქნა განთავსებული, იქ, სადაც ადრე წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი იყო წარმოდგენილი. დასავლეთ კედელზე ქრისტოლოგიური ციკლის სამი სცენაა, სამხრეთიდან ჩრდილოეთით შესაბამისი თანამიმდევრობით – განრღვეულის განკურნება, ქრისტე და სამარიტელი დედაკაცი, და ბრმის განკურნება; დარბაზის ყველაზე უკეთ მოხილვადი და, შესაბამისად, ფერწერულ ანსამბლში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი – ჩრდილოეთი კედელი, წმ. ნინოს ცხოვრების ციკლის სცენებს დაეთმო (სურ. 13-16).

დარბაზის ორსავე – როგორც დასავლეთ, ისე ჩრდილოეთ კედელზე კომპოზიციათა რიგებს ქვემოდან გაუყვებოდა წმინდანთა ნახევარფიგურების რიგი (ჩრდილოეთ კედელზე – არანაკლებ თხუთმეტისა, დასავლეთ კედელზე – ათამდე). ფერწერული ფენის ძლიერი დაზიანების გამო გამოსახულებათა ფრაგმენტები ამჟამად ცალკეულ მონაკვეთებზეა გაირჩევა.

იმხანად მოუხატავთ სადიაკვნის სამხრეთი კედელიც.²⁷ აქ წარმოდგენილი იქნა წმინდანის ექვსი ნახევარფიგურა (მათგან მხოლოდ ერთი, წმ. ალპიოსი შეიძლება იქნას გაიგივებული) და ერთი სცენა – ინახი ემაუსს. კედლის უკიდურეს დასავლეთ კუთხეში, მთავარი შესასვლელის დასავლეთით, გამოსახულია წმ. მარიამ მეგვიპტელის ზიარება წმ. ზოსიმეს მიერ (სურ. 12).

მოხატულობის ამ ფენის შექმნაზე მოგვითხრობს ფრესკული წარწერა, რომელიც სადიაკვნის დარბაზის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთზე იქნა შესრულებული: **ჰΩΥΣΤΣ ΣΤΩΤΧΑΩΝ ΨΥ ΣΧΑΩΑΦΕΨΨΨΨΩΑΦ** – *მოიხატა სადიაკონე ესე საკურთხეველითურთ.*²⁸

ფერწერული დეკორის ბოლო, მესამე ფენა XIII საუკუნის პირველ მეცამედში უნდა შეესრულებინათ. სწორედ ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთზე მეტყველებს მოხატულობის სტილი, რომელშიც მაღალპროფესიული ხელის გარდა თვალშისაცემია სახეთა დახვეწილობა, ფერადოვანი პალიტრის სიმდიდრე და რაფინირებულობა. საგულისხმოა ისიც, რომ მხატვრული გადანყვეტის ის საზოგადო თავისებურებები, რომლებიც სადიაკვნის მოხატულობის ამ ფენაში იჩენს თავს, როგორც საკუთრივ გარეჯის, ისე ქვეყნის სხვა

²⁷ შ. ამირანაშვილის ვარაუდით, სამხრეთი კედლის ფრესკები მოხატულობის კიდევ ერთ, მეოთხე ფენას უნდა ეკუთვნოდეს. *Амиранашвили, История грузинской монументальной живописи*, 44. ამ მოსაზრებას იზიარებს გ. აბრამიშვილიც, რომლის დაკვირვებითაც აქ პირველი ფენის მხატვრობის კვალიც უნდა ჩანდეს. იხ. მისი – *დავით გარეჯელის ციკლი ქრთულ კედლის მხატვრობაში*, 23. ფრესკების კვლევაში ცხადყო, რომ ისინი მოხატულობის მესამე ფენის ნაწილია.

²⁸ *გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები*, I, 147, 60 (ადრეული ბიბლიოგრაფიით).

რეგიონთა თანადროულ, ამასთან, რაც საგულისხმო და ანგარიშგასაწევეია, სამეფო კარის განგებით შესრულებულ ანსამბლთათვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, სადიაკვნის მოხატულობის ზედა ფენა მხატვრული გადანწყვტის მხრივ ახლოსაა გარეჯის მრავალმთის აღმოსავლეთ ნაწილში, ქოლაგირის მონასტრის მთავარ ტაძარში თამარ მეფის ზეობისას, XII საუკუნის ბოლო წლებში შექმნილ ფრესკებთან, რომლებიც ბოლო დროს იქნა განმენდილი, რესტავირებული და გამოკვლეული.²⁹

ნმ. ნინოს ცხოვრების ციკლი სადიაკვნის დარბაზის ჩრდილოეთ კედელზეა განთავსებული.³⁰ მასში გაერთიანებული ოთხი კომპოზიცია დაახლოებით თანაგვარი ზომებისაა. ნმ. დავითის ციკლისაგან განსხვავებით, სცენები არა მარტო ორმხრივ – ზემოდან და ქვემოდანაა მოჩარჩობული წითელი ფერის ვიწრო ზოლებით, არამედ ერთმანეთისგან გამიჯნულიცაა.

სადიაკვნის ჩრდილოეთ კედელზე ფერწერის ზედა ფენა თითქმის მთლიანადაა წარბოცილი, ამიტომ გამოსახულებები ფაქტობრივად მხოლოდ სილუეტების სახითაა იკითხება, ამასთან, მათი საგრძნობი ნაწილი – ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ. დაზიანების შედეგია ისიც, რომ ფრესკებს სულ რამდენიმე ფერიღა შემორჩა, ესაა: მუქი წითელი, ყვითელი, თეთრი, აქა-იქ კონტურისთვის ნახმარი ყავისფერი, პატიოსანი თვლების აღმნიშვნელი მუქი ლაჟვარდისფერი. ოთხივე სცენა თეთრი ფერის ფონზე ყოფილა წარმოდგენილი.

ციკლის პირველ სცენაში ფერწერული ფენისა და გამოსახულებათა ნაშთები მხოლოდ მარჯვენა მონაკვეთს შემორჩა. გაირჩევა ერთი ფიგურის ფრაგმენტები კომპოზიციის კიდეში. ფეხზე მდგომი, შარავანდმოსილი ფიგურა მარცხნივაა მიმართული. მის მარჯვენა მხართან მუქი წითელი ლაქის სახით იკითხება შვეულად ამართული სწორკუთხა ნაგებობის (?) ფრაგმენტი (სურ. 13). ციკლში გაერთიანებულ სიუჟეტთა ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით მოსალოდნელია, რომ აქ ნმ. ნინოს ქართლში მოსვლისა და მის სამისიონერო მოღვაწეობის დასაწყისთან დაკავშირებული რომელიმე ეპიზოდი (ნმ. ნინოს ქართლში მოსვლა, ნათლისა კაცის ხილვა ფარავნის ტბასთან, ღმრთისმშობლის გამოცხადება, ან რაიმე სხვა) ყოფილიყო წარმოდგენილი.

²⁹ ვრცლად ამის თაობაზე იხ. ზაზა სხირტლაძე, *ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში* (თბილისი, 2000).

³⁰ უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მხატვრობის ზედა ფენას და, შესაბამისად, წმინდა ნინოს ცხოვრების მასში წარმოდგენილ ციკლს შ. ამირანაშვილი მეფე დემეტრე II-ის ზეობის ხანით ათარიღებს. *Амиранашвили, История грузинской монументальной живописи*, 52-53. ავტორი იქვე ჩამოთვლის ციკლში გაერთიანებულ სცენათა რიგს, ოღონდაც მოვლენათა/ეპიზოდთა თანამიმდევრობას იგი აღმოსავლეთიდან დასავლეთით აითვლის, ამასთან, სიუჟეტებს ასე აიგივებს: 1. წმინდა ნინოსადმი ღმრთისმშობლის გამოცხადება; 2. ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული; 3. უფლისწულ რევის განკურნება წმ. ნინოს მიერ; მეოთხე სცენის გაიგივება, მისი ძლიერი დაზიანებისა და ფრაგმენტულობის გამო, უკვე იმხანად შეუძლებელი იყო.

მომდევნო, მეორე სცენა განკურნებაა (სურ. 13, 14). კომპოზიციის შუაში, ქვედა ნახევარზე, მუქი წითელი ფერის სარეცელზე მწოლი, კვართითა და მოსასხამით მოსილი სრულწლოვანი პირის ფიგურაა. სარეცელის ლაქა მთლიანად ფარავს სცენის ქვედა მონაკვეთს. მარცხნივ მას სწორკუთხა მოხაზულობა აქვს, მარჯვნივ კი არათანაბარი სიმაღლის ლაქის სახე, რის გამოც ფონად („მინად“) უფრო აღიქმება. სარეცელი მაყურებლისკენ რამდენადმე ამობრუნებული გამოუსახავთ, მართლმადიდებლურ სახვით ტრადიციაში დამკვიდრებული „პერსპექტივის“ შესაბამისად. სარეცელზე მწოლის თავქვეშ სწორკუთხა მოხაზულობის მოყვითალო საგები (ბალიში?) იკითხება. მისი შარავანდისა და მოსასხამის ფერი მთლიანადაა დაკარგული, კვართი კი თეთრია. სარეცელის ბოლოში, სწორკუთხა მოხაზულობის ნაგებობის ფონზე (მისი ფერიც აღარ შემორჩა) დგას გრძელ სამოსში გამოწყობილი ფიგურა განპყრობილი ხელებით (მცირე ორანტა). სამოსის ზედა ნახევარს შემორჩა თეთრი ფერის ლაქები, მოხაზულობით მსგავსი ომფორისა ან სწორკუთხა გულისპირისა. შუა მონაკვეთზე, ასევე სარეცელის უკან, სილუეტის სახით შემორჩენილი, შარავანდმოსილი, ხელებგანპყრობილი ფიგურაა – სავარაუდოდ წმინდა ნინო. იგი მარჯვნივაა მიმართული, ამასთან, სარეცელზე მწოლისკენ ოდნავ დახრილი. თავის მხრივ, ამ ფიგურისკენაა მიმართული სარეცელის თავთან მდგომი ორი ფიგურა. მათგან მარცხენასი ცოტა რამ თუ შემორჩა (ძირითადად თავის და მხრების მოხაზულობა); მარჯვენა გადახრილია წმინდანისკენ, ამასთან, ხელების დინამიური მოძრაობით მისდამი მიმართული. ფიგურებს უკან თეთრი ფერის, კონუსური მოხაზულობის მქონე მთის ლაქა იკვეთება. ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ ჰაგიოგრაფიულ თუ საისტორიო წყაროებს შემოუნახავთ თხრობა წმ. ნინოს მიერ როგორც ნანა დედოფლის, ისე უფლისწულ რევის განკურნების თაობაზე;³¹ ამასთანავე, ფრესკაზე წარმოდგენილი ფიგურის ზომები სავარაუდოს ხდის, რომ აქ წმ. ნანა დედოფლის განკურნების სცენა უნდა გამოესახათ.

წმ. ნინოს მიერ სამეფო სახლის წევრთა განკურნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთია ქართლის მოქცევის ციკლში; ეს ეპიზოდები მხოლოდ ბევრად მოგვიანოდ გვხვდება ქართულ სახვით ხელოვნებაში: ერთ-ერთი ვარაუდის მიხედვით, იგი ასახული უნდა იყოს ცხოველმყოფელი სვეტის ფრესკაზე (1678-1688 წწ.);³² მას ვხვდებით წმ. ნინოს ვაზის ჯვრის ქედურ კუბოზე (XVIII ს. დასაწყისი).³³

³¹ შდრ. „მოქცევა ქართლისაჲ“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბუქდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით (თბილისი, 1963), 131 და შემდ.

³² ვახტანგ ბერიძე, „მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში“, საქართველოს მუზეუმის მოამბე, XV-B (1948), 156; ნინო ჩიხლაძე, „სვეტიცხოვლის მოხატულობანი“, სვეტიცხოველი (თბილისი, 2010), 254-255.

³³ Платон Иоселиани, *Описание древностей города Тифлиса* (Тифлис, 1866), 120-121;

მომდევნო, მესამე სცენა – ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული – ერთ-ერთი უმთავრესია ციკლში (სურ. 13,15). ტრადიციულად საქართველოს ეკლესიის დაფუძნების ხატად გააზრებული ეს კომპოზიცია უდაბნოს მონასტრის ეკლესიაში ერთ-ერთ თვალსაჩინო, ყველაზე უკეთ მოსახილველ ადგილზე – სადიაკვნეში შესასვლელი ღიობის პირისპირაა განთავსებული; ამგვარი კომპოზიციური გადაწყვეტა რომ შემთხვევითი არაა, ეს საკვებით ცხადია.

სცენა ტრადიციული, თუმცა კი ლაკონიური სქემითაა მოცემული – ოთხ მფრინავ ანგელოზს უპყრია ოვალური მანდორლა, რომელშიც ცხოველმყოფელი სვეტია მოქცეული. მანდორლის შიგნით გაირჩევა ნათლის მეორე შრის რომბისებრი ფორმაც. ნათლის შრეების ფერები მთლიანად დაკარგული და ისინი მხოლოდ კონტურის მკრთალი მოხაზულობით გაირჩევა. შედარებით კარგად ჩანს თბილი ყვითელი და უნაბისფერ ჰიმატიონებით მოსილ ანგელოზთა თარაზული ფიგურები ოქროსფერი ოქრის შარავანდებით, მუქი წითელი ფერის თმებით, თარაზულადვე გაშლილი ფრთებით, რომელთა წითელ ფონზე გრძელი და თხელი, თეთრი ფერის მონასმებით ბუმბულების ნახატია დატანილი. სილუეტის სახითლა იკითხება მსხვილი, ზემოთკენ ოდნავ დავინროებული სვეტის ქვედა ნახევრის სილუეტი. კომპოზიციაში არ ჩანს არც წმ. ნინოს და არც მასთან მყოფ დედათა ფიგურები – როგორც ჩანს, სცენის ზომების, მით უფრო კი მისი მოხაზულობის (განივად ნაგრძელებული სწორკუთხა არე, რომელსაც თითქმის მთლიანად იკავებს ანგელოზთა მიერ ზეცად ატაცებული სვეტი) გათვალისწინებით შეირჩა შეძლებისდაგვარად განტვირთული სქემა. კომპოზიციის ერთადერთი მონაკვეთი, სადაც შეიძლება ნმინდანის და მასთან მყოფი დედების ფიგურები განთავსებულიყო, მისი ქვედა მარცხენა და მარჯვენა კუთხეებია, თუმცა დღეს იქ რაიმე გამოსახულების კვალი არ ჩანს.

მრავალი ასწლეულის მანძილზე ცხოველმყოფელი სვეტის აღმართვის სასწაულთან დაკავშირებული სცენა საქართველოს ეკლესიის დაფუძნების ხატად ასწლეულების მანძილზე რჩებოდა. უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის ფრესკა, მისი შექმნის პერიოდის გათვალისწინებით, დღეისათვის ცნობილთაგან უადრესი ჩანს.³⁴ ქართლის მოქცევის ეს ეპიზოდი

მოსე ჯანაშვილი, „ნინას ჯვარი“, *მწყემსი*, 1884, 7, 5-6; Антон Натроев, *Мухет и его собор Свети-Цховели* (Тифлис, 1900), 129-130; М. Ткемаладзе, *Тифлисский Сионский кафедральный собор* (Тифлис, 1904), 22; Б. Эсадзе, *Летопись Грузии* (Тифлис, 1913), 91; ზაზა სხირტლაძე, „წმინდა ნინო და ძველი ქართული სახვითი ხელოვნება“, კრ. *წმინდა ნინო* (თბილისი, 2008), 337.

³⁴ არსებობს მოსაზრება, რომ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე მფრინავ ანგელოზთა რელიეფური გამოსახულებები სწორედ ამ სცენიდან უნდა იყოს დარჩენილი. ქეთევან ჩოლოყაშვილი, „სვეტიცხოვლის აღმოსავლეთი ფასადის დეკორატიული სისტემა“, *საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა*

– სწორედ როგორც საქართველოს ეკლესიის დაფუძნების ხატი – რამდენიმე ათწლეულით გვიან გამოუსახავთ ანისის ე.წ. ტიგრან ონენცისეული ეკლესიის მოხატულობაშიც, რომელიც ქართველი ოსტატების მიერაა შესრულებული (სურ. 17).³⁵ ცხოველმყოფელი სვეტის სასწაულის ამსახველი კომპოზიცია მოგვიანოდ, როგორც ქვეყნის გაქრისტიანების ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა, ჩართულ იქნა ქართლის მოქცევისა და წმინდა ნინოსთან დაკავშირებულ ციკლებშიც, სახელდობრ, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ცხოველმყოფელი სვეტის მოხატულობაში (მისი სამხრეთი კედლის ქვედა რეგისტრში),³⁶ სამთავროს წმ. ნინოსეული ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე (XIX ს. დასაწყისი),³⁷ ბოდბეს ეკლესიის წმ. ნინოს ეკვდერში (1823 წ.);³⁸ სცენა, როგორც საქართველოში ქრისტიანობის მკვიდრობის განზოგადოებული ხატი, აღიბეჭდა ქვეყნის სამეფო დროშაზე (ვახტანგ VI-ის დროშა),³⁹ ცხოველმყოფელი სვეტის სამირონეს ჭედურ კარზე (XVIII ს.)⁴⁰ (სურ. 19), კათოლიკოსთა საბეჭდავებზე (დომენტი II-ის, ანტონ I-ის, დომენტი III-ის, ბესარიონის

III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები (თბილისი, 1981), 145; თუმცა, დღემდე ეს მოსაზრება მხოლოდ ვარაუდის სახით რჩება.

³⁵ Николай Марр, *Ани. Книжная история города и раскопки на месте городища* (Москва-Ленинград, 1934; Nicole Thierry, “The Wall Painting at Ani,” in *Ani, Monumenti di architettura Armena*, 12 (Milano, 1984), 68-70; Александр Каковкин, “Сцена “Чудесное явление животворящего креста” в росписи Храма Григория (1215) в Ани”, *Зограф*, 20 (1989), 30-32 (მცდარი ინტერპრეტაციით); Nicole et Michel Thierry, *L’église Saint-Gregoire de Tigran Honenc’ à Ani (1215)* (Paris, 1993), 60-62, fig. 30, pl. 29; Antony Eastmond, “Local Saints, Art and Regional Identity in the Orthodox World after the Fourth Crusade,” *Speculum*, 78/3 (2003), 707-749; Antony Eastmond, “Art and Identity in the Thirteenth-Century Caucasus,” *UCLA, Colloquium Series* (Los Angeles, 2000), 3-40; სხირტლაძე, „წმინდა ნინო და ძველი ქართული სახვითი ხელოვნება“, 334.

³⁶ ბერიძე, „მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი“, გვ. 159; ჩიხლაძე, „სვეტიცხოვლის მოხატულობანი“, 253. ამ პუბლიკაციებში ცხოველმყოფელი სვეტის მოხატულობაში წარმოდგენილი სცენების ნაწილი განსხვავებულადაა გააზრებულ-გაიგივებული, თუმცა ამ სცენასთან მიმართებით ორივე ავტორის მოსაზრებები ფაქტობრივად თანაგვარია.

³⁷ სხირტლაძე, „წმინდა ნინო და ძველი ქართული სახვითი ხელოვნება“, 341-342, სურ. 16; შდრ. აგრეთვე – Евфимий Такашвили, “Обращение Грузии в христианство, источники грузинских летописей. Три Хроники”, *Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа*, 28 (1900), 19, прим. 1; აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში* (თბილისი, 1972), 10; მზია ჯანჯალია, „წმინდა ნინოს ცხოვრების ციკლი ბოდბის ტაძრის მოხატულობაში“, საკანდიდატო დისერტაცია (თბილისი, 1994).

³⁸ Димитрий Пурцеладзе, *Историко-археологическое описание Бодбийского собора св. Нины, просветительницы Грузии* (Тифлис, 1888); Георгий Чубинашвили, *Архитектура Кахети* (Тбилиси, 1958), 85; ჯანჯალია, „ბოდბის ტაძრის ეკვდერის მოხატულობა და მისი ლიტურატურული წყაროები“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 3 (1990), 145-157.

³⁹ სარა ბარნაველი, *ქართული დროშები* (თბილისი, 1953), 53-54, ტაბ. XVII.

⁴⁰ *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, A კოლექცია, ტ. II, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თ. ბრეგაძემ, ც. კახაბრიშვილმა, მ. ქავთარიამ, ლ. ქუთათელაძემ, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურთანმა, ელ. მეტრეველის რედაქციით (თბილისი, 1986), 59-82.

საბეჭდავები)⁴¹. ცხადია, იგი გამოისახებოდა ხელნაწერთა მინიატურებშიც (კათოლიკოს დომენტი III-ის ღვანლით 1718 წელს გასრულებული სადღესასწაულო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-425, 1718 წ.)⁴² (სურ. 18), ფერწერულ ხატებზე (საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი: სხსმ/ხ – 598, XVIII-XIX სს.; 676, XIX ს.; 786, XIX ს.). საბოლოოდ, სწორედ ამ სცენის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ეკლესიის დიდება – ქვეყანაში ქრისტიანობის არსებობის კრებით და განმზავოვადებელ სახედ ქცეული ხატი ბოლო საუკუნე-ნახევრის მანძილზე.

ციკლის ბოლო, მეოთხე სცენა თავისი იკონოგრაფიით უჩვეულოა; მისი პარალელები არ ჩანს ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლთა შორის. თითქმის კვადრატული ფორმის სცენაში წარმოდგენილია ანგელოზთა ორი დასი, რომელთა შორისაც, ცენტრში, დაბალ კვარცხლბეკზე მდგომი წმ. ნინოს ფრონტალური, შარავანდმოსილი ფიგურაა (სურ. 13, 16). წმინდანის გამოსახულება ახლა ერთიანი სილუეტის სახით იკითხება; ფერები შემორჩა მხოლოდ მის კვარცხლბეკს, რომლის წინა, წითელი ფერის ვიწრო ზოლზე ერთ რიგადაა ჩარიცხული სხვადასხვა ფერის სწორკუთხა თვლების ერთი წყება. განსაკუთრებული გამომსახველობითაა აღბეჭდილი მოციქულთა-წმინდის წმინდა დედისაკენ მიმართულ, მის განმადიდებელ ანგელოზთა გრაციოზული ფიგურები, მათი მოძრაობა, დიდი ზომის, დაშვებული ფრთების ფორმები. სრული სახით მოჩანს მხოლოდ წინამდგომ ანგელოზთა ფიგურები; დანარჩენთაგან ძირითადად მხოლოდ შარავანდმოსილი თავები იხილვება. სამოსის ფერები – თეთრი და წითელი – ამ შემთხვევაშიც მონაცვლეობს. მკაფიო ლაქებად აღიქმება ანგელოზთა წითელი ფერის თმები, აგრეთვე ამავე ფერის ფრთები, რომლებზეც თეთრი ფერის თხელი, თუმცა კი ჭარბი მონასმებით ბუმბულის ნახატი აღინიშნება.

კომპოზიცია თავისი იკონოგრაფიით წმინდანის ზეცად აღყვანების ან მისი ზეციური დიდების გამოსახულებად აღიქმება. ამგვარი რამ წმინდა ნინოსთან დაკავშირებულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში არ ჩანს და პირველწყაროდ ჰიმნოგრაფია, სახელდობრ წმ. ნინოს დაუჯდომელი ან მისდამი მიძღვნილი საგალობლებია საგულვებელი.⁴³

⁴¹ სარა ბარნაველი, *საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები* (თბილისი, 1965), 142-144, ტაბ. XXXV, XXXVIII.

დომენტი II-ის საბეჭდავი არ შემორჩა. არსებობს მისი ანაბეჭდი საბუთზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-2445. დომენტი III-ის საბეჭდავი, რამდენადაც ვიცი, გამოქვეყნებული არ ყოფილა.

⁴² *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, A კოლექცია, ტ. II, 59-82.

⁴³ მ. ჯანჯალია საეჭვოდ მიიჩნევს ამ სცენის ახსნას, როგორც წმ. ნინოს ანგელოზთაგან თავგანისცემას ან ამაღლებას (შ. ამირანაშვილის მიხედვით); მისი აზრით, ისიც კი სათუთაა, ეკუთვნის თუ არა სცენა ქართლის მოქცევის ციკლს. ჯანჯალია, „ბოდბის ტაძრის ეკვდერის მოხატულობა და მისი ლიტურგიატურული წყაროები“, 152, შენ. 38.



უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის პირველი ფენა შეიქმნა მანამდე, ვიდრე მრავალმთის სამონასტრო გაერთიანება ქვეყნის სამეფო ხელისუფლების უშუალო მფარველობის ქვეშ მოექცეოდა. ამისაგან განსხვავებით, მაშინ როდესაც მთავარ ტაძარსა და სადიაკვნეში მეორე და მესამე ფენის მოხატულობები იქმნებოდა, გარეჯა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ჯერ ადგილობრივ მმართველებთან – კახეთის სამეფოს განმგებლებთან, ხოლო შემდგომ – ერთიანი საქართველოს სამეფო კართან.

უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის მოხატულობის სამი ფენის ერთიანობით შექმნილი ხატოვანი ანსამბლი მრავალ კითხვას წამოჭრის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იცვლებოდა მიდგომა საუკუნეების განმავლობაში ტაძრის ერთიანი დეკორის პროგრამაში გამჟღავნებული ძირითადი ტენდენციების გაცხადების თვალსაზრისით. მართლაც, გამოქვაბული მონასტრის საკრებულო ეკლესია და მისი ფრესკები ცხადყოფს, რომ მისი თითოეული ნაწილის ფუნქცია და მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად გაიაზრებოდა სამი ასწლეულის მანძილზე – X საუკუნიდან მოყოლებული XIII საუკუნის ჩათვლით, ანუ იმ პერიოდისათვის, როცა აქ მოხატულობები შეიქმნა. ამთავითვე აშკარაა, რომ აქცენტი თანდათანობით გადატანილ იქნა სადიაკნიდან ტაძრის ძირითად სივრცეზე, ხოლო შემდგომ – კვლავ სადიაკვნეზე. წმინდანთა ცხოვრების ციკლების მონაცვლეობა, მით უფრო კი წმ. დავითის ცხოვრების ციკლის გადანერა და მისი შენაცვლება წმ. ნინოს ცხოვრების ციკლით, იმაზეც უნდა მიუთითებდეს, რომ საუკუნეების განმავლობაში უნდა მომხდარიყო გარკვეული ცვლილებები როგორც მრავალმთის სამონასტრო კომპლექსის, ისე ქვეყნის ცხოვრებაში ადგილობრივ წმინდანთა თაყვანისცემასთან დაკავშირებული გეზის საერთო სურათში. ამასთანავე, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სადიაკვნის მოხატულობაში ხელუხლებლად იქნა დატოვებული საკურთხეველის მხატვრობა ვედრების კომპოზიციით – შესაბამისად, ცვლილებები XIII საუკუნისათვის არ უნდა შეხებოდა ქრისტიანული სახითმეტყველების ზოგად მხარეებს და იგი უმთავრესად სწორედ საქართველოს ეკლესიის წმინდანთა თაყვანისცემის ტრადიციას და მასთან დაკავშირებულ ზოგად მიზანდასახულობებს მიემართებოდა.

უმთავრესი ამ მხრივ წამოჭრილ საკითხთა შორის წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლთან, სახელდობრ, მოგვიანებით მის გადანერასთანაა დაკავშირებული. ამ მხრივ გასათვალისწინებელი ჩანს ორი ასპექტი, რომელთა ნათელქმნაც დღეისათვის აუცილებელი ჩანს. ერთი მხრივ, ეს ეხება ღირსი მამის ცხოვრების ციკლის გადანერის ფაქტს, მეორე მხრივ კი ამისათვის სწორედ მოციქულთასწორი წმინდა დედის ცხოვრების ციკლის და მასთან ერთად საუფლო ციკლის სცენების, ახალ იკონოგრაფიულ პროგრამაში გაერთიანებული სხვა კომპოზიციებისა თუ ცალკეული სახეების არჩევანს. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ის გარემოება, რომ თავდაპირველი მოხატულობისა

და, მის კვალად, წმ. დავითის ცხოვრების ციკლის გადანერა ვერ იქნებოდა გამონწეული იმ პერიოდისათვის მისი ცუდი დაცულობით – მოხატულობის იმ ნაწილებში, სადაც ფრესკების ზედა ფენა არც თუ დიდი ხნის წინ ჩამოიშალა (მათ შორის – წმ. ნინოს ცხოვრების ციკლის სცენების ქვეშ), ჩანს, რომ თავდაპირველი ფერწერული დეკორი საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ კარგად იყო შემონახული.

დასმულ კითხვათაგან პირველზე პასუხის გაცემა იოლი არ არის. გარეჯის მრავალმთაში წმ. დავითის ღვანლისა და თაყვანისცემის გამორჩეულობის, მისი ყოვლისმომცველობის თაობაზე სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სწორედ ღირსი მამის დასაკრძალავი იქცა ქრისტიანული კავკასიის ერთ-ერთ უდიდეს სამონასტრო გაერთიანებაში მრავალი ასწლეულის მანძილზე მომლოცველთა უზარმაზარი ნაკადის არსებობის წინაპირობად.⁴⁴ გარეჯში ყოველივე წარსულშიცა და ამჟამადაც ხომ სწორედ ღირსი მამის ღვანლთანა დაკავშირებული. თავისთავად უდაბნოს მონასტრის მდებარეობა, მისი განუყოფელი კავშირი წმ. დავითის ლავრასთან, ასევე მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა მრავალმთის ამ ერთ-ერთი სავანის მნიშვნელობას და იქ მიმდინარე სამონასტრო აღმშენებლობის მასშტაბებს.

ბუნებრივია, წმ. დავითის თაყვანისცემის სურათი უწინდებურის თანავგარი იყო მონასტრის მთავარი ეკლესიის მოხატულობაში მომხდარი ცვლილებების თანადროულად თუ ამის შემდგომაც. როგორც აღინიშნა, ღირსი მამის სასწაულებთან დაკავშირებულ ციკლს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა გამოქვაბული ტაძრის დარბაზის XI საუკუნის ფერწერული დეკორის საერთო პროგრამასა და სისტემაში.⁴⁵ წმ. დავითის ბუბაქართან შეხვედრასთან დაკავშირებული სასწაულის ამსახველი ორი სცენით შეიმკო მონასტრის სამარტივლე – მონამეთა, რომლის მხატვრობაც XII საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი (სურ. 20).⁴⁶ რაც მთავარია და საკმაოდ უჩვეულო, მონასტრის სა-

⁴⁴ სხირტლაძე, წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი, 5, 38.

⁴⁵ კარგახანია ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ წმ. დავითის ცხოვრების ეს ადრეული ციკლი გარეჯელ მოწესეთა მრავალმთაში მოსვლისა და სამონასტრო ცხოვრების პირველ ეტაპზე უდაბნოში მათი მკვიდრობის სხვადასხვა მხარეს ასახავს – მასში ვერ შეხვდებით სასწაულთა ეპიზოდებს, რადგან აქცენტი ძირითადად ასკეტურ მოღვაწეობაზე დაისმის. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, 81. უფრო გვიანი ხანის ციკლებსა თუ ცალკეულ კომპოზიციებში ყურადღება ღირსი მამისა და მის მოწაფეთა სწორედ სასწაულებზეა გამახვილებული. ასეა მონასტრის მთავარი ეკლესიის XI საუკუნის მხატვრობაში, სადაც, როგორც აღინიშნა, წარმოდგენილია ერთ-ერთ სასწაულთან დაკავშირებული ისტორიის სამი ეპიზოდი, (იხ. ზემოთ, გვ. 348-349, სურ. 6). ამგვარი არჩევანი იმასაც უნდა განეპირობებინა, რომ სასწაულებრივი ასპექტები არ ყოფილა წარმორჩენილი X საუკუნეში შექმნილ ციკლში, ამასთანავე ისიც ნათელია, რომ აქცენტმა წმ. დავითის, როგორც მრავალმთაში სამონასტრო ცხოვრების დამფუძნებლის სახიდან უფრო ფართო მასშტაბები მიიღო და მისი სასწაულებრივი მხარეც მოიცვა.

⁴⁶ Skhirtladze, "Martyrs and Martyria in the Gareja Desert," 75-79.

ტრაპეზოში ფერწერის ნაწილობრივი განახლება-გადანერისას, წმინდა მამის უკვე არსებული (წმ. ეფთვიმე მთანმინდელთან ერთად წარმოდგენილი) გამოსახულების გარდა, სწორედ XIII საუკუნეში შესრულდა მისი კიდევ ერთი ფრესკული სახე.⁴⁷ იმავე პერიოდს ეკუთვნის კომპლექსის ცენტრალურ ნაწილში მდებარე მცირე სამლოცველოს კარიბჭის მოხატულობაში ჩართული წმ. დავითის გამოსახულებაც.⁴⁸ უდაბნოს ახლომდებარე, ამასთან საქართველოს სამეფო კარის უშუალო განგებით დაარსებული, ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზოს XIII საუკუნისათვის შესრულებული მოხატულობა იმითაა გამორჩეული, რომ მასში სხვა ფრესკულ სახეებთან ერთად წარმოდგენილია წმ. დავითის ცხოვრების საყოველთაოდ ცნობილი ეპიზოდი – ირმების წველა ღირსი მამა ლუკიანეს მიერ.⁴⁹ ყოველივე აღნიშნულს უკავშირდება მრავალმთაში დამკვიდრებული ტრადიციაც, რომლის შესაბამისადაც სამონასტრო გაერთიანების შემწე ქტიტორები – მეფეები, დიდებულები, მღვდელმთავრები თუ ადგილობრივი მონესეები, როგორც წესი, ღირსი მამის წინაშე მეოხებისა და კურთხევის მიღებისათვის ვედრებად წარმდგარნი გამოისახებიან: უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ზემოთ განხილული გამოსახულებების გარდა, ამ მხრივ მრავლისმეტყველია იმავე მონასტრის მცირე, ხარებისად სახელდებული ეკლესიის XIII საუკუნის მიწურულის ფრესკა, რომელზეც მთავარეპისკოპოსი იოანე წმ. დავით გარეჯელს კურთხევისათვის წარუდგენს მოწამებრივად აღსრულებული მეფე დემეტრე II თავდადებულის სულის საოხად მის მიერ შექმნილ სამწირველოს (მოხატულობა, როგორც ჩანს, სწორედ ამ მღვდელმთავრის ღვანლითა და განგებით შეიქმნა) (სურ. 21);⁵⁰ სავარაუდოა, რომ მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მთავარი ტაძრის მხატვრობაში წარმოდგენილ ვრცელ დინასტიურ რიგში გაერთიანებულ მეფეთა დასი სწორედ წმ. დავით გარეჯელისაგან იღებდა კურთხევას (გამოსახულება ამჟამად საგრძნობლადაა დაზიანებული).⁵¹ ამასთანავე, ისიც ცხადია, რომ ასწლებლების მანძილზე ყოველივე ეს არ იყო ლოკალური, მხოლოდ ადგილობრივი სამონასტრო გარემოთი შემოფარგლული მოვლენა – წმ. დავითის სახის ადგილსა და მნიშვნელობას ზოგადქართული მასშტაბებით ცხადყოფს სხვა ძეგლებიც, სადაც იგი საქართველოს ეკლესიის სხვა წმინდანებთან ერთადაა წარმოდგენილი. მათ შორის აღსანიშნავია ყინცვისის ტაძრის დასავლეთი კედლის ფრესკა (1207)⁵² – კარგადაა ცნობილი, რომ მოხატულობა საქართველოს სამეფო კარის განგებითა და ღვანლით შეიქმნა და მისი მოთავე მნი-

⁴⁷ Вольская, *Росписи средневековых трапезных Грузии*, 31, 33.

⁴⁸ Алибегашвили, *Светский портрет*, 110, ტაბ. 81.

⁴⁹ Вольская, *Росписи средневековых трапезных Грузии*, 124-127, ტაბ. 30, 45.

⁵⁰ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи*, 72-74; Алибегашвили, *Светский портрет*, 53-56.

⁵¹ Андрей Муравьев, *Грузия и Армения*, I (Санкт-Петербург, 1848), 63.

⁵² შალვა ამირანაშვილი, *ქართული ხელოვნების ისტორია* (თბილისი, 1971), 286-287.

გნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ანტონ გლონისთავისძე იყო.⁵³ ღირსი მამის სახე საქართველოს ეკლესიის მნათობთა რიგში წარმოდგენილია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ მრავალკარედ ფერწერულ ხატზეც, რომელიც XIV საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შექმნილი.⁵⁴

ღირსი მამის სახისადმი მიმართების ეს სურათი ცხადყოფს: უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ხელმეორედ მოხატვისას მნიშვნელოვანი უნდა გამხდარიყო რაიმე სხვა გარემოება, რის გამოც XIII საუკუნისათვის გადაწყდა მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების ფუძისჩამყრელის ცხოვრების X საუკუნეში შექმნილი ციკლის გადანერა.

გარეჯის, როგორც ქვეყნის სწორუბოვარი სამომლოცველო კერის მნიშვნელობის გათვალისწინებით სავსებით ნათელია, რომ მრავალმთაში სამონესეო ცხოვრების დამფუძნებლის ცხოვრების ციკლის მნიშვნელობა სამონასტრო გაერთიანების მასშტაბებზე ბევრად მომცველად იქნა ჩაფიქრებულ-გააზრებული; ამასთანავე, იგი, უპირველეს ყოვლისა, მაინც ადგილობრივი სამონასტრო მასშტაბებით განისაზღვრებოდა. გამოსახულებათა მონუმენტურობის, მათი გამორჩეული გამომსახველობის პირობებში, ფრესკების სტილი სამონასტრო მხატვრული წრის დამახასიათებელი ნიმუშია – ეს ყველაზე მეტად წერის რამდენადმე გამარტივებულ მანერასა და ადგილობრივ მოპოვებულ ბუნებრივ პიგმენტთა გამოყენებით შექმნილ სადა ფერადოვან გამაში ვლინდება. ამ მხრივ უდაბნოს ეკლესიის სადიაკვნის პირველი ფენის ფრესკები გარეჯის სამონასტრო გაერთიანების სამხატვრო სკოლის ადრეული ეტაპის ქმნილებაა, მრავალმთის ისტორიის საწყის ეტაპზე აქ მკვიდრ მონესეთა მიერ გადწყვეტილი და შექმნილი. თავის მხრივ, მისი შექმნა, ისევე როგორც მრავალმთის სამონასტრო აღმშენებლობაში მომხდარი საგრძნობი ცვლილებები, სავსებით შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო წმ. ილარიონ ქართველის მოღვაწეობასთან გარეჯში.⁵⁵ IX საუკუნის შუახანებისათვის, პალესტინიდან დაბრუნების კვალად, სწორედ წმ. ილარიონმა იღვანა მრავალმთაში სამონასტრო ცხოვრების ახალი აღმავლობისათვის. იქიდან მოყოლებული, სამონესეო ცხოვრება გარეჯში წმ. საბას ტიპიკონის შესაბამისად წარიმართება, განახლდება და განივრცო-

⁵³ კონსტანტინე ვაჩიშვილი, „ყინცვისის მშენებლის გამოსახულების შესახებ“, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. 32, №3 (1963), 745-752; Алибегашвили, *Светский портрет*, 23-25, 35-38; ოთარ ფირალიშვილი, *ყინვისი* (თბილისი, 1979), 11, 14-15; Екатерина Привалова, *Роспись Тимотесубани* (Тбилиси, 1980), 134-136; Eastmand, *Royal, Imagery in Medieval Georgia*, 144-149.

⁵⁴ Владимир Бенешевич, *Памятники Синая, археологические и палеографические*, I (Ленинград, 1925), 43-44; Doula Mouriki, “La présence géorgienne au Sinai d’après le témoignage des icons du monastère de Sainte-Catherine,” *Byzance et la Géorgie. Rapports artistiques et culturels, Symposium, résumés des rapports* (Atènes, 1990), 40.

⁵⁵ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи*, 35-42; კორნელი კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, IV (თბილისი, 1959), 134-158; მანანა დოლაქიძე, *ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები* (თბილისი, 1974), 37-57, 68-77.

ბა წმ. დავითის ლავრა და მისი მთავარი სალოცავი, უფლის ფერისცვალების ეკლესია – წმ. დავითის დასაკრძალავი; რაც მთავარია, სამონასტრო აღმშენებლობის ტალღა მოიცავს მრავალმთის ვრცელ ტერიტორიას – ამის შედეგად საგრძნობლად გაიზრდება ახალი მონასტრებისა და სამხოლოების რიცხვი გარეჯის უდაბნოს სხვადასხვა ნაწილში.⁵⁶ გამოქვაბული მონასტრების საერთო გეგმარებით-ხუროთმოძღვრული სახის გარკვეულ ცვლილებებთან ერთად იწყება ეკლესია-სამლოცველოების მოხატვა.

უდაბნოს მონასტრის საკრებულო ეკლესიის სადიაკვნეს ფერწერულ ციკლში ჩასართავად სასწაულთა ეპიზოდების არჩევანი მოწმობს, რომ ადგილობრივ მოწესეთა და მათთან შემოკრებილთა ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მრავალმთაში სამონასტრო ცხოვრების დაფუძნების ისტორიის ხატოვანი წარმორჩენისაკენ უნდა ყოფილიყო მიმართული. სწორედ ამაზე მოგვითხრობს შერჩეულ ეპიზოდთა რიგი – წმ. დავითისა და წმ. ლუკიანეს მრავალმთის უდაბნოში მისვლიდან დაწყებული და ღირსი მამის მიერ იერუსალიმის მოლოცვით დასრულებული. ეს არა მარტო წმ. დავითისა და წმ. ლუკიანეს, არამედ მრავალმთაში მკვიდრ ღირს მამათა ღვანლის ამსახველი, გარეგნულად უბრალო და უშუალო მხატვრული ენით გადმოცემული, ამასთან შინაგანად უაღრესად დიდი მნიშვნელოვანებით დატვირთული ისტორიაა.

მოგვიანოდ, მონასტრის მთავარი ეკლესიის დარბაზის მოხატვისას, სურათი იცვლება – ფერწერულ ანსამბლში, სადიაკვნის მხატვრობასთან შედარებით, უფრო ფართოა საერთო საღვთისმეტყველო კონტექსტი, მრავლისმომცველია ვრცელი იკონოგრაფიული პროგრამის შემადგენელ სახეთა ერთიანობა. ამასთანავე, ფერწერულ ანსამბლში ჩართულ იქნა წმ. დავითის ცხოვრების ციკლის ის ეპიზოდები, რომლებიც მის სასწაულებს ასახავს. ამ მხრივ გარკვეული ტენდენციის არსებობაზე მეტყველებს ღირსი მამის სასწაულთა ეპიზოდების შერჩევა უდაბნოს მონასტრის გარეჯის სხვა ფერწერულ ანსამბლებშიც. სახელდობრ, უდაბნოს მონასტრის სამარტვილის,

⁵⁶ გივი გაფრინდაშვილი, *გარეჯი* (თბილისი, 1987), 22-30; Вольская, “Росписи пещерных монастырей Давид Гареджи”, 131-139; ზაზა სხირტლაძე, *საბერეების ფრესკული წარწერები* (თბილისი, 1985); Zaza Skhirtladze, “Newly discovered early paintings in the Gareja desert,” in *Eastern Approaches to Byzantium*, ed., A. Eastmond (Aldershot, 2001), 149-167; ზაზა სხირტლაძე, „მასალები გარეჯის მრავალმთის ადრეულ მოხატულობათა შესწავლისათვის“, კრ. *ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში* (თბილისი, 2004), 253-271; გივი გაფრინდაშვილი, “Скальные купольные памятники и их значение в развитии монументальной архитектуры Грузии”, *სპელეოლოგიური ძიებანი*, 12 (1988), 9-15. ბოლო წლებში კომპლექსები შესწავლილ იქნა ინტასის (INTAS) მიერ დაფინანსებული საერთაშორისო პროექტის ფარგლებში. Antony Eastmond and Zaza Skhirtladze, “First fieldwork report on the survey, restoration and analysis of recently discovered rock-cut monasteries in the Gareja desert of Georgia,” *Bulletin of British Byzantine Studies*, 25 (1999), 27-30; Antony Eastmond and Zaza Skhirtladze, “Final report on an INTAS project to survey, record and restore a number of newly discovered rock-cut monasteries in the Gareja desert, Georgia,” *Bulletin of British Byzantine Studies*, 27 (2001), 36-38.

მონამეთას ფრესკები წარმართი ერისთავის, ბუბაქარის ხელის განხმობისა და მისი ქრისტიანულ რწმენაში შესვლა-განმტკიცების კვალად – განკურნების შესახებ მოგვითხრობს.⁵⁷ ამ სცენათა გვერდით, სამარტვილის ჩრდილოეთ კედელზე, ოთხ ეპიზოდად წარმოდგენილია დამპყრობთა (სავარაუდოდ, თურქ სელჯუკთა) მიერ გარეჯელი ბერების მოსრვის ისტორია.⁵⁸ ღირსი მამის სასწაულის ეპიზოდი, მასში გაცხადებული, ქრისტიანული რწმენის ნიაღში აღდგომის წინასწარუწყებასთან დაკავშირებული, სახისმეტყველებითი საზრისით, უშუალოდ ეხმიანებოდა ადგილობრივ მოწესეთა მონამებრივი აღსრულების ხატოვან ისტორიას. ამასთანავე, ამგვარი ერთიანობა იმასაც გაგვიცხადებს, თუ მრავალმთის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე როგორ გაიაზრებოდა ღირსი მამის ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი. წმ. დავითის სასწაულის სცენაა წარმოდგენილი ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზოშიც – იგი, ერთი მხრივ, მოაზრებულ იქნა ტრაპეზთან და ევქარისტიასთან დაკავშირებულ სახეთა ერთიანობაში, გამოქვაბულ სათავსს რომ ამკობს, მეორე მხრივ კი, სწორედ მრავალმთის ნიაღში აღსრულებულ იმ სასწაულზე მოგვითხრობს, რომელიც ასე საჩინო და შთამბეჭქდავია ღირსი მამის მოღვაწეობაში.⁵⁹

ნათელია – სამონასტრო გაერთიანების ცხოვრების ახალ ეტაპზე, სახელდობრ XI საუკუნიდან მოყოლებული, ტრადიციულთა გვერდით გარეჯის მრავალმთის სამხატვრო გარემოში თავს იჩენდა პრიორიტეტთა ახალი წყება.

მაშინ როდესაც სადიაკონის მხატვრობაში წმ. ნინოს მოღვაწეობის ამსახველ კომპოზიციათა რიგი იქნა წარმოდგენილი, წმ. დავითის ცხოვრების ციკლის შექმნიდან, სულ მცირე, სამი ასწლეული მაინც იყო გასული. განვლილი დროის მანძილზე იცვლებოდა სამონასტრო ცენტრის მასშტაბებიცა და სამონასტრო ცხოვრების საერთო სურათიც – ადგილობრივ მოწესეთა ღვაწლი, მრავალმთის სამონასტრო აღმშენებლობა, ცხადია, მუდამ რჩებოდა ერთ-ერთ უმთავრეს თემად, თუმცა კი დროთა განმავლობაში ამ მხრივაც ბევრი რამ უნდა შეცვლილიყო. IX-X საუკუნეების სამონესეო მოღვაწეობის სურათი, რომელიც წმ. ილარიონ ქართველის დროიდან უნდა დამკვიდრებულიყო მრავალმთაში, გარეჯის მონასტრების სამეფო კარის მფარველობაში გადასვლისა და, შესაბამისად, სამეფო დონისა და მასშტაბების შეწირულება-აღმშენებლობის პირობებში, კიდევ უფრო განსხვავებულ ხასიათს შეიძენს. ფრესკებში უხვად გამოყენებული ძვირფასი პიგმენტები, მათ შორის – ოქრო და ლაჟვარდი, რომლებიც სამეფო კარის განგებით შექმნილ ფერწერულ ანსამბლებში – წმ. იოანე ნათლისმცემლის, ბერთუბნის, ქოლაგირის

⁵⁷ აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართული კედლის მხატვრობაში, 101-112; Skhirtladze, “Martyrs and Martyria in the Gareja Desert,” 75-78.

⁵⁸ Skhirtladze, “Martyrs and Martyria in the Gareja Desert,” 78, სურ. 14.

⁵⁹ Вольская, *Росписи средневековых трапезных Грузии*, 124-127.

მონასტერთა მთავარ ეკლესიებში, აგრეთვე უდაბნოს მონასტრის მცირე სამლოცველოში – მეფე დემეტრე II-ის სამწირველოში გვხვდება, თავისთავად მეტყველებს ამ მხრივ მრავალმთაში მომხდარ ცვლილებებზე.⁶⁰ დიდი საქონებელი აშკარად აისახებოდა სამონასტრო ყოფის ხასიათზეც. თუკი X საუკუნის მოხატულობაში უპირატესი იყო გარეჯელ ბერთა უდაბნოში დამკვიდრების შესახებ თხრობა, XIII საუკუნისათვის წინ იწევს სხვა, ბევრად ზოგადი ხასიათის თემები, ახალი, ეპოქის შესაბამისი, ასპექტებით.

როგორც ჩანს, ეს უნდა გამხდარიყო ერთ-ერთი არსებითი წინაპირობა უდაბნოს მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის გადანერისა და მისი იკონოგრაფიული პროგრამის არსებითი ცვლილებისა.

მოხატულობის პროგრამის ცვლილებასთან დაკავშირებული პრობლემის მეორე ასპექტი წმ. დავითის მოღვაწეობის ხატოვანი ისტორიის გადანერაშეცვლისათვის სწორედ წმ. ნინოს ციკლის არჩევანის საკითხს უკავშირდება.

წმ. ნინოს ცხოვრების ციკლი, რომელიც უდაბნოს მონასტრის ფრესკებმა შემოგვინახა, უადრესია მოციქულთაწნორი წმინდა დედის მოღვაწეობის ამსახველ, დღეისათვის ცნობილ, ილუსტრაციათა შორის. ქვეყნის განმანათლებლის თაყვანისცემის მრავალასწლოვანი, ამასთან სწორუპოვარი სურათის ფონზე, ერთი შეხედვით უჩვეულოც კი ჩანს ის გარემოება, რომ მასთან დაკავშირებული სინმინდეები, მისი ღვანლის ამსახველი ხუროთმოძღვრებისა თუ სახვითი ხელოვნების ძეგლები, ადრეული ხანიდან მხოლოდ მცხეთასა და ბოდბეში შემორჩა. წმ. ნინოს ერთადერთი, XII საუკუნემდელი გამოსახულება ოშკის ტაძრის სამხრეთი გალერეის 960-იან წლებში შესრულებული რელიეფით იყო ცნობილი.⁶¹ სამაგიეროდ, დღეისათვის სავსებით დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე, მოციქულთაწნორ დედასთან დაკავშირებული, XII საუკუნიდან მოყოლებული სრულიად ახალ მასშტაბებს შეიძენს – იმხანად იქმნება წმ. ნინოს ცხოვრების ახალი რედაქციები;⁶² იწერება მასთან დაკავშირებული საკითხავები და საგალობლები; რაც მთავარია, წმინდა დედის სახე ძალზე ხშირადაა ჩართული ფერწერულ ანსამბ-

⁶⁰ Заза Схиртладзе, “Роспись пещерного храма в Бертубани (исследование по истории грузинской монументальной живописи начала XIII в.)”, Автореферат кандидатской диссертации (Тбилиси, 1987); სხირტლაძე, *ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში*.

⁶¹ ექვთიმე თაყაიშვილი, *1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოს სამხრეთ პროვინციებში* (თბილისი, 1960), 50-52; David Winfield, “Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey,” *Journal of the Warbourg and Courtauld Institutes*, 31 (1968), 45-57, fig. 11-27; Natela Aladashvili, “The Iconographic Programme and Style of the Sculptural Decoration of a Column in the South Gallery of Oshki Church,” *Georgica*, 11 (1988), 119-125; Натела Аладашвили, “Восьмигранная колонна южной галереи храма Ошки”, *Ars Georgica*, 10 (1991), 68-80; Wakhtang Djobadze, *Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti* (Stuttgart, 1992), 105-108; სხირტლაძე, „წმინდა ნინო და ძველი ქართული სახვითი ხელოვნება“, 331-332.

⁶² ჩამონათვალი იხ. სხირტლაძე, „წმინდა ნინო და ძველი ქართული სახვითი ხელოვნება“, 330-331.

ლებში (სურ. 22-24). ნიშნულია, რომ ეს ანსამბლები, სახელდობრ: ვარძიის (1184-86) ყინცვისის (დაახლ. 1207), ბერთუბნის (XIII ს. მეორე ათწლეული), ანისის (XIII ს. შუახანები), ახტალის (გვიანი XIII ს.), მღვიმევის (XIII საუკუნის 80-იანი წლები)⁶³ მოხატულობები, სამეფო კარის განგებით შესრულდა და მათ პროგრამებში სხვა შინაარსობრივ მახვილებთან ერთად, სხვადასხვა გზით მინიშნებულ-წარმოჩენილ იყო წილხვდომილობის იდეა; თავის მხრივ, ყოველივე ეს უშუალოდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული მეფე-ქალისა და ქვეყნის მომაქცეველი მოციქულთასწორი დედის სახეთა შეფარვითა თუ ცხადლივ წარმოჩენილ სახისმეტყველებით მიმართებასთან. ცხადია, ამის თაობაზე ბევრი შეიძლება თქმულიყო, თუმცა ამთავითვე ნათელია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა წმ. ნინოს სახეს ქვეყნის ისტორიაში პირველი მეფე-ქალის, თამარის ზეობისას.⁶⁴

წმინდა ნინოს ცხოვრების ციკლისათვის სცენათა შერჩევა, ცხადია, გარკვეული პრინციპის მიხედვით მოხდა – ციკლის პირველი ეპიზოდი, როგორც ჩანს, ქართლში მის მოსვლასა და სამოციქულო მოღვაწეობის დასაწყისთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. რაც შეეხება მეორე და მესამე ეპიზოდებს, აქ აშკარად აღიბეჭდება მინიშნება ქვეყანაში ქრისტიანობის დამკვიდრების ორ მომენტზე – სწორედ ღირსი დედის მიერ წმ. ნანა დედოფლის განკურნების შემდგომ მოინათლა წმ. მეფე მირიანი, ცხოველმყოფელი სვეტის აღმართება კი მუდამ გაიაზრებოდა ქვეყნად (ამ შემთხვევაში – ქართლში) ეკლესიის დაფუძნების უმთავრეს ხატად. ძალზე უჩვეულოა ბოლო სცენა – იგი ანგელოზთა მიერ განდიდებულ მოციქულთასწორ წმინდა დედას წარმოგვიდგენს. აგიოგრაფიულ ციკლში ჩართული ამგვარი იკონოგრაფიის მქონე სხვა მსგავსი კომპოზიცია, რომელიც ზეციურ ძალთა მიერ განდიდებულ წმ. ნინოს წარმოგვიდგენს, დღეისათვის ცნობილი არ არის. ღირსი დედის ცხოვრების ციკლში გაერთიანებული ეს კომპოზიცია ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მონიშნება მისი თაყვანისცემის გამორჩეულობისა XII-XIII საუკუნეთა მიჯნისათვის. საგალობლები და საკითხავები, რომლებიც იმხანად იქმნება საქართველოში, კიდევ უფრო ნათელს ხდის ყოველივე ამის წინაპირობებს. უწინარეს ყოვლისა, ესაა კათოლიკოს ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი სვეტი ცხოვლისა, კვართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“,⁶⁵ რომელ-

⁶³ იქვე, 332-334.

⁶⁴ ბოლო ხანებში ამ თემასთან დაკავშირებით საგანგებოდაც დაინერა – Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 114-121. იხ. აგრეთვე, Michael Tarchnishvili, “Die Legende der heiligen Nino und die Geschichte des georgischen Nationalbewußtseins,” *Byzantinische Zeitschrift*, 40 (1940), 48-75; Bernadette Martin-Hisard, “Jalons pour une histoire du culte de sainte Nino (fin IVe-XIIIe s.),” in *From Byzantium to Iran. Armenian Studies in Honor of Nina G. Garsoïan*, eds., R. W. Thomson, J.-P. Mahé (Atlanta, GA, 1997), 53-78.

⁶⁵ ნიკოლოზ გულაბერისძე, *საკითხავი და გალობანი სვეტიცხოვლისანი*, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ნ. სულავამ (მცხეთა, 2007).

შიც წმ. ნინოს, როგორც დედაღმრთისას ხვედრი ქვეყნის განმანათლებლისა და მოციქულთასწორის ღვანლი საგანგებოდაა განდიდებული, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო წარმოაჩენდა მეფე თამარის ღვთივცხებულობას, მის ზეობას სწორედ საღვთო განგებით. უფრო მოგვიანებით, თამარის ასულის, რუსუდანის მეფობისას (1223-1245 წწ.) კათოლიკოსი არსენ ბულმაისიმისძე ასევე ქმნის წმ. ნინოსადმი მიძღვნილ საგალობლებს.⁶⁶ უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის ფრესკები ამ თხზულებათა თანადროულად შეიქმნა და, ბუნებრივია, მათში აღბეჭდილი იდეების ხატოვან შესაბამისობად შეიძლება ყოფილიყო გააზრებული.

წმ. დავით გარეჯელის, როგორც ქვეყნად სამონასტრო წიაღის ერთ-ერთი მოთავე მისიონერის და თავისი მასშტაბებით გამორჩეული სამონასტრო გაერთიანების ფუძისჩამყრელის ღვანლი საქართველოში ასწლეულების მანძილზე მუდმივობით იყო აღბეჭდილი. ამისაგან განსხვავებით, წმ. ნინოს, როგორც ქვეყნის მომაქცეველი მოციქულთა სწორი მოღვაწის სახე მუდამ გაიაზრებოდა არა მხოლოდ საერთო ეროვნული, არამედ საერთო კავკასიური და აღმოსავლურ-ქრისტიანული თვალსაწიერითაც. მოციქულთასწორი წმინდა დედის თავყვანისცემის ეს მასშტაბები განსაკუთრებით საჩინო ხდება სწორედ XII-XIII საუკუნეების მიჯნისათვის, მეფე თამარის ზეობაში, რაც სრულიად ბუნებრივი იყო ქვეყნის, კერძოდ კი მისი სამეფო კარისა და ეკლესიის მიზანდასახულობებიდან გამომდინარე. ასე რომ, ნათელია: გადაწყვეტა წმ. დავითის ცხოვრების ციკლის შენაცვლებისა წმ. ნინოს ცხოვრების ციკლით უნდა ასახავდეს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, შესაბამისად – სულიერ გეზში რამდენიმე საუკუნის მანძილზე მომხდარ ცვლილებებს, მასთან ერთად კი გარეჯისა და მის მესვეურთა მზაობასა და მისწრაფებას – ეპოქის ტენდენციები სრულად აღბეჭდილიყო სამონასტრო გაერთიანების სამხატვრო სკოლის ქმნილებებში.

აქვე ბუნებრივად ჩნდება კითხვა სადიაკვნის დასავლეთ კედელზე განთავსებულ კომპოზიციებთან დაკავშირებით. წმ. ნინოს ცხოვრების ციკლის გასწვრივ განთავსებული *განრღვეულის განკურნება*, *ქრისტე და სამარიელი დედაკაცი*, *ბრმის განკურნება* თავისი ზომებით ღირსი დედის ცხოვრების ზემოთ აღწერილი კომპოზიციების თანაგვარია; ასე რომ, წმ. დავითის ცხოვრების ციკლის მსგავსად, სადიაკვნის ხელმეორედ მოხატვისას, სცენათა

⁶⁶ საგალობლის დღეისათვის ცნობილი უადრესი ნუსხა (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1349, ფ. 3-9) 1240-იან წლებშია შექმნილი. სხვა ხელნაწერები ბევრად გვიანი დროისაა, XVII-XVIII საუკუნეებისა. არსენ ბულმაისიმისძის და მისი თხზულებების შესახებ იხ. Michael Tarchnishvili, *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur* (Vatican, 1955), 239-242; ნესტან სულავა, „არსენ ბულმაისიმისძე, გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოსისნი“, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1 (1999), 28-43; ნესტან სულავა, *XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია* (თბილისი, 2003), 211-220.

რიგი სადიაკვნის დარბაზის ორსავე კედელზე ერთიან ციკლად აღიქმებოდა. ქრისტოლოგიური რიგის კომპოზიციითა არჩევანი ცხადყოფს გამოქვაბული სათავის მორე ფენის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამის გარკვეულ მიმართებას ლიტურგიკულ კალენდართან – ამის უპირველესი მონიშნა ბრწყინვალე შვიდეულის პირველი კვირის საკითხავებთან დასახელებულ სცენათა კავშირია. ამასთანავე, ისიც ნათელი უნდა იყოს, რომ სახისმეტყველებითად სამივე მათგანი უშუალოდ ეხმიანება წმ. ნინოს ცხოვრებისა და ქართლის მოქცევის ციკლს: თვალის ახილვის სასწაული წმ. ნინოს მაკურნებელ სასწაულსაც შეიძლება დაუკავშირდეს, იმავდროულად კი ქართლის მოქცევასა და ამით ქართველთა თვალის ახილვას (შდრ. სჯად სოფელსა ამას მოსრულ ვარ მე, რაითა რომელნი არა ხედვიდეს, ხედვიდენ და რომელნი ხედვიდეს დაბრმენ – იოანე, IX:2-12). ამ მხრივ კიდევ უფრო მძაფრია მეფე მირიანისათვის მზის დაბნელებისა და თვალის ახილვის სასწაული, რომლის დროსაც იგი მიმართავს უფალს: „შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, ღმერთი, რომელსა ნინო ქადაგებს, და საქებელი სახელი შენი ყოვლისაგან დაბადებულისა ცასა ქუეშე და ქუეყანასა ზედა. შენ მიჰსენ ჭირისაგან და სახელისდებითა შენითა მსწრაფლ განმინათლე ბნელი ჩემი“.⁶⁷ დასასრულ, წმ. ნინოს დაუჯდომელში მოციქულთასწორი წმინდა დედა მოიხსენიება, როგორც ბრმათათვის თვალის ამხილველი: „ვითარ-იგი ბრმანი განკურნენ ლოცვითა, აქ ეგრეთვე ჩუენცა მწუხარების სიძნელე განგუძარცვენ ნინო, საკვირველებათა საკვირველო“ (გალობა ე, სძლისპირი). სამარიელი დედაკაცისადმი ქრისტეს ქადაგება ჭეშმარიტი გზის თაობაზე, ცხადია, ზედმინვენით პასუხობს ქართლის მოქცევის საზრისს – წმ. ნინოს მიერ ქრისტიანული ჭეშმარიტების ქადაგებას და სასწაულებს ამ პროცესში.⁶⁸

ძველი აღთქმის ორი სცენა – როგორც აბრაამის მსხვერპლშენიერვა, ისე იაკობის კიბე – რომლებიც საკურთხევლისა და სადიაკვნის დამაკავშირებელი ღიობის თავანებზე იქნა წარმოდგენილი, თავისი საღმრთისმეტყველო საზრისით ევქარისტიას და საკურთხევლის სინმინდეს მიემართება. ეს შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი იმ წინაპირობათაგან, რომლითაც აიხსნებოდა მათი განთავსება ეკლესიისა და მისი სადიაკვნის საკურთხეველთა შორის.⁶⁹ ძველი აღთქმის მესამე სცენის – წინასწარმეტყველ ელიას ზეცად

⁶⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 135-136.

⁶⁸ ცხადია, ამ სცენათა შერჩევისას გარკვეულწილად გათვალისწინებულ იქნა ტაძრის დარბაზის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამა, სახელდობრ ის გარემოება, რომ იქ ათორმეტ დღესასწაულთა ციკლის სცენები იყო წარმოდგენილი. „მაცხოვრისა და სამარიელი დედაკაცის შეხვედრა“ წარმოდგენილია ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზოს XIII საუკუნის დასაწყისისავე მოხატულობაში, სადაც სცენის ევქარისტული საზრისი იწვევს წინ. *Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии*, 123-124, ტაბ. 43.

⁶⁹ შდრ. „აბრაამის მსხვერპლშენიერვის“ გამოსახულებები ეკლესიის ბემაში – გეოლოგ დერეს

ამაღლების გამოსახვას სადიაკვნის საკურთხეველის კონქის ჩრდილოეთ ქანობზე მრავალმხრივი გააზრება შეიძლება მოეძებნოს – მათგან ერთ-ერთი უმთავრესია ზოგადი საზრისი, რომლის მიხედვითაც ღვთის მიერ წინასწარმეტყველისათვის თავისი ხალენის გადაცემა შესაძლოა განხილული იქნას, როგორც მაცხოვრის მიერ მადლის გარდამოვლენა და მასთან ზიარება.⁷⁰ არანაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს მეორე წინაპირობა, დაკავშირებული უშუალოდ საქართველოსთან და ასევე ნილხვდომილობის იდეით გარკვეულად დატვირთული: გადმოცემის მიხედვით, ელია წინასწარმეტყველის ხალენი ისეთივე სინმინდია, როგორც უფლის კვართი, ხოლო ელიას ხალენისა და უფლის კვართის დაფლვის ადგილზე წმ. ნინოს მიერ წმიდაა წმიდათაღს თანაფარდი სალოცავის – საქართველოს დედაეკლესიის, სვეტიცხოვლის კათოლიკე ეკლესიის დაფუძნება⁷¹ ძველი და ახალი სჯულის მონაცვლეობის ერთ-ერთ ხატად შეიძლებადა ყოფილიყო აღქმული.

კიდევ ერთი სცენა, რომელსაც ევქარისტიული დატვირთვა აქვს, წმ. ზოსიმეს მიერ წმ. მარიამ მეგვიპტელის ზიარებაა. ეს სცენა ასევე შეიძლება აღქმულ იქნას ქართლის მოქცევასთან მიმართებით. ამასთან დაკავშირებით ნიშნული ჩანს უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის ფრესკის თანადროული გამოსახულებები ვარძიასა⁷² და ბეთანიაში,⁷³ ისევე როგორც მათთან მიმართებით გამოთქმული ვარაუდი, რომ, შესაძლოა, ამ თემას გარკვეული პოლიტიკური დატვირთვა ჰქონოდა მეფე-ქალის მმართველობისას, როგორც ქალის მართლმონაწიუნეობისა და ხსნის წინასახეს.⁷⁴

მომავალი განკითხვისათვის განმზადებული საყდრის ხატის – ჰეტიმასიის დამატება ფერწერული დეკორისათვის, შესაძლოა ასევე ყოფილიყო გარ-

4 სამლოცველო (იგივე აივანი ქილისე), ემინ ქილისე, უფუქუქელის 2 ეკლესია, წმ. გიორგის ეკლესია ორთაყოში. Jolivet-Lévy, *Le Cappadoce médiévale*, 301-303.

⁷⁰ PG XL:46; *Reallexikon zur Byzantinischen Kunst*, 2 (1978), 90-93. ელია წინასწარმეტყველის ამაღლება ხახულის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში (XI ს. დასაწყისი) ოთხ ეპიზოდებადაა წარმოდგენილი. Nicole Thierry, “La peinture medievale géorgienne,” *Corsi di cultura sull’arte ravennate e bizantina* (Ravenna, 1973), 411-412, fig. 1 – გადაბეჭდილია იმავე ავტორის წიგნში *Peintures d’Asie Mineure et Transcaucasie aux Xe et XIe s.* (Aldershot, 1977), VI; Djobadze, *Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti*, 153; კაპადოკიურ მაგალითთა მიხედვით, გამოსახულების სახისმეტყველებით მიმართებაზე დასაკრძალავთა დანიშნულებასთან იხ. Michel et Nicole Thierry, “Ayvali kilise ou pigeonnier du Gülli Dere. Église inédite de Cappadoce,” *Cahiers Archéologiques*, XV (1965), 121-124.

⁷¹ ლელა პატარიძე, „მოქცევა ქართლისას“ დროის კონცეფციის გაგებისთვის“, *მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია*, 2 (1987), 109-113.

⁷² Givi Gaprindashvili, *Ancient Monuments of Georgia: Vardzia. Architecture, Wall Painting, Applied arts* (Leningrad, 1975), figs. 110-111.

⁷³ ასმათ ოქროპირიძე, „ბეთანიის მხატვრობა და მართლმადიდებლური ფერწერის ზოგიერთი ასპექტი“, *სპექტრი*, 1 (2004).

⁷⁴ Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, 118.

კვეული გამოძახილი ქრისტიანულ აღმოსავლეთში იმ ეპოქისათვის მიმდინარე საღმრთისმეტყველო-ლიტურგიკული დებატებისა და მათი შესაბამისი ცვლილებებისა სახვით პრაქტიკაში, მათ შორის – მონუმენტურ ფერწერაში.⁷⁵

ამ გამოსახულებათაგან თითოეული შეიძლება ბევრად უფრო ვრცლად ყოფილიყო განხილული; თუმცა კი ის, რაც მათთან მიმართებით აღინიშნა, უკვე თავისთავად მიანიშნებს, რომ უდაბნოს მონასტრის მთავარ ეკლესიაში XII-XIII საუკუნეთა მიჯნისათვის შესრულებული მოხატულობა, ფერწერის იქვე შემორჩენილ ადრეულ ფენებთან შედარებით, ბევრად უფრო მრავალსიმომცველი იყო და სხვადასხვა სახისმეტყველებით ასპექტებს აერთიანებდა.

სადიაკვნის ფერწერული შემკულობის პროგრამისათვის წმ. ნინოს ცხოვრების ციკლის შერჩევა და მისი საგანგებო აქცენტირება კიდევ ერთი მონიშნობაა იმ განუყოფლობისა, რომელიც აღბეჭდავდა გარეჯის სამონასტრო გაერთიანებას XII-XIII საუკუნეების საქართველოს სულიერი ცხოვრების საერთო ნაკადში. არაფერია უჩვეულო იმაში, რომ მრავალმთის მკვიდრნი უშუალოდ ეხმებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს – გარეჯის სამონესეო გაერთიანება და მისი ფერწერული სკოლა ხომ ამ მხრივ მუდამ იყო გამორჩეული ქვეყნის სხვა სასულიერო კერათა შორის.

ფერწერულ ანსამბლში ჩართულ სახეთა ერთიანობა ცხადყოფს, რომ XIII საუკუნისათვის უდაბნოს მონასტერსა და მის სალოცავებს უზინდებურად ჰქონდათ შენარჩუნებული მრავალმთის სასულიერო კერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სინმიანდის მნიშვნელობა. ამ მხრივ საგულისხმო ჩანს მრავალმთის უმთავრესი, საარქიმანდრიტო მონასტრებისა და იქ შექმნილი მოხატულობების მაგალითი: წმ. იოანე ნათლისმცემლისა და ბერთუბნის მონასტერთა მთავარ ტაძრებს ასევე აქვთ დარბაზის ჩრდილოეთით გამოკვეთილი სადიაკვნეები, თუმცა არც ერთი მათგანი მოხატული არ ყოფილა.⁷⁶ სამაგიეროდ ფრესკები შემორჩა ქოლაგირის მონასტრის მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ ეკვდერს, სადაც XII-XIII საუკუნეების მიჯნის სამეფო კარის დიდმოხელეთა და საქართველოს ეკლესიის მაღალ იერარქთა გამოსახულებების ვრცელი რიგი იქნა წარმოდგენილი.⁷⁷ მსგავსი მაგალითები ცნობილია ქვეყნის სხვა კუთხის თანადროულ სამონასტრო კომპლექსებშიც – ვარძიის მთავარი ტაძრის დარ-

⁷⁵ Гордана Бабич, “Христолошке распре у XIII веку и појава нових сцена у апсидальном декору византјских црква”, *Зборник за ликовне уметности*, 2 (1966), 9-31; Gordana Babic, “Les discussions christologiques et le décor des églises Byzantines au XIIIe siècle. Les évêques officiant devant l’Hétimasie et devant l’Amnos,” *Frühmittelalterliche Studien*, 2 (1968), 268-386; Suzy Dufrenne, “L’enrichissement du programme iconographique dans les églises Byzantines du XII^{ème} siècle,” *L’art byzantin du XIII^{ème} siècles, Symposium de Sopocani, 1965* (Beograd, 1967), 35-38; Christopher Walter, *Art and Liturgy of Byzantine Church* (London, 1982), 199-214.

⁷⁶ Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи*, 44, 64.

⁷⁷ სხირტლაძე, *ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში*.

ბაზის ჩრდილოეთით ასევე შეუქმნიათ სადიაკვნე, რომელშიც სალხინებელია გამართული.⁷⁸ ყოველივე ეს სათავსის ლიტურგიკულ ფუნქციაზე უნდა მიანიშნებდეს, თუმცა რა იყო ამგვარი დამატებითი სათავსების შექმნის უმთავრესი მიზეზი სხვადასხვა სამონასტრო გაერთიანების სწორედ გამოქვაბულ მონასტრებში, დღემდე მთლად ნათელი არ არის. უდაბნოს მაგალითი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამგვარი სათავსი – სადიაკვნე თუ ეკვდერი – სავსებით შეიძლებოდა ყოფილიყო დაკავშირებული რომელიმე წმინდანთან – ის ფაქტი, რომ უდაბნოს მონასტრის საკრებულო ეკლესიის ორივე (როგორც თავი ეკლესიის დარბაზის, ისე სადიაკვნის) მხატვრობაში ერთი და იმავე წმინდანის (წმ. დავით გარეჯელის) თემა იქნა ხაზგასმულად წინ წამოწეული, მრავლისმთქმელია. თუმცაღა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეკლესიისა და სადიაკვნის კედლებზე შემონახულ მრავალრიცხოვან წარწერათა შორის არ გვხვდება გრაფიტები, რომლებიც წმინდა ნინოს მიემართება.⁷⁹

აშკარაა – XIII საუკუნის დასაწყისისათვის უდაბნოს მონასტრის ეკლესიის ამ ნაწილის მნიშვნელობა ისეთივე გამორჩეული უნდა ყოფილიყო, როგორც სამი ასწლეულის წინ, მაშინ როდესაც აქ წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი შესრულდა. ყოველ შემთხვევაში, ახსნას მოითხოვს სადიაკვნის მომხატავთა გადაწყვეტილება – სწორედ აქ განეთავსებინათ წმ. ნინოს ცხოვრების ციკლი. ეს გადაწყვეტა გარკვეულწილად ეხმიანება ოშკის ტაძრის შემთხვევას, სადაც ბევრად უფრო ადრე, X საუკუნის 60-70-იან წლებში სწორედ წმ. ნინოს სახე სამხრეთ გალერეაში იქნა წარმოდგენილი.⁸⁰

უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის მოხატულობის სამი ფენა საგრძნობლად სხვაობს ერთმანეთისაგან იკონოგრაფიული პროგრამისა და მხატვრული გადაწყვეტის მხრივ. სამ სხვადასხვა პერიოდში (შესაბამისად – X საუკუნეში, XI საუკუნის პირველ ნახევარში და XIII საუკუნის დასაწყისში) შექმნილი ფრესკები ნათლად აღბეჭდავს და განაცხადებს იმ რეალიებს, რომლებმაც განაპირობეს ცვლილებები როგორც ფერწერული ანსამბლის ცალკეულ ფენათა საზოგადო საღვთისმეტყველო საზრისთან მიმართებით, ისე ქვეყანაში იმხანად განსაკუთრებული მასშტაბურობითა და მრავალმხრივობით წარმოჩენილი სახელმწიფო-საეკლესიო გეზის ფარგლებში.

⁷⁸ Tania Velmans et. Adriano Alpagò-Novello, *Miroir de l'invisible: Peintures murales et architecture de la Géorgie (VIe-XVe s.)* (Milan, 1996), 291.

⁷⁹ გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, I, 98 და შემდ.

⁸⁰ იხ. ზემოთ, სქოლიო 60.

ბიბლიოგრაფია

აბრამიშვილი გურამ. დავით გარეჯის „უდაბნოს“ მთავარი ეკლესიის საქტიტორო ნარჩენა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 3, 1962

აბრამიშვილი გურამ. დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში. თბილისი, 1972

ამირანაშვილი შალვა. ქართული ხელოვნების ისტორია. თბილისი, 1971

ბარნაველი სარა. ქართული დროშები. თბილისი, 1953

ბარნაველი სარა. საქართველოს საბჭოთა და სხვა გლიპტიკური მასალები. თბილისი, 1965

ბერიძე ვახტანგ. მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში. საქართველოს მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948

გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტ. I, ნან. 1, ნმ. დავითის ლავრა, უდაბნოს მონასტერი (XI-XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დარეჯან კლდიაშვილმა და ზაზა სხირტლაძემ. თბილისი, 1999

გაფრინდაშვილი გივი. გარეჯი. თბილისი, 1987

დოლაქიძე მანანა. ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები. თბილისი, 1974

დოლაქიძე ვახტანგ. დავით გარეჯის ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლის დათარიღების საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, 9, 1950

ვაჩიშვილი კონსტანტინე. ყინწვისის მშენებლის გამოსახულების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 32, №3, 1963

თაყაიშვილი ექვთიმე. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია საქართველოს სამხრეთ პროვინციებში. თბილისი, 1960

კეკელიძე კორნელი. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV. თბილისი, 1959

კლდიაშვილი დარეჯან. გარეჯა – კონსტანტინოპოლი. თეოდორე გარეჯელის მიერ რომანას მონასტრის ქართულ სკრიპტორიუმში 1070 წელს გადანერილი ოთხთავი. საქართველოს სიძველენი, 7-8, 2005

მუსხელიშვილი დავით. ქიზიყის ძველი ისტორია. თბილისი, 1997

ნიკოლოზ გულაბერისძე. საკითხავი და გალობანი სვეტიცხოვლისანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ნესტან სულავამ. მცხეთა, 2007

ოქროპირიძე ასმათ. ბეთანიის მხატვრობა და მართლმადიდებლური ფერწერის ზოგიერთი ასპექტი. სპექტრი, 1, 2004

პაპუაშვილი თენგიზ. ჰერეთის ისტორიის საკითხები. თბილისი, 1970

პატარიძე ლელა. „მოქცევაი ქართლისაის“ დროის კონცეფციის გაგებისთვის. მაცნე, ენის და ლიტერატურის სერია, 2, 1987

სხირტლაძე ზაზა. საბერეების ფრესკული ნარჩენები. თბილისი, 1985

სხირტლაძე ზაზა. ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში. თბილისი, 2000

სხირტლაძე ზაზა. მასალები გარეჯის მრავალმთის ადრეულ მოხატულობათა შესწავლისათვის. კრებულში: ქრისტიანობის ოცი საუკუნე საქართველოში. თბილისი, 2004

სხირტლაძე ზაზა. წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი. თბილისი, 2006

სხირტლაძე ზაზა. წმინდა ნინო და ძველი ქართული სახვითი ხელოვნება. კრ. წმინდა ნინო. თბილისი, 2008

სხირტლაძე ზაზა. ქტიტორთა გამოსახულებები უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში. სტატია კორპუსისათვის „ისტორია სახეებში. ისტორიულ პირთა გამოსახულებები ქართულ ხელოვნებაში“ (იბეჭდება)

სხირტლაძე ზაზა, ისტომონდი ენტონი. წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობაში: ახალი მონაცემები და დაკვირვებები. საქართველოს სიძველენი, 2, 2002

სულავა ნესტან. არსენ ბულმაისიმისძე, გალობანი წმიდისა მოციქულისა ნინოსნი. ლიტერატურა და ხელოვნება, 1, 1999

სულავა ნესტან. XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია. თბილისი, 2003

ფირალიშვილი ოთარ. ყინწვისი. თბილისი, 1979

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. II, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს თამარ ბრეგაძემ, ციალა კახაბრიშვილმა, მიხეილ ქავთარიამ, ლილი ქუთათელაძემ, ცაცა ჭანკიევმა, ლილი ხევსურიანმა, ელენე მეტრეველის რედაქციით. თბილისი, 1986

ჩიხლაძე ნინო. სვეტიცხოვლის მოხატულობანი. წიგნში: სვეტიცხოველი. თბილისი, 2010

ჩოლოყაშვილი ქეთევან. სვეტიცხოვლის აღმოსავლეთი ფასადის დეკორატიული სისტემა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ახალგაზრდა მეცნიერთა III რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. თბილისი, 1981

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. ტ. I. დასაბეჭდად მოამზადეს ილია აბულაძემ, ლილი ათანელიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ, ლამარა ქაჯაიამ, ციალა ქურციკიძემ, ცაცა ჭანკიევმა და ლალი ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1963

ჯანაშვილი მოსე. ნინას ჯვარი. მწყემსი, 7, 1884

ჯანჯალია მზია. ბოდბის ტაძრის ეკვდერის მოხატულობა და მისი ლიტერატურული წყაროები. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1990

ჯანჯალია მზია. წმინდა ნინოს ცხოვრების ციკლი ბოდბის ტაძრის მოხატულობაში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 1994

Аладашвили Натела. Восьмигранная колонна южной галереи храма Ошки. *Arg Georgica*, 10, 1991

Алибегашвили Гаяне. Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи. Тбилиси, 1979

Амиранашвили Шалва. История грузинской монументальной живописи. I. Тбилиси, 1957

Бабич Гордана. Христолошке распре у XIII веку и нојава нових сцена у апсидальном декору византјских црква. Зборник за ликовне уметности, 2, 1966

- Бенешевич Владимир. Памятники Синая, археологические и палеографические. I. Ленинград, 1925
- Вольская Анели. Росписи средневековых трапезных Грузии. Тбилиси, 1974
- Вольская Анели. Росписи пещерных монастырей Давид-Гареджи. კრ. გარეჯი, კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII. თბილისი, 1988
- Вирсаладзе Тинатин. К вопросу о датировке первоначальной росписи секверного придела главного храма монастыря Удабно. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მაცნე, 6, 1968
- Гаприндашвили Гиви. Скальные купольные памятники и их значение в развитии монументальной архитектуры Грузии. სპელეოლოგიური ძიებანი, 12, 1988
- Иоселиани Платон. Описание древностей города Тифлиса. Тифлис, 1866
- Каковкин Александр. “Сцена Чудесное явление животворящего креста” в росписи Храма Григория (1215) в Ани. Зограф, 20, 1989
- Марр Николай. Ани. Книжная история города и раскопки на месте городища. Москва-Ленинград, 1934
- Мкртумян Гамлет. Грузинское феодальное княжество Кахети в VIII-XI вв. и его взаимоотношения с Арменией. Ереван, 1983
- Муравьев Андрей. Грузия и Армения. I. Санкт-Петербург, 1848
- Нагроев Антон. Мцхет и его собор Свети-Цховели. Тифлис, 1900
- Привалова Екатерина. Роспись Тимотесубани. Тбилиси, 1980
- Пурцеладзе Димитрий. Историко-археологическое описание Бодбийского собора св. Нины, просветительницы Грузии. Тифлис, 1888
- Схиртладзе Заза. Роспись пещерного храма в Бертубани (исследование по истории грузинской монументальной живописи начала XIII в.). Автореферат кандидатской диссертации. Тбилиси, 1987
- Такайшвили Евфимий. Обращение Грузии в христианство, источники грузинских летописей. Три Хроники. Сборник материалов по описанию местностей и племен Кавказа, 28, 1900
- Ткемаладзе М. Тифлисский Сионский кафедральный собор. Тифлис, 1904
- Чубинашвили Георгий. Пещерные монастыри Давид Гареджи. Тбилиси, 1948
- Чубинашвили Георгий, Архитектура Кахети. Тбилиси, 1958
- Шевякова Татьяна. Монументальная живопись раннего средневековья Грузии. Тбилиси, 1983
- Эсадзе Б. Летопись Грузии. Тифлис, 1913
- Aladashvili, Natela. The Iconographic Programme and Style of the Sculptural Decoration of a Column in the South Gallery of Oshki Church. Georgica, 11, 1988
- Babic, Gordana. Les discussions christologiques et le décor des églises Byzantines au XIIIe siècle. Les évêques officiant devant l’Hétimasie et devant l’Amnos. Frühmittelalterliche Studien, 2, 1968
- Babic, Gordana. Les chapelles annexes des églises byzantines. Fonction liturgique et programmes iconographiques. Bibliothèque de Cahiers Archéologiques, 3. Paris, 1969
- Descoedres, Georges. Die Pastophorien im syro-byzantinischen Osten: eine Unter-

suchung zu architektur- und liturgiegeschichtlichen Problemen. Schriften zur Geistesgeschichte des östlichen Europa, 16. Wiesbaden, 1983

Djobadze, Wakhtang. Early Medieval Georgian Monasteries in Historic Tao, Klarjeti and Šavšeti. Stuttgart, 1992

Dufrenne, Suzy. L'enrichissement du programme iconographique dans les églises Byzantines du XII^{ème} siècle. L'art byzantin du XIII^e siècles. Beograd, 1967

Eastmond, Antony. Royal Imagery in the Medieval Kingdom of Georgia. University Park, PA, 1998

Eastmond, Antony. Art and Identity in the Thirteenth-Century Caucasus. UCLA Colloquium Series. Los Angeles, 2000

Eastmond, Antony. The Cult of St. Davit Garejeli. Patronage and Iconographic Change in the Gareja Desert. კრ. სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში: გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი. თბილისი, 2001

Eastmond, Antony. Local Saints, Art and Regional Identity in the Orthodox World after the Fourth Crusade. *Speculum*, 78/3, 2003

Eastmond, Antony, and Zaza Skhirtladze. First fieldwork report on the survey, restoration and analysis of recently discovered rock-cut monasteries in the Gareja desert of Georgia. *Bulletin of British Byzantine Studies*, 25, 1999

Eastmond, Antony, and Zaza Skhirtladze. Final report on an INTAS project to survey, record and restore a number 1f newly discovered rock-cut monasteries in the Gareja desert, Georgia. *Bulletin of British Byzantine Studies*, 27, 2001

Eastmond, Antony, and Zaza Skhirtladze. Udabno Monastery in Georgia: Innovation, Conservation and the Reinterpretation of Medieval Art. *Iconographica, Rivista di Iconografia Medievale e Moderna*, VII, 2008

Gaprindashvili, Givi. Ancient Monuments of Georgia: Vardzia. Architecture, Wall Painting, Applied Arts. Leningrad, 1975

Gouma-Peterson, Thalia. Narrative Cycles of Saints' Lives in Byzantine Churches from the Tenth to the Mid-fourteenth Century. *Greek Orthodox Theological Review*, 30/1, 1985

Jolivet-Lévy, Catherine. *Le Cappadoce médiévale*. Paris, 2001

Martin-Hisard, Bernadette. Jalons pour une histoire du culte de sainte Nino (fin IVE-XIIIe s.). In *From Byzantium to Iran. Armenian Studies in Honor of Nina G. Garsoïan*. Eds. R. W. Thomson, J.-P. Mahé. Atlanta, GA, 1997

Mathews, Thomas. *The Early Churches of Constantinople: Architecture and Liturgy*. London, 1971

Migne, J.-P. ed., *Patrologiae Cursus Completus. Series Graeca*. Paris, 1857-1866

Mouriki, Doula. La présence géorgienne au Sinaï d'après le témoignage des icônes du monastère de Sainte-Catherine. *Byzance et la Géorgie. Papports artistiques et culturels, Symposium, résumés des rapports*. Atènes, 1990

The Oxford Dictionary of Byzantium. Ed. Andrei Kazhdan. Vol. 3. Oxford, 1991

Reallexikon zur Byzantinischen Kunst. Ed. Marsel Restle. Kunst. 2, 1978

Skhirtladze, Zaza. Martyrs and Martyria in the Gareja Desert. In *Monasteres, images, pouvoirs et société a Byzance*. Ed. M. Kaplan. *Byzantina Sorbonensia*, 23. Paris, 2006

Skhirtladze, Zaza. Les portraits de l'église principale du monastere Natlismtsemeli a Garedja. *Зорпаფ*, 23, 1993-1994

Skhirtladze, Zaza. Newly discovered early paintings in the Gareja desert. In *Eastern Approaches to Byzantium*. Ed. A. Eastmond. Aldershot, 2001

Skhirtladze, Zaza. The Oldest Paintings in Oshki Church. *Byzantine Church Decoration and Georgian Art*. Eastern Christian Art, 7, 2010

Tarchnishvili, Michael. Die Legende der heiligen Nino und die Geschichte des georgischen Nationalbewußtseins". *Byzantinische Zeitschrift*, 40, 1940

Tarchnishvili, Michael. *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur*. Vatican, 1955

Teteriatnikov, Natalia. The liturgical planning of Byzantine churches in Cappadocia. *Orientalia Christiana Analecta*, 252. Rome, 1996

Thierry, Nicole. La peinture medievale géorgienne. *Corsi di cultura sull'arte ravennate e bizantina*. Ravenna, 1973

Thierry, Nicole. La peinture medievale géorgienne. *Peintures d'Asie Mineure et Transcaucasie aux Xe et XIe s.* Aldershot, 1977

Thierry, Nicole. The Wall Painting at Ani. In *Ani*. Monumenti di architettura Armena, 12. Milano, 1984


Thierry, Michel et Nicole. Ayvali kilise ou pigeonnier du Gülli Dere. Église inédite de Cappadoce. *Cahiers Archéologiques*, XV, 1965

Thierry, Nicole et Michel. L'église Saint-Gregoire de Tigran Honenc' á Ani (1215). Paris, 1993

Velmans, Tania, et. Adriano Alpago-Novello. *Miroir de l'invisible: Peintures murales et architecture de la Géorgie (VIe-XVe s.)*. Milano, 1996

Winfield, David. Some Early Medieval Figure Sculpture from North-East Turkey. *Journal of the Warbourg and Courtauld Institutes*, 31, 1968

Walter, Christopher. *Art and Liturgy of Byzantine Church*. London, 1982




1

2



სურ. 1 გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტერი. მთავარი ეკლესია. გეგმა.

სურ. 2 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნე. საკურთხეველის მოხატულობა. საერთო ხედი.



სურ. 3 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის თავდაპირველი მოხატულობა. სქემები.

4



5



სურ. 4 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესია. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

სურ. 5 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესია. განკითხვის დღის კომპოზიცია დასავლეთ კედელზე. დეტალი.



სურ. 6 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესია. წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლის სცენები ჩრდილოეთ კედელზე.

სურ. 7 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესია. საქტიტორო რიგი.



8



9

სურ. 8 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის მეორე ფენა. ანგელოზთა დასი და ელია წინასწარმეტყველის ამაღლება საკურთხევის ჩრდილოეთ კედელზე.

სურ. 9 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის მეორე ფენა. ანგელოზთა დასი საკურთხევის სამხრეთ კედელზე.



10



11



12

სურ. 10 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის მეორე ფენა. იაკობის კიბე. სქემა.

სურ. 11 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის მეორე ფენა. აბრაამის მსხვერპლშენიერვა. სქემა.

სურ. 12 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის მეორე ფენა. წმ. მარიამ მეგვიპტელის ზიარება წმ. ზოსიმეს მიერ. სქემა.



13



14

სურ. 13 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის მეორე ფენა. წმ. ნინოს ცხოვრების ციკლი. სქემა.

სურ. 14 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის მეორე ფენა წმ. ნინოს მიერ წმ. ნანა დედოფლის განკურნება.



15



16

სურ. 15 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის მეორე ფენა. ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული.

სურ. 16 უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნის მოხატულობის მეორე ფენა. წმ. ნინოს ზეციური დიდება.




17

სურ. 17 ანისის ტიგრან ჰონენცისეული ეკლესიის მოხატულობა. ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული.



18



19

სურ. 18 კათოლიკოს დომენტი III-სეული სადღესასწაულო (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, A-425). ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული.

სურ. 19 ცხოველმყოფელი სვეტის სამირონის ჭედური კარი. ცხოველმყოფელი სვეტის სასწაული.



20



21

სურ. 20 უდაბნოს მონასტრის სამარტვილის – მონამეთას მოხატულობა. წმ. დავით გარეჯელის სასწაულის სცენები დასავლეთ კედელზე.

სურ. 21 უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა. მთავარეპისკოპოსი იოანე წმ. დავით გარეჯელის წინაშე.



22



23



24

სურ. 22 ვარძიის მონასტრის მთავარი ეკლესია. წმ. ნინოს გამოსახულება სამხრეთ კედლის პილასტრზე.

სურ. 23 ყინცვისის მონასტრის წმ. ნიკოლოზის ეკლესია. წმ. ნინოს ფრესკა ჩრდილოეთ გუმბათისქვეშა ბურჯზე.

სურ. 24 ბერთუბნის მონასტრის მთავარი ეკლესია. წმ. ნინოს გამოსახულება დარბაზის დასავლეთ კედელზე, წმინდა მამათა და დედათა რიგის ცენტრში.



25



26

სურ. 25 წმ. დავით გარეჯელი. უდაბნოს მონასტრის ცენტრალურ ნაწილში მდებარე სამლოცველოს კარიბჭის ფრესკა

სურ. 26 წმ. ლუკიანეს მიერ ირმების წველა. ბერთუბნის მონასტრის სატრაპეზოს ფრესკა.

XVII

ქართულ სინოდიკონებში დაცულ ჯვაროსანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის

ვლადიმერ კეკელია

ჟურნალ „ქართველოლოგიის“ 2010 წლის ნოემბერ-დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა მამუკა წურწუმის სტატია: „ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში“.¹ ავტორი განიხილავს ორ ქართულ ხელნაწერს: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H-1661 სვინაქსარსა და პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის Par.Geo.28 ოთხთავზე დაცულ ჯვაროსნების მოსახსენებლებს, მათი კვლევის ისტორიას და მოცემული აქვს მინაწერების პროსოპოგრაფიული შესწავლის მცდელობა. ჩატარებული სამუშაო მდიდარ ბიბლიოგრაფიას ეყრდნობა. ავტორი დასახელებული ხელნაწერების სინოდიკონებში დაცული თითოეული მოსახსენებლის ცნობებს აანალიზებს და იქვე მოცემული აქვს ზოგიერთი მათგანის მყარი იდენტიფიკაცია, ზოგიერთის შესახებ კი ვარაუდს გამოთქვამს. მათ შორის ვრცლად ეხება უკვე არსებულ გაიგივებებსაც.² მართალია, მინაწერებში დაცული ფრაგმენტული

¹ მამუკა წურწუმი, „ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში“, *ქართველოლოგია*, 6 (2010), 69-95.

² მაგალითად, ჯოფრე ფაუსათ – ჟოფრუა ფუშეს იდენტიფიკაციას, რომელიც იდენტიფიცირებულია სოსო მარგიშვილის მიერ. სოსო მარგიშვილი, *მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ* (თბილისი, 2006), 263, შენ. 2. იმავე დასკვნამდე დამოუკიდებლად ჩვენც მივდით. ამის შესახებ მოხსენება პირველად 2008 წელს, მიხეილ თამარაშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე წარმოვადგინეთ: ვლადიმერ კეკელია, „კიდევ ერთხელ ქართველებისა და ტამპლიერების ურთიერთობის შესახებ წმინდა მინაზე XII საუკუნეში“. ნაშრომი შეკვეცილი სახით 2009 წელს რ. მეტრეველის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში გამოვქვეყნეთ: ვლადიმერ კეკელია, „რამდენიმე შენიშვნა ტამპლიერების მოსახსენებლების შესახებ“, *ისტორიანი* (თბილისი, 2009), 492-5. ს. მარგიშვილის იდენტიფიკაციის შესახებ ინფორმაციის არქონის გამო, მისი ნაშრომი ვერ მივუთითეთ, რამაც ზოგიერთ მკითხველზე მოახდინა შთაბეჭდილება, თითქოს ეს ჩვენ განზრახ გავაკეთეთ. ამ სამწუხარო გაუგებრობის გამო სინაზულს გამოვთქვამთ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფაუსათ-ფუშეს მსგავსება იმდენად თვალშისაცემი გახლავთ, რომ იმავე დასკვნამდე დამოუკიდებლად სომეხი მკვლევარი ოვანეს კაზარიანიც მივიდა:

ინფორმაციის გამო იდენტიფიცირებების უმრავლესობას მყარი საფუძველი არა აქვს და უდავო ნამდვილად არ არის, რაზეც პრეტენზიას არც ავტორი გამოთქვამს, მაგრამ მოცემული ანალიზი შემდგომი კვლევა-ძიებისათვის ნამდვილად ფასეულია.

რაც შეეხება Par.Geo.28 ხელნაწერის მინაწერებს, სამი მათგანის მ. წურწურუმიასეული ამოცნობა-გაიგივება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ესენი გახლავთ 1. ეუსტაშ II გარნიეს, 2. ნაბლუსის ვიკონტის, ბალდუინის ოჯახისა და 3. პედრო მარტინის, პედრო გონსალესისა და როდრიგო ალვარესის მოსახსენებლები.³

ჩატარებული შრომატევადი სამუშაოსა და საინტერესო ანალიზის მიუხედავად, ნაშრომი რიგ ისეთი ტიპის ხარვეზებს შეიცავს, რომელთა აღნიშვნა და შემდგომში გათვალისწინება საკითხის კვლევას ხელს შეუწყობს.

პირველ ყოვლისა, უნდა დავაზუსტოთ H-1661 ხელნაწერის, გოლგოთის სვინაქსარის გადანერის თარიღი. ხელნაწერის 338v გვერდზე წერია: „დაინწერა წიგნი ესე წ(მიდას)ა ქ(ა)ლ(ა)ქსა | იწ(რუსა)ლიმსა მონასტერსა შ(ინ)ა ჯ(უა)რის(ა)სა, ჳ(ე)ლითა უცბად მჩხრეკა|ლისა, ფ(რია)დ უღირსისა ხუცეს მონაზონისა გ(იორგ)ი დოდისითა. | სრულ იქმნა ლ(უა)წლსა წმ(იდა)თასა მოსაჳს(ე)ნებელი ესე წიგნი | ბერძენთა ზ(ედ)ა მეფობასა მანოელისსა, ქართლს – დიმი|ტრისსად, იწ(რუსა)ლ(ე)მს-ბულდიონისსაი. დასაბამითგ(ა)ნნი წელნი იყ/ვნეს ხლნთ და ქორონიკონი ტოვ“.

დასაბამის მიხედვით, ხელნაწერი 1155 წელს გადანერილი გამოდის (6759 - 5604). რაც შეეხება ქორონიკონს, მართალია, უკანასკნელი ასო ცუდად იკითხება და ტექსტის გამოცემებში დაბეჭდილია, როგორც გ,⁴ მაგრამ მასზე საგანგებო დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ იქ დანამდვილებით ასო ვ იკითხება, რაც შესაბამისად, 1156 წელს გვაძლევს (780 + 376).




Ованнес Казарян, “Крестоносцы и Грузия,” <http://www.templiers.info/web/a01.php?page=100403a-krestonoscy-i-gruziya>. პუბლიკაცია გამოქვეყნებულია 2010 წლის 4 აპრილს. მ. წურწურუმიას ნაშრომში აგრეთვე ვრცლად არის განხილული ფილიპე ნაბლუსელის საოჯახო მოსახსენებელი.

³ წურწურუმი, „ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში“, 84-6, 89-91.

⁴ ელენე მეტრეველი, „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერილობის ცდა)“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B (თბილისი, 1948), 38; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H-კოლექცია), შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებულია ელენე მეტრეველის მიერ (თბილისი, 1950), 83.

მოტანილ ფოტოპირზე ჩანს, რომ ქორონიკონის ბოლო ასოს მარჯვენა ხაზი აშკარად კუთხეს იკეთებს და ქვემოთ არის დახრილი, ხოლო ვერტიკალური მკრთალი ხაზი ტ-სა და ო-ს სიმაღლეზე ქვემოთ გრძელდება, რაც ამ ნიშნის აშკარად ვ ასოს ფორმაზე მიუთითებს.



ხელნაწერი 1156 წლით არის დათარიღებული ელენე მეტრეველის მიერ შედგენილ H კოლექციის აღწერილობის IV ტომში.⁵ ამ თარიღთან შესაბამისობაში მოდის ხელნაწერის გადამწერის კოლოფონის ინფორმაციაც, კერძოდ, ის გარემოება, რომ ხელნაწერის გადამწერის დასრულების დროისთვის საქართველოში დიმიტრი მეფე მეფობდა. 1155 წელს კი ტახტზე მისი შვილი, დავით V ზის. სამწუხაროდ, გადამწერის დროის დასაზუსტებელი სხვა საკონტროლო თარიღი არ გვაქვს. გადამწერი კი ან ქორონიკონის დაანგარიშებისას ცდება, ან დასაბამს არასწორად ითვლის. იქედან გამომდინარე, რომ თარიღებს შორის განსხვავება ერთი წელია, რაც მინანერების ქვედა ზღვარს თითქმის არ ცვლის, მართებული იქნება, ხელნაწერის გადამწერის თარიღად 1155-1156 წლები მივუთითოთ.

გარდა ზემოთქმულისა, მ. ნურნუმიას სტატიაში მოტანილი გოლგოთის სვინაქსარის მოსახსენებლების რიგი არეულია. საქმე ისაა, რომ ავტორს მინანერები ელ. მეტრეველის ნაშრომის მიხედვით მოაქვს,⁶ უკანასკნელში კი სტამბის შეცდომის გამო მეორე – ესაიასა და მისი შვილების მოსახსენებელია ამოვარდნილი, შესაბამისად, მინანერების რიგმა, ჟოფრუა ფუშეს მოსახსენებლიდან მოყოლებული, ერთით ზემოთ უნდა აინიოს, ე.ი. ფუშეს მოსახსენებელი არის მე-3 და არა მეორე. სასურველი იყო, რომ ავტორს ორიგინალით ან მისი ფოტოპირით ესარგებლა. სამწუხაროდ, აღწერილობის გაცნობა მოსახსენებლების რიგში სრულ კორექტირებას ვერ შეიტანს, ვინაიდან აღწერილობაში მე-2 მოსახსენებელი კი ადგილზეა, მაგრამ სანაცვლოდ მე-11-ა გამოტოვებული.⁷ ამდენად, მინანერებზე მუშაობისას აუცილებელია ელ. მეტრეველის პუბლიკაციისა და აღწერილობის ერთმანეთთან შედარება.

⁵ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 82-86. სვინაქსარის გადამწერის თარიღად 1156 წელია მითითებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის მე-3 ტომშიც (თბილისი, 1978), 163. გვაქვს ქორონიკონში გ-ს ე-დ ჩასწორების შემთხვევაც და ამით ქრონოლოგიური შეუსაბამობის მოხსნის მცდელობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, რედაქტორები ენრიკო გაბიძაშვილი და ექვთიმე კოჭლამაზაშვილი (თბილისი, 2007), 201.

⁶ მეტრეველი, „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“, 45.

⁷ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 84.

ცალკე უნდა შევეხოთ ავტორის მსჯელობას სინოდიკონებში ჯვაროსნებისა და ტამპლიერების ორდენის წევრების მოხვედრის შესახებ. იგი წერს, რომ: „თავისი მდებარეობისა და სინმინდეების გამო ჯვრის მონასტერი აუცილებელი პუნქტი იყო პილიგრიმის მარშრუტში, როგორც ამას ცხადყოფს არაერთი უცხოელის ჩანაწერი, რომლებიც ჯვაროსნული სახელმწიფოების დაცემის შემდეგაც ყოფილან წმინდა ადგილებში და ჯვრის მონასტერშიც... საზოგადოდ, ალაპები და მოსახსენებლები იწერებოდა იმ შენირულობის სანაცვლოდ, რომელსაც სულის ცხონების მიზნით მავანი მონასტრისათვის გაიღებდა... გასაგებია, რომ ამ გზით ჯვაროსანთა სხვადასხვა ოჯახს ადვილად შეეძლო მოხვედრილიყო ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში“.⁸ ეს მსჯელობა Par.Geo.28 ხელნაწერის შესახებ მართებული, გასაგები და არ ახალია, მაგრამ H-1661 ხელნაწერთან დაკავშირებით გაუგებარია. საქმე ისაა, რომ ხელნაწერს გოლგოთის სვინაქსარს ტყუილად არ უწოდებენ. ეს სვინაქსარი ჯვრის მონასტრისათვის განკუთვნილი არ იყო. ჯვრის მონასტერს საკუთარი სვინაქსარი ჰქონდა, რომელიც დღეს Jer.Geo.24-25 შიფრით იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ინახება. H-1661 ხელნაწერი გიორგი დოდისმა გოლგოთისათვის გადაწერა, გოლგოთის საკუთრება იყო და შესაბამისად, გოლგოთაზე ინახებოდა. ამას ხელნაწერის 2v გვერდზე არსებული მინანური მოწმობს.

„ესე ს(ჯ)ნ(ა)ქს(ა)რი აღდგ(ო)მის ს(ა)ფლ(ა)ვ(ი)სა არ(ი)ს“.⁹

მინანური ტექსტის ხელითაა შესრულებული, ამდენად, ძირითადი ტექსტის გადაწერის თანადროულია. ეს ხელნაწერი იმითიც არის საინტერესო, რომ წარმოადგენს უტყუარ დოკუმენტს იმისას, რომ XII საუკუნეში ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის დაკავების შემდეგ ქართველებს უფლის საფლავის ტაძართან კავშირი არ გაუწყვეტიათ. როგორც Jer.Geo.24-25 ხელნაწერის მინანურები ასახავენ ჯვრის მონასტრისა და იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიას,¹⁰ ასევე გოლგოთის სვინაქსარის მინანურები უფლის საფლავში ქართველების მოღვაწეობის ისტორიას შეიცავენ. H-1661 ხელნაწერზე ჯვაროსნების მოსახსენებლების ჩანერა გოლგოთაზე, უფლის საფლავის ტაძარში, უნდა მომხდარიყო და არა ჯვრის მონასტერში.

თავად მინანურების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა მათგანი კერძო მოსახსენებელია და არა ალაპი. ალაპი ისეთი ტიპის მოსახსენებელია, რომელშიც შემომწირველის მოხსენებისათვის, წირვის ან პანაშვიდის გარდა გათვალისწინებული იყო ტრაპეზიც.¹¹

⁸ ნურნუშია, „ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში“, 74.

⁹ მეტრეველი, „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“, 38. ამავეს გვაუწყებს 339r გვერდზე არსებული მინანურიც, თუმცა უკანასკნელი გვიანდელი ნუსხურით არის დაწერილი, ამდენად მას აქ არ მოვიტანთ.

¹⁰ ჯვრის მონასტრის სვინაქსარის მინანურები იხილეთ: ელენე მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის* (თბილისი, 1962).

¹¹ იქვე, 9-11.

რაც შეეხება Par.Geo.28 ხელნაწერის მოსახსენებლებს, აქაც H-1661-ის მსგავსად, ელ. მეტრეველის პუბლიკაციაში სტამბის შეცდომის გამო ოტოს კარპონ სიცილიელის მოსახსენებელში მისი სახელის ნაცვლად წერია ბაბიკი ვარდის ძე, რის შემდეგაც ბაბიკი ვარდის ძის სრული მოსახსენებელი მოდის.¹² ამაზე დაყრდნობით, მ. წურწუშიამ იერუსალიმში შერეული ოჯახების არსებობის ვარაუდი გამოთქვა, რაც სრულ გაუგებრობას იწვევს. ტექსტი უნდა იყოს:

„უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო შეინყ(ა)ლ(ე)ნ ძმ(ა)ჲ ჩ(უე)ნი სიკილიელი¹³ ოტოს კარპონ, პ(ე)ტ(რ)ე და ქ(რისტ)ე|ფორე შვ(ი)ლნი მისნი. და ციცილია და ლობერდი, ფრანგოს ფრაგა“.

„უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო შე(ი)წყ(ა)ლე ჩ(უე)ნი ძმაჲ ბაბიკი ვარდის ძე და | [შვი]ლნი მისნი... და...“

ორივე ხელნაწერის სინოდიკონთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მინაწერებში ნახსენები პირების იდენტიფიცირების დროს აუცილებელია მოსახსენებლებზე პალეოგრაფიული დაკვირვება. თუ რამდენიმე მინაწერი ერთი და იმავე ხელითაა ჩაწერილი, მათ შესრულებას ერთმანეთისაგან დიდი დრო არ უნდა აშორებდეს, შესაბამისად, მინაწერებში ნახსენები პირების მოღვაწეობის პერიოდი ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად ახლოსაა მოსააზრებელი, რადგან მოხსენებულ პირთა უმრავლესობა ხელნაწერში ჩაწერის დროისათვის ცოცხლები არიან.

ვინაიდან ხელნაწერებში დაცული მოსახსენებლების პუბლიკაციისას დაშვებულია სტამბის შეცდომები, ნაშრომს ვურთავთ ორიგინალიდან და ფოტოდან გადმონერილ მოსახსენებელთა ტექსტებს, განსხვავებული ნაკითხვების მითითებით.

H-1661 ხელნაწერის 1r - 1v გვერდებზე მოთავსებული ჯვაროსნების მოსახსენებლები¹⁴

1. „...სირ უგ და ყ(ოველ)ნი [მოყვარენი] მისნი“.
2. „ჯ(უა)რო პ(ა)ტ(იო)ს(ა)ნო შ(ეინყალ)ე ესაია და შვილნი მისნი“.
3. „ჯ(უარ)ო პ(ა)ტ(იო)ს(ა)ნო შ(ეინყალ)ე ძმ(ა)ჲ ჩ(უე)ნი ჯოფრე ფაუსათ“.

¹² ელენე მეტრეველი, „ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით“, ივანე ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, რედ. გ. მელიქიშვილი (თბილისი, 1976), 257.

¹³ სიკილიელს სიცილიელად მიიჩნევდა ელენე მეტრეველი: ელენე მეტრეველის პირადი არქივი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქმე 514.

¹⁴ პირველი ხუთი მოსახსენებელი ჩაწერილია 1r-ზე, დანარჩენი თხუთმეტი – 1v-ზე. მათგან 1, 2, 4, 7, 8, 12, 13, 15-20, სავარაუდოდ, ერთი ხელითაა ნაწერი. 10-11 ნაწერია ერთი ხელით. 3, 5, 6, 9, 14 სხვადასხვა ხელით არის დაწერილი.

4. „ქ. უ(ფალ)ო შ(ეინყალ)ე სინენბრინ და მოდეარ ჯირაოდ“.

5. „ქ. მოკსე გ^ეგირლმ | მარბალ“.¹⁵

6. „ქ. ჯ(უარ)ო გ(ანმ(ა)ცხ(ო)ველ(ე)ბ(ე)ლო ადიდე და შ(ეინყალ)ე | ე..ე ფილ-იპე, ელისაბ(ე)დ, და ელენე, | სტ(ე)ფანე, და მ(ა)მ(ა)ი ელისაბ(ე)დისი ოდი და დედაი | მაბილა, და პაპი ფილიპეისი გ^ეი“.¹⁶

7. „ქ. ჯ(უა)რო პ(ა)ტიოსანო ადიდე და შ(ეინყალ)ე სირ | პერ კუმანდური ტაძრელთაა“.

8. „ქ. შეინყ(ა)ლე ძმაა პერი ტაძრელთ(ა)ა“.

9. „ქ. ქ(რისტ)ე ლ(მერთ)ო დაიცევ ძმ(ა)ა ჩ(უე)ნი პერია და შეუნდვ(ენ) [ცოდვანი] მისნი | და დედ(ა)ა მისი ბ(ა)სილა და და მამ(ა)ა მისი პელინ“.

10. „ქ(რისტ)ე ლ(მერთ)ო შე(ინყალ)ენ ძმ(ა)ა ჩ(უე)ნი გვლიამ პატერა და დედ(ა)ა და მ(ა)მ(ა)ა მისი“.

11. „უ(ფალ)ო ლ(მერთ)ო დაიცევ ძმ(ა)ა ჩ(უე)ნი ჯირარდ და დედ(ა)ა და მ(ა)მ(ა)ა მისი“.

12. „ქ. უ(ფალ)ო ლ(მერთ)ო დაიცევ და შეინყ(ა)ლე ძმ(ა)ა ჩ(უე)ნი | სირ სი-მოდ [ან სიბოდ]. სილგილამ დელოლ | იველ“.¹⁷

13. „ქ. უ(ფალ)ო ლ(მერთ)ო შეინყ(ა)ლე სირ ვრიდრიშ“.

14. „ქ. რაუ, გილა, ასქით[ან], ასილინი, | ჯუან, ელისაბედ, ი^ე“.

15. „სირ უდრი და მაჰად მოიკსენ(ენ) უ(ფალ)ო“.

16. „სირ რაო და მიქაელ უ(ფალ)ო შე(ინყალ)ენ და ი^{ნე}“.

17. „ქრისტოდულ ეკონ(ო)მი მოიკს(ენ)ე უ(ფალ)ო ჩ(უე)ნი ძმ(ა)ა“.

18. „სირი ჯილიბედ მოიკსენე უ(ფალ)ო“.

19. „ქ. ჯ(უა)რო პ(ა)ტ(იო)სანო შ(ეინყალ)ე და დაიცევ სირ არბ | ე^{რდ} ბჭე და ძმ(ა)ა ტაძრელთა ჯუან“.

20. „ქ(რისტ)ე ლ(მერთ)ო შ(ეინყალ)ე გრიგ(ო)ლ, ძმ(ა)ა მისი კ(ო)სტ(ა)ნტ(ი)ნე | და დედ(ა)ა მ(ა)თი მ(ა)რ(ია)მ“.

¹⁵ გ^ელმ: მეტრეველი, „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“, 45; გ^ეგლმ: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 84; გ^ეგირლმ [მა]რბალ: ელენე მეტრეველის პირადი არქივი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქმე 377.

¹⁶ ზოგადად სახელი გ^ეი იხსნება, როგორც გიორგი, თუმცა მოცემულ შემთხვევაში აქ იგ-ულისხმება გიომი. სიზუსტისათვის სახელს გაუხსნელად ვტოვებთ.

¹⁷ ელენე მეტრეველის პუბლიკაციებსა და პირად არქივში დაცულ მასალაში სახელი ნაკითხულია, როგორც დელოლველ. სილგილამ დელოლიველი ჩანერილია განსხვავებული ხელით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ უკანასკნელი გვიან მიამატეს და მას სირ სიშოდთან პირდაპირი კავშირი არა აქვს.

**Par.Geo.28 ხელნაწერის 246 r - 246 v გვერდებზე მოთავსებული
მოსახსენებლები¹⁸**

1. „შეინყ(ა)ლე, უ(ფალ)ო ღმერთო, უისტასი, გარნიელ, | გატიერ, დამიდ, უისტასი, ჰუედ, რინირ, მუსურ, არჩნბატ“.
 2. „ქ(რისტე)ე ღ(მერთ)ო დაიცვენ და [შეუნ]დვენ ძმ(ა)თა ჩ(უე)ნთა იაკობს, ალბერდ | გლიამ, ვიდო“.
 3. „ქ(რისტე)ე ღ(მერთ)ო დაიცევ და შეუნდენ ძმაჲ ჩ(უე)ნი სისი და | შვილნი: იანე და პეტრე და გ(იორგ)ი და მ(ა)რ(ია)მ(ი) | დასადი, დაღანია, სეთლალი, რა-მონდ“.
 4. „ქ(რისტე)ე ღ(მერთ)ო დაიცვენ და შეინყ(ალენ) ძმ(ა)ნი ჩ(უე)ნნი ი(ო)ს(ე)ბ და ი(ო)ანე, გ(ა)ბრ(ი)ელ | [შე]ჰანის მ(ა)შ(ე)ნებლისა შვილის შვილნი. და ღირს ყვენ ჩ(ვე)ნ | ჯ(უ)არ(ე)ლთა ძმ(ო)ბ(ა)სა და შეჰანისსა“.¹⁹
 5. „უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო შეინყ(ა)ლ(ე)ნ ძმ(ა)ჲ ჩ(უე)ნი სიკილიელი ოტოს კარ-პონ, პ(ე)ტ(რ)ე და ქ(რისტე)ე|ფორე შე(ი)ლნი მისნი. და ციცილია და ლობერდი, ფრანგოს ფრაგა“.
 6. „უ(ფალ)ო ღ(მერთ)ო შე(ი)ნყ(ა)ლე ჩ(უე)ნი ძმაჲ ბაბიკი ვარდის ძე და | [შვი]ლნი მისნი... და ...“
 7. „ქ(რისტე)ე ღმერთო შეინყალენ ძმანი ჩუენნი | კონ[მოტიე ან კონდოფორე], კ(ონ)სტ(ა)ნტ(ი)ნე და | ბო[ტიერ ან შოტიერ] ამინ იყავნ“.
 8. „მოიჴს(ე)ნ(ე)ნ უ(ფალო) ღ(მერთ)ო ხაზინ | ლუსმა[რა] და ფერის“.
 9. „ქ(რისტე)ე შ(ეინყალ)ე სირ დერ[მად] და სიბილა და ა[.]ლ(ი?) აე“.
 10. „ქ(რისტე)ე ღ(მერთ)ო შეინყალენ... პერ... ირიან (?) და [მეუღ]ლე და მისი... ირსა და შვილნი მათნი: სრინერ და [როუ]ჯერ და ჯეჰან და ზალ[ც]... ელ და ან[ელ], ა(მე)ნ“.
 11. „ქ(რისტე)ე ღ(მერთ)ო შ(ეინყალ)ე ძმაჲ ჩ(უე)ნი პერ მარტინე, პერ გონ-სალ, როდრი ავრეს“.
 12. „ეს სანტა სანფო... ნა“.
- „ძელო ცხოვრებისაო, შეინყალენ“.

¹⁸ პირველი მოსახსენებელი დაწერილია 246r-ზე, დანარჩენი მინაწერები – 246v-ზე. მათგან 1, 4, 5 და 6 მოსახსენებელი დაწერილია სხვადასხვა ხელით. 2 და 3, სავარაუდოდ, ერთი ხელითაა ნაწერი. 7 მოსახსენებელიდან მოყოლებული ნაწერი ფოტოსა და მიკროზე ცუდად ირჩევა, ამდენად მინაწერები ელ. მეტრეველის დასახელებული პუბლიკაციისა და მის პირად არქივში დაცული მასალის მიხედვით, პალეოგრაფიული შენიშვნების გარეშე მოგვაქვს.

¹⁹ მოსახსენებლის იდენტიფიცირებისათვის იხ. მეტრეველი, „ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი“, 256.

ბიბლიოგრაფია

კეკელია ვლადიმერ. კიდევ ერთხელ ქართველებისა და ტამპლიერების ურთიერთობის შესახებ წმინდა მინაზე XII საუკუნეში. მოხსენება წაკითხული მიხეილ თამარაშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. 23. XII. 2008. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

კეკელია ვლადიმერ. რამდენიმე შენიშვნა ტამპლიერების მოსახსენებლების შესახებ. კრ. ისტორიანი. თბილისი, 2009

მარგიშვილი სოსო. მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ. თბილისი, 2006

ელენე მეტრეველის პირადი არქივი. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

მეტრეველი ელენე. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი (მეცნიერული აღწერილობის ცდა). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948

მეტრეველი ელენე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბილისი, 1962

მეტრეველი ელენე. ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით. ივ. ჯავახიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. რედ. გ. მელიქიშვილი. თბილისი, 1976

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. რედ. ენრიკო გაბიძაშვილი და ექვთიმე კოჭლამაზაშვილი. თბილისი, 2007

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (H-კოლექცია). შედგენილი და დასაბეჭდად მომზადებული ელენე მეტრეველის მიერ. თბილისი, 1950

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 3. თბილისი, 1978

წურწუმია მამუკა. ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში. ქართველოლოგია, 6, 2010

Казарян Ованнес. Крестоносцы и Грузия. <http://www.templiers.info/web/a01.php?page=100403a-krestonoscy-i-gruziya>.

XVIII

H1661 სვინაქსარის შესახებ

მამუკა წურნუშია

„საისტორიო კრებულის“ პირველ ტომში მკითხველს აქვს საშუალება გაეცნოს ვ. კეკელიას წერილს, რომელიც ჟურნალ „ქართველოლოგიის“ 2010 წლის მეექვსე ნომერში გამოქვეყნებული ჩემი სტატიის¹ პასუხად იბეჭდება. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს ნაშრომში წამოჭრილი ძირითადი დებულებების და კრიტიკის რევიზია ავტორს არც უცდია. სანაცვლოდ, ვ. კეკელია გვთავაზობს გარკვეული ხარვეზების ჩამონათვალს, რომელსაც, მისი აზრით, ჩემი ნაშრომი შეიცავს. ამ (თუნდაც გასათვალისწინებელ) ხარვეზებზე, აღძრულ თემასთან შედარებით მათი მეორეხარისხოვანი მნიშვნელობის გამო, ალბათ არც ღირდა გამოხმაურება, მაგრამ ორი საკითხი, რომელსაც ვ. კეკელია შეეხო, იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანიცაა, რომ საჭიროდ ჩავთვალეთ ისევ დავბრუნებოდით თემას.

პირველ ყოვლისა, განვიხილოთ სვინაქსარის დაწერის თარიღი. H1661 ხელნაწერი დათარიღებულია დასაბამის და ქორონიკონის მიხედვით. დასაბამით მოცემული თარიღი (1155) ეჭვს არ იწვევს; რაც შეეხება ქორონიკონს, აქ ვ. კეკელია ასწორებს ე. მეტრეველის ნაკითხვას (ტოგ), როგორც ტოვ და, შესაბამისად, ხელნაწერს 1155-56 წლებში დაწერილად მიიჩნევს. ასეთ დათარიღებას თავისუფლად შეიძლება დავთანხმებოდით, რადგანაც, ჯერჯერობით, არ ჩანს, რომ ერთი წლის სხვაობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ, ხელნაწერის ანდერძის ცნობები შემდგომი გადამოწმების საშუალებას იძლევა.

H1661 სვინაქსარის ანდერძიდან ვიგებთ, რომ დაინერა „ესე წიგნი ბერძენთა ზედა მეფობასა მანოელისსა, ქართლს დიმიტრისსა, იერუსალიმს ბულდიონისსა“.² ამ სამი მონარქის მეფობის წლებიდან, ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერის დაწერის თარიღის გადამოწმება მხოლოდ დემეტრეს მეფობის წლებით შეიძლება. თუმცა ეს გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული

¹ მამუკა წურნუშია, „ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში“, *ქართველოლოგია*, 6 (2010).

² ელენე მეტრეველი, „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XV-B (1948), 38.

და ისეთ საკითხებთანაა გადაჯაჭვული, როგორცაა დავით V-ის მეფობის ხანგრძლივობისა და გიორგი III-ის აღსაყდრების წლის დადგენა.

გიორგი III-ის გამეფების თარიღთან დაკავშირებით უახლესი და ყველაზე საფუძვლიანი გამოკვლევა, საკითხის სრული ისტორიოგრაფიით და თითქმის ყველა ცნობის გათვალისწინებით, გახლავთ თ. ჯოჯუას ნაშრომი.³ გიორგი III-ის გამეფების შესახებ მრავალრიცხოვანი და წინააღმდეგობრივი ცნობები არსებობს, მაგრამ ყველაზე უფრო სანდო მონაცემებზე (სამთავისის წარწერა, ტბეთის სახარების ანდერძი, ვენაში დაცული გარეჯის ხელნაწერის ანდერძი, ასევე A-85-ის კინკლოსის მინაწერი, სამუელ ანეცის და სტეფანოს ორბელიანის ცნობები) დაყრდნობით, თ. ჯოჯუამ დაადგინა, რომ გიორგი III მეფედ აკურთხეს 1157 წელს. ტბეთის სახარების ანდერძის და ანისთან ბრძოლის გათვალისწინებით, ის კიდევ უფრო აზუსტებს ამ მოვლენის თარიღს, რომელიც 1157 წლის დასაწყისიდან აგვისტოს თვემდე უნდა მომხდარიყო.⁴ მეტიც, ერთი შეხედვით ამ თარიღის საწინააღმდეგო ვარდან არეველცის ცნობა („გიორგიმ მიიღო სამეფო გვირგვინი 605 წელს“),⁵ შესაძლოა კიდევ უფრო აკონკრეტებდეს მას. ცნობილია, რომ სომხური ერთი 605 წელი დაიწყო 1156 წლის 10 თებერვალს და დასრულდა 1157 წლის 9 თებერვალს. არ არის გამორიცხული, რომ ვარდანის ცნობა გიორგი III-ის გამეფების თარიღს 1157 წლის 9 თებერვლამდე აზუსტებდეს.⁶

განსხვავებული და წინააღმდეგობრივი მონაცემები არსებობს დავით V-ის მეფობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებითაც. გიორგი ლაშას დროინდელი მემკვიდრის მიხედვით, დავით V-მ ექვსი თვე იმეფა.⁷ უნდა ითქვას,

³ თემო ჯოჯუა, „საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადანერილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით“, *ოჩხარი, ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი* (თბილისი, 2002), 508-19.

⁴ იქვე, 518. თუ გავითვალისწინებთ, რომ ანისის ბრძოლის თარიღი უკვე ზუსტადაა ცნობილი და ის 1161 წლის 4 აგვისტოს მოხდა, გიორგი III-ის გამეფების სავარაუდო ვადა კიდევ უფრო დაზუსტდება – 1157 წლის 4 აგვისტომდე. ანისის ბრძოლის თარიღისათვის, იხ. გოჩა ჯაფარიძე, *საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში* (თბილისი, 1995), 104.

⁵ ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ (თბილისი, 2004), 145.

⁶ შესაძლოა იგივეს მიუთითებდეს ალ-ფარიკის ცნობაც, რომლის მიხედვითაც დემეტრე I გარდაიცვალა ჰიჯრის 551 წელს, რომელიც დაიწყო 1156 წლის 25 თებერვალს და დასრულდა 1157 წლის 12 თებერვალს. ეთერ სიხარულიძე, „ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, II (1999), 16-7. რადგან დემეტრე გიორგის გამეფების წელსვე გარდაცვლილი, ეს ცნობაც შეიძლება მიუთითებდეს გიორგი III-ის გამეფებას 1157 წლის 12 თებერვლამდე. თუმცა, ალ-ფარიკის ცნობაში მოვლენათა რიგი რამდენადმე არეული ჩანს.

⁷ „ლაშა გიორგის-დროინდელი მემკვიდრე“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი

რომ მემატინის ეს ცნობები, რომელიც იქვე, დემეტრეს გარდაცვალების ორ განსხვავებულ თარიღს გვანდის, ნაკლებად სანდოა.⁸ ვარდან არეველცის მიხედვით, დავითს 1 თვე უმეფია.⁹ დავით V-ის მეფობის ხანგრძლივობად სამეფო ანეცის ქრონიკის 13 ხელნაწერიდან ათი 2 წელს ასახელებს, სამი კი – 2 თვეს, რაც შესაძლოა სომხური თვის და წელიწადის მსგავსი ჟღერადობის გამო მომხდარიყო.¹⁰ დავით V-ის ასეთი ხანმოკლე მეფობა უნდა გამოირიცხოს, რადგან ის ძუნწი ცნობებიც კი, რომელიც მის შესახებ არის შემორჩენილი, მოგვითხრობს ისეთ ღონისძიებებზე, რომელთა გატარება ერთ-ორ თვეში (და შესაძლოა, ექვსშიც) პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა: დავით V-მ მოახერხა ორბელთა უაღრესად გავლენიანი გვარის შევიწროება, ჩამოართვა მათ ამირსპასალარის სახელო და სხვა დანიშნა ამ ადგილზე,¹¹ მოასწრო სამეფოს შიგნით ძალთა გადანაწილება, არასასურველ დიდებულთა რეპრესიები¹² და ახალი დასაყრდენის შექმნა,¹³ მოჭრა ფული,¹⁴ მოლაპარაკებები გამართა სომეხთა მეფე კვირიკესთან და აპირებდა მის მოწვევას,¹⁵ ასევე აპირებდა ქართულ-სომხური საეკლესიო კრების მოწვევას და დანყებულნი ჰქონდა ამისათვის მზადება.¹⁶ მხითარ აირივანეცი მუსლიმებთან დავითის მიერ გადახდილ ბრძოლაზე და მის გამარჯვებაზეც მოგვითხრობს.¹⁷ გარკვეული დრო დასჭირდებოდა მის წინააღმდეგ უკმაყოფილების მომნიჭებას და შეთქმულების ორგანიზებასაც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ბევრად უფრო რეალური ჩანს

ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I (თბილისი, 1955), 366.

⁸ ამ თარიღებთან დაკავშირებით გიორგი ლაშას დროინდელი მემატინის სანდოობის შესახებ, იხ. ჯოჯუა, „საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი“, 509-10, მენ. 5.

⁹ ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, 145.

¹⁰ ნინო თორთლაძე, „სამეფო ანეცის ქრონიკის ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, IX (2000), 79.

¹¹ ვარდან არეველცი, *მსოფლიო ისტორია*, 145.

¹² „ამოსწყვიტა ამის სამეფოსა დიდებულნი რომელნიმე ექსორია-ქმნითა, რომელნიმე სიკუდილითა და რომელნიმე განპატიჟებითა“. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II (თბილისი, 1959), 18.

¹³ იხ. მისი დამოკიდებულება სომეხ იმხანებთან და თბილისის მმართველ ვასაკთან. ლიანა დავლიანიძე, „მხითარ გომის „ალბანეთის ქრონიკა“, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, II (1968), 46.

¹⁴ დავით V-ის მონეტებისათვის იხ. გოჩა ჯაფარიძე, „ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები)“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 4 (1989).

¹⁵ დავლიანიძე, „მხითარ გომის „ალბანეთის ქრონიკა“, 47.

¹⁶ იქვე, 47.

¹⁷ თუ ეს ცნობა ანაქრონიზმი არ არის. მხითარ აირივანეცი, *ქრონოგრაფიული ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა (თბილისი, 1990), 81, 109.

სამუელ ანეცის და სტეფანოს ორბელიანის ცნობები, რომელთა მიხედვით, დავით V-მ ორი წელიწადი იმეფა.¹⁸ ამ ვადას იზიარებს თ. ჯოჯუა: „გიორგი III-ის მეფედ კურთხევის 1157 წლით დათარიღება დავით V-ის სწორედ რომ ორწლიანი მმართველობის სასარგებლოდ მეტყველებს“.¹⁹

ასე რომ, 1157 წელს გარდაცვლილი დავითი 1155 წელს, იენისის თვემდე და შესაძლოა იანვარშიც, უნდა იყოს გამეფებული. მანამდე ტახტზე დემეტრე I-ია. 1155 წელს, როგორც ჩანს, პირველ ნახევარში,²⁰ გადაწერილი ხელნაწერი სწორედ ამ რეალობას ასახავს. სვინაქსარი რომ 1156 წელს იყოს გადაწერილი, საქართველოს მეფედ დემეტრეს ველარ მოიხსენიებდა.

ჩანს, რომ ხელნაწერის დაწერის თარიღად, და შესაბამისად, მოსახსენებლების შესრულების ქვედა ზღვრად, 1155 წლის მიჩნევა უფრო მართებულია.

ახლა კი ის საკითხი განვიხილოთ, რომელიც მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია და რამაც გადაგვანყვეტინა კიდეც კალმის ხელმეორედ აღება.

H1661 ხელნაწერი, ე.წ. გოლგოთის სვინაქსარი ხუცეს-მონაზონმა გიორგი დოდისმა გადაწერა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ამ ხელნაწერზე დატანილია მინაწერები, რომლებიც მისი გოლგოთისადმი კუთვნილებას მოწმობს: „ესე სვინაქსარი აღდგომის საფლავისა არის“; „ესე წმიდა წიგნი წმიდის გოლგოთისა არს ძმანო უწყოდეთ“.²¹ მეორე მინაწერი აშკარად გვიანდელი არის, პირველი კი, ვ. კეკელიას დაკვირვებით, ძირითადი ტექსტის მსგავსია, რის საფუძველზეც იგი თვლის, რომ სვინაქსარზე არსებული ჯვაროსნების მოსახსენებლები გოლგოთაზე ჩაიწერა. მისი აზრით, „ეს ხელნაწერი იმითიც არის საინტერესო, რომ წარმოადგენს უტყუარ დოკუმენტს იმისას, რომ XII საუკუნეში ჯვაროსნების მიერ იერუსალიმის დაკავების შემდეგ ქართველებს უფლის საფლავის ტაძართან კავშირი არ გაუწყვეტიათ. როგორც Jer.Geo.24-25 ხელნაწერის მინაწერები ასახავენ ჯვრის მონასტრისა და იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიას, ასევე, გოლგოთის სვინაქსარის მინაწერები უფლის საფლავში ქართველების მოღვაწეობის ისტორიას შეიცავენ. H-1661 ხელნაწერზე ჯვაროსნების მოსახსენებლების ჩაწერა გოლგოთაზე, უფლის საფლავის ტაძარში, უნდა მომხდარიყო და არა ჯვრის მონასტერში“.²²

¹⁸ თორთლაძე, „სამუელ ანეცის ქრონიკის ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი“, 79; სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა (თბილისი, 1978), 40.

¹⁹ ჯოჯუა, „საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი“, 517, შენ. 27.

²⁰ აქ უნდა გავითვალისწინოთ ის 1-2 თვეც, რაც დემეტრეს ტახტიდან გადადგომის ცნობას იერუსალიმში ჩამოსასვლელად დასჭირდებოდა.

²¹ მეტრეველი, „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“, 38.

²² ვლადიმერ კეკელია, „ქართულ სინოდიკონებში დაცულ ჯვაროსანთა მოსახსენებლების პროსოპოგრაფიული შესწავლის საკითხისათვის“, *საისტორიო კრებული*, 1 (2011), 393.

შესაბამისად, ვ. კეკელია თვლის, რომ ჩემი შეხედულება H1661 ხელნაწერზე დატანილი მოსახსენებლების იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ჩანერის შესახებ მცდარი და „გაუგებარია“. სამწუხაროდ, ამ „გაუგებარი“ მოსაზრების გამოთქმის პატივი მე სრულებითაც არ მეკუთვნის, ის ელენე მეტრეველმა გამოთქვა და მას შემდეგ, 60 წელია (ჩემის ჩათვლით) იმეორებს ქართული ისტორიოგრაფია.

ე. მეტრეველი თვლიდა, რომ ტამპლიერები შესანიშნავს ჯვრის მონასტერს წირავდნენ და მოსახსენებლებსაც აქ აწერინებდნენ, რადგან „სავარაუდოა, რომ ეს სვინაქსარი ამ დროისათვის ჯვრის მონასტრის საკუთრება იყო, ვინაიდან ალაპი ჩვეულებრივ ასეთი მიმართვით იწყება: „ჯვარო პატიოსანო“, „ჯვარო განმაცხოველებელო“.²³

თავისთავად, მოსაზრება, რომელსაც ვ. კეკელია მხოლოდ ერთი მინანქრის მისეული ანალიზის კვალობაზე, ისიც სათანადო კონტექსტის გათვალისწინების გარეშე გვთავაზობს, სხვა რომ არა, მეტად თამამია. საქმე ისაა, რომ გოლგოთაზე ჯვაროსანთა მოსახსენებლების ჩასაწერად ერთი აუცილებელი პირობა იყო საჭირო: XII საუკუნეში გოლგოთა, ან თუნდაც მისი ნაწილი, ქართველთა ხელში უნდა ყოფილიყო, სადაც ისინი უცხოელ პილიგრიმთა და მათ შესანიშნავთა მიღებას შეძლებდნენ.

ქართველთა მიერ გოლგოთის ფლობის საკითხი კარდინალური მნიშვნელობისაა წმინდა მიწის ქართულ ისტორიოგრაფიაში და მას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა. მოსაზრება, რომელსაც ვ. კეკელია გვთავაზობს, განსხვავდება მიღებული თვალსაზრისისაგან, რის გამოც იგი სათანადო ყურადღებას იმსახურებს.

აღსანიშნავია, რომ ჯვაროსანთა მოსახსენებლები „სვინაქსარის პირველ ფურცელზეა თავმოყრილი... როგორც ჩანს, I ფურცელი განსაკუთრებით საპატიო ადგილად იყო მიჩნეული“.²⁴ სადავო მინანქრი კი ხელნაწერის მეორე გვერდის უკანა პირზეა მოთავსებული. ეს კი ეჭვს აღძრავს, რომ მინანქრი მოსახსენებლებზე უფრო გვიანდელია.

ხელნაწერი თავიდანვე გოლგოთისათვის რომ ყოფილიყო გამიზნული, უპრიანი იყო ეს კუთვნილება ხელნაწერის ანდერძშივე აღენიშნათ, აქ კი მხოლოდ ჯვრის მონასტერზეა საუბარი. რატომ უნდა აღენიშნა გადამწერელს ხელნაწერის კუთვნილება მინანქრის სახით, როდესაც ეს შეეძლო ანდერძშივე გაეკეთებინა?

ჯვაროსანთა მოსახსენებლები გოლგოთაზე რომ იყოს შესრულებული, მოსალოდნელი იქნებოდა, რომ ერთხელ მაინც შეგვხვედროდა ქრისტეს საფლავისადმი მიმართვა. შედარებისათვის, ადდგომის ეკლესიის კარიბჭეზე XIII-XV საუკუნეებში ამოკანრულ ქართველ მლოცველთა წარწერებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ასეთი ფორმულირებები: „საფლავო ქრისტესაო შეიწყალე

²³ მეტრეველი, „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“, 47.

²⁴ იქვე, 48.

სოფრონ“, „ჯუარო ქრისტესაო და საფლავო ქრისტესაო შეინყალე ჯვარაძე“, „საფლავო ქრისტესაო შეინყალე სული ჩემი“.25 ასეთივე მიმართვას ვპოულობთ ერთ-ერთი იერუსალიმური ხელნაწერის XIV საუკუნის მოსახსენებელში: „ქრისტეს საფლავო, მილხინე მე, ცოდვილსა გერმანოზს ჯუარის მამას და ცოდვები შეუნდვენ“.26 ჩვენთვის საინტერესო მოსახსენებლებში კი ხაზგასმით მიმართავენ ქრისტეს ჯვარს („ჯუარო პატიოსანო“, „ჯვარო განმაცხოველებლო“) და არა მის საფლავს.

ბოლოს და ბოლოს, დანამდვილებით ვიცით, რომ სვინაქსარი გადაინერა ჯვრის მონასტერში: „დაინერა წიგნი ესე წმიდა ქალაქსა იერუსალიმსა მონასტერსა შინა ჯვრისასა“.27 ე.ი. დაწერის დროისთვის სვინაქსარი ჯვრის მონასტერშია. შემდგომ, მასზე ჩნდება სხვადასხვა სახის მინაწერები, ჯვაროსანთა მოსახსენებლების ჩათვლით, რომლებშიც „ჯვარ პატიოსანს“ შესთხოვენ შემწეობას. რა უფრო სარწმუნოა, ის, რომ ხელნაწერზე მინაწერები ჯვრის მონასტერშივე გაკეთდა თუ ის, რომ ხელნაწერმა გადაინაცვლა გოლგოთაზე, ქართველთა სამლოცველოში (რომლის კვალიც კი არ ჩანს XII საუკუნეში) და იქ გაკეთდა ჩანაწერები, რომლებიც არც კი ახსენებენ უფლის საფლავს?

მაგრამ კმარა ვარაუდები და ჰიპოთეზები, მოვუხმოთ ფაქტებს.

გოლგოთის მნიშვნელობის შესახებ საუბარი ზედმეტად მიმაჩნია. „მთელი საქრისტიანოს ეს უწმინდესი ტაძარი“, როგორც მას გრიგოლ ფერაძე უწოდებს,²⁸ ყოველთვის იყო ქრისტიანული სამყაროს ყურადღების ცენტრში. მისი ფლობა არ გახლდათ რიგითი მოვლენა და ჩვეულებრივი ტაძრის (თუნდაც იერუსალიმში) ფლობისაგან დიდად განსხვავდებოდა. ქართველთა მიერ გოლგოთის ყოველ დაუფლებას წინ უძღოდა დიპლომატიური მანევრები და, რაც მთავარია, ხელსაყრელი პოლიტიკური გარემო. ქართველები წმინდა მინაზე საკუთრებას იძენდნენ (ან კარგავდნენ) თანადროული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად. ასე იყო XI საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც ქართველებმა შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობით ისარგებლეს და ჯვრის მონასტერი ააშენეს; ასე იყო XI საუკუნის შუახანებში, როდესაც ქართველებმა ბიზანტია-ფატიმიანთა წინააღმდეგობით ისარგებლეს და პირველად დაეუფლნენ გოლგოთას.²⁹

²⁵ გიორგი გაგოშიძე, „ქართველ მლოცველთა წარწერები იერუსალიმის უფლის საფლავის კარიბჭეზე“, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1 (1992), 138-43.

²⁶ ელენე მეტრეველი, *მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.)* (თბილისი, 1962), 36.

²⁷ მეტრეველი, „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“, 38.

²⁸ გრიგოლ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ*, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ (თბილისი, 1995), 91.

²⁹ გოჩა ჯაფარიძე, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე“, *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, IV (თბილისი, 2005), 139-46. უფრო გვიან, გოლგოთის დასაუფლებლად ქართველთა დიპლომატიური

რაც მთავარია, ფატიმიანთათვის (შემდგომ კი სხვა მუსლიმ მმართველთათვის) პრინციპულად სულერთი იყო, თუ რომელი ქრისტიანული სახელმწიფოს ხელში იქნებოდა გოლგოთა.

სულ სხვა ვითარება შეიქმნა 1099 წელს, როდესაც წმინდა მიწას ჯვაროსნები დაეუფლნენ. ქრისტეს საფლავი ჯვაროსნული ლაშქრობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. ლაშქრობის ყველა მონაწილე, ფულხერიუს შარტრელი,³⁰ პეტერ ტუდებოდი,³¹ რაიმონ აჟილელი,³² *Gesta Francorum*-ის ავტორი³³ მოგვითხრობს, რომ 15 ივლისს, იერუსალიმის აღებისთანავე, ჯვაროსნებმა აღდგომის ეკლესიას და მაცხოვრის საფლავს მიაშურეს. უადრესი შემორჩენილი ლათინური საეკლესიო ტექსტები მოწმობს, რომ ჯვაროსნებმა აღდგომის ეკლესია დაპყრობის უმალ დაისაკუთრეს.³⁴ რაიმონ აჟილელის მიხედვით, ფრანკთა პატრიარქის არნულფის ერთ-ერთი პირველი ქმედება, აღდგომის ტაძრის სამლოცველოებიდან აღმოსავლელ ქრისტიანთა გამოძევება იყო.³⁵ ფულხერიუს შარტრელის მოწმობითაც, ჯვაროსანთა ერთი-ერთი უპირველესი საზრუნავი აღდგომის ეკლესია ჩანს. იერუსალიმის დაპყრობისა და მეფის არჩევის უმალ, მათ ლათინი სამღვდლოება აღდგომის ეკლესიაში განაწესეს.³⁶

აღდგომის ეკლესიას ყურადღება არ აკლდა შემდგომ წლებშიც, როდესაც პალესტინისაკენ დაძრულმა მრავალმა პილიგრიმმა მოინახულა ტაძარი და დაგვიტოვა მისი აღწერილობა.³⁷ პილიგრიმებს აინტერესებდათ ყველაფერი, რაც წმინდა ადგილებთან იყო დაკავშირებული. ისინი ავგინერენ ტაძრის არქ-

ძალისხმევის შესახებ, იხ. დავით ნინიძე, „გოლგოთის საკითხი XIV-XV სს. ქართულ დიპლომატიკაში“, *ქართული დიპლომატიკა*, 2 (1995), 203-8.

³⁰ Fulcher of Chartres, *A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127*, trans. Frances Rita Ryan, ed. Harold S. Fink (New York, 1973), 123.

³¹ Peter Tudebode, *Historia de Hierosolymitano Itinere*, translated with introduction and notes by John Hugh Hill and Laurita L. Hill (Philadelphia, 1974), 119.

³² Raymond D'Aguilers, *Historia Francorum Qui Ceperunt Iherusalem*, translated with introduction and notes by John Hugh Hill and Laurita L. Hill (Philadelphia, 1968), 128.

³³ *Gesta Francorum: The Deeds of the Franks and the other Pilgrims to Jerusalem*, ed. by Rosalind Hill (New York, 1962), 92.

³⁴ Denys Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem*, vol. III (Cambridge, 2007), 12.

³⁵ Raymond D'Aguilers, *Historia Francorum Qui Ceperunt Iherusalem*, 131; *The First Crusade: The Chronicle of Fulcher of Chartres and Other Source Materials*, ed. by Edward Peters (Philadelphia, 1998), 263; Bernard Hamilton, *The Latin Church in the Crusader States: The Secular Church* (London, 1980), 14, 161. სხვა აღმოსავლელ ქრისტიანებთან ერთად, ფრანკების მიერ ქართველთა გამოძევებას იერუსალიმის მონასტრებიდან მათეოს ურჰაეციც ახსენებს, თუმც კი თავის თხრობას ლეგენდარულ საბურველში ხვევს. *The Chronicle of Matthew of Edessa*, translated from the Original Armenian with a Commentary and Introduction by Ara Edmond Dostourian (Lanham, 1993), 178-9.

³⁶ Fulcher of Chartres, *A History of the Expedition to Jerusalem*, 124.

³⁷ პილიგრიმთა ჩანაწერები ფასდაუდებელი წყაროა წმინდა მიწის ისტორიისათვის, რაც გრიგოლ ფერაძემ აჩვენა ქართული მონასტრების მაგალითზე.

იტექტურას, შიდა მორთულობას, მოზაიკას, წარწერებს (მათ შორის ბერძნულ-საც), საფლავზე ანთებულ კანდელებს და სხვ. მათი აღწერებით შესაძლებელია აღდგომის ეკლესიის პირველსახე და შემდგომი არქიტექტურული ტრანსფორმაციებიც კი წარმოვიდგინოთ.³⁸ აღდგომის ეკლესია აღწერილია 1103 წლის ანონიმურ ტექსტში, პირველი ანონიმის (1100), გერმანელი ანონიმის (1102-6), *de Situ Urbis* ავტორის (-1114), რორგო ფრეტელუსის (1137), ბელარდ ასკოლელის (1160-მდე), ისლანდიელი პილიგრიმის (1160-იანი), ოტმარის (1165), იოანე ფოკას (1185) და სხვათა მიერ. განსაკუთრებით დეტალურია ზევულფის (1103-4), რუსი ილუმენის დანიელის (1106-8), იოჰან ვიურცბურგელის (1165) და თეოდორიკის (1172) აღწერილობები.³⁹ არც ერთი მათგანი არ ახსენებს ქართველთა ყოფნას აღდგომის ეკლესიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ მიერ გოლგოთის ფლობაზე.⁴⁰ ამავე დროს, იგივე დანიელი, თეოდორიკი, იოანე ფოკა აღნიშნავენ ქართველების ყოფნას წმინდა მიწის სხვა სავანეებში, რაც სხვა მონაცემებითაც დასტურდება.⁴¹

სხვა რომ არა, გოლგოთის მთის ძირი იერუსალიმის ლათინ მეფეთა განსასვენებელს წარმოადგენდა.⁴² ბუნებრივია, ლათინები იქაურობას არავის გააკარებდნენ. XIV საუკუნეში ეს საფლავები უკვე ქართველთა სამლოცველოშია,⁴³ რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს ადგილი ქართველთა ხელთ მოგვიანებით აღმოჩნდა და XII საუკუნეში არ შეიძლება მათი ყოფილიყო.

უადრესი ცნობა, რომელიც XI საუკუნის შემდგომ ქართველთა მიერ გოლგოთის ფლობაზე მიუთითებს, 1308 წლით თარიღდება.⁴⁴ ეს ვითარება აისახა კიდევ პილიგრიმთა ჩანაწერებში, რომლებიც უკვე ქართველთა შესახებაც მოგვითხრობენ. ლუდოლფ ზუდჰაიმი, არქიმანდრიტი აგრეთენიოსი, დიაკ-

³⁸ 1100 წლის პილიგრიმის ტექსტი, რომელიც დართული აქვს *Gesta Francorum*-ს, მაცხოვრის საფლავის ქვის ზომებსაც კი გადმოგვცემს. *Gesta Francorum*, 103.

³⁹ *Jerusalem Pilgrimage 1099-1185*, ed. by John Wilkinson with Joyce Hill and W. F. Ryan (London, 1988), 87, 90, 101-3, 118, 127-30, 166-71, 177-8, 220-1, 229, 261-3, 278-87, 324; Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem*, 13-30.

⁴⁰ არც 1244 წელს, ხვარაზმელთა მიერ იერუსალიმის აოხრების დროს, აღდგომის ეკლესიაში დახოცილი სხვადასხვა ეროვნების სამღვდელოების ჩამონათვალში ჩანან ქართველები. Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem*, 32.

⁴¹ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 28-32.

⁴² ამ პატივის ღირსი დედოფლებიც კი არ გამხდარან. Pringle, *The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem*, 16-7. 1131 წლიდან მოყოლებული, აღდგომის ტაძარშივე ადგამდნენ გვირგვინს იერუსალიმის მეფეებს. იქვე, 17.

⁴³ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 95.

⁴⁴ 1910 წელს ტ. თემელისის მიერ დაბეჭდილი ეს ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილი იყო, როგორც „ბერძნული საპატრიარქოს „ოფიციალური“ ანგარიში“. ცნობის მიმართ არსებული სკეპტიციზმის და მისი პოზიტიური ნაწილის შესახებ იხ. გოჩა ჯაფარიძე, „სულთან ბარკუუკის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანცისკელთა სამეურვეოს არქივიდან“, *ქართული დიპლომატია*, 9 (2002), 675-9.

ვანი ეგნატე და სხვანი, მრავალ საინტერესო ცნობას გვანვდიან XIV საუკუნეში გოლგოთაზე ქართველთა ყოფნის შესახებ.⁴⁵

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული ქართველთა მიერ გოლგოთის ფლობის პერიოდები შეჯამებული სახით ის მოცემულია გ. ჯაფარიძის ნაშრომში: „უფლება გოლგოთის ნაწილის ფლობისა ქართველებმა ჯერ კიდევ XI ს-ის შუახანებში მოიპოვეს. იერუსალიმში ჯვაროსანთა ბატონობის დროს (1099-1187) აღდგომის, ანუ წმინდა საფლავის ეკლესიის კომპლექსი, რომელშიც შედიოდა გოლგოთაც, მთლიანად ლათინთა ხელთ აღმოჩნდა. ხელახლა ქართველები გოლგოთაზე მხოლოდ XIV ს-ის პირველ ათწლეულში დაბრუნდნენ“.⁴⁶ გოლგოთის კუთვნილება არასოდეს გამხდარა საეჭვო გრიგოლ ფერაძისთვისაც: „ლათინთა მმართველობის დროს, ბუნებრივია, ის ლათინებს ეკუთვნოდა“.⁴⁷ ამავე აზრს იზიარებს რენე ჟანენიც, რომელიც წერს: „ფაქტია, რომ ჯვაროსნობის დროის მემატრიანეთა შორის არც ერთს არ აქვს აღნიშნული ქართველების ყოფნა გოლგოთაზე“.⁴⁸

როგორც ვხედავთ, ვ. კეკელიას მოსაზრება ჯვაროსანთა მოსახსენებლების გოლგოთაზე ჩანერის შესახებ, უსაფუძვლო და საერთო კონტექსტიდან მონყვეტილი ჩანს. კვლავ ძალაში რჩება ე. მეტრეველის თვალსაზრისი, H1661 ხელნაწერის მოსახსენებლების იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ჩანერის შესახებ.

ერთადერთი, რაშიც უსიტყვოდ უნდა დავეთანხმო ვ. კეკელიას, გახლავთ ის, რომ ჩემს კვლევაში მოსახსენებლების რიგი ნამდვილად არეულია; მცდარია დასკვნაც წმინდა მიწაზე შერეული ოჯახის არსებობის შესახებ, რაც არასწორად დაბეჭდილმა მოსახსენებელმა გამოიწვია. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ეს ხარვეზები გამოიწვია აქამდე გამოქვეყნებულ ტექსტებში დაშვებულმა სასტამბო შეცდომებმა, რომლებიც, სამწუხაროდ, ამდენი ხნის განმავლობაში, ხელმეორედ გამოცემის დროსაც კი, გაუნწორებელი რჩებოდა.⁴⁹ სასიამოვნოა, რომ ერთ-ერთი რეალური შედეგი, რაც ამ დისკუსიას მოყვა, სწორედ ამ ტექსტობრივი შეცდომების გასწორება და აქამდე უცნობი მოსახსენებლის პუბლიკაციაა.⁵⁰

⁴⁵ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 37-40.

⁴⁶ ჯაფარიძე, „სულთან ბარკუუკის ორი ბრძანებულება“, 675.

⁴⁷ ფერაძე, *უცხოელ პილიგრიმთა ცნობები*, 91.

⁴⁸ რენე ჟანენი, „ქართველები იერუსალიმში“, *რელიგია*, 10 (1992), 8.

⁴⁹ შეადარე ახლახან გამოცემულ კრებულს: ელენე მეტრეველი, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი* (თბილისი, 2007).

⁵⁰ უნდა ითქვას, რომ ამ შეცდომების გასწორებას უკვე მოჰყვა შედეგი და გამოავლინა აქამდე უცნობი ჯვაროსანი – გიომ მარბალი. ქართული მოსახსენებლის მარბალ მიუთითებს მირაბელზე, საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილზე და ციხეზე, რომელიც იერუსალიმის სამეფოში, რამლადან 20 კმ-ით ჩრდილოეთით მდებარეობდა. მისი რიგითობით თუ ვიმსჯელებთ, მოსახსენებელი 1163-66 წლებში უნდა იყოს დაწერილი. იგი მოქცეულია ჟოფრუა ფუშეს და ფილიპე ნაბლუსელის მოსახსენებლებს შორის, ანუ მისი დაწერის თარიღი 1163-66 წლების შუალედში თავსდება. ამ დროს მირაბელი უკვე იბელინების გვარის მფლობელობაში იმყოფებოდა. ბალდუინ იბელინი მირაბელის მფლობელად 1162 წლიდან იხსენიება. Denys Pringle,

ბიბლიოგრაფია

გაგოშიძე გიორგი. ქართველ მლოცველთა წარწერები იერუსალიმის უფლის საფლავის კარიბჭეზე. მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, 1992

დავლიანიძე ლიანა. მხითარ გოშის „ალბანეთის ქრონიკა“. ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968

ვარდან არეველცი. მსოფლიო ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შოშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ. შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ. თბილისი, 2004

თორთლაძე ნინო. სამუელ ანეცის ქრონიკის ტექსტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. ქართული წყაროთმცოდნეობა, IX, 2000

ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. II. თბილისი, 1959

ლაშა გიორგის-დროინდელი მემატინე. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I. თბილისი, 1955

მეტრეველი ელენე. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948

მეტრეველი ელენე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.). თბილისი, 1962

მეტრეველი ელენე. ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. თბილისი, 2007

მხითარ აირივანეცი. ქრონოგრაფიული ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლიანა დავლიანიძე-ტატიშვილმა. თბილისი, 1990

ნინიძე დავით. გოლგოთის საკითხი XIV-XV სს. ქართულ დიპლომატიაში. ქართული დიპლომატია, 2, 1995

ჟანენი რენე. ქართველები იერუსალიმში. რელიგია, 10, 1992

სიხარულიძე ეთერ. ალ-ფარიკის ცნობა დემეტრე I-ის გარდაცვალების შესახებ. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, II, 1999

სტიფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგ-

“The Castle and Lordship of Mirabel,” in *Montjoie: Studies in Crusade History in Honour of Hans Eberhard Mayer*, ed. by Benjamin Z. Kedar, Jonathan Riley-Smith and Rudolf Hiestand (Aldershot, 1997), 97. გიომ მარბალი უნდა იყოს მირაბელის ვიკონტი. საინტერესოა, რომ მირაბელის ვიკონტის ადგილი ვაკანტური ჩანს სწორედ 1162-1165 წლების შუალედში. 1162 წელს ვიკონტი ვინმე რობერტია, 1165-77 წლებში კი ვალტერი. Pringle, “The Castle and Lordship of Mirabel,” 97. თარიღების ასეთი დამთხვევა კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ჟოფრუა ფუშეს და ფილიპე ნაბლუსელის მოსახსენებლების ჩვენეული დათარიღება სწორი უნდა იყოს.

რაც შეეხება ოტოს კარპონს, მისი სახელი ძალიან ჰგავს ოტო კერპენის სახელს, რომელიც ტევტონთა ორდენის მაგისტრი იყო 1200-08 წლებში. თუმცაღა, მაგისტრი სიცილიიდან არ ყოფილა (კერპენების გვარი რაინის მხარეში სახლობდა) და საეჭვოა, რომ მას საერთოდ ჰყოლოდა საკუთარი ოჯახი და ჩამომავლობა. Christian von Stramberg, *Denkwürdiger Und Nützlicher Rheinischer Antiquarius*, abth. I, bd. 2 (Coblenz, 1853), 380.

მანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბილისი, 1978

ფერაძე გრიგოლ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ. თბილისი, 1995

წურნუშია მამუკა. ჯვაროსანთა მოსახსენებლები იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერებში. ქართველოლოგია, 6, 2010

ჯაფარიძე გოჩა. ქართული მონეტები არაბული ზედწერილებით (დავით V-ის სპილენძის მონეტები). მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, 1992

ჯაფარიძე გოჩა. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ მესამედში. თბილისი, 1995

ჯაფარიძე გოჩა. სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანცისკელთა სამეურვეოს არქივიდან. ქართული დიპლომატია, 9, 2002

ჯაფარიძე გოჩა. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დაარსება XI ს. 30-იანი წლების ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიის შუქზე. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV, 2005

ჯოჯუა თემო. საქართველოს მეფის გიორგი III-ის აღსაყდრების თარიღი 1160 წელს გარეჯში გადანერგილი ხელნაწერის (Ven.4-ის) ანდერძის მიხედვით. კრ. ოჩხარი. ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი. თბილისი, 2002

The Chronicle of Matthew of Edessa. Translated from the Original Armenian with a Commentary and Introduction by Ara Edmond Dostourian. Lanham, 1993

The First Crusade: The Chronicle of Fulcher of Chartres and Other Source Materials. Ed. by Edward Peters. Philadelphia, 1998

Fulcher of Chartres. A History of the Expedition to Jerusalem 1095-1127. Trans. Frances Rita Ryan, ed. Harold S. Fink. New York, 1973

Gesta Francorum: The Deeds of the Franks and the other Pilgrims to Jerusalem. Edited by Rosalind Hill. New York, 1962

Hamilton, Bernard. The Latin Church in the Crusader States: The Secular Church. London, 1980

Jerusalem Pilgrimage 1099-1185. Edited by John Wilkinson with Joyce Hill and W. F. Ryan. London, 1988

Peter Tudebode. Historia de Hierosolymitano Itinere. Translated with Introduction and Notes by John Hugh Hill and Laurita L. Hill. Philadelphia, 1974

Pringle, Denys. The Castle and Lordship of Mirabel. In *Montjoie: Studies in Crusade History in Honour of Hans Eberhard Mayer*. Ed. by Benjamin Z. Kedar, Jonathan Riley-Smith and Rudolf Hiestand. Aldershot, 1997

Pringle, Denys. The Churches of the Crusader Kingdom of Jerusalem. Vol. III. Cambridge, 2007

Raymond D'Aguilers. Historia Francorum Qui Ceperunt Iherusalem. Translated with Introduction and Notes by John Hugh Hill and Laurita L. Hill. Philadelphia, 1968

Stramberg, Christian von. Denkwürdiger Und Nützlicher Rheinischer Antiquarius. Abth. I, Bd. 2. Coblenz, 1853

XIX

ვალერი სილოგავა სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2004, 369 გვ.

ნათელა ვაჩნაძე

ისტორიკოსის ხელობა და, თუ გნებავთ, ხელოვნება მრავალ სხვა მხარესთან ერთად კიდეც ერთს, ძალზე ყურადსაღებსა და მნიშვნელოვანს, შეიცავს: რამდენად ფლობს ისტორიკოსი ისეთი დარგების მონაცემებს, როგორცაა პალეოგრაფია, ხელნაწერთმცოდნეობა, ისტორიული გეოგრაფია, ნუმიზმატიკა, სფრაგისტიკა, კოდიკოლოგია... ამ მწკრივში საპატიო ადგილი ეპიგრაფიკას უკავია. ეს დარგები ათწლეულების მანძილზე ისტორიის დამხმარე დისციპლინებად სახელდებოდნენ. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ დამხმარე დისციპლინათა კათედრა, ერთადერთი მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში, მოსკოვის საისტორიო-საარქივო ინსტიტუტში არსებობდა, რომელიც უძლიერეს უმაღლეს სასწავლებლად ითვლებოდა, და ეს სიძლიერე სწორედ ამ დარგებისადმი ყურადღებით გახლდათ განპირობებული. სპეციალურმა სასწავლო პროგრამებმა, სახელმძღვანელოებმა, მონოგრაფიებმა, სამეცნიერო ჟურნალებმა საფუძველი შეუქმნა თითოეული ამ დარგის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბებას, მათ შორის ეპიგრაფიკასაც.

საქართველოში ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლენის, გაშიფვრის, შინაგანი და გარეგანი კრიტიკის, ტექსტის ნაკითხვის, აღდგენისა და კომენტირების ტრადიცია არსებობს; იგი, საბედნიეროდ, დღესაც გრძელდება, მაგრამ, სამწუხაროდ, საგანგებოდ ამ დარგში მომზადებული სპეციალისტი თითო-ოროლა თუ გვყავს. თუ ძველად ტაძრებზე წარწერათა შესწავლა ამ ძეგლის შემსწავლელი ხელოვნებათმცოდნის ხვედრი გახლდათ, უკვე კარგა ხანია წარწერა ტაძარს, როგორც კულტურულ მემკვიდრეობას, „გაემიჯნა“ და ეპიგრაფისტის შესწავლის საგნად იქცა. ამის ნათელი მაგალითი თავად სარეცენზიო ნაშრომის ავტორი გახლავთ, რომელიც არაერთი ხელოვნებათმცოდნის მიერ ყოფილა მიწვეული. და რაოდენ სასიხარულოა, რომ საქართველოს ეროვნული აკადემიის მიერ დაარსებული *ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის პრემია* 2009 წელს სწორედ პირველს, წინამდებარე წიგნის ავტორს, ბატონ

ვალერი სილოგავას – ცნობილ ეპიგრაფისტს, დაულალავ მუშაკს და დარგის მოჭირნახულეს ერგო. პრემიის მინიჭება მხოლოდ იმ ერთ მეცნიერს კი არ შეაფასებს ან დააფასებს, ჭეშმარიტი შემფასებლისთვის მონოგრაფიაც საკმარისია ავტორის ღვაწლის ნათელსაყოფად; პრემია თავად დარგის დაფასებაა, მისი როლისა და მნიშვნელობის ამაღლება და სტიმული ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და მომზადებისთვის. ადამიანები მივდივართ და მოვდივართ, უკვდავი მხოლოდ დარგია და ის წვლილი, რომელსაც თითოეული მეცნიერი თავისი დარგის განვითარებაში შეიტანს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვალერი სილოგავას თავაუღებელი ორმოცწლიანი მუშაობის შედეგები ქართულ, და არა მხოლოდ ქართულ, სამეცნიერო საზოგადოებას კარგად მოეხსენება. სარეცენზიო ნაშრომი ამ შრომის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა.

„სამეგრელო-აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკა“ შედგება წინასიტყვაობისა (ერთი ენა, ერთი რწმენა, ერთი ქვეყანა, გვ. 5-8), ძირითადი ნაწილისა (გვ. 9-253) და სამეცნიერო აპარატისგან, რომელშიც შედის: ბიბლიოგრაფია (გვ. 327-340) ქართულ, რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე, შემოკლებები (გვ. 341-342), სურათების სია (გვ. 343-345), პირთა, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებლები (გვ. 346-361), წარწერების ლექსიკის ინდექსი (გვ. 362-369).

სარეცენზიო ნაშრომის ძირითადი ნაწილი ოთხ მონაკვეთს მოიცავს, რომელთაგან თითოეულს ავტორი „ნაწილს“ უწოდებს და ასათაურებს იმ ძეგლის მიხედვით, რომლის (ტაძრის ან სხვა ნაგებობათა, სანათლავი, ციხის კოშკი და სხვ.) წარწერები არის განხილული, ანდა სულაც ნანგრევების გროვაში მოქცეული ეპიტაფიის ფრაგმენტს წარმოადგენს. ასე მაგალითად, ნაწილი I ჭყონდიდის ტაძრის ეპიგრაფიკას ეძღვნება, რომელიც იწყება შესავლით (გვ. 11-48), მას მოსდევს ტაძრის ლაპიდარული წარწერებისადმი მიძღვნილი ქვეთავი (გვ. 49-62), ტაძრის ნაკანრი წარწერები (*respicite*: გრაფიტები, გვ. 63-154), რასაც დამატების სახით მოყვება ორმოც მონამეთა ეკლესიიდან ნაკანრი წარწერა და ნოქალაქევის მიდამოებიდან ლაპიდარული წარწერის ფრაგმენტები, ნოჯიხევის რვააფსიდიანი ეკლესიიდან ეპიგრაფიკული ფრაგმენტები და შხეფის ციხის კოშკის წარწერა. დამატება ერთი სათაურის ქვეშაა მოქცეული და ავტორს მისთვის „ნოქალაქევის ქვეყნის“ ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებიდან“ დაურქმევია. აღნიშნული დამატებით სრულდება საუბარი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქართულ პროვინციაზე – სამეგრელოზე, რომელიც ჭყონდიდის ტაძრის და „ნოქალაქევის ქვეყნის“ ზოგი ეპიგრაფიკული ძეგლით გახლავთ წარმოდგენილი.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე ნაწილი სხვა უძველეს ქართულ პროვინციას – აფხაზეთს შეეხება, კერძოდ, ლიხნის ტაძრის ეპიგრაფიკისადმი მიძღვნილი. პირველ ქვეთავში განხილულია ტაძარში განთავსებული ისტორიული შინაარსის ფრესკული წარწერები, ხოლო მეორე ქვეთავში – წარწერების

ფრაგმენტები ტაძრის ქორედის კედლებზე. ნაშრომის მესამე ნაწილი ლიხნის განძის ქართული მონეტების წარწერებს ეძღვნება; წარმოდგენილია გაერთიანებული საქართველოს ორი მეფის – ბაგრატ IV-ისა და გიორგი II-ის მონეტებზე არსებული წარწერები, ხოლო დამატების სახით მოტანილია ორი მონეტის წარწერა: ერთი, მეფე გიორგი II-ისა კესაროსის ტიტულით, ხოლო მეორე, დავით აღმაშენებლის მონეტა სევასტოსის ტიტულით. ნაშრომის მეოთხე თავი კვლავ აფხაზეთში გვაბრუნებს, სადაც მის ლაპიდარულ და ქედურ წარწერებს გვაცნობს.

ავტორი თავიდანვე გვამცნობს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების შეგროვება მან ჯერ კიდევ 1970-72 წლებში საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას დაიწყო. იგივე სამეგრელოსაც შეეხება (გვ. 6). წარწერების უდიდესი ნაწილი აღრიცხა და შეისწავლა აფხაზი კოლეგებისა და ადგილობრივი აფხაზი მოსახლეობის დახმარებით. ავტორი დიდად მადლიერია მისდამი გამოჩენილი გულთბილი დამოკიდებულებისა და ხელშეწყობის გამო, მაგრამ განმეორდება კი ასეთი რამ, და თუკი განმეორდა, როდის? აფხაზეთი და მისი წარწერები ხელმიუწვდომელია ჩვენთვის, ამიტომაც დიდად ფასეულია ის ყველაფერი, რაც ვ. სილოგავამ აფხაზეთში ადრევე შეკრიბა და დღის სინათლეზე გამოიტანა. აფხაზეთის ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებთან დაკავშირებით ერთი სასიკეთო საქმეც მოხდა: 90-იანი წლების შუა ხანებში სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის, ბატონო თარეორ დანიას თხოვნით უნივერსიტეტისთვის მომზადდა პალეოგრაფი, ქალბატონი ლია ახალაძე, რომელსაც საკანდიდატო დისერტაციისთვის ბატონმა ვალერი სილოგავამ აფხაზეთში შეკრებილი წარწერების ნაწილი გადასცა, რასაც დაემატა ფრესკული წარწერები (ლიხნის წარწერების გამოკლებით). ვალერი სილოგავას მიერ თავის დროზე აფხაზეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ლაპიდარულმა ნაწილმა, X-XII საუკუნეების ქედურ წარწერებთან ერთად, წიგნის ცალკეული მონაკვეთი შექმნეს. სხვადასხვა დროს, სრულიად განსხვავებულ ვითარებაში, განსხვავებულ ძეგლებზე მუშაობის შედეგად გამოვლენილმა ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა თითქოს ერთგვარი ჭრელი სურათი წარმოგვიდგინეს, მაგრამ ეს არ არის არსებითი; არსებითია ის უმთავრესი დასკვნა, რომელიც ავტორმა უამრავი ძეგლის შესწავლის შედეგად მიიღო: „აფხაზეთი საერთო ქართული კულტურული სივრცის ორგანული ნაწილია ფართო მნიშვნელობით და გაგებით“ (გვ. 256).

შესაშურია ის გულმოდგინება, პროფესიისადმი უდიდესი სიყვარული და პატივისცემა, დიდი ერუდიცია, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ნათლად ჩანს. წარწერაში მოხსენიებული ყველა ძნელად ამოსაცნობი ლექსიკური ერთეული დაძვნილია საისტორიო თხზულებებში, გამოუქვეყნებელ, ჯერ კიდევ ფონდებში დაუნჯებულ, სასულიერო მწერლობის ძეგლებში, ჰაგიოგრაფიული თხზულებების უცხოენოვან თარგმანებში, აღაპებში, ანდერძ-მინაწერებში, მოსახსენებლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილ ლაპიდარულ,

ფრესკულ, ჭედურ ნარწერებში, საისტორიო დოკუმენტებში, გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ ლექსიკონებში... განსახილველ ნარწერებში მოხსენიებული პიროვნებებიც ასევე მრავალრიცხოვან წყაროებშია დაძებნილი; ზოგჯერ ორი, ზოგჯერ სამი პიროვნების იდენტიფიცირება ხდება. თითქმის ვერ შეხვედებით ძველად გამოცემულ ნარწერას, პირდაპირ რომ იყოს გადმოტანილი; მკვლევარი გვთავაზობს ახლებურ ნაკითხვას, ნარწერას ურთავს შენიშვნებს, რომლებშიც მოცემულია, უწინარეს ყოვლისა, პალეოგრაფიული ხასიათის მსჯელობანი, დასაშვები და სავარაუდო განსხვავებული ნაკითხვები თუ აღდგენები, 80 სურათი, გრაფიკული მონახაზები, ნარწერების ქრონოლოგიური საზღვრები, რომლებიც ხშირად, სხვა წყაროების ცნობათა შესწავლის და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საგრძნობლად გადანეულია, ერთგან, მაგალითად, 20 წლით, ქალბატონ ელენე მეტრეველის მიერ შემოთავაზებულ დათარიღებასთან შედარებით. წინამორბედებიდან, რა თქმა უნდა, უდიდესია ბატონ ექვთიმე თაყაიშვილის წვლილი, მაგრამ ერთგან მასაც ვერ შეუნიშნავს ჭყონდიდის მეტად მდიდარ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის¹ ოქროპირის ნარწერა (განსახილველი წიგნის გვ. 61, ნარწერა 7, თარიღდება XVII-XVIII სს-ით), რომელიც ტაძრის ჩრდ. ფასადზეა ამოკვეთილი. მას გარედან ახალი კედელი ფარავს, ხოლო ნარწერა ძველ და ახალ კედლებს შორის ამოყვანილი ქვის კიბის ავლის შემდეგ ექცევა მხედველობის არეში. ეს ნარწერა ექვთიმე თაყაიშვილს მოჰყავს მ. ბროსესეული პუბლიკაციის მიხედვით. ბატონ ვალერი სილოგავას იგი ადგილზე შეუსწავლია. ავტორი თარიღებთან დაკავშირებით ემყარება ქართველ მეფეთა ბიზანტიურ ტიტულატურას, ამ თვალსაზრისით ერთმანეთს უჯერებს სხვადასხვა რიგის წყაროთა (წერილობითი, ნუმიზმატიკური...) მონაცემებს და მთელ რიგ პასაჟებს უთმობს აღნიშნულ საკითხს. ყურადსაღებია მისი მონოდება, მომავალში წყაროთა კომპლექსურად შესწავლის შედეგად, დამუშავდეს სამეცნიერო თემა, რომელიც ქართულ-ბიზანტიურ ურთიერთობებს (ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მიხედვით) მიეძღვნება. ეს მშვენიერი აზრი, რა თქმა უნდა, გასაზიარებელია, მაგრამ, ვფიქრობ, საჭიროა ისეთი მკვლევარის გაზრდა, რომელსაც წუნს ვერავინ დასდებს ბიზანტიური ხანის ბერძნულისა და ძველი სომხური ენის ცოდნაში. ისეთი ტიპის ნაშრომი მაინც უნდა შეიქმნას, როგორც ცნობილმა ბიზანტინოლოგებმა შექმნეს სფრაგისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით, ლექსიკონი უნოდეს და ოთხ ტომად დაბეჭდეს. დასაწყისისთვის ესეც ძალზე სასარგებლო მგონია. უნდა იგულისხმებოდეს, რომ აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობისას მხოლოდ ქართული წყაროების გამოყენებით შორს ვერ წავალთ.

ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობები ერთადერთი თემა არ გახლავთ, რომლის უფრო ღრმად შესწავლასაც მკვლევარი გვთავაზობს. ასე იქცევა იგი

¹ მათთან ერთად უძველესი დროის, კერძოდ, X საუკუნის ლაპიდარული ნარწერებიც იგულისხმება.

ზოგ წარწერაზე მსჯელობისას, როდესაც ეჭვი ეპარება ან აღდგენაში, ან ინტერპრეტაციაში, ან დათარიღებაში. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა გაცილებით სწორია, ვიდრე გაჯიუტებულ მკვლევართა, რომელთაც ვერაფერს გადაათქმევიანებ, რაგინდ დამაჯერებელი არგუმენტები არ უნდა მოუტანო.

და კიდევ ერთი რამ: სხვადასხვა დროს და განსხვავებულ ძეგლებზე მუშაობისას მიღებული შედეგები წლების განმავლობაში იყო ავტორის ფიქრის, მსჯელობის, სხვადასხვა თავყრილობებზე მოხსენების, კამათის, წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოების, ახლებურად მიდგომის, წლების განმავლობაში სამეცნიერო თუ პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგად შექმნილი გამოცდილების გამოყენებით კვლავ შესასწავლი საგანი. ავტორმა ყველა ეს მასალა, თავმოყრილი, ერთიანად შეკრული, გამთლიანებული, სამეცნიერო აპარატით თანდართული, ერთი საერთო სათაურის ქვეშ მოაქცია, საიდანაც კარგად გამოჩნდა მისი საკვლევი ობიექტი – ქართული ეპიგრაფიკა და ის გეოგრაფიული სივრცე, რომელშიაც იგი „ეძიებდა და ჰპოვებდა“.²

სამწუხაროდ, ვალერი სილოგავას აღარ დასცალდა სხვა მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. ე. თაყაიშვილის პრემიის მოპოვებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 2011 წლის 17 მარტს, ის მოულოდნელად აღესრულა. ნავიდა და დაგვიტოვა დიდი სამეცნიერო მემკვიდრეობა, რომლის მნიშვნელობა განუზომელია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის, ხოლო ჩვენი, ცოცხალთა ვალია – მეცნიერული, ადამიანური და, თუ გნებავთ, მოქალაქეობრივი – მოვუაროთ ამ მემკვიდრეობას, გავხადოთ იგი მეცნიერთათვის ხელმისაწვდომი, მის ავტორს კი მეცნიერებაში მისთვის შესაფერი ადგილი მივუჩინოთ. თუ ჩვენ ამას დღეს არ გავაკეთებთ, მომავალში იგი სხვათა ხვედრი გახდება.

² ანალოგიური ნაშრომი 1999 წელს გამოსცა ცნობილმა ბიზანტინისტმა, ბატონმა გენადი ლიტავრინმა. იხ. Г. Г. Литаврин, *Византия и славяне (Сборник статей)*, Научное издание (Санкт-Петербург, 1999). ავტორი ასეთი ტიპის გამოცემების დიდ მადლს ხაზს უსვამს და ერთგან აღნიშნავს: “...тематический подбор под одной обложкой статей одного автора, написанных в разное время и рассеянный по разным изданиям, создает неоценимые удобства для исследователей и значительно облегчает знакомство с состоянием изучения и библиографией проблемы...” (გვ. 5). ბიზანტინოლოგებს კარგად მოეხსენებათ, მაგალითად, ლონდონური სერია – Variorum reprints, რომელიც სპეციალისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სწორედ ამ ტიპის გამოცემების გამო.